„აგვისტოს ნათელი“ ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრია.

ფოლკნერს ბევრჯერ აღუნიშნავს, რომ საკუთარი შემოქმედების უმთავრეს თემად თავისივე თავთან, თანამოძმესთან, დროსთან და გარემომცველ სინამდვილესთან დაპირისპირებული ადამიანის ბედი მიაჩნდა.

ეს ფატალური დაპირისპირება დაედო საფუძვლად „აგვისტოს ნათელსაც“. რომანის ყველა პერსონაჟი ადამიანის სულის დამამახინჯებელი ცრურწმენის, სიბრიყვის, ფანატიზმის, სისასტიკისა და შეუწყნარებლობის მსხვერპლი ხდება.

რედაქტორი
მანონ ღუდუშაური

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ლია სულაქველიძე

გარეკნის დიზაინი
ირმა ლიპარტელიანი

© „საქართველოს მაცნე“ ზაზა ჭილაძე

ISBN 99940-43-51-10

- I -

გზის პირას ჩამომჯდარი ლინა აღმართზე ტაატით ამომავალ ფორანს მისჩერებია და ფიქრობს — ღმერთმანი, კაიხელა გზა გამოვიარე; ხუმრობაა, ალაბამადან მოვდივარ ფეხითო, ფიქრობს ***ალბათ ერთი თვეც არ იქნება, რაც გზაზე ვდგავარ და აი, უკვე მისისიპისაც მოვადექ, ჩემს დღეში ასე შორს შინდან ჯერ არასოდეს წამოვსულვარ, თორმეტისა რაც შევსრულდი, მას მერე არც დოუნის სამხერხაოდან ვყოფილვარ ასე შორს***

არადა, ვიდრე დედ-მამა ცოცხალი ჰყავდა, არც დოუნის სამხერხაო ენახა თვალით, თუმცა, ყოველ წელს სულ ცოტა რვაჯერ მაინც უნდა წაეყვანა მამას ქალაქში, შაბათობით — ფოსტით გამოწერილ კაბაში გამოწყობილი, შიშველ ფეხებს ფორნის ძირზე მიატყუპებდა ხოლმე, ქაღალდში გახვეული ფეხსაცმელები კი გვერდით ეწყო, კოფოზე, და მხოლოდ მაშინღა იცვამდა, როცა ფორანი ქალაქს მიადგებოდა. ცოტა რომ წამოიზარდა, მამას ქალაქის განაპირას აჩერებინებდა ფორანს და მერე ფეხით აგრძელებდა გზას. ვინ იცის, მამამისს ეგონა სწორ ქუჩებში, გლუვ ტროტუარზე სეირნობა მოსწონსო, ლინას კი ფორანზე ჯდომას ფეხით სიარული იმიტომ ერჩია, იქნებ მეც ქალაქელად ჩამთვალონ გამვლელებმაო.

თორმეტისა იყო, როცა მშობლები დაეხოცა. ერთ ზაფხულს მოუკვდა დედაცა და მამაც, სამოთახიან, ძელურ, უფარდებო სახლში, ქინქლით გარშემორტყმული ნავთის ლამპით განათებულ ოთახში, რომლის იატაკიც ძველი ვერცხლივით გადაეპრიალებინა შიშველ ფეხისგულებს. ცოცხლად დარჩენილ დედმამიშვილებში ლინა ნაბოლარა იყო. დედამ სიკვდილის წინ დაუბარა — მამას მიხედეო — და ისიც ერთგულად ასრულებდა დანაბარებს, ვიდრე ახლა მამა დაუძახებდა და ეტყოდა: მაკკინლის უნდა გაჰყვე დოუნის სამხერხაოში და აბა შენ იცი, დროულად გაემზადე, არ ალოდინოო. ამის თქმა იყო და მამამაც განუტევა სული. ხოლო მაკკინლიმ — უფროსმა ძმამ, ფორნით ჩამოაკიხა. მამა სოფლის ეკლესიის უკან, ჭალაში დამარხეს, ნაშუადღევს, საფლავის თავთით ფიჭვის ჯვარი დაუსვეს

და მეორე დღეს ლინა სამუდამოდ გამოეთხოვა იქაურობას, თუმცა, მაშინ, როცა ფორნის კოფოზე ძმის გვერდით დასკუპული დოუნის სამხერხაოსკენ მიიჩქაროდა, შეიძლება ამდენი არც გაეგებოდა. მის ძმას ფორანი ვიღაცისგან ენათხოვრა და, პირობის თანახმად საღამომდე უნდა დაებრუნებინა პატრონისათვის.

ლინას ძმა სამხერხაოში მუშაობდა. იმ დაბაში საერთოდ ყველა მამაკაცი ან თავად სამხერხაოში მუშაობდა, ანდა სამხერხაოსთვის ჭრიდა ტყეს და ამით ჭამდა პურს. უკვე მეშვიდე წელი იწურებოდა, ფიჭვსა ჭრიდნენ. კიდევ ერთი ამდენიც და ხე სანთლით საძებარი გახდებოდა ირგვლივ. ხოლო თუკი ასე მოხდებოდა, მაშინ მანქანა-იარაღებიცა და იმათი უმრავლესობაც, ვინც ამ მანქანა-იარაღების წყალობით არსებობდა, ვისაც ამ მანქანა-იარაღების წყალობით ედგა სული, სატვირთო ვაგონებში ჩაეყრებოდა და სამუდამოდ აიკრავდა აქედან გუდა-ნაბადს. თუმცა, მანქანა-იარაღების ნაწილი — რაკიღა ახლის შესყიდვა ყოველთვის შეიძლება განვადებით — მაინც აქვე დარჩებოდა ალბათ — უშნოდ ამოშვერილი დაფხვნილი აგურის ბორცვებიდან და სარეველა ბალახიდან: გაშეშებული, უძრავი ბორბლები თუ გამოშიგნული საქვაბეები, თავიანთი ჩაჟანგებული, ჩამქრალი მილებით ჯიუტად და დაბნეულად მიშტერებული ვრცელ, უდრტვინველ, გადაჩეხილსა და გაპარტახებულ უდაბნოს, რომელიც წითელ, ბინძურ ორმოდ გადიქცეოდა თანდათანობით, შემოდგომის გულისგამაწვრილებელი, მოსაბეზრებელი წვიმებისა და გაზაფხულის ბუნიობის თავაწყვეტილი სიშმაგის წყალობით. მერე კი ამ პატარა დაბას, საფოსტო უწყების დავთრებში კარგ დროსაც რომ არ ღირსებია სახელი, აღარც შემთხვევითი, კუჭგამხმარი მემკვიდრეები მოიგონებდნენ, რაკი საბოლოოდ მოუთავებდნენ ხელს აქაურობას და ფერფლად აქცევდნენ სამზარეულოს ბუხრებსა თუ ღუმელებში.

ლინას ჩასვლისას სულ ხუთიოდე ოჯახიღა ცხოვრობდა დაბაში. დაბას შორიახლოს რკინიგზა ჩაუდიოდა, ასე რომ, დაბელებს თავიანთი ბაქანიც ჰქონდათ და დღეში ერთხელ სატვირთო-სამგზავრო მატარებელიც ჩაიქროლებდა ხოლმე კვირეულად. მატარებლის გაჩერება წითელი დროშით შეიძლებოდა. ჩვეულებრივ კი, შიშველი გორაკებიდან მოჩვენებასავით მოულოდნელად გამოვარდნილი და ყურისწამღებად აკივლებული მატარებელი ისე ჩაუქროლებდა ხოლმე ამ ვითომ-დაბას, ზედაც არ შეხედავდა, თითქოს ვერც შეამჩნევდა გაწყვეტილი მძივის მარცვალივით ჩაკარგულს ერთფეროვან გორაკებში. ძმა ოცი წლით იყო ლინაზე უფროსი და წასაყვანად რომ ჩააკითხა, ლინამ ძლივსღა იცნო. ოთხ თვალად გატიხრულ, შეუღებავ სახლში

ცხოვრობდა ჯაფითა და ხშირი მშობიარობით ქანცგაწყვეტილ ცოლთან ერთად. ლინას რძალი წელიწადში ექვსი თვე ან მოსალოგინებლად ემზადებოდა, ანდა, უკვე მოლოგინებული, ღონეს იკრებდა. ასეთ დროს, სახლის საქმეცა და ბავშვების მოვლა-პატრონობაც ლინას კისერზე გადადიოდა. მოგვიანებით თავს გამოუტყდა: ეტყობა, ასე უცებ ამიტომაც გავაჩინე შვილიო.

ლინას სახლზე მიშენებულ პატარა ოთახში ეძინა. ოთახს ერთადერთი სარკმელი ჰქონდა და ლინამ იოლად ისწავლა სიბნელეში იმ სარკმლის უხმოდ გაღებაცა და დაკეტვაც, თუმცა, მასთან ერთად ოთახში ჯერ ერთი ძმისშვილი იწვა, მერე — ორი და ბოლოს — სამიც. რვა წელი გაატარა ძმასთან, სანამ პირველად გააღებდა იმ სარკმელს. ათჯერაც არ გაეღო, როცა მიხვდა, რამდენად უკეთესი იქნებოდა, თუკი სათოფეზეც არ გაეკარბოდა საერთოდ, თუმცა ბოლოს მაინც აღიარა, ეს ყოფილა ჩემი ბედიო.

რძალმა ყველაფერი ქმარს ჩაუკაკლა, რის მერე, აღარც იმას გასჭირვებია ლინას ცვლილებების შემჩნევა, რაც, წესით, ადრევე უნდა სცემოდა თვალში. ლინას ძმა მძიმე კაცი გახლდათ — სინაზეც, სიმშვიდეცა და სიჭაბუკეც (ჯერ ორმოციისა თუ იქნებოდა მხოლოდ), თითქმის ყველაფერი უტეხი, უსასოო სიჯუტისა და პირქუში, მემკვიდრეობით შეძენილი, სისხლში გამჯდარი სიამაყის გარდა, ოფლთან ერთად გამოსვლოდა სხეულიდან. სულ ქუჩის ქალი და კახპა უძახა დას. არც ლინას გამაბედნიერებლის გამოცნობა გასჭირვებია (ანკი რა იმდენი იქნებოდნენ ერთ პატარა დაბაში უცოლო ბიჭები თუ მეტყეევე კაზანოვები), მაგრამ ლინა არამც და არამც არ გატყდა, თუმცა მისი რჩეული უკვე ექვსი თვის წინ გასცლოდა იქაურობას. „დღე დღეზე წერილს ველოდები, თავისთან უნდა დამიბაროს“-ო — ჯიუტად იმეორებდა ერთსა და იმავეს, გაკერპებული, გაბღუზული, იმ ყოვლისმომთმენი და ყველაფრის ამტანი ერთგულების ამოუწურავი მარაგის ამარა დარჩენილი, რისი იმედითაც უდგათ სული და რითაც ყოველთვის სიამოვნებით სარგებლობენ ლუკას ბარჩები, სწორედ მაშინ რომ გადაიკარგებიან ხოლმე, როცა ყველაზე მეტად არიან საჭირონი. ორი კვირის შემდეგ ლინა ისევ გადაძვრა სარკმელში და, ამჯერად, ცოტა არ იყოს გაუძნელდა გადაძრომა. — თავიდანვე ასე რომ გამძნელებოდა, არც ახლა ვიწვალებდი ამდენსო — გაეცინა თვითონვე. ისე, კაცმა რომ თქვას, კარიდანაც თავისულად შეეძლო გასულიყო, დღისით, მზისით, არავინ დაუჭერდა კალთას: ეს ალბათ თვითონაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ მაინც ღამით გაპარვა ამჯობინა, სარკმელში გადაძრომა. ხელში პალმის შტოს მარაო და ჭრელ

ხილაბანდში კოხტად გამოკრული მზითევი ეჭირა. სხვა წვრილ-მანებთან ერთად, ფუთაში ცოტა ხურდა ფულიც გამოეკრა, ოცდათხუთმეტი ცენტი, სულ ხუთ და ათცენტიანები. ფეხზე ძმის ნახმარი და ძმისავე ნაჩუქარი ფეხსაცმელი ეცვა, ოდნავ გაცვეთილი — ზაფხულში ხომ შინ და გარეთ ყველანი ფეხშიშველნი დადიოდნენ — ხოდა, იგრძნო თუ არა ფეხქვეშ შარაგზის მტვერი, იმანაც მაშინვე გაიხადა ფეხსაცმელი და ხელში დაიჭირა.

მეოთხე კვირა იყო უკვე, რაც ასე მოდიოდა. ეს ოთხი კვირა, მანძილად გარდაქმნილი დრო, წყნარი დერეფანივით რჩება უკან, შეურყეველი და აუმღვრეველი რწმენით მოკირწყლული, კეთილი, უცნობი სახეებითა და ხმებით დასახლებული: ***ლუკას ბარჩი? არა, ეგეთს არავის ვიცნობ. ჩვენში ეგეთი არავინ მეგულება. ეს გზა? პოკაჰონტასისკენ. იქნებ იქაც იყოს. ვინ იცის. აგე, ფორანი მიდის იქეთ, დაეგზავნე, გაგიყოლებენ, უარს არ გეტყვიან;*** უკან რჩება დღისა და ღამის, ღამისა და დღის მშვიდი, მარადიული მონაცვლეობის გრძელი, მოსაწყენი ერთფეროვნება და თვითონაც ისე მოგზაურობს ამ ერთფეროვნებაში შემთხვევითი, ზანტი ფორნებით, თითქოს ერთი ჭრიალაბორბლებიანი და ყურებპარტყუნა ავატარადან გადადის მეორეში. განუწყვეტლივ კი მოძრაობს, ოღონდ ლარნაკზე მიხატულივით, თითქოს არც წინ მიიწევს და არც ადგილს იცვლის.

ცოტაც და ფორანი აღმართს ამოათავებს, უფრო მოუახლოვდება. წელან, აქედან დაახლოებით ერთი მილის მოშორებით ჩამოუარა ამ ფორანს. მაშინ ფორანი გზის პირას იდგა და ჭაპანში შებმულ ჯორებს ზეზეურად ეძინათ. იქეთ გაეშვირათ თავები, საითაც ლინას ედო გზა. ფორანიც დაინახა და ღობის გადაღმა, ფარდულის ჩრდილში ჩაცუცქული ორი კაციც. ფორანსაც და კაცებსაც მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი, ნაბიჯიც არ შეუნელებია, ისე სტყორცნა ყოვლისმომცველი, სწრაფი, მიამიტი და ჭკვიანი მზერა. ღობის იქეთ ჩაცუცქულ კაცებს ალბათ არც შეუმჩნევიათ მისი წამიერი გამოხედვა. და აღარც ლინას გაუხედავს იმათკენ მეორედ, ნელ-ნელა გავიდა იმათი თვალთახედვიდან და თუმცა ფეხსაცმლის ზონრები გახსნილი ჰქონდა, ერთი მილის მერეღა გაჩერდა, უკვე გორაკის წვერზე ასული. იქ თხრილის პირას ჩამოჯდა, ფეხსაცმელები გაიხადა და ფეხები დამშრალ თხრილში ჩაკიდა. მალე ფორნის ჭრიალიც მოესმა და ცოტა ხანს ამ ხმას უსმინა, ვიდრე თავად ფორანიც გამოჩნდებოდა, აღმართს შეჭიდებული.

ფორნის გაცვეთილი, გაუპოხავი ხე და რკინა ზანტად, გულისგამაწვრილებლად, მშრალად მოჭრიალებს და მოღრჭიალებს: აგვისტოს შუადღის თაკარა, გარინდულ მდუმარებაში ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმის

ნახევარი მილის სიშორიდან მომავალი ხრინწიანი გაუთავებელი რახრახი. დასიცხული ჯორებიც ზარმაცად, მაგრამ ჯიუტად მოაბიჯებენ, ოღონდ ეგაა, ფორანს მაინც არ ეტყობა ადგილიდან თუ იძვრის. თითქოს სამუდამოდ შუა გზაში გამოკიდულა, ისე ნელა მოიწევს წინ — მძივის პაწაწინა მარცვალსა ჰგავს, გზის უძრავ, წითელ ძაფზე აგებულს. ისე ნელა მოდის, თვალი ფორანს უკვე ფორნადაც ვეღარ აღიქვამს, რულმორეულს ბინდი ეკვრება და გრძნობს, როგორ კარგავს სახეს ყოველივე ხილული, როგორ ითქვიფება ღამისა და დღის მშვიდსა და მომაბეზრებელ მონაცვლეობაში გზასავით, ერთხელ უკვე გადაზომილი და კოჭზე ხელახლა დახვეული ძაფივით. ბოლოს და ბოლოს იმდენად ნელა, თითქოს რაღაც მიყრუებული და მივარდნილი, შორზე კიდევ უფრო შორი ადგილიდან მოდის ეს ზანტი, შემაძრწუნებელი, აზრისაგან დაცლილი ხმა და იმ მოჩვენებასა ჰგავს, ნახევარი მილით წინ რომ გამოუსწრია საკუთარი სხეულისათვის. — არა ჩანს და მაინც ისმისო, ფიქრობს ლინა. ფიქრში უკვე ფორანზე ზის, უკვე გზას დასდგომია. ფიქრობს ***ჯერ ვერ ვხედავ და უკვე ფორანზე ვზივარ, ჩამოვალ და, კიდევ დიდხანს ირახრახებს ჩემიანად*** ზის და იცდის, ფორნისაკენ არც იყურება, უცნობი, კეთილი სახეებითა და ხმებით სავსე ფიქრიც ლაღად, სწრაფად, დაუბრკოლებლად მიქრის: ***მაშ ლუკას ბარჩიო, ამბობ? პოკაჰონტასშიც ეძებე? ეს გზა? ეს სფრინგველის გზაა. აქ მოიცადე. მალე ფორანი გამოივლის და შენც თან გაგიყოლებს,*** ფიქრობს, — თუ ღმერთიც შემეწია და ჯეფერსონამდე ჩამიყვანა, მაშინ ლუკას ბარჩიც მანამდე გაიგონებს ხმას, ვიდრე დამინახავდეს. ფორნის ჭრიალი რომ მოესმება, ჯერ არაფერი ეცოდინება. ჯერ გაიგონებს, მერე დაინახავს. დამინახავს და აღელდება. დაგვინახავს და გავახსენდებითო.

უინთერბოთომის თავლის ჩრდილში ჩაცუცქულმა არმსთიდმა და უინთერბოთომმა კარგად დაინახეს, როგორ ჩაიარა გზაზე. სინორჩეც იმწუთას შეატყვეს, ორსულობაცა და უცხოობაც.

„სად იშოვა ამოდენა მუცელი“, თქვა უისთერბოთომმა.

„მართლაც, ნეტავი საიდან მოტანტალებს ასე მარტოდმარტო“, ჩაილაპარაკა არმსთიდმაც.

„გაღმა, სტუმრად იქნებოდა ვინმესთან“, თქვა უინთერბოთომმა.

„არაა. გავიგებდი. ჩვენკენაც არავინ უნდა ჰყავდეს. ეგეც მეცოდინებოდა“.

„თვითონ კი იცის სადაც მიდის და...“ თქვა უინთერბოთომმა, „სიარულზე ეტყობა“.

„ეგ მარტოკა დიდხანს ვეღარ ივლის“, თქვა არმსთიდმა. ქალი გასცდა, ნელა ჩაუარა თავისი გამობერილი, თვალშისაცემი ტვირთიანად. ორივემ დაინახა, ერთის მეტად რომ არ შეუვლია მათთვის თვალი, სრულ, გახუნებულ ცისფერ კაბაში გამოწყობილს, ხელში პალმის შტოს მარაო და პატარა ფუთა ეჭირა. „ახლოდან მომავალს რაღაც არ უნდა ჰგავდეს“, თქვა არმსთიდმა.

„ისე მოაბიჯებს, კაიხელა გზა ექნება გამოვლილი და არც გასავლელი უჩანს ნაკლები“.

„ალბათ სტუმრად იქნებოდა ვინმესთან“, გაიმეორა უინთერბოთომმა.

„არა, კაცო, მეცოდინებოდა-მეთქი“, გაჯიუტდა არმსთიდი. ქალი კი თავის გზას მიუყვებოდა. უკან არც მოუხედავს. შარაზე მიაბიჯებდა და ნელ-ნელა ეფარებოდა თვალს: გაბერილი, დინჯი, მიზანდასახული, აუჩქარებელი და დაუღალავი, როგორც თავად გაღვივებული შუადღე. მათი საუბრიდანაც გავიდა და, იქნებ, ფიქრიდანაც, რადგან ცოტა ხნის მერე არმსთიდმა უკვე ის სთქვა, რის სათქმლადაც იყო საერთო მოსული. ამ საქმეზე აკი ადრეც ორჯერ გამოევლო ხუთი მილი თავისი ფორნით, მაშინაც ასე ჩაცუცქული იპურჭყებოდა უინთერბოთომის ფარდულის ჩრდილში მთელი სამი საათი და თავისებურად, გულისგამაწვრილებელი სიდინჯითა და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით, მაშინაც ასე აცოდვილებდა სათქმელს: ვერა და ვერ გამოწირა, მაინც რამდენს გამოიმეტებდა, რამდენს გადაიხდიდა უინთერბოთომის კულტივატორში. ახლა კი, როგორც იქნა დააყენა საშველი, მზეს ახედა და ის ფასი ამოღერღა, სამი დღით ადრე, დასაძინებლად დაწოლილს რომ დასჯდომოდა ჭკუაში. „ერთი ვიცი ჯეფერსონში, ამ ფასად ულაპარაკოდ მომყიდის“, თქვა არმსთიდმა.

„ჰო“, თქვა არმსთიდმა. ერთიც გადააპურჭყა, მერე ისევ ახედა მზეს და წამოდგა. „ჩემი წასვლის დროც მოსულა“.

კოფოზე აძვრა და ჯორები გააღვიძა. უფრო სწორად, შეაფუცხუნა, თორემ ზანგის მეტი ვინ შეატყობს ჯორს ძილსა და ღვიძილს. უინთერბოთომი ღობემდე მიჰყვა, მკლავები ღობეზე ჩამოაწყო. „ეგრეა, ჩემო ძმაო“, უთხრა არმსთიდს. „მაგ ფასად ყიდვა უეჭველად ღირს. შენ თუ არ აიღებ, გამაგებინე. კაცი არ ვიყო ხელიდან თუ გავუშვა. ისე, შენი ჯეფერსონელი წყვილ ჯორსაც ხო არ ყიდის ხუთ დოლარად, ჰა?“

„სხვა რა გინდა კიდე“, თქვა არმსთიდმა. მერე ფორანი დაიძრა და მაშინვე დაიწყო ზანტი, მანძილის შთანმთქმელი რახრახიც. არმსთიდს უკან აღარ მიუხედავს. ეტყობა, არც წინ იყურება, რადგან გზის პირას ჩამომჯდარ, თხრილში ფეხებჩაკიდულ ქალს ჯერ ვერ ხედავს, იქამდე

ვერ ამჩნევს, ვიდრე ფორანი ლამის თხემზე არ მოექცევა გორაკს. მაშინღა სცნობს ცისფერ კაბას, ოღონდ, დაბეჯითებით მაინც ვერ იტყვის, ქალმაც დაინახა ფორანი თუ არა. არც თვითონ შესტყობია, ქალს რომ შეხედა, თითქოს არცერთი არ იძვრის ადგილიდან, მაგრამ ნელ-ნელა მაინც უახლოვდენიან ერთმანეთს, ფორანი ლინასკენ მოღოღავს, მძიმედ, შემაწუხებლად — რინდისა და წითელი მტვრის დუნე, ლამის ხელშესახებ შარავანდედში ჩანთქმული. ხანდახან მოსართავები თუ გაიჟღარუნებენ ხოლმე, ჯორები თითქოს ბურანში მოაბიჯებენ ჯიუტად, კურდღლებივით დაცქვეტილი ყურები უთრთით, მაგრამ, ისევ ძნელი სათქმელია — სძინავთ თუ ღვიძავთ.

ლინას თვალებზე ჩამოუფხატია ცისფერი, გაცრეცილი ქუდი, რომელიც, ალბათ, მარტო იაფფასიან საპონს არ გამოუხუნებია ასე უღმერთოდ, და მშვიდი, კეთილი სახით ასცქერის არმსთიდს: ახალგაზრდა, სანდომიანი, ალალი, ფრთხილი და ხალისიანი. ჯერ ერთხელაც არ შერხეულა. ქუდივით გამოხუნებულ ცისფერ კაბაში ფორმადაკარგული სხეული გაფუყულა. მარაო და ფუთა კალთაში უწყვია. ფეხზე წინდებიც არ აცვია. შიშველი ტერფები დამშრალ თხრილში მიუტყუპებია ერთმანეთისათვის. თვითონაც ისევე გარინდულა, როგორც გვერდით დაწყობილი მამაკაცური, მძიმე, მტვრიანი ფეხსაცმელები. გაჩერებულ ფორანზე არმსთიდი მხრებში მოხრილი, თვალებგამოცარიელებული ზის. ახლაღა ამჩნევს, თურმე მარაოსაც ქუდივით და კაბასავით გახუნებული, ცისფერი ქსოვილის არშია აქვს კოხტად შემოვლებული.

„შორს მიდიხარ?“ ეკითხება ლინას.

„შებინდებამდე ცოტას კიდევ გავივლი-მეთქი“, პასუხობს ქალი. მერე დგება, ფეხსაცმელებს იღებს. ნელ-ნელა, ფრთხილად გადმოდის გზაზე და ფორანს უახლოვდება. არმსთიდი გაუნძრევლად ზის, მიხმარებას არ აპირებს. მარტო ჯორებს აოკებს, ვიდრე ლინა მძიმე-მძიმედ ამობობღდებოდეს, ბორბალზე გადმოაბიჯებდეს და დაჯდომამდე, კოფოს ქვეშ შეაწყობდეს ფეხსაცმელებს. მერე ფორანი ისევ გზას აგრძელებს. „მადლობელი ვარ“, ამბობს ქალი, „დამაწყდა ფეხები“.

არმსთიდს ჯერ აშკარად ერთხელაც არ შეუთვალიერებია თანამგზავრი. თუმცა, მაინც შეამჩნია ნიშნობის ბეჭედი რომ არ უკეთია თითზე. ახლაც არ უყურებს. ფორანი უწინდებურად დინჯად მირახრახებს. „საიდან მოდიხარ?“ ეკითხება ქალს.

ლინა ერთს ხმამაღლა ამოისუნთქავს, თითქოს საკუთარი გაოცების გამოსახატავად. „ახლა რომ ვფიქრობ, მართლაც კარგა შორიდან. ალაბამადან“, პასუხობს მშვიდადა.

„ალაბამადან? შენა? კი მაგრამ, პატრონი არა გყავს?“

არც ქალი იყურება არმსთიდისაკენ. „ჩემ კაცს ვეძებ. იქნება იცნობთ კიდეც. ლუკას ბარჩი ჰქვია. ამწინებზე მითხრეს, ჯეფერსონშიაო, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„ლუკას ბარჩი“. იმეორებს არსმსთიდიც, ისიც ლინასავით გამოთქვამს. გვერდიგვერდ სხედან ჩაღუნულ, მორყეულ კოფოზე. არმსთიდი ცალი თვალით ქალის მშვიდ პროფილსა და კალთაში დაკრეფილ ხელებს ხედავს, ქალი კი ჯორების მთრთოლვარე ყურებს შორის გაწოლილ გზას გასცქერის. „მაშ, იმის ძებნაში ამოდენა გზა მარტოდმარტომ ფეხით გამოიარე, არა?“

ლინა ცოტა ხანს დუმს. „კეთილი ხალხი მხვდებოდა. კეთილ ხალხს რა გამოლევს?“ ამბობს მერე.

„ქალებიც?“ შეფარვით უცქერის ლინას პროფილს და ფიქრობს **ნეტავი მართა რას იტყვის** ფიქრობს, „კარგად ვიცი რასაც იტყვის. ქალი იქნებ ძალიან კეთილი არც იყოს და მაინც გითანაგრძნოს. კაცების რა მოგახსენო. აი, დიდ სიკეთეს კი მარტო ავი დედაკაცი თუ დაანახვებს მეორეს, სიკეთეს დანატრებულს“. ფიქრობს **კი, ვიცი. ზუსტად ვიცი რასაც იტყვის მართა**

ლინა ოდნავ წინ წახრილა, გაქვავებული ზის, პროფილიც გაქვავებია, ლოყაც. „უცნაური ამბავი კია“, ამბობს უცებ.

„რა არის უცნაური? ამოდენა მუცლით შარაზე გამოსულს ყველა მაშინე რომ გატყობს, ამ გოგოს ქმარი გაქცევიაო?“ ლინა არ ირხევა. ფორანი ახლა რიტმულად მიირწევა, გაუპოხავი და დაქანცული ღერძის ჭრიალიც თითქოს ზარმაც შუადღეს, გზას, ხვატს შერწყმია. „მაშ აქ, ჩვენს მხარეში გინდა იპოვო, არა?“

ლინა გაუნძრევლად ზის, ეტყობა ისევ ჯორების ყურებს შორის გაწოლილ შარას გასცქერის — გზადქცეულ სივრცეს. „ვიპოვი კიდეც. წესით არ უნდა გამიჭირდეს. იქ იქნება, საცა ხალხი იყრის თავს, საცა მეტი ჟრიამულია და დროსტარება. ამ საქმეში მარჯვეა“.

არმსთიდი რაღაცას ბუზღუნებს თავისთვის, ხმაგაუხეშებული, გამკაცრებული. „ჰაა ჯორებო“, უწყრება ჯორებს. გულში კი, ნაფიქრალსა და ხმამაღლა ნათქვამს შორის, თავისთვის ამბობს: „იპოვის კიდეც. ღმერთმანი, ის ბიჭი მალე ინანებს, არკანზასი, არკანზასი კი არა, სულაც ტეხასი რომ არ მოიტოვა ზურგსუკან“.

მზე უკვე გადახრილა, ერთი საათიც და ჰორიზონტს იქეთ ჩაესვენება, ერთი საათიც და უცებ ჩამოწვება ზაფხულის ღამე. შარაგზას ბილიკი ერთვის, შარაგზაზე კიდევ უფრო უკაცრიელი და წყნარი. „მოვსულვართ და ეგაა“, ამბობს არმსთიდი.

ლინაც მაშინვე გამოცოცხლდება. დაბლა იხრება, კოფოს ქვეშ ფეხსაცმელებს ეძებს; უფრო არ დავაყოვნოო — ეტყობა ფეხშიშველი აპირებს ფორნიდან ჩასვლას. „დიდი მადლობა“, ეუბნება არმსთიდს, „ძალიან მიშველეთ“.

ფორანი ისევ ჩერდება. ლინა ჩასავლელად ემზადება. „შებინდებამდე გინდაც ვარნერის დუქანს მიაღწიო, ჯეფერსონამდე მაინც თორმეტი მილი გექნება გასავლელი“, ამბობს არმსთიდი.

ლინას ფეხსაცმელებიც, ფუთაცა და მარაოც უხერხულად უჭირავს ცალ ხელში, ჩასავლელად გამზადებულს მეორე ხელი გაუთავისუფლებია. „მაინც წასვლა ჯობია“, პასუხობს ლინა.

არმსთიდი ხელს არ აშველებს. „მოდი, მე გამომყევი. ჩვენსა გაათიე ღამე“, — სთავაზობს არმსთიდი. „რამე თუ გაგიჭირდა, ქალები... ქალი მაინც მოგხედავს. წამო, წავიდეთ. დილაადრიან კიდე მე თვითონ მიგიყვან ვარნერის დუქნამდე, იქედან რაღაა... ხვალ შაბათია, ვინმე უთუოდ გაგიყოლებს ქალაქში. შენი ბიჭი ამაღამ არსად გაგექცევა. საერთოდ თუა ჯეფერსონში, ხვალაც იქ დაგხვდება“.

ლინა ორჭოფობს, თავისი ავლადიდებაც ერთად მოუქუჩებია. ისევ წინ იყურება, იქეთ, სადაც ირიბი ჩრდილებით დასერილი გზა მიიკლაკნება და შორეთში იკარგება. „ჩემი ანგარიშით, რამდენიმე დღე კიდევ უნდა მქონდეს მარაგში“

„დრო თავზესაყრელი გაქვს. ოღონდ, შენ რომ დღე-დღეზე თანამგზავრს ელოდები, ის ჯერ გვერდში ვერ გამოგყვება. ხოდა, დამიჯერე“. არმსთიდი პასუხსაც არ ელოდება, ისე ძრავს ადგილიდან ჯორებს. ფორანი შარაგზიდან უკაცრიელ ბილიკზე გადადის. ლინაც კვლავ კოფოზე ჯდება, თუმცა მარაოც, ფუთაცა და ფეხსაცმელებიც ძველებურად ცალ ხელში უჭირავს.

„აბა ეგრე რატომ უნდა შეგაწუხოთ“, ბოდიშობს ლინა. „ისედაც გაგაწვალეთ“.

„შენ ეგა თქვი და...“ ეხმიანება არმსთიდი. ჯორები პირველად უჩქარებენ ნაბიჯს საკუთარი სურვილით. „საჭმლის სუნი იგრძნეს აი“, ამბობს არმსთიდი, თან ფიქრობს, „ქალი კიდე ეგ არი. საკუთარ დას პირველი თვითონ გაუთხრის სამარეს, არადა ქვეყანაზე უსირცხვილოდ დატანტალებს, იცის, ხალხი ზრუნვას არ მომაკლებს, კაცები მაინც მომხედავენო. ქალები ფეხებზე ჰკიდია. მართლაც, ქალს ხომ არ ჩაუგდია ამ დღეში, თვითონ გასაჭირადაც რომ არ მიაჩნია. ეგრეა. ერთი გაათხოვე ანდა გაუთხოვრად ამამაძაღლე, მაშინვე განუდგება საქალეთს და თავის დღე და მოსწრება სულ კაცებში გათქვეფას ეცდება. შენ რა გგონია, თუთუნსაც ამიტომ ყნოსავენ და ეწევიან, არჩევნებში მონაწილეობაც მარტო ამიტომ უნდათ“.

ფორანი რომ სახლს გვერდით ჩაუვლის და თავლისკენ გადაუხვევს, არმსთიდის ცოლი წინაკართან დგას და თვალს ადევნებს. არმსთიდი იქეთ არ იყურება; ანკი რად უნდა იქეთ გახედვა, ისედაც მშვენივრად მოეხსენება, სად იქნება, სად უნდა იყოს მისი ცოლი. „ჰო“, ფიქრობს სევდანარევი ბრაზით და ჯორებს ღია ჭიშკრისკენ მიერეკება, „ვიცი რასაც იტყვის. ზუსტად ვიცი“. მერე ფორანს აჩერებს, სახლისკენ არც ახლა იყურება, თუმცა ახლაც შეუმცდარად გრძნობს, ცოლი უკვე სამზარეულოში გასულა, მათი თვალთვალი მობეზრებია და იქ ელოდება მშვიდად. ფორანი ჩერდება. „შენ შინ შედი“, ეუბნება ლინას, თვითონ უკვე მიწაზე დგას, ლინა კი ნელ-ნელა, ფრთხილად ცდილობს ფორნიდან გადმობობღებას, საკუთარ არსებაში რაღაცას მიყურადებული. „იქ ალბათ მართა დაგიხვდება. მეც მალე მოვალ, საქონელს ალაფს დავუყრი და მოვალ“. ლინა საზარეულოსკენ მიაბიჯებს, მაგრამ არმსთიდი არც იმას აყოლებს თვალს. ან რაში სჭირდება. თითქოს ისიც ლინასთან ერთად, ლინას ფეხდაფეხ შედის სამზარეულოში და პირისპირ რჩება ცოლთან, რომელიც ახლა სამზარეულოს კარსაც ისევე მისჩერებია, როგორც წეღან — ფორანს. „ვიცი, ზუსტად ვიცი, რასაც იტყვის“, ფიქრობს არმსთიდი.

მერე ჯორებს გამოხსნის, დაარწყულებს, დააბინავებს, თივას დაუყრის, ძროხებსაც შედენის ბოსელში და ყველაფერს რომ მოითავებს, თვითონაც სამზარეულოსკენ დააღერებს თავს. ცოლიც ისევ იქაა — ჭაღარა, გოროზი, ბრაზიანი, პირგამეხებული ქალი, ექვს წელიწადში ხუთი შვილის გამჩენი და გამომზრდელი, უკვე ხუთივეს გზაზე დამყენებელი. უხმოდ ფუსფუსებს. ქმარი ერთსაც არ შეხედავს ზედ, ბაკანთან მივა, ვედროდან ჯამით წყალს იღებს და სახელოებს იკაპიწებს. „ამ გოგოს გვარი ბარჩია“. ეუბნება ცოლს „უფრო სწორად, ეგ რომ კაცს დაეძებს, იმისი გვარი ყოფლა ბარჩი. ლუკას ბარჩი. გზაზე უთქვამთ, ჯეფერსონში ნახავო“. არმსთიდი ხელპირს იბანს, ცოლისთვის ზურგი შეუქცევია. „ალაბამადან მოდის, ამოდენა გზა მარტოდმარტო, ფეხით გამოვიარეო“.

არც მისის არმსთიდი უცქერის ქმარს, მაგიდასთან საქმიანობს უწინდებურად. „არა უშავს, იმ თავის ალაბამაში მარტოკას აღარ მოუწევს დაბრუნება“, ამბობს ქალი.

„ეგ კი არა და, იქნებ იმ ბიჭს უკვე ხელდამშვენებული მიადგეს“. არმსთიდი ბაკანთან ჯახირობს, თითქოს მთელი გულისყური წყალსა და საპონზე გადაუტანია. არადა, განუწყვეტლივ გრძნობს როგორ მიშტერებია ცოლი კეფაში, თვალს არ აშორებს იმის ბეჭებს, ოფლისგან გამოხუნებულ იმის ცისფერ პერანგს. „ვითომ სამსონთან უთქვამთ, ის ბიჭი, ბარჩია თუ ოხრობა, ჯეფერსონში, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„ჰოდა ეგეც იქეთ მიიჩქარის. სახლ-კარიც გაწყობილი ელოდება და ყველაფერი“.

არმსთიდი ხმაზე ვერ ატყობს, როდის უცქერის ცოლი და როდის არა. გარღვეული ფქვილის ტომრით იმშრალებს ხელპირს. „იქნება იპოვოს კიდეც. თუ მართლა გაქცევა აქვს იმ ბიჭს გუნებაში, მალე ინანებს, რატომ მისისიპი არ მოვიტოვე ზურგსუკანო“. ახლა უკვე გრძნობს, როგორ მიშტერებია ცოლი: ჭაღარა, არც მსუქანი და არც გამხდარი ქალი, კაცურად ნაჯაფარი, ჯაფით გაუხეშებული — ნაცრისფერი ჯვალოს კაბა აცვია, დაუნდობლად, დაუნანებლად ნახმარი, დოინჯი შემოუყრია და დამარცხებული გენერლის სახე ადევს.

„ოოოხ, კაცებო, კაცებო“, ამბობს ქალი ჩუმად.

„შენ რა, სხვანაირად მოიქცეოდი? გააგდებდი? თუ ბოსელში გაათევინებდი ღამეს?“.

„თქვენი სინსილა კი გაწყდეს, კაცებო“, იმეორებს ქალი.

სამზარეულოში ერთად შედიან, წინ მისის არმსთიდი მიაბიჯებს. პირდაპირ ქურასთან მიდის. ლინა კი, წამით, კარებში ყოვნდება. ქუდი აღარ ხურავს, თმა სწორად ჩამოუვარცხნია. თითქოს იმის ცისფერ კაბასაც გამოუხედავს თვალში, კაბასაც დაუსვენია. დგას და შესცქერის, როგორ ებრძვის მისის არმსთიდი ქურასთან რკინის ხუფებს, მერე შეშის ნაპობებს იღებს, მამაკაცურად, უხეშად. „რამეში მოგეხმარებით“, ეუბნება ლინა.

მისის არმსთიდი მისკენ არც ტრიალდება. ბრაზმორეული აჯახუნებს ქურის კარს. „მანდ დაეტიე და ცოტა ხანს მაინც ჩახარე მუხლი, იქნებ მერე ზურგმაც გაგიაროს“.

„მართლა ძალიან გამეხარდება რამეს თუ დამავალებთ“.

„დაისვენე-მეთქი. ოცდაათი წელიწადია ყოველ ცისმარე დღეს სამ-სამჯერ ვაკეთებ ამ საქმეს. წავიდა ის დრო, როცა მოხმარება მჭირდებოდა“. ლაპარაკობს და თან ისევ ქურასთან საქმიანობს, ლინას ზედაც არ უყურებს. „არმსთიდმა — გვარად ბარჩიაო“.

„დიახ“, პასუხობს ლინა. მხადაბლა, ძალიან მშვიდად პასუხობს. გაუნძრევლად ზის, ხელებიც უძრავად უწყვია კალთაში. არც მისის არმსთიდს სცალია აქეთ-იქეთ საცქერლად. უწინდებურად ქურასთან ტრიალებს. ქურასაც, ეტყობა, ახლა მეტი ყურადღება სჭირდება,

ვიდრე წელან, როცა ქალი გამკაცრებული და გაგულისებული ანთებდა ცეცხლს. ისე დაჰფოფინებს, ისე დასტრიალებს თავს, თითქოს ქურა კი არა — ძვირფასი საათი იყოს.

„მაშ გვარად ბარჩი ხარ, არა?“ ეკითხება ლინას.

ახალგაზრდა ქალი მაშინვე არ პასუხობს. მისის არმსთიდიც აღარ ხმაურობს ქურასთან, თუმცა, ჯერაც ლინასკენ ზურგშექცეული დგას. ცოტა ხნის შემდეგღა ტრიალდება. ქალები თვალს თვალში უყრიან, უეცრად ნიღბებჩამოხსნილნი მისჩერებიან ერთმანეთს: ახალგაზრდა სკამზე ზის, კოხტად თმადავარცხნილს მოდუნებული ხელის მტევნები კალთაში დაუსვენებია, ხანშიშესული კი ქურასთან დგას, ოღონდ ახლა სკამზე მჯდომისკენ შემობრუნებულა და გაქვავებულა, ჭაღარა თმა ბრაზიანად, დაუდევრად გამოუსკვნია კეფაზე, ფხვიერ ქვაში ნაკვეთს მიუგავს სახე. მერე ახალგაზრდა ლაპარაკს იწყებს.

„მოგატყუეთ. მე ჯერ არა ვარ ბარჩი. ლინა გროუვი მქვია“.

ქალები ერთმანეთს შესცქერიან. მისის არმსთიდის ხმა არც ცივია და არც თბილი ეთქმის. ხმა თითქოს საერთოდ არ გამოხატავს არაფერს. „მაშ, გინდა დაეწიო და სანამ დროა, ბარჩი გახდე, არა?“

ლინას თვალები დაბლა დაუხრია, თითქოს კალთაში დაკრეფილ ხელებს დასცქერისო. ჩუმად ლაპარაკობს, ჯიუტად, უწინდებურად მშვიდი ხმით. „აბა ლუკასს ჩემთან რა ფიცი-მტკიცი სჭირდება. სამწუხაროდ, ეგ იყო, წასვლა მოუწია. მერე, ეტყობა, რაღაცამ შეუშალა ხელი და წასაყვანადაც ველარ ჩამომაკითხა, როგორც თავიდან აპირებდა. მე და იმას ფიცი და პირობა რად გვინდა. იმ ღამეს, წასასვლელი რომ გამოუჩნდა...“

„რომელ ღამეს? როცა ბავშვის ამბავი უთხარი?“

ლინა ცოტა ხანს არაფერს პასუხობს. ქვასავით უძრავი სახე დასდებია, ოღონდ — მკაცრი არა. სახის სიჯიუტესაც რაღაცნაირი სილბო დაჰკრავს, თითქოს შიგნიდან განათებულა უდრტვინველი, მშვიდი განუსჯელობისა და რინდის შუქით. მისის არმსთიდი თვალს არ აშორებს. ლინა კი, ვიდრე ლაპარაკობს, ერთსაც არ გაიხედავს მისკენ. „წასვლა რომ მოუწევდა, დიდი ხნით ადრეც იცოდა. უბრალოდ, მზოგავდა და იმიტომ არაფერს მეუბნებოდა — ტყუილად არ ავაღელვოო. პირველად რომ გადაუკრა ოსტატმა სიტყვა, აქედან გუდა-ნაბადის აკვრა მოგიწევსო, მიხვდა, გაცლა აჯობებდა, იქნებ სხვაგან მაინც ეშოვა დროულად ისეთი ადგილი, სადაც კრიჭაში არ ჩაუდგებოდნენ და ტყუილ-უბრალოდაც არ აუხირდებოდნენ. მაგრამ, ბოლომდე ითრევდა მაინც ფეხს. მერე ეს ამბავიც დაერთო და გაჯანჯლებასაც უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ოსტატი კი იმიტომ აუხირდა, იმისი სილაღე და მხიარულება არ

მოსდიოდა თვალში, თანაც, ლუკასის ადგილიც თავისი ბიძაშვილისთვის უნდოდა. მე არაფერს მიმხელდა, მიფრთხილდებოდა. მაგრამ, როცა მოსახდენი მოხდა, მოცდა ნამდვილად აღარ შეიძლებოდა. თვითონ ვუთხარი — წადი-მეთქი. ლუკასი გაიძახოდა, თუ არ გინდა, ფეხსაც არ მოვიცვლი, ოსტატს კისერიც უტეხიაო. მაგრამ, წადი-მეთქი, დავიჟინე. იმას მაინც უკან რჩებოდა ფეხები. მე ავიჩემე. ჩემს დასახვედრად როცა მზად იქნები, ხმა მომაწვდინე-მეთქი. მერე კი, ეტყობა ისე აეწყო საქმე, ხმა დროზე ველარ მომაწვდინა. ხომ იცით, უცხო ხალხში რომ მოხვდები, მოსაწყობად და დასაბინავებლად დრო გჭირდება. მით უმეტეს, ლუკასისნაირ ხალისიან კაცს, მეგობრებზე რომ ამოსდის მზე და მთვარე, დროსტარებაზე ფიქრობს სულ, ძმაბიჭებიც სულში იძვრენენ, კუდში დასდევენ, მუშაობას არ აცლიან — აქაო-და სიცილისა და ხუმრობის ოსტატიაო. თვითონაც ხათრიანია, უარს ვერავის ეუბნება. წასვლისას ამეებზე არ ფიქრობდა, არ ეგონა, ასე თუ გაუჭიანურდებოდა ახალ ადგილას ფეხის მოკიდება. გამოუცდელობით მოუვიდა. რას იზამ. ისე, ჩვენში დარჩეს და, მეც ვიფიქრე, მოდი ამ ერთხელაც თავის გემოზე გაინავარდოს-მეთქი, ცოლ-ქმრობა ხომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე კაცისთვის ერთია და ქალისთვის კიდევ — სულ სხვა. კაცისთვის ცოლ-ქმრობა დიდხანს გრძელდება. ასე არ არის?“

მისის არმსთიდი არაფერს პასუხობს. სკამზე ჩამომჯდარ, კოხტად თმადავარცხნილსა და კალთაში ხელებდაკრეფილ ლინას მისჩერებია. იმის მშვიდსა და ფიქრიან სახეს არ აშორებს თვალს. „ვინ იცის, შემომითვალა კიდეც ჩამოდიო, მაგრამ ხმა ვერ მომაწვდინა. ჯერ აქედან რამოდენა გზაა ალაბამამდე და ჯეფერსონიდან რა იქნება?!

არ ეხერხება წერილის წერა. მზად რომ იქნები ჩემს დასახვედრად, რამენაირად ხმა მომაწვდინე-მეთქი. შიშით მერე შემეშინდა ერთი პირობა, მარტო რომ დავრჩი: არც ჩემი ძმა იცნობდა ლუკასს ჩემსავით და არც ჩემი რძალი. ანკი საიდან უნდა სცნობოდათ?“ სახეზე ნელ-ნელა გადაურბენს სიხარულნარევი გაოცება, თითქოს მხოლოდ ახლა, ამ წუთას პოულობს იმ კითხვის პასუხს, რომლის არსებობა ეჭვადაც არ იცოდა აქამდე. „მართლაცდა, ვითომ რატომ უნდა სცნობოდათ ჩემსავით?! მოკლედ, ასეა თუ ისე, ჯერ ლუკასს უნდა მოეკიდა ფეხი სადმე, მე კი უნდა ვმჯარიყავი და მეცადა, როდის მოთავდებოდა ეს დავიდარაბა. მაგრამ, ამასობაში დროც მომივიდა და სადღა მეცალა იმაზე საფიქრელად, რომელი გვარი უფრო შემეფერობოდა, ანდა რას იტყოდა ჩემზე ხალხი. აკი გითხარით, მე და ლუკასს ერთმანეთში ფიცი არა გვჭირდება-მეთქი. ეტყობა, რაღაც შეემთხვა, შემოთვლით კი შემომითვლიდა, ოღონდ

დანაბარებმა, ეტყობა, ჩემამდე ველარ ჩამოაღწია. ხოდა, რიღასთვის უნდა დამეცადა, ავდექი და წამოვედი...“

„კი მაგრამ, რა იცოდი, სად უნდა გეძებნა, რომელ გზას უნდა დასდგომოდი?“

ლინა საკუთარ ხელებს დაჰყურებს. ხელები ამოძრავებულან, გამალებით, საქმიანად ჭმუჭნიან კაბის ნაკეცს, ოღონდ, არც გაუბედაობის და არც სიმორცხვის გამო. ეტყობა, ეს მოძრაობაც მხოლოდ და მხოლოდ გაუაზრებელი, უნებლიე რეფლექსია და სხვა არაფერი. „ხალხს ვეკითხებოდი. ლუკასი ხომ უცებ უშინაურდება ყველას, ერთხელ თუ ნახა ვინმემ, აღარასოდეს დაავიწყდება. ასე კითხვა-კითხვით მოვდიოდი. ხალხიც რომ სულ ერთმანეთზე კეთილი მხვდებოდა?! ამ ორი დღის წინ კი დაბეჯითებით მითხრეს — ჯეფერსონშია, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

მისის არმსთიდი დაჟინებით დასცქერის თავჩაღუნულ ლინას. დოინჯი შემოუყრია და ცივი, უმისამართო სიძულვილით დაჰყურებს. „შენც გჯერა, არა? გინდაც მართლა იქ იყოს, შენ რომ დაგინახავს, ვითომ უკანმოუხედავად არ გადაიკარგება იქიდანაც?“

თავჩაღუნულ ლინას სევდიანი, მშვიდი სახე ადევს. ხელებიც გაჩერებულან, უსიცოცხლოდ უყრია კალთაში. მშვიდი ხმა აქვს, აუღელვებელი, ჯიუტი. „მე მგონი, როცა ბავშვი ჩნდება მთელი ოჯახი ერთად უნდა იყოს. მით უმეტეს, როცა პირველ შვილს ელოდებიან. ალბათ, უფალიც ასე ინებებს“.

„შენ ნახე, ბოლოს მართლაც ეგრეც იქნება“, გულმოსული, გაბრაზებული ამბობს მისის არმსთიდი. არმსთიდი უკვე დასაძინებლად გამზადებულა, ლოგინში სანახევროდ წამომჯდარი და კისერწაგრძელებული, ყურადღებით ადევნებს თვალს ცოლს. ის კი, ჯერაც ტანგაუხდელი, კომოდისკენ დახრილა და ლამპის შუქზე გამწარებული დაეძებს რაღაცას უჯრაში. ბოლოს იქიდან რკინის ყუთი ამოაქვს, ყუთს კისერზე ჩამოკიდებული გასაღებით ხსნის, ყუთიდან ნაჭრის ტომსიკას იღებს, ტომსიკიდან კი — მამლის ფორმის პატარა, ფაიფურის ყულაბას. ყულაბას რომ დააპირქვავებს და გაშმაგებული შეაჯანჯღარებს კომოდის თავზე, ყულაბა აჩხრიალდება, მერე კი, ჭრილიდან გაჭირვებით, თითო-თითოდ ჩამოცვივა ხურდა ფული. მწოლიარე არმსთიდი თვალს არ აშორებს ცოლს.

„ნეტა ამ შუაღამისას ეგ კვერცხში აღებული ფული რაში დაგჭირდა?“ — ეკითხება ცოლს.

„ჩემი ფულია, როგორც მინდა, ისე მოვიხმარ“. ქალი ლამპისკენ იხრება, სახე გაუხეშებია, გაბოროტებია. „ღმერთმა ხომ იცის, რა წვალებით გამოვზარდე და მოვაჩიტე. შენ თითი თითზეც არ დაგიკარებია“.

„ნეტავი ვინ გეცილება“, ეუბნება არმსთიდი. „გველს და ოპოსუმს ვერ დავუდგები თავდებად და ისე, ამქვეყნად სხვა სულიერი ვერც კრუხებში ჩაგეზიარება და ვერც მაგ მამლის კუჭმაჭში“, ამატებს ბოლოს, რადგან უეცრად წელში მოხრილი ქალი სწრაფად წაიძრობს ცალ ფეხსაცმელს და ერთი დარტყმით დააქუცმაცებს ფაიფურის ყულაბას. საწოლში სანახევროდ წამომჯდარი არმსთიდი ხედავს, როგორ აგროვებს მისი ცოლი ყულაბის ნამტვრევებში არეულ ხურდას და როგორ ყრის ტომსიკაში, როგორ უკრავს ტომსიკას თავს, როგორ კვანძავს სამჯერ თუ ოთხჯერ — გამწარებით, თითქოს საშვილიშვილოდ.

„ეს იმას მიეცი“, ამბობს ქალი. „მზის ამოსვლამდე შეაბი შენი ჯორები და აქედან მომაშორე. ისემც გიქნია, ჯეფერსონამდე ჩაგიცილებია“.

„რა, ვითომ ვარნერების დუქნიდან უჩემოდ ვერ წაბრძანდება?..“ ხითხითებს კაცი.

მისის არმსთიდი ალიონზე ადგა და საუზმის თადარიგს შეუდგა. სუფრა გააწყო თუ არა, არმსთიდმაც შეაბიჯა სამზარეულოში, უკვე ძროხების მოწველაც მოესწრო. „წადი, დაუძახე, მოვიდეს და ჭამოს“, უთხრა ცოლმა. მაგრამ, როცა არმსთიდი ლინასთან ერთად დაბრუნდა, ცოლი სამზარეულოში აღარ დახვედრია. კარებთან ოდნავ შეყოვნებულმა ლინამ ერთადერთხელ მოავლო ოთახს თვალი, სახე უკვე გასაღიმებლად გაბადრვოდა, უკვე მზად იყო სამადლობელი, არმსთიდის ღრმა რწმენით, წინდაწინვე, ადრევე გაზეპირებული სიტყვების სათქმელად. მაგრამ, მაშინვე ენას კბილი დააჭირა; ისიც არ შესტყობია, წამით რომ გარინდდა კართან.

„აბა, ვისაუზმოთ და ბედს ვეწიოთ“, თქვა არმსთიდმა. „ჯერ კიდევ დიდი გზა გაქვს“. მაგიდასთან იჯდა და უყურებდა, როგორ ჭამდა ლინა, ახლაც, წუხანდელივით, ჯანმრთელი და აუღელვებელი სახე ედო, ოღონდ მეტისმეტად ზრდილობიანი და თითქოს ზედმეტად ხაზგასმული თავდაჭერილობა რაღაცნაირად აუშნოებდა. მერე თავმოკრული ტომსიკა გაუწოდა. ლინამაც გამოართვა, სახეზე სიამოვნებამ, სითბომ გადაუარა, თუმცა, ეტყობა, საჩუქარი მაინცდამაინც არ გაჰკვირვებია.

„დიდი მადლობელი ვარ თქვენი მეუღლისა“, თქვა ლინამ „მაგრამ, ალბათ აღარ დამჭირდება. მოვედი და ეგაა“.

„შეინახე, რა იცი რა ხდება. თანაც, რაკი მართამ თქვა, წყალი არ გაუვა“.

„ძალიან კეთილია“, თქვა ლინამ. მერე ტომსიკაც თავის ჭრელ ფუთაში გამოახვია და ქუდი დაიხურა. ფორანი უკვე მზად იყო. საურმე ბილიკს რომ დაუყვნენ და სახლს ჩაუარეს, ლინამ უკან მიიხედა და — თქვენი სიკეთე არასდროს დამავიწყდებაო — უთხრა არმსთიდს.

„მე რა, მართას უმადლოდე“, უპასუხა არმსთიდმაც.

„დიდი, დიდი მადლობელი ვარ. აუცილებლად დაემშვიდობეთ ჩემს მაგიერ. მეგონა ვნახავდი, მაგრამ...“

„კი, უსათუოდ“, მიუგო არმსთიდმა. „ეტყობა, რაღაცა საქმე გამოუჩნდა. აუცილებლად ვეტყვი“.

დუქანთან რომ მივიდნენ, ჯერ ისევ სისხამი დილა იყო, არადა, ჩაცუცქული კაცები უკვე იპურჭყებონენ ქუსლებით გაცვეთილი პარმაღიდან, თან ლინას მიშტერებოდნენ, თვალს არ აშორებდნენ, ვიდრე ის, ფუთითა და მარაოთი ხელდამშვენებული, ნელ-ნელა, ფრთხილად გადმოდიოდა ფორნიდან. არმსთიდი არც ახლა განძრეულა, არც ახლა შეუშველებია ხელი. მერე, ყველას გასაგონად განაცხადა კოფოდან: „ეს ქალი მისის ბარჩია. ჯეფერსონში უნდა ჩასვლა. თუ ვინმე მიდის იქეთ და გაიყოლებს, მადლობელი დაგრჩებათ“.

ლინამ, როგორც იქნა, მიწას უწია თავისი მძიმე, მტვრიანი ფეხსაცმელი და გაცისკროვნებული, მშვიდი სახით ახედა არმსთიდს. „თქვენი სიკეთე არასოდეს დამავიწყდება“, თქვა კიდევ ერთხელ.

„ეჰ, კარგი ერთი“, უპასუხა არმსთიდმა. „ახლა, წესით, ქალაქამდე ჩასვლა აღარ უნდა გაგიჭირდეს“. კოფოზე მჯდომი ზემოდან დასცქეროდა ლინას და ერთი უსასრულო, გაუთავებელი წამის განმავლობაში, თითქოს ხედავდა კიდეც, როგორ დაეძებდა სიტყვებს მისი ენა, სანამ ნებაზე მიშვებული ფიქრი მდორედ, დაუბრკოლებლად აგრძელებდა დინებას *ნებისმიერი კაცი, სულერთია, ვინც გინდა იყოს, ასჯერ რომ მიეცეს კეთილი საქმის ჩადენის შესაძლებლობა ასჯერვე დაიხევს უკან, ოღონდ კი ერთხელ, ერთადერთხელ მაინც ჩაერიოს თავისდა ჭირად სხვის საქმეში. სიმდიდრეს, პატივს, დიდებას ვერ დაინახავს და ვერ შეამჩნევს, ზოგჯერ ცოდვასაც გაერიდება, მაგრამ ცხვირის ჩასაყოფი თუ ნახა სადმე, მორჩა, ველარაფერი გააჩერებს* ბოლოს, როდის როდის ენა საჭირო სიტყვებსაც პოულობს, მისთვისაც და ლინასთვისაც ერთნაირად მოულოდნელსა და საოცარს; „ოღონდ იცოდე, მე მაინცდამაინც არა

მჯერა, დიდი იმედი არა მაქვს...“ ლაპარაკობს და თან ფიქრობს *არ მისმენს. ამ სიტყვების მოსმენა რომ შეეძლოს, მაშინ ხომ ფორნიდანაც არ გადავიდოდა თავისი მუცლის, თავისი მარაოს, თავისი ფუთის პატრონი, მარტოდმარტო ხომ არ დაადგებოდა ამოდენა გზას უცხო მხარეში და იმ კაცსაც ხომ არ დაუწყებდა დევნას, ვისი ნახვაც აღარ უწერია, ვისაც ჭკუა რომ ჰქონოდა, საერთოდ არც უნდა გადაჰკიდებოდა* „ნებისმიერ დროს, როცა ისევ ჩვენსკენ ჩამოივლი, ხვალ იქნება თუ ამაღამ...“

„ახლა აღარაფერი მიჭირს“, თავისას პასუხობს ქალი, „აკი მითხრეს, ჯეფერსონშიაო“.

არმსთიდმა ფორანი შეაბრუნა და შინისაკენ მიმავალ გზას დაადგა, მხრებში მოხრილი, თვალგაშტერებული იჯდა ჩაღუნულ კოფოზე და ფიქრობდა, „არაფერიც არ შეიცვლებოდა. რაც არ უნდა მეთქვა, არ დაიჯერებდა, საკუთარ ყურებსაც არ დაუჯერებდა, აკი არცა სჯერა, რასაც დიდიან-პატარიანად ერთნაირად ფიქრობს ყველა აგერ უკვე... ოთხი, დიახ, ოთხი კვირაა. ვერც ახლა მიხვდება რამეს და ვერც დაიჯერებს. ზის კალთაში ხელებდაკრეფილი კიბის საფეხურზე, ჩვენს ბიჭებს შუაში მოუქცევიათ, თავიანთებურად იპურჭყებიან და სანამ ჰკითხავდნენ რამეს, თვითონვე ჩაუკაკლავს ყველაფერს. თავისი ნებით დაფქვავს იმ ჯიბიდან გავარდნილის ამბავს, ვითომც არაფერი, ვითომ არც მოსარიდებელი ჰქონდეს რამე, არც დასამალი, მაშინაც არ შეიცვლის ნირს, როცა ჯოდი ვარნერი ან ვინმე სხვა ეტყვის: ის ბიჭი, ჯეფერსონში ხის სარანდავ ფაბრიკაში რომ მუშაობს, ბარჩი კი არა, ბანჩიაო; არც ეს ამბავი ააღელვებს. რადგან მართაზედაც მეტი იცის, უფრო ჭკვიანია, აკი წუხელ უთხრა — უფალი იზრუნებს კეთილი საქმის აღსრულებაზეო“.

ორიოდე შეკითხვა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ლინა კიბის ზედა საფეხურზე ჩამომჯდარა, მარაო და ფუთა კალთაში ჩაუწყვია და ცრუპენტელა ბავშვის მოთმინებითა და სიზუსტით ხელახლა, ვინ იცის მერამდენედ ჰყვება თავის ამბავს. ირგვლივ ჩაცუცქული კომბინეზონებიანი კაცებიც უხმოდ უსმენენ.

„მაგ ბიჭის გვარი ბანჩია“, ამბობს ჯოდი ვარნერი. „მგონი მეშვიდე წელია, რაც მანდ მუშაობს. რა იცი, შენი ბარჩიც იქ რომ დაგხვდება?“

ლინა გზას გასცქერის, შორს, ჯეფერსონისაკენ იყურება. მშვიდი სახე აქვს, მომლოდინე, ცოტა არ იყოს, გამოთიშულიც, ოღონდ — არამც და არამც შეშფოთებული. „ალბათ იქ იქნება. იმ სარან-

დავ ფაბრიკაში. ლუკასს ყოველთვის სული მისდიოდა ხმაურიან ცხოვრებაზე. სიმშვიდეს ვერც ეგუებოდა. დოუნის სამხერხაოზეც უფრო მაგიტომ აიცრუა გული. ამიტომ გადაწყვიტა... გადავწყვიტეთ აბარგება: ფულისთვის და ხმაურიანი ცხოვრებისთვის".

„ფულისთვის და ხმაურიანი ცხოვრებისთვის", იმეორებს ვარნერიც. „ეგ შენი ლუკასი არც პირველი ყვინჩილაა და არც ბოლო, ვინც ფულისთვის და ხმაურიანი ცხოვრებისთვის თავისი გასაკეთებელი საქმეც მიატოვა და იმის ხელშიშემყურე ხალხიც".

მაგრამ, ქალი აშკარად არ უსმენს. ზის თავისთვის, მშვიდად, კიბის ზედა საფეხურზე და გზას გასცქერის, იმ ადგილს მისჩერებია, სადაც გზა უხვევს და შორეთში იკარგება — უკაცრიელი, ჯეფერსონისკენ აღმართ-აღმართ მიმავალი. კედლის გასწვრივ ჩაცუცქული კაცები ლინას მშვიდსა და უდრტვინველ სახეს შესცქერიან და ისინიც იმასვე ფიქრობენ, რასაც წეღან არმსთიდი ფიქრობდა, რასაც ახლა ვარნერისთვის დაუკარგვინებია მოთმინება: იმ გაიძვერას მეტი არაფერი ახსოვს, ვისაც გასაჭირში მიუტოვებია (ამაში არცერთს არ ეპარება ეჭვი) და საშვილიშვილოდ გადაკარგულა, დიდი-დიდი, ამ სულელმა შორიდან მოჰკრას გაქცეულის ზურგს თვალიო. „თუმცა ვინ იცის? ეგება და იმ სლოუნის თუ ბოუნის სამხერხაოზეც ნაღვლობს", ვარაუდობს ვარნერი. „იქნებ იქაურობაზეც სწყდება გული. ბოლოს და ბოლოს, შტერი გოგოც ხომ უნდა მიხვდეს, რა ტყუილად გამოუვლია ამოდენა გზა, ხომ უნდა დარწმუნდეს, ჩემს სახლს აქაურობა არაფრით სჯობიაო, გინდაც შინ ბრაზიანი ძმა ელოდებოდეს და თმით ათრევდეს ღამღამობით გარე-გარე წანწალისთვის". ფიქრობს, ***ამის ძმის ადგილას მეც ასევე მოვიქცეოდი და ალბათ მამაც იგივეს იზამდა. დედა არ უნდა ჰყავდეს, რადგან მამის სისხლს თუ სიყვარულითა და სიამაყით სძულს, დედის სისხლს სიძულვილით უყვარს და სიძულვილითვე ეგუება ქალურ ბედს.***

ლინას კი ეს ამბები ოდნავადაც არ ადარდებს. ხელი ფუთაზე ჩამოუდვია და გუნებაში ფუთაში გამოკრულ ფულს ითვლის. დილანდელი საუზმე ახსენდება და სიამოვნებს იმის გაფიქრება, თუ მოესურვება, როგორ შეუძლია ამწუთასვე წამოდგეს, დუქანში შევიდეს და მარტო ყველი და კრეკერები კი არა, სარდინებიც, სარდინის კონსერვიც იყიდოს. არმსთიდთან მხოლოდ ერთი ფინჯანი ყავა დალია და ცოტა პური მოციცქნა; ეგ იყო და ეგ, თუმცა ძალიან კი ეპატიჟა მასპინძელი. — ზრდილობიანად გეახელითო, — კმაყოფილებით აგონდება დილანდელი, ხელები ფუთაზე დაუკრეფია, თითებით ფუთაში გამოკრულ ხურდა ფულს აწვალებს და კვლავ ერთადერთ

ფინჯან ყავასა და სოფლური პურის პაწაწინა ნაჭერზე ფიქრობს; რაღაცნაირი მშვიდი სიამაყე დაუფლებია: მართლაც რომ ქალბატონივით ვჭამდი. მოგზაური ქალბატონივით. ახლა კი, თუკი მომესურვება, იქნება სარდინებიც ვიყიდოო.

მოკლედ, ერთი შეხედვით, თითქოს ჩაფიქრებული გაჰყურებს აღმართს, უწინდებურად ჩაცუცქულ კაცებსაც, ისევ ისე ხამუშ-ხამუშ, საქმიანად რომ იპურჭყებიან და შეფარვით ადევნებენ თვალს, ჰგონიათ, ალბათ თავის ბიჭზე, თავის მოახლოებულ განსაცდელზე ფიქრობსო, არადა, სინამდვილეში ლინა უღონოდ, უნიათოდ ეწინააღმდეგება ბებერი მიწის იმ ბრძნულ შეგონებასა და გაფრთხილებას, რომლის გავლენითაც, რომლის წყალობითაც და კარნახითაც ცხოვრობს საერთოდ ამქვეყნად. ეწინააღმდეგება და ამჯერად თავისი გააქვს კიდეც. დგება, ოდნავ მოუქნელად, ფრთხილად გამოარღვევს კაცების თვალთა ალყას და დუქანში შედის, ნოქარიც ფეხდაფეხ მიჰყვება. „ვიყიდი კიდეც", ჯერ ისევ აგრძელებს ფიქრს, თუმცა ყველისა და კრეკერების შეკვეთა უკვე მოასწრო; „დიახ, ავდგები და ვიყიდი". „და ერთი ყუთი სარდინიც", ამატებს ბოლოს. საურდინიო — ასე გამოთქვამს. „ხუთცენტიანი".

„ხუთცენტიანი სარდინები არა გვაქვს", პასუხობს ნოქარი. „სარდინები თხუთმეტი ცენტი ღირს". ისიც ლინასავით უქცევს, სარდინის მაგივრად ისიც საურდინს ამბობს.

ლინა ცოტა ხანს ყოყმანობს. „აბა ეგ რა გაქვთ ხუთ ცენტად ყუთებში?"

„ეს ფეხსაცმლის საცხია. მე მგონი თქვენ არ გამოგადგებათ. ყოველ შემთხვევაში საჭმელად მაინც..."

„კეთილი, რა გაეწყობა, მაშინ თხუთმეტცენტიანს ავიღებ". ლინა ჯერ ფუთას ხსნის, მერე თავმოკრულ ტომსიკას. კვანძების გახსნას დრო უნდა. ლინაც მოთმინებით ხსნის, თითო-თითოდ, მერე ფულს იხდის, ტომსიკას ისევ მოუკრავს თავს და ფუთასა და ნავაჭრს ერთიხელის მოსმით იღებს დახლიდან. როცა ისევ პირმაღზე გამოდის, დუქნის წინ ფორანი დგას, მეფორნე კოფოზე ზის.

„ეს ფორანი ქალაქში მიდის", ეუბნებიან ლინას, „თქვენც წაგიყვანთ".

ლინასაც ერთბაშად უცოცხლდება მშვიდი, უდრტვინველი, თბილი სახე. „როგორი გულკეთილები ხართ ყველანი", ეუბნება კაცებს.

ფორანი ნელა, ტაატით მიიზლაზნება, თითქოს აქ, ამ თვალუწვდენელი სივრცის მზიან სიმარტოვეში, აღარც დროისა და აღარც სიჩქა-

რის კანონებს აღარ ემორჩილება. ვარნერის დუქნიდან ჯეფერსონამდე თორმეტი მილია. „სადილობამდე ჩავალთ?“ ეკითხება ლინა მეფორნეს.

კაცი ერთს გადააპურჭყეებს და — შეიძლება ჩავიდეთ კიდეცო, — ამბობს.

ქალისთვის აშკარად ჯერაც არ შეუხედავს, მაშინაც კი, როცა ის ფორანზე ჯდებოდა. არც ქალს შეუხედავს მისთვის. ახლაც არ უყურებს. „ჯეფერსონში ალბათ ხშირად დადიხართ, არა?“

„გვიწევს ხოლმე“, პასუხობს კაცი. ფორანი კი მიჭრიალებს. მინდვრები და ტყეებიც თითქოს გაუნძრევლად ჰკიდია სადღაც, ცასა და მიწას შორის, ერთდროულად უძრავნიც არიან და თან მირაჟივითაც ლიცლიცებენ, იცვლებიან. თუმცა, ასეა თუ ისე, მინდვრებიცა და ტყეებიც ბოლოს მაინც უკან რჩება.

„ლუკას ბარჩს ალბათ არავის იცნობთ ჯეფერსონში, არა?“

„ბარჩიო?“

„იქ უნდა შევხვდე. სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„არა,“ ამბობს კაცი. „მე მგონი, არ უნდა ვიცნობდე; მაგრამ ეგრე რამდენს არ ვიცნობ ჯეფერსონში. ალბათ იქ ინება“.

„მეც მაგის იმედი მაქვს. დღითიდღე უფრო მიჭირს მგზავრობა“.

მეფორნე ლინას არ უყურებს. „საიდან მოდიხარ?“

„ალაბამიდან. კაიხელა გზაა“.

კაცი არ უყურებს. არც ხმაზე ეტყობა არაფერი. „მშობლებმა ეგრე როგორ გამოგიშვეს?“

„მშობლები დამეხოცა. ძმასთან ვცხოვრობ. ავდექი და წამოვედი“.

„ჰოოო, გასაგებია. ალბათ შემოგითვალა, ჯეფერსონში გელოდებიო“.

ლინა არ პასუხობს. მეფორნე კი ფარფლებიან ქუდქვეშ ქალის მშვიდ პროფილს უთვალთვალებს შეფარვით. ფორანი გზას მიუყვება, ზანტი, დროის დინებას თავდაღწეული. ჭრიალა და რახრახა ბორბლებით დასერილი წითელი, უსასრულო შარა ჯორების ღონიერ ფეხებქვეშ გატრუნულა. მზე უკვე შუბის ტარზე დგას; ლინას კალთაზე ეცემა ფარფლებიანი ქუდის ჩრდილი. მზეს ახედავს და — მგონი ჭამის დროც მოსულაო — ამბობს. კაცი ისევ შეფარვით უცქერის, ხედავს, როგორ ამოალაგებს ყველს, კრეკერებსა და სარდინებს და საგზალს იმასაც სთავაზობს.

„არაა, მე არ მინდა“, ამბობს კაცი.

„იცოდეთ ძალიან მაწყენინებთ თუ არ დამეწვევით“.

„არა, მართლა, არა მშია“.

ლინა ნელ-ნელა იწყებს ჭამას. დინჯად, აუჩქარებლად, ზანტად — მადიანად, სიამოვნებით ილოკავს თითებიდან სარდინის სქელ წვენს. მერე, შუა ჭამაში ჩერდება, უცებ არა, ოღონდ ერთბაშად, ერთიანად ქვავდება თითქოს, ღეჭვისას ყბა უშეშდება, ხელში მოკბეჩილი კრეკერი უჭირავს, თავი ოდნავ ჩაუქინდრავს და თვალები გამოსცარიელებია: ეტყობა, რაღაც ძალიან შორეულ ხმას უსმენს, ანდა, პირიქით, შორეულს კი არა, უაღრესად ახლობელს, ლამის მისივე საკუთარი არსებიდან მომავალს. სახეზე ფერი აღარ ადევს, თითქოს მთლად დაცლილა ჯანსაღი, ჯიშიანი სისხლისაგან, გაუნძრევლად ზის და აყურადებს, ახლაც ძველთაძველი, მკაცრი მიწის კარნახსა თუ შეგონებას უგდებს ყურს. ოღონდ, არაფერი აფრთხობს, არაფრისაც არ ეშინია. — ტყუპზე ნაკლები არ იქნებაო, — ამბობს თავისთვის, უხმოდ, ტუჩებმომუწული. მერე ჭვალი გაივლის და ლინაც ისევ აგრძელებს ჭამას, ფორანი ხომ არც გაჩერებულა; არც ფორანი და არც დრო. ფორანი ბოლო გორაკსაც მოექცევა თხემზე და კვამლიც გამოჩნდება.

„ეგეც შენი ჯეფერსონი“, ამბობს მეფორნე.

„არა, მართლა?“ უკვირს ლინას, „უკვე მოვედით?“

ახლა კაცს არ ეყურება მისი. წინ იცქირება, ველს გადაღმა ბორცვზე შეფენილი ქალაქისკენ. მერე იმის წინგაშვერილ მათრახს ლინაც გააყოლებს თვალს და ისიც დაინახავს კვამლის ორ სვეტს: ერთი, დამწვარი ნახშირის მძიმე, მკვრივი სვეტი, წოწოლა მილიდან ამოდის, მეორე კი, მაღალი და ყვითელი, ხეთა კორომიდან ამომართულა, ქალაქიდან ოდნავ მოშორებით. „აგე, სახლი იწვის“, ამბობს კაცი. „ხედავ?“

მაგრამ, ეტყობა, ახლა ლინას ჯერია, ახლა უკვე იმას არ ესმის კაცის ხმა, არ უსმენს. „ღმერთო, ღმერთო“, ამბობს თავისთვის; „ჯერ ოთხი კვირაც არ გასულა რაც შინიდან წამოვედი და უკვე ჯეფერსონში ვარ. არა, ეტყობა მართლა არ ასვენებს კაცს გამჩენი“.

- II -

ბაირონ ბანჩს სამი წლის წინანდელი ამბავი ასე ახსოვს: პარასკევი დილა იყო; ფარდულში, სარანდავ ჩარხთან მოფუსფუსე მუშებმა წუთით საქმეს თავი მიანებეს და უცნობს გამოხედეს, რომელიც შორიახლოს იდგა და დაუინებით მათკენ იყურებოდა. მისი მოსვლა ვერავის შეემჩნია. უცნობი მაწანწალას ჰგავდა და თან, მთლად მაწანწალაც არ ეთქმოდა, მტვრიანი ფეხსაცმელები და გაზინთული

შარვალი ეცვა, თუმცა, რიგიანი სარჟისგან შეკერილი და გულ-დაგულ გაუთოვებული; იმის ჭუჭყიან პერანგსაც, ასე თუ ისე, მაინც თეთრი პერანგი ეთქმოდა, ყელსახვევიც გაეკეთებინა და საკმაოდ ახალი, მაგარფარფლებიანი ჩალის ქუდიც ეხურა — ქედმაღლურად და მტრულად ჩამოეფხატა გაქავებულ სახეზე. მოკლედ, ჩვეულებრივ ძონძებში გამოხეულ პროფესიონალ ჰობოს არა ჰგავდა, თუმცა, უთვისტომო კაცი რომ იყო, ერთბაშად შეატყობდი, თითქოს მშობ-ლიური არც ქალაქი ჰქონდა, არც სოფელი, თითქოს, დედამიწის ზურგზე ვერცერთ ქუჩას, ვერცერთ სახლსა თუ მიწის ვერცერთ გოჯს ვერ ჩათვლიდა თავისად. თანაც, ამის შეგნებასაც მუდამ თან დაატარებდა დროშასავით, მკაცრად, პირქუშად და, რაც მთავარია, ამაყადაც კი. „თითქოს დროებით ბედმა უმუხთლა“, ამბობდნენ მოგვი-ანებით მუშები, „ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა, ოღონდ, არც ამ დღეში დარჩენას აპირებდა დიდხანს და არც ის ადარდებდა მაინცდამაინც, როგორ და რა გზით გაიმართებოდა ხელახლა წელ-ში“-ო. ახალგაზრდა კაცი იყო. ბაირონი ხედავდა, როგორ იდგა და რა სახით შესცქეროდა ოფლით დამბალ კომბინიზონებიან მუშებს, ტუჩის კუთხეში სიგარეტი უბოლავდა და პირქუში, ზიზღით გაქავე-ბული სახეც ოდნავ გვერდზე გადაეხარა — ბოლს არიდებდა ალბათ. სიგარეტი ისე ჩაიყვანა ბოლომდე, ერთხელაც არ უხლია ხელი, მერე დალეული ნამწვი გამოაფურთხა, მუშებს ზურგი შეაქცია და კან-ტორისკენ დააღერა თავი. გამოხუნებულ, დასვრილ-კომბინიზონები-ანი მუშებიც იმის ზურგს მისჩერებოდნენ, ცოტა არ იყოს შეცბუნებ-ულნი და, თან შეურაცხყოფილნი. „ჩარხში უნდა გაგვეტარებინა“, თქვა ოსტატმა. „იქნება მაშინ მაინც შეცვლოდა სახე“.

არავინ იცოდა, ვინ იყო და სადაური. მანამდე არცერთს არ ენახა თვალით. „მაგ სახით ხალხში სიარული ცოტა საშიშიც კია“, თქვა ერთმა: „გავიხედე და იქ ამოყო თავი, სადაც ვინმეს თვალში არ მოუვიდა ეგეთი სიფათი“. უცნობი მალევე გადაავიწყდათ, ყოველ შემთხვევაში, აღარავის უხსენებია. თავთავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ ყველანი — აბზუვლებულ-აჟღრიალებულ ღვედებსა და ლილვებს. მაგრამ, ათი წუთიც არ გასულა და ახლა ფაბრიკის მმართველი დაადგათ თავზე, უკან უცნობი მოსდევდა.

„ეს კაცი ჩაიბარეთ“, უთხრა მმართველმა ოსტატს. „ამბობს, ავად თუ კარგად, ნიჩბის ხმარება შემიძლიაო. ნახერხის გროვას მიაყენე“.

დანარჩენებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ, ოღონდ, ყველამ ერთი კაცივით ხელახლა შეავლო თვალი უცნობს, იმის ჭუჭყიან, ქალაქურ ტანისამოსს, იმის მოჟამულ, აუტანელ, ცივი და მშვიდი ზიზღით

განმსჭვალულ სახეს. ოსტატმაც შეხედა, ცერად, დანარჩენებივით მტრულად. „ამ ტანსაცმლით აპირებს მუშაობას?“

„ეგ მაგის საქმეა“, თქვა მმართველმა, „მე ტანსაცმელს არ ვქირაობ“.

„კეთილი, რაც უნდა ის ეცვას, მე რას დავეძებ, თუკი თქვენთვისაც და მაგისთვისაც სულერთია“, მიუგო ოსტატმა. „აბა, ჩემო ბატონო, აგე იქ, კუთხეში, ნიჩაბი გდია, მოკიდე ხელი და ბიჭებს ნახერხის გადაყრაში მიეშველე“.

უცნობი უხმოდ შეტრიალა. ხედავდნენ, როგორ მიაშურა ნახ-ერხის გროვას, წამით თვალს მიეფარა, მერე ისევ გამოჩნდა ნიჩბით ხელში და მუშაობას შეუდგა. ოსტატი და მმართველი კარებში იდგნენ, საუბრობდნენ. მერე წავიდ-წამოიდნენ. „ქრისთმასი ყოფი-ლა გვარად“, თქვა ფარდულში შემობრუნებულმა ოსტატმა.

„ვინ ყოფილა?“ იკითხა ერთმა.

„ქრისთმასი“.

„უცხოელია?“

„ვინმეს გაგიგიათ, თეთრკანიანი კაცი ქრისთმასი იყოს გვარ-ად?“ — იკითხა ოსტატმა.

„თეთრკანიანი კი არა, ეგეთი გვარი საერთოდ არ გამიგია“, თქვა სხვამ და თუ ბაირონს მეხსიერება არ ღალატობს, მაშინ პირველად გაიფიქრა, როგორ შეიძლება კაცის გვარი, საბოლოო ჯამში, მხო-ლოდ და მხოლოდ ვინაობის აღმნიშვნელ გარკვეულ ბგერათა თან-ამიმდევრობა, მის მომავალ საქციელთა წინასწარმეტყველებად იქცე-ს, რასაკირველია იმ შემთხვევაში, როცა სხვებიც დროულად მოახ-ერხებენ ფარული აზრისა და მნიშვნელობის ამოცნობას. ეგონა, თითქოს უცნობისთვის მანამდე არც არავის მიექცია განსაკუთრებული ყურა-დღება, ვიდრე მისი გვარი არ გაიგეს. მაგრამ, გვარს ყური მოჰკრეს თუ არა, გვარის ჟღერადობამაც მაშინვე რაღაცას მიახვედრა ყველა, რაღაცის წინათგრძნობა გააღვიძა და მოლოდინი აღძრა; თითქოს იგრძნეს, ეს კაცი საკუთარ საბედისწერო გაფრთხილებას რომ დაა-ტარებდა თან — როგორც ყვავილი სურნელს ანდა ჩხრიალა გველი — საჩხრიალოს. ოღონდ ეგაა, ამ გაფრთხილების ბოლომდე მისახ-ვედრი ჭკუა მაინც არავის ეყო. მხოლოდ იმას ფიქრობდნენ — უცხოელიაო — და როცა ხედავდნენ, არც ყელსახვევს იხსნიდა, არც ქუდს იხდიდა და არც ტანისამოსის გამოცვლას აპირებდა, ერთამა-ნეთში ამბობდნენ — ეტყობა, მაგის ქვეყანაში ეგრე გამოწყობილი მუშაობს ხალხიო; თუმცა, ზოგიერთები იმაზედაც დებდნენ თავს, აი ნახავთ, ამაღამ ტანსაცმელს გამოიცვლის და ხვალ დილით რომ მობრძანდება, ეს საკვირაო სამოსი აღარ ეცმევაო.

შაბათი დილაც გათენდა. დაგვიანებული მუშები, ლამის სასტვენის ჩაბერვისთანავე რომ შემორბოდნენ ფაბრიკაში, გზადაგზა კითხულობდნენ — ჰა, როგორაა საქმე?.. სად არისო? სხვები კი უცნობისკენ უთითებდნენ. ისიც ისევ მარტო, განზე, განცალკევებით იდგა ნახერხის გროვასთან. ნიჩაბი გვერდით ეგდო, იგივე, გუშინდელი ტანსაცმელი ეცვა, ისევ ისე ამპარტავნულად დაეკოსებინა ქუდი და სიგარეტს ეწეოდა. „ჩვენც რომ მოვედით, უკვე აქ დაგვხვდა“, ამბობდნენ ადრიანად მოსულები. „ასევე იდგა, როგორც ახლა დგას. თითქოს წუხელ დასაძინებლადაც არ დაწოლილა“-ო.

არავის გამოლაპარაკებია. არც არავის უცდია იმასთან საუბრის გაბმა, თუმცა, ტანით ყველანი გრძნობდნენ მის არსებობას, მის ღონიერ ზურგსა (საკმაოდ რიგიანად მუშაობდა, პირქუში, გამოზომილი სიმშვიდით) და მკლავებს. ასე მოაწია შუადღემ. მაგრამ, იმ დღეს, ბაირონის გარდა, სადილი არავის მოუტანია თან. მუშები უკვე თავთავიანთ ნივთებს აგროვებდნენ, ორშაბათამდე თავისუფლები იყვნენ. ბაირონი კი მარტო შევიდა თავის სადილიანად სატუმბავ საამქროში, სადაც, ჩვეულებრივ, სადილობდნენ ხოლმე, და იქ ჩამოჯდა. უცებ, რაღაცა ძალამ უნებლიეთ ააღებინა თავი. შორიახლოს უცნობი იდგა, ბოძს მიყრდნობოდა და ეწეოდა. ბაირონი მიხვდა, მე რომ შემოვედი, ეს უკვე აქ დამხვდა და ახლა, რა თქმა უნა, აზრადაც არ მოუვა გავიდეს და მშვიდად ჭამა დამაცალოსო. ანდა, კიდევ უარესი: განზრახ, ფეხდაფეხ შემოჰყოლოდა და ბაირონს ზედაც არ უყურებდა, ძაღლადაც არ აგდებდა, ვითომ ვერც ამჩნევდა საერთოდ. „რაო, ჯერ არ მორჩენილხარ შრომას?“ ჰკითხა ბაირონმა.

უცნობმა ღრმა ნაფაზი დაარტყა. მერელა გამოხედა. გამხდარი სახე ჰქონდა, ერთიანად პერგამენტისფერი. კანი კი არა, სწორედ ხორცი, თითქოს იმისი თავის ქალა ნელ-ნელა, ჯიუტი მონდომებით ჩამოუსხამთ და მერე მხურვალე ქურაში გამოუწვავთო. „ზედმეტი რომ ვიმუშაო, რამდენს გადამიხდიან?“ კითხვაზე კითხვით უპასუხა ბაირონს. აი, მაშინ კი მიხვდა ბაირონი. მიხვდა, რატომაც მუშაობდა ასე საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილი, რატომ არ მოეტანა თან სადილი არამცთუ გუშინ, არამედ დღესაც და რატომ არ გაჰყოლოდა შუადღისას დანარჩენებს. ისე მტკიცედ იყო დარწმუნებული, თითქოს ქრისთმასს თავისი პირით ეთქვას, ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ მიჭყავის და უკვე ორი თუ სამი დღეა მხოლოდ სიგარეტით გამაქვს თავიო. გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ უკვე საკუთარ სადილს სთავაზობდა და ეს მოძრაობაც ისევე უნებლიე და გაუაზრებელი გახლდათ, როგორც ფიქრი. რადგან

მოძრაობა ჯერ არ დაემთავრებინა, უწინდებურად ზანტად, დამცინავად გარინდულმა უცნობმა მისკენ თავი რომ მოაბრუნა, შეთავაზებულ სადილს ერთი კი გამოხედა სიგარეტის ირიბად წასულ ბოლში და — არა მშია, შენი სალაფავი შენთვის შეინახეო — უთხრა.

ორშაბათიც დადგა და ბაირონი საკუთარ სიმართლეში კიდევ უფრო დარწმუნდა. უცნობი სამუშაოდ ახლა უკვე ახალთახალ კომბინეზონში გამოწყობილი გამოცხადდა და თან ქაღალდის პარკით სადილიც მოიტანა. ოღონდ ეგაა, შუადღისას სხვებთან ერთად არ ჩაცუცქულა სატუმბავ საამქროში და სხვებთან ერთად არ დაუწყია ჭამა, არც სახე შეცვლია. „თავი გაანებეთ“, თქვა ოსტატმა, „ბოლოს და ბოლოს, ტანსაცმლისა არ იყოს, სიმსს არც მაგისი სიფათი დაუქირავებია“.

არც სიფათი და არც ენაო, გაიფიქრა ბაირონმა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ქრისმასი ეტყობა ნამდვილად ასე ფიქრობდა და ასედაც იქცეოდა. ექვსი თვე ისე გავიდა, ლამის კრინტი არ დაუძრავს, ერთხელაც არავისთვის გაუყადრებია თავი და არ გამოლაპარაკებია. არც ის იცოდნენ, ფაბრიკის გარეთ რას აკეთებდა, რა ცხოვრებით ცხოვრობდა. ხანდახან ფაბრიკის მუშათაგან რომელიმე ქალაქის ცენტრში, მოედნის შორიახლოს თუ გადაეყრებოდა ხოლმე შემთხვევით, ის უსათუოდ თვალს აარიდებდა და ისე დაიჭერდა თავს, ვითომ ეს კაცი მანამდე არასოდეს ენახა. საღამოობით ქალაქში გამოსულს მუდამ ახალი ქუდი ეხურა და გაუთოებული შარვალი ეცვა, ტუჩის კუთხეშიც თითქმის გაუქრობლად უბოლავდა სიგარეტი და სიგარეტის ბოლიც დამცინავი ღიმილივით გადაჰფენოდა სახეზე. ვერავინ იტყოდა დაბეჯითებით, სად ცხოვრობდა, სად ათევდა ღამეს. ერთი ეგ იყო, ხანდახან შორიდან მოკრავდნენ ხოლმე თვალს, როგორ მიუყვებოდა ქალაქის განაპირას, ტყეში გაკვალულ ბილიკს და ფიქრობდნენ, ალბათ სადმე იქით თუ აქვს ბინაო.

ეს ადრე, თავიდან, ახლა კი უკვე სხვაც ბევრი რამ მოეხსენება ბაირონს. მაშინ მხოლოდ ეს იცოდა, ეს ესმოდა, ამას ხედავდა და გებულობდა ამხანაგებისგან. მაშინ არავინ უწყოდა, ზუსტად სად, რომელ სახლში ბინადრობდა ქრისთმასი, სინამდვილეში რას აკეთებდა და რას საქმიანობდა ფაბრიკაში ზანგური ჭაპანწყვეტის ნიღაბსა თუ პირბადეს ამოფარებული. და ერთ მშვენიერ დღეს მეორე უცნობი — ბრაუნიც რომ არ გამომტყვრალიყო საიდანღაც, ვინ იცის, იქნებ ვერც ვერასოდეს დაედგინათ სიმართლე. მას მერე კი, რაც ბრაუნი ალაპარაკდა, ბარე ათობით კაცმა აღიარა — უკვე ორი წელი იქნება, რაც ქრისთმასისგან ჩუმჩუმად ვისკის ვყიდულობთო,

მონმეების გარეშე ვხვდებით ღამღამობით ტყეში, იმ ძველი, კოლონიალური დროის პლანტატორთა სახლის უკან, სადაც შუახნის შინაბერა ქალი, მის ბარდენი ცხოვრობს მარტოდმარტოო. მაგრამ მაშინ ვისკის მუშტრებმაც კი არ იცოდნენ, რომ აგერ უკვე ორ წელზე მეტი იყო, რაც თვითონ ქრისთმასიც სანახევროდ დანგრეულ, ზანგურ ქოხში დაბინავებულიყო მის ბარდენის მამულში.

მოკლედ, ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით ექვსი თვის წინ, ფაბრიკაში მეორე უცნობიც გამოჩნდა. ქრისთმასივით, ისიც სამუშაოს დაეძებდა. ისიც ახალგაზრდა იყო, წარმოსადეგი, თავიდანვე, პირველივე დღიდან კომბინეზონი ეცვა, რომელიც, ეტყობოდა, კარგა ხანია არ გაეხადა და, ქრისთმასივით, ისიც მსუბუქად, ზედმეტი ბარგის გარეშე მოგზაურობდა. გაფაციცებული, უნებისყოფო, ლამაზი სახე ჰქონდა, ტუჩის კუთხესთან პატარა, თეთრი ნაიარევი აჩნდა და ეს ნაიარევი ისე გამოიყურებოდა, თითქოს კარგა ხანს, გულდასმით უთვალიერებიათ სარკეშიო; მალიმალ თავს აიქნევდა ხოლმე და მხარსზემოდან იცქირებოდა — მანქანით დაფეთებულ და გულგახეთქილ ჯორსა ჰგავსო — გაიფიქრა ბაირონმა. მაგრამ, ასე მალიმალ ზურგსუკან ცქერა მხოლოდ განგაშის ბრალიც არ უნდა ყოფილიყო; ბაირონის აზრით, ახალმოსულს საკუთარი თავის რწმენისა და დაუდევრობის გამოხატვაც სურდა, თითქოს განუწყვეტლივ უმეორებდა და უმტკიცებდა ყველას, არაფერი შეგეშალოთ, მე ზურგიდან მოპარული ნამდვილი თუ წარმოსახული საფრთხე ვერაფერს დამაკლებსო. ხოლო როცა ოსტატმაც, მუნიმაც ყურადღებით შეათვალიერა ახალმოსული, ბაირონი მიხვდა, ორივეს ერთნაირმა, ერთმა და იმავე ფიქრმა გაგვიელვა თავშიო. „ჰოოო“, თქვა მუნიმ. „ამაზე უკეთესს სიმსი უკვე ველარავის დაიქირავებს. ამას წესიერი შარვალიც არ აცვია“.

„კი, ეგრეა“, კვერი დაუკრა ბაირონმაც. „ვუყურებ და ერთი იმდაგვარი მანქანა მახსენდება, აღმა-დაღმა უაზროდ რომ დაქრის და რადიოჩართული არემარეს იკლებს. ღმერთმა უწყის, რადიო რას გაჰკივის, ვერც მანქანას გაუგებ ასავალ-დასავალს, ახლოს მოვა და, თურმე შიგაც არავინა მჯდარა“,

„მართალი ხარ“, თქვა მუნიმ. „ისე, ჩვენში დარჩეს და, ეს შეჩვენებული, ცხენსაც რომ ჰგავს?! ოღონდ ფიცხს კი არა, ბახ ცხენს. საძოვარზე გაშვებული შორიდან ლამაზი ჩანს, მაგრამ აღვირმომარჯვებული მიადგები და უკვე არაქათი აქვს გამოცლილი. იცოცხლე, სწრაფად კი დარბის, მაგრამ შეკაზმვის დრო რომ მოუწევს, მოგჭამა ჭირი, უთუოდ ფლოქვი ასტკივდება“.

„ისე, ფაშატებს კი უნდა უყვარდეთ“, თქვა ბაირონმა.

„რატომ არ ეყვარებათ?!“ დაეთანხმა მუნი, „მე შენ გეტყვი, დაუშავებს მართლა რამეს თუ რა?“

ახალმოსულიც ქრისთმასთან ერთად მიაყენეს ნახერხის გროვას. თავიდანვე ენად გაიკრიფა, ბაქი-ბუქონდა, ყველას უამბობდა ვინ იყო, საიდან მოსულიყო, თავს სად რა გადახდენოდა, ოღონდ, ისეთნაირად და იმგვარი ხმით ლაპარაკობდა, ერთბაშად, თვალსა და ხელს შუა შიშვლდებოდა ერთიანად სიცრუითა და სიყალბით გაჟღენთილი მისი ბუნება. ამიტომაც, მისი ბაქიბუქიც ისევე არ დაუჯერებია არავის, როგორც მისი გვარიო, ფიქრობდა ბაირონი. კაცმა რომ თქვას, თავისუფლად შეიძლებოდა, მართლა ბრაუნი ყოფილიყო. ოღონდ ეგაა, მისი შემხვედვარე ნებისმიერი ადამიანი უეჭველად მიხვდებოდა, ცხოვრების გარკვეულ ჟამს მისი სიბრიყვე რაღაც მიჯნას რომ მისდგომოდა და ამ მიჯნამდე მისულს გვარი იძულებით გამოეცვალა, დიდის ზარ-ზეიმით გარდაქმნილიყო ბრაუნად და ამ გარდაქმნას ისე გაეხარებინა და აღეფრთოვანებინა, ვითომ მართლა თვითონ ბრძანდებოდა ბრაუნთა გვარის მამამთავარი. არადა, სინამდვილეში, არაფერიც არ შეიცვლებოდა — ექნებოდა საერთოდ გვარი თუ არა. მისი გვარიც ისევე არ აინტერესებდა არავის, როგორც, ბაირონის ღრმა რწმენით, არავის (ყოველ შემთხვევაში, შარვლიანს მაინც) ანაღვლებდა, საიდან მოსულიყო, სად მიდიოდა, ანდა, რამდენ ხანს აპირებდა დარჩენას კიდევ. არავის ანაღვლებდა, რადგან სადაც არ უნდა ეცხოვრა და საიდანაც არ უნდა მოსულიყო, მაინც ყველგან კალიასავით სხვისი ნაჯაფარითა და ნაოფლარით გაიტანდა თავს. თანაც, ეტყობოდა, იმდენადაც შესჩვეოდა ამგვარ ყოფას, ერთიანად გახრწნილიყო, გამოფიტულიყო და გამოცარიელებულიყო, აღარაფერი დარჩენილიყო მისგან, გარდა გამჭვირვალე, ფუტურო ჩენჩოსი, რომელსაც სხვათა შორის, უმიზნოდ და უმისამართოდ დააჩოჩიალებდა ქარი აღმა-დაღმა.

მუშაობით კი მუშაობდა, ოღონდ უგულოდ, უჯიგროდ — წელს არ იწყვეტდა. ბაირონის აზრით, იმისი შნოც არა ჰქონდა, რიგიანად, ეშმაკურად აერიდებინა საქმისთვის თავი, ყოველ შემთხვევაში, ეცადა მაინც, რადგან ხეირიან ეშმაკობასაც მოხერხება უნდა, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საქმეს: გინდაც ქურდობას ანდა, სულაც, კაცის მოკვლას. ადამიანს რაღაც განსაკუთრებული და გარკვეული მიზანი უნდა ჰქონდეს; ეს მიზანი უნდა ამოძრავებდეს და ასულდგმულებდეს. ბაირონის ღრმა რწმენით კი, ბრაუნს არავითარი მიზანი არ გააჩნდა. ვიღაცამ რომ ამბავი მოიტანა, ბრაუნმა პირველივე შაბათ საღამოს მთელი კვირის გასამრჯელო ყომარ-

ში წააგოო, მუნის უთხრა: მაგისი გამკვირვებია, მე მეგონა კამათლის გაგორება მაინც ეცოდინებოდაო.

„ვისა, მაგას?“ შეიცხადა მუნიმ, „ბიჭო, მაგას ნიჩაბი უვარდება ხელიდან და კამათელს გააგორებს ხეირიანად? აქ ვერ მოუტყუებია ვერავინ და ზარში აჯობებს ვინმეს?“ მერე, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა, „თუმცა, რაც არ უნდა უმაქნისი იყოს კაცი, ვილაცას რაღაცაში მაინც აჯობებს. ეგეც ხომ ჯობნის უსაქმურობაში ქრისთმასს“.

„ჰო“, კვერი დაუკრა ბაირონმაც, „მე მგონი, უქნარა კაცისთვის ყველაზე იოლი საქმე კაი ბიჭობაა“.

„ნუ გეშინია“, თქვა მუნიმ, „მალე გაფუჭდება. ერთხელ უნდა ასწავლოს ვინმემ გზა და მორჩა“.

„ადრე თუ გვიან მასწავლებელიც გამოუჩნდება“, მიუგო ბაირონმა. მერე ორივემ ერთდროულად გახედა ნახერხის გროვას, სადაც ქრისთმასი და ბრაუნი ჯახირობდნენ — ერთი, პირქუში და ბრაზიანი სიჯიუტით, მეორე კი — უაზრო და უთავბოლო ფაცაფუცით, რისიც თვითონვე არა სჯეროდა.

„ჰო, ალბათ ეგრე იქნება“, თქვა მუნიმ, „ოღონდ, მე რომ გულში ავი ზრახვა მედოს, ღმეთმანი, ეგეთი ამხანაგისგან შორს დავიჭერდი თავს“.

ფაბრიკაში რომ მოვიდა პირველად, ქრისთმასისა არ იყოს, ბრაუნსაც თავისი ერთადერთი ხელი ტანსაცმელი ეცვა. მაგრამ, ქრისთმასისგან განსხვავებით, ტანსაცმელი კარგა ხანს არ გამოუცვლია. „ერთ მშვენიერ შაბათ საღამოს იმდენს მოიგებს ყომარში, ახალი კოსტიუმის საყიდლადაც ეყოფა და ორმოცდაათიოდე ცენტიც დარჩება ჯიბის ფულად“, თქვა მუნიმ. „მომდევნო ორშაბათიდან კი მაგისი ბურდღაც აღარ იქნება აქ“. ბრაუნი კი ისევ ძველებურად დადიოდა სამუშაოზე, იგივე კომბინეზონი და პერანგი ეცვა, რაც ჯეფერსონში ჩამოსვლისას, შაბათობითაც ისევ ყომარში აგებდა მთელი კვირის გასამრჯელოს, ცოტ-ცოტას, შეიძლება, იგებდა კიდეც — მოგებასაც და წაგებასაც ერთნაირი, ბრიყვული შეძახილებითა და ხორხოცით აღნიშნავდა: სწორედ იმ ხალხს ეხუმრებოდა და ელაზღანდარავებოდა, ვინც, ეჭვი არაა, უსინდისოდ და დაუნანებლად ყვლეფდნენ და ატყავებდნენ. და აი, ერთ დღეს ხმა გავარდა — ბრაუნს სამოცი დოლარი მოუგიაო. „მორჩა, ჩვენს ბრაუნს ვეღარ ვიხილავთ“, თქვა ერთ-ერთმა მუშამ.

„აბა, რა გითხრათ“, მიუგო მუნიმ. „სამოცი დოლარი ის თანხა არაა, აი, ათი რომ ყოფილიყო, ან ხუთასი, მაშინ სხვაა. ახლა კი, ალბათ მხოლოდ იმას თუ იგრძნობს, როგორც იქნა, ბოლოს და

ბოლოს, კარგად მოვეწყვეო, ალჩუზე დამიჯდა კოჭი და ერთბაშად იმდენი ფული ჩავიჯიბე, რასაც მთელი კვირის ჭაპან-წყვეტაში მიხდიანო“. მართლაც, ორშაბათ დილას ისევ ძველებურად გამოცხადდა სამუშაოდ — კომბინეზონში გამოწყობილი; ორივე, ბრაუნიცა და ქრისთმასიც, ძველებურად ერთად იდგნენ ნახერხის გროვასთან. ამ ორ განუყრელ მეგობარს ბრაუნის გამოჩენის დღიდან რაღაც სხვანაირად აკვირდებოდნენ და უთვალთვალებდნენ ყველანი: ქრისთმასი ნიჩაბს აუჩქარებლად, დინჯად, ბოლომდე არჭობდა ხოლმე ნახერხში, თითქოს იქ ჩამალულ გველს (ანდა კაცსო — ამბობდა მუნი) აქუცმაცებდა, ბრაუნი კი, ნიჩაბზე ჩამოყრდნობილი, რაღაცა ამბავსა თუ ანეკდოტს უამბობდა. ალბათ ანეკდოტს, რადგან უცებ თვითონვე გადაიხარხარებდა, უკან თავგადაგდებული აჭიხვინდებოდა, ქრისთმასი კი უწინდელი, თავისებური უჩუმარი და გაუნელებელი სისასტიკით აგრძელებდა მუშაობას. მერე ბრაუნიც მიუბრუნდებოდა საქმეს, ცოტა ხანს ამხანაგს აჰყვებოდა, მაგრამ თანდათან სულ უფრო და უფრო ზანტად ირჯებოდა, ძალაც ელეოდა და ხალისიც და ბოლოს უკვე ტყუილუბრალოდ, ზრდილობისთვისღა ურევდა ნიჩაბს ნახერხში. ბოლოს ისევ ნიჩბის ტარს ჩამოეყრდნობოდა და, ეტყობა, ადრევე დაწყებულ ამბავს აგრძელებდა, იმის გასაგონად, ვისაც თითქოს საერთოდ არც ესმოდა მისი ხმა, გინდაც ერთი მილის იქედან უყვიროდეს, ანდა უცხო, უცნობ ენაზე ელაპარაკებოდესო — ფიქრობდა ბაირონი. ზოგჯერ, შაბათობით, საღამო ჟამს, ქალაქის ცენტრშიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე ერთად: ქრისთმასს თავისი კოხტა, სადა და უბრალო სარჟის შარვალი და თეთრი პერანგი ეცვა, თავზე ჩალის ქუდი ეხურა, ბრაუნიც ახალ სამოსელში გამოწყობილიყო (მოყვითალო-მოყავისფრო, წითელზოლებიანი კოსტუმი და ფერადი პერანგი ჩაეცვა, ქუდი კი ქრისთმასივით იმასაც ჩალის ეხურა, ოღონდ ფერადლენტიანი), ყბედობდა და ხორხოცობდა, მოედნის გადაღმაც კარგად ისმოდა მისი ხმა, ექოსავით ბრუნდებოდა უკან და რაღაცით იმ უაზრო ხმას ჰგავდა, ყოველი მხრიდან ერთდროულად რომ ისმის ხოლმე ეკლესიაში. თითქოს ერთადერთი მიზანიღა ამოძრავებს, ყველას დაანახოს როგორი განუყრელი ძმაკაცები არიან ისა და ქრისთმასიო — ფიქრობდა ბაირონი. მერე, ქრისთმასი შებრუნდებოდა და პირქუში, პირგამეხებული გაეცლებოდა იმ მცირერიცხოვან წრეს, ბრაუნის როყიო ხმა რომ შემოიკრებდა ხოლმე ირგვლივ, ისიც ფეხდაფეხ აედევნებოდა, თან კვლავინდებურად იცინოდა და ქაქანებდა. მუშები სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ, მორჩა, ორშაბათიდან ეგ სამუშაოდ აღარ მოვაო, მაგრამ ბრაუნი ყოველ ორშაბათს ცხადდებოდა. პირველმა ქრისთმასმა დაუკრა თავი.

ერთ შაბათ საღამოს წავიდა, გაუფრთხილელად, ფაბრიკაში თითქმის სამი წლის მუშაობის შემდეგ. ბრაუნმა მოიტანა ამბავი — ქრისთმასმა სამუშაოს თავი გაანებაო. მუშათაგან ბევრნი ოჯახის პატრონები იყვნენ, უცოლოებიც ერივნენ და ეს სხვადასხვა ასაკის ხალხი, უალრესად სხვადასხვაგვარი ცხოვრებითაც ცხოვრობდა. თუმცა, ორშაბათ დილას ყველა ერთნაირი სიდინჯით, სიამაყითაც კი გამოდიოდა სამუშაოდ. ახალგაზრდა მუშები შაბათ საღამოს სვამდნენ ან თამაშობდნენ, ზოგჯერ მემფისშიაც დაიარებოდნენ, ოღონდ, ყოველ ორშაბათ დილას მშვიდად, ფხიზლად უბრუნდებოდნენ საქმეს, სუფთა კომბინეზონებსა და სუფთა პერანგებში გამოწყობილები, წყნარად ელოდნენ, როდის ჩაჰბერავდნენ სასტვენს და მერე აუჩქარებლად შეუდგებოდნენ ხოლმე მუშაობას, თითქოს გატრუნულ ჰაერში ჯერ ისევ იგრძნობოდა ნაშთი გასული უქმე დღისა, რომელიც ერთ აზრს ამკვიდრებდა მხოლოდ — როგორც არ უნდა გაატაროს კაცმა კვირა დღე, სულერთია, ორშაბათ დილას მაინც წესისამებრ მშვიდი და სუფთა უნდა გამოცხადდეს სამუშაოდო.

ბრაუნისაც ეს ეხამუშებოდათ სწორედ, რადგან ორშაბათობითაც, ჩვეულებრივ, იგივე ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეცვა, რაც წინა კვირას, ლოყებზეც შავი ჯაგარი მოსდებოდა, თითქოს მის დღეში სამართებელი არ მიჰკარებიაო. თან, ორშაბათობით, უფრო ხმაურიანიც იყო, ვიდრე სხვა დროს, ათი წლის ბავშვივით ცელქობდა და იკლებდა იქაურობას, რაც, ჭკუადამჯდარ ხალხს, რა თქმა უნდა, ვერაფრად ეპიტნავებოდა — გინდაც მთვრალი მოსულიყოს, ანდა დედიშობილა. მოკლედ, სწორედ ბრაუნმა ამცნო ყველას ქრისთმასის წასვლა. იმ დღეს თვითონაც გვიან გამოცხადდა. ოღონდ ეს არ იყო მთავარი. არც წვერი გაეპარსა, თუმცა, არც ეს გაჰკვირვებია ვინმეს: თითქოს ენა გადაეყლაპა, ვერც მისი მოსვლა გაიგეს, ისე შემოიძურწა ფაბრიკაში. ის ბრაუნი, ვისაც ამ დროისათვის უკვე ნახევარი ფაბრიკა ლანძღავდა და აგინებდა ხოლმე, ბევრნი — მთელი გულითა და სულითაც. ზუსტად სასტვენის ჩაბერვისთანავე გამოჩნდა და უხმოდ და უსიტყვოდ, პირდაპირ ნახერხის გროვას მიაშურა, მუშაობას ისე შეუდგა, სიტყვა არ დასცდენია, მაშინაც არ დაუძრავს კრინტი, როცა ვიღაც გამოელაპარაკა. მერეღა შეამჩნიეს, მარტო რომ იყო, უამხანაგოდ, ქრისთმასი აღარ ედგა გვერდით. ოსტატი რომ მოვიდა, ვიღაცამ უთხრა: — გეტყობა, ცეცხლფარეშის ერთი შეგირდი დაგიკარგავსო.

მუნიმ ბრაუნს გახედა, რომელიც უჯიგროდ უცაცუნებდა ნიჩაბს ნახერხის გროვას, თითქოს კვერცხებია და შიშობს, არ დავამტვრიოო — და ბრაზიანად გააწიტა. „აბა რა გგონიათ?! ეგრე

ოცეს უცბად გამდიდრებამ. აქაური გროშები რაღას დააკმაყოფილებს“.

„გამდიდრდაო?“ იკითხა ვიღაცამ.

„ერთ-ერთი უეჭველად“, თქვა მუნიმ, თან ისევ ბრაუნს გასცქეროდა. „გუშინ დავინახე, როგორ დაქროდნენ ახალი მანქანით. ეგ ვაუბატონი“, ბრაუნისკენ გადაიქნია თავი — „საჭეს მისჯდომოდა. მაგრამ, მე ის უფრო მიკვირს, ერთ-ერთი მაინც რომ მობრძანდა დღეს სამუშაოდ“.

„ჩვენ დროში სიმსს შემცვლელის პოვნა არ გაუჭირდება“, თქვა ვიღაცამ.

„ნუ გეშინია, არც სხვა დროს დაადგება გასაჭირი“, მიუგო მუნიმ.

„ისე, მეგონა ბედის მადლიერია-მეთქი“.

„შენ რა, ქრისთმასზე ლაპარაკობ?“ ჰკითხა მუნიმ.

„აბა შენ ვისზე ამბობდი? რაო, ბრაუნმაც — თავს ვანებებ მუშაობასო?“

„აბა როგორ გეგონა? სანამ ქრისთმასი იმ ახალი მანქანით აღმა-დაღმა იგრიალებს, ეგ აქ მოიწყვეტს წელს?“

„ჰოოო“, ახლა მეორემაც ბრაუნს გახედა. „ისე, ჩვენში დარჩეს და, მანქანა სად იშოვეს?“

„სულაც არ მაინტერესებს“, თქვა მუნიმ. „მე იმას ვფიქრობ, შუადღისას დაგვემშვიდობება თუ დღის ბოლომდე მაინც გაძლებს“.

„მე რომ აქ მანქანის ფული მომაგროვებინა“, თქვა ბაირონმა, „ერთ წუთსაც აღარ გავჩერდებოდი“.

ვიღაც-ვიღაცეებმა ბაირონს გადმოხედეს. ჩაეღიმათ კიდეც. „აქ არავინ გამდიდრებულა“, თქვა ერთმა. ბაირონმა გაკვირვებით შეავლო თვალი. „ბაირონს ყოველგვარი სიბილწისგან იმდენად შორს უჭირავს თავი, ცხოვრებასაც ჩამორჩა“, თქვა ახლა სხვამ. უკვე ყველამ ბაირონს მიაპყრო მზერა. „ბრაუნი ხომ, ასე ვთქვათ, საზოგადოების მსახურია, ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველი. ადრე თუ ქრისთმასს ღამღამობით ტყეში, მის ბარდენის მამულში დაჰყავდა მუშტრები, ბრაუნს ახლა პირდაპირ ქალაქში მოაქვს საქონელი. ამბობენ, დათქმული სიტყვა თუ იცი, შაბათ საღამოს პირდაპირ პერანგის უბიდან ამოგიძვრენს ერთ პინტ ვისკის და ხეივანშივე მოგყიდისო“.

„რა სიტყვაა ეგეთი?“ იკითხა ვიღაცამ, „ხუთჯერ თხუთმეტი ცენტი?“

ბაირონი ხან ერთს შეხედავდა გაკვირვებით, ხან მეორეს. „ეგ მართალია? მართლა მაგ საქმეს მისდევენ?“

„მაგ საქმეს ბრაუნი მისდევს. ქრისთმასისა რა მოგახსენო. თუმ-

ცა, დაფიცებით ვერც იმას დავუფიცებ. ისე, საცა ქრისთმასი, იქაც ბრაუნი. ხომ გაგიგიათ — ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო“.

„ეგრეა“, კვერი დაუკრა მეორემ, „ქრისთმასისას ჩვენ ვერაფერს გავიგებთ. ეგ ბრაუნივით შარვალჩახდილი არ დაიწყებს ქუჩა-ქუჩა წანწალს“.

„არც დასჭირდება“, თქვა მუნიმ, თან ბრაუნს არ აშორებდა თვალს.

მუნი მართალი იყო. შუადღემდე აკვირდებოდნენ, როგორ ცოდვილობდა ბრაუნი მარტოკა ნახერხის გროვასთან. მერე სასტვენის ხმა გაისმა, ყველამ თავთავისი სადილი ამოალაგა, სატუმბავ საამქროს მიაშურეს, იქ ჩაცუცქდნენ და ჭამას შეუდგნენ. ბრაუნიც იქ შევიდა, მოღუშული, ერთდროულად გაბრაზებული და გაბუტული სახე ედო, ბავშვივით. სხვების გვერდით ჩაცუცქდა და ხელები მუხლებს შორის ჩაჰკიდა. საჭმელი არ მოეტანა თან.

„ჭამას არ აპირებ?“ ჰკითხა ერთმა.

„რისას? აქოთებული სალაფავისას?“ შეუღრინა ბრაუნმა. „ალიონიდან მოყოლებული ბინძური ზანგივით იწყვეტ კაცი წელს, რაღაც ერთი საათი ისვენებ შუადღისას და მაშინაც სალაფავი უნდა თქვლიფო რკინის ვედროდან“.

„არ ვიცი, ზოგს იქნება მართლა ზანგებისგანა აქვს შრომა ნასწავლი სადმე“, თქვა მუნიმ. „ოღონდ, აქ რომ ზოგი თეთრკანიანი მუშაობს, ისეთი მუშაობისთვის ზანგს შუადღემდე ამოარტყამდნენ ჭიტლაყს და კინწისკვრით გააგდებდნენ“.

მაგრამ, ბრაუნს ეტყობა არაფერი ეყურებოდა, ეტყობა, არც უგდებდა ყურს. უწინდებურად ჩაცუცქულიყო და, პირგამეხებულს, ხელები უღონოდ ჩაეკიდა. თითქოს მხოლოდ საკუთარ ფიქრში ჩანთქმული, მოსმენითაც საკუთარ თავს უსმენდა.

„ბრიყვი. ბრიყვი თუ იზამს ამას“.

„შენ მაგ ნიჩაბზე არავის მიუბიხარ“, უთხრა მუნიმ.

„სწორია, არ მივუბივარ“, თქვა ბრაუნმა.

მერე ისევ გაისმა სასტვენის ხმა. ყველა სამუშაოს მიუბრუნდა. თან ნახერხის გროვისკენ, ბრაუნისკენ ეჭირათ თვალი. თავიდან, ერთი პირობა, ვითომ გულიანად იქნევდა ნიჩაბს, მაგრამ მალევე აუცრუვდა გული, ნელ-ნელა მოდუნდა, ბოლოს სულაც მათრახივით ჩაბღუჯა ცალი ხელით ნიჩბის ტარი და თან თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

„აბა სხვას ვის დაელაპარაკება“, თქვა ერთ-ერთმა მუშამ.

„არა, აქ სხვა ამბავია“, მიუგო მუნიმ, „ჯერ კარგად ვერ დაირწმუნა თავი. ჯერ ბოლომდე არა სჯერა“.

„რა არა სჯერა?“

„რა და, უფრო დიდი ბრიყვი რომაა, ვიდრე მე მგონია“, თქვა მუნიმ.

მეორე დილას ბრაუნი აღარ გამოჩენილა. „მორჩა, დღეის ამას იქით მაგის მისამართი სადალაქოა“, თქვა ერთმა.

„ანდა სადალაქოს უკან რომ ხეივანია“, დაუმატა მეორემ.

„მე კი მგონია, ერთხელ კიდევ მოგვეჩვენება“, თქვა მუნიმ, „გუშინდელი ნამუშევარი ხომ უნდა აინაზღაუროს?“

ასეც მოხდა. დაახლოებით თერთმეტ საათზე მოვიდა. ახალი კოსტუმი ეცვა და ჩალის ქუდი ეხურა, ფარდულთან გაჩერდა, იქ იდგა და იქედან ადევნებდა მუშებს თვალს, სწორედ ისე, როგორც ქრისთმასი იმ პირველ დღეს, სამი წლის წინ. გეგონებოდა, რაღაც ძალის წყალობით, ოსტატის ძველი პოზა უნებურად მეტისმეტად ბეჯითი და ალღოიანი შეგირდის დამყოლ კუნთებს გადასცემიაო. ოღონდ ეგაა, ბრაუნი მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდა მოთენთილი და ამპარტავნული იერი მიეღო, მაშინ, როცა ოსტატი მართლა გორობად, მშვიდად და ფატალურად გამოიყურებოდა — გველივით. „ჰა, მიდით, მოიწყვიტეთ წელი ნაბიჭვარო მონებო!“ მხიარულად, ხმამაღლა დაიძახა კბილებგადმოყრილმა.

მუნიმ ბრაუნს გახედა. იმანაც მაშინვე მომუწა პირი.

„მე მითხარი რამე?“ ჰკითხა მუნიმ.

ბრაუნს იმწამსვე, თვალისდახამხამებაში შეეცვალა მოუსვენარი, კვიმატი სახე, ამგვარი ცვლილებების მომსწრე ადრეც არა ერთხელ გამხდარნან მუშები და უკვე ყველანი კარგადაც შესჩვეოდნენ. თიქოს თავისი მოღვენთილ-მორღვეული სახის წამდაუწუმ შეცვლა ბრაუნისთვისაც კი მეტისმეტად იოლი საქმე იყოსო — ფიქრობდა ხოლმე ბაირონი. „არა, შენთვის არაფერი მითქვამს“, უპასუხა ბრაუნმა.

„ეჭვიც არ მეპარება“, მუნი საკმაოდ მშვიდი, დათაფლული ხმით ელაპარაკებოდა. „მაშ, ნაბიჭვრები ამ ბიჭებს უწოდე, არა?“

„იქნებ მე?“ ჰკითხა ვიღაცამ.

„არა, ჩემს თავს ველაპარაკებოდი“, თქვა ბრაუნმა.

„აგაშენა ღმერთმა, ძლივს ერთხელ მაინც არ დაგცდა წმინდა წყლის სიმართლე“, თქვა მუნიმ. „სიმარლის ნახევარი. გინდა, ახლა მანდ მოვიდე და მეორე ნახევარიც ჩაგჩურჩულო ყურში?“

ის დღე იყო და ის, ფაბრიკაში ბრაუნი აღარავის უნახავს, თუმცა, ბაირონს ის ახალი მანქანაც კარგად ახსოვს (ცალი თუ ორივე ფრთა უკვე მაშინაც შეჭეჭყილი ჰქონა), უაზროდ, უმისამართოდ, გულისგამაწვრილებლად რომ დაქროდა ქალაქში, საჭესთან

გადათხლაშულ ბრაუნს კი, მიუხედავად მთელი მისი მცდელობისა, სრულებითაც არაფერი ეტყობოდა შესაშური, სულ არ ჰგავდა ლაღსა და უდარდელ კაცს. ხანდახან მანქანაში ქრისთმასსაც ხედავდნენ, თუმცა იშვიათად. ახლა უკვე მათი საქმიანობაც აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. უკვე მთელი ქალაქის ყმაწვილკაცობასა და ბიჭბუჭობასა აქვს სალაპარაკოდ გამხდარი, როგორ ყიდის ბრაუნი ვისკის დაუფარავად და ყველა იმასღა ელოდება, როდის გაებმება მახეში, როდის ამოუძვრენს საწვიმრის უბიდან და როდის შესთავაზებს ბოთლს გადაცმულ პოლიციელს. გადაჭრით ჯერ ვერავინ იტყვის, ქრისთმასიც გარეულია თუ არა ამ საქმეში, ოღონდ ეგაა, არავის სჯერა, რომ ბრაუნს დამოუკიდებლად, სხვის დაუხმარებლად შეუძლია ბუტლეგერობით გამდიდრება და აშენება; ზოგი იმასაც ვარაუდობს, თითქოს ქრისთმასი და ბრაუნი ერთად ცხოვრობენ მიტოვებულ ქოხში, ბარდენების კარმიდამოში. თუმცა, ვერც ისინი იტყვიან, მის ბარდენსაც მოეხსენება ეს ამბავი თუ არა, დარწმუნებულნიც რომ იყვნენ თავიანთი ვარაუდის სისწორეში, ქალს მაინც არამც და არამც არ გაუმხელდნენ არაფერს. მის ბარდენი, შუახნის ქალი, მარტოდმარტო ცხოვრობს თავის დიდ სახლში, ამ სახლში ცხოვრობს დაბადებიდან და ჯერ მაინც ყველასათვის უცხოა, უცხოელია, — მისიანები რეკონსტრუქციის დროს გადმოსახლდნენ ჩრდილოეთიდან და ამ ზანგების გულშემატკივარ იანკიზე დღემდე არ წყდება ქალაქში მითქმა-მოთქმა, დღემდე ყველას სალაპარაკოდა აქვს გამხდარი, მისი უცნაური ურთიერთობა ქალაქელ თუ ქალაქის ახლომახლო მცხოვრებ ზანგებთან, მიუხედავად იმისა, რომ აგერ უკვე სამოცი წელი გავიდა მას მერე, რაც მის ბაბუასა და ძმას ქალაქის მოედანზე, დღისით, მზისით, გამოუყვანა წირვა ერთმა ყოფილმა მონათმფლობელმა, საჯაროდ დაახალა ორივეს ტყვია შტატის არჩევნებში ზანგების მონაწილეობის მოთხოვნის გამო. დრო კი გავიდა, მაგრამ რაღაც საბედისწერო დაღი ჯერაც ატყვია ქალსაც და მამულსაც: ბნელი, უცხო, შიშისმომგვრელი; თუმცა, მხოლოდ და მხოლოდ მარტოხელა ქალია, მხოლოდ და მხოლოდ შთამომავალია იმ ხალხისა, ვისიც სიკვდილივით უნდა შინებოდათ, ვის მოსასპობადაც თავი არ უნდა დაეზოგათ ქალაქის დამაარსებლებს (ასე სჯეროდათ, ასე სწამდათ თვითონ). მაგრამ ის მაინც არსებობს: დაუძინებელ მტერთა შთამომავლობა, მათი აჩრდილების ურთიერთობა და მათი ერთმანეთისგან გამყოფი, ერთმანეთისგან გამმიჯნავი მარადიული ჩვენება დაღვრილი სისხლისა, სისასტიკისა, რისხვისა და შიშისა.

[illegible]-თუკი სიყვარული ოდესმე განუცდია კიდეც, მისი შემხედვარე კაციცა და ქალიც ერთნაირად იტყვის ახლა — ბაირონ ბანჩს ეს ბერძნობა სამუდამოდ დავიწყებია. ანდა, უფრო სწორად, მას (ანუ სიყვარულს) დავიწყებია ბაირონიო — ეს ჩია, ოცდაათს გადაცილებული კაცი, კვირაში ექვს დღეს, აგერ უკვე მეშვიდე წელიწადია, სარანდავ ფაბრიკაში რომ ატარებს, ფიცრით ამარაგებს ჩარხს და შაბათობით, ნაშუადღევსაც იქაა ხოლმე, როცა სხვა მუშები უკვე ქალაქში არიან გაკრეფილი, საკვირაო სამოსი აცვიათ, ყელსახვევები უკეთიათ და იმ ხალხის შემაძრწუნებელ, უაზრო და მოუსვენარ უსაქმურობას მისცემიან, მძიმე ჯაფით რომ ჭამს პურს.

ამ შაბათსაც გარანდულ ფიცრებს აწყობს სატვირთო ვაგონებზე, რაკი სარანდავ ჩარხს მარტო ვერ აამუშავებს, და თვითონვე აღრიცხავს საკუთარ სამუშაო დროს, უკანასკნელ წამამდე, წარმოსახული სასტვენის ხმამდე. სხვა მუშები და ქალაქი, უფრო სწორად, ქალაქის ნაწილი, რომელსაც ბაირონის არსებობა ახსოვს და რომელიც ბაირონზე ფიქრობს, დარწმუნებულია, დამატებითი გასამრჯელოს გამო იქცევა ასეო. შეიძლება, მართლაც ესაა მიზეზი. კაცმა ხომ ძალიან ცოტა რამ იცის თავის მოყვასზე. მისი თვალსაზრისით, ნებისმიერი სხვა კაცი თუ ქალი მხოლოდ იმ გულის კარნახით მოქმედებს და ხელმძღვანელობს, თვითონაც რომ აჰყვებოდა, თუკი გაბრიყვდებოდა და იმ ნებისმიერი სხვა კაცისა თუ ქალის საქმეს მოჰკიდებდა ხელს, იმის გზას დაადგებოდა. სინამდვილეში კი, მთელ ქალაქში მარტო ერთადერთ ადამიანს შეუძლია მეტ-ნაკლები სიმართლით ილაპარაკოს ბაირონის ასავალ-დასავალზე, არადა, ბაირონს მასთან რაიმე ურთიერთობა თუ აკავშირებს, ქალაქმა არაფერი უწყის, რადგანაც მხოლოდ ღამღამობით ხვდებიან ერთმანეთს და ღამღამობით საუბრობენ ხოლმე. ამ კაცის გვარი ჰაითაუერია. ოცდახუთი წლის წინ ის ერთ-ერთი მთავარი, შეიძლება, ყველაზე მთავარი ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ, ახლა კი მხოლოდ მას მოეხსენება, სად მიდის ყოველ შაბათ საღამოს ბანჩი, როცა წარმოსახულ სასტვენს ჩაბერავენ ხოლმე, უფრო სწორად კი, როცა ბანჩის ვეებერთელა ვერცხლის საათი ამცნობს პატრონს — სასტვენს ჩაბერესო. მისის ბიარდმა, ვის პანსიონშიც ცხოვრობს ბაირონი, მარტო ის იცის, ყოველ შაბათს, ექვსის მერე, ბანჩი შინ რომ ბრუნდება, ხელპირს იბანს, ტანისამოსს იცვლის — სარჟის იაფფასიან, არცთუ ისე ახალ კოსტუმს იცვამს — ვახშმობს, მერე ჯორს კაზმავს, რომელიც სახლის უკან, თავისივე ხელით შეკოწიწებულ და გადახურულ ფარდულში დგას, და სადღაც მიემგზავრება. სად და რატომ, მისის

ბიარდი ვერაფერს იტყვის. მხოლოდ მღვდელი ჰაითაურისთვისაა ცნობილი, რომ ბანჩი ოცდაათ მილს გაივლის ჯორით და მთელ კვირა დღეს ერთ პატარა სოფლის ეკლესიაში გაატარებს, სადაც მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობს. მერე, დაახლოებით შუაღამისას, ისევ შეკაზმავს თავის ჯორს და ახლა ჯეფერსონისაკენ გამოუყვება გზას, მთელი ღამე იჩაქჩაქებს და ორშაბათ დილას, სასტვენის ჩაბერვამდე, სუფთა კომბინეზონსა და სუფთა პერანგში გამოწყობილი, უკვე ფაბრიკაშია, უკვე მზადაა სამუშაოდ. მისის ბიარდი მხოლოდ იმას ამჩნევს, შაბათს ვახშმობიდან ორშაბათ დილას საუზმობამდე, ბაირონის ოთახიცა და ჯორის სახელდახელოდ შეკოწიწებული თავლაც ერთთავად ცარიელი რომაა. მარტო ჰაითაუერს შეუძლია თქვას, სად დადის ბაირონი და რას აკეთებს იქ, რადგან კვირაში ორჯერ თუ სამჯერ, ღამღამობით, ბანჩი იმის პატარა, ჩაუამებულ, უშნო, უყმურ სახლსაც ესტუმრება ხოლმე, სადაც მღვდლადყოფილი მარტოდმარტო ცხოვრობს ახლა, ქალაქის აზრით, საკუთარი სირცხვილის ანაბარა დარჩენილი. მღვდლის კაბინეტში დასხდებიან ხოლმე და ხმადაბლა საუბრობენ: კაფანდარა, ჩია კაცი, აზრადაც რომ არა აქვს, ამხანაგების თვალში საიდუმლოებით მოცულ პიროვნებად თუა ქცეული და თავისივე ეკლესიის მიერ მოკვეთილი, ორმოცდაათი წლის განდეგილი.

და აი, ბაირონის გულშიც გაიღვიძა სიყვარულმა. მაინც გაიღვიძა, მიუხედავად მკაცრი, ეჭვიანი, სოფლური აღზრდის შეგონებისა, რაც სიყვარულის საგნის ფიზიკურ ხელშეუხებლობას გულისხმობს. შაბათია, ნაშუადღევი, ბაირონი მარტოა ფაბრიკაში. ორი მილის იქით სახლი ჯერ ისევ იწვის, ყვითელი კვამლი სწორად, მონუმენტივით აღმართულა ჰორიზონტზე. კვამლი წეღანაც დაინახეს, შუადღემდე, როცა პირველად ასცდა ხეებს, სანამ სასტვენს ჩაბერავდნენ და მუშები წავიდ-წამოვიდოდნენ: დღეს ალბათ ბაირონიც ადრიანად წამოვა, მუქთად რომ უცქიროს ცეცხლსო — თქვეს მუშებმა.

„დიდი ცეცხლი კია, ხო იცი“, თქვა ვილაცამ. „ნეტა რა უნდა იწვოდეს? იმ მხარეში ბარდენების სახლის მეტმა რამ უნდა აუშვას ამოდენა ბოლი?“

„იქნება ბარდენის სახლიც იწვის“, თქვა სხვამ. „მამაჩემი ამბობს, ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათი წლის წინ ლაპარაკობდა თურმე ხალხი, ეგ სახლი აუცილებლად უნდა დაიწვას და ცოტაოდენი ადამიანის ქონიც არ აწყენს ცეცხლის გასაღვივებლადო“.

„ვინ იცის, სულაც მამაშენმა წაუკიდა იქაურობას ცეცხლი“, იხუმრა მესამემ. ყველამ გაიცინა. მერე ისევ სამუშაოს მიუბრუნდნენ და სასტვენის მოლოდინში ხანდახან ისევ გახედავდნენ ხოლმე კვამლს.

ეზოში მორებით დატვირთული მანქანა შემოვიდა. ქალაქზე გამოევლო და მძღოლსაც ჰკითხეს ამბავი.

„ბარდენი?“ თქვა მძღოლმა, „კი. ეგ გვარი თქვეს. ისიცა თქვეს, შერიფიც იქეთ გაეშურაო“.

„რა ვუყოთ მერე, უატ ქენედისაც ხომ უყვარს ხანძრის ცქერა?!“ თქვა ვილაცამ, „თანაც, თავის სამკერდე ნიშანსაც გამოამზეურებს“.

„ისე, თქვენი დაცარიელებული მოედნის შემხედვარეს ქალაქში მართლა არ გამოუჩნდება საქმე“, მიუგო მძღოლმა, „ვინმეს პოვნა და დაჭერა თუ უნდა, იქ ნამდვილად არ გაუჭირდება“.

ამასობაში შუადღის სასტვენსაც ჩაბერეს. ყველა წავიდა. ბაირონმა ისადილა, ჭამის დროს ვერცხლის საათი ხუფახდილი ედო გვერდით. პირველი რომ შესრულდა, საქმეს მიუბრუნდა. მარტო იყო საწყობში, დინჯად და გაუთავებლად მიდი-მოდიოდა საწყობსა და სატვირთო ვაგონს შორის, ბეჭებზე კანაფის გაკეცილი ტომარა დაეფინა, ამ ტომარაზე იდებდა ფიცარს, იმდენს იდებდა, მართლა საკვირველი იყო, ეს ჩია კაცი ამოდენა ტვირთს როგორ ერეოდა; და აი, სწორედ ამ დროს საწყობის უკანა კარებში ლინა გროუვიც გამოჩნდება გაცისკროვნებული, გასაღიმებლად გამზადებული, ტუჩებიც უკვე სახელის დასაძახებლად მოუმრგვალებია. ბაირონი ფეხის ხმაზე ტრიალდება და ხედავს, ნელ-ნელა როგორ ჩაუქრება ქალს სახე, თითქოს გუბეში ნასროლი ქვით წამით აფორიაქებული წყალი ისევ ხელახლა ჩაწყნარდაო.

„თქვენ რომ ის არა ხართ?!“ ამბობს პირზე ღიმილშეციებული, ბავშვივით სევდიანად გაოცებული.

„ალბათ არა ვარ, ქალბატონო“, პასუხობს ბაირონიც. მერე, ცოტა ხანს ჩუმდება, ქალისკენ სანახევროდ შებრუნებული, და მხარზე ფიცრების გაწონასწორებას ცდილობს. „ოღონდ, ისიც მითხარით, ვინ არა ვარ?“

„ლუკას ბარჩი. ასე მითხრეს...“

„ლუკას ბარჩი?“

„ფაბრიკაში იპოვიო“, ქალი რაღაცნაირი მშვიდი ეჭვით ლაპარაკობს, თვალისდაუხამხამებლად შესცქერის ბაირონს, თითქოს დარწმუნებულია, ეს კაცი ჩემს გაცურებას ცდილობსო. „როცა ქალაქს მოვუახლოვდი, ბარჩის მაგივრად ყველანი ბანჩს ამბობდნენ, მაგრამ მეგონა უბრალოდ ეშლებათ-მეთქი. ან მე მესმის მეთქი შეცდომით“.

„დიახ, ქალბატონო“, ამბობს ბაირონი. „სწორედ ასეა: ბანჩი. ბაირონ ბანჩი“. მხარზე ჯერ ისევ ფიცრების გაწონასწორებას ცდილობს და თან ქალს შესცქერის, მის დამრგვალებულ სხეულს,

მსხვილ თეძოებს, მძიმე, კაცის ფეხსაცმელებზე დადებულ წითელ მტვერს. „თქვენ ქალბატონი ბარჩი ბრძანდებით?“

ქალი მაშინვე არ პასუხობს. კარის ჭრილში გაჩერებულა და ყურადღებით, დაჟინებით აკვირდება ბაირონს, უწინდებურად შეწუხებული, ოდნავ შეცბუნებული, ოდნავ დაეჭვებული. ლურჯი თვალები აქვს. თვალებში რწმენის ჩრდილიც გაწოლილა — მე მგონი, ეს კაცი რაღაცას უნდა მატყუებდესო.

„გზაზე მეუბნებოდნენ, ლუკასი ჯეფერსონშია, სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო. ბევრმა მითხრა. ახლა სარანდავი ფაბრიკაც მომასწავლეს, მაგრამ ისიც მითხრეს, შენ ალბათ ბანჩი გენდომებაო; მე ვიფიქრე, გვარი ეშლებათ-მეთქი და ამ ამბისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება მაშინაც არ მიმიქცევია, როცა თქვეს, ლუკასი შავგვრემანი არ არისო. ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ლუკას ბარჩს არავის იცნობთ?“

ბაირონი თავის ტვირთს ძირს დებს, კოხტად ალაგებს ფიცრებს ერთმანეთზე, ხელახლა აღება რომ გაუადვილდეს. „არა, ქალბატონო, ჩვენში ეგეთს არავის ვიცნობ. სხვებიც არ უნდა იცნობდნენ. იქნებ, სადმე სხვაგან მუშაობს ქალაქში. ანდა, სხვა ფაბრიკაში“.

„რა, სხვა ფაბრიკებიცაა აქ?!“

„ფაბრიკები არა, სამხერხაოები კი ბევრია“.

ქალი ბაირონს შესცქერის. „გზაზე მეუბნებოდნენ, ხის სარანდავ ფაბრიკაში მუშაობსო“.

„ასეთი კაცი ჩვენში არავინ მეგულება“, ამბობს ბაირონი. „ჩემს გარდა, სხვა ბარჩს ვერავის ვიხსენებ, არადა — მეც ბანჩი გახლავართ“.

ქალი კვლავ არ აშორებს თვალს, მისი სახე იმდენად მომავალ წუხილს არ გამოხატავს, რამდენადაც ამჟამინდელ ეჭვს. მერე, ერთს ხმამაღლა ამოისუნთქავს. კი არ ამოიოხრებს, უბრალოდ ღრმად და მშვიდად ამოისუნთქავს, „კეთილი“, ამბობს ბოლოს და სანახევროდ მიტრიალდება, იქაურობას ათვალიერებს: დახერხილ მორებს, ფიცრების გროვას. „ცოტა ხანს ჩამოვჯდები, თორემ ძალიან დამღალა ქვაფენილზე სიარულმა. ასე მგონია, ქალაქიდან აქამდე ჩამოსვლა უფრო გამიჭირდა, ვიდრე ალაბამადან ჯეფერსონამდე“. ქალი ფიცრების დაბალი გროვისკენ მიაბიჯებს.

„მოიცათ“, ამბობს ბაირონი. ლამის გადახტეს ქალისკენ, თან გააფთრებით იგლეჯს მხრებიდან ტომარას. დასაჯდომად გამზადებული ქალი შუა გზაში შეშდება, ბაირონი ფიცარზე აფენს ტომარას: „ასე ჯობია“.

„რატომ შეწუხდით“, ამბობს ქალი და ჯდება.

„ასე უფრო მოხერხებულია“, პასუხობს ბაირონი. ჯიბიდან ვერცხლის საათს იღებს და დასცქერის; მერე თვითონაც ჯდება, ფიცრის მეორე ბოლოში „ზუსტად ხუთი წუთია“.

„რა? შესვენება?“ ეკითხება ქალი.

„ხუთი წუთი გავიდა, რაც თქვენ შემოხვედით. შესვენებაც მაშინ დამეწყო. შაბათობით, საღამოს, თვითონ ვინიშნავ ხოლმე დროს“.

„წუთითაც რომ მოწყდეთ საქმეს, მაინც? ვინ რას გაიგებს? განა რამდენიმე წუთს მნიშვნელობა აქვს?“

„ჯდომაში ფულს არავინ გადამიხდის“, ამბობს ბაირონი. „მაშ ალაბამადან მოდიხართ?“

ქალიც თავისი ამბის თხრობას იწყებს, ბაირონის ჯერიც დამდგარა, ზის ტომარაზე მძიმედ, მშვიდი, უღრუბლო სახე ადევს და ბაირონიც მშვიდად შესცქერის; უფრო მეტს უამბობს, ვიდრე თვითონ ჰგონია, როგორც აქამდეც უამბობდა დიდსა თუ პატარას, როცა, ოთხი კვირის მანძილზე, წელიწადის დროთა მონაცვლეობის შეუფერხებელი სიჯიუტით მოიწევდა წინ. და ბაირონიც ნათლად ხედავს ახალგაზრდა ქალს, ჩვეულებრივად მოტყუებულსა და მიტოვებულს, რომელიც ვერც კი ხვდება მიტოვებული რომაა და ისიც საკითხავია, როდისმე ბარჩი გახდება თუ არა.

„არა, არა მგონია ვიცნობდე“, ამბობს ბოლოს ბაირონი. „თანაც, ამ საღამოს ჩემს მეტი არავინაა აქ. ყველანი უთუოდ ხანძრის საცქერლად წავიდოდნენ“. ყვითელი კვამლის სვეტისკენ უთითებს, უძრავად რომ ამართულა ხეებს ზემოთ.

„ჩვენც დავინახეთ ფორნიდან, ქალაქში რომ შემოვდიოდით“, ამბობს ქალი. „კარგა დიდი ხანძარი ჩანს“.

„სახლიც დიდია და იმიტომ. თანაც ძველია, ვინ იცის, როდინდელი აშენებული. მარტოხელა ქალი ცხოვრობს იქ, რომელსაც ჩვენს ქალაქში ამ უბედურებას დამსახურებულ სასჯელად ჩაუთვლის ბევრი. იანკია და იმიტომ. მისიანები რეკონსტრუქციის დროს გადმოსახლებულან ჩრდილოეთიდან, ვითომ ზანგების ასაღელვებლად და ასაფორიაქებლად. ორნი უკვე შეეწირნენ კიდეც ამ საქმეს. ქალზე ამბობენ, მაინც ზანგებს ეკურკურებაო. ისე უვლის თურმე იმათ ავადმყოფებს, გინდაც თეთრკანიანები იყვნენ. ხალხს რომ ჰკითხო, ვითომ მზარეულიც იმიტომ არა ჰყავს, ზანგიც ჩვენნაირი ადამიანიაო. ამიტომაც ერიდება ყველა. იქეთ გახედვაც არავის უნდა. ერთი კაცის გარდა“. ქალი ბაირონს შესცქერის, უსმენს. ბაირონს კი მისთვის სახეში ვერ შეუხედავს, სადღაც, გვერდზე იცქირება. „ერთისა

თუ ორისა. ასე გამიგონია. იმედი მაქვს, ახლაც იქ იქნებოდნენ და დროზე მიეხმარებოდნენ ავეჯის გამოზიდვაში. თუ მოასწრეს“.

„ის ორნი ვიღა არიან?“

„ორი ბიჭია. ორივე ჯო. სადღაც იქით ცხოვრობენ. ჯო ქრისთმასი და ჯო ბრაუნი“.

„ჯო ქრისთმასი? რა უცნაური გვარია“.

„კაციც უცნურია“. ბაირონი ახლაც თვალს არიდებს ქალს, ქალის ყურადღებად ქცეულ სახეს. „ამხანაგიც თავისნაირი ჩიტი ჰყავს — ბრაუნი. ადრე ორივე ჩვენთან მუშაობდა, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ გუდა-ნაბადი აიკრეს და, ჩვენში დარჩეს, გულიც მაინცდამაინც არავის დასწყვეტია“.

ქალი კანაფის ტომარაზე დასკუპებულა, დაინტერესებული, მშვიდი. გეგონებათ, ამ ორს, საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილებს, კვირა საღამოს თავიანთი სახლის წინ მოწნული სკამები გამოუტანიათ ეზოში, შავად მბზინავ, თითქოს მოსევადებულ მიწაზე დაუდგამთ, ჩამომსხდარან და აქეთურ-იქითურზე მასლაათობენო. „მაშ, იმის ამხანაგსაც ჯო ჰქვია?“

„დიახ, ქალბატონო. ჯო ბრაუნი. ვინ იცის, იქნება მართალა ჯო ბრაუნიცაა. ეგეთ სახელს და გვარს რომ გაიგონებ, რატომღაც მუდამ დოღრიალა, ერთთავად მოხორხოცე და მოყაყანე კაცი დაგიდგება თვალწინ. ამიტომაც მგონია, იქნებ მართლა ჯო ბრაუნია-მეთქი, თუმცა, თან, ნაუცბათევად და სახელდახელოდ მოგონილსაც ძალიან ჰგავს ეს სახელი და გვარი. მაგრამ, არ უნდა ტყუოდეს; ლაპარაკში რომ უხდიდნენ ხელფასს, ახლა იქნებ ამ ფაბრიკის პატრონიც ყოფილიყო. ისე, ხალხსაც უნდა უყვარდეს ალბათ. ასეა თუ ისე, იმასაც და ქრისთმასსაც კოჭი ალჩუზე დაუჯდათ“.

ქალი ბაირონს მისჩერებია. ისევ უღრუბლო სახე ადევს, მაგრამ, უკვე სერიოზულიც, თვალებიც დასერიოზულებია. „ახლა რას შვრებიან, რას საქმიანობენ ის ორნი?“

„ისეთს, მე მგონი არაფერს, რაც არ ეკადრებათ და არ შეეფერებათ. ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეზე ჯერ არ დაუჭერიათ. ბრაუნი ცოტ-ცოტას მუშაობდა, რა თქმა უნდა, როცა დროს გამონახავდა ხოლმე, ანუ, როცა არ იცინოდა ან ვინმეს არ ამასხარავებდა. მაგრამ, ქრისთმასმა აიღო და სამუშაო მიატოვა. ერთად ცხოვრობენ, სადღაც იქით, სადაც სახლი იწვის, კი გამიგია, რითაც ირჩენდნენ თავს, მაგრამ რა ჩემი საქმეა? ეგეც არ იყოს, რასაც ხალხი სხვაზე ლაპარაკობს, უფრო ხშირად ჭორი გამოდგება ხოლმე, ესაა მთავარი. თან, არც მე მგონია საკუთარი თავი ვინმეზე უკეთესი“.

ქალი ისევ შესცქერის. თვალსაც არ ახამხამებს. „თვითონ ამბობს,

ბრაუნი მქვიაო?“ იქნებ, ეს შეკითხვა იყოს, ოღონდ პასუხს კი ნამდვილად არ ელოდება. „მაინც რა ზღაპრებს ყვებიან იმათ საქმიანობაზე?“

„არ მინდა ვინმეს ჩირქი მოვცხო“, ამბობს ბაირონი, „ამდენი, ალბათ, არც უნდა მელაქლაქა. ისე, კაცმა თუ ერთი აიცრუა მუშაობაზე გული, მაშინვე აუცილებლად შარში გაეხვევა“.

„მაინც, მაინც?“ ეკითხება ქალი. ერთხელაც არ შერხეულა. მშვიდი ხმა აქვს, მაგრამ ბაირონი უკვე შეყვარებულია, თუმცა ჯერ თვითონ არაფერი იცის. ქალისკენ არ იყურება, ოღონდ სახეზე და ტუჩებზე განუწყვეტლივ გრძნობს მის დაჟინებულ, დაძაბულ მზერას.

„ვისკით ვაჭრობას აბრალებენ. სადღაც იქეთ მალავენო, აი, სადაც სახლი იწვის ახლა. ერთ ამბავსაც ჰყვებიან, ბრაუნზე, თითქოს ქალაქში დამთვრალიყოს შაბათ საღამოს და ვიღაცას ისეთ რამეში გამოსტეხვოდეს, რაზედაც, წესით, კრინტიც არ უნდა დაეძრა — თითქოს იმასა და ქრისთმასს რაღაც ემაიმუნოთ მემფისში თუ მემფისის მახლობლად ბნელ გზაზე, დამბაჩაც ახსენეს, მგონი ორი დამბაჩა. მერე, უცებ საიდანღაც ქრისთმასიც გამოჩენილა, ბრაუნისთვის ხმა გაუკმენდინებია და გარეთ გაუყვანია. მოკლედ, რაღაც ისეთი ამბავია, რისი გახმაურებაც ქრისთმასს მაინცდამაინც არ ესიამოვნებოდა და, ალბათ, თვითონ ბრაუნიც მეტ ჭკუას იხმარდა მთვრალი რომ არ ყოფილიყო. ასე გამიგონია სხვებისგან, თორემ მე იქ არა ვყოფილვარ“. ბაირონი ხეირიანად თავის აწევასაც ვერ ასწრებს, ისე უცებ ხრის თვალებს დაბლა, ქალის თვალებს არიდებს, მის მზერას ემალება. თითქოს უკვე წინასწარ გრძნობს, რაღაც გამოუსწორებელი, საშინელი რომ ჩაიდინა, ის კაცი, ვინც დარწმუნებული იყო, აქ, ამ ფაბრიკაში, შაბათ საღამოს, მარტოდმარტო დარჩენილს, ვერავითარი ტკივილი თუ საწუხარი ახლოს ვერ გამეკარებაო.

„როგორი შესახედავია?“ ეკითხება ქალი.

„ქრისთმასი? როგორ გითხრათ...“

„ქრისთმასზე არ გეკითხებით“.

„აა, ბრაუნი. რა ვიცი? მაღალია, ახალგაზრა, შავგვრემანი. ქალებს, მე მგონი, უნდა მოსწონდეთ, ამბობენ, ლამაზი ბიჭიაო. სიცილი უყვარს, დროსტარება და ხალხის გამასხარავება. მაგრამ მე...“ ბაირონს ხმა უწყდება. ქალისკენ გახედავც არ შეუძლია, სახეზე განუწყვეტლივ მის ჯიუტ, მშვიდ მზერას გრძნობს.

„ჯო ბრაუნი“, ამბობს ქალი. „პატარა, თეთრი ნაიარევი ხომ არა აქვს აი აქ, ტუჩთან?

ბაირონი კი თვალს ვერ უსწორებს, უკვე ძალიან გვიანაა, ფიცრების გროვაზე ჩამომჯდარა და — რატომ ენა არ გამიხმებაო — ფიქრობს.

- III -

კაბინეტის ფანჯრიდან ქუჩა კარგად მოჩანს. არც ისე შორია იქამდე, მხოლოდ პატარა, ხელისგულისოდენა კორდია სახლსა და ქუჩას შორის მოქცეული — ათიოდე ჯუჯა ნეკერჩხალი ხარობს ზედ. სახლიც პატარაა, ჩაჟამული, შეუღებავი, უბრალო ბუნგალოსა ჰგავს და ის ვიწრო ღრიჭო რომ არა, საიდანაც საღამოობით ქუჩას გასცქერის ხოლმე, თითქმის მთლიანადაა დამალული მურტის, იასამნისა და ალთეს ბუჩქებში. ისე საგულდაგულოდაა დამალული, ქუჩის ნათურის შუქიც ძლივს აღწევს, ძლივს ანათებს სახლს.

ფანჯრიდან აბრაც მოჩანს, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს — მისი მონუმენტი. ეს დაბალი, სამი ფუტი სიგრძისა და თვრამეტი დუიმის სიგანის კოხტა მართკუთხედი ეზოს კუთხეში დგას, სახეს გამვლელ-გამომვლელს უჩვენებს, მისთვის კი თითქოს ზურგი შეუქცევია. თუმცა, აბრის წაკითხვა აღარაფერში სჭირდება, აბრაც მისი შეკოწიწებულია, ხერხით და ჩაქუჩით, საგულდაგულოდ, მონდომებით, და წარწერაც მისი ნახელავია, მისი ნაოსტატარი, იმდროინდელი ნაოსტატარი, როცა მიხვდა, პურის, ცეცხლისა და ტანსაცმლისთვის ფული დამჭირდებაო. სემინარია რომ დაამთავრა, მამის დანატოვარი მცირედი მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ ეკლესია ჩაიბარა თუ არა, იმავე დღიდან, შემოსავლის გარკვეულ ნაწილს მემფისის გოგონათა გამოსასწორებელ სახლს უგზავნიდა წელიწადში ოთხჯერ. მერე, როცა არა მარტო საკუთარი, არამედ საერთოდ ყველა ეკლესიის კარი სამუდამოდ დაიხშო მისთვის, ყველაზე მწარედ, დანაკარგსა და შერცხვენაზე მეტად, სწორედ იმ გამოსასწორებელი სახლისთვის მიწერილ წერილს განიცდიდა — რასაც გიგზავნიდით, დღეის ამას იქით, იმის მხოლოდ ნახევარს თუღა გამოვაგზავნიო.

ასეა თუ ისე, ნახევარს მაინც გზავნიდა, არადა, მთელი შემოსავალიც ძლივსძლივობით თუ ეყოფოდა თავის სარჩენად. — კიდევ კარგი, რაღაც-რაღაცეები მეხერხებაო — თქვა მაშინ. ასე გაჩნდა აბრაც, მისი კოხტა ნახელავი, მისი ხელით დაწერილი; საღებავში დაფშხვნილი შუშის გარევაც თვითონ მოიფიქრა ჭკვიანურად და, როცა ღამღამობით ქუჩის ფარნის შუქი აბრას ეცემოდა, ასოები ისე ბრჭყვიალებდნენ, შობის დღესასწაული გეგონებოდა კაცს:

ᲦᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲘᲚ ᲰᲐᲘᲗᲐᲣᲔᲠᲘ, Ღ.Დ.
ᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ.
ᲮᲔᲚᲘᲗ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘ.
ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲭᲚᲐᲕᲜᲔᲑᲐ.

მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, არც ხატვის შეგირდები გამოსჩენია და არც საშობაო ბარათებისა თუ ფოტოსურათების მუშტრებს შეუმტვრევიათ მისთვის კარი, ფერდაკარგულ ასოებსაც ნელ-ნელა დასცვივდა საღაბავიცა და დაფშხვნილი შუშაც. თუმცა, წარწერა ჯერ მაინც იკითხებოდა; ოღონდ, ჰაითაუერისა არ იყოს, აღარც ჯეფერსონელებს სჭირდებოდათ რამეში მისი წაკითხვა. ერთი ეგაა, ხანდახან ზანგ გადიას თუ წაუცდებოდა იქეთ ფეხი თავის თეთრ აღსაზრდელებთან ერთად და ის თუ წაიკითხავდა ჰაითაუერის აბრას ხმამაღლა, დამარცვლით, უაზროდ და ანგარიშმიუცემლად, მოცლილი და უწიგნური ხალხის ჩვეულებისამებრ; ანდა, ამ წყნარ, მიყრუებულ, მოუკირწყლავ და მივარდნილ ქუჩაზე შემთხვევით მოხვედრილი მგზავრი თუ შეჩერდებოდა წამით და მერეღა შეამჩნევდა პატარა, ყვისფერ, თითქმის მთლიანად დამალულ სახლს; რათა ისევ შეუსვენებლივ გაეგრძელებინა თავისი გზა; ზოგჯერ, შეიძლება, რომელიმე ჯეფერსონელ ნაცნობთანაც ჩამოეგდო სიტყვა ამ აბრაზე, „ჰოო“, ეტყოდა მაშინ ნაცნობი, „ეგ ჰაითაუერის აბრაა. მარტოდმარტო ცხოვრობს იმ სახლში. ამ ოცდახუთი წლის წინ პრესვიტერიანული ეკლესიის წინამძღვრად ჩამოვიდა ჩვენთან, მაგრამ ცოლი არ გამოადგა. მემფისში გაეპარებოდა ხოლმე, დროს ატარებდა. მაშინ ახალი ჩამოსულები იყვნენ. ზოგი იმასაც ამბობს, ქმარმა ყველაფერი იცოდაო. თვითონ არ შეეძლო, ანდა, სულაც, არ სურდა ცოლის დაკმაყოფილება თორემ ისე, მშვენივრად მოეხსენებოდა იმისი კაიქალობის ამბავიო. მერე, ერთ შაბათ ღამეს, ქალი მოკლეს, არ ვიცი, მემფისის რომელიღაც სასტუმროში თუ საროსკიპოში. ყველა გაზეთი ამაზე წერდა, თავად იძულებული გახდა ეკლესია დაეტოვებინა, ოღონდ ჯეფერსონიდან მაინც არ წავიდა, ალბათ მიზეზი თუ ჰქონდა რამე. თუმცა, მისთვისაც, ეკლესიისთვისაც და ქალაქისთვისაც აჯობებდა გუდა-ნაბადი აეკრა, მაგრამ ვერასდიდებით ვერ დაითანხმეს. რა დიდი მიხვედრა უნდა, ეკლესიას ეს ამბავი გულზე არ ეხატებოდა, ათასი უცხო ვინმე მიდი-მოდიოდა და ყველაფერი ესმოდა, ის კიდევ, ცოცხალი თავით ქალაქიდან ფეხს არ იცვლიდა. არამც და არამც არ წავიდა, მას შემდეგ იქ ცხოვრობს, იმ ქუჩაზე, მარტოდმარტო გამოკეტილი იმ სახლში; კიდევ კარგი, ის ქუჩა მთავარი ქუჩა მაინც აღარაა, ესეც საქმეა. თუმცა, ახლა აღარავის აწუხებს და, მე თუ მკითხავ, ბევრს საერთოდ აღარც ახსოვს მისი არსებობა. სახლის საქმესაც თვითონ უძღვება. მე მგონი, ამ ოცდახუთ წელიწადში არც არავის შეუღია იმისი სახლის კარი. ღმერთმა უწყის, რა დარჩენია ჩვენს ქალაქში. საღამოხანს, შებინდებისას იქით

თუ ჩაივლი, სულ ფანჯარასთან ზის ხოლმე, თავისთვის, ჩაფიქრებული. სხვა დროს თითქმის ვერცა ვხედავთ, აი, ბაღში მოფუსფუსეს თუ მოვკრავთ შორიდან თვალს“.

ასე რომ, საკუთარი ხელით გაკეთებული აბრა მისთვის კიდევ უფრო ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე ქალაქისათვის; კაცმა რომ თქვას, უკვე აბრადაც აღარ აღიქვამს, საერთოდ აღარც ახსოვს, ვიდრე საღამოხანს ჩვეულებისამებრ არ მოიკალათებს კაბინეტის ფანჯარასთან. თუმცა, აბრა მაშინაც ნაცნობი, დაბალი მართკუთხა ფიცარია მისთვის და სხვა არაფერი; თავისუფლად შეიძლებოდა, ჯუჯა ნეკერჩხლებივით ანდა ბუჩქნარივით, ისიც უნებართვოდ, დაუკითხავად ამოზრდილიყო ტრაგიკული და მარადიული მიწიდან. უკვე აღარც უყურებს ხოლმე, ველარც ამჩნევს, ისევე, როგორც ხეებს, რომელთა შორის დარჩენილი ღრიჭოდანაც ქუჩას გასცქერის და სიბნელეს — ბინდის დადგომას ელოდება. კაბინეტშიც და საერთოდ, მთელ სახლშიც უკვე წყვდიადი გამეფებულა, თვითონ კი დაძაბული ელის იმ წუთს, როცა ცა მთლიანად დაიწრიტება სინათლისგან და უკუნეთ ღამეს მხოლოდ ის სუსტი შუქილა გაანათებს, დღის განმავლობაში რომ შეუწოვიათ ფოთლებსა და ბალახის ღეროებს და ახლა ჯიუტად ასხივებენ. ***ცოტალა დარჩა*** ფიქრობს ის; ***ცოტა*** საკუთარ თავსაც ვერ უტყდება — ღირსების, სიამაყისა და სიცოცხლის ნატამალი ჯერ კიდევ არ გამქრალა ბოლომდეო.

როცა ბაირონ ბანჩი შვიდიოდე წლის წინ ჯეფერსონში ჩამოვიდა და ის პატარა აბრა დაინახა — ***გეილ ჰაითაუერი ღ. დ. ხატვის ხატვის გაკეთილები საშობაო ბარათები და ფოტოსურათების გამოსავნება*** — ნეტავი ეს ღ. დ. რაღას უნდა ნიშნავდესო? — გაიფიქრა. მერე გაიკითხ-გამოიკითხა და უთხრეს — რას ნიშნავს და ღვთის დაწყევლილსო. ყოველ შემთხვევაში, ჯეფერსონში მაინცო. ისიც უამბეს, სემინარიის დამთავრების შემდეგ ჰაითაუერი პირდაპირ ჯეფერსონში რომ ჩამოსულა, თურმე ყველა სხვა წინადადებაზე უარი უთქვამს და ვინ იცის, რა ღონე აღარ უხმარია, რა საშუალებებისთვის არ მიუმართავს, რათა როგორმე სწორედ ჯეფერსონში გაენაწილებინათ. ბოლოს, საწადელისთვის მართლაც მიუღწევია და ახალგაზრდა ცოლიც თან ჩამოუყვანია, მატარებლის ვაგონიდანვე უკვე აღგზნებული გადმოსულა, გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ხანშიშესულ ბატონებსა და ქალბატონებს, აქაური ეკლესიის ბურჯებს, თურმე სულ ერთსა და იმავეს უმეორებდა — მღვდლობა გადავწყვიტე თუ არა, იმ დღიდან მხოლოდ ჯეფერსონში ჩამოსვლაზე ვოცნებობდიო; რაღაცნაირი უცნაური სიხარულით ყვებოდა, რამდენი წერილი დაეწერა, რა მღელვარება გამოეევლო, ვიღას გავლენა არ გამოეყენებინა, ოცნება როგორმე სინამდვილედ რომ ექცია. ჯეფერსონელებს იმის ლაპარაკი სარფიანი გარიგებით კმაყოფილი და თავმომწონე ცხენებით მოვაჭრის აღტაცებას აგონებდა და, ალბათ, მართლაც ცხენით მოვაჭრეს თუ ჰგავდა მოხუცების თვალში, რადგან ისინი ცოტა არ იყოს, ცივად, გაოცებითა და ეჭვით უსმენდნენ; მართლაც, მისი ნალაპარაკევიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ჰაითაუერისთვის მთავარი ეკლესია და სამწყსო კი არ იყო, არამედ, მაინცა და მაინც, სწორედ ამ ქალაქში ცხოვრება. თითქოს ხალხს, ცოცხალ ადამიანებს, არავითარ ანგარიშს არ უწევდა და არც ის ანაღვლებდა, თივთონაც საჭირო და სასურველ კაცად ჩათვლიდნენ ჯეფერსონში თუ არა. ეტყობა, ახალგაზრდობითაც მოსდიოდა და ამიტომაც ცდილობდნენ მოხუცები სერიოზული რელიგიური საკითხებითა თუ ეკლესიისა და პირადად მისი ვალდებულებების შეხსენებით, რამენაირად გაენელებინათ ეს მხიარული აღტკინება. როგორც ბაირონს უამბეს, ახალგაზრდა მღვდელს თურმე ექვსი თვის შემდეგაც არ გაუნელდა აღგზნება, ექვსი თვის მერეც თურმე სულ ისევ სამოქალაქო ომზე, ომში მოკლულ თავის ცხენოსან ბაბუასა და ჯეფერსონში აბრიალებულ გენერალ გრანტის საწყობებზე ლაპარაკობდა, ვიდრე ყოველივე ამას, საერთოდ არ დაუკარგავს აზრი. თურმე, კათედრიდანაც იგივეს ქადაგებდა, უწინდებურად, თავისებურად აღტკინებული, და ქადაგებაც, მისი რელიგიაც, სიზმარს ემსგავსებოდა. ოღონდ, კოშმარს არა, რაღაც სხვას, განსხვავებულს, თავბრუდამხვევს, მოუხელთებელსა და გაცილებით უფრო სწრაფად ცვალებადს, ვიდრე სიტყვები ენაცვლებიან ბიბლიაში ერთიმეორეს; თითქოს ვერასდიდებით ვერ მოეხერხებინა რელიგიის, აზავთებული მხედრობისა და გაჭენებულ ცხენზე მოკლული ბაბუის ერთმანეთისგან გაცალკევება: ვერც კათედრაზე და ვერც პირად ცხოვრებაში — საკუთარ ჭერქვეშ. ის კი არა, შინ ალბათ არცკი ცდილობდაო — ფიქრობდა ბაირონი, ჩვეულებრივ ხომ სწორედ ასე ეპყრობა კაცი იმ ქალს, ვისაც თავის საკუთრებად თვლის, ვინც თავის საკუთრებად მიაჩნიაო; ეტყობა ქალებსაც ამიტომ მართებთ მეტი გონიერება და მოთმინება, ეტყობა, ამიტომაც უნდა მიეტევოთ კაცების წინაშე ისევ და ისევ კაცების გამო და კაცების საკეთილდღეოდ ჩადენილი ყველა შეცოდებაც, რადგან, ღმერთმა ხომ იცის, რა მძიმე ხვედრი და ტვირთია ცოლობაო. როგორც ბაირონს უამბეს, მღვდლის ცოლი ტანმორჩილი, თავიდან ერთი წყნარი გოგო ყოფილა — ქალაქს ლამის ხმაც არ გაუგონია მისი. თუმცა, ქალაქი იმასაც ამტკიცებდა, ჰაითაუერს მეტი პასუხისმგებლობა რომ გამო-

ეჩინა, ცოტა მეტად რომ შეეფერებინა და შეეშნოვებინა მღვდლობა და ოცდაათი წლის მერე დაბადებულს, მთელი თავისი ცხოვრება სულ იმ ერთი დღით არ ეცხოვრა, როცა ბაბუამისს გაჭენებულ ცხენზე დაახალეს ტყვია, აღარც იმის ცოლს გაუჭირდებოდა არაფერრიო. არადა, რაღაც რომ ნამდვილად უჭირდა, მეზობლები კარგად გრძნობენენ, ხშირად ესმოდათ ხოლმე მღვდლის სახლიდან ქალის ქვითინი — ნაშუადღევს, ანდა გვიან ღამით; თანაც, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდათ, ქმარს ამ საქმის არც შველა შეეძლო და არც გამოსწორება, რადგან წარმოდგენაც არა ჰქონდა, რისთვის უნდა ეშველა და რა უნდა გამოესწორებინა. ქალი თურმე ხშირად ეკლესიაშიც არ დადიოდა, იქ, სადაც მისი საკუთარი ქმარი ქადაგებდა; კვირა დღესაც კი აცდენდა ხოლმე წირვა-ლოცვას, მღვდლის შემხედვარე ჯეფერსონელებს კი ვერ გაეგოთ, ისიც ამჩნევდა ცოლის არყოფნას თუ ვერა, საერთოდ თუ ახსოვდა მისი არსებობა. მაღლა, კათედრაზე იდგა, აღგზნებული იქნევდა ხელებს და ქადაგებისთვის ამორჩეული დოგმატიც ერთიანად დაეპყრო გაჭენებულ ცხენებს, დამარცხების ტკივილს და დიდებაზე ოცნებას; ქუჩაშიც ასე ემართებოდა თურმე: როცა ვინმე ნაცნობს ცხენებზე ჩამოუგდებდა სიტყვას, პირიქით, თავისდა უნებურად ცოდვათა მიტევებასა და მებრძოლ სერაფიმთა გუნდებზე ქადაგებას იწყებდა ხოლმე. მანამდე გრძელდებოდა ასე, ვიდრე დარბაისელმა მოქალაქეებმა არ დაასკვნეს, ღვთის სახლში, საღვთო დღეს წარმოთქმული ეს ქადაგებანი, წმინა წყლის მკრეხელობაა და სხვა არაფერრიო.

ბაირონს ისიც უამბეს, ჯეფერსონში ერთი წლის ცხოვრების მერე, თანდათანობით როგორ გაეყინა მზერა მღვდლის ცოლს. სტუმრად მისულ ქალებსაც, თურმე, მარტო ჰაითაუერი ეგებებოდა ხოლმე, აშკარად დაბნეული და აღელვებული, პიჯაკის ჩაცმასა და საყელოს გაკეთებასაც ვერ ასწრებდა და თითქოს ვერ ხვდებოდა, რა უნდოდათ, რისთვის მისდგომოდნენ ჯეფერსონელი ქალები შინ ან თვითონ რა ევალებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, როგორ უნდა დაეჭირა მათთან თავი. როდის როდის შეიპატიჟებდა ხოლმე, ბოდიშს მოიხდიდა და ოთახიდან გავიდოდა. სახლში სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურა, საკვირაო კაბებში გამონყობილი სტუმრები ხან ერთმანეთს გადახედავდნენ, ხან ოთახს მოავლებდნენ ხოლმე თვალს და აყურადებდნენ, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მერე მღვდელიც შემობრუნდებოდა — უკვე სათანადოდ ჩაცმული, დამშვიდებული — დაჯდებოდა და აქეთურ-იქეთურზე, ეკლესიასა თუ ჯანმრთელობაზე გაუბამდა მასლაათს; ქალებიც ხალისიანად და მშვიდად პასუხობდნენ, ოღონდ უწინდებურად ერთთავად რაღაცას აყურადებდნენ და თან, ჩუმ-ჩუმად, კარისკენაც გააპარებდნენ ხოლმე თვალს, იქნებ იმასაც ფიქრობდნენ, ნეტავი თვითონაც თუ ხვდება, თვითონაც თუ იცის ის, რისი ეჭვიც ჩვენ გაგვჩენიაო.

მალე კი, ქალებმა საერთოდ ამოიკვეთეს იქედან ფეხი. მღვდლის ცოლს ახლა უკვე ქუჩაშიც ველარ ხედავდნენ. მღვდელს კი მაინც ქველებურად ეჭირა თავი, ვითომც არაფერი, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ზოგჯერ, ერთი-ორი დღით, ცოლს ქალაქიდანაც ამგზავრებდა ხოლმე; რამდენჯერმე ნახეს, უთენია როგორ ადიოდა დილის მატარებელში, სახე გაძვალტყავებოდა, ჩამოგრძელებოდა, ნაშიმშილარს მიუგავდა, თვალებშიც ისევ ის გაყინული მზერა ჩარჩენოდა — თითქოს გიყურებს და ვერ კი გხედავსო. ქმარი ამბობდა, სამხრეთში, ნათესავების მოსანახულებლად წავიდაო, იქამდე ამბობდა ასე, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მემფისში საყიდლებზე ჩასულმა ჯეფერსონელმა ქალმა არ დაინახა, როგორ შევიდა ჩქარი ნაბიჯით იქაურ სასტუმროში. ის ქალი შაბათს დაბრუნდა შინ და არც ნანახის მოყოლა დაუყოვნებია. მაგრამ, მეორე დილას ჰაითაუერი ისევ ჩვეულებისამებრ იდგა კათედრაზე და, ვითომც არაფერი, რელიგია და გაჭენებული ცხენოსნების რაზმი ისევ ჩვეულებისამებრ არეულიყო ერთმანეთში. ცოლი ორშაბათს ჩამოვიდა და მომდევნო კვირა დღეს, ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ, პირველად მივიდა ეკლესიაში, უჩუმრად, უხმაუროდ შეიძურწა და მარტოკა ჩამოჯდა სკამზე, სულ ბოლო რიგში. ცოტა ხანს ყოველ კვირას დაიარებოდა. მერე, ისევ სადღაც გაემგზავრა (ივლისი იდგა, მიწას ცეცხლი ეკიდა), ჰაითაუერმა, ახლაც ნათესავებს ესტუმრა, აქაურ სიცხეს გაერიდაო; მოხუცებს, მოხუც ქალებს, მისი შემხედვარე ვერა და ვერ გაეგოთ — თვითონაც სჯეროდა საკუთარი ნათქვამი თუ არა, ახალგაზრდები კი ჩუმ-ჩუმად რაღას არ ჭორაობდნენ.

მართლაც, ვერავინ იტყოდა, სჯეროდა თუ არ სჯეროდა, ანდა, საერთოდ თუ აღელვებდა ცოლის ავანჩავანი, რადგან იმას თავისი აწუხებდა, ვერა და ვერ გაემიჯნა ერთმანეთისგან რელიგია და გაჭენებულ ცხენზე ტყვიით განგმირული ბაბუა, თითქოს ბაბუისაგან მისთვის გადასაცემი თესლიც იმ ღამეს, იმ ცხენზე მომკვდარიყო და დროც სწორედ იქ, სწორედ მაშინ გაჩერებულიყო თესლისათვის, მას მერე, თითქოს საერთოდ არც მომხდარიყო არაფერი, თვითონაც კი არ დაბადებულიყო ამქვეყნად.

ცოლი შუა კვირაში დაბრუნდა. ისევ ჰაპანაქება სიცხე იდგა; მოხუცები ირწმუნებოდნენ, ასეთი ცხელი ივლისი ჯერ არ ახსოვს

ჯეფერსონსო. კვირას ისევ მივიდა ეკლესიაში, ისევ დაიკავა თავისი ადგილი, ისევ მარტო დაჯდა ბოლო რიგში. შუა ქადაგების დროს, უეცრად ფეხზე წამოიჭრა და აკივლდა, ყურისწამღებად გაჰკიოდა რაღაც გაუგებარს და თან მუშტებს უღერებდა კათედრას, სადაც მისი ქმარი იდგა, ენაჩავარდნილი, ოდნავ წინ გადმოხრილი, ხელებაწვდილი და გაქვავებული. შორიახლოს მჯდომი რამდენიმე კაცი მღვდლის ცოლის დაშოშმინებას შეეცადა, მაგრამ ქალი არ დამორჩილდა, აკივლებული სკამებს შორის ვიწრო გასავლელში გამოენთო და ახლა იქიდან დაუწყო მუშტების ქნევა ქმარს, ოდნავ წინგადმოხრილს, ხელაპყრობილს, იმ მოგუგუნე და ალეგორიული ხილვებით შეძრწუნებულსა და სახეშეშლს, საიდანაც ძალით, დროზე ადრე გამოერკვიათ. დაბეჯითებით მაინც ვერავინ იტყოდა, ქმარს უღერებდა მუშტს თუ ღმერთს. მერე ქმარი კათედრიდან ჩამოსულა, მიახლოვებია და ქალიც მაშინვე გაჩუმებულა, უხმოდ გაჰყოლია ეკლესიიდან, ყველამ გააყოლა თვალი და იქამდე უცქერდნენ თურმე, ვიდრე ეკლესიის ზედამხედველს ორღანისტისათვის არ უნიშნებია — რაღას უცდი, დაუკარიო. იმ დღეს ქალაქის მესვეურნი ცალკე შეიკრიბნენ. არავინ იცოდა, რა ითათბირეს და ილაპარაკეს. ის კი დაინახეს, ცოტა ხანში ჰაითაუერიც რომ დაბრუნდა, ეკლესიის საცავში შევიდა მოთათბირეებთან და იმანაც ზურგსუკან მოიხურა კარი.

არავინ იცოდა, რა ხდებოდა. მერეღა გაირკვა, ეკლესიას თანხა რამ გამოეყო თურმე ჰაითაუერის ცოლის სანატორიუმში გასაგზავნად და სამკურნალოდ; ჰაითაუერმა ცოლი თვითონვე წაიყვანა, მალევე დაბრუნდა უკან და მომდევნო კვირას, ჩვეულებისამებრ იქადაგა. მეზობელი ქალები, ადრე სათოფეზედაც რომ არ ეკარებოდნენ მღვდლის სახლს, ახლა სიკეთეს იჩენდნენ და ხანდახან თეფშით რამე მოსაკითხს გადაუტანდნენ ხოლმე, მერე კი, სულ იმას ლაპარაკობდნენ ერთმანეთშიც და ქმრებთანაც, თუ რა არეულობა სუფევდა მღვდლისას და როგორ ნადირივით იკვებებოდა უპატრონოდ დარჩენილი ჰაითაუერი — მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი შეაწუხებდა, მხოლოდ იმით, რასაც შემთხვევით მოიხელთებდა. ყოველ ორ კვირაში ერთხელ ცოლის დასახედად მიემგზავრებოდა, კვირაობით კი, კვლავინდებურად კათედრაზე მდგომს, ისევ არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა. ცნობისმოყვარე და კეთილი ადმაიანები ცოლის ამბავს ეკითხებოდნენ ხოლმე და ისიც გულწრფელად ემადლიერებოდა ყურადღებისათვის. მერე კი, კვირას, ისევ კათედრაზე ასული, ძველებურად უქადაგებდა გაოცებულსა და შეურაცხყოფილ მრევლს, ძველებურად იქნევდა ხელებს

და მის მჭექარე, აღტკინებულ, დაძაბულ სიტყვებშიც აჩრდილებივით ირეოდა ერთმანეთში ღმერთი, სულის ხსნა, ცხენების ფლოქვთა თქარათქური და მოკლული ბაბუა. შემოდგომაზე ცოლი სანატორიუმიდან დაბრუნდა. უკეთ გამოიყურებოდა. თითქოს ცოტა მოსუქებულიყო კიდეც. თუმცა, სხვაგვარადაც შეცვლილიყო: განწმენდილს ჰგავდა, ყოველ შემთხვევაში, გამოღვიძებულს მაინც. მოკლედ, ახლა მართლა ისეთი გახლდათ, როგორიც მუდამ უნდოათ ეხილათ ჯეფერსონელ მანდილოსნებს, როგორიც უნდა ყოფილიყო კიდევაც, მათი ღრმა რწმენით, მღვდლის მეუღლე. ეკლესიაში ქადაგებებსა თუ წირვა-ლოცვას აღარ აცდენდა. ქალებმაც განუახლეს სტუმრობა, ის კი არა, ზოგჯერ თვითონაც ეწვეოდა ხოლმე ვინმეს, ოღონდ, შინ და გარეთ, სულ მუდამ ერთნაირად ხმაგაკმენდილი, დამორცხვებული იჯდა და უსიტყვოდ უსმენდა კეთილმოსურნე ქალების შეგონებებს: როგორ გაძღოლოდა ოჯახს, როგორ ჩაეცვა და დაეხურა, როგორი სადილი მოემზადებინა ქმრისთვის.

ერთი შეხედვით, ქალაქმა თითქოს შეუნდო და აპატია კიდეც. კაცმა რომ თქვას, არავითარი ცოდვა თუ დანაშაული ხმამაღლა ნახსენები არც ყოფილა და, ცხადია, არც რამე მსჯავრი დაუდვიათ მისთვის. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ძნელი დასაჯერებელი იყო, ვითომც მანდილოსნებს ბოლომდე დაევიწყათ ის ადრინდელი, საიდუმლოებით მოცული მგზავრობები, რომელთა საბოლოო სადგურიც მემფისი გახლდათ და რომელთაც, საერთო რწმენით, მხოლოდ ერთადერთი მიზანი შეიძლებოდა ჰქონოდა, თუმცა, ეს რწმენა სიტყვად არავის უქცევია, არავის გამოუთქვამს ხმამაღლა, რადგან ქალაქს ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა, პატიოსანი ქალები არაფერს, არც ავსა და არც კარგს, იოლად რომ არ ივიწყებენ, არ ივიწყებენ, რათა უფრო დიდხანს შეინარჩუნონ პატიების გემო და სურნელი სინდისის სასაზე. ქალაქი დარწმუნებული იყო, მანდილოსნებმა სიმართლე იცოდნენ, დარწმუნებული იყო, რადგან ისიც კარგად მოეხსენებოდა, სიგლახემ მხოლოდ ცუდი ქალი რომ შეიძლება გააბრიყვოს, რაკი იმას ხანდახან მაინც უხდება საკუთარ სიფხიზლესა და ეჭვიანობაზე თვალის დახუჭვა. სათნო ქალი კი არასოდეს გაბრიყვდება; მართლაც, თუკი სათნოა და პატიოსანი, საკუთარ თუ სხვის პატიოსნებაზე საზრუნავად და თავის ასატკიებლად ფუჭად აღარ ფლანგავს დროს და ამდენად, უცბად, იოლად, ძალდაუტანებლად შეუძლია ყნოსვით მიაგნოს ცოდვის ბუდეს. ქალაქის აზრითაც, სწორედ ეს იყო მიზეზი, სიკეთე ლამის ყოველთვის რომ ახერხებდა მის შეცდომაში შეყვანას და ბოროტებადაც ესახებოდა ხოლმე, მაგრამ აი თავად

სიგლახე კი, ნურას უკაცრავად, ვერასდიდებით ვერ მოატყუებდა. ჰოდა, როცა ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ მღვდლის ცოლი ისევ გაემგზავრა სადღაც და ქმარმაც ისევ ძველი სიმღერა წამოიწყო — ნათესავებთან მიდის სტუმრადო — ქალაქს ეჭვიც აღარ შეჰპარვია, ბოლოს და ბოლოს, მღვდელსაც ახელია თვალიო. ასეა თუ ისე, ქალი მალე მაინც შინ დაბრუნდა. მღვდელიც, ვითომ არაფერი მომხდარაო, ძველებურად აგრძელებდა საკვირაო ქადაგებებს, ძველებურად მოივლიდა ხოლმე ნაცნობებს, ძველებურად მოინახულებდა ავადმყოფებს და ეკლესიის საჭირბოროტო საქმეებზეც ძველებურად მსჯელობდა. ოღონდ, მის ცოლს უკვე საბოლოოდ ასცრუებოდა ეკლესიაზე გული, მალე ჯეფერსონელმა მანდილოსნებმაც ისევ მიანებეს თავი მასთან სტუმრობას და ისევ მოიკვეთეს, ისევ შეაქციეს ზურგი. უახლოესი მეზობლებიც ვეღარსად ხედავდნენ შინიდან გამოსულ ქალს. ცოტა ხანი ყველას ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ქალი იქ აღარც ცხოვრობდა, თითქოს ყველანი უსიტყვოდ შეთანხმებულიყვნენ კიდეც ამ საკითხზე, თითქოს ერთხმად გადაეწყვიტათ, ჩვენი მღვდელი საერთოდ უცოლოაო. ის კი, ყოველ კვირას უკითხავდა მრევლს ქადაგებას და უკვე აღარ ამბობდა, ჩემი ცოლი ნათესავების მოსანახულებლად გაემგზავრაო. ქალაქი ფიქრობდა, იქნებ ასე ურჩევნიაო და, იქნებ მართლაც უხაროდა, ტყუილის თქმა რომ აღარ სჭირდებოდა.

მოკლედ, კაციშვილს არ დაუნახავს, როგორ ჩაჯდა მღვდლის ცოლი მატარებელში იმ საბედისწერო პარასკევს ან იქნებ, შაბათსაც. აი, კვირა დილის გაზეთი კი ყველამ ნახა, კვირის გაზეთში ეწერა სწორედ, როგორ გადმომხტარა თუ გადმოვარდნილა შაბათ საღამოს ქალი მემფისის სასტუმროს ფანჯრიდან და როგორ გათავებულა ადგილზევე. ნომერში ვიღაც მთვრალი კაციც ყოფილა მასთან ერთად. ის კაცი მაშინვე დაუპატიმრებიათ. სხვისი გვარით ცოლქმრად გაფორმებულიყვნენ. მაგრამ, პოლიციას ქალის ნამდვილი სახელისა და გვარის დადგენა იოლად მოუხერხებია — თავისი სახელი და გვარი თვითონვე დაუწერია ქაღალდის ნაგლეჯზე, მერე ის ნაგლეჯი დაუქუცმაცებია და ნაკუწები საქაღალდე კალათში ჩაუყრია. გაზეთებმაც სწორედ ნამდვილი სახელითა და გვარით მოისხენიეს — ჯეფერსონელი მღვდლის, ღირსი გეილ ჰაითაუერის მეუღლე მისისიპის შტატიდანო. გაზეთში ისიც ეწერა, როგორ დაურეკავთ რედაქციიდან დაღუპულის ქმრისთვის ღამის ორ საათზე და როგორ განუცხადებია იმას, არაფერი მაქვს სათქმელიო. კვირა დილით ეკლესიასთან მისულ ჯეფერსონელებს კი ეკლესიის ეზო რეპორტიორებით დაუხვდათ სავსე, ეკლესიისა და მღვდლის სახლის სურათებს

იღებდნენ გამალებულნი. მერე ჰაითაუერიც მოსულა. რეპოტიორები ამაოდ ცდილან მის შეჩერებას, ეკლესიაში შესულა და პირდაპირ კათედრისკენ დაუღერებია თავი. ხანშიშესული ქალბატონები და რამდენიმე ხანშიშესული ბატონიც უკვე თავთავიანთ ადგილებზე მსხდარან, შეძრწუნებულნი და შეურაცხყოფილნი არა იმდენად მემფისში დატრიალებული უბედურებით, რამდენადაც რეპორტიორთა შემოსევით. მაგრამ როცა ჰაითაუერი კათედრაზე ასეულა, რეპორტიორთა არსებობაც კი დავიწყნიათ. ჯერ ქალბატონები წამოშლილან და გასავლელისკენ დაძრულან, მერე მათ მამაკაცებით მიჰყოლიან და თუ კათედრაზე ხელებდაყრდნობილ, გადაშლილი ბიბლიისკენ ოდნავ წინგადმოხრილ, თავაწეულ მღვდელსა და ბოლო რიგში გვერდიგვერდ ჩამოსმხდარ მემფისელ რეპორტიორებს არ ჩავთვლით (ისინი ფეხდაფეხ შეჰყოლიან ეკლესიაში მღვდელს), ეკლესია მთლიანად დაცარიელებულა. ხალხი ამბობდა, ჰაითაუერი არც კი უყურებდა, როგორ სტოვებდა მრევლიო; საერთოდ არაფერს არ უყურებდაო.

სხვაც ბევრი რამ უამბეს ბაირონს; უამბეს, თუ როგორ ფრთხილად დაუხურია, ბოლოს და ბოლოს, მღვდელს ბიბლია, როგორ ჩასულა დაცარიელებულ ეკლესიაში, როგორ გაუვლია სკამებს შორის, ისე, რომ თავისი მრევლისა არ იყოს, ერთხელაც არ გაუხედავს თურმე რეპორტიორებისაკენ, და ეკლესიიდან გამოსულა. გარეთ რამდენიმე ფოტოგრაფი უცდიდა. წინდაწინვე გაეწყოთ აპარატები და თვითონაც შავი ნაჭრების ქვეშ შემალულიყვნენ. მღვდელი, ეტყობა, ამ ამბავს მოელოდა. მოელოდა, რადგან ეკლესიიდან სახეზე ფსალმუნაფარებული გამოსულა. მაგრამ, თავის მხრივ, ფოტოგრაფებსაც გამოუჩენიათ წინდახედულება. ჭკუაში მოუტყუებიათ მღვდელი. ალბათ, ისიც გამოუცდელი იყო და მაინცდამაინც არ გასჭირვებიათო, ასე უთხრეს ბაირონს. ერთ-ერთ ფოტოგრაფს თავისი აპარატი სხვებისგან მოშორებით, გვერდზე დაედგა, მღვდელმა ის საერთოდ ვერ შეამჩნია, ანდა, თუ შეამჩნია, უკვე ძალიან გვიან, პირდაპირ მიშვერილ აპარატებს კი დაემალა, მაგრამ მეორე დღეს მაინც დაიბეჭდა გაზეთებში იმისი ფოტო, სწორედ გვერდიდან გადაღებული — კიბის საფეხურზე დგას, სახეზე ფსალმუნი აუფარებია, ტუჩები ისე გადასჭიმვია, გეგონებათ იღიმებაო, მაგრამ სინამდვილეში კბილი კბილზე მაგრად დაუჭერია და ძველ გრავიურებზე გამოსახულ სატანასა ჰგავს. მეორე დღეს ცოლი ჩამოუსვენებია და დაუმარხავს. ღამის მთელი ქალაქი დასწრებია დაკრძალვას. არც სულის მოსახსენებელი წირვა ჩაუტარებიათ, არც პანაშვიდი გაუმართავთ ეკლესიაში — პირდაპირ სასაფლაოზე მიუსვენებიათ მიცვალებული და ჰაითაუერს

ბიბლია რომ გადაუშლია, სწორედ იმ დროს მიახლოვებია სხვა მღვდელი და წიგნი გამოურთმევია. ხალხი, ძირითადად ახალგაზრდობა, ჰაითაუერის წამოსვლის შემდეგაც დარჩენილა ცოტა ხანს სასაფლაოზე, იდგნენ თურმე და უხმოდ დასცქეროდნენ საფლავს.

მერე სხვა, ახლომდებარე ეკლესიების მრევლმაც შეიტყო, როგორ უთხოვიათ თავისიანებს ჰაითაუერისათვის გადადგომა და როგორ ცივ უარზე დამდგარა თვითონ. მომდევნო კვირას ბევრნი მოსულან სეირის საცქერლად. ჰაითაუერი ჩვეულებისამებრ შესულა ეკლესიაში. მთელი მისი მრევლი, როგორც ერთი კაცი, მაშინვე წამოშლილა. ეკლესიაში მხოლოდ მღვდელი და სასეიროდ მოსულებიღა დარჩენილან. ისიც ამდგარა და მათთვისაც ისე უქადაგია, როგორც საერთოდ ქადაგებდა ხოლმე: თავისებური ზეიმური მრისხანებით, რასაც მისიანები მკრეხელობად უთვლიდნენ, ახალ მსმენელებს კი წმინდა წყლის სიგიჟედ მოეჩვენათ.

მოკლედ, ცოცხალი თავით არსად წასვლას არ აპირებდა. ქალაქის მესვეურთ საეკლესიო საბჭოსთვის უთხოვიათ მისი გაწვევა. მაგრამ იმ ამბის, გაზეთებში გამოქვეყნებული ფოტოებისა და საერთოდ, მთელი დავიდარაბის შემდეგ, არც ერთი სხვა ქალაქი არ იყო მისი მიმღები. არა, პირადად ჰაითაუერის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო — ასე ირწმუნებოდა ყველა. უბრალოდ, უიღბლო ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებულიო. ხალხმაც ეკლესიაში სიარულს თავი მიანება. იმათაც, სხვა მრევლის წევრებსაც, ვისაც ცოტა ხანს ცნობისმოყვარეობა დაატარებდა, მალე მობეზრებიათ სეირის ცქერა; ახლა ჰაითაუერი, მხოლოდ და მხოლოდ, შეურაცხყოფდათ. თვითონ კი, ყოველ კვირა დღეს, მაინც დანიშნულ დროს გამოცხადდებოდა ხოლმე, კათედრაზე ავიდოდა თუ არა, მრევლიც წამოიშლებოდა და გარეთ გამოეფინებოდა, მხოლოდ უსაქმურები და მოსეირეები თუ შექუჩდებოდნენ ეკლესიის ეზოში და უსმენდნენ, როგორ ქადაგებდა და ლოცულობდა ცარიელ ეკლესიაში. ერთ მშვენიერ დღეს კი ეკლესიის კარი ჩარაზული დაუხვდა, ეზოში მოგროვილმა სეირის მოყვარულებმა, ვისაც ცხოვრებაში ერთხელაც არ გადაედგათ ფეხი ეკლესიის ზღურბლზე, დაინახეს, როგორ მიაწვა კარს, მერე ხელი ჩაიქნია, ბედს შეეგუა და იქვე, კარებთანვე გაირინდა თავაწეული; შორიახლოს პატარა ბიჭებიც ირეოდნენ, ჯერ მომხდარის არსს რომ ვერ ჩასწვდენოდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა, ოღონდ ტანით კი გრძნობდნენ რაღაცას და გაკვირვებულნი, თვალებგაფართოებულნი მისჩერებოდნენ ჩარაზული კარის წინ გაქვავებულ კაცს. მეორე დღესღა შეიტყო ქალაქმა, როგორ მისულა ჰაითაუერი ქალაქის მესვეურებთან და,

ეკლესიის საკეთილდღეოდ, როგორ უთქვამს უარი თავის კათედრაზე.

ქალაქს გაუხარდა კიდეც, ოღონდ გულიც დასწყდა, ხალხს მღვდელიც ისევე შეეცოდა ახლა, როგორც სხვაც ბევრი შესცოდებია ადრე, ვისი სიჯიუტეც, ბოლოს და ბოლოს, მაინც გაუტეხია და ვისთვისაც ძალად მოუხვევია თავს საკუთარი ნებასურვილი. რაღა თქმა უნდა, ეჭვიც არ შეეპარვია არავის, ჰაითაუერი ქალაქიდანაც აიკრავს გუდა-ნაბადსო, ეკლესიამ ფულიც კი შეუგროვა სამგზავროდ და ახალ ადგილზე დასაბინავებლად. მაგრამ, იმას ფიქრშიც არ გაუვლია ქალაქიდან წასვლა. ბაირონს უამბეს, შეურაცხყოფაზე მეტად, თურმე შიშს მოუცავს ქალაქი, როცა გაუგია, ჰაითაუერმა ერთ მიყრუებულ ქუჩაზე პატარა სახლი იყიდაო, სწორედ ის სახლი, სადაც დღემდე ცხოვრობს კიდეც; ქალაქის მესვეურებს ერთხელ კიდევ დასჭირდათ შეკრება, ასე ამბობდნენ თურმე, ჩვენ თანხა სამგზავროდ შევუგროვეთ და რაკი ფული სხვა მიზნით დაუხარჯავს, ცხადია, მოვუტყუებივართო. მივიდნენ და პირდაპირ უთხრეს სათქმელი. ჰაითაუერს ბოდიში მოუხდია; მერე ოთახიდან გასულა და შეგროვილი თანხა გამოუტანია, მისხალ-მისხალ ჩაუთვლია და თან, ზუსტად იმავე კუპიურებით. ქალაქის მესვეურნი ფულის გამორთმევაზე თურმე თავიდან უარს ეუბნებოდნენ, ვითომ მხოლოდ იმის გაგება გვწადია, სახლი რა სახსრებითა და საშუალებით შეიძინეო, მაგრამ ეს ამბავი ჰაითაუერს არასდიდებით არ გაუმხელია მათთვის. ასე რომ, როგორც ბაირონს უამბეს, მეორე დღეს ისეთი ხალხიც გამონახულა, ვინც ამტკიცებდა — მაგას ცოლის სიცოცხლე ჰქონდა დაზღვეული, ვიღაცა მოისყიდა ქალის მოსაკლავად და ფული ჩაიჯიბაო. თუმცა, ყველამ იცოდა, სისულელე რომ იყო ამის ლაპარაკი — იმათაც, ვინც ლაპარაკობდა, იმათაც, ვინც სხვის ნათქვამს ბრმად იმეორებდა და იმათაც, ვინც უაზრო ლაყობობას უგდებდა ყურს.

ჰაითაუერი კი ჯეფერსონიდან ფეხს არ იცვლიდა. მერე, ერთ დღეს, პატარა აბრაც გაჩნდა, მისი ხელით შეკონწიწებული, წარწერაც თვითონ გაეკეთებინა ზედ და წინა ეზოში დაედგა. სწორედ ამ აბრამ მიახვედრა ყველა, არსად რომ არ აპირებდა წასვლას. მაშინ ჯერ კიდევ ჰყავდა მზარეული, ერთი ზანგი დედაკაცი. როგორც ბაირონს უთხრეს, ეს მზარეული ლამის ჯეფერსონში დასახლების პირველივე დღიდან ჰყოლია, მაგრამ დაქვრივდა თუ არა, ქალაქსაც თითქოს მხოლოდ მაშინ ახელია თვალი ერთბაშად და მაშინღა დაუნახავს მზარეულის ქალობა, მაშინღა უაზრია, ისა და ჰაითაუერი მთელი დღე მარტონი რომ იყვნენ ერთ ჭერქვეშ. ცოლი ჯერ არცკი გაციებულიყო სამარცხვინო სამარეში, როცა ეს მოთქმა-მოთქმა დაწყებულა.

რაღას არ ლაპარკობდნენ: ცოლს თვითონვე უბიძგაო შეგნებულად სიგლახისკენ და თვითმკვლელობისკენ, რადგან უვარგისი ქმარი იყო, უვარგისი კაცი, ხოლო ყველაფრის თავი და თავი კი სწორედ ის ზანგი დედაკაცი ბრძანდებოდაო. დაიწყო და რა დაიწყო! თითქოს მხოლოდ ამასღა ელოდებოდნენ. ბაირონი მშვიდად უსმენდა ყველაფერს და გულში ფიქრობდა, რა ერთნაირია ხალხი ყველგან, თუმცა პატარა ქალაქში, სადაც ბოროტების ჩადენაც და დანაშაულის კვალის დაფარვაც უფრო ძნელია, ხალხს მაინც უფრო ეადვილება ბოროტების გამოგონებაც და სხვათათვის მიწერაც. მართლაც, ქალაქს მეტი ხომ არც სჭირდებოდა: ამ იდეამ, ამ ერთმა როყიოდ ნასროლმა სიტყვამ ერთბაშად დაიპყრო მისი გონება. ერთ დღესაც ჰაითაუერის მზარეულმა სამუშაოს თავი მიანება. თურმე, ღამით, ნაუცბათევად, ჰაიჰარად შენიღბული კაცები მივარდნიან ჰაითაუერს შინ და მზარეულის დათხოვნა უბრძანებიათ მისთვის. მერე ისიც ცნობილი გახდა, როგორ განუცხადებია ქალს — სამუშაოს ჩემი ნებით მივანებე თავი, რაკი ბატონი ღვთისა და ბუნების კანონის წინააღმდეგ მიბიძგებდაო. ოღონდ, იმასაც ამბობდნენ, ნიღბოსანი კაცების დაშინებულია და იძულებით მიუტოვებინებიათ მღვდლის ოჯახი: ის მზარეული ხომ ერთი ბნელი ზანგი დედაკაცი იყო, ქალაქში კი მართლა მოინახებოდა რამდენიმე ისეთი მაგარი ბიჭი, ვისაც არად ეპიტნავებოდა და არც მოითმენდა ღვთისა და ბუნების კანონის საწინააღმდეგო საქმეს; როგორც შედარებით ახალგაზრდა ხალხი ამბობდა, თუკი ზანგ დედაკაცს ღვთისა და ბუნების შეურაცხყოფად შეიძლებოდა მოსჩვენებოდა რამე, უარესს კაცის გონება მართლა ველარაფერს მოიფიქრებდა. ასეა თუ ისე, მღვდელმა ახალი მზარეული ქალი ველარ თუ აღარ აიყვანა. შეიძლება, იმ ღამეს ნიღბოსნებმა ყველა სხვა ზანგი დედაკაციც დააშინეს, ვინ იცის? მოკლედ, ცოტა ხანს თვითონვე იმზადებდა საჭმელს, სანამ არ შეიტყვეს, მზარეულად ახლა ვიღაც ზანგი ბერიკაცი ჰყავსო. უეჭველად, ამ ამბავმა მოულო ბოლო. იმიტომ, რომ იმავე საღამოს რამდენიმე კაცმა, ნიღბის გაკეთებაზედაც რომ არ დაუხარჯავთ ზედმეტად დრო, ის ზანგი შინიდან გამოათრია და კარგა მაგრადაც მიბეგვა. როცა მეორე დილით ჰაითაუერს გაეღვიძა, კაბინეტის ფანჯარა ჩამსხვრეული დაუხვდა, იატაკზე კი ბარათგამობმული აგური ეგდო — უბრძანებდნენ, მზის ჩასვლამდე გადაიკარგე ამ ქალაქიდანო — ხელს კუ კლუქს კლანი აწერდა. ჰაითაუერი მაინც არსად წასულა და მეორე დილას ვიღაც კაცმა უკვე ტყეში იპოვა, ქალაქიდან დაახლოებით ერთი მილის მოშორებით, ნაცემი და გონდაკარგული, ხეზე მიებათ.

არ უთქვამს, ვინ ჩააგდო ასეთ დღეში. ქალაქს მთელი ეს ამბავი

არაფრად ეჭაშნიკა, ვიღაცეები ესტუმრნენ კიდეც და სცადეს დაერწმუნებინათ, გამგზავრება აჯობებს შენთვისო, ეუბნებოდნენ, მეორედ შეიძლება შემოაკვდე კიდევაცო. ის კი, ცოცხალი თავით ქალაქიდან ფეხს არ იცვლიდა. თან, მომხდარზეც არ ძრავდა კრინტს, არავის ასახელებდა, მაშინაც კი არ გაუმხელია არაფერი, როცა ოფიციალურად შესთავაზეს ჩივილი. ესეც არ უნდოდა. არც ჩიოდა, არც მიდიოდა. და აი, უცებ, სრულიად მოულოდნელად, მთელი ეს აურზაური ხორშაკივით ჩადგა. თითქოს ქალაქი, როგორც იქნა, მოეგო გონს და მიხვდა, ჰაითაუერიც, სიკვდილმადე მისი ცხოვრების ნაწილი რომ უნდა ყოფილიყო, შეიძლებოდა იმათაც გამოენახათ საერთო ენა და დაზავებულიყვნენ. თითქოს მთელი ეს ამბავი უამრავი ადამიანის მიერ გათამაშებული პიესა იყოო, ფიქრობდა ბაირონი, ყოველ მათგანს ერთგულად, ბოლომდე შეესრულებინა კუთვნილი როლი და ახლა ყველას მშვიდობიანი თანაარსებობის უფლება მოეპოვებინაო. ქალაქმა მღვდელს თავი მიანება. ახლა, მხოლოდ ეზოსა ან ბაღში მოფუსფუსეს თუღა მოჰკრავდნენ შორიდან თვალს ანდა მკლავზე პატარა კალათწამოცმულს, საყიდლებზე გამოსულს, ზოგჯერ გამოელაპარაკებოდნენ კიდევაც. იცოდნენ, თვითონ რომ მზარეულობდა შინ, მარტო უძღვებოდა საოჯახო საქმეს და ცოტა ხანში, მეზობლებმა ისევ დაუწყეს მოსაკითხის გზავნა, უმთავრესად იმას იმეტებდნენ, რასაც ჩვეულებრივ უგზავნიან ხოლმე ხელმოკლე ოჯახებს, თუმცა, ეს მაინც საჭმელი იყო და თან, კეთილი გულით მოძღვნილიც. იმიტომ, რომ ოც წელიწადში ხალხს ბევრი რამე ავიწყდებაო — ხშირად ფიქრობდა ბაირონი. „ასე მგონია“, ფიქრობს ხოლმე ახლაც, „ჯეფერსონში ჩემს მეტმა არც იცის არავინ, როგორ ზის ყოველ ცისმარე დღეს, დაისიდან შუაღამემედე ფანჯარასთან. არავინ იცის, შიგნიდან როგორი სანახავია მისი სახლი. არც ის იციან, მე რომ ვიცი, თორემ ორივეს ქუჩაში გამოგვათრევდნენ და ერთს ლაზათიანადაც მიგვბეგვავდნენ, რადგან დამახსოვრებაზე დიდხანს, არც დავიწყება ეხერხება ხალხს“. ასე ფიქრობს, რადგან ჯეფერსონში დაბინავების შემდეგ, სამუშაოდან თავისუფალ დროს, სხვა რამის ნახვა და შეტყობაც მოახერხა.

ჰაითაუერი ბევრს კითხულობდა. ბაირონმა რაღაცნაირი გარინდული, მოკრძალებული შიშით დაათვალიერა მის კაბინეტში გამოფენილი წიგნები: რაღა არ იყო აქ, რელიგიური, ისტორიული თუ სამეცნიერო თხზულებები, რომელთა არსებობა არც კი სმენოდა არასდროს. ერთ დღეს, დაახლოებით ოთხი წლის წინ, ქალაქის განაპირას, ზუსტად მღვდლის სახლის უკან მდგარი ქოხიდან ვიღაც

ზანგს მიურბენია ჰაითაუერთან და უთქვამს — მიშველე, ჩემს ცოლს მშობიარობა ეწყებაო. ჰაითაუერს ტელეფონი არ ჰქონდა. ზანგი მეზობელთან გაუგზავნია, იქიდან რომ ეცადა ექიმთან დარეკვა. ფანჯრიდან ხედავდა თურმე, როგორ მისდგომია ზანგი მეზობლის ჭიშკარს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ეზოში შესულიყო, ცოტა ხანს უტკეპნია იქაურობა და მერე ფეხით გაჰყოლია ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ ქუჩას; ჰაითაუერმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, ფეხით რომ გაივლიდა ზანგი მთელ მანძილს, მერე ერთ ნახევარ საათსაც კიდევ დაკარგავდა ექიმის ძებნაში, თავისებურად, ზანგურად იბლუყუნებდა და იზოზინებდა, ვერ მოიფიქრებდა, ვინმე თეთრკანიანი ქალისთვის ეთხოვა, იქნებ ექიმს დაურეკოთო. ჰაითაუერი სამზარეულოში გასულა, უკვე გარკვევით ესმოდა თურმე ქოხიდან ქალის ღმუილი. მეტი ლოდინი აღარ შეიძლებოდა. სირბილით წასულა ქოხისაკენ; ქალი საწოლიდან გადმობობღებულიყო, რატომ და რისთვის, მერეც ვერ ათქმევინა ჰაითაუერმა, ოთხზე დამდგარიყო, ისევ საწოლზე აძრომას ცდილობდა და თან, სისხლისგამყინავად ღმუოდა. ქალი რომ საწოლზე დაუწვენია, იცოდე, წყნარად იწექიო, უბრძანებია, ცოტა შეუშინებია კიდეც, თვითონ კი ისევ შინისკენ გამოქცეულა, თაროდან რაღაც წიგნი აუღია, სამართებელი და ცოტა კანაფიც გამოუმძღვანიებია, ისევ ქოხში დაბრუნებულა და ქალი მოუმშობიარებია. ბავშვი მკვდარი დაბადებულა; ექიმს უთქვამს, ალბათ მაშინ დაშავდა, როცა ქალი საწოლიდან გადმოვარდაო. ჰაითაუერი ძალიან შეუქია და ქალის ქმარიც კმაყოფილი დარჩენილა.

„მაგრამ ეს ამბავი ძალიან სწრაფად მოჰყვა იმ სხვა ამბებს“, ფიქრობდა ხოლმე ბაირონი. „თხუთმეტი წელი კი გავიდა, მაგრამ, მაინც“. ეტყობა, მართლაც ასე იყო, რადგან ორიოდე დღის მერე ვიღაც-ვიღაცეებმა განაცხადეს, ბავშვი ჰაითაუერისა იყო და განზრახ მოკლაო. ბაირონს ღრმად სწამდა, თვითონვე რომ ეცინებოდა ამის მთქმელს საკუთარ გამონაგონზე. ისიც იცოდა, ქალაქს უკვე ჩვევად რომ გადაქცეოდა რაღაც-რაღაცეების გამოგონება შერცხვენილ მღვდელზე, მერე რა ვუყოთ, თავის გამონაგონზე თვითონვე თუ ეცინებოდა, ჩვეულება იმდენად ძველი და ჯიუტი გახლდათ — ვეღარაფრით ელეოდა, ვეღარაფრით ამბობდა უარს. „მუდამ ასეა“, ფიქრობს ბაირონი, „ჩვევად თუ იქცა რამე, მორჩა, მაშინვე ბრმავდება სიმართლისა და ჭეშმარიტების დასანახი თვალი“. ერთი საღამოც ახსოვს, ერთი საუბარი ჰაითაუერთან, როცა იმან უთხრა: „აქაურები კარგი ხალხია ბაირონ. რაც სჯერათ, უთუოდ უნდა სჯეროდეთ კიდეც, მით უმეტეს, ერთ დროს სწორედ მე ვიყავი

იმათი რწმენის მეუფეცა და მსახურიც, ერთდროულად. ვერც მე გამოვდგები მათი რწმენის შეურაცხმყოფელად და არც ბაირონ ბანჩს მართებს მათზე აუგის თქმა. იმიტომ, რომ ერთადერთი, რისი იმედიც კაცს შეიძლება ჰქონდეს, თანამოძმეთა შორის მშვიდად ცხოვრების უფლებაა“. მაშინ ბაირონს ახალი გაგებული ჰქონდა ჰაითაუერის ამბავი, ღამეული სტუმრობებიცა და საუბრებიც ჰაითაუერის კაბინეტში ახალი დაწყებული იყო, მაშინ ბაირონი ჯერ კიდევ იტეხდა თავს, ვერ გაეგო, რად დარჩენილიყო მისი თანამოსაუბრე ამ ქალაქში, რად არ გასცლოდა იმ ეკლესიას, რომელსაც უარეყო და მოეკვეთა. ერთხელ, ერთ საღამოს, ჰკითხა კიდეც.

„შენ თვითონ რატომ რჩები ხოლმე შაბათობით ფაბრიკაში, როცა სხვები ქალაქში ატარებენ დროს?“ კითხვა შეუბრუნა ჰაითაუერმა.

„რა ვიცი“, თქვა ბაირონმა. „ალბათ ესაა ჩემი ცხოვრება“.

„ჰოდა, ალბათ ჩემი ცხოვრებაც ესაა“, მიუგო ჰაითაუერმა მაშინ. „ახლა კი ვხვდები“, ფიქრობს ბაირონი, „ვხვდები. კაცს მომავალი განსაცდელის გაცილებით უფრო მეტად ეშინია, ვიდრე უკვე თავსდამტყდარი უბედურებისა. უმალ შეჩვეულ ჭირს ჩააფრინდება მაგრად, ორივე ხელით, ვიდრე რამეს შეცვლას გაბედავს. კიი. იცოცხლე, ბევრს ილაპარაკებს, რა სიამოვნებით გაექცეოდა, რა სიამოვნებით გაეცლებოდა ცოცხალ თანამოძმეებს, მაგრამ მოსვენებას ხომ სინამდვილეში მხოლოდ მკვდრები უკარგავენ? სწორედ მკვდრებს ვერ გაქცევია ვერსად, იმათ, თავიანთთვის რომ წვანან გულხელდაკრეფილნი და აზრადაც არ მოსდით მისი გაჩერება“.

მხედრებმა უკვე ჩაიქროლეს და უხმაუროდ შეერწყნენ ბინდბუნდს; ღამემ საბოლოოდ იძალა. ჰაითაუერი კვლავ კაბინეტის ფანჯარასთან ზის, ოთახში, ზურგს უკან, ისევ ბნელა. ქუჩის ნათურა ბუუტავს, ბუუტავს და მერე უეცრად აკაშკაშდება, ქარსდანატრებული ნეკერჩხლების ჩაკბეჩილი ჩრდილები თითქოს მსუბუქად ლივლივებენ აგვისტოს ღამეში. შორიდან სუსტად, თუმცა გარკვევით მოისმის ეკლესიიდან მომავალი საზეიმო გალობა, ხმა ტალღასავით მოიწევს წინ, ერთდროულად მკაცრი და მდიდარი, მორჩილი და ამაყი, აზვირთდება და ისევ უკან იხევს, ჰარმონიის მოქცევასა და უკუქცევას ჰგავს ზაფხულის გატრუნულ სიბნელეში.

მერე, უეცრად, ქუჩაში მომავალ კაცს დაინახავს. სამუშაო დღე რომ იყოს, ამ ფიგურას, ამ კონტურს, სულ იოლად იცნობდა იერითა თუ მიხვრა-მოხვრით, მაგრამ ახლა, კვირა საღამოს, როცა ბინდში ჩაძირულ კაბინეტში ჯერაც ისმის მოჩვენებითი ფლოქვების უხმო თქარათქურის გამოძახილი, აუღელვებლად და გულგრილად შესცქ-

ქერის ამ ჩია ლანდს, ის კი, უკანა ფეხებზე შემდგარი ცხოველის არამკარი, მოჩვენებითი ლირსებით მოიწევს წინ; იმ ღირსებით, რომლითაც ასე ბრიყვულად ამაყობს ადამიანი — ცხოველი და რომელიც, მაინც წამდაუწუმ ღალატობს ხოლმე — ხან მიზიდულობის ბუნებრივი კანონისა თუ ყინულის, ხან თავისივე გამოგონილი და შეკმნილი საგნების, მანქანებისა თუ ბნელში ჩასაფრებული ავეჯის, ხან კი ფატაკსა თუ ტროტუარზე დაყრილი საკუთარი საკვების ნარჩენების გამოისობით; აი, დაბალ აბრასაც ჩაუარა უკვე, ჭიშკარშიც გადმოუხვია, სახლს მოადგა, ჰაითაუერი კი წყნარად შესცქერის და ფიქრობს, რა მართლები იყვნენ ძველები, როცა მეომრისა და მეფის ატრიბუტად და სიმბოლოდ ცხენი აღიარესო. მერე, უცებ, სკამიდან წამოიწევს, თან ჩაბნელებული კარისკენ ბნელი ბილიკით მომავალ კაცს არ აშორებს თვალს, ისიც ესმის, ერთს როგორ წაიბორძიკებს ის კიბის ქვედა საფეხურზე და — ბაირონიაო — ამბობს. „კვირას ქალაქში რატომაა? ბაირონ ბანჩს რა უნდა კვირა ღამეს ქალაქში?“

- IV -

საწერ მაგიდას პირისპირ უსხედან. ოთახში უკვე შუქი ანთია, მწვანეთალფაქიანი ნათურა დგას მაგიდაზე. ჰაითაუერი ნათურასთან უფრო ახლოს, ძველებურ, მბრუნავ სავარძელში ზის, ბაირონი კი მაგარზურგიან, ხის უბრალო სკამზე ჩამომჯდარა. სინათლის უძრავი, ირიბი სვეტი არცერთს არ ეცემა სახეზე. ფანჯარა ღიაა და ოთახში სუსტად ისმის შორეული ეკლესიიდან მომავალი გალობა. ბაირონი მოღლილი, უხალისო ხმით ლაპარაკობს.

„საკვირველი ამბავი მოხდა. დღემდე მეგონა, თუკი საერთოდ სადმე დაემალება კაცი შარსა და დავიდარაბას, სწორედ იქ, ფაბრიკაში და თანაც შაბათ საღამოს დაემალება-მეთქი ყველაზე საიმედოდ. მით უმეტეს, ის სახლიც იწვოდა, ღამის ზედ ჩემ ცხვირწინ. მეც ჩვეულებრივად ვიჯექი და ვსადილობდი, ათასში ერთხელ თუ გამექცეოდა ხოლმე კვამლისკენ თვალი და ვფიქრობდი — „ამ საღამოს მაინც არ გაიჭაჭანებს აქ სულიერი, ამ საღამოს მაინც არავინ შემიშლის-მეთქი ხელს“. მერე, ერთხელაც რომ ავიღე თავი, ისიც დავინახე, იდგა, სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა, უკვე დაძახებასაც აპირებდა და ბოლოს მე არ შევრჩი ხელში?! მეც უკეთესი ველარაფერი მოვიფიქრე და რაც ვიცოდი, მისხალ-მისხალ ჩავუკაკ-

ლე“. ბაირონს ოდნავ შესამჩნევად ელრიჯება სახე. კი არ ელიმება, უბრალოდ წამით სიმწრისგან ექცევა ტუჩი, ეგაა და ეგ, მერე, ისევ უწინდელი სახით აგრძელებს თხრობას. „მაშინ რას ვიფიქრებდი, უარესი ჯერ წინ მელოდება-მეთქი“.

„ეტყობა, მართლაც რაღაც საოცარი მოხდა, რაკი ბაირონ ბანჩი კვირას ქალაქში დარჩენილა“, ამბობს ჰაითაუერი. „თუმცა რა? ქალი საქმროს ეძებდა, შენც ადექი და მოძებნაში დაეხმარე. მეტი რა უნდოდა, განა მაგიტომ არ გამოიარა ამხელა გზა ალაბამადან?“

„კი, არაფერი დამიმალავს. ეგ არაა საქმე. ჩამომისკუპდა იქ მუცელგაბერილი და თვალი აღარ მომაშორა, ისეთი თვალებით მომჩერებოდა, ძაან გულითაც რომ მდომოდა, ტყუილს ვერ ვეტყოდი. ჰოდა, მივედ-მოვედე ათას აბდაუბდას, თან ის კვამლის სვეტი მეჩხირებოდა წამდაუწუმ თვალში, თითქოს მარტო ჩემ გასაფრთხილებლად აწოწილიყო, მე მანიშნებდა — ენას კბილი დააჭირე, ბიჭოო, მე კი ჭკუა არ მეყო და ვერაფერსაც ვერ მივხვდი“.

„ჰოოო“, აგრძელებს ჰაითაუერი. „მაშ იმ სახლზე ამბობ, გუშინ რომ დაიწვა? კი, მაგრამ სახლი რა შუაშია?.. ვისი სახლი იყო? კვამლი მეც დავინახე, ვიღაც ზანგსაც ვკითხე ამბავი, ოღონდ ვერაფერი გამაგებინა“.

„ბარდენების ძველი სახლი დაიწვა“, პასუხობს ბაირონი. თან თვალს არ აშორებს მოსაუბრეს. ორივე ერთმანეთს შესცქერის დაჟინებით. ჰაითაუერი მაღალი კაცია, ოდესღაც, ეტყობა თხელიც იყო, თუმცა ახლა თხელი ნამდვილად აღარ ეთქმის. სახეზე მიტკლისფერი ადევს, წელსზევით ტანი ჰაიჰარად გავსებულ ტომარას მიუგავს, ვიწრო მხრებიდან კალთაში ჩაშვავებულს საკუთარი სიმძიმის წყალობით. მერე ბაირონი ისევ თავისას აგრძელებს — „მაშ თქვენ ჯერ არაფერი გაგიგიათ“. ჰაითაუერი თვალს არ აშორებს. ბაირონი ფიქრიანად ამბობს: „ეტყობა, ესეც ჩემი გასაკეთებელია. ეტყობა, ორ დღეში, მაინცდამაინც, მე უნდა ვაუწყო ორ ადამიანს ისეთი ამბები, რისი მოსმენაც არცერთს არ გაუხარდება, თუმცა, გაუხარდება კი არა...“

„რაა ეგეთი, რისი გაგებაც შენი აზრით არ გამეხარდება? რა არ გამიგია მაინც?“

„ხანძარზე არ ვამბობ“, პასუხობს ბაირონი, „ხანძარს ღვთის მადლით გადაურჩნენ“.

„გადაურჩნენ? განა მის ბარდენი მარტო არ ცხოვრობდა?“

ბაირონი ცოტა ხანს უსიტყვოდ შესცქერის. ჰაითაუერსაც მხოლოდ ყურადღება და ინტერესი აწერია სახეზე. „ბრაუნი და ქრისთმასი“. ამბობს ბაირონი. ჰაითაუერი ისევ უხმოდ მისჩერებია. „მაშ,

არც ეგ გაგიგიათ“, ამბობს ბაირონი. „ისინიც იქა ცხოვრობდნენ“.

„იმ სახლში? ქირით?“

„არა, სახლის უკან, ზანგების მიტოვებულ ქოხში. ქოხი ქრისთმასს შეუკეთებია ამ სამი წლის წინ. მას მერე თურმე იქ უცხოვრია, ჩვენ კი თავს ვიტეხდით, ვერ გაგვეგო, ღამეს სად ათევდა. მერე, როცა ისა და ბრაუნი შეამხანაგდნენ, ბრაუნიც თავისთან დაუბინავებია“. „ჰოოო“, ამბობს ჰაითაუერი. „კი, მაგრამ... თუკი თავს კარგად გრძნობდნენ და თან არც მის ბარდენი...“

„თავს, მე მგონი, მშვენივრად გრძნობდნენ. ვისკით ვაჭრობდნენ, იმ ძველ კარმიდამოს კი საწყობად და სამალავად იყენებდნენ. ქალმა ალბათ არც იცოდა — ვისკიზე ვამბობ. ყოველ შემთხვევაში, დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, იცოდა თუ არა. საქმე ქრისთმასს წამოუწყია, ჯერ მარტოკას, სამი წლის წინ, სულ რამოდენიმე მუდმივი მუშატარი ჰყოლია და ისინიც თურმე ერთმანეთს არ იცნობდნენ. მაგრამ მერე, ბრაუნიც რომ გაიყვანა წილში, იმას, ეტყობა, ფრთების გაშლა მოუნდა, ნებისმიერ ბნელ კუნჭულში პირდაპირ უბიდან ამოუძვრენდა და მიჰყიდდა ნახევარპინტიან ბოთლს ძაღლსა და მამაძაღლსო. იმას ჰყიდდა ალბათ, რაც თვითონ მორჩებოდა. მე მგონი, დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება იმის მიხვედრას, საქონელს როგორ და რა გზით შოულობდნენ. ახლაღა გაახსენდა ყველას, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, რაც ფაბრიკა მიატოვა და დილიდან დაღამებამდე იმ ახალი მანქანით დაქროდა აღმა-დაღმა უაზროდ, მთვრალი როგორ აწონებდა თურმე სადალაქოში შეყრილ ხალხს თავს, ქრისთმასის და თავის კაიკაცობაზე მიედ-მოედებოდა რაღაც-რაღაცეებს, როგორ უვაუკაციათ ერთ ღამეს მემფისში თუ სადღაც, მემფისის შორიახლოს, ბნელ გზაზე. ბუჩქებში დამალულ თავიანთ ავტომობილზეც გადაუკრავს სიტყვა, დამბაჩებზეც, ვიღაცის საბარგო მანქანაზეც, ათას გალონ სპირტზეც და რა ვიცი, რაღაზე არა. მერე სადალაქოში ქრისთმასიც შესულა ჩქარი ნაბიჯით, ჯიქურ მისდგომია და სკამიდან წამოუგდია. თავისებურად მშვიდად ელაპარაკებოდა, გაცოფება არ ეტყობოდა, მაგრამ ვაი იმ სიმშვიდესო. — გაწყენს ბიჭო ამდენი ჯეფერსონული ოდეკოლონის სმა. ხომ ხედავ, უკვე თავშიც აგვარდნია და იქნება ცხვირიდანაც წამოგდინდესო — უთქვამს ბრაუნისთვის. მერე, ცალი ხელით რომ გაუკავებია, მეორეს სახეში ულაწუნებდა თურმე. მაგრად არ ურტყამდაო. თუმცა, დასარტყმელად რომ წაიღებდა ხელს, ბაკენბარდებიც ვერ ფარავდა, როგორ უხურდა და უვარვარებდა ბრაუნს ხორციო. — გარეთ გამო, ცოტა სუფთა ჰაერი ჩაყლაპე, ხომ ხედავ ხალხს მუშაობაში

ხელი ეშლებაო. ბაირონი ჩაფიქრდა. მერე ისევ გააგრძელა: „მოკლედ, აი, ასე მოულოდნელად გამომეცხადა. ფიცარზე დასკუპებულიყო და თვალს არ მაცილებდა, მე კიდევ, ავდექი და ყველაფერი წვრილად დავფქვი, თვითონ არ ვიცოდი, რას ვბლუყუნებდი. ბოლოს მეკითხება — აი, აქ, ტუჩთან, პატარა თეთრი ნაიარევი ხომ არა აქვსო?“

„მაშ ბრაუნია ის კაცი“, ამბობს ჰაითაუერი. გაუნძრევლად ზის და ბაირონს რაღაცნაირი მშვიდი გაოცებით შესცქერის. მის მზერაში რისხვისა თუ შეურაცხყოფილი ზნეობის ნატამალიც არ გამოსჭვივის. თითქოს სრულიად განსხვავებული, სრულიად უცხო ჯურის ხალხის ამბავს ისმენს. „ესე იგი, ქმარი ბუტლეგერი ჰყავს, კარგია, კარგი“. და მაინც, მოსაუბრის მზერაში ბაირონი რაღაც იდუმალს, გასაღვიძებლად გამზადებულსაც ამჩნევს, ჯერ თავად ჰაითაუერისთვისაც უცნობსა და გაუაზრებელს, ოღონდ, უთუოდ მისეულს, მის არსებაში ჩაბუდებულს, მის გასაფთხილებლად და შესამზადებლად. ბაირონისთვის კი ეს ყოველივე მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და მომავალი სათქმელის ანარეკლია და სხვა არაფერი.

„და ეგ მანამდე ვუთხარი, ვიდრე თვითონ ბოლომდე შევიტყობდი ყველაფერს, არადა, უკვე მაშინაც მზად ვიყავი ენა მომეკვნიტა, მაშინაც კი, როცა უარესს არაფერს ველოდი“. ჰაითაუერისთვის ახლა თვალი აურიდებია. ღამის სიჩუმეში სუსტად, ოღონდ მკაფიოდ მოისმის შორეული ეკლესიის ორღანისა და გალობის ერთმანეთში არეული ხმები. ***ნეტავი ესმის თუ არა*** — ფიქრობს ბაირონი, — ***ან იქნებ უკვე იმდენჯერ და ისე დიდხანს უსმენია, ახლა აღარაფერი ეყურება. იქნებ აღარც სჭირდება ყურის მიგდება***

„მთელი საღამო, ვიდრე მუშაობას არ მოვრჩი, სულ იქ იჯდა. როდის როდის კვამლიც გაიფანტა, მე კი ისევ თავს ვიმტვრევდი, რა ვუთხრა და როგორ მოვიქცე-მეთქი. იმას პირდაპირ ნახანძრალზე უნდოდა მისვლა, მთხოვა გზა მიმასწავლეო. როცა ვუთხარი, იქამდე ორი მილია-მეთქი, ჩაეღიმა, თითქოს უჭკუო ბალღი ვედექი წინ. „ალაბამადან მოვდივარ და კიდევ ორი მილის გავლამ აბა რა უნა მიყოსო“ — მითხრა. „მაშინ ვეუბნები...“ ბაირონი ჩუმდება. დაუინებით ჩასცქერის იატაკს, მერე თავს იღებს, „ეტყობა, ვიცრუეთუმცა, კაცმა რომ თქვას, ტყუილიც არ მითქვამს. ხანძრის საცქერლად ხომ ქვეყანა იქნებოდა შეყრილი, ის კიდევ მივიდოდა და ძებნას დაუწყებდა. სხვა მაშინ მე თვითონაც არაფერი ვიცოდი და არც არაფერი მაკავებდა. სხვა, დანარჩენი. ყველაზე უარესი. ამიტომაც ვურჩიე, ახლა ალბათ ძალიან დაკავებული იქნება თავისი საქმეებით და ჯობია, საღამოს, ექვსის მერე ქალაქის ცენტრში ვნახოთ-მეთქი.

ეს უფრო იოლია, უეჭველად იქ დაგვხვდება-მეთქი. სიმართლე ვუთხარი. თვითონაც ხომ საქმეს ეძახის თავის ჩალიჩს, მიიხუტებს ტიტველ მკერდზე პატარ-პატარა, ცივ ბოთლებს და დაძრწის, დასუნსულებს მოედანზე ან მოედნის შორიახლოს, ღამე ბნელ ხეივანში. მოკლედ, როგორც იყო დავარწმუნე, მოცდა აჯობებს-მეთქი და ისიც დამყაბულდა, იჯდა თავისთვის, ელოდებოდა, მეც ვითომ საქმეს მივუბრუნდი, ოღონდ იმაზე ფიქრი არ მაძლევდა მოსვენებას, რა უნდა მელონა, რა გზას უნდა დავდგომოდი. ახლა რომ მახსენდება, როგორ ვწუხდი, რა ცოტა ვიცი-მეთქი, ახლა, როცა ბოლომდე გავიგე ყველაფერი, მეცინება — ნეტავი რა მქონდა საწუხარი?! მთელი დღეა იმას ვნატრობ, გუშინდელი დღე დაბრუნდებოდეს და გუშინდელზე მეტი სადარდებელი დღესაც არაფერი მქონდეს-მეთქი".

„მე ჯერაც ვერ გამიგია რა გაქვს საწუხარი და სადარდებელი", ამბობს ჰაითაუერი. „შენ ზნეს ვერც იმ კაცს შეუცვლი და ვერც იმ ქალს. რითაც შეგეძლო, დაეხმარე. მეტს ნეტა რომელი უცნობი გაუკეთებდა. თუკი..." მერე ჰაითაუერიც ჩუმდება. შუა გზაში უწყდება სიტყვა, თითქოს აქამდე ზარმაცი, ზანტი ფიქრი ჯერ გარკვეულ აზრად, შემდეგ კი თანაგრძნობადაც ასწრებს ჩამოყალიბებას. აქეთ-იქედან უსხედან მაგიდას, ბაირონი გაუნძრევლად ზის თავჩაქინდრული, ჩაფიქრებული, ჰაითაუერი უხმოდ მისჩერებია და ჯერ არ ფიქრობს — სიყვარულიაო. არ ფიქრობს, ოღონდ არც ის ავიწყდება, ახალგაზრდა, მარტოხელა კაცი რომაა ბაირონი, მძიმე ჯაფის გარდა, სხვა არაფერი ახსოვს ცხოვრებაში, ხოლო ის ქალი, ვინც თვითონ თვალითაც არ უნახავს, ვისაც მარტოოდენ ბაირონის ნაამბობით იცნობს, სხვა თუ არაფერი, რაღაც შემაწუხებულ გრძნობას ნამდვილად აღძრავს, თუმცა, ბაირონს რომ ჰკითხო, ეს გრძნობა მხოლოდ და მხოლოდ სიბრალულია და მეტი არაფერი. ასეა თუ ისე, უკვე გამომცდელი თვალით შესცქერის ბაირონს, არც ცივია მისი მზერა და არც თბილი, ბაირონი კი უწინდელივით უნდოდ, უხალისოდ აგრძელებს თხრობას: ექვსი საათი ისე შესრულებულა, ვერაფრის მოფიქრება და გადაწყვეტა ვერ მოუსწრია, მაშინაც ორჭოფობდა თურმე, როცა ის და ლინა ბოლოს და ბოლოს მოედანზე გამოსულან. ჰაითაუერს ნელ-ნელა ეცვლება ფიქრიანი მზერა, და როცა ბაირონი ამბობს, მოედანზე გამოსულს როგორ მოუვიდა აზრად ლინას მიყვანა მისის ბიარდის პანსიონში, თითქოს შიშიც იპყრობს, ავი წინათგრძნობა ეუფლება. ბაირონი კი მშვიდად, აუჩქარებლად ლაპარაკობს, ახლაღა ახსენდება, უცებ თითქოს როგორ გაიელვა ჰაერში რაღაცამ, საღამოც გადაასხვაფერა და ადამიანთა ნაცნობი სახეებიც გააუცნაურა, თვითონაც,

როცა ჯერ არაფერი იცოდა, არაფერი გაეგონა, ეჭვიც არ აღძვროდა, რა მომხდარიყო და რას ექცია მისი წელანდელი თავსატეხი ბავშვურ სადარდებლად, უცერად როგორ მიხვდა, რამენაირად, ყოველ მიზეზგარეშე რომ უნდა დაეცვა და დაეფარა ლინა რაღაცისგან. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, დაკარგული ლუკას ბარჩი ნაპოვნი მყავსო; ადრე როგორ ვერ მივხვდიო — გულზე ხეთქავდა საკუთარი სიბრიყვე და სისულელე. ეჩვენებოდა, თითქოს ბედისწერას თუ შემთხვევას ცაზე ყვითელ კვამლად წაეწერა გაფრთხილება, თვითონ კი ჭკუა არ ჰყოფნოდა ამ გაფრთხილების ამოსაკითხავად. ამიტომაც, არავისთვის და არაფრისთვის არ უნდა მიეცა გამოლაპარაკების, კრინტის დაძვრის, ხმის ამოღების საშუალება — არც გვერდით ჩავლილი ნაცნობებისთვის და არც ახალი ამბით ერთიანად გაჟღენთილი ჰაერისთვის — არ უნდა მიეცა, რათა ქალსაც არ შეეტყო რამე. ალბათ უკვე ხვდებოდა, ადრე თუ გვიან ისიც აუცილებლად რომ გაიგებდა ყველაფერს, მაინც გაიგონებდა; ბოლოს და ბოლოს, სრული უფლებაც ჰქონდა ამისა. მაგრამ, ბაირონს რატომღაც ეგონა, თუკი ლინას მოედანზე უხიფათოდ გადაატარებდა და შინ მშვიდობით მიიყვანდა, პასუხისმგებლობაც მოეხსნებოდა. ბოროტებისთვის არა — ამ პასუხისმგებლობას განუწყვეტლივ გრძნობდა, რადგან მთელი საღამო, როცა ბოროტება ხდებოდა, ქალის გვერდით გაეტარებინა, ბედისწერას ენება ასე, ბედისწერას გაეწესებინა მაინცდამაინც ბაირონი ჯეფერსონის წარმომადგენლად და განმასახიერებლად ლინას წინაშე, იმ ქალის წინაშე, ვისაც ოცდაათ დღეში ფეხით, უფულოდ, მარტოდმარტოს გამოევლო ამოდენა გზა. ამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების არც იმედი ჰქონდა და არც სურვილი. უბრალოდ, უნდოდა ცოტა კიდევ გაეჭიანურებინა, ცოტა დრო კიდევ მოეგოთ თვითონაც და ქალსაც, ვიდრე შეძრწუნებისა და გაოგნების ჟამი დაჰკრავდა. ყოველივე ამას მშვიდად ჰყვება, ოდნავ აბნეულად, თავჩაქინდრული ზის და მოღლილი, უხალისო ხმით ლაპარაკობს, მაგიდის მეორე მხარეს მჯდომი ჰაითაუერი კი ისევ შეშინებული შეჰყურებს, თითქოს მთელი არსებით უარყოფს და უძალიანდება რაღაცასო.

როგორც იქნა, პანსიონსაც მშვიდობიანად მიაღწიეს და შიგ შევიდნენ. მაშინ თითქოს ლინასაც გაუჩნდა წინათგრძნობა, წინკარში რომ შეყოვნდნენ წამით, ბაირონს შეაცქერდა და მაშინდღა ჰკითხა: რისი თქმა უნდოდა იმ ხალხს? იქ ხომ არ მომხდარა რამე უბედურებაო?

„არა, ისეთი არაფერი", მიუგო ბაირონმა, საკუთარი ხმა თვითონვე ეუცხოვა, ცივი და ფუყე მოეჩვენა. „მგონი, მის ბარდენი დაშავებულა".

„მძიმედ დაშავებულა?“

„არა მგონია. იქნებ, სულაც ჭორი გამოდგეს ყველაფერი. იგონებენ ალბათ რაღაცას, ხომ იცით ხალხის ამბავი?“ თან თვალს ვერ უსწორებდა ქალს, ცდილობდა საერთოდ არც გაეხედა მისკენ, არადა, განუწყვეტლივ გრძნობდა ლინას მზერას და თითქოს, უთვალავი სხვადასხვა ხმაც ესმოდა: მოგუდულ, დაძაბულ ბგერებს გაევსო მთელი ქალაქი, ის მოედანი, წელან ფაცაფუცით რომ გადმოჭრეს, ყოველი სახლი, სადაც, საიმედო და ნაცნობ სინათლეში, ხალხი ახალ ამბავზე სალაპარაკოდ იყრიდა თავს. თითქოს პანსიონიც ნაცნობი ხმებით იყო სავსე, მაგრამ, უმთავრესად მაინც ერთიანი მოდუნება, საოცარი სიზანტე გამეფებულიყო და როცა სანახევროდ ბნელ დერეფანს გასცქეროდა, ერთადერთი აზრი უტრიალებდა გონებაში — ***რად იგვიანებს. რატომ არა ჩანს?*** მერე მისის ბიარდიც გამოჩნდა: კმაყოფილი, წითელმკლავება, ჭაღარაშეპარული და თმაგაჩეჩილი. „ეს მისის ბარჩი გახლავთ“, უთხრა ბაირონმა. თან დაჟინებით, დაძაბულად, ჯიუტად უცქერდა თვალებში. „დღეს ჩამოვიდა ალაბამადან. ქმარს უნდა შეხვდეს აქ. ქმარი კი ჯერ არ ჩანს, ჰოდა, აქ მოვიყვანე, მინდა ცოტა დაისვენოს, ვიდრე ჩვენი ქალაქის ორომტრიალში ჩაებმებოდეს. ქუჩაში ჯერ არც გაუვლია, არც არავის დალაპარაკებია, ვიფიქრე, ეგება ადგილი გამოუნახოთ-მეთქი, ცოტა სული რომ მოითქვას, ვიდრე აქაურ მითქმა-მოთქმას გაიგებდეს და...“ ბაირონი ჯიუტად, დაძაბული ლაპარაკობდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა, თითქოს რაღაცის მინიშნებას ცდილობსო, მერე უცებ გაჩუმდა, ხმა გაკმინდა. ალბათ დაიჯერა, მისის ბიარდი ჩემი ნათქვამის ფარულ აზრს ჩასწვდაო. მოგვიანებით მიხვდა, ქალმა მისი თხოვნის გამო კი არ შეიკავა თავი იმის სათქმელად, რაც, ბაირონის ღრმა რწმენით, უკვე უსათუოდ უნდა სცოდნოდა, უბრალოდ, ლინას ორსულობა შეემჩნია და ასეთ ახალ ამბავს ფეხმძიმე ქალს ნებისმიერ შემთხვევაში დაუმალავდა. მერე მისის ბიარდი ლინას დააკვირდა, ყურადღებით შეათვალიერა, სწორედ ისე, როგორც ყველა სხვა უცნობი ქალი აკვირდებოდა აგერ უკვე ოთხი კვირის მანძილზე.

„მაინც, რამდენ ხანს დარჩება?“ იკითხა მისის ბიარდმა.

„ერთი-ორი დღე“, უპასუხა ბაირონმა. „იქნებ მხოლოდ ამაღამაც. ქმარს უნდა შეხვდეს ჯეფერსონში. ახალი ჩამოსულია და ჯერ გაკითხვ-გამოკითხვაც ვერ მოასწრო წესიერად...“ ისევ უწინდებურად დაძაბული, ჯიუტი ხმა ჰქონდა, ისევ დაბეჯითებით იმეორებდა ერთსა და იმავეს, თითქოს უთქმელად უმხელდა საიდუმლოს, უთქმელად სთხოვდა დახმარებას. მისის ბიარდმა ახლა ბაირონზე გადაიტანა

მზერა. ბაირონს ეგონა, ალბათ კარგად ვერ ავუხსენი, ალბათ, ბოლომდე ვერ გავაგებინე რაც მინდოდაო, არადა, სინამდვილეში, მისი გაწამაწიის შემხედვარე ქალს ეჭვიც არ ეპარებოდა (ანდა, სულ მალე გაუქარწყლდებოდა თუკი ჰქონდა რაიმე ეჭვი), სულ სხვა მიზეზი და საფუძველი აქვს ბაირონის უაზრო ლუღლუღსო. მერე ისევ ლინას გადახედა. კაცმა რომ თქვას, მთლად ცივადაც არ შეუხედავს, თუმცა არც სითბო იგრძნობოდა იმის მზერაში.

„მე მგონი, ახლა სადმე წასვლას აზრი არ უნდა ჰქონდეს“, თქვა მისის ბიარდმა.

„მეც ასე ვფიქრობ“, სწრაფად, ხალისით დაუკრა კვერი ბაირონმაც. „ქალაქში მღელვარებაა, ათას ტყუილ-მართალს გაიგონებს ადამიანი, ეს კი ასეთ ამბებს მიჩვეული არაა... თუ ამაღამ თქვენთან ბევრი ხალხია, ჩემს ოთახს დავუთმობ“.

„ჰო“, თქვა მისის ბიარდმა მაშინვე. „მით უმეტეს, სადაცაა გზას უნდა გაუდგეთ. მაშ, ორშაბათ დილამდე თქვენს ოთახში იცხოვრებს?“

„ამაღამ არსად მივდივარ“, თქვა ბაირონმა. მოსაუბრისათვის თვალი არ აურიდებია. „დღეს, ეტყობა, ვერ მოვახერხებ“. მისის ბიარდის ცივ, უკვე ეჭვიან თვალებს უცქერდა და იმედი ჰქონდა, ჩემს მზერაში ქალი იმას კი არ ამოიკითხავს, რის დანახვასაც თვითონ ელოდება, არამედ იმას, რაც იქ მართლა იმალებაო. ამბობენ, მოტყუება მხოლოდ გაქნილი ცრუპენტელას საქმეაო. მაგრამ, ძალიან ხშირად, გამოცდილი და გამოუსწორებელი მატყუარა მხოლოდ თავს იტყუებს; ძალიან ხშირად, სწორედ იმ კაცის ტყუილს ირწმუნებენ ხოლმე უფრო იოლად და სწრაფად, ვინც მთელი თავისი ცხოვრება მხოლოდ სიმართლეს ქადაგებდა.

„ჰოოო“, თქვა მისის ბიარდმა. მერე ისევ ლინას შეხედა. „ესე იგი, ჯეფერსონში არავის იცნობს?“

„არავის“, მიუგო ბაირონმა. „აკი გითხარით, დღეს ჩამოვიდა-მეთქი ალაბამადან. მისტერ ბარჩი კი, ალბათ, დილით გამოჩნდება“.

„გასაგებია“, თქვა მისის ბიარდმა. „კი, მაგრამ თქვენ სადღა დაიძინებთ?“ თუცა, პასუხისათვის არც დაუცდია, „კეთილი, ამაღამ ჩემს ოთახში დავუგებ ლოგინს, თუკი თვითონ თანახმაა“.

„ძალიან კარგი“, თქვა ბაირონმა, „მაგას რა ჯობია“.

ვახშმის ზარს რომ შემოჰკრეს, ბაირონი უკვე მზად იყო. მანამდე მოახერხა და მისის ბიარდი დაიმარტოხელა. ახალი ტყუილის გამოცხობას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ყველა ადრინდელს. მერე კი, ისიც არაფერში დასჭირდა — რის დამალვასაც ცდილობდა, თვი-

თონ დამალა თავი. „მაგიდასთან კაცები ალბათ ახალ ამბავზე ილაპარაკებენ“, უთხრა მისის ბიარდმა. „მაგის დღეში მყოფ ქალს კი (თანაც ქმარს რომ დაეძებს, ქმარი კი, ყველა სიკეთესთან ერთად, ბარჩია გვარადო — გაიფიქრა მწარე ირონიით), კაცების ახალ-ახალი სისაძაგლეების მოსმენა არაფერს არგებს. მოგვიანებით შემოიყვანეთ, როცა ყველანი ივახშმებენ“. ბაირონიც ასე მოიქცა. ლინამ ახლაც მადიანად ივახშმა, კვლავ დინჯად და დარბაისლურად ეჭირა თავი, თუმცა, ვიდრე ჭამას მორჩებოდა, ლამის თეფშზე ჩამოეძინა.

„რას ვიფიქრებდი, ასე თუ გამასავათებდა... გზაზე ვამბობ“, იმართლა თავი.

„წადი, სასტუმრო ოთახში დაჯექი, მე მანამდე ლოგინს გაგიშლი“, უთხრა მისის ბიარდმა.

„არა, მეც უნდა მოგეხმაროთ“, თქვა ლინამ. მაგრამ ბაირონიც ატყობდა, თითის თითზე დამკარებელი რომ არ იყო, ზეზეურად ეძინა.

„წადი, სასტუმრო ოთახში მომიცადე“, გაუმეორა მისის ბიარდმა. „მისტერ ბანჩი ალბათ უარს არ გვეტყვის და ცოტა ხანს გაგართობს“.

„მარტო დატოვება მეშინოდა“, ყვება ბაირონი. საწერი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს ჰაითაუერი გაუნძრევლად ზის. „ჰოდა, ვისხედით იქ, ამ დროს კი, ქალაქის ცენტრში, შერიფის ოთახში, საიდუმლოს ფარდა ეხდებოდა, სწორედ მაშინ დაფქვა ბრაუნმა ყველაფერი — თავის თავზეც, ქრისთმასზეც, ვისკიზეც და კიდევ ათას რამეზე. ოღონდ ეგაა, ვისკის ამბავი აღარავის გაჰკვირვებია, ყველამ იცოდა იმ დღის მერე, რაც ქრისთმასმა ბრაუნი შეიამხანაგა. მთელ ქალაქს მარტო ის აოცებდა და ის ვერ აეხსნა, საერთოდ რატომ გაუყადრა თავი. ალბათ იმიტომ, რომ მსგავსი არამცთუ ყოველთვის პოულობს, არამედ ვერასდროს ვერც ემალება მსგავსს. გინდაც, მხოლოდ ერთი რამ ჰქონდეთ საერთო, ერთი რამ ამსგავსებდეთ, თუმცა, ისინი მსგავსშიც განსხვავებულები იყვნენ. ქრისთმასი ფულის გულისთვის არღვევდა კანონს, ბრაუნს კი იმდენი ჭკუაც არ ჰყოფნიდა, მიხვედრილიყო — კანონს ვარღვევო. იმ საღამოსაც ეგრე არ მოხდა, სადალაქოში, მთვრალი რომ ატარტალებდა ენას და ქრისთმასმა კინწისკვრით გამოაგდო გარეთ? სწორედ მაშინ დაეჭვებულა მისტერ მაქსი — როგორ გგონიათ, რის თქმას აპირებდა ეგ ჯიბიდან გავარდნილიო? კაპიტან მაკლენდონს უთქვამს, მაგის მეტი საფიქრალი და სადარდებელი არ მომცა ნეტა ღმერთმაო. მაქსის უკეთხავს, ვითომ მართლა ჰგვანან სპირტით სავსე მანქანაზე თავდამსხმელებსო? მაკლენდონს კიდევ — თქვენ რა, ქრისთმასისგან მაგაზე უარესებიც გაგიკვირდებათო?

„აი, სწორედ ამეებს ყვებოდა თურმე ბრაუნი წუხელაც. მაგრამ, ეს ამბავი უკვე ყველამ იცოდა. დიდი ხანია ლაპარაკობდნენ, მის ბარდენი ვიღაცამ უნდა გააფრთხილოსო, ოღონდ, მე მგონი, მსურველი არავინ გამოჩენილა, ვინ რა იცოდა, რა მოხდებოდა? ის კი არა, ჩვენში ალბათ ბევრს საერთოდ თვალითაც არ უნახავს ის ქალი. სიმართლე გითხრათ, არც მე მიმიწევდა მაინცდამაინც გული იმ ძველი სახლისაკენ, სადაც მარტოდმარტო ცხოვრობდა, თითქოს ხალხს ემალებოდა და მართლა ვერც ხედავდა ვერავინ, ხანდახან იქეთ შემთხვევით ჩავლილ ფორანში მსხდომნი თუ მოჰკრავდნენ თვალს ეზოში მოფუსფუსეს, ისეთი ქუდი ეხურა თურმე და ისეთი კაბა ეცვა ხოლმე, ბევრი ჩემი ნაცნობი ზანგი დედაკაციც კი იუკადრისებს. თუმცა, ვინ იცის, იქნება ყველაფერი მშვენივრადაც მოეხსენებოდა და თვალს ხუჭავდა, არაფერს ამბობდა. აკი იანკი იყო, სხვანაირი. მაშინ ვინ რას იფიქრებდა, რა მოხდებოდა.

მოკლედ, სანამ დასაძინებლად არ წავიდა, გვერდიდან ვერ მოვშორდი. წუხელვე მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ ვერ დავტოვე. მდგმურები მიდი-მოდიოდნენ და რა ვიცოდი, ვის როდის მოუვიდოდა აზრად ახალ ამბავზე სიტყვის ჩამოგდება; უკვე მესმოდა კიდეც, როგორ საუბრობდნენ პარმალზე, ლინა კი ისევ მომჩერებოდა და სახეზე ეწერა, ერთი სული ჰქონდა, ხანძრის ამბავი გამოეკითხა. ამიტომ ვერ დავტოვე მარტო. სასტუმრო ოთახში ვისხედით, თვალებს ძლივს ახელდა, მე კი ვარწმუნებდი, ქმარს აუცილებლად გაპოვნინებ, ოღონდ ჯერ ერთ ჩემ ნაცნობ მღვდელთან უნდა მივიდე და მოველაპარაკო, იქნებ ძებნაში დაგვეხმაროს-მეთქი. თვალდახუჭული მისმენდა, ალბათ ფიქრობდა, ვერც ეს ხვდება მე და ჩემს ლუკასს ჯერ ჯვარი რომ არ დაგვიწერიაო. ეგონა, ყველა გავაცურეო. მერე მეკითხება, რა კაცია, ვისაც ჩემი ამბავი გინდათ უამბოთო; მეც ვუთხარი, ისევ თვალდახუჭული იჯდა და ბოლოს ვეუბნები — ჩემი ნათქვამი ერთი სიტყვაც არ გაგიგონიათ-მეთქი. მაშინ თითქოს ოდნავ გამოცოცხლდა, ოღონდ თვალები მაინც არ გაუხელია, და მკითხა — ჯვარის დაწერის უფლება თუ აქვსო? რისი უფლება-მეთქი? — ვითომ ვერ გავიგე. თუ შეუძლია ხალხს ჯვარი დასწეროსო? „ჰაითაუერი მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ შერხეულა. მაგიდასთან წელგამართული ზის, მკლავები სავარძლის სახელურებზე უწყვია, არც საყელო უკეთია და არც პიჯაკი აცვია. ერთსა და იმავე დროს, ხმელი და დონდლო სახე აქვს, თითქოს ორი, ერთმანეთზე გადაფენილი სახე იცქირება ჭაღარაარშიაშემოვლებული, ცვილისფერი, მელოტი შუბლის ქვემოდან, სათვალის ტყუპი, უტყვი,

ბრჭყვიალა შუშიდან. მაგიდის ზემოთ დარჩენილი ტანი უფორმოა, ქონმოდებული, ლამის მახინჯიც, დუნე, უმოძრაო ცხოვრებით დამახინჯებული. გახევებული ზის; სახეზეც უკვე აშკარად აწერია შიში და შეშფოთება. „ბაირონ“, ამბობს ჰაითაუერი; „რას მიყვები, ბაირონ?“

ბაირონი ჩუმდება. მშვიდად, თანაგრძნობით, სიბრალულით შესცქერის, „ვიცოდი, ჯერ ვერაფერს გაიგებდა-მეთქი. ვიცოდი, მე მომიწევდა თქვენთვის თქმა“.

ცოტა ხანს უხმოდ შესცქერიან ერთმანეთს. „რა არ გამიგია?“

„აი, ქრისთმასის ამბავი, გუშინდელი. ქრისთმასს ზანგის სისხლი ჰქონია. ეგ არ იცოდით, ეგ და ბრაუნის წუხანდელი ნაამბობი“.

„ზანგური სისხლი“, იმეორებს ჰაითაუერიც. ჩვეულებრივი ხმა აქვს, წონადაკარგული, თითქოს ნარშავის ბუმბული დაფარფატებს სიჩუმეში მსუბუქად, უხმაუროდ. ჰაითაუერი არ ირხევა. კიდევ ცოტა ხანს ზის გაუნძრევლად. მერე, თითქოს სხეულის ნაწილებიც სახის ნაკვთებივით ამოძრავებულანო, მთელ ტანში ერთბაშად, ერთიანად დაუვლის თავდაცვისა თუ თავის გადარჩენის სურვილი და ბაირონიც ხედავს, უეცრად ოფლისგან როგორ აულაპლაპდება დონდლო, ფართო, გარინდული სახე. თუმცა ხმა ჯერ მაინც მშვიდი აქვს, მსუბუქი, უწონო. „სხვას რას მეტყვი კიდევ ქრისთმასზე, ბრაუნსა და გუშინდელ დღეზე?“

შორეული მუსიკის ხმა კარგა ხანია მიწყდა. ოთახის სიჩუმეს ახლა მხოლოდ მწერების გაუთავებელი შარიშური და ბაირონის მონოტონური ლაპარაკიღა არღვევს. ჰაითაუერი წელგამართული ზის მაგიდასთან, სავარძლის სახელურებზე მკლავები პარალელურად ჩამოუწყვია, ხელის მტევნები ძირს დაუშვია, მარტო ზედატანი მოუჩანს და რაღაცით აღმოსავლურ კერპსა ჰგავს.

„გუშინ დილით ვიღაც გლეხი თავის ოჯახთან ერთად ფორნით მომავლებულა ჯეფერსონში. ცეცხლიც პირველად სწორედ იმათ დაუნახავთ. თუმცა, არა: კარი რომ შეუმტვრევია და სახლში შესულა, შიგნით უკვე ვიღაც დახვედრია. სახლს რომ გასწორებიან, იმ გლეხს ცოლისთვის უთქვამს, ნახე ეს რამოდენა ბოლი გამოდის სამზარეულოდანო. მერე გზა გაუგრძელებიათ, მაგრამ ცოლი დაეჭვებულა, მაგ სახლში მგონი ხანძარი უნდა იყოსო. ფორანი გაუჩერებიათ, ცოტა ხანს კიდევ მსხდარან ასე, ბოლს მიშტერებულნი, და მერეღა დასთანხმებია თვითონაც ცოლს — მგონი მართალი ხარ, ხომ იციო. ეტყობა ცოლმა ურჩია, წადი, ნახე ერთი, რა ხდებაო. — ალბათ არ იციან ცეცხლი რომ უკიდიათ, მიდი და გააგებინეო — ეტყოდა ალბათ. ისიც

დაჰყაბულებია, ფორნიდან ჩამოსულა, პარმაღს მისდგომია და ერთხანს იქ გაჩერებულა, იქედან უხმობდა სახლის პატრონს. როცა ამაო ყვირილით დაღლილა და სახლში მობუბუნე ცეცხლის ხმაც გაუგონია, კარი მხრით შეუმტვრევია, შესულა და ის კაციც დაუნახავს, — ალბათ, ხანძრის პირველი აღმომჩენი. ის კაცი კი, სწორედ ჩვენი ბრაუნი გახლდათ. მაგრამ, გლეხმა რა იცოდა? მარტო ის შეუმჩნევია, გალეწილი მთვრალი რომ იყო, კიბეზე დაგორებულსა და ფეხზე ძლივძლივობით წამომდგარსა ჰგავდაო. — ბატონო, თქვენი სახლი იწვისო, უთქვამს გლეხს და მერეღა მიმხვდარა, რა ტყუილად კარგავდა დროს, რა უგონოდ იყო გალეშილი ბრაუნი. ერთსა და იმავეს იმეორებდა თურმე სულ — ზევით სხვა არავინაა, ყველაფერი ცეცხლშია გახვეული და რამის გადარჩენაზე ფიქრიც სისულელეაო.

მაგრამ გლეხს დაუნახავს, ზემოთ ჯერ მაინცდამაინც დიდი ცეცხლი არ უნდა ყოფილიყო, ბოლი უკნიდან, სამზარეულოს მხრიდან გამოდიოდაო. თანაც, იმ გალეშილ კაცსაც რა ჭკუა მოეკითხებოდა, რა დაეჯერებოდაო. ასე უთქვამს, გულმა რეჩხი მიყო, რაღაც ავი მიაზრა, რადგან მთვრალი ცოცხალი თავით არ მიშვებდა ზევითო. მაინც აჰყოლია კიბეს, ატორღიალებული ბრაუნი ძლივს მოუშორებია და მეორე სართულზე ასულა. მთვრალი ცოტაზე კიდევ მომყვა, თან მომძახოდა, მანდ რა დაგრჩენია, კაცისშვილის ჭაჭანება არააო, მერე კი, როცა ისევ უკან ჩამობრუნებულა და მთვრალი გახსენებია, კვალიც ვეღარსად უპოვია იმისა. თუმცა, მანამდე, სანამ ბრაუნი ისევ მოაგონდებოდა, კარგა დრო გაივლიდა ალბათ. რა ებრაუნებოდა — მეორე სართულზე ასულს ისევ ყვირილი მოურთავს, სათითაოდ შეუღია ყველა ოთახის კარი და ბოლოს ქალიც დაუნახავს“.

ბაირონი ჩუმდება. ახლა კაბინეტში მარტო მწერების შარიშურიღა ისმის, ეზოშიც მირიადი დაუღალავი მწერი ფეთქავს და ხმაურობს, გაუთავებლად, რულისმმგვრელად. „ქალიც დაუნახავს“, იმეორებს ჰაითაუერიც. „მაშ, მის ბარდენი იპოვა, არა?“ გაუნძრევლად ზის. ბაირონი მისკენ არც იხედება, ლაპარაკისას მუხლებზე დაკრეფილ საკუთარ ხელებს დასცქერის.

„იატაკზე წოლილა. ჭაღარა ქალბატონი. თავი ლამის პირწმინდად ჰქონია მოკვეთილი. გლეხს უთქვამს, გაქვავებული ვიდექი, ცეცხლის ბუბუნი მესმოდა და თანდათან ოთახიც ერთიანად იბოლებოდა, თითქოს ბოლიც მე შემომყოლოდა ფეხდაფეხო. ვერ ვბედავდი ქალი ამეწია და ოთახიდან გამომეტანა, მეშინოდა, თავი არ მოსწყვეტოდაო. მერე, ისევ ქვევით ჩაურბენია, გარეთ გამოვარდნილა — მაშინ მთვრა-

ლის გაქრობას ჯერ რას შეამჩნევდა — თავის ფორანთან მიურბენია და ცოლისთვის უთქვამს, უახლოესი ტელეფონით ქალაქს დაუკავშირდი და შერიფი გამოიძახეო. მერე სახლისთვის შემოურბენია, წყლის ავზთან მივარდნილა და როცა უკვე ვედრო ჩაუშვია შიგ, მაშინღა მიმხვდარა რა სისულელეს ჩადიოდა — სახლის მთელი უკანა მხარე ერთიანად ცეცხლში ყოფილა გახვეული. მაშინ ისევ სახლში შებრუნებულა, ისევ აურბენია კიბეზე, ისევ იმ ოთახისთვის მიუშურებია, საწოლის გადასაფარებელი გადაუძვრია, ძირს დაუფენია, ქალი ზედ დაუწვენია, გადასაფარებლის ბოლოები ერთად მოუკრეფია, ფქვილის ტომარასავით მოუგდია ზურგზე, სახლიდან გამოუტანია და თავისი ტვირთი ხის ძირას დაუსვენებია. ასე უთქვამს, რისაც ყველაზე ძალიან მეშინოდა, სწორედ ის მოხდაო. გადასაფარებელი გადახსნილა, ქალი გვერდულად წოლილა, თავი კი მთლიანად შემოტრიალებოდა თურმე, თითქოს ზურგსუკან იყურებაო. გლეხს უთქვამს, ცოცხალსაც რომ შესძლებოდა ასე ცქერა, იქნებ ახლა ამ დღეში არა ყოფილიყოო".

ბაირონი ისევ ჩუმდება, მერე მხოლოდ ერთხელ შეხედავს, ერთხელ, სწრაფად შეავლებს თვალს მაგიდის იქეთ მჯდომ კაცს. ჰაითაუერი კი ერთხელაც არ შერხეულა. სათვალის ტყუპი, სუსტად მოკაშკაშე შუშების ირგვლივ ნელ-ნელა და ჯიუტად ეცვარება სახე ოფლით. „მერე შერიფიცა და სახანძრო რაზმიც გამოცხადდნენ. მაგრამ გაკეთებით უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. წყალიც არა ყოფილა შლანგებისთვის. ჰოდა, ის ძველი სახლიც მთელი საღამო იწვოდა, მეც ვხედავდი კვამლს ფაბრიკიდან, იმასაც დავანახე — მაშინ ხომ არაფერი ვიცოდი. მერე მის ბარდენი ქალაქში ჩამოასვენეს, ანდერძი ბანკში ჰქონოდა დატოვებული. ანდერძმა გააგებინა სწორედ ხალხს, ჩრდილოეთში, საიდანაც გადმოსახლებულიყო, უფრო სწორად, საიდანაც მისიანები გადმოსახლდნენ თავის დროზე, თურმე ძმისშვილი რომ ჰყოლოდა. ძმისშვილს დეპეშა გაუგზავნეს და ორ საათში პასუხიც მოვიდა — მკვლელის დამჭერს ათას დოლარ ჯილდოს ჰპირდებოდა.

აღარც ქრისთმასი ჩანდა სადმე და აღარც ბრაუნი. შერიფმა რომ შეიტყო, იმ ქოხში ვიღაც ცხოვრობდაო, მაშინღა ამოიდგა ყველამ ენა იმის მოსაყოლად, რასაც ამდენი ხანი საიდუმლოდ ინახავდნენ, საგულდაგულოდ მალავდნენ, ვიდრე ერთ-ერთმა მათგანმა, ანდა, ვინ იცის, იქნებ ორივემ ერთადაც, მკვლელობა არ ჩაიდინეს. წუხანდლამდე ვერ იპოვეს ვერცერთი. გლეხმა არ იცოდა, ის მთვრალი კაცი ბრაუნი თუ იყო. ხალხს შეიძლება ორივე გაქცეული ეგონა. მაგრამ, გუშინ საღამოს ბრაუნი გამოჩნდა. უკვე გამოფხიზლებულიყო, ასე, რვა საათზე გამოვიდა მოედანზე, სახეშეშლილი გაჰყვიროდა — ქალი ქრისთმასმა მოკლაო და ათას დოლარს მოითხოვდა. მალე პოლიციაც მოვიდა, ბრაუნი შერიფის ოთახში შეიყვანეს და უთხრეს, ჯილდოს უსიკვდილოდ მიიღებ, როგორც კი ქრისთმასს დაიჭერ და დანაშაულსაც დაუმტკიცებო. მოკლედ, ბრაუნი ალაპარაკდა, მოჰყვა, როგორ ცხოვრობდნენ ქრისთმასი და მის ბარდენი ცოლ-ქმარივით სამი წლის განმავლობაში, მანადეც, ვიდრე ის და ბრაუნი შეამხანაგდებოდნენ. თავიდან, როცა ქრისთმასთან გადასულა საცხოვრებლად, იმას უთქვამს, სულ ამ ქოხში ვათევ ღამესო. მერე, ერთ მშვენიერ ღამეს, ბრაუნს თურმე არაფრით მიკარებია ძილი და გაუგონია, როგორ ამდგარა ქრისთმასი, მის საწოლს მიახლოვებია, დაუხედია, ცოტა ხანს შეუცდია, თითქოს ამოწმებდა, ძინავს თუ არაო, მერე ფეხაკრეფით მისულა კართან, უხმაუროდ გაუღია და გარეთ გასულა. ბრაუნიც ამდგარა და უკან გაჰყოლია, დაუნახავს, როგორ მიახლოვებია ქრისთმასი დიდ სახლს და როგორ შესულა უკანა კარიდან — კარი ან წინდაწინვე ღიად იყო დატოვებული, ანდა თვითონაც ჰქონდა გასაღებიო. მერე ბრაუნი ისევ ქოხში შებრუნებულა და ჩაწოლილა. მაგრამ, ისე მეცინებოდა, ველარ დავწყნარდი, ველარაფრით ველარ დავიძინეო. ქრისთმასზე ეცინებოდა თურმე — თავი რა ეშმაკი ჰგონიაო. ასე თვალდაჭყეტილი წოლილა მაშინაც, როცა, დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ, ქრისთმასიც დაბრუნებულა. ასე თქვა, სიცილი უკვე ველარ შევიკავე და ვუთხარი — ოოო, ბებერ მუსუსს ვახლავართო. ქრისთმასი სიბნელეში უცებ გაქვავებულა, ბრაუნი კი იწვა თურმე და იგუდებოდა, თან ელაზღანდარავებოდა — არც მთლად ისეთი მელა ხარ, როგორც გგონიაო. ქალის ჭაღარაზედაც გადაუკრავს ერთი-ორი სიტყვა და შეუთავაზებია კიდეც — თუ გინდა ხანდახან შეგენაცვლები, ბინის ქირის ანგარიშშიო.

მერე ისიც უთქვამს, სწორედ იმ ღამეს მივხვდი, ადრე თუ გვიან ქრისთმასი ან იმ ქალს, ან ვინმე სხვას, აუცილებლად მოკლავდაო. ვიწექი, ვიცინოდი და მეგონა, ქრისთმასიც ისევ ლოგინში ჩაწვებოდაო, იმას კი თურმე ასანთი გაუკრავს. ბრაუნსაც უცებ შეუწყვეტია სიცილი, ჩუმად ადევნებდა თურმე ქრისთმასს თვალს, სანამ ის ლამპასაც აანთებდა და ბრაუნის საწოლთან ყუთზე დადგამდა. სულაც აღარ მეცინებოდა, როცა თავზე წამომადგა და ზემოდან დამაშტერდაო. „გეტყობა, კარგად გაერთე", უთქვამს ქრისთმასს. „ამ ამბავს ხვალ სადალაქოშიც თუ მოჰყვები, სიცილით დახოცავ ხალხს"-ო. არ მეგონა, ასე თუ გაცოფდებოდა, რაღაც ვუპასუხესავით, იმისი გაბრაზება გულშიც არ გამივლიაო. ქრისთმასს კი თავისებურად, მოგუდული ხმით უთქვამს — ძილი გაკლია. ბევრს ფხიზლობ, იქნება

მეტი უნდა გეძინოსო? — მაინც რამდენი უნდა მეძინოსო? უკითხავს ბრაუნს. — რა ვიცი, იქნება საუკუნოდაც დაგეძინაო. მაშინღა მივხვდი, რა გაცოფებულიც იყო, იმასთან ხუმრობა ნამდვილად არ ღირდაო. — განა ძმაკაცები არა ვართო? უთქვამს ბრაუნს. — სხვის საქმეში ცხვირის ჩამყოფს რა მიგავს? შენ რა, ჩემი არა გჯერაო? იმას კიდევ, არც ვიცი და, კაცმა რომ თქვას, ჩემთვის სულერთიცაა, აი შენ კი, შეგიძლია დამიჯეროო. მერე ერთიც შეუხედავს ბრაუნისთვის და — ხომ გჯერაო? — უკითხავს. — კი, როგორ არა, მჯერაო, უპასუხია ბრაუნსაც.

მას მერე სულ მეშინოდა, ერთ ღამეს მის ბარდენი არ მოეკლაო — უთქვამს ბრაუნს. მერე ეგ შენი შიში როგორ არავის გაუზიარეო, უკითხავს შერიფს. — მეგონა, თუ არაფერს ვიტყოდი და იქ დავრჩებოდი, როგორმე უბედურების თავიდან აცილებასაც მოვახერხებდი და ტყუილ-უბრალოდ აღარც პოლიციას შევაწუხებდიო. შერიფს რაღაცა ჩაუბუზღუნებიასავით და უთქვამს, ეგ შენს დიდ გამჭრიახობაზე მეტყველებსო, მის ბარდენსაც რომ ესმოდეს შენი სიტყვები, უეჭველად დაგიფასებდაო. მერე, ეტყობა, ბრაუნი ნელ-ნელა იმასაც მიხვდა, მთლად უბრალო და უდანაშაულო არც თვითონ რომ ჩანდა ხალხის თვალში. მაშინ უკვე იმის მოყოლაც დაუწყია, როგორ უყიდა მის ბარდენმა ქრისთმასს მანქანა, თვითონ კი როგორ ცდილობდა მეგობარი დაერწმუნებინა, მოდი, სანამ შარში გავხვეულვართ, ვისკით ვაჭრობას თავი დავანებოთო; პოლიციელები უხმოდ შესცქეროდნენ, ის კიდევ, სულ უფრო ჩქარ-ჩქარა, სულ უფრო ბლომ-ბლომად ფქვავდა, ჰყვებოდა, რა ადრიანად გაეღვიძა შაბათს და როგორ დაინახა ქოხიდან გასული ქრისთმასი. ვიცოდი, სადაც მიდიოდაო; დაახლოებით შვიდ საათზე ქრისთმასი უკანვე შემობრუნებულა, კარებშივე გაჩერებულა და ბრაუნს მიშტერებია. — მორჩაო, უთქვამს ქრისთმასს. რა მორჩაო? უკითხავს ბრაუნს. — შედი სახლში და ნახავო. ძალიან შემეშინდა, მაგრამ მკვლელობა ფიქრშიაც არ გამივლიაო. მეგონა, დიდი-დიდი, ალბათ ქალი თუ შემოელახაო. ქრისთმასი კი ისევ გარეთ გასულა, ბრაუნიც ამდგარა, ტანთ ჩაუცვამს და უკვე ცეცხლზე საუზმის შემოდგმა დაუპირებია, როცა შემთხვევით გარეთ გაუხედავს და ერთიანად კვამლში გახვეული სამზარეულო დაუნახავს.

„რა დრო იქნებოდა?“ ეკითხება შერიფი.

„ასე, რვა საათი“, ამბობს ბრაუნი, „რა ვიცი, რა დროს დგება კაცი ჩვეულებრივ? თუ, რა თქმა უნდა, მდიდარი არა ბრძანდება. მე კი, ღმერთია მოწმე, სიმდიდრისა არაფერი მცხია“.

„ხანძრის შესახებ კი ლამის თერთმეტამდე არავის უცნობებია“,

ამბობს შერიფი. „ნაშუადღევს, სამ საათზე, სახლი ჯერ კიდევ იწვოდა. შენ რა, გინდა დაგვაჯერო, რომ ძველ, ხის სახლს, რაც გინდა დიდი იყოს, ექვსი საათი სჭირდება დასაფერფლად?“

გაცეცებული ბრაუნი შუაში უზით, ირგვლივ ბიჭები შემოსჯარვიან და თვალს არ აშორებენ. „მე სიმართლეს გეუბნებით“, ამბობს ბრაუნი, „თქვენც ეგ არ გინდათ?“ თან აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თავს არ აჩერებს. მერე, უცებ ბრაზდება: „მე რა ვიცი, რა დრო იყო? თქვენა ბგონიათ, ჩემისთანა კაცს, ზანგივით რომ იწყვეტს ფაბრიკაში წელს, საათიც უნდა ჰქონდეს?“

„შენ ექვსი კვირაა ფაბრიკისთვის შორიდანაც არ მოგიკრავს თვალი და საერთოდ, თითი თითზე არ დაგიკარებია“, ეუბნება შერიფის თანაშემწე. „ისე კი, როცა მთელი დღე ახალთახალი მანქანით დასეირნობ, იმდენიც უნდა მოახერხო, ხანდახან სასამართლოსთან ჩაიარო, საათს ახედო და დროს ფეხი აუწყო“.

„აკი გითხარით? ჩემი მანქანა არ ყოფილა-მეთქი!“ ამბობს ბრაუნი. „იმისი იყო. ქალმა უყიდა; იმ ქალმა აჩუქა, ვისაც მერე ყელი გამოჭრა“.

„რა დროს ეგენია“, ამბობს შერიფი, „აცალეთ, ბოლომდე მოყვეს“.

ჰოდა, იმანაც გააგრძელა, თანათანობით სულ უფრო ხმამაღლა და უფრო სწრაფად ლაპარაკობდა, თითქოს ცდილობდა მანამდე ამოჰფარებოდა, მანამდე დამალულიყო საკუთარი მონაყოლის მილმა, ვიდრე დროს იხელთებდა და იმ ათას დოლარს ჩაიჯიბავდა. არადა, მართლა უცნაური კია, რატომ თვლიან ზოგიერთები ფულის შოვნასა და კეთებას ისეთ თამაშად, რომელსაც არც რამე წესის დაცვა სჭირდება და არც კანონისა. ცეცხლი რომ დავინახე, მაშინაც არ მიფიქრია, ქალი ისევ სახლში თუ იქნებოდაო, — თქვა ბრაუნმა, — მით უმეტეს, მკვდარიო. არც მიცდია სახლში შესვლა და მარტო იმაზეღა ვიტეხდი თავს, ცეცხლი როგორ ჩამექროო.

„და ეს ყველაფერი რვა საათზე ხდებოდა“, ამბობს შერიფი. „ყოველ შემთხვევაში შენ ასე გვიმტკიცებ. ჰემფ უოლერის ცოლმა კი მხოლოდ თერთმეტზე დაგვირეკა. კარგა დიდი დრო დაგიკარგავს იმის მისახვედრად, შიშველი ხელით ცეცხლს რომ ვერ ჩააქრობდი“. ბრაუნი შუაში უზით (კარი კი ჩაუკეტავთ, მაგრამ ფანჯრებზე უამრავ ცნობისმოყვარეს მოუჭყლეტია ცხვირი), კბილებდაკრეჭილი აცეცებს თვალებს „ჰემფი იმასაც ამბობს, სახლში შესულს იქ ვიღაცა დამხვდაო“, ეუბნება შერიფი, „არასდიდებით არ მიშვებდა ზევითო“. ბრაუნი კი ზის, ვერ მოუსვენია და გიჟივით ატრიალებს თვალებს.

მე მგონი, მაშინ უკვე სასოწარკვეთას ჰყავდა შეპყრობილი. მე

მგონი, არა მარტო ხვდებოდა, თანდათან როგორ ეკარგებოდა ის ათასი დოლარი, უკვე ჯილდოს სხვა პატრონიც ესახებოდა. მე მგონი, წარმოიდგინა კიდეც, როგორ მიართვა თავისი ხელით ათასი დოლარი სხვას, ვისაც იმ ფულის დამღერება არ გაუჭირდებოდა. ისეთი სახე ედო, თითქოს რაცა თქვა, საგანგებოდ ამ წუთისთვის ჰქონდა შემონახულიო. თითქოს იცოდა, ძალიან თუ გაუჭირდებოდა, სწორედ ეს ამბავი გადაარჩენდა, გინდაც ამ საიდუმლოს გამხელას თეთრკანიანი კაცისთვის უარესი მოჰყოლოდა, ვიდრე მკვლელობის დაბრალებასო. „სწორი ხართ“, ამბობს უეცრად, მოულოდნელად. „მართალი ბრძანდებით. აბა რა, მოდით, მე დამდეთ ბრალი. თეთრკანიანი დაადანაშაულეთ, ზანგი კი თავის ნებაზე აპარპაშეთ. მე დამიჭირეთ, ზანგი კი გააქციეთ“.

„ზანგი?“ ამბობს შერიფი, „ზანგიო?“

აი, მაშინ კი იაზრა, გამოვიჭირეო. თითქოს მისთვის რაც არ უნდა დაებრალებინათ, რაც არ უნდა მიეწერათ და შეეხოცათ, იმაზე საზარელი მაინც არ იქნებოდა, რასაც სხვაზე, მეორეზე, ამხანაგზე მოყვებოდა თვითონ, რაშიც იმას, მეორეს ამხელდა. „არა, მაინც რა გონიერი ხალხი ბრძანდებით“, ამბობს ბრაუნი, „რა გონიერი ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში. სამი წელი ბაიბურში არ იყვნენ. სამი წელი ეძახდნენ უცხოელს, არადა, შევხედე თუ არა, მივხვდი — ერთი მე ვარ უცხოელი და მეორე ეგ-მეთქი. მანამდე მივხვდი, ვიდრე თვითონ გამომიტყდებოდა“. ყველანი პირდაღებულები შესცქერიან, ხანდახან თუ გადახედავენ ერთმანეთს გაოცებულნი.

„შენ გირჩევნია ცოტა ჭკუით ილაპარაკო, იცოდე, თუ თეთრკანიანს სცხებ ჩირქს, არ დაგიდევ, მკვლელია თუ არა“, ეუბნება შერიფის თანაშემწე.

„მე ჩირქს არავისა ვცხებ“, ამბობს ბრაუნი, „ქრისთმასზე ვლაპარაკობ, იმ კაცზე, თეთრკანიან ქალს რომ გამოჭრა ყელი, მანამდე კი, მთელი ქალაქის ცხვირწინ, სამი წელი გაატარა იმის საწოლში, თქვენ კი, ყველანი, საშუალებას აძლევთ სულ უფრო და უფრო შორს წავიდეს, თანაც მე, ერთადერთ კაცს, ვინც ყველაფერი იცის და ვისაც შეუძლია გაპოვნინოთ, ბრალსა მდებთ. ქრისთმასს ზანგის სისხლი აქვს. პირველად რომ მოვკარი თვალი, მაინვე მივხვდი. თქვენი კი გამკვირვებია, აი თქვენი — გონიერო შერიფებო — და საერთოდ, ყველასი. ერთხელ აკი თვითონაც გამომიტყდა, მითხრა — ზანგის სისხლი მირევიაო. არ ვიცი, იქნებ მაშინ მთვრალიც იყო: ასეა თუ ისე, მეორე დილით მოდის და მეუბნება (ბრაუნი ახლაც ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს, თვალებსა და კბილებს ერთნაირად აკვესებს აქეთ-

იქით, ხან ერთს მიაჩერდება, ხან მეორეს), მეუბნება: — წუხელ შეცდომა დავუშვი. იგივე შეცდომა შენც არ გაიმეოროო. — რა შეცდომაზე ლაპარაკობ-მეთქი? — აბა, ცოტა ტვინი გაანძრიეო — მითხრა. გამახსენდა, რა ჩაიდინა ერთ ღამეს მემფისში, ვიცოდი, ჩემი სიცოცხლე დამპალ კიტრადაც არ ეღირებოდა თუკი გზაზე გადავეღობებოდი და ვუთხარი — მე მგონი მიგიხვდი, მე სხვის საქმეში ჩამრევი არა ვარ და აკი, არც აქამდე ჩავრეულვარ-მეთქი. „თქვენც ზუსტად ასე ეტყოდით“, ამბობს ბრაუნი, „სიტყვასიტყვით, იქ, იმ ქოხში, საიდანაც კაციშვილს ვერ მიაწვდენ ხმას, გინდაც ყელი ჩაიხიო ღრიალით, თქვენც ჩემსავით გამუდმებით შიშში იქნებოდით, ვიდრე ის ხალხი, ვისი დახმარებაც გულით გეწადათ, თავს არ წამოგადგებოდათ და სხვის ჩადენილ მკვლელობას არ დაგაბრალებდათ“. ზის იქ, დამფრთხალი, გაფაციცებული, ოთახში შეგროვილი და გარედან ფანჯარაზე ცხვირმიჭყლეტილი ხალხი კი თვალმოუშორებლად შესცქერის.

„მაშ ზანგი ყოფილა“, ამბობს შერიფის თანაშემწე. „მეც არა ვთქვი, რაღაცა უცნაური აქვს მეთქი იმ ბიჭს“.

მერე შერიფი ისევ ბრაუნს ეკითხება: „დღემდე ამიტომ არ გაამხილე რაც იქ ხდებოდა?“

ბრაუნი კი შუა ოთახში ზის, ტუჩი მოქცევია და ტუჩის კუთხესთან პატარა იარა ბატიბუტივით გასთეთრებია. „ერთი ის კაცი დამანახეთ, სხვანაირად რომ მოიქცეოდა, მეტი არაფერი მინდა თქვენი. ერთი მაჩვენეთ ისეთი ვაჟკაცი, იმის გვერდით ჩემდენი ეცხოვროს, ჩემსავით ხუთი თითივით იცნობდეს და სხვანაირად კი მოიქცეს.“

„კარგი“, ამბობს შერიფი. „მჯერა, ბოლოს და ბოლოს სიმართლეს ამბობ. შენ ახლა ბაკს გაჰყევი და ერთი კარგად გამოიძინე. ქრისთმასს მე მოვუვლი“.

„რაღაც ციხის სუნი მცემს“, იღრიჯება ბრაუნი. „ეტყობა, სანამ ჯილდოს არ ჩაიჯიბავთ, მე ვირის აბანოში უნდა ვლესო კედლები“.

„ენა გააჩუმე“, ეუბნება შერიფი, გულს გარეთ გაბრაზებული. „თუ ის ჯილდო შენ გეკუთვნის, პირობას გაძლევ, არ დაგეკარგება. წაიყვანე, ბაკ“.

შერიფის თანაშემწე ბრაუნს უახლოვდება, მხარზე ადებს ხელს და ისიც სკამიდან დგება. ოთახიდან გამოსულებს ხალხი ეხვევა გარს: „რაო, გამოტყდა, ბაკ? მაგის ნახელავია?“ „არა“, პასუხობს ბაკი. „ახლა კი შინ წადით, ბიჭებო. ძილის დროა“.

ბაირონი ჩუმდება. მისი მოღლილი, უხალისო, სოფლური დუდუნი სიჩუმეში ინთქმება. ზის და თანაგრძნობით, რაღაცნაირი შეწუხებული და მშვიდი თვალებით შესცქერის თვალდახუჭულ ჰაი-

თაუერს, იმას კი, ღვარად, ცრემლივით სდის სახეზე ოფლი. მერე, უკვე ჰაითაუერი იწყებს ლაპარაკს: „მაშ ეგ მართალია, მართლა იციან ზანგის სისხლი რომ ურევია? იფიქრე, ბაირონ; რა მოხდება, როცა ხალხი... თუ დაიჭირეს... საცოდავი. საცოდავი ადამიანი“.

„ბრაუნი ამბობს ასე“, პასუხობს ბაირონი. მშვიდი ხმა აქვს, ჯიუტი, თვითდაჯერებული. „ისე, შიში მატყუარასაც ათქმევინებს სიმართლეს, როგორც ტანჯვა გასტეხს ხოლმე ალალ-მართალ კაცს და სიცრუეს აკადრებინებს“.

„ჰო“, ამბობს ჰაითაუერი. თვალდახუჭული ზის, წელში გამართული. „მაგრამ, ჯერ არ დაუჭერიათ. ჯერ ხომ არ დაუჭერიათ, ბაირონ?“

არც ბაირონი უცქერის თანამოსაუბრეს. „ჯერ არა. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიგია. დღეს მაძებარი ძაღლები მიიყვანეს იქ. მაგრამ დაჭერით, რამდენადაც ვიცი, ჯერ არ დაუჭერიათ“.

„ბრაუნი?“

„ბრაუნი“, იმეორებს ბაირონიც. „ბრაუნი. ისიც იმათთან ერთად იყო. შეიძლება ადრე ქრისთმასსაც მიეხმარა. მაგრამ, არა მგონია. ჩემი აზრით, მაგან დიდი-დიდი ცეცხლი წაუკიდა სახლს. ოღონდ, თუკი მართლა წაუკიდა, ალბათ თვითონაც ვერ ახსნის, რატომ მოიქცა ასე. ეტყობა იფიქრა, ყველაფერი ფერფლად თუ იქცევა, ვითომც საერთოდ არ ყოფილაო, მაშინ ისიცა და ქრისთმასიც ძველებურად იქროლებდნენ იმ მანქანით. მე მგონი, თვითონვე დაასკვნა, ქრისთმასის ნამოქმედარი იმდენად ცოდვა არ არის, რამდენადაც შეცდომაო“. ბაირონს ჩაფიქრებული სახე ადევს, იატაკს ჩასცქერის; მერე ოდნავ შესამჩნევი, სარდონიკული, ნაწვალები ღიმილი გადაურბენს. „მე მგონი, ახლა აღარაფერი ემუქრება. ახლა, როცა მოესურვება მაშინ შეუძლია ლინას იმისი პოვნა, თუკი, რა თქმა უნდა, შერიფთან ერთად ძაღლებით არ იქნება სანადიროდ გასული. გაქცევას არცა ფიქრობს, სად გაიქცევა, ვიდრე ის ათასი დოლარი, ასე ვთქვათ, ცხვირწინ უტრიალებს. მე მგონი, ყველაზე მეტადაც უნდა ქრისთმასის დაჭერა. ამიტომაც აეტორღიალათ. ციხიდან გამოჰყავთ და ისიც თან მიჰყავთ ხოლმე, მერე კი ყველანი ერთად ბრუნდებიან ქალაქში და იმასაც ისევ საკანში ამწყვდევენ. სასაცილო ამბავია. თითქოს მკვლელი თვითონ ცდილობს საკუთარი თავის დაჭერას, ოღონდ კი დაჭერისთვის დაწესებული ჯილდო მიიღოს. თვითონ, ეტყობა, ბედის მადლიერია, ოღონდ ეგაა, დასასვენებლად დაკარგული დრო ენანება, სულ კვალზე უნდა რომ იდგეს, ძვირფას წუთებს მისტირის. ასეა, ბატონო, საქმე. ხვალ ვეტყვი. უბრალოდ მივალ და

ვეტყვი, ახლა დამწყვდეული ჰყავთ მეთქი იმ ორ ძაღლთან ერთად. იქნებ ქალაქშიც გავიყვანო, სამივე ვაჩვენო, შევახედო, როგორ აოკეებენ კაცები თოკზე გამობმულებს, გაქაჩულებს, აყეფებულებს“.

„მაშ, ჯერ არაფერი გითქვამს“.

„ქალისთვის ჯერ არა. არც ბრაუნისთვის. იმან შეიძლება ჯილდოც ფეხებზე დაიკიდოს და ისევ გაიქცეს. აი, ქრისთმასი თუ ჩაუვარდა ხელში, ის ჯილდო თუ ჩაიჯიბა როგორმე, მაშინ იქნებ დროზე ჯვრის დაწერაც მოასწროს. მაგრამ ქალმა ჯერ არაფერი იცის, იმაზე მეტი არ იცის, რაც გუშინ იცოდა, როცა ფორნიდან გადმოსვეს ქალაქის მოედანზე. მუცელგაბერილი ძლივძლივობით ჩამოვიდა უცხო ფორნიდან, უცხო ხალხის თვალწინ და თან საკუთარ თავს ესაუბრებოდა, რაღაცნაირი უდრტვინველი გაოცებით, თუმცა, რომელ გაოცებაზე ვლაპარაკობ, როცა დინჯად, მძიმე-მძიმედ მარტოდმარტომ გამოიარა ამოდენა გზა და თან, ერთხელაც არ შეუფიქრიანებია ხალხის ნალაპარაკებს: — ღმერთო ჩემო, ალაბამადან მოვდივარ და, აჰა, ბოლოს და ბოლოს ჯეფერსონსაც მოვაღწიე მგონიო.“

- V -

შუალამე გადავიდა. ორი საათის წინ კი დაწოლილიყო, მაგრამ ქრისთმასს ჯერ რული მაინც არ ეკარებოდა. ბრაუნის ხმა მანამდე მოესმა, ვიდრე დაინახავდა. ჯერ გაიგონა, როგორ მოუახლოვდა ბრაუნი კარს, ზედ როგორ მოაწყდა, და მერეღა გამოჩნდა იმისი სილუეტი კარის ჭრილში — ბანცალებდა, ძლივს იდგა ფეხზე. თან მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. ხელებგაშლილი ტორტმანებდა კარებში გახირული და უცებ სიმღერა წამოიწყო — დაშაქრული, ყალბი, დუდღუნა ხმით. თითქოს ამ უსაშველო, გაწელილი ხმის ყოველი ბგერაც ვისკის სუნით ყარდა. „ხმა ჩაიწყვიტე“, შეეხმიანა ქრისთმასი. არ განძრეულა, არ დაუყვირია. არადა, ბრაუნი მაშინვე გაჩუმდა. ცოტა ხანს კიდევ იცოდვილა კარებში, ძლივს ინარჩუნებდა წონასწორობას. მერე კარს ხელი გაუშვა და ქრისთმასმა გაიგონა, როგორ შემოეხეტა ოთახში; წესიერად არც იყო შემოსული, უკვე რაღაცას გადააწყდა. ერთ წამს მხოლოდ მძიმე, დაძაბული ქშენა ისმოდა. მერე საშინელი ზღართანი მოადინა, იატაკს დაენარცხა, ქრისთმასის საწოლს მიეჯახა და ხმამაღლა, ბრიყვულად ახორხოცდა.

ქრისთმასი საწოლიდან წამოდგა. სადღაც ქვემოთ, იატაკზე,

უჩინარი ბრაუნი გართხმულიყო, ხორხოცებდა და არც კი ცდილობდა წამოდგომას. „ჩაინყვიტე-მეთქი ხმა“, გაუმეორა ქრისთმასმა. ბრაუნი მაინც ხორხოცებდა. ქრისთმასმა გადაალაჯა და ხელი ხის ყუთისკენ გაიწვდინა, რომელიც მაგიდის მაგივრობას უწევდა და ზედ ლამპასა და ასანთს დებდნენ ხოლმე. ყუთი რომ ვერ იპოვა, მერეღა გაახსენდა, ბრაუნის წაქცევისას ლამპის მსხვრევის ხმაც რომ გაიგონა. დაიხარა, ძირს გართხმული ბრაუნის საყელო მოძებნა, ჩაბღუჯა, საწოლს ქვემოდან გამოათრია, მერე ბრაუნს თავი აუწია და გაშლილი ხელი სახეში შემოჰკრა, მოწყვეტით, ღვარძლიანად, გამეტებით ურტყამდა, ვიდრე ბრაუნმა ხმა არ გაკმინდა.

ბრაუნი ახლა უკვე მომჩვარული ეგდო. ქრისთმასს იმისი თავი უწინდებურად ეჭირა და ჩუმად, ლამის ჩურჩულით აგინებდა. მერე მეორე საწოლთან მიათრია და ზედ დააგდო, გულაღმა. ბრაუნი ისევ ახორხოცდა. ქრისთმასმა მარცხენა ხელისგული ნიკაპქვეშ ამოსდო, გაშლილი თითები ცხვირპირზე დააფარა, თან, მარჯვენათი კვლავ ურტყამდა — მძიმედ, აუჩქარებლად, გამოზომილად, თითქოს ეშინოდა, სათვალავი არ ამერიოსო. ბრაუნი გაჩუმდა. გაიბრძოლა. სულშეგუბული ახრიალდა, ახროტინდა, აფართხალდა. ქრისთმასსაც მანამდე ჰყავდა გაკავებული, ვიდრე ერთიანად არ გახევდა, საბოლოოდ არ გაირინდა. მერე, ცოტათი მოადუნა ხელი. „ახლაც არ დაწყნარდები?“ ჰკითსა ბრაუნს, „არა?“

ბრაუნმა ხელახლა გაიბრძოლა. „გაწი შენი ტურტლიანი ხელი, მე შენი ზანგი...“ ხელმა ისევ გაგუდა. მეორე ხელიც ისევ მოხვდა სახეში. მაშინ ისიც გაჩუმდა, წოლითაც უკვე გაუნძრევლად იწვა. ქრისთმასმაც მოადუნა ხელი. ცოტა ხანში ბრაუნი კვლავ ალაპარაკდა, ეშმაკურად შემპარავად: „არ დამიწყო ახლა, ზანგი არა ვარო. თვითონ არ მითხარი? შენ თვითონ ბრძანე. აი, მე კი, მე თეთრკანიანი ვარ. მე თეთრ...“ ისევ გაგუდა ხელმა. ბრაუნმა ერთხელაც გაიბრძოლა, ისევ ახროტინდა და ახრიალდა, თითები დაუდორბლა ქრისთმასს. მერე, ფართხალი რომ შეწყვიტა, ხელიც მოდუნდა. უკვე გაუნძრევლად იწვა, ხარბად სუნთქავდა.

„ჰა, გაჩერდები?“ ჰკითხა ქრისთმასმა.

„ჰო“, თქვა ბრაუნმა. თან ხმაურით სუნთქავდა. „ამომასუნთქე. გავჩერდები. ოღონდ ამომასუნთქე“.

ქრისთმასმა ხელი კი მოადუნა, მაგრამ არ აუღია. პირზე ხელდაფარებული ბრაუნი ახლა მაინც უფრო თავისუფლად სუნთქავდა, უფრო მშვიდად, უფრო უხმაუროდ. მაგრამ, ქრისთმასს ხელი არ აუღია. სიბნელეში დასცქეროდა გაშოტილ სხეულს, თითებზე მონაცვლეობით შეიგრძნობდა ბრაუნის ხან თბილ, ხან კი ცივ ამონასუნთქს და მშვიდად ფიქრობდა **რალაცა უნდა მოხდეს ჩემს თავს. უეჭველად ჩავიდენ რალაცას** შეეძლო, ცალი ხელი ისევ ბრაუნისთვის ჰქონოდა ცხვირ-პირზე დაფარებული, მეორეთი კი თავის საწოლს გადასწვდენოდა, ბალიშის ქვეშიდან გრძელპირიანი სამართებელი გამოეძვრინა. შეეძლო, მაგრამ ხელი არ გადაუწვდენია. ეტყობა, ფიქრიც უკვე ძალიან შორს წავიდა, უფრო და უფრო ჩაბნელდა და უკარნახა **არა ეგ ის არ არის** ასეა თუ ისე, სამართებლისთვის ხელი არ უხლია. ცოტა ხანში ბრაუნსაც მიანება თავი, თუმცა ადგილიდან არ დაძრულა. ისევ საწოლს დასცქეროდა და მშვიდად, უხმაუროდ სუნთქავდა, ლამის თვითონაც არ ესმოდა საკუთარი სუნთქვა. უჩინარი ბრაუნიც ახლა უფრო მშვიდად სუნთქავდა, მერე ქრისთმასი შემობრუნდა, თავის საწოლზე ჩამოჯდა და კედელზე მიკიდული შარვლის ჯიბიდან ერთი ღერი სიგარეტი და ასანთვის კოლოფი ამოაძვრინა. ასანთის ალზე ბრაუნს გახედა. სანამ სიგარეტს მოუკიდებდა, ასანთის ღერი მაღლა ასწია და მძინარეს დააკვირდა. ბრაუნი გულაღმა იწვა, გადათხლაშული, ცალი მკლავი იატაკზე ჩამოვარდნოდა, პირი ღია დარჩენოდა. ვიდრე ქრისთმასი შესცქეროდა, ხვრინვაც ამოუშვა.

ქრისთმასმა სიგარეტს მოუკიდა და ასანთის ღერი წკიპურტით გაისროლა ღია კარისკენ, დაინახა, როგორ ჩაქრა ალი შუა გზაშივე. მერე მიაყურადა, უნდოდა ის სუსტი, უმნიშვნელო ჩქამი გაეგონა, ასანთის ჩამქრალი ღერი რომ გაიღებდა იატაკზე დაცემისას; მოეჩვენა, თითქოს მართლა გაიგონა კიდეც. მერე, ბნელ ოთახში საწოლზე ჩამომჯდარს ისიც მოეჩვენა, თითქოს უთვალავი სხვა, ასეთი სუსტი ბგერაც ესმოდა — ხმები, დუდუნი, ჩურჩული: ხეებისა, სიბნელისა, მიწისა; ხალხის ხმებიც: საკუთარი ხმა; სხვებისაც, მახსოვრობაში ვიღაცის სახელებს, გარდასულ დროს, მივიწყებულ ადგილებს რომ აცოცხლებდნენ — მთელი ცხოვრება გაუაზრებლად ნაცნობებს, თავად ცხოვრების შემადგენელს, ფიქრობდა **ღმერთისაც და მე კი ესეც არ ვიცი** თითქოს გახუნებულ და გადარეცხილ ასოებს კითხულობდა შარშანდელ აფიშაზე **ღმერთს მეც ვუყვარვარ.**

სიგარეტი ისე ჩაიყვანა ბოლომდე, ერთხელაც არ უხლია ხელი. მერე ისიც წკიპურტით გაისროლა კარისკენ. ასანთისგან განსხვავებით, სიგარეტის წითელი თვალი შუა გზაში არ ჩამქრალა. ღია კარიდან ხედავდა, როგორ გაიბეჟუტა წყვდიადში და მერე როგორ დაეცა ძირს. ქრისთმასი ისევ დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიწყო, იმ კაცივით იწვა, ვისაც დაძინების იმედი საბოლოოდ გადასწურვია,

ფიქრობდა *ათი საათიდან ასე ვწევარ და ჯერ რულიც არ მომკარებია. არც ვიცი, რა დროა, ოღონდ შუაღამე კი ნამდვილად გადასული იქნება, არადა ჩემ დაძინებას მაინც არ დაადგა საშველი* „იმიტომ, რომ ჩემთვის დაიწყო ლოცვა“, თქვა ხმამაღლა. ხმა მოულოდნელად და მჭახედ გაისმა ბნელ ოთახში, წამით ბრაუნის მთვრალი ხვრინვაც ჩაახშო. „მართალია, იმიტომ, რომ ჩემთვის დაიწყო ლოცვა“.

საწოლიდან წამოდგა. შიშველ ტერფებს იატაკზე ჩქამი არ გაუღიათ. სიბნელეში იდგა, საცვლების ამარა. მეორე საწოლზე ბრაუნი ხვრინავდა. ცოტა ხანს იდგა ასე, ბარუნის საწოლისკენ თავმიბრუნებული. მერე კარისკენ წავიდა. ფეხშიშველი, საცვლებისამარა გამოვიდა ქოხიდან. გარეთ ოდნავ მეტი იყო სინათლე. ზევით, ცაზე, ზანტად რიალებდნენ თანავარსკვლავედები, ის ვარსკვლავები, აგერ უკვე ოცდაათი წლის მანძილზე რომ ასაქროდა, მაგრამ არცერთის სახელი კი არ იცოდა, არც ერთი მათგანი არ ეუბნებოდა არაფერს არც თავისი მოხაზულობით, არც სიკაშკაშით, არც მდებარეობით. წინ, კორომიდან, სახლის ერთი საკვამლე მილი და ერთი თავხე ამოშვერილიყო, თავად სახლი კი, ბნელს შერწყმული, არ ჩანდა. არც შუქი გამოდიოდა იქედან, არც რამე ხმა, როცა მიუახლოვდა და იმ ოთახის ფანჯრის ქვეშ გაჩერდა, სადაც ქალს ეძინა, ფიქრობდა *ნეტავ თუ სძინავს. ნეტავ სძინავს თუ არა* ქალი სახლის კარს არასდროს კეტავდა და, ჩვეულებრივ, როცა სურვილი შეაწუხებდა ხოლმე, ნებისმიერ დროს — შებინდებიდან განთიადამდე — დაუბრკოლებლად შეეძლო სახლში შესვლა, უშეცდომოდ მიიკვლევდა ხოლმე გზას სიბნელეში, ქალის საძინებელი ოთახისკენ, მისი საწოლისკენ. თუ ქალს არ ეძინა და ელოდებოდა, შეეხმიანებოდა ხოლმე ბნელში მომავალს, სახელს დაუძახებდა. სხვა დროს, თვითონვე აღვიძებდა, ხელის წაკვრით, მოურიდებლად, ხანდახან კი, ისე გააკეთებდა ხოლმე გასაკეთებელს, თავისებურად ტლანქად და უხეშად, ქალს ხეირიანად გამოფხიზლებასაც არ დააცდიდა.

ეს ყველაფერი ორი წლის წინ დაიწყო, ორი წელი გასულიყო უკვე. იდგა და ფიქრობდა *ალბათ შეურაცხყოფილადაც ამიტომ ვგრძნობ თავს, ეტყობა, ვხვდები რომ მომატყუეს, გამაცურეს და ეს მამწარებს. ალბათ იმან გამაცოფა, ასაკი რომ დამიმალა, ვითომ ვერ მივხვდებოდი; ვითომ არ ვიცოდი, რაც ემართებათ ქალებს თავის დროზე* მერე, ჩაბნელებული ფანჯრის ქვეშ, სიბნელეში მარტოდმარტო მდგომმა ხმამაღლა თქვა: „ჩემთვის ლოცვა არ უნდა დაეწყო. ლოცვა რომ არ დაეწყო, არც არაფერი

მოუვიდოდა. რა თავის ბრალია, თუ დაბერდა და აღარაფრად ვარგა. მაგრამ ჭკუა კი მეტი უნდა გამოეჩინა, ჩემთვის ლოცვა არ უნდა დაეწყო“. მერე ქალის გინებას მოჰყვა. ჩაბნელებული ფანჯრის ქვეშ იდგა და დინჯად, აუჩქარებლად აგინებდა უშვერი სიტყვებით. ფანჯარას არ უყურებდა. მკრთალ, გაცრეცილ შუქზე თან თითქოს საკუთარ სხეულს აკვირდებოდა, შესაქროდა, როგორ ნელ-ნელა და ავხორცულად ირწეოდა — აჩურჩულებულ მტვერსა და ჭუჭყში, როგორც დამხრჩვალის გვამი წყალზე უფრო ბლანტ, სქელ, უძრავ, შავ ტბორში. გაშლილი ხელისგული უხეშად, მაგრად აიტარა მუცელზე და მკერდზე — პერანგქვეშ. ნიფხავს ერთადერთი ღილიღა შერჩენოდა. დრო იყო, ტანსაცმელზე არცერთი ღილი არ აკლდა. მაშინ ქალი უკერებდა ღილებს. ოღონდ წინათ, ადრე და თანაც, ძალიან ცოტა ხანს. მერე ის დროც წავიდა. მერე მანამდე იტაცებდა ხოლმე თავის ტანსაცმელს საოჯახო სარეცხიდან, ვიდრე ქალი აწყვეტილი ღილების დაკერებას მოახერხებდა. როცა ქალმა ეშმაკობაში აჯობა, თავს ძალა დაატანა, საკუთარი თავი აიძულა, მუდამ შეემჩნია და დაემახსოვრებინა რომელი ღილები აკლდა და რომელი დაეკერებინა ქალს ხელახლა. ამჩნევდა და იმახსოვრებდა კიდეც, ხოლო მერე, ქირურგივით გულცივი და უგრძნობელი, ჯაყვით საქმიანად ააჭრიდა ხოლმე ახლადდაკერებულ ღილებს.

მარჯვენა ხელის გაშლილი მტევანიც ისე სწრაფად და დაუბრკოლებლად ასრიალდა ახლა ნიფხვის ჭრილში, როგორც ოდესღაც დანის პირი. ერთადერთ შერჩენილ ღილს მსუბუქად და მოწყვეტით აჰკრა ხელი გვერდულად. ნიფხავი რომ ჩასძვრა, შიშველ ხორცზე თითქოს ბნელი ჰაერის ამონასუნთქი იგრძნო, თითქოს სიბნელემ რბილი და გრილი ენა აუსვაო. მერე, ისევ მიაპობდა წყვიადს და ეგონა წყალში მივაბიჯებო; ფეხქვეშაც ისე შეიგრძნობდა ნამს, როგორც მანამდე არასოდეს შეეგრძნო. მორღვეულ ჭიშკარში გავიდა და გზის პირას გაჩერდა, აგვისტოს სარეველა თეძოებამდე სწვდებოდა. ფოთლებსა და ღეროებზე ერთი თვის მტვერი იდო, ფორნების დანატოვარი. ქრისთმასის წინ გზა გაწოლილიყო. ჩამუქებულ ხეებსა და მიწასთან შედარებით ოდნავ უფრო ნათელი. ერთ მხარეს ქალაქს ეძინა, მეორე მხარეს გზა გორაკს მიუყვებოდა. ცოტა ხანში, გორაკს გადაღმა შუქმა იმატა, გორაკიც უფრო გამოიკვეთა. მერე მანქანის ხმაც მოესმა. არც განძრეულა. თეძოებამდე მტვრიან სარეველაში იდგა, შიშველი, დოინჯშემოყრილი. ასე იდგა, ვიდრე მანქანა გორაკს გადმოივლიდა, მოუახლოვდებოდა და გაჩახჩახებულ ფარებს მიანათებდა. ხედავდა, ნელ-ნელა როგორ თეთრდებოდა, ნელ-ნელა როგორ ეყოფოდა სიბნელეს მისი

სხეული, თითქოს გამჟღავნებული ფოტოსურათი ამოდიოდა სითხიდან. მანქანამ რომ ჩაუქროლა, პირდაპირ ფარებისთვის ჰქონდა თვალი გაშტერებული. მანქანიდან ქალის ყურისწამღები კივილი გამოიჭრა. „თეთრკანიანო ნაბიჭვრებო!“ მიაძახა თვითონ. „დედითქვენისამ, ჯერ მაგ ძუკნის მეტს არ უნახავს...“ მაგრამ მანქანა უკვე აღარ ჩანდა. მის ხმას ვეღარავინ გაიგონებდა, არც არავინ მოუსმენდა. მანქანა წასულიყო, თავისივე დაყენებული მტვრისა და თავისივე გამოსხივებული სინათლის ნაწილი შეეწოვა, ქალის კივილით გაჟღენთილიყო და გაუჩინარებულიყო. ქრისთმასს შესცივდა. თითქოს ბოლო მოქმდებაზე დასასწრებად მოსულს სანახავი ენახა, ვალი მოეხადა და ახლა კვლავ თავისუფლება მოეპოვებინა. ისევ სახლთან მიბრუნდა. ცოტა ხანს შეყოვნდა ჩაბნელებული ფანჯრის ქვეშ, ნიფხავს დაუწყო ძებნა, იპოვა კიდეც და ჩაიცვა. ნიფხავს აღარცერთი ღილი აღარ შერჩენოდა და ქოხისაკენ მიმავალს, ხელით ეჭირა. შორიდანვე გაიგონა ბრაუნის ხვრინვა. კართან შეჩერდა და ცოტა ხანს გრძელ, გაბმულ, უსიამო, არათანაბარ ამოოხვრებს უსმინა, რომლებიც მოგუდული ბუყბუყით გვირგვინდებოდნენ. — ეტყობა, კარგა მაგრად მოვუნგრიე ცხვირი ამ დამპალსო, გაიფიქრა. ქოხში შევიდა და თავის საწოლს მიუახლოვდა, დასაწოლად მოემზადა. უკვე წვებოდა, შუა გზაში უცებ რომ გაირინდა, ერთიანად დაიძაბა. შეიძლება იმის გაფიქრებამ შეზარა, გათენებამდე მთვრალი კაცის ხვრინვით გაჟღენთილ სიბნელეში რომ უნდა წოლილიყო, ბრაუნის ამოოხვრებს შორის კი, უთვალავი სხვადასხვა ხმისთვის ესმინა. შეიძლება, ამიტომაც წამოჯდა ხელახლა, საწოლქვეშ ნელა მოაფათურა ხელი, ფეხსაცმელები მოიძია, უხმაუროდ ჩაიცვა, საწოლიდან ერთადერთი, ბამბანარევი საბანი — მთელი თავისი ქვეშაგები — აიღო და ქოხიდან გამოვიდა. სამასიოდე იარდის მოშორებით საჯინიბო იდგა. ცოტაც და მთლად ჩამოიქცეოდა, ოცდაათი წელიწადი იქნებოდა, შიგ ცხენს არ გაეჭაჭანა, მაგრამ მაინც სწორედ იქეთ დაეღერებინა თავი. სწრაფად მიაბიჯებდა. თან ხმამაღლა ფიქრობდა, — ნეტავ, რა ჯანდაბამ მომანატრა ცხენის სუნიო? მერე, ჩაიბურტყუნა: — ცხენებში ქალი არ ურევია და იმანო. ფაშატი ცხენიც კაცივითაა.

ორი საათიც არ სძინებია. გარიჟრაჟზე გამოეღვიძა. თავის ერთადერთ საბანში გახვეული იწვა წასაქცევად გამზადებული, ბნელი თავლის სანახევროდ ამომპალ იატაკზე, ღმერთმა უწყის, როდინდელი თივის დანატოვარი წვრილი მტვრის მძაფრი სუნით ყელჩამწვარი და მიტოვებული, აშმორებული, ძველი ბუნაგების მძაღე ყროლით

გაჟღენთილი. აღმოსავლეთის კედელში დატანებულ, დარაბამოგლეჯილ ფანჯარაში ყვითლად გაბაცებული ცა და გვიანი ზაფხულის ფერმკრთალი, შორეული ცისკრის ვარსკვლავი მოჩანდა.

კარგად დასვენებულს გაეღვიძა, თითქოს რვა საათი სძინებოდა გადაბმულად. ეს ძილი, გაუთვალისწინებელი ძილი იყო, რაკიღა დაძინების იმედი საბოლოო ჰქონდა გადაწურული. ფეხები ზონრებგახსნილ ფეხასცმელებში ჩაჰყო, დახვეული საბანი იღლიაში ამოიჩარა და ციცაბო კიბეს დაუყვა, ფეხით წინდაწინვე მოსინჯავდა ხოლმე დამპალ და უჩინარ საფეხურებს, თვისუფალ ხელსაც იშველიებდა და ისე ჩამოდიოდა ფრთხილად, საფეხურ-საფეხურ. მერე ნაცრისფერ, მოყვითალო განთიადში შეაბიჯა, სუფთა სიგრილეში და ღრმად ჩაისუნთქა კრიალა ჰაერი.

განათებული აღმოსავლეთის ფონზე ქოხი ახლა აშკარად იკვეთებოდა, კორომიც მკაფიოდ ჩანდა, მთელ სახლს რომ ფარავდა ერთი საბუხრე მილის გარდა. მაღალ ბალახზე უხვად იდო ნამი. ფეხასცმელები მაშინვე გაელუმპა. ფეხსაცმლის ცივი ტყავი უსიამოვნოდ ეგლისებოდა შიშველ ტერფებზე; სველი ბალახის ღეროებიც ყინულის დრეკადი ლოლუებივით ეხლებოდნენ ფეხებზე. ბრაუნი აღარ ხვრინავდა. ქოხში რომ შევიდა, აღმოსავლეთის ფანჯრიდან შემოჭრილ შუქზე ნათლად გაარჩია მძინარის სახე. ბრაუნი ახლა მშვიდად სუნთქავდა. — გამოფხიზლებულაო, გაიფიქრა ქრისთმასმა. „არადა თვითონ არც იცის. ცოდოა ეს ნაბიჭვარი“. ბრაუნს დააცქერდა. „მართლა ცოდოა. გაგიუდება, ფხიზელს რომ გაეღვიძება. ალბათ ერთი საათი მაინც დასჭირდება ხელახლა დასათრობად“. საბანი საწოლზე მიაგდო და ჩაიცვა — სარჟის შარვალი და ცოტა შელახული თეთრი პერანგი; მერე ჰალსტუხი-პეპელაც გაიკეთა. თან სიგარეტს ეწეოდა. კედელზე სარკის ნატეხი მიემაგრებინათ. ჰალსტუხს რომ იკეთებდა, იმ ნატეხში თავისი მოწყენილი სახეც შეათვალიერა. უხეშფარფლიანი ჩალის ქუდი ლურსმანზე ეკიდა. ხელიც არ უხლია, მეორე ლურსმნიდან ნაჭრის კეპი ჩამოხსნა და ის დაიხურა, მერე, საწოლსქვეშიდან იატაკზე დაგდებული ერთი იმდაგვარი ჟურნალი გამოაძვრინა ან საცვლებისამარა ლამაზმანები, ანდა ერთიმეორისთვის დამბაჩამიშვერილი კაცები რომ ახატია ყდაზე, ხოლო სამართებელი, ფუნჯი და საპნის პატარა ნაჭერი ჯიბეში ჩაიტენა.

ქოხიდან რომ გამოვიდა, უკვე კარგად გათენებულიყო. უკვე ჩიტებიც ხმამაღლა მღეროდნენ. სახლს ამჯერად ზურგი აქცია. თავლას ჩაუარა და საძოვარზე გავიდა. ფეხსაცმელები და შარვლის ტოტები უცებ გაუჟღინთა ნაცრისფერმა ნამმა. შეჩერდა, შარვალი

ფრთხილად აიკარწახა მუხლებამდე და გზა განაგრძო. საძოვარს იქეთ ტყე იწყებოდა. ნამმაც იკლო და შარვლის ტოტები ისევ ჩამოუშვა. ცოტა ხანში ვიწრო ხეობას მიადგა, სადაც წყაროც ეგულებოდა. ჟურნალი მიწაზე დადო, ფიჩხი მოაგროვა და ცეცხლი დაანთო; მერე ხესთან ჩაჯდა და ზურგით მიეყრდნო, ფეხები ცეცხლს მიუშვირა. მალე სველმა ფეხსაცმელებმა ბოლი აუშვეს. იგრძნო, თანათან როგორ ამოუყვა სიმხურვალე ფეხებს. მერე, სრულიად მოულოდნელად, თვალი გაახილა და შუბის ტარზე მდგომი მზე დაინახა, კოცონიც ჩანავლებულიყო და — დამძინებიაო — მიხვდა. — მგონი მეძინაო, გაიფიქრა, — ღმერთმანი, ისევ დამძინებიაო.

ამჯერად ორ საათზე მეტი ეძინა, მზე უკვე წყაროს დანათოდა, მისი სხივები დაუღალავი წყლის ზედაპირზე იმსხვრეოდა და ბრჭყვიალებდა. წამოდგა, გაიწვართა, გახევებული ბეჭები გაშალა, დაბუჟებული კუნთები გამოაცოცხლა. ჯიბიდან სამართებელი, ფუნჯი და საპონი ამოიღო. წყაროსთან ჩაჩოქილმა გაიპარსა პირი, სარკის მაგივრობას წყლის ზედაპირი უწევდა, გრძელ, კაშკაშა სამართებელს კი ფეხსაცმლის ლანჩაზე ილესავდა.

მერე საპარსი მოწყობილობაცა და ჟურნალიც ბუჩქებში დამალა და ისევ გაიკეთა ჰალსტუხი. წყაროდან წამოსულმა, სახლი ახლა კარგა შორს მოიტოვა და გზაზე გამოვიდა. შორიახლოს პატარა დუქანი მოჩანდა, დუქნის წინ ბენზინის ჩასასხმელი სვეტიც დაედგათ. დუქანში შევიდა და მედუქნე ქალისგან კრეკერები და ერთი ყუთი ხორცის კონსერვი იყიდა. მერე ისევ წყაროსთან, ჩამქრალ კოცონთან დაბრუნდა.

ზურგით ხეს მიყრდნობილი იჯდა და საუზმობდა, თან, ჭამის დროს, ჟურნალს კითხულობდა. ამ ჟურნალიდან ადრე მხოლოდ ერთი სტატია წაეკითხა; ახლა მეორე დაიწყო, რომანივით კითხულობდა ჟურნალს, თავიდან ბოლომდე, თანმიმდევრულად. ხანდახან თავს აიღებდა ხოლმე და ღეჭვა-ღეჭვით მზედაკრული ფოთლების თაღს ახედავდა. „იქნებ მოსახდენი უკვე მოხდა“, ფიქრობდა ქრისთმასი, „იქნებ გასაკეთებელიც აღარ დამრჩა არაფერი“. ეჩვენებოდა, თითქოს ხედავდა, დერეფანივით როგორ ნელ-ნელა იხსნებოდა მის თვალწინ ყვითელი დღე, გობელენივით იშლებოდა და თანდათანობით მშვიდ, დამაწყნარებელ შუქჩრდილებად ქუცმაცდებოდა. თითქოს, ვიდრე იქ იჯდა, ყვითელი დღეც თვლემამორეული შემოსცქეროდა, ზანტად უთვალთვალებდა, გატრუნულ და მოთენთილ ყვითელ კატასავით. მერე ისევ კითხვა გააგრძელა. ერთი მეორის მიყოლებით, თანამიმდევრულად შლიდა ფურცლებს, თუმცა ზოგჯერ, რომელიმე გვერ-

ზეზე, რომელიმე სტრიქონზე, ანდა, სულაც რომელიმე სიტყვაზე თუ შეყოვნდებოდა ხოლმე. თითქოს იმ, ჯერ ბოლომდე გაუაზრებელ, ჯერ გონებაში მყარად გაუმჯდარ სიტყვას მოუნუსხავს და გაუქვავებიაო და ასოთა უბრალო შეთანხმებას მიჯაჭვული მთელი მისი არსებაც, თითქოს ცასა და მიწას შორის გამოკიდულიყო მშვიდ, მზიან სივრცეში, გამოკიდებულიყო და ასე უძრავად გამოკიდული, წონადაკარგული, თითქოს ხედავდა კიდეც, თითქოს მაღლიდან დასცქეროდა, სადღაც ქვემოთ, როგორ ზანტად და მდორედ მიედინებოდა დრო, ფიქრობდა **სიმშვიდის მეტი ამქვეყნად არაფერი მინატრია** ფიქრობდა — ჩემთვის ლოცვა არ უნდა დაეწყოო.

უკანასკნელ სტატიას რომ მიადგა, კითხვა შეწყვიტა და დარჩენილი ფურცლები გადაითვალა. მერე მზეს ახედა და ისევ გააგრძელა კითხვა. ახლა ისე კითხულობდა, როგორც ქუჩაში მოსეირნე კაცი ითვლის ხოლმე ტროტუარზე გაჩენილ ბზარებს; ჟურნალი ბოლო და უკანასკნელ გვერდამდე, უკანასკნელ სიტყვამდე ჩაიკითხა. მერე წამოდგა, ასანთს გაჰკრა და ჟურნალს ცეცხლი წაუკიდა, მოთმინებით მიატრიალ-მოატრიალებდა ხოლმე იქეთ-აქეთ, ვიდრე მთლად არ დაიფერფლა. მერე ღარტაფს დაუყვა, ჯიბეში საპარსი მოწყობილობა უჩხარუნებდა.

ქვიშით გადათეთრებული, ორივე მხრიდან მაღალი, ძირიდან წვერამდე ასკილითა და ხშირი ჯაგნარით დაფარული ციცაბო ფერდობებით შემოზღუდული ღარტაფი თანდათან გაგანიერდა. ჯერაც ფოთლების თაღისქვეშ მიაბიჯებდა; მერე ერთ-ერთ ფერდობს აუყვა, პატარა ქვაბულში ფიჩხის გროვა ეყარა, ლამის მთლად გამოევსო ფიჩხს იქაურობა. ქრისთმასმა ფიჩხი გვერდზე მიხვეტა, ქვაბული მოასუფთავა და დამალული, მოკლეტარიანი ნიჩაბი იპოვა. მერე, იმ ადგილას, რომელსაც წეღან ფიჩხი ფარავდა, ქვიშის თხრას შეუდგა; რიგრიგობით ამოთხარა ქვიშიდან ექვსი, საგულდაგულოდ თავდახურული ლითონის ბიდონი. თავსახურები არ მოუხსნია. ბიდონები გვერდულად დააწვინა და ნიჩბის წვერით დახვრიტა — ბიდონებიდან ვისკი გადმოიფრქვა, გადმოიღვარა, ქვიშა ჩააშავა და ჰაერი, მზით განათებული უდაბნო, ერთიანად ალკოჰოლის სუნით გაუღინთა. ქრისთმასი არ ჩქარობდა, აცალა, ვიდრე ბოლომდე არ დაიწრიტა ექვსივე ბიდონი. გაქვავებული სახე ნიღაბს მიუგავდა. ბიდონები რომ დაიცალა, ისევ ორმოში ჩაყარა, საგულდაგულოდ ჩამარხა და ხელახლა მიაყარა ფიჩხი. მერე ნიჩაბიც დამალა. ფიჩხი შავ ლაქას კი ფარავდა, ოღონდ სუნს, არომატს ვერაფერს უხერხებდა. ქრისთმასმა ისევ ახედა მზეს. შუადღე გადასულიყო.

საღამოს კი, შვიდ საათზე, ქალაქის ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაზე რესტორანში იჯდა იდაყვებით გადასლიპინებულ დახლთან, უზურგო სკამზე და ვახშმობდა.

ცხრა საათზე სადალაქოსთან იდგა და ფანჯრიდან შესცქეროდა იმ კაცს, ვინც თვითონ, საკუთარი სურვილით შეეამხანაგებინა. გაუნძრევლად იდგა, ხელები შარვლის ჯიბეებში ეწყო, სიგარეტის ბოლი გაქვავებულ სახეზე გადაჰფენოდა და ნაჭრის კეპი, როგორც ადრე უხეშფარფლებიანი ჩალის ქუდი, თან დარდიმანდულად და თან ავისმომასწავებლად ჩამოეფხატა სახეზე. ისე პირქუშად, ისე ავისმომასწავებლად გარინდულიყო, გაჩახჩახებულ სადალაქოში, ლოსიონისა და ცხელი საპნის ოხშივარში ქადაგად დავარდნილ, გაცხარებულ, ხმაჩახლეჩილ, ჭუჭყიან წითელზოლებიან შარვალსა და ჭუჭყიან ფერად პერანგში გამონყობილ ბრაუნს შუა გზაში გაუწყდა სიტყვა, როცა უეცრად თავაწეული, მთვრალი თვალებით შუშის იქეთ მდგომი კაცის მზერას გადააწყდა. ისეთი გოროზი და გამეხებული სახე ედო, იმის დანახვაზე ზანგმა ბიჭმაც, სტვენა-სტვენით რომ მოფრატუნობდა ქუჩაში, უცებ გაკმინდა ხმა და ჩუმად, კედელ-კედელ გაიპარა, სადღაც გაიძურწა ქრისთმასის ზურგსუკან და თან, დამფრთხალი მალიმალ ქურდულად გამოხედავდა ხოლმე. თუმცა, დიდხანს აღარც ქრისთმასი გაჩერებულა. თითქოს სადალაქოსთან მარტო იმიტომ მისულიყო, ერთადერთხელ რომ დანახვებოდა ბრაუნს.

ახლა ნელა, აუჩქარებლად მიუყვებოდა ქუჩას და თანდათან შორდებოდა მოედანს. ისედაც მუდამ წყნარი ქუჩა, მთლად გაუკაცრიელებულიყო. ეს ქუჩა ზანგების უბანს — ფრიდმენ თაუნს — ჭრიდა და რკინიგზის სადგურამდე მიდიოდა. შვიდი საათისათვის აქ გაცილებით მეტი ხალხი შემოხვდებოდა, მოედნისაკენ თუ კინოში მიმავალი, თეთრკანიანებიცა და ზანგებიც; ათის ნახევარზე ყველა უკან, შინისაკენ წამოვიდოდა, მაგრამ ახლა, კინო ჯერ არ დამთავრებულიყო და ქუჩაშიც მის გარდა არავინ ჭაჭანებდა. ის კი გზას მიუყვებოდა, უხმაუროდ მიაბიჯებდა თეთრკანიანთა სახლებს შორის, ქუჩის ერთი ნათურიდან მეორისაკენ, მუხისა და ნეკერჩხლის ფოთლების მძიმე ჩრდილები კი შავი ხავერდის ნაკუწებივით აეწებებოდნენ ხოლმე მის თეთრ პერანგს. არავინაა უკაცრიელ ქუჩაში მიმავალ კაცზე მარტოსული. და, თუმცა, ქრისთმასს არც მაინცდამაინც ბრგე და არც მაინცდამაინც ტანადი არ ეთქმოდა, მაინც შუაგულ უდაბნოში კენტად აღმართულ ტელეფონის ბოძზე ეულად ჩანდა. ლანდების სამყაროდან გამოხეტებულსა და გზააბნეულ მოჩვენებას ჰგავდა ამ უკაცრიელსა და ჩრდილებით მოფენილ ქუჩაში.

მერე თანდათანობით გამოერკვა. ქუჩა თავქვე დაქანებულიყო და, ვიდრე რამეს გაიაზრებდა, ქრისთმასსაც ფრიდმენ თაუნში ამოეყო თავი, უჩინარი ზანგების საზაფხულო სუნითა და საზაფხულო ხმებით გარემოცულს. ამ უსხეულო ხმებს თითქმის შუაში მოემწყვდიათ და იცინოდნენ, ჩურჩულებდნენ, ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობდნენ მისთვის უცხო ენაზე. თითქოს ბნელი, შავი ორმოს ფსკერიდან ამოსცქეროდა საკუთარ თავს, ნავთის ლამპებით განათებული ქოხების ბუნდოვანი ლანდებით გარშემორტყმულს, ალყაში მოქცეულს, თითქოს ქუჩის ნათურებს შორისაც გაზრდილიყო მანძილი, თითქოს შავი სიცოცხლე, შავი ამონასუნთქიც რაღაც ბლანტ ნივთიერებად შედედებულიყო და არა მარტო ხმები, არამედ მოძრავი სხეულებიცა და თავად სინათლეც უნდა გათხიერებულიყვნენ, ნელ-ნელა, ნამცეც-ნამცეც უნდა შეეწოვათ უკვე ღონემოკრებილი ღამე და თვითონაც ღამეს უნდა შერწყმოდნენ, მის ნაწილად უნდა ქცეულიყვნენ.

ქრისთმასი უძრავად იდგა, მძიმედ სუნთქავდა და აქეთ-იქეთ აკვესებდა თვალებს. ნავთის ლამპების სუსტ, მხურვალე შუქზე წყვდიადში შავადვე იკვეთებოდნენ ქოხების ლანდები. ყოველი მხრიდან, თუმცა, ყოველი მხრიდან კი არა, თითქოს მისივე არსებიდანაც, ზანგი ქალების უჩინარი, ნოყიერი და რბილი დუდუნი მოისმოდა. თითქოს არამცთუ თვითონ, არამედ ყოველი მამრი ისევ ბნელ, ისევ მხურვალე, ისევ ნოტიო პირველსაწყის საშოს დაბრუნებოდა. ადგილს მოსწყდა და გაიქცა. თვალებანთებული, კბილებდაკრეჭილი, გარბოდა და ცივი ჰაერი გამშრალ ტუჩებს უწვავდა, კბილს სჭრიდა — უახლოეს ქუჩის ნათურამდე უნდა მიეღწია როგორმე, იქედან კი, ვიწრო და ოღროჩოღრო შუკა პარალელურ ქუჩამდე აიყვანდა და ეს ჩაშავებული, ბნელი ხევიც უკან დარჩებოდა. შუკაშიც სირბილით შეუხვია და ციცაბო აღმართს შეუყვა, გამალებით უცემდა გული, ყელში ებჯინებოდა, ვიდრე ზევით, სამშვიდობოს ააღწევდა. იქღა შეჩერდა, აქოშინებული, თვალებანთებული, გულამოვარდნილი, თითქოს არ სჯეროდა, ვერ ბედავდა დაეჯერებინა, უკვე თეთრკანიანთა ცივ, მყარ ჰაერს რომ ისუნთქავდა.

ძლივს დაწყნარდა. ზანგების სუნიცა და ზანგების ხმებიც სადღაც უკან, ქვევით დარჩა. ახლა ხელმარცხნივ მოედანი ჩანდა, სინათლის მტევნები: ფრთებგაშეშებული, მთრთოლვარე, კაშკაშა ჩიტები დაბლა, მიწის სიახლოვეს ეკიდნენ. მარჯვნივ ქუჩის ნათურების მწკრივი ჩარიგებულიყო, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებულებს, შიგადაშიგ დატეხილი, გარინდული ტოტები გამორეოდნენ. მოედნისკენ აღარ წასულა, ზურგი აქცია და საპირისპირო მიმართულებით

გაუყვა ქუჩას, აუჩქარებლად მიაბიჯებდა, ისევ თეთრკანიანთა სახლებს შორის. ხალხი აივნებზე გამოფენილიყო, ზოგს ეზოშიაც გამოეტანა სკამები და სახლების წინ ისხდნენ; მაგრამ აქ მშვიდად შეეძლო ევლო. ხანდახან დაინახავდა კიდეც: ვიღაცის თავის ჩრდილს, ვიღაცის თეთრად შემოსილ, ბუნდოვან სილუეტს; განათებულ ვერანდაზე ოთხნი მისხდომოდნენ ბანქოს მაგიდას, ჩაწეული ლამპის შუქზე თეთრად კრთოდნენ დაძაბული და მკაცრი სახეები, მაგიდაზე გაშლილ ქაღალდსაც თეთრად გადაურბენდა ხოლმე ქალების შიშველი, გლუვი მკლავების ათინათი. „ჩემი ოცნებაც სულ ეს იყო“, გაიფიქრა ქრისთმასმა. „განა რა იმდენი მდომებია“.

ეს ქუჩაც თავქვე დაეშვა. ოღონდ ახლა ხიფათი აღარ ელოდა. ნელა მიდოდა, ბნელში გამკრთალი მისი თეთრი პერანგიცა და შავი ფეხებიც გრძელმა, აგვისტოს ვარსკვლავებს შერწყმულმა გაწელილმა და გაშეშებულმა ჩრდილებმა შთანთქეს: ბამბის საწყობის, თავმოჭრილი მასტოდონტივით ვეებერთელა, ცილინდრული ცისტერნისა და სატვირთო ვაგონების ჩრდილებმა. რკინიზგის ხაზი რომ გადაკვეთა, ლიანდაგებმა წამით მწვანედ, ტყუპად იელვეს სემაფორის შუქზე და ისევ გაუჩინარდნენ. რკინიგზის გადაღმა ტყე იწყებოდა. ბილიკის პოვნა არ გასჭირვებია. ხეებს შორის გაკვალულ ბილიკს მიუყვებოდა აღმართში; იმ ხეობის გადაღმა, სადაც რკინიგზა გადიოდა, ერთხელ კიდევ გამოჩნდა ქალაქის სინათლეები. მაგრამ, ვიდრე გორაკს არ მოექცა თხემზე, უკან აღარ მოუხედავს. მერეღა გახედა ქალაქს, ქალაქის ჩირაღდნებს, მოედნიდან ოთხივე მხარეს გაფანტულ სინათლეებს. ის ქუჩაც ჩანდა, რომელსაც აქამდე მოეყვანა და მეორეც, რომელმაც წელან ცოტას მორჩა გასცა და ამხილა; უფრო შორს ქალაქის სწორკუთხა, განათებული გალავანიც მოჩანდა, გალავნის ერთ კუთხეში კი — შავბნელი ხარო, საიდანაც გულგახეთქილმა და გამწარებულმა გამოაღწია სამშვიდობოს. იქედან არც შუქი იფრქვეოდა, არც სუნთქვა ისმოდა და არც სუნი მოდიოდა. თითქოს ბნელში განაბულიყო, ბნელში გატრუნულიყო იდუმალი და შეუღწეველი, აგვისტოს მთრთოლვარე სინათლეების გირლიანდებში ჩაკარგული: ვინ იცის, თავად პირველქმნილი წიაღი, თავად პირველქმნილი ქაოსი.

გზას შეუმცდარად მიიკვლევდა, არც ხეები უშლიდა ხელს და არც სიბნელე. ვერ ხედავდა, არადა მაინც ერთხელაც არ გადაუხვევია ბილიკიდან. ტყე გრძლად გაწოლილიყო წყვდიადში. მერე გზაზე გამოვიდა. ფეხქვეშ შარაგზის მტვერი შეიგრძნო. ახლა, თანდათანობით, ბუნდოვანი და უსასრულო სამყაროც, ჰორიზონტიც გამოიკვეთა. აქა-იქ, ფანჯრებში სუსტი შუქი გაიბუტებდა ხოლმე. თუმცა,

ქოხების უმრავლესობა ბნელში ჩანთქმულიყო. ასეა თუ ისე, სისხლმა ისევ შეახსენა თავი, ხელახლა ალაპარაკდა, ხელახლა ამოიდგა ენა და თვითონაც ნაბიჯს აუჩქარა, სისხლს ფეხი აუწყო; თითქოს ვიდრე დაინახავდა, ვიდრე იმათ ხმას გაიგონებდა, ვიდრე იმათი სილუეტები ბუნდოვნად გამოიკვეთებოდა ჩამკვდარი გზის ფონზე, უკვე მანამდეც იცოდა, მომავლნი ზაგნები რომ იყვნენ. ხუთნი თუ ექვსნი მოდიოდნენ კვალში ჩამდგარნი, დაწყვილებულნი; საკუთარი სისხლის ხმაურში ისევ მოესმა ქალური მსუყე ხმების დუდუნი. პირდაპირ მათკენ მიაბიჯებდა, გაჩქარებული. იმათაც დაინახეს და გზის ნაპირზე მიდგნენ, მიჩუმდნენ. მაშინ თვითონაც იცვალა გეზი, მაინც იმათკენ დააღერა თავი, თითქოს უნდოდა, საერთოდ გადაერეკა გზიდან. თითქოს ვიღაცის უსიტყვო ბრძანებას ემორჩილებიანო, ქალებმა ერთდროულად დაიხიეს უკან, გაეცალნენ, გზა უტიეს. ერთი კაციც იმათ მიჰყვა, თითქოს წინ გაირეკაო, თან, მხარსზემოდან მალიმალ უკან იხედებოდა. ორი გზაზევე დარჩა, ქრისთმასის პირისპირ. ქრისთმასიც გაჩერდა. თითქოს ადგილიდან აღარავინ იძროდა, არადა, ის ორნი მაინც ახლოვდებოდნენ, უზომოდ გაზრდილ ლანდებად მოცურავდნენ ქრისთმასისკენ. ქრისთმასს ზანგის სუნი ეცა — იაფფასიანი ტანსაცმლისა და ოფლის სუნი. ზანგის თავი თითქოს ზეცას ებჯინებოდა, თითქოს ციდან დასცქეროდა ქრისთმასს. „თეთკანიანი ყოფილა“, უთხრა ამხანაგს, თუმცა თავი მისკენ არ მიუბრუნებია, მშვიდად ლაპარაკობდა. „რა გნებავს, თეთრო კაცო? ეძებ ვინმეს?“ ხმაში არც მუქარა იგრნობოდა, არც მონური მორჩილება.

„წამო, წავიდეთ აქედან ჯუპ“, გამოსძახა იმან, ქალებს რომ გაჰყვა.

„ვის ეძებ, უფროსო?“ გაუმეორა კითხვა ზანგმა.

„ჯუპ“, წვრილი ხმით დაუძახა ერთერთმა ქალმაც, „კარგი ეხლა, წამოდი“!

დაძაბულად აქოშინებული ორი — თეთრი და შავი თავი კიდევ ცოტა ხანს თითქოს გაუნძრევლად ეკიდა ბნელში, ერთმანეთის პირისპირ. მერე ზანგის თავი გაცურდა, გაეცალა; საიდანღაც გრილმა სიომ წამოუბერა. ქრისთმასიც ნელ-ნელა შემობრუნდა, თუმცა, მანამდე თვალი გააყოლა, გახედა, როგორ უჩინარდებოდნენ, თანდათან ისევ როგორ ერწყმოდნენ გაცრეცილ გზას, მაშინღა იგრძნო, მაშინღა შეამჩნია, ხელში სამართებელი ეჭირა, დაკეცილი. არადა, შიშით წამითაც არ შეშინებია. „ნაბიჭვრებო!“ თქვა საკმაოდ ხმამაღლა. „შობელძაღლებო!“

სიბნელეში საიდანღაც გრილი ქარი უბერავდა; მტვრის სიცივე

ფეხსაცმელშიც ატანდა. „რა ჯანდაბა მჭირს?“ გაიფიქრა ქრისთმასმა. სამართებელი ისევ ჯიბეში ჩაიდო, შეჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. სიგარეტი რომ დაეჭირა, რამდენჯერმე გაისველა ტუჩები. ასანთის ალზე დაინახა, როგორ უთრთოდა ხელები. „ყველაფერი წვალებაა“, გაიფიქრა მან. „წვალებაა ეს ცხოვრება“, თქვა უკვე ხმამაღლა და ისევ განაგრძო გზა. მერე ცას, ვარსკვლავებს ახედა. მალე ათი შესრულდებაო — გაიფიქრა; ფიქრი წესიერად არც დაემთავრებინა, ორი მილის იქეთ, სასამართლოს შენობაზე საათმა რომ დარეკა. ნელა, გამოზომილად, მკაფიოდ გაისმა ათი დარტყმა. საათის დარტყმები დაითვალა და ისევ გაჩერდა უკაცრიელ, ცარიელ გზაზე. „ათი საათია“, გაიფიქრა ქრისთმასმა. „ათი დარტყმა წუხელაც გავიგონე. მერე თერთმეტიც. თორმეტიც. აი, პირველი როდის შესრულდა, ეგ კი აღარ გამიგია. ეტყობა, ქარი თუ შეიცვალა“.

იმ ღამესაც რომ ჩამოჰკრა საათმა მეთერთმეტედ, ზურგით ხეს მიყუდებული იჯდა ეზოში, მორღვეულ ჭიშკართან, სადღაც უკან კი, გაბურძგნულ ხეებს იქეთ, ჩაბნელებულ სახლს ეძინა. არ ფიქრობდა ***იქნებ იმასაც არ სძინავს*** საერთოდ არაფერს ფიქრობდა; ამღამინდელი ფიქრი ჯერ არ დაწყებულიყო; ჯერ არც ხმები ესმოდა. უბრალოდ, გაუნძრევლად იჯდა და ცოტა ხანში, ორი მილის იქედან, საათის თორმეტი დარტყმაც მოესმა. წამოდგა და სახლისკენ გაემართა. არ ჩქარობდა. მაშინაც კი არ ფიქრობდა ***რალაც უნდა მოხდეს, რალაც უნდა მოხდეს ჩემს თავს***

- VI -

მახსოვრობა მანამდე იჯერებს, ვიდრე ცოდნა გაიხსენებს. უფრო დიდხანსაც სჯერა, ვიდრე ახსოვს, უფრო დიდხანს, ვიდრე ცოდნას რამის გაგების სურვილი გაუჩნდებოდეს. იცის, ახსოვს, სჯერა — ციხესავით თუ ზოოპარკივით ათი ფუტი სიმაღლის რკინისა და მავთულის ღობით გარშემორტყმული, აბოლებული ქარხნების შემოგარენით შემოზღუდული, ხრიოკ, დატკეპნილი წიდით მოფენილ ეზოში გრძლად გაწოლილი, დიდი, წონოლასახურავიანი, ცივად მოგუგუნე, უთვალავი — საკუთარი თუ სხვისი — საკვამურით შავად შემურული და გაუჟმურებული, მუქი წითელი აგურის შენობის დერეფანი, სადაც ბელურებივით დაჟივჟივებენ ლურჯი ტილოს ერთნაირტანსაცმლიანი ობლები და, დაუკითხავად, მისდა უნებურად, ხან აზვირთებული

ტალღებივით შემოიჭრებიან ხსოვნაში, ხან კი ისევ ქრებიან, ოღონდ, მხოლოდ ხსოვნიდან, რადგან ცოდნა მარად უცვლელად ინახავს მათ სახებას — შენობის ცივი კედლებივით და ცივი მინებივით, რომელთაც, წვიმის დროს, შავ ცრემლებად სდით ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მოახლოებული საკვამურების ჭვარტლი.

დადუმებულ და დაცარიელებულ დერეფანში, შუადღის მკვდარი საათის დროს, ლანდსა ჰგავდა; ხუთი წლისა, თავის ასაკთან შედარებით კიდევ უფრო პატარა ჩანდა მართლაც ლანდივით უხმაურო და გატრუნული. თვალიც რომ მოეკრა მისთვის ვინმეს, მერე ველარ იტყოდა, როდის და სად გაუჩინარებულიყო, რომელ კარში, რომელ ოთახში. თუმცა, ვინ დაინახავდა, როცა ამ დროს დერეფანში სხვა სულიერი არ ჭაჭანებდა. ეს თვითონაც კარგად იცოდა. პირველი შემთხვევა ხომ არ იყო — იმ დღის შემდეგ, რაც დიეტექიმის ოთახში შემთხვევით აღმოაჩინა კბილის პასტა, ლამის მთელ წელიწადს გაევლო უკვე.

ახლაც, დიეტექიმის ოთახში ამოყო თუ არა თავი, ფეხშიშველმა, უხმაუროდ, ფეხაკრეფით პირდაპირ პირსაბანთან მიირბინა და ტუბი მონახა. უკვე ვარდისფერ ჭიაყელას დასცქეროდა, რომელიც ნელ-ნელა, ზანტად ეგრაგნებოდა პერგამენტისფერ თითზე, როცა დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა და მერე, ზუსტად კარებთან, ლაპარაკიც გაიგონა. შეიძლება, იცნო კიდეც დიეტექიმის ხმა. ასეა თუ ისე, ლოდინი აღარ დაუწყია — გზას გააგრძელებენ თუ არაო. ტუბი ჯერაც ხელში ეჭირა, ფეხშიშველმა ისევ ლანდივით უხმაუროდ გადაირბინა ოთახი და კუთხეში გაბმული ფარდის უკან შეიყუჟა. კოხტა ფეხსაცმელებსა და ნაზ, ჰაეროვან, ქალურ ტანისამოსს შორის გაიტრუნა და ერთიანად მოკუნტულმა გაიგონა, როგორ შემოვიდნენ ოთახში დიეტექიმი და მისი თანამგზავრი.

ჯერჯერობით დიეტექიმი მისთვის მხოლოდ საჭმლის, სასადილო ოთახის, ხის გრძელ მაგიდებთან საუზმე-სადილ-ვახშმის მექანიკური დანამატი იყო და სხვა არაფერი, თუ ვერ ხედავდა, არც ახსენდებოდა, ოღონდ ეგ კია, დანახვისთანავე სასიამოვნო ასოციაციებს აღუძრავდა ხოლმე, რადგან თვითონაც სასიამოვნო შესახედი — ახალგაზრდა, ჩაპუტკუნებული, ფუმფულა და ვარდისფრად თეთრი — სასადილო ოთახს აგონებდა მუდამ, სასაზეც რაღაც ტკბილი და წებოვანი ნუგბარის გემოს უჩენდა, ვარდისფერისა და იდუმალებით მოცულისა. იმ პირველ დღესაც, როცა ლამის უძებნელად მიაგნო ქალის ოთახში კბილის პასტას — არადა მანამდე, მისი არსებობა ეჭვადაც კი არ იცოდა — თითქოს წინათგრძნობა კარნახობდა,

წინათგრძნობა უბიძგებდა, უეჭველად რომ უნდა ჰქონოდა დიეტექიმს რაღაც ამდაგვარი ოთახში და თვითონაც უეჭველად უნდა ეპოვა, უეჭველად უნდა მიეგნო მისი კვალისთვის. მერე დიეტექიმის თანამგზავრის ხმაც იცნო. ამ სახლში, ადგილობრივი ექიმის თანაშემწე, საოლქო საავადმყოფოს ინტერნიც შინაური კაცი იყო და მტერი ჯერ არც იმას ეთქმოდა.

ახლა ფარდის უკან საფრთხე არ ელოდა. ისინი რომ წავიდოდნენ, თვითონაც ძველ ადგილზე დააბრუნებდა პასტას და უჩუმრადვე გაიპარებოდა. მოკლედ, ფარდის უკან იყო ჩაცუცქული, ყურს არც კი უგდებდა და მაინც ესმოდა ქალის დაძაბული ჩურჩული: „არა! არა! აქ არა. ახლა არა. ვინმე მოგვისწრებს. დაგვინახავენ... არა, ჩარლი! გთხოვ!“ კაცის სიტყვებს საერთოდ ვერ არჩევდა. ისიც ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდა. თუმცა, ნებისმიერი მამაკაცის ხმისა არ იყოს, ეს ხმაც სასტიკი და დაუნდობელი ეჩვენებოდა, რადგან, თავისი ასაკის გამო, ჯერ ისევ ქალების სამყაროს ეკუთვნოდა, ჯერ ვერ გაქცეოდა ამ სამყაროს, თუნდაც მცირე ხნით, სულის მოსათქმელად, რათა შემდეგ ისევ დაბრუნებოდა და სამარადისოდ, აღსასრულის დღემდე, იქ დარჩენილიყო კიდეც. მერე სხვა ნაცნობი ხმაურიც გაიგონა: თითქოს ვიღაცამ გადაირბინა, კარებში გასაღები გადატრიალდა. „არა, ჩარლი! ჩარლი გეხვეწები! გთხოვ, ჩარლი!“ ჩურჩულებდა ქალი. კიდევ მოესმა ხმები — შარიშური, ჩურჩული, ხმებიც რომ არ ეთქმოდათ თითქოს. თვითონ მოსმენას არც ცდილობდა; უბრალოდ იცდიდა და გულგრილად ფიქრობდა, ასეთ დროს დასაძინებლად დაწოლა ცოტა არ იყოს უცნაური ამბავიაო. თხელ ფარდაში ისევ შემოაღწია ქალის მისუსტებულმა ჩურჩულმა: „მეშინია, ჩქარა! ჩქარა!“

ნაზ, ქალისსურნელოვან ტანისამოსსა და ფეხსაცმელს შორის ჩაცუცქულიყო. ახლა უკვე კი არ ხედავდა, მხოლოდ შეიგრძნობდა დაცლილი ტუბის ოდესღაც ცილინდრულ ფორმას. კი არ უცქერდა, თითქოს გემოთი ჭვრეტდა გრილ, უხილავ ჭიაყელას, ჯერ თითზე რომ ეგრაგნებოდა და მერე, თავისით, დაუკითხავად, პირისკენ მიიწევდა, ტკბილად ედღაბნებოდა სასაზე. ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთხელ ჩაიკოკლოზინებდა ხოლმე ყელს, მერე ტუბს თავის ადგილზე დებდა და ოთახიდან იპარებოდა. ხუთი წლის კი იყო, მაგრამ უკვე ხვდებოდა, მეტის აღება არ შეიძლებოდა. ალბათ ცხოველური საწყისი აფრთხილებდა, მეტი გაწყენსო; ადამიანური კი, ალბათ, იმას კარნახობდა, მეტს თუ აიღებ, ქალი უთუოდ მოისაკლისებსო. პირველად ვერ მოზომა, პირველად მოუვიდა მეტი. გატრუნულმა და მოლოდინად ქცეულმა, თითქმის მთელი პასტა გამოცალა. შეგრძნება უჩვენებდა, როგორ გალეულიყო ტუბი. თანდათან გაიოფლა. მერელა მიხვდა, უკვე კარგა ხანია ოფლი ასხამდა, კარგა ხანია, მხოლოდ იოფლებოდა და იოფლებოდა. აღარაფერი ესმოდა. ფარდის იქეთ თოფი რომ გაესროლათ, ალბათ იმასაც ვერ გაიგონებდა. საკუთარ არსებას მიყურადებული, თითქოს საკუთარ თავსვე შესცქეროდა და ხედავდა, როგორ იცვარებოდა ოფლით, როგორ ედღაბნებოდა სასაზე კიდევ ერთი ჭიაყელა, რომელსაც კუჭი უკვე აღარ ღებულობდა. ჭიაყელაც უძალიანდებოდა, აშკარად უარს ამბობდა ქვევით ჩასრიალებაზე. გახევებული, ღრმად ჩაფიქრებული, თითქოს ზემოდან დასცქეროდა და აკვირდებოდა საკუთარ თავს, თითქოს ლაბორატორიაში ქიმიკოსი ცდას ატარებს და მოუთმენლად ელოდება შედეგსო. ლოდინი დიდხნას არ დასჭირვებია. უკვე გადაყლაპული პასტა ერთბაშად აზავთდა სადღაც შიგნით და კვლავ გარეთ, ჰაერზე, სიგრილეში გამოღწევას შეეცადა. ახლა პასტას სიტკბოც დაჰკარგვოდა. ვარდისფერქალისსურნელოვან სივიწროვესა და სიბნელეში, ტუჩებზე ვარდისფერ ქაფმოდებული, ფარდის უკან ჩაცუცქულიყო და საკუთარ შიგნეულობას უსმენდა, გაოცებული და სასოწარკვეთილი ელოდებოდა იმას, რაც საცაა უნდა მომხდარიყო. მერე, მოსახდენიც მოხდა. ბედს შეგუებულმა და დამორჩილებულმა, გულში თქვა: აქა ვარ, არსად გავრბივარო.

ფარდა რომ გადაიხსნა, თავი არ აუღია. არც მაშინ გაძალიანებულა, როცა გამძვინვარებულმა ხელებმა საკუთარი ნარწყევიდან ამოათრიეს. ხელში აყვანილი, მომჩვარული ეკიდა ჰაერში და პირდაბჩენილი, შუშისთვალება, იდიოტივით შესცქეროდა იმ სახეს, რომელსაც აღარც ფუმფულა ეთქმოდა და აღარც ვარდისფრად თეთრი, უეცრად დამახინჯებული და შეშლილი, გაწეწილ, ყალყზე დამდგარ თმაში ჩაკარგულიყო, არადა, ადრე დიეტექიმს მუდამ საგულდაგულოდ დავარცხნილსა და პრიალა ბაფთით თმაშეკრულს ხედავდა ხოლმე და ის ბაფთაც, რატომღაც, ყოველთვის კამფეტს აგონებდა. „ოოო, შე ვირთხა შენა!“ წვრილი ხმით, გაკაპასებული სისინებდა ქალი. „ვირთხა! მაშ, მითვალთვალებ, არა? ოოო, შე ლაწირაკო, შე ზანგის ნაბიჭვარო შენა!“

დიეტექიმი ოცდაშვიდი წლისა გახლდათ, ანუ, საკმაოდ მოწიფული სასიყვარულო თავგადასავლებისათვის და თან, ჯერაც საკმაოდ ახალგაზრდა საიმისოდ, უფრო მეტი თავად სიყვარულზე რომ ეფიქრა და იმაზე არ ედარდა, ღმერთმა ნუ ქნას, ეს თავგადასავლები ხალხის

სალაპარაკო გახდესო. ეტყობა, ბრიყვიც იყო, რაკი დაიჯერა, არა მარტო ჭეშმარიტ დასკვნას გამოიტანს ხუთი წლის ბავშვი ნანახიდან და განაგონიდან, არამედ, დიდი ადამიანივით, საიდუმლოს გამხელის ჟინიც შეიპყრობსო. ის კი არა, მერე, მოგვიანებით, მომდევნო ორი დღის განმავლობაში, როცა ვერსაით წაუვიდა და ვერაფრით დაემალა ბავშვის დაჟინებულ, დაძაბულ, კითხვით აღსავსე ცხოველურ თვალებს, მოზრდილის სხვა თვისებებიც მიაწერა: აქაოდა, არა მარტო აპირებს, არამედ შეგნებულადაც აჭიანურებს ნანახისა და გაგონილის გამხელას, რათა უფრო მეტად დამტანჯოს და გამამწაროსო. აზრადაც არ მოსვლია, იქნება ბავშვს თვითონ ჰგონია თავი დამნაშავე, იქნება თვითონვე არ აძლევს მოსვენებას გაჭიანურებული, გარდაუვალი სასჯელის მოლოდინი და იქნებ განზრახაც მეჩხირება თვალში, ერთხელ და სამუდამოდ რომ გაარკვიოს გასარკვევი, თუ გასალახია გაილახოს და ამით მოითავოს ბოლოს და ბოლოს ეს ამბავიო.

მეორე დღეს სასოწარკვეთას აღარაფერი უკლდა. მთელი ღამე არ სძინებია. თითქმის მთელი ღამე ერთიანად დაჭიმული, კრიჭაშეკრული, ხელებმომუშტული იწვა, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა რისხვისა და შიშისაგან და, რაც ყველაზე უარესია, სინანაულისაგან: განსაკუთრებით მაინც ის აცოფებდა, დროს რომ ვერაფრით დააბრუნებდა უკან, თუნდაც ერთი საათით, თუნდაც ერთი წამით. სულერთია, იმ დაბრუნებულ დროში სიყვარულისთვის ადგილი დარჩებოდა თუ არა. სიყვარულსაც ნანობდა; ახალგაზრდა ექიმი ახლა მისთვის იმ ბიჭზეც უფრო ნაკლებს ნიშნავდა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მისი უბედურების იარაღად ქცეულიყო და, არამც და არამც, ხსნისა და გადარჩენისა. ვერც იტყოდა გულწრფელად, რომელი ეჯავრებოდა უფრო ძლიერ. ვერც იმას ხვდებოდა, როდის ეძინა და როდის ეღვიძა. ვერ ხვდებოდა, რადგან ქუთუთოებზეც და თვალის ბადურაზეც თითქოს ის გაქვავებული, მოღუშული, ჯიუტი, პერგამენტისფერი სახე აღბეჭდვოდა სამარადისოდ.

მესამე დღესღა გამოერკვა რინდიდან, მესამე დღეს როგორც იქნა დააღწია თავი იმ ბურანს, როცა, სხვების დასანახად, დილიდან საღამომდე ნიღბადაქცეული სახით დადიოდა, ყალბი, ნატანჯი, პირფერული ღიმილის ნიღაბი ჰქონდა აფარებული და შიშით, ნიღბის ჩამოხსნაც ვერ გაებედა. ბიჭის პოვნა არ გასჭირვებია. სადილის შემდეგ, მკვდარი საათის დროს გადაეყარა ცარიელ დერეფანში. ბიჭი უსაქმოდ დაყიალებდა. ვინ იცის, თვითონაც დიეტექიმის ნახვა ეწადა. მართლაც, დაბეჯითებით ვინ რას იტყოდა. არც ქალს გაჰკვირვებია მისი დანახვა და არც ბიჭს შესტყობია გაოცება,

როცა ფეხის ხმა მოესმა და შემოტრიალდა: ორი სახე ერთმანეთს მიაჩერდა დაჟინებით, ერთს აღარც ფუმფულა ეთქმოდა და აღარც ვარდისფრად თეთრი, მეორეს კი, მოღუშულსა და თვალებადქცეულს, მხოლოდ მოლოდინი აღბეჭდვოდა ზედ. — ახლა კი მორჩება ყველაფერიო — გაიფიქრა ბიჭმა.

„მომისმინე“, დაიწყო ქალმა. დაიწყო და მაშინვე გაჩუმდა, ოღონდ ბიჭისთვის თვალი არ მოუშორებია. თითქოს არ იცოდა, ვერ მოეფიქრებინა, კიდევ რა უნდა ეთქვა. ბიჭიც უცდიდა, გაქვავებული, უძრავი. ზურგზე და დუნდულებზე თანდათანობით კუნთები გაუხევდა, გაუშეშდა, დაეძაბა და ფიცარივით გაუხდა. „უნდა გამთქვა?“ ჰკითხა ქალმა.

ბიჭმა არაფერი უპასუხა. ან რა უნდა ეპასუხა, როცა ეგონა, ყველა ხვდება, ყველამ კარგად იცის, უმალ მოვკვდები, ვიდრე იმ კბილის პასტისა და რწყევის ამბავს გავთქვამ და გავამხელო. ქალის ხელებს თვალს არ აშორებდა და უხმოდ იცდიდა. ქალს ცალი ხელი ქვედა კაბის ჯიბეში მოემუშტა. ქსოვილიც ვერ ფარავდა, რა მაგრად ჰქონდა ხელი მომუშტული. მანამდე მუშტით არასოდეს ეცემათ. თუმცა, არც სამი დღე უცდია სასჯელისთვის როდისმე. მერე დაინახა, ნელ-ნელა როგორ დაიძრა ჯიბიდან ხელი და — ახლა კი მომხვდებაო — გაუელვა ფიქრმა წამით. მაგრამ, ქალს არ გაურტყამს. თვალწინ გაუშალა მომუშტული ხელი. ხელისგულზე ვერცხლის დოლარიანი ედო. თან გაწვრილებული, ჯიუტი, შემპარავი ხმით ეჩურჩულებოდა, თუმცა დერეფანში იმათ გარდა სხვა არავინ ჩანდა. „იცი, ამით რამდენს იყიდი? მთელი დოლარია“. ადრე დოლარი არასოდეს ენახა, თუმცა, კი იცოდა, რაც იყო. ფულს დახედა. დოლარიც ზუსტად ისევე ხიბლავდა, გინდაც ქალს ლუდის ბოთლის ბრჭყვიალა თავსახური სდებოდა ხელზე. მაგრამ, მაინც არ სჯეროდა მართლა თუ აჩუქებდნენ, არ სჯეროდა, რადგან თვითონ ასეთ საუნჯეს ვერაფრით შეელეოდა. ვერც იმას მიმხვდარიყო, რა სურდა ქალს, რას სთხოვდა, რისკენ უბიძგებდა. ერთი რამ უნდოდა მხოლოდ, გამლახონ და თავი დამანებონო. ქალი კი თავისას აგრძელებდა, ჯიუტად, დაძაბულად, ჩქარ-ჩქარა: „მთელი დოლარია, ხედავ? იცი, რამდენს იყიდი? ერთი კვირა გეყოფა, ყოველდღე შეჭამ. იქნებ იმ თვეშიც მომეცა კიდევ“.

ბიჭი არც განძრეულა, არც ხმა ამოუღია. ქვისგან გამოკვეთილ კაცუნას ჰგავდა: კომბინეზონში გამოწყობილი, პატარა, უძრავი, მრგვალთავიანი და თვალებდამრგვალებული. გაოცებას, ელდას, შეურაცხყოფას გაექვავებინა ასე. დოლარინს დასცქეროდა და თითქოს

დაპობილ შეშასავით კოხტად, საგულდაგულოდ დაწყობილ კბილის პასტის ტუბებს ხედავდა, ტუბების უსასრულო, შიშისმომგვრელ რიგს; მთელი არსება ერთიანად დაუკრუნჩხა მსუყე, დაუძლეველმა ზიზღმა. „მეტი აღარ მინდა“, თქვა ჩუმად. „და არც აღარასდროს მომინდება“, დაამატა ფიქრში.

უკვე ველარ შეეხედა ქალისთვის, მაგრამ იმის არსებობას კი მთელი ტანით გრძნობდა და მისი ხმაც, მისი გაბმული, დაძაბული სუნთქვაც კარგად ესმოდა. **ახლა კი მორჩა** გაუელვა წამით. მაგრამ ქალს მხოლოდ ღონივრად, მაგრად ჰყავდა ჩაბღუჯული და გაკავებული. სხვას არაფერს ერჩოდა, თითქოს ხელებმაც აღარ იცოდნენ, კიდევ რა უნდა მოემოქმედათ. ქალის სახე ისე ახლოს იყო, ლოყაზე მის ამონასუნთქს გრძნობდა. თავი რომ არც აეწია, რომც არ აეხედა, მაინც იცოდა, რა სახე ედებოდა იმ წუთას დიეტექიმს. „ხოდა თქვი!“ თქვა ქალმა. „თქვი! თქვი, შე ლაწიარკო. თქვი, შე ზანგის ნაბიჭვარო!“

ეს მესამე დღეს მოხდა. მეოთხე დღეს კი ქალი წყნარად და საბოლოოდ გადაცდა ჭკუიდან. უკვე გეგმებსაც აღარ აწყობდა. მისი საქციელიც უფრო მარჩიელობას წააგავდა, თითქოს იმ დღეებისა და ღამეების განმავლობაში, როცა სიმშვიდის ნიღბის საფარველქვეშ საკუთარ შიშსა და მრისხანებას ელოლიავებოდა, ბუნებრივი და შეუმცდარი ქალური ალღოს წყალობით მისი ფსიქიკაც მხოლოდ და მხოლოდ ბოროტების არსისა და სახის შეცნობას ცდილობდა გაუაზრებლად.

თითქოს დამშვიდდა კიდეც. უკვე აღარც ჩქარობდა. თითქოს თავზესაყრელი დროც გამოუჩნდა, რათა ყველაფერი მშვიდად აეწონ-დაეწონა და სამოქმედო გეგმაც საგულდაგულოდ მოეფიქრებინა. და მართლაც, ცოტა მიიხედ-მოიხედა თუ არა, გონების თვალიცა და ფიქრიც მაშინვე საქვაბის კართან მჯდომ დარაჯს მიაპყრო. თანაც, არც წინათგრძნობა კარნახობდა რამეს, არც წინასწარი განზრახვა ამოძრავებდა. უბრალოდ, თითქოს სულ ერთი წუთით გამოეხედა საკუთარი არსებიდან, როგორც მგზავრს ვაგონის ფანჯრიდან, და ყოველგვარი გაოცების გარეშე დაენახა ეს ჩია, ბინძური ბერიკაცი, მოწნულ სკამზე რომ იჯდა ჩაუუმურებულ, გაჭვარტლულ წინკარში, რკინის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და მუხლებზე გადაშლილ წიგნს კითხულობდა — ამ, ლამის შენობის ნაწილად ქცეულ ფიგურას, უკვე ხუთი წელია ხედავდა, არადა, წესიერად ალბათ ერთხელაც კი არ შეუხედავს მისთვის. ის კი არა, ქუჩაში რომ შეხვედროდა, სახეზე ვერც იცნობდა. თუმცა მამაკაცი იყო, ისე ჩაუვლიდა გვერდით, ყურადღებას არც მიაქცევდა. ახლა ცხოვრებაც

ამ დერეფანივით უბრალო და ლარივით სწორი მოეჩვენა, რომლის ბოლოშიც დარაჯი იჯდა. ჰოდა, ისიც დაუყოვნებლივ იქეთ გაეშურა, მანამდე გაუყვა გზას, ვიდრე გაიაზრებდა — მივდივარო.

დარაჯი თავის მოწნულ სკამზე იჯდა წინკარში და მუხლებზე ისევ გადაშლილი წიგნი ედო. როცა მიუახლოვდა, დაინახა — ბიბლიას კითხულობდა. თუმცა, კი არ დაინახა, სხვათა შორის შეამჩნია, როგორც, ალბათ, ბუზს შეამჩნევდა კაცის მუხლზე. „ვიცი, თქვენც გეჯავრებათ“, პირდაპირ მიახალა ქალმა. „სულ თვალს ადევნებთ. ბევრჯერ შევამჩნიე. არ მითხრათ, არაო“. კაცმა ქვემოდან ამოხედა, სათვალე შუბლზე აეწია. მოხუცი არ ეთქმოდა. არც ამჟამინდელი საქმიანობა ესადაგებოდა მაინცდამაინც მის გარეგნობას. ჯანიან კაცსა ჰგავდა, სიბერისა ჯერ არაფერი ეცხო; წესით, დაძაბული, მჩქეფარე ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, მაგრამ, ეტყობა, რაღაცას — დროსა თუ გარემოებას — ემუხთლა მისთვის და ამ ჯანმრთელი, ორმოცდახუთი წლის კაცის სხეულიცა და ფიქრებიც იმ ჭაობში გადაესროლა, სამოცისა თუ სამოცდახუთი წლის ბერიკაცს რომ შეეფერება. „თქვენ ყველაფერი იცით“, გააგრძელა ქალმა. „მანამდეც იცოდით, ვიდრე ბავშვები ზანგს დაუძახებდნენ. აქაც თითქმის ერთდროულად გამოჩნდით ორივე. ერთი თვის დაწყებულიც არ გქონდათ ჩვენთან მუშაობა, როცა იმ შობა ღამეს ჩარლიმ აი აქ, კარებთან იპოვა. ხომ მართალი ვარ?“ დარაჯს მრგვალი, ოდნავ მობოშებული სახე ჰქონდა, ჭუჭყიანი, წვირიანჯაგარმოდებული. გამჭვირვალე, ნაცრისფერი, ცივი თვალებით შესცქეროდა ქალს, შეშლილის თვალებით, თუმცა, ქალს ეს არ შეუმჩნევია, ანდა, შეიძლება, მას არც მოსჩვენებია შეშლილის თვალებად. მოკლედ, გამჭვარტულ წინაკარში განმარტოვებულიყვნენ, ერთმანეთს მისჩერებოდნენ, შეშლილი თვალები შეშლილ თვალებს ჩასცქეროდნენ და შეშლილი ხმაც, წყნარად, ჩუმად, ძუნწად ეპასუხებოდა შეშლილ ხმას, — თითქოს შეთქმულები თათბირობენო. „ხუთი წელია თვალს გადევნებთ“. ქალს სჯეროდა, სიმართლეს ვამბობო. „ბავშვებს ეზოში გამოუშვებენ თუ არა, თქვენც გამოიტანთ ხოლმე ამ სკამს, დაჯდებით და მისჩერებიხართ. სხვა დროს არც თქვენ ჩანხართ თითქმის. იმას კი ჯიუტად არ აშორებთ თვალს, დაჟინებით უცქერით და ისიც კარგად გესმით, როგორ დასძახიან ამხანაგები — ზანგო, ზანგოო. ხომ ასეა? მე ვიცი. აქაც მხოლოდ იმიტომ დაიწყეთ მუშაობა, თვალწინ რომ გყავდეთ სულ და გეზიზღებოდეთ, სიძულვილი არ გაგიქრეთ. აკი ლამის ერთდროულად გამოჩნდით ორივე. იქნებ, თვითონვე მოიყვანეთ კიდეც და მანდ, კარებთან დატოვეთ.

ასეა თუ ისე, თქვენ სიმართლე იცით. იცით და მეც უნდა გამაგებინოთ. თუ გამამხილა, ულაპარაკოდ დამითხოვენ. და ჩარლიც... ალბათ... მითხარით. ახლავე მითხარით ყველაფერი“.

„ჰოო“, თქვა დარაჯმა. „ვიცოდი, უფლის საათი რომ დაჰკრავდა, უთუოდ წაგასწრებდა ცოდვაზე. ვიცოდი. ისიც ვიცი, იქ ვინც დააყენა — ნიშნად და წყევლად სიძვისა“.

„მართალია. ფარდის უკან იდგა. ორ ნაბიჯზე, ისე ახლოს, როგორც ახლა თქვენ ხართ. ჰოდა, მითხარით. მე ხომ ვიცი, რა თვალებითაც უყურებთ ხოლმე. მე გაკვირდებოდით. ხუთი წელია გაკვირდებით“.

„მე ვიცი“, თქვა კაცმა. „ვიცი, რაც არის ბოროტება. განა თვითონ არ გავუყენე გზას, რათა კიდით კიდემდე მოევლო საწუთრო? ღვთის თვალწინ მოარულ სიბილწედ ვაქციე. ბავშვების პირით კი ჭეშმარიტება ღაღადებს. აკი შენც მოგისმენია მათთვის. მე იმათთვის არაფერი მისწავლებია, არ დამირიგებია, ასე და ასე დაუძახეთ-მეთქი, იმისი ჭეშმარიტი ბუნებისამებრ, იმისი დაწყევლილი სახელით-მეთქი, მე არ დამირიგებია. თვითონ მიხვდნენ. ვიღაცამ კი ჩააგონათ, ოღონდ მე არა, სხვამ. მე ვიჯექი და ველოდებოდი, ვუცდიდი როდის ჩამოჰკრავდა ჟამი, როდის ჩათვლიდა უფალი საჭიროდ სიმართლე გაემჟღავნებინა თავისივე შექმნილი სამყაროსათვის. აი, დროც დამდგარა. ნიშანიც გამოჩენილა — ისევ და ისევ ქალის ცოდვითა და სიძვით დაწერილი“.

„ჰო, მაგრამ მე რაღა ვქნა? როგორ მოვიქცე?“

„დაელოდე. ჩემსავით მოიცადე. მე ხუთი წელი ვიცდიდი, ხუთი წელი ველოდებოდი, როდის ინებებდა უფალი საკუთარი ნების გამჟღავნებას. აი, გაამჟღავნა კიდეც. ჰოდა, შენც მოიცადე. როცა საჭიროდ ჩათვლის, თავის ნება-სურვილს ძალაუფლების მქონეთაც ამცნობს“.

„ჰო. ძალაუფლების მქონეთ“. ორივე გაქვავებულიყო, ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ, მშვიდად სუნთქავდნენ.

„ქალბატონს. როცა საჭიროდ ჩათვლის, თავის ნებასურვილს იმას გაუმხელს“.

„მაშ, თუკი დირექტორი გაიგებს, აქედანაც გაისტუმრებს? შეიძლება, მაგრამ მე რომ ლოდინი არ შემიძლია?“

„არც უფალი ღმერთის აჩქარება შეგიძლია. განა მე ხუთი წელი არ ვიცდიდი?“

ქალმა რამდენჯერმე, მსუბუქად დაირტყა ხელზე ხელი. „როგორ ვერ ხვდებით? იქნებ სწორედ ეგაა ღვთის ნება. აი, თქვენ რომ მე გამიმხილოთ. თქვენ ხომ ყველაფერი იცით. იქნებ ღმერთს ნებავს,

თქვენ მე მითხრათ, მე კი — დირექტორს“. ქალის შეშლილი თვალები კეთილმოსურნედ, მლიქვნელურად უცქერდნენ დარაჯს, შეშლილი ხმითაც მშვიდად, დაყვავებით ცდილობდა ელაპარაკა; მარტო ხელებისთვის ვერ მოეხერხებინა ვერაფერი, ისევ გაუჩერებლივ, მსუბუქად ურტყამდა ერთმანეთს.

„შენც ჩემსავით მოიცდი“, უთხრა კაცმა. „ჯერ სამი დღეა, რაც უფლის მოწყალე მარჯვენის სიმძიმე იგრძენი. მე კი, ხუთი წელია ვგრძნობ, ხუთი წელია ვუცქერ და ველოდები, როდის დაჰკრავს ჟამი, იმიტომ, რომ ჩემი ცოდვა შენს ცოდვაზე ბევრად უფრო მძიმეა“. თუმცა პირდაპირ სახეში კი შესცქეროდა ქალს, ეტყობა საერთოდ ვერ ამჩნევდა, ეტყობა, მისი თვალები საერთოდ ვერ ხედავდნენ ვერაფერს. ბრმის თვალებს ჰგავდნენ — ფართოდ გახელილს, ყინულივით ცივს, ფანატიურს. „იმასთან შედარებით, რაც მე ჩავიდინე და რაც ტანჯვით მოვინანიე, შენი საქციელიცა და შენი ქალური სადარდებელიც ერთი მუჭა ტალახია და სხვა არაფერი. მე ხუთი წელი ვითმინე; შენ ვინა ხარ, შენი პატარა ქალური სიბინძურის გამო, ყოვლადძლიერი რომ ააჩქარო?“

ქალმა იმწამსვე ზურგი შეაქცია. „კეთილი. ნურაფერს მეტყვით. ისედაც ვიცი. ყოველთვის ვიცოდი, ზანგის სისხლი რომ ერია“. შეტრიალდა და ისევ შენობაში შევიდა. ახლა აღარ ჩქარობდა, ნელა მიდიოდა და თან მთქნარებისგან ლამის პირი გახეოდა. „საქმე ისღაა, დირექტორი როგორ დავარწმუნო. ეგ არაფერს იტყვის, მაგის იმედზე ვერ ვიქნები“. ისევ დაამთქნარა, საზარლად, თითქოს მთელი სახით. მერე მთქნარებამაც გადაუარა. იმ წუთას კიდევ ერთმა ახალმა აზრმა გაუელვა თავში. ადრე ამაზე არ უფქრია, მაგრამ მაინც სჯეროდა, ადრეც ვიცოდიო, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავიო, რადგან ეს აზრი საოცრად მართებული ეჩვენებოდა: ბიჭს არა მარტო აქაურობას მოაშორებდნენ, მისი გულისხმიერებისა, მისი შეშინებისა და შეწუხებისათვის დასჯიდნენ კიდეც. „ზანგი ობლების თავშესაფარში გააგზავნიან“, ფიქრობდა ქალი. „აბა რა? სხვა რა გზა ექნებათ?“

თუმცა, დირექტორს მაშინვე მაინც არ მისდგომია. დირექტორის კაბინეტისკენ კი გაემართა, მაგრამ კაბინეტში აღარ შესულა, კაბინეტის კარს ჩაუარა, კიბეს მიადგა და ზემოთ აუყვა. თითქოს საკუთარ თავს კუდში მისდევდა, მიაცილებდა და თვალს ადევნებდა — აბა ერთი საით წავაო. გაყუჩებულსა და გაუკაცრიელებულ დერეფანში ისევ დაამთქნარა, მოურიდებლად, თავისუფლად. მერე თავის ოთახში შევიდა, კარი ჩაკეტა, ტანზე გაიხადა და ლოგინში

ჩაწვა. ფანჯარაზე ფარდები ეფარა და ლამის ბნელში იწვა, გაუნძრავლად, გულაღმა. თვალდახუჭულს სახე გამოსცარიელებოდა, გამტკნარებოდა და დაწყნარებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, რამდენჯერმე გაშალა და ისევ მიატყუპა ერთმანეთს ფეხები, ნელ-ნელა, თანდათანობით, თან გრძნობდა, მონაცვლეობით როგორ ეგლისებოდა ფეხებზე ზეწარი — ჯერ გრილად, მერე კი უკვე თბილად. ფიქრი სადღაც, შუა გზაში გახირულიყო, შუა გზაში გამოკიდულიყო სამი დღის ნანატრ-ნაოცნებარსა და ახლა, ბოლოს და ბოლოს, უჩუმრად კარსმომდგარ ძილს შორის, რომელსაც მალე ისე მიჩნებდებოდა, როგორც მამაკაცს — მთელი არსებით, მთელი სხეულით. „მთავარია, დირექტორი დავარწმუნო რამენაირად“ — გაიფიქრა უკვე ბურანში წასულმა. ***ყავით სავსე ჯამში ჩაგდებულ ცერცვის მარცვალს ემგვანება იქ*** გაუელვა მერე სულ ერთი წამით.

ეს ყველაფერი ნაშუადღევს მოხდა. იმავე საღამოს, ცხრა საათზე, ისევ თავის ოთახში იყო, ისევ ტანზე იხდიდა და დასაწოლად ემზადებოდა, როცა გაიგონა, როგორ მოუყვებოდა დარაჯი დერეფანს მისი ოთახისაკენ. არც იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, ვინ მოდიოდა, მაგრამ როცა თანაბარი ნაბიჯების ხმა მოესმა და მერე, ლამის დაკაკუნებისთანავე დააპირეს კარის შემოღება, ვიდრე თვითონ კართან მივარდნას მოასწრებდა, მიხვდა, ვინც უნდა სტუმრებოდა. ყვირილი არ დაუწყია; კარს ეცა, მთელი სხეულით ზედ აეკრა და შეაკავა. „ტანზე არ მაცვია!“ გაწვრილებული, სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა, იცოდა, ვისაც ელაპარაკებოდა. კაცს არაფერი უპასუხია, ისიც მთელი სიმძიმით მოაწვა კარს, ჯიუტად, ჯიქურ, და ღრიჭომაც ნელნელა დააღო პირი. „არ შეიძლება თქვენი აქ შემოსვლა“, ქალი არ ჩურჩულებდა, ოღონდ ვერც ხმამაღლა დალაპარაკება გაებედა. „ხომ იცით...“ სული ეხუთებოდა, სასოწარკვეთილს ლამის გონება დაეკარგა. კაცს არც ახლა გაუცია პასუხი, ქალიც ერთხელ კიდევ შეეცადა როგორმე გაეჩერებინა, როგორმე ისევ მიეკეტა გაჯიუტებული, პირდაბჩენილი კარი. „დამაცადეთ, რამეს გადავიცვამ და თვითონ გამოვალ. კარგი?“ უაზროდ ლუღლუღებდა რაღაცას, თან ვითომ უყვავებდა, მაგრამ არც ამ დაყვავებას ჰქონდა აზრი, გინდაც შეუგნებელ ბავშვთან, ანდა მანიაკთან ელაპარაკა. თავისგან მაინც აშოშმინებდა, შემპარავად ეჩურჩულებოდა: „ცოტა ხანს მოიცადეთ! გესმით? ხომ მოიცდით?“ კაცი არაფერს პასუხობდა. კარი კი ნელნელა, უსაშველოდ აბჩენდა პირს. საცვლებისამარა, კარს აკრული, თითქოს ტიკინა იყო და ძალადობისა და სასოწარკვეთის რომელიღაც პაროდიაში ათამაშებდნენ ძაფზე გამობმულს. თავჩაქინდრული, კარს შეწებებული, გაქვავებული — ადამიანს

ღრმა ფიქრში წასული შეიძლებოდა ჰგონებოდა, თითქოს, შუა წარმოდგენის დროს ტიკინას სათქმელი დავიწყებია და ვეღარაფრით ვეღარ გაუხსენებიაო. მერე კარს ზურგი შეაქცია, მოშორდა, უკან, საწოლისკენ ისკუპა, არც დაუხედავს, ისე დასტაცა ხელი ტანსაცმელს, ისევ კარისკენ შემოტრიალდა ერთიანად აწურული და ალალბედზე მოხვეტილი ტანისამოსიც მაგრად მიიხუტა გულზე. კაცი უკვე ოთახში შემოსულიყო; მშვიდად ადევნებდა თვალს მთელ ამ უაზრო, უთავბოლო ფაცაფუცს და ქალის დაშოშმინებას ელოდებოდა.

თვითონ ისევ კომბინეზონი ეცვა, ოღონდ ახლა ქუდიც დაეხურა. ქუდი არც ოთახში მოუხდია. იმისი ცივი, შეშლილი, ნაცრისფერი თვალები თითქოს ვერც ახლა ამჩნევდნენ ქალს, თითქოს საერთოდ არც უყურებდნენ. „თავად უფალი ღმერთი რომ შემობრძანდეს ერთერთი თქვენგანის ოთახში, ალბათ მასაც ბილწ ზრახვას მიაწერდით. უთხარი?“ ჰკითხა ქალს.

ქალი საწოლზე იჯდა. მერე, ნელ-ნელა უკან გადაწვა, თან ისევ მაგრად იხუტებდა გულზე ჩაბღუჯულ ტანისამოსს, სახე გადაფითრებოდა, კაცს თვალს ვერ სწყვეტდა. „ვუთხარი?“

„რაო, რას უპირებს?“

„რას უპირებს?“ ქალი დარაჯს მისჩერებოდა: იმის ანთებულ, უძრავ თვალებს, რომელნიც, თითქოს კი არ უცქერდნენ, ბადეში ახვევდნენ. ქალს იდიოტივით დაებჩინა პირი.

„სად გააგზავნიან?“ ქალმა არაფერი უპასუხა. „იცოდე, ტყუილი არ მითხრა. არ იცრუო ღვთის წინაშე. ვიცი, შავების თავშესაფარში უკრავენ თავს“. ქალმა პირი მომუწა; თითქოს, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა რაზეც ელაპარაკებოდნენ. „მე ყველაფერი ავწონდავწონე, უთუოდ შავი ობლების სახლში გააგზავნიან“. ქალმა არც ახლა გასცა პასუხი, გაშტერებული უცქერდა, თვალებში უწინდელი შიშიც შერჩენოდა, მაგრამ ახლა, თან რაღაც იდუმალიც უკრთოდა, თითქოს რაღაც მოეფიქრებინა კიდეც. უკვე კაცსაც მისთვის მიეპყრო მზერა; მისი თვალები თითქოს ქალის სხეულს, ქალის მთელ არსებას მიჯაჭვოდნენ სამარადისოდ. „მიპასუხე, იეზაბელ!“ უყვირა მოულოდნელად ქალს.

„ჩჩჩუუუ!“ გააჩუმა ქალმა. „ჰო, სხვა რა გზა ექნებათ, როცა გაიგებენ...“

„ჰოო“, თქვა კაცმა. მზერა ჩაუქრა; თვალებმაც, ცოტა ხნით გაათავისუფლეს ქალი, თუმცა, ისევ მალევე გაახვიეს, თავიანთ ბადეში. ამ თვალებს რომ ჩასცქეროდა, საკუთარი თავი არარაობადაც კი არ ესახებოდა ქალს, გუბის ზედაპირზე მოტივტივე წკირზე პატარად

და უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. მერე, კაცს ლამის ადამიანური თვალები გაუხდა უცებ. ქალის ოთახის თვალიერებას შეუდგა, თითქოს მანამდე, ასეთი ოთახი არასოდეს ენახა: მყუდრო, ჩამთბარი, ქალის ვარდისფერსურნელოვანი. „ქალური სიბინძურე“, თქვა კაცმა. „ღვთის თვალწინ, ღვთის დასანახად“. შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში ქალიც წამოდგა საწოლიდან. ტანსაცმელჩაბღუჯული, გარინდული, უძრავად იდგა, იდიოტივით მისჩერებოდა ღიად დარჩენილ კარს და თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა წყლისთვის მიეცა თავი. მერე ადგილს მოსწყდა. კართან მივარდა, ზედ მიაწყდა, მიაჯახუნა და ჩაკეტა, სულშეგუბებული ორივე ხელით ჩააფრინდა და ისე გადაატრიალა გასაღები.

მეორე დილას, საუზმობისას, აღარც დარაჯი ჩანდა და აღარც ბიჭი. კვალსაც ვერ მიაგნეს ვერცერთისას. დაუყონებლივ შეატყობინეს პოლიციას. გვერდითა კარი, რომლის გასაღებიც დარაჯთან ინახებოდა, ღია აღმოჩნდა.

„დარაჯმა ყველაფერი იცის და იმიტომ“, უთხრა დიეტექიმმა დირექტორს.

„რა ყველაფერი?“

„რა და, ის ბავშვი, ქრისთმასი, ზანგი რომაა“.

„რა არის?“ სავარძელში უკან გადაქანებული დირექტორი ახალგაზრდა ქალს მიაჩერდა. „ზან... არა მჯერა!“ შესძახა მან. „არა მჯერა!“

„თქვენ არა გჯერათ და იმან კი იცის“, თქვა დიეტექიმმა, „ამიტომაც მოიტაცა“.

დირექტორი ორმოცდაათს გადაცილებული, დონდლოსახიანი ქალი იყო, წყლიანი, კეთილი, დაღლილი თვალები ჰქონდა. „მე ეგ არ მჯერა!“ გაიმეორე ისევ. თუმცა, მესამე დღეს მაინც უხმო დიეტექიმს. კარგა ხნის უძინარს ჰგავდა, დიეტექიმს კი პირიქით, ჯანმრთელი, დასვენებული სახე ედო. სრულიად დამშვიდებული. ნირი არც მაშინ შესცვლია, როცა დირექტორმა ახალი ამბავი ამცნო — კაციცა და ბიჭიც ეპოვათ. „ლითელ როქში“, უთხრა დირექტორმა. „იქაური ობლების სახლში უცდია ბავშვის მიბარება. გიჟად ჩათვალეს თურმე და პოლიციის მისვლამდე შეაყოვნეს“. დირექტორმა ახალგაზრდა ქალს შეხედა. „თქვენ ამბობდით... აი, ამწინებზე რომ მითხარით. როგორ გაიგეთ ეს ამბავი?“

დიეტექიმს თვალი არ აურიდებია. „არც არაფერი გამიგია. ეჭვიც არაფრისა მქონდა. იმასაც არ მივაქციე დიდი ყურადღება, სხვა ბავშვები ზანგს რომ ეძახდნენ“.

„ზანგს?“ თქვა დირექტორმა. „სხვა ბავშვები?“

„თანაც, უკვე რამდენიმე წელიწადია. ზოგჯერ ისიც მიფიქრია, ბავშვებს რაღაც სხვა, სხვანაირი ალღო აქვთ-მეთქი, ჩვენთვის, თქვენი და ჩემი ხნის ხალხისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი. ბავშვებსაც და მოხუცებსაც, აი, იმ დარაჯისნაირებს. ეტყობა, ამიტომაც ივჯდა ხოლმე სკამზე, კარებთან, მუდამ, როცა ბავშვები ეზოში თამაშობდნენ: იმ ბიჭს არ აშორებდა თვალს. შეიძლება, ეჭვი იმასაც მაშინ გაუჩნდა, ბავშვებმა რომ დაუწყეს ზანგის ძახილი. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ადრეც სცოდნოდა. თუ გახსოვთ, აკი ორივე დაახლოებით ერთდროულად გამოჩნდა ჩვენთან. ერთი თვის დაწყებულიც არ ჰქონდა დარაჯს მუშაობა, როცა იმ შობა ღამეს... გახსოვთ? როცა ჩა... როცა კარებთან ვიპოვეთ ბიჭი?“ დიეტექიმი გამართულად ლაპარაკობდა, სხაპასხუპით, და თან განუწყვეტლივ გრძნობდა, როგორ დაჟინებით, მონუსხულივით მიშტერებოდა დირექტორი — გაოცებული, დაბნეული თვალებით. თვითონ ალერსიანი, უმანკო თვალები ჰქონდა. „ამ რამდენიმე დღის წინ კი, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გამომელაპარაკა, ბავშვზე დააპირა რაღაცის თქმა. ეტყობა ჩემთვის ან უბრალოდ ვინმე ჩვენიანისთვის საიდუმლოს გამხელა თუ სურდა, მაგრამ ბოლოს ველარ გაბედა და აღარაფერი უთქვამს, მეც გამოვტრიალდი და წამოვედი. გადამავიწყდა კიდეც ეს ამბავი. ახლაღა გამახსენდა...“ დიეტექიმი გაჩუმდა. დირექტორს მიაჩერდა უსიტყვოდ, მერე კი, ნელ-ნელა სახე გაებადრა, თითქოს უეცრად გონება გაუნათდაო; ძალიან ძნელი იყო კაცს მის გულწრფელობაში ეჭვი შეეტანა. „მართლა, აი თურმე რა ყოფილა... ძლივს არ მივხვდი! წინა დღეს, ვიდრე გაიქცეოდნენ, დერეფანს მივუყვებოდი ჩემი ოთახისკენ; იგივე დღე იყო, აი, გამოლაპარაკება თუ რაღაცის მოყოლა რომ დააპირა და მერე გადაიფიქრა; უცებ, სად იყო და სად არა, წინ ამესვეტა და გამაჩერა. გამიკვირდა, მანამდე არც მენახა შენობაში შემოსული. მეუბნება... ისე, გიჟივით კი ლაპარაკობდა, შესახედადაც გიჟს ჰგავდა. შემეშინდა, პირდაპირ ფეხები წამერთვა შიშისაგან, ვერც გვერდი ავუქციე — მთელი დერეფანი ჩაეხერგა... მოკლედ, მეკითხება — უკვე უთხარიო? ვის ვუთხარი, რა ვუთხარი მეთქი? მერელა მივხვდი, თქვენ გგულისხმობდათ; თქვენზე მეკითხებოდა, უნდოდა გაეგო, მოგიყევით თუ არა, ბავშვზე რომ დამიპირა რაღაცის თქმა. ოღონდ, მე თვითონ ვერაფერი გამერკვია და თქვენთვის რა უნდა მეთქვა? ყვირილი დავაპირე. მერე მეკითხება — თუ გაიგო, როგორ მოიქცევაო? არ ვიცოდი რა მეპასუხა, ანდა თავი როგორ დამეხსნა. ისევ თვითონ მითხრა — ნურაფერსაც ნუ ეტყვი. ისედაც

ვიცი, შავების თავშესაფარში გააგზავნისო“.

„ზანგების თავშესაფარშიო?“

„მიკვირს, ან აქამდე როგორ ვერაფერი შევამჩნიეთ. ახლა რომ მახსენდება იმ ბავშვის სახე, იმისი თვალები და თმა... ნამდვილად საშინელებაა. თუმცა, ჩემი აზრით, მართლა აჯობებს, იქ გადავაგზავნოთ“.

დირექტორის წყლიანი, შეწუხებული თვალები აწრიალებულნი, დაბინდულნი იცქირებოდნენ სათვალიდან, თითქოს, ხილულის მიღმა დანახვას ცდილობენო. „კი, მაგრამ ბავშვის მოტაცება რაღაში დასჭირდა?“

„რა ვიცი, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე გიჟი მგონია. თქვენ რომ ყოფილიყავით ჩემს ადგილას იმ ღა... იმ დღეს, დერეფანში... ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, ძნელი იქნება ზანგების თავშესაფარში გადასვლა, ამდენი ხნის მერე... რაც უნდა იყოს, თეთრკანიანთა შორის გაიზარდა. თანაც, რა თავის ბრალია. მაგრამ, ჩვენი ბრალიც რომ არ არის...“ დიეტექიმი გაჩუმდა, დირექტორს მიაჩერდა. იმას, სათვალის მიღმა ისევ ისე უწრიალებდა წყლიანი, უიმედო თვალები; ლაპარაკისას ტუჩებიც უთრთოდა. თითქოს მისი ნათქვამიც უიმედო იყო, ოღონდ, მაინც წინდაწინ მოფიქრებული, წინდაწინ გულდაგულ აწონილ-დაწონილი:

„ბავშვი როგორმე უნდა დავაბინავოთ. ახლავე უნდა დავაბინავოთ. რა განცხადებები გვაქვს? საქაღალდეს თუ მომაწოდებთ...“

როცა გამოელვიძა, ხელში აყვანილი მიჰყავდა ვიღაცას. ძალიან ბნელოდა და ციოდა; მერე იმ ვიღაცამ, ფეხაკრეფით და ფრთხილად რომ მიიკვლევდა სიბნელეში გზას, კიბეზედაც ხელში ატატებული ჩაიყვანა. ბავშვი ორივე ხელით ეჭირა, იღლიაში კი ბოხჩა ამოეჩარა, ბიჭმა იცოდა, ბოხჩაში მისი ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო გამოხვეული. არც წამოუყვირია, არც არაფერი უთქვამს. ისიც იცოდა, სად იყვნენ, სუნით, ჰაერით ცნობდა იმ ოთახიდან გვერდითა კარებისკენ ჩამავალ კიბეს, სადაც, რაც თავი ახსოვდა, იმისი საწოლიც იდგა ერთნაირ, ორმოც სხვა საწოლს შორის. სუნმავე მიახვედრა, მამაკაცს მივყავარო. მაგრამ, ხმა მაინც არ გაუღია, ახლაც ისევ ისე გაუნძრევლად და წყნარად გატრუნულიყო კაცის მკლავებში, როგორც წელან, მძინარე; უჩინარ მკლავებს მაღლა ატატებული ეჭირა, ნელ-ნელა ჩაჰყავდა კარებისაკენ, რომლის იქეთაც სათამაშო მოედანი იწყებოდა.

კაცის ვინაობა ჯერ არ იცოდა. თუმცა, ეს ამბავი არც აწუხებდა,

რადგან ეგონა, ვიცი, სადაც მივყავარო. უფრო სწორად, იმაში იყო დარწმუნებული, რატომ მიჰყავდათ და სხვა არც არაფერი ანაღვლებდა. ორი წლის წინანდელი შემთხვევა გაახსენდა, მაშინ სამისა იყო. ორი წლის წინ, თორმეტი წლის გოგო, სახელად ელისი, უკვალოდ გაქრა. ის გოგო უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, ნებას აძლევდა, მისთვის დედობა გაეწია, ანდა, შეიძლება იმიტომაც უყვარდა, დედობას რომ უწევდა გოგო. თან, დიდადაც თვლიდა, ისეთივე დიდი ეგონა, როგორც ყველა ის ქალი, ვისაც მისი ჭამა-სმა, ბანაობა თუ დაძინება ეკითხებოდა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ელისი არც არასოდეს ჩაუთვლია და ვერც ვერასოდეს ჩათვლიდა მტრად. და აი, ერთ ღამესაც გოგომ უეცრად გამოაღვიძა. გამოსამშვიდობებლად მოსულიყო, თუმცა ბიჭი ვერაფერს ხვდებოდა. ძალიან ეძინებოდა და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანდა კიდეც, ვერა და ვერ გამოფხიზლდა, არადა, ელისისგან კარგის მეტი არაფერი ახსოვდა და ამიტომაც ითმენდა, არაფერს ეუბნებოდა. ვერც იმას მიმხვდარიყო, ელისი რომ ტიროდა, ვერ მიმხვდარიყო, რადგან ვერაფრით დაუშვებდა, დიდებიც თუ ტიროდნენ ოდესმე — როცა ამას მიხვდა, ელისი უკვე კარგა ხნის დავიწყებული ჰყავდა. მერე ჩაეძინა კიდეც, ხოლო მეორე დილით გოგოს კვალსაც ველარსად მიაგნო: წასულიყო, გაუჩინარებულიყო, ტანსაცმელიც კი არ დაეტოვებინა და იმის საწოლიც უკვე ვიღაც უცნობ, ახალ ბიჭს დაეკავებინა. ვერც ვერასოდეს შეიტყო რიგიანად ელისის ასავალ-დასავალი. თუმცა, იმ დღეს შემთხვევით კი მოჰკრა ყური უფროსი გოგოების აღატაცებულ ჩურჩულს — დობილები სამზადისში მიხმარებოდნენ ელისს, ვითომ პატარძალი გაუმზითვებიათო, დაძაბული, საქმიანი, გასაიდუმლოებული ფაცაფუცით მოეგროვებინათ იმისი ავლა-დიდება და ახლა ელისის ახალ კაბაზე, ახალ ფეხსაცმელებსა და იმ ზღაპრულ ეტლზე საუბრობდნენ, რომელსაც მათი დობილი სადღაც, უცხო მხარეში გაექროლებინა. ყური მოჰკრა და სწორედ გოგოების ჩურჩულმა მიახვედრა, ელისი უკან აღარასოდეს დაბრუნდებაო. ერთხელ და სამუდამოდ, სამარადისოდ გაეღწია რკინის მესერს გაღმა. მიხვდა და მაშინ, სწორედ იმ წუთას, თითქოს თვალნათლივ დაინახა კიდევაც მის წარმოდგენაში უკვე გმირად ქცეული გოგო როგორ გაუჩინარდა ულრიალით დაკეტილ ჭიშკარს იქეთ, თანდათანობით კი არ დაპატარავდა, თითქოს ნელნელა გაითქვიფა, ნელ-ნელა გაიცრიცა და გაქრა, შეერწყა რაღაც უსახელოსა და დაისივით დიდებულს. მთელი წელიწადი ანდა, იქნებ უფრო მეტიც გავიდა, ვიდრე მიხვდებოდა — ელისი არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. ელისისნაირი სხვაც ბევრი ელოდა თავის ჯერს, სხვაც ბევრი გაქრებოდა და გაუჩინარდებოდა

ულრიალა ჭიშკარს მიღმა — ახალთახალ კაბასა თუ კომბინეზონში გამოწყობილი, პაწია, ზოგჯერ ფეხსაცმლის ყუთზე უფრო პატარა, კოხტა ფუთით ხელდამშვენებული. ეჭვი არ ეპარებოდა, ახლა მეც იმათ რიცხვს შევუერთდებიო. სჯეროდა, უკვე ვიცი, როგორც ახერხებენ ყველანი ასე უკვალოდ გაუჩინარებასო. დარწმუნებული იყო, ადრე სხვებიც მასავით ხელშიატატებული გაჰყავდათ აქედან შუაღამისას.

უკვე გრძნობდა, კარს რომ მისდგომოდნენ, კარებამდე ორიოდე ნაბიჯიღა რჩებოდა; ზუსტად იცოდა, კიდევ რამდენი უხილავი საფეხური უნდა ჩაევლო კაცს, რომელსაც უხმაუროდ, საოცრად ფრთხილად მიჰყავდა ხელში ატატებული. ლოყაზე კაცის უჩუმარ, ჩქარ, თბილ სუნთქვას გრძნობდა; გრძნობდა იმის დაძაგრულ, გახევებულ მკლავებსაც და ფუთასაც, თავის ტანსაცმელს — სიბნელეში ხელის ცეცებით მოხვეტილსა და მოქუჩებულს. მერე კაცი გაჩერდა, წინ გადაიხარა და ბიჭმაც ფეხები იატაკს მიუწვდინა. რკინასავით გაყინულმა ფიცრებმა თითები დაუკრუნჩხეს. კაცმა პირველად მაშინ ამოიღო ხმა — დადექიო — უთხრა ბიჭს და ბიჭიც მაშინღა მიხვდა, ვის წამოეყვანა.

უცებ იცნო კაცი და სრულებითაც არ გაჰკვირვებია. გაკვირვებით, ალბათ უფრო კაცს გაუკვირდებოდა, რომ სცოდნოდა, რა კარგად იცნობდა ბიჭი. მართალია, კაცის არც სახელი იცოდა და, იმ სამი წლის მანძილზეც რაც ჭკუაში ჩავარდნილიყო, ასიოდე სიტყვაც არ ეთქვათ ერთმანეთისთვის, მაგრამ ეს კაცი მაინც ყველაზე აშკარა, ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა მის ცხოვრებაზე — თვით ელისზე უფრო ძლიერსაც კი. სამი წლის ბავშვიც კი გრძნობდა, რაღაც უხილავი, უსიტყვო კავშირი რომ არსებობდა მათ შორის. იმასაც კარგად ამჩნევდა, სათამაშოდ გამოუშვებდნენ თუ არა, საქვაბის კართან სკამზე ჩამომჯდარი კაციც მაშინვე მიაპყრობდა ხოლმე თვალს და სულ ასე დაძაბულად, დაჟინებით უცქერდა, ვიდრე კვლავ სახლში არ შელალავდნენ. ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, შეიძლება ეფიქრა ***ვძულვარ და თან ჩემი ეშინია, ისე ეშინია, თვალის მოცილებას ვერ ბედავს*** ცოტა უფრო მდიდარი ლექსიკონის პატრონი კი ალბათ ასე იტყოდა ***აი თურმე რად განვსხვავდები სხვებისგან, ეს კაცი მიცქერს და იმიტომ...*** მერე ამ ყოფასაც შეეგუა. ამიტომაც არ გაჰკვირვებია, როცა ნახა ვის ეჭირა ხელში, ვის აეტატებინა საწოლიდან მძინარე და ვის ჩამოეყვანა კიბეზე; ახლა, როცა კარებთან ცივ, უკუნ სიბნელეში იდგა და კაცი ჩაცმაში ეხმარებოდა, ამგვარი აზრიც შეიძლებოდა გასჩენოდა ***ისე ვძულვარ, ცდილობს რაღაც ძალიან ცუდი ამარიდოს თავიდან***

აკანკალებულმა მორჩილად ჩაიცვა, რაც შეეძლო სწრაფად ირჯებოდა, ერთად ებრძოდნენ ბიჭის პაწია ტანისამოსს და ერთად როგორღაც გაართვეს კიდეც თავი. „აჰა, ფეხსაცმელი“, უთხრა კაცმა, ძლივსგასაგონად ჩაუჩურჩულა. „გამომართვი“, ბიჭი გაყინულ იატაკზე ჩაცუცქდა, ფეხსაცმელს იცვამდა. კაცი გაეცალა, აღარ მიხმარებია, მაგრამ ბიჭს ესმოდა, ტანითაც გრძნობდა, კაციც წინ რომ გადახრილიყო და იატაკზე აფათურებდა ხელს. ფეხსაცმელს იცვამსო — გაუელვა წამით. მერე კაცმა სიბნელეში, ხელისცეცებით ისევ მოძებნა ბიჭის მხარი და ფეხზე წამოაყენა. ბიჭს ფეხსაცმლის ზონრები არ შეუკრავს. ჯერ თავისით ამდენს ვერ ახერხებდა. კაცისთვის კი დახმარება არ უთხოვია. საერთოდ არ ამოუღია ხმა. იდგა და იცდიდა, მერე, თავფეხიანად რაღაც დიდში გამოხვიეს — სუნზე მიხვდა, კაცის ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო, — და ისევ აიყვანეს ხელში. კარი გაიღო, გარედან სიბნელემ შემოამთქნარა, სუფთა, ცივი ჰაერი და ქუჩაში ჩამწკრივებული ნათურების შუქი შემოიჭრა; ბიჭი კარგად ხედავდა ნათურებსაც, ქარხნის ყრუ კედელსაც და ვარსკვლავებისკენ აზიდულ მაღალ, ჩამქრალ მილებსაც. ქუჩის სინათლეზე რკინის მესერი ნაშიმშილარი ჯარისკაცების მწყობრსა ჰგავდა. ცარიელი სათამაშო მოედანი გადასერეს — ბიჭის ჩამოკონწიალებული ფეხები კაცის ნაბიჯების რიტმზე ირწეოდა, ზონრებგახსნილი ფეხსაცმელები კოჭებთან უყანყალებდა. ჭიშკარს მიადგნენ და ქუჩაში გამოვიდნენ.

ტრამვაის ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. ცოტა დიდი რომ ყოფილიყო, მიხვდებოდა, რა მარჯვედ გამოეთვალა კაცს დრო. მაგრამ ახლა ამაზე არ უფიქრია, არც არაფერი შეუმჩნევია. კაცის გვერდით ქუჩის კუთხეში ატუზულიყო, ზონრებგახსნილი ფეხსაცმელები ეცვა და თავფეხიანად კაცის პალტოში იყო გახვეული; თვალები დამრგვალებოდა, ფართოდ დაეჭყიტა; პატარა სახეც გაქვავებოდა, დაძაბვოდა. ტრამვაის განათებული ფანჯრების რიგი ულრიალ-წკრიალით მოადგა გაჩერებას და ვიდრე ავიდოდნენ, უსაშველოდ ზუზუნებდა. ტრამვაიში სხვა არც არავინ მჯდარა, უკვე ღამის ორ საათს იყო გადაცილებული. კაცმა ახლაღა შეამჩნია მისი გახსნილი ზონრები და შეუკრა. ბიჭი უძრავად იჯდა სკამზე და თვალს ადევნებდა. გაშლილი ფეხები სწორად გაეშვირა წინ. სადგურამდე დიდი გზა ჰქონდათ, თანაც, ტრამვაიით ადრეც ემგზავრა და სანამ სადგურამდე მიაღწევდნენ, ჩაეძინა კიდეც. როცა გამოეღვიძა, უკვე მატარებელში ისხდნენ, გათენებულიყო. მატარებელში მანამდე არასოდეს მჯდარა, თუმცა ამას ვერავინ შეატყობდა. ტრამვაისა არ იყოს, აქაც გაუნძრევლად იჯდა თავფეხიანად კაცის პალტოში ჩაძირული, მარ-

ტო წინგაშვერილი ფეხები და თავი მოუჩანდა, იჯდა და უცქერდა ქვეყანას — მთებს, ხეებს, ძროხებს, ყველაფერს — გვერდით ჩაქროლილსა და მანამდე უცნობს. კაცმა რომ ნახა, გაუღვიძიაო, გაზეთში გახვეული საჭმელი ამოალაგა — პურის ნაჭრებს შორის ჩადებული ლორი. „აჰა“, უთხრა ბიჭს. იმანაც უსიტყვოდ გამოართვა და ჭამა დაიწყო, თან ფანჯარაში იყურებოდა.

მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს, არც რამე გაოცება შესტყობია, მაშინაც არაფერი გაჰკვირვებია, როცა პოლიცია დაადგა თავზე. ახალი სამყოფელი არაფრით განსხვავდებოდა ღამით მიტოვებულისაგან — აქაც ისეთივე ბავშვები და ისეთივე მოზრდილები დახვდნენ, რაც იქ დატოვა, თუმცა, ამათ სხვა სახელები ერქვათ და სუნიც სხვანაირი ჰქონდათ: ვერაფრით გაეგო, ან აქ დარჩენა რატომ არ შეიძლებოდა, ანდა, იქედან საერთოდ რისთვის წამოეყვანათ. ოღონდ, გაკვირვებით, მაინც არაფერი გაჰკვირვებია, როცა მივიდნენ და უთხრეს — ადექი და ჩაიცვიო, — ისიც კი არ უკითხავს, ახლა სად და რისთვის მიგყავართო. შეიძლება, იცოდა კიდეც, ისევ უკან მაბრუნებენო; შეიძლება, კაცისგან განსხვავებით, ბავშვური წინათგრძნობა ერთთავად ჰკარნახობდა: ასე დიდხანს არ გაგრძელდება, არ შეიძლება გაგრძელდესო. უკვე ისევ მატარებელში იჯდა და იმავე მთებს, ხეებსა და ძროხებს ხედავდა, ოღონდ ახლა ისინი სხვა მხრიდან ჩნდებოდნენ და სხვა მხარეს უჩინარდებოდნენ. თანმხლებმა პოლიციელმა საჭმელი შესთავაზა — იმანაც პურის ორ ნაჭერშუა ჩადებული ლორი, თუმცა, იმან გაზეთიანად მიაწოდა, გაზეთი არ მოუშორებია. ბიჭმა შეამჩნია, მაგრამ არაფერი უთქვამს, შეიძლება, არც გაუფიქრია არაფერი.

მერე ისევ შინ იყო. იქნებ ელოდა კიდეც, დაბრუნებისთანავე დამსჯიანო, თუმცა, წარმოდგენა არ ჰქონდა რისთვის, რა დანაშაულისთვის იმსახურებდა სასჯელს და არც იმედოვნებდა, როდისმე მივხვდებიო — უკვე შესჩვეოდა იმ აზრს, რომ ბავშვებისაგან განსხვავებით, რომელთაც შეეძლოთ უფროსები უფროსებად აღექვათ, დიდები, რატომღაც, ბავშვებსაც მუდამ ტოლებად, მუდამ თანასწორებად თვლიდნენ. კბილის პასტის ამბავი აღარც ახსოვდა. ახლა ისეთივე მონდომებით არიდებდა დიეტექიმს თავს, რა მონდომებითაც ერთი თვის წინ განზრახ ეჩხირებოდა თვალში. გულმოდგინედ კი ემალებოდა, მაგრამ დასამალი რა ჰქონდა, უკვე დავიწყებოდა. მალე მოგზაურობაც გადაავიწყდა და ვერც იმას მიხვდა, ამ ორ მოვლენას რამე თუ აკავშირებდა ერთმანეთთან. თუმცა, ბუნდოვნად და აბნეულად, მაინც ფიქრობდა ხოლმე თავის ხანმოკლე თავგადასავალზე. ისიც მხოლოდ მაშინ, როცა საქვაბის კარისკენ გაექცეოდა თვალი და ის მოხუცი კაცი ახსენდებოდა, სულ იქ რომ იჯდა და თვალმოუშორებლად შესცქეროდა; აღარც კაცი ჩანდა, წასულიყო, სამუდამოდ, უკვალოდ გამქრალიყო და არაფერი, მოწნული სკამიც კი არ დაეტოვებინა იმათ მსგავსად, ვინც ოდესმე გასცლოდა აქაურობას. არც ფიქრობდა და, მაინცდამაინც, არც აღელვებდა, სად შეიძლებოდა ასე უკვალოდ გაუჩინარებულიყო მოხუცი დარაჯი.

და აი, ერთ საღამოს საკლასო ოთახში მიაკითხეს და წაიყვანეს. შობამდე ორი კვირაღა რჩებოდა. ორმა ახალგაზრდა ქალმა — დიეტექიმი იმათში არ ერია — სააბაზანოში შეიყვანა, დაბანა, მერე სველი თმა გადავარცხნა, სუფთა კომბინეზონი ჩააცვა და დირექტორს მიჰგვარა კაბინეტში. კაბინეტში ვიღაც უცნობი კაციც იჯდა. კაცს შეხედა თუ არა, მაშინვე მიხვდა ყველაფერს, იქამდე, ვიდრე დირექტორი საერთოდ ხმას ამოიღებდა. შეიძლება, მახსოვრობამ იცოდა რაღაც, შეიძლება ცოდნა იხსენებდა ნელ-ნელა რაღაცას; შეიძლება, სურვილმაც უკარნახა, სწორედ სურვილმა, რადგან ხუთი წელი ძალზე ცოტაა იმედის გამჩენი სასოწარკვეთის დასაგროვებლად. ან, იქნებ, უეცრად მატარებლით მგზავრობა და მაშინდელი საჭმელიც გაახსენდა — უფრო შორს, უფრო იქეთ, მახსოვრობაც კარგავდა ძალას. „ჯოზეფ“, უთხრა დირექტორმა, „აბა, რას იტყვი, გინდა სოფლად, კეთილ ადამიანებთან იცხოვრო?“

იდგა, იაფფასიანი საპნით გახეხილსა და უხეში პირსახოცით გამშრალებულს, ყურები და სახე უხურდა, უვარვარებდა, ცეცხლი ეკიდა თითქოს, ახალი, გაფშეკილი კომბინეზონი ეცვა და უცნობს უსმენდა. შეხედვით მხოლოდ ერთხელ შეხედა ამ ჩაფსკვნილ კაცს; კაცს ხშირი, წაბლისფერი წვერი და მოკლედ გაკრეჭილი თმა ჰქონდა, თუმცა, ახალგაკრეჭილს არა ჰგავდა. ჯაგარივით უხეშ თმაწვერში ერთი ღერი ჭაღარაც არ ერია, თითქოს პიგმენტაციას ვერაფერი დაეკლო ამ ორმოცი წლის მამაკაცისათვის, ან, იქნებ, ორმოცსაც გადასცილებოდა, ყოველ შემთხვევაში, სახე უფრო ხანდაზმულს მიუგავდა. ღია ფერის, ცივი თვალებით უცქერდა ბიჭს. ტანზე უხეში ქსოვილის შავი კოსტუმი ეცვა. მუხლზეც შავი ქუდი დაეკოსებინა და იმისი რბილი ფეტრის ფარფლი მჯიღში მოემწყვდია. ჟილეტზე საათის ძეწკვი გასდევდა, ვერცხლისა, მძიმე. შავი ფეხსაცმელები ერთმანეთისთვის მიეტყუპებინა: კრიალი გაუდიოდათ, გულდაგულ, ხელით გაპრიალებულებს. ამ კაცის შემხედვარე, ხუთი წლის ბავშვიც მიხვდებოდა, რომ არამცთუ თვითონ არ ეწეოდა თამბაქოს, ამგვარ მანკიერებას სხვისგანაც არ მოითმენდა.

მაგრამ, ბიჭი მაინც უფრო იმის თვალებს ემალებოდა, იმ თვალების შიშით ვერ გაებედა თავის აწევა.

თვითონ კი განუწყვეტლივ გრძნობდა კაცის ცივ, დაძაბულ მზერას, თუმცა, ვერავინ იტყოდა, მზერა განზრახ გაუმკაცრებიაო. ბიჭსაც ისე ათვალიერებდა, როგორც, ალბათ, ცხენს ანდა გუთანს შეამოწმებდა, წინდაწინ დარწმუნებული, ხინჯს აუცილებლად ვუპოვი რამესო, წინდაწინ დარწმუნებული — მაინც ვიყიდიო. დინჯად, მძიმე-მძიმედ, მონოტონურად ლაპარაკობდა, იმ კაცივით, ვისთვისაც მთავარია სიტყვა არ გააწყვეტინონ, თორემ მსმენელის ყურადღებას მაინცდამაინც არ დაგიდევთ. — ვერ გავიგე, არ შეგიძლიათ თუ არ გსურთ კიდევ მითხრათ რამე მაგის წარმომავლობაზეო — ეუბნებოდა დირექტორს.

დირექტორი კაცს არ უყურებდა. სათვალის შუშებიც ვერ ფარავდნენ, უცბად, სულ ერთი წამით, როგორ დაებინდა თვალები. პასუხით კი, დაუყოვნებლივ უპასუხა, იქნებ, მეტისმეტად სწრაფადაც: „ჩვენ არცა ვცდილობთ მათი წარმომავლობის გარკვევას. როგორც გითხარით, კიბეზე დატოვეს, შობა ღამეს, ორ კვირაში ზუსტად ხუთი წელი შესრულდება. თუკი თქვენთვის ბავშვის წარმომავლობას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, იქნებ ჯობდეს, საერთოდ არც იშვილოთ“.

„ეგ არ მიფიქრია“, თქვა უცნობმა. ახლა, ცოტა არ იყოს, შემრიგებლური კილო გამოერია ხმაში. ისე მოახერხა მობოდიშება, საკუთარი შეუვალი რწმენის მისხალიც არ დაუთმია. „ისე, კი მინდოდა მის ატკინსსაც დავლაპარაკებოდი (დიეტექიმი გვარად ატკინსი იყო), რაკი წერილი იმან გამომიგზავნა“.

დირექტორს ისევ ცივი ხმა ჰქონდა, ახლაც სწრაფად გასცა პასუხი, ლამის არც დაუცადა კაცის გაჩუმებას: „ალბათ, მეც ზუსტად იმდენივე ცნობას მოგაწვდით ჩვენს ნებისმიერ ბავშვზე, რასაც მის ატკინსი, თანაც, მისი ოფიციალური მოვალეობანი ჩვენთან მხოლოდ სასადილოთი და სამზარეულოთი შემოიფარგლება, უბრალოდ, საქმე ისე აეწყო და იმდენი გულისხმიერება გამოიჩინა, ჩვენს მიმოწერაში ერთგვარი მდივნობა გასწია. ეგ არის და ეგ“.

„კეთილი და პატიოსანი“, თქვა უცნობმა. „კაცმა რომ თქვას, ან რა მნიშვნელობა აქვს. უბრალოდ, ვიფიქრე...“

„რა იფიქრეთ? ჩვენ ბავშვებს ძალად არავის ვატანთ, არც ბავშვებს ვაიძულებთ, გინდა თუ არა, უნდა წახვიდეო, არც ვუშვებთ, თუ თვითონ უარობენ და თან საამისოდ გონივრული საბუთებიც აქვთ ხოლმე. ესაა ორ მხარეს შორის შეთანხმების ძირითადი პირობა. ჩვენ, მხოლოდ და მხოლოდ, რჩევას ვიძლევით“.

„გასაგებია“, თქვა უცნობმა. „აკი გითხარით, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი. ეჭვიც არ მეპარება, ვაჟკაცი გაგვიმართლებს. ჩემთან და მისის მაკიჰერნთან არაფერი გაუჭირდება. ჩვენ უკვე ახალგაზრდები აღარა ვართ და სიწყნარე გვიყვარს. ნაირნაირებისა და ფუქსავატობის იმედი ნუ ექნება. ისე კი, მუშაობით მხოლოდ იმდენს იმუშავებს, რაც ისევ მისთვისვე იქნება სასიკეთო. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ღვთის მოშიში კაცი გაიზრდება და, თავისი წარმოშობის მიუხედავად, უსაქმურობა და ამაოება ჭირივით შესძულდება“.

ასე გაუქმდა ორი თვის წინ, შუადღისას, კბილის პასტით ხელმოწერილი თამასუქი, და გულმავიწყი მევალეც, რომელსაც თამასუქის არსებობა აქამდე აღარც გახსენებია, ახლა, დეკემბრის ნაცრისფერ საღამოს, სუფთა ასალში გახვეული, პატარა და მობუზული, უძრავად იჯდა მსუბუქი, ორთვალა ეტლის კოფოზე და გაყინულ, ოღროჩოღრო შარაზე მიჯაყჯაყებდა. მთელი ის დღე გზაში გაატარეს. შუადღისას კაცმა კოფოს ქვეშიდან სამი დღის წინ მომზადებული, სოფლური სანოვაგით სავსე მუყაოს ყუთი გამოაძვრინა და ისადილეს. დალაპარაკებით კი მხოლოდ საღამოხანს დაელაპარკა ბიჭს. თათმანიანი მჯიღი, რომელშიც მათრახის ტარი ჩაებღუჯა, წინ, ბინდბუნდში მოჭიატე ერთადერთი სინათლისაკენ გაიშვირა და — აგე, სახლიო — უთხრა. ბიჭს არაფერი უპასუხია. კაცმა ზემოდან დახედა. ციოდა და ისიც თავფეხიანად იყო შეფუთნული, ჯმუხი, დიდი, უფორმო, რაღაცით კლდისმაგვარი, მოუდრეკელი, უფრო სასტიკი, ვიდრე პირქუში. „ეგ არის-მეთქი შენი სახლი“. ბიჭმა არც ახლა უპასუხა. ან რა ეპასუხა, რა იცოდა, რას ნიშნავდა „შენი სახლი?!“ საიმისოდაც ძალიან პატარა იყო, ელაპარაკა და არაფერი კი ეთქვა. „არც საჭმელი მოგაკლდება, არც თავშესაფარი და არც ქრისტიანი ხალხის მზრუნველობა“, უთხრა კაცმა. „საშენო საქმესაც გამოგინახავთ, ბოროტმა რომ არ გაცდუნოს. მალე იმასაც გასწავლი, ორი ყველაზე საზიზღარი თვისება სიზარმაცე და ამაო ფიქრი რომაა, ორი უმთავრესი სიქველე კი — შრომა და ღვთის შიში“. ბიჭს არც ახლა დაუძრავს კრინტი. ჯერ არც არასოდეს ეშრომა და არც ღვთის შიში გასჩენოდა. ღმერთზე კიდევ უფრო ნაკლები გაეგებოდა, ვიდრე შრომაზე. შრომას მისთვის ის ხალხი განასახიერებდა, ფოცხებითა და ნიჩბებით შეიარაღებულნი, კვირაში ექვსჯერ რომ ჩაუვლიდნენ ხოლმე იმათ სათამაშო მოედანს. ღმერთს კი მხოლოდ კვირაობით ხვდებოდა. და — თუკი სისუფთავის სავალდებულო შემოწმებას არ მივიღებთ მხედველობაში — ეს შეხვედრებიც მისთვის საამო მუსიკასა და სმენის დამამშვიდებელ, მთლიანობაში სასიამ-

ოვნო, ოღონდ ოდნავ მოსაწყენ სიტყვებს ნიშნავდა მხოლოდ. ახლაც არაფერი უთქვამს. ეტლი ისევ ისე მიჯაყჯაყებდა, ღონიერი, ნაპატიები ჯორებიც შინისკენ, თავლისაკენ მიისწრაფვოდნენ.

მოგვიანებით, ერთი სხვა ამბავიც გაახსენდა, ცოტა არ იყოს, უკვე გაფერმკრთალებული, დროით გადარეცხილი. დირექტორის კაბინეტში არიან ყველანი; თვითონ გაუნძრევლად დგას, უცნობის თვალებს ემალება, არადა, მაინც განუწყვეტლივ გრძნობს იმის მზერას, დგას და ელოდება, როდის იტყვის უცნობი იმას, რასაც მისი თვალები ფიქრობენ. და აი, როგორც იქნა, მოლოდინსაც ადგება საშველი: „ქრისთმასი. ეს ხომ რაღაც წარმართული გვარია. მკრეხელური. ჯობია შევცვალოთ“. ამბობს კაცი.

„ეს თქვენი კანონიერი უფლებაა“, ეთანხმება დირექტორიც. „ჩვენთვის მთავარია, როგორ იცხოვრებენ, თორემ გვარს მნიშვნელობა არა აქვს“.

მაგრამ, უცნობი არავის უსმენს, არც არავის მიმართავს: „დღეის ამას იქით, მაკიჰერნია მაგის გვარი“.

„სწორი ბრძანდებით“, ამბობს დირექტორი. „რა თქმა უნდა, თქვენი გვარი უნდა მისცეთ“.

„ჩემს პურს თუ შეჭამს და ჩემს ღმერთს თუ იწამებს, გვარიც ჩემი უნდა ატაროს“, ამბობს უცნობი.

ბავშვი კი აღარ უსმენს. არც წუხს. არაფერს დაგიდევს, თითქოს სიცივე იყოს და უცნობი ჯიუტად ამტკიცებდეს — ძალიან ცხელაო. იმდენად არ ადარდებს ეს ამბავი, საკუთარი თავისთვისაც ვერ უთქვამს ***მე მაკიჰერნი არა ვარ. მე ქრისთმასი ვარ გვარად*** ჯერ არ დამდგარა ამეებზე წუხილის დრო. დრო ჯერ ბევრი აქვს.

„მართლაც, რატომაც არა?“ კვერს უკრავს უცნობს დირექტორი.

- VII -

მახსოვრობამ ესეც იცის; ოცი წლის შემდეგ ისევ ძველებურად სჯერა ***იმ დღეს მე კაცი გავხდი***

სუფთა, სპარტანულ ოთახში კვირა დღის სურნელი ტრიალებდა. ახლადმოხნული მიწისა და მაჟალო ვაშლის სუნით გაჟღენთილი ნიავი ღია ფანჯრებზე ოდნავ არხევდა ქათქათა, დაკემსილ ფარდებს. ყვითელ, პედლებზე გაქუცული, ნახმარი ნოხის ნაჭრებგადაკრულ, ვითომ მუხასავით მოპირკეთებულ მელოდეონზე ლარნაკში სოსანის

ყვავილები ეწყო. ბიჭი მაგიდასთან, მაგარზურგიან სკამზე იჯდა, მაგიდაზე მონიკელებული ლამპა იდგა და დიდი, თითბრის ბალთებიანანჯამებიანი და თითბრისავე საკეტიანი ბიბლია იდო. ბიჭს სუფთა, თეთრი, უსაყელო პერანგი და მუქი ფერის, უხეში ნაჭრის ახალი შარვალი ეცვა. ეტყობა, ფეხსაცმელებიც ის-ის იყო გაეპრიალებინა, თუმცა, ცოტა არ იყოს უხეიროდ, ისე, როგორც რვა წლის ბავშვი მოახერხებდა — აქა-იქ, განსაკუთრებით ქუსლებთან, სადაც რიგიანად ვერ წაესვა საცხი, პატარ-პატარა, მკრთალი ლაქები აჩნდა. იჯდა და მაგიდაზე გადაშლილ პრესვიტერიანულ კატეხიზმოს ჩასცქეროდა.

მაკიჰერნი მაგიდასთან იდგა. იმასაც სუფთა სატინის პერანგი და ისევ ის შავი შარვალი ეცვა, რაც ბიჭთან პირველი შეხვედრისას. სველი თმა გულდაგულ, მაგრად გადაეგლისა მრგვალ თავზე და სველი წვერიც დიდის მონდომებით დაევარცხნა. „არც გიცდია სწავლა“, თქვა მაკიჰერნმა.

ბიჭს თავი არ აუღია. არც განძრეულა. თუმცა, აღარც კაცს გამკაცრებია უფრო მეტად სახე. „ვცადე“.

„მაშ კიდევ სცადე. ერთ საათსაც დაგიმატებ“. მაკიჰერნმა ჯიბიდან მძიმე, ვერცხლის საათი ამოიღო, ხუფახდილი დადო მაგიდაზე, თვითონაც მიიჩოჩა მეორე, მაგარზურგიანი, უხეშად გამოჩორკნილი სკამი და დაჯდა, გაკრიალებული, გახეხილი ხელები მუხლებზე დაიკრიფა და მძიმე, გაპრიალებული ფეხსაცმელები ერთმანეთს მიატყუპა. იმის ფეხსაცმელებს მტვრისა და ჭუჭყის ნასახიც არ ემჩნეოდა, ყველგან თანაბრად ესვათ საცხი და ერთიანად ლაპლაპებდა. თუმცა, წუხელ, ვახშმობისას მათი შემხედვარე კაცი იმავეს ვერ იტყოდა და ამიტომაც იყო, უკვე დასაძინებლად გამზადებული ბიჭი რომ გაილახა და ღამის პერანგის ამარამ, ხელახლა დააპრიალა მაკიჰერნის ფეხსაცმელები. ბიჭი მაგიდას უჯდა. თავჩაქინდრულს სახე გაქვავებოდა და გამოცარიელებოდა. დროდადრო სუსტად დაუბერავდა ხოლმე და ფანჯრებდაღებულ, დაწკრიალებულ ოთახში გაზაფხულის დამათრობელი სურნელება შემოიჭრებოდა.

უკვე ცხრა საათი შესრულებულიყო. რვიდან ისხდნენ ასე ამ ოთახში. ახლომახლო ეკლესიები მრავლად იყო, თუმცა, პრესვიტერიანულამდე ხუთი მილი უნდა გაევლოთ, ერთი საათი უნდოდა იქამდე გზას. ათის ნახევარზე ოთახში მისის მაკიჰერნიც შემოვიდა. შავად შემოსილს თავზე უკვე ქუდიც ეხურა — ტანმორჩილი, ოდნავ მხრებში მოხრილი, გალახულსახიანი ქალი იყო, გაუბედავად, უჩუმრად შემოიძურწა. თავის მკაცრსა და ჯანმაგარ ქმარზე თხუთმეტი წლით უფროსსა ჰგავდა. კაცმა რომ თქვას, ოთახში არც შემოსულა. ცოტა

ხანს კარებთან იტრიალა — საგარეოდ გამოწყობილს, ქუდდახურულს, გაუანგისფრებული, თუმცა კი საგანგებოდ გაწმენდილ-გაუთოებული შავი კაბა ჩაეცვა და ხელშიც ქოლგა და პალმის შტოს მარაო დაეჭირა; უცნაური თვალებით იცქირებოდა, თითქოს რასაც კი ხედავდა და რაც ესმოდა, ყველაფერს მუდამ უფრო აშკარა, უფრო თვალნათელი მამაკაცური ფორმისა და მამაკაცური ხმის მეშვეობით აღიქვამდა, თითქოს თვითონ მედიუმი იყო და ბრმად ემორჩილებოდა თავისი ურჯუკი და ულმობელი ქმრის წარმმართველ ნებას. შეიძლება, მაკიჰერნმა გაიგონა კიდეც ცოლის ფეხის ხმა. თუმცა, თავი არ აუწევია, არაფერი უთქვამს. ქალიც მალევე შეტრიალდა და გაეცალა.

ზუსტად ერთი საათი გავიდა თუ არა, მაკიჰერნმა თავი აიღო. „ისწავლე?“ ჰკითხა ბიჭს.

ბიჭი არც განძრეულა, ისე თქვა — არაო.

მაკიჰერნი დინჯად, აუჩქარებლად წამოდგა. საათი აიღო, ხუფი დაახურა, ისევ ჯიბეში ჩაიდო და ძენკვიც აჭიმქვეშ გაიტარა. „წამო“, უთხრა ბიჭს. უკან აღარ მიუხედავს. ბიჭიც უჩუმრად გაჰყვა, დერეფანს დაუყვნენ უკანა კარებისკენ; ბიჭიც წელგამართული მიაბიჯებდა, თავაწეული, ხმაგაკმენდილი. ერთნაირი, ჯიუტი ზურგები ჰქონდათ ორივეს, თითქოს საერთო წინაპრისგან მემკვიდრეობით მიღებული — სისხლით ნათესავებს ჰგავდნენ. მისის მაკიჰერნი სამზარეულოში იცდიდა, ჯერ არც ქუდი მოეხადა და მარაოცა და ქოლგაც ისევ ისე ეჭირა ხელში. კაცმა და ბიჭმა რომ ჩაუარეს, კარს იყო მიჩერებული. „მამილო...“ დააპირა ქალმა რაღაცის თქმა, მაგრამ არცერთს არ შეუხედავს ზედ. თითქოს არც არაფერი გაუგონიათ, თითქოს არც ეთქვას ქალს არაფერი. თავიანთი გზა გააგრძელეს, ჯიუტად, ბაწარაღებით, მამა-შვილი არ ემგვანებოდა ერთმანეთს ისე, როგორც ყოველგვარი შეღავათის მკაცრად უარმყოფელი იმათი ზურგები ჰგავდნენ. უკანა ეზო გადასერეს და ბოსელში შევიდნენ. მაკიჰერნმა ბაკის კარი გამოაღო და გვერდზე მიდგა. ბიჭმა ბაკში შეაბიჯა. მაკიჰერნმა კედლიდან ღვედი ჩამოხსნა. იმისი ფეხსაცმელებისა არ იყოს, ღვედსაც ეთქმოდა ძველი ან ახალი. ოღონდ, ეგ კია, ფეხსაცმელებივით, ისიც ერთიანად ლაპლაპებდა და იმასაც პატრონივით სუნი უდიოდა: სუფთა, მაგარი, გამძლე ტყავისა. კაცმა ბიჭს გადახედა.

„წიგნი რა იქნა?“ ბიჭი უძრავად ედგა წინ, მშვიდი სახე ედო, ოღონდ გლუვი, პერგამენტისფერი სახის კანი ოდნავ, თითქოს შიგნიდან გაფითრებოდა. „წიგნი დაგვიწყებია“, თქვა მაკიჰერნმა. „წადი, მოიტანე“. ბოროტი ხმა არა ჰქონდა. საერთოდ არაფერი ეცხო ამ ხმას ადამიანური, პიროვნული. უბრალოდ, ცივი იყო,

ულმობელი — დაწერილ თუ დაბეჭდილ სიტყვასავით. ბიჭი შეტრიალდა და ბოსლიდან გამოვიდა.

მისის მაკიჰერნი დერეფანში დახვდა. „ჯო“, უთხრა ქალმა. ბიჭს პასუხი არ გაუცია. არც კი შეუხედავს ქალისთვის, ქალის სახისათვის, ჰაერში უხერხულად გაშეშებული იმის ხელისათვის, ადამიანის უნაზესი მოძრაობის ამ უნდილი კარიკატურისთვის. სიამაყისა და, ალბათ, სასოწარკვეთისგანაც ერთიანად დაჭიმულმა ჩაუარა გვერდით, ვინ იცის, იქნებ პატივმოყვარეობის, კაცის უგუნური ამაოებისგან სახეგამკაცრებულმა. მაგიდიდან კატეხიზმო აიღო და ისევ ბოსელში დაბრუნდა.

მაკიჰერნი მოთმინებით ელოდებოდა, ღვედიც ისევ ხელში ეჭირა. „დადე“, უთხრა ბიჭს. ბიჭმა წიგნი იატაკზე დადო. „მანდ არა“, თქვა მაკიჰერნმა, ჯერ გაცხარება არ ეტყობოდა. „შენ, ალბათ, საქონლის ნაჯიჯგნი ბოსლის იატაკი ღვთიური სიტყვისათვის შესაფერისი ადგილი გგონია. მაგრამ არა უშავს, მაგასაც გასწავლი“. თვითონვე დასწვდა წიგნს და ლავგარდანზე ჩამოდო. „შარვალი ჩაიხადე“, თქვა მაკიჰერნმა, „ნუ გავაფუჭებთ“.

მერე ბიჭი შარვალჩახდილი იდგა, კოჭებთან ეთრეოდა შარვალი და მოკლე პერანგის ამარა დარჩენილს, შიშველი კანჭები მოუჩანდა. ასე იდგა გაჩხინკული, წელში გამართული. პირველად რომ დაუშვა მაკიჰერნმა ღვედი, გარიდება არც უცდია, არც სახე ასცახცახებია. პირდაპირ იყურებოდა, წინ, ფიქრიანი და მშვიდი სახით, სურათზე გამოსახული ბერივით. მაკჰერნი კი მეთოდურად ურტყამდა, აუჩქარებლად, გამოზომილი ძალით, სიფიცხისა და სიბრაზის გარეშე. ვერ იტყოდით, რომელს ედო უფრო ფიქრიანი, უფრო მშვიდი, უფრო მტკიცე სახე.

ათჯერ დაჰკრა და გაჩერდა. „წიგნი აიღე“, უთხრა ბიჭს. „შარვალს ჯერ ხელს ნუ ახლებ“. ისევ მიაწოდა კატეხიზმო. ბიჭმაც უსიტყვოდ გამოართვა. უწინდებურად იდგა, წელგამართული, თავაწეული, წიგნიც მაღლა ეჭირა და მთელი თავისი გარეგნობით უკიდურეს აღგზნებასა თუ აღფრთოვანებას გამოხატავდა. სტიქარი აკლდა, თორემ სხვაფრივ მართლა კათოლიკური ქოროს ბიჭსა ჰგავდა, ოღონდ, ნეფის ნაცვლად, ვიწრო, ბნელ ბაკში იდგა, ხოლო ბაკის გაურანდავი ფიცრის კედელს იქეთ, გამომშრალსა და მომჟავო სიბნელეში, ხანდახან პირუტყვი გაიფაჩუნებდა ხოლმე — ხან ზანტად ამოიქშენდა და ხან ზარმაცად დააბაკუნებდა ფეხს. ერთიანად გახევებულმა მაკიჰერნმა ჩაიმუხლა და ბაგაზე ჩამოჯდა, მუხლები ფართოდ გაშალა განზე, ცალი ხელი მუხლზე ედო, მეორეში ვერცხლის საათი ეჭირა; სუფთა,

წვერიანი, უდრეკი სახე ქვაში გამოკვეთილს მიუგავდა, ულმობელი, ცივი თვალები ჰქონდა — ოღონდ, ბოროტი არა.

ასე გავიდა კიდევ ერთი საათი. მანამდე, ვიდრე დანიშნული ვადა ამოიწურებოდა, მისის მაკიჰერნი ერთხელ კიდევ უხმოდ მიუახლოვდა უკანა კარებს. ცოტა ხანს გაჩერდა იქ, ბოსელს მიჩერებული, ჯერ ისევ ქუდი ეხურა და ქოლგაც და მარაოც ხელში ეჭირა. მერე, ისევ შინ შებრუნდა.

ახლაც, ზუსტად ერთი საათი გავიდა თუ არა, მაკიჰერნმა საათი ჯიბეში ჩაიბრუნა. „აბა, ახლა მაინც იცი?“ ჰკითხა ბიჭს. ბიჭმა არაფერი უპასუხა, გაქვავებულს, წელში გამართულს, გადაშლილი წიგნი თვალების სიმაღლეზე ეჭირა. მაკიჰერნმა წიგნი გამოართვა. ბიჭი არც ახლა შერხეულა. „გაიმეორე შენი კატეხიზმო“, უთხრა მაკიჰერნმა. ბიჭი პირდაპირ იყურებოდა, კედელზე მისჩერებოდა ერთ წერტილს. მაინცდამაინც ღაუღაჟა სახე არასოდეს ჰქონია, მაგრამ ახლა მთლად ცვილისფერი დასდებოდა. მაკიჰერნმა ფრთხილად, აუჩქარებლად დადო წიგნი ლავგარდანზე და ისევ ღვედს დასწვდა. ჯერ ხემსი არ ჩასვლოდა პირში; ჯერ არცერთს არ ესაუზმა. მერე, ბიჭი წაბარბაცდა და, ალბათ, წაიქცეოდა კიდეც, კაცს ხელი რომ არ შეეშველებინა, მკლავში არ ჩაფრენოდა. „მოდი“, უთხრა ბიჭს, თან ცდილობდა ბაგასთან მიეყვანა. „მოდი, აქ ჩამოჯექი“.

„არა“, გაიბრძოლა ბიჭმა, მკლავის გათავისუფლებას შეეცადა. მაკიჰერნმა ხელი გაუშვა.

„რა იყო? ცუდად ხომ არა ხარ?“

„არა“. თქვა ბიჭმა. სუსტი ხმა ჰქონდა, სახეც ერთიანად გასთეთრებოდა.

„მაშინ წიგნი აიღე“, უთხრა მაკიჰერნმა და თვითონვე მიაჩეჩა კატეხიზმო. ბოსლის ფანჯარაში მისის მაკიჰერნმა გაიელვა, შინიდან გამოსულიყო. ახლა უკვე გახუნებული, გრძელი საშინაო კაბა ეცვა და ძველი, ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, ხელში კედრის სათლი ეჭირა. ბოსლისკენ არ გამოუხედავს, ერთი კი გაკრთა ფანჯარაში და გაუჩინარდა. ცოტა ხანში, ჭის ბორბლის ზანტი ჭრიალი მოესმათ, მშვიდად, უცნაურად ყღერდა ეს ხმა უქმე დღის სიმყუდროვეში. მერე, ერთხელ კიდევ გამოჩნდა ფანჯარაში ქალი, სავსე სათლი მიჰქონდა შინისაკენ და ტანი გვერდზე გადაეხარა, ისე შევიდა შინ, ბოსლისკენ არც ამჯერად გამოქცევია თვალი.

კიდევ ერთი საათი გავიდა და მაკიჰერნმაც თავი აიღო. „ისწავლე?“ შეეკითხა ბიჭს. ბიჭმა არ უპასუხა, არც განძრეულა. ახლოს რომ მივიდა, მაშინღა დაინახა მაკიჰერნმა, თურმე საერთოდ არ

დასცქეროდა ფურცელს, სადღაც, ერთ წერტილში გაეშტერებინა მთლად გამოცარიელებული თვალები. წიგნის გამორთმევა დაუპირა, მაგრამ ბიჭი მაგრად ჩაფრენოდა წიგნს, როგორც თოკს ანდა ბოძს. როცა ბოლოს მაინც გამოგლიჯა ხელიდან, ბიჭი იატაკზე გაიშხლართა და აღარც განძრეულა.

გონს ნაშუადღევსღა მოეგო. თავის საწოლში იწვა, თავის ოთახში, სხვენზე, დაქანებულ ჭერქვეშ. ოთახში სიჩუმეს დაესადგურა და უკვე ბინდიც შემოპარულიყო. ახლა თავს კარგად გრძნობდა, იწვა და ზევით იყურებოდა — დაქანებულ ჭერს ასცქეროდა, ვიდრე ტანმა არ უგრძნო, საწოლთან ვიღაც ზისო. ვიღაც კი არა, მაკიჰერნი. მაკიჰერნი იყო. უკვე იმასაც გამოეცვალა, იმასაც ყოველდღიური ტანსაცმელი ჩაეცვა, ოღონდ კომბინეზონი კი არა, რომელსაც მინდორში მუშაობისას იცვამდა ხოლმე — გამოხუნებული, სუფთა უსაყელო პერანგი და გაცრეცილი, სუფთა, ხაკის შარვალი. „გაგიღვიძია“, თქვა მაკიჰერნმა. ხელი გადაიწვდინა და საბანი გადახადა. „ადექი“.

ბიჭი არ შერხეულა. „კიდევ უნდა მცემოთ?“

„ადექი, დროზე“, გაიმეორა მაკიჰერნმა. ბიჭი საწოლიდან წამოდგა და იქვე გაჩერდა, გაჩხინკულს ბამბის უშნო საცვლები ეცვა. მაკიჰერნიც წამოიმართა, მძიმედ, ტლანქად, დაძაბულად, თითქოს დიდი გაჭირვების ფასად; ბიჭი გაფაციცებით, თუმცა ბავშვური გაოცების გარეშე შესცქეროდა და ხედავდა, როგორ ნელ-ნელა, ძლივძლივობით მოიყარა კაცმა საწოლთან მუხლი. „შენც დაიჩოქე“, უთხრა ბიჭს. ბიჭმა დაიჩოქა; ახლა ორივე მუხლებზე იდგა ვიწრო, ბინდ-ბუნდში ჩანთქმულ ოთახში, სახელდახელოდ მისთვის გადაკეთებული, მამაკაცური საცვლების ამარა დარჩენილი პატარა ბიჭი და ულმობელი კაცი, ვისთვისაც ერთნაირად უცხო და უცნობი იყო სიბრალულიცა და ეჭვიც. მაკიჰერნმა ლოცვა დაიწყო. დიდხანს ლოცულობდა ერთფეროვანი, რულისმომგვრელი, მომაბეზრებელი ხმით. პატიებას შესთხოვდა უფალს, რადგან უქმე დღის წესი და რიგიც დაერღვია და ბავშვზე, ობოლზე, უფლისთვის ძვირფას არსებაზეც აღემართა ხელი. კიდევ იმასაც შესთხოვდა, ბიჭის ჯიუტი გული როგორმე მომბალიყო და ბიჭსაც მისტევებოდა ურჩობის ცოდვა, სწორედ იმ კაცის ლოცვის წყალობით მისტევებოდა, ვინც ეჯავრებოდა და ვისაც ეურჩებოდა, ლოცულობდა, რათა გონიერი მოწყალების კარნახითა და გონიერი მოწყალებისავე მეშვეობით, ყოვლადძლიერსაც ისეთივე დიდსულოვნება გამოეჩინა, როგორ დიდსულოვნებასაც თვითონ იჩენდა ბიჭის მიმართ.

მერე ლოცვას მორჩა და წამოდგა, გაჭირვებით წამოიმართა. ბიჭი ისევ მუხლებზე იდგა. მთელი ამ ხნის მანძილზე საერთოდ არ

განძრეულა. ოღონდ, თვალები სულ გახელილი ჰქონდა (არც სახე დაუმალავს, არც თავი ჩაუქინდრავს) და სახეზეც სრული სიმშვიდე ეხატა: აუმღვრეველი, უდრტვინველი, იდუმალი სიმშვიდე. მერე გაიგონა, როგორ აფათურებდა კაცი ხელს მაგიდაზე, ლამპასთან; ასანთიც გაჩხაკუნდა, აინთო; ფიტილზე ნელ-ნელა წამოიმართა ცეცხლის ალი, კაცს ხელი ჯერაც ლამპის მუცლიან შუშაზე შერჩენოდა და სისხლში ამოვლებულს მიუგავდა. ოთახში ჩრდილები ერთი კი დატრიალდნენ და უცებვე გაშეშდნენ. მაკიჰერნი მაგიდაზე, ლამპის გვერდით რაღაცას დასწვდა და ხელში აიღო: კატეხიზმო. მერე ბიჭს დახედა ზემოდან: ცხვირი, წინგამოშვერილი, თითქოს გრანიტიდან გამოკვეთილი, ლამის თვალამდე, სათვალის შუშამდე წვერით დაფარული ყვრიმალი. „წიგნი გამომართვი“, თქვა კაცმა.

მთელი ეს ამბავი კვირა დილას, საუზმობამდე დაიწყო. საუზმისთვის ვერცერთმა ვერ მოიცალა — ვერც ბიჭმა მოასწრო ჭამა და არც კაცს ჩაუდია პირში ლუკმა, თუმცა, მაგიდასთან კი მივიდა და, ჩვეულებისამებრ, ილოცა კიდეც. შუადღეზე, სადილობისას, დაძაბული და არაქათგამოცლილი, ძილად იყო მივარდნილი, არც ვახშმობისას გახსენებია ვინმეს სუფრასთან დაჯდომა და ბიჭი ახლა ვერაფრით მიმხვდარიყო რა სჭირდა, რატომ გრძნობდა ასეთ სისუსტესა და სიმსუბუქეს.

ერთიანად მოთენთილი იწვა ლოგინში და სასიამოვნო სიმშვიდე დაუფლებოდა. ოთახში ჯერ ისევ ენთო ლამპა; გარეთ უკვე დაღამებულიყო. დრო კი გავიდა, მაგრამ ეგონა, საკმარისია თავი მიეაბრუნო და ისევ დავინახავ საწოლთან დაჩოქილ ორ ფიგურასო, საკუთარ თავსაც და მაკიჰერნსაცო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ნოხზე დანატოვარ ორი წყვილი მუხლის ანაბეჭდს მაინცო. თითქოს ჰაერშიც ჯერ ისევ ის რულისმომგვრელი ხმა რიალებდა, თითქოს სიზმარში ლაპარაკობდა ვილაც, ლოცულობდა თუ იმასთან კამათობდა, ვინც ხილულ ნოხზე უჩინარ ნაკვალევსაც არა სტოვებდა.

ასე იწვა, გულაღმა, საფლავის ქანდაკებასავით გულხელდაკრეფილი და ამ დროს, ვიწრო კიბეზე ისევ გაიგონა ფეხის ხმა. ეს ხმა კაცის ნაბიჯების ხმას არ ჰგავდა; აკი წელან მოესმა, როგორ გაემგზავრა მაკიჰერნი ეტლით: სამი მილი უნდა გაევლო საღამოს ბინდ-ბუნდში, რათა ნებისმიერ უახლოეს ეკლესიაში გამოესყიდა დილანდელი შეცოდებანი, რაკიღა პრესვიტერიანულში უკვე დაჰგვიანებოდა.

ბიჭს თავი არ მიუბრუნებია, ისედაც კარგად ესმოდა რა გაჭირვებით, ძლივძლივობით ამოდიოდა კიბეზე მისის მაკიჰერნი. მერე ისიც გაიგონა, ოთახში როგორ შემოვიდა და საწოლს როგორ მოუახლოვდა. არც მაშინ მიუბრუნებია თავი, თუმცა, უცებ ქალის ჩრდილი კედელზე აისვეტა და ამ ჩრდილმა მიახვედრა, თან რაღაც მოუტანიაო. საჭმლით სავსე ლანგარი იყო. ქალმა ლანგარი საწოლზე დადო. ბიჭს ერთხელაც კი არ შეუხედავს მისთვის. არც განძრეულა. „ჯო“, თქვა ქალმა. ბიჭი არ შერხეულა. „ჯო“, გაიმეორა ისევ. ქალი ხედავდა, ბიჭს თვალები გახელილი ჰქონდა. მაგრამ, მაინც არ შეხებია.

„არა მშია“, თქვა ბიჭმა.

ქალი გაუნძრევლად იდგა. ხელები წინსაფარქვეშ დაეკრიფა. თითქოს, თვითონაც არ უცქერდა ბიჭს. თითქოს, საწოლის გვერდით კედელს ელაპარაკებოდა. „ვიცი, რასაც ფიქრობ. ოღონდ გეშლება. იმას არ უთქვამს საჭმელი მიუტანეო. მე თვითონ გადავწყვიტე. არც იცის. იმას არაფერი გამოუგზავნია“. ბიჭი არ შერხეულა. მშვიდი სახე ჰქონდა, კერპივით, იწვა და ციცაბოდ დაქანებულ, ფიცრულ ჭერს აჰყურებდა. „მთელი დღეა ლუკმა არ ჩაგსვლია პირში. წამოჯექი და ჭამე. იმას არ უთქვამს, აჭამეო. გეუბნები, არაფერი იცის-მეთქი. დავიცადე, ვიდრე წავიდოდა და მერეღა ამოვედი“.

ბიჭი წამოჯდა. ქალი ხედავდა, როგორ დასწვდა ლანგარს, ოთახის კუთხეში მიიტანა და იქ მოაპირქვავა, იატაკზე მოაზვავა თეფშები და საჭმელი. მერე ისევ საწოლთან მიბრუნდა, ცარიელი ლანგარი ისე მოჰქონდა, თითქოს სანაწილე ეჭირა ხელში, იმის დამტარებელი იყო, ოღონდ, სტიქარის ნაცვლად, თავის ზომაზე გადაკეთებული მამაკაცის საცვლები ეცვა. ახლა ქალი აღარ უცქერდა, მთელი ამ ხნის მანძილზე არც განძრეულა. ხელებიც ისევ წინსაფარქვეშ დაემალა. ბიჭიც ისევ საწოლში ჩაწვა, გულაღმა გაიშოტა და ფართოდ გახელილი თვალები ჭერს მიაშტერა. კედელზე ქალის უძრავ, უფორმო, ოდნავ მხრებში მოხრილ ჩრდილს ხედავდა. მერე ჩრდილიც გაქრა. ბიჭი ქალისკენ არ იყურებოდა, ოღონდ ესმოდა კი, როგორ ჩაიჩოქა ქალმა ოთახის კუთხეში და ხელახლა როგორ მოაგროვა ლანგარზე თეფშების ნამსხვრევები. მერე წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ლამპა თანაბრად ანათებდა, ერთხელაც არ შერხეულა ფიტილზე ალი; ფარვანები ლამპის გარშემო უვლიდნენ წრეს და იმათი აფარფატებული ჩრდილები კედელზე ჩიტებისოდენა ჩანდნენ. ბიჭს გარედან სიბნელის, გაზაფხულის, მიწის სუნი სცემდა და მთელი არსებით შეიგრძნობდა ამ სიბნელეს, გაზაფხულს, მიწას.

მაშინ ჯერ რვა წლისა იყო. მხოლოდ მრავალი წლის მერეღა მიხვდა ხსოვნა, რა დაემახსოვრებინა; მრავალი წელი გავიდა იმ ღამიდან, როცა, ერთი საათის შემდეგ ისევ წამოდგა საწოლიდან,

კუთხეში მივიდა და ახლა უკვე სხვისი კარნახით კი არა, საკუთარი ნებით, საკუთარი სურვილით დაიჩოქა, შერყვნილ საჭმელს დააცხრა და ველურივით, ძაღლივით დაუწყო ჭამა.

საღამოვდებოდა; წესით ახლა უკვე შინ უნდა ყოფილიყო. მართალია, შაბათობით საღამო ხანს თავისუფალი კი იყო ხოლმე, მაგრამ ასე მაინც ჯერ არასოდეს დაეგვიანა შინ მისვლა. დაბრუნებისთანავე უთუოდ გაილახებოდა. გაილახებოდა, ოღონდ იმისთვის არა, რასაც ახლა ჩაიდენდა ან არ ჩაიდენდა. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეიკავებდა ცოდვისგან თავს თუ ვერა, რადგან სახლში დაბრუნებულს მაინც ისე დაუნდობლად გალახავდნენ, გინდაც მაკიჰერნის თვალწინ შეეცოდოს.

თუმცა, ჯერ ალბათ თვითონაც არ იცოდა, ცოდვას თუ არ ჩაიდენდა. ხუთი ბიჭი მიგდებული სამხერხაოს მორყეულ კართან ჩუმად, უხმაუროდ, ქურდულად შექუჩდა საღამოს ბინდ-ბუნდში. წელან, ასიოდე იარდის იქით დამალულებმა დაინახეს როგორ შევიდა ფარდულში ზანგის გოგო, ერთი კი გამოიხედა და სიბნელეში გაუჩინარდა. ვიღაც უფროსმა ბიჭმა მოაწყო ყველაფერი და პირველიც თვითონ შეჰყვა გოგოს, დანარჩენები კი, ერთნაირკომბინეზონებიანი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭები, ახლო-მახლო, სამი მილის რადიუსში რომ სახლობდნენ და თავიანთი ამხანაგის, ჯო მაკიჰერნის დარად, უკვე მინდორსაც დიდი კაცებივით ხნავდნენ, ძროხასაც წველიდნენ და შეშასაც აპობდნენ — კენჭსა ყრიდნენ: ვისაც გადატეხილი თივის ღერი შეხვდებოდა, რიგიც იმას ერგებოდა პირველს. არადა, ვიდრე მაკიჰერნის არსებობა არ გაახსენდა, იქამდე მთელი ეს ამბავი ცოდვად არც ჩაუთვლია და არც შეიძლებოდა ჩაეთვალა — თოთხმეტი წლის ბიჭის წარმოდგენით ყველაზე მძიმე და დიდი ცოდვა სწორედ ის იქნებოდა, საკუთარ უბიწოებაში თუ გამოუტყდებოდა ამხანაგებს.

მერე იმისი ჯერიც დადგა. ჯომ ფარდულში შეაბიჯა. ფარდულში ბნელოდა. ხეირიანად არც შესულიყო და უცებ საშინლად აფორიაქდა, აგანგაშდა. ახლაც, როგორც ყოველთვის, როცა კბილის პასტა გაახსენდებოდა ხოლმე, თითქოს მისი არსებიდან გამოღწევას, თავის დახსნას შეეცადა რაღაც. ერთბაშად განძრევაც ვერ მოახერხა, ადგილზევე გახევდა და ერთდროულად ეცა ქალისა და ზანგის სუნი; ყოველი მხრიდან ამ ქალურზანგური სუნით გარემოცული, აფორიაქებული, აღელვებული, ილაჯგამოცლილი იდგა და მორჩილად უცდიდა, იძულებული იყო მოეცადა, როდის ამოიღებდა გოგო ხმას:

გზის მაჩვენებელ სიტყვას ელოდა მისგან, აზრისგან დაცლილსა და უნებლიეთ წამოსროლილს. მერე მოეჩვენა, თითქოს დაინახა კიდეც რაღაცა, ძირს გართხმული, საცოდავი; თითქოს იმის თვალებსაც ხედავდა. წინგადახრილი, ვითომ უძირო ჭას ჩასცქეროდა და ფსკერზე მკვდარი ვარსკვლავების ციმციმსა თუ ანარეკლს ამჩნევდა. ახლა, ეტყობა, ნაბიჯიც გადადგა, რადგან ფეხით გოგოს სხეულს წამოედო. მერე უკვე შეგნებულად მოიძია ბნელში იმისი ტანი და წიხლი ჩასცხო. მაგრა დასცხო, გამეტებით — ერთხელ, მეორედ; ურტყამდა და თან გაოცებისა და შიშის შეკავებული ყვირილის ჩახშობას ცდილობდა. გოგო რომ გამყინავად აკივლდა, ზეზე წამოაგდო, მკლავში მაგრად ჩააფრინდა და მოწყვეტით, გამეტებით შემოჰკრა სახეში — ხმას უმიზნებდა, ხმას სცემდა, ხმას ურტყამდა ალბათ, თუმცა, ასეა თუ ისე, განუწყვეტლივ მაინც გოგოს ხორცს შეიგრძნობდა მტკივნეულად, ქალურზანგურ სუნში გახვეული და აგანგაშებული.

მერე, ერთიც ისეთი ხეთქა, გოგო სადღაც, შორს გადაფრინდა და წამსვე თვითონაც უკან გადაიქცა — დანარჩენები დაეცნენ ზურგიდან, ჯგროდ, მაგრად ჩააფრინდნენ, გაკავება დაუპირეს და ისიც გაშმაგებული იქნევდა ხელებს, ურტყამდა და მრისხანებისა და უძლურებისაგან, ლამის გული გახეთქვოდა. ახლა მხოლოდ მამრის სუნსღა გრძნობდა, მხოლოდ მამრის სუნიღა სცემდა თვითონაც და დანარჩენებსაც; აკივლებული, უჩინარი გოგო სადღაც ქვემოთ ფართხალებდა. ბიჭები კი მიწას თელავდნენ, ძიძგილაობდნენ, ერთნაირი გამწარებით ურტყამდნენ ყველაფერს, რასაც კი ხელს მიაწვდენდნენ, ვიდრე ბოლოს, ყველამ ერთად, ერთმანეთში აზელილებმა ძირს არ მოადინეს ზღართანი და ჯო ქვეშ არ მოიყოლეს. ის კი, სიმწრისგან ატირებული, მაინც იბრძოდა, არ ნებდებოდა. მდედრი უკვე აღარსად ჩანდა. არადა, აზრდაკარგულ ჩხუბსაც არ უჩანდა ბოლო; ფარდულში თითქოს ძლიერი, ცივი ქარაშოტი ტრიალებდა. ძალაგამოცლილ ჯოს ბიჭები იატაკზე აკავებდნენ. „გაჩერდები? ხომ ხედავ, ჩვენს ხელში ხარ. სიტყვა მოგვეცი, რომ გაჩერდები“.

„არა“, გამოსცრა ჯომ. თან გაიბრძოლა, წამოწევა სცადა.

„კარგი, გეყოფა ჯო! ყველას მაინც ვერ მოგვერევი. თან არც არავის უნდა შენთან ჩხუბი“.

„არა“, გაიმეორა ისევ, აქოშინებულმა, გაქაჩულმა. ისე იყვნენ ერთმანეთში გადახლართულ-გადაფსკვნილები, კაცი თავს და ბოლოს ვერ გაუგებდა. აღარც გოგოს არსებობა ახსოვდა რომელიმეს და აღარც ჩხუბის დაწყების მიზეზი, თუკი საერთოდ გააჩნდათ რამე მიზეზი ერთმანეთის დალილავებისა. მართლაც, დანარჩენი

ოთხისათვის ყველაფერი უნებლიეთ, თავისთავად მოხდა: ბუნების კარნახს მისდევდნენ ბრმად, მდედრის გამო და იმ მდედრის მოსაპოვებლად იბრძოდნენ, რომელსაც, ან ცოტა ხნის წინ შეწყვილებოდნენ უკვე, ანდა მალე უნდა შეწყვილებოდნენ. აი, ჯო რამ გაამწარა, ეგ კი არავინ იცოდა. რომც ეკითხათ, თვითონაც ვერ გასცემდა პასუხს. მიწაზე ჰყავდათ გაკრული და ჩუმად, დაძაბულად თათბირობდნენ ერთმანეთში.

„მანდ, უკან, გაგვეცალეთ. მერე ჩვენც წამოვდგებით და გავუშვებთ“.

„რომელს გიჭირავთ? ეს ვისი ხელია?“„ეგრე; კარგია, გაუშვი. ახლა მაცალე: აქაა. მე და...“ ისევ გაიმართა ზედახორა, ისევ დაიწყო ბრძოლა, ჯო ისევ მაგრად გააკავეს. „მიჭირავს, მიჭირავს. თქვენ ხელი გაუშვით და გარეთ გადით. ადგილი მოგვიცალეთ“.

ორნი წამოდგნენ და ფარდულიდან გავიდნენ. მერე, დანარჩენი ორი თითქოს აფეთქების ტალღამ ასტყორცნა ზემოთ და ისინიც თავპირისმტვრევით გაცვივდნენ სამშვიდობოს. გათავისუფლდა თუ არა, ჯომაც მაშინვე ხელი გაიქნია, მაგრამ ფარდულში აღარავინ იყო იმის მეტი. ზურგზე იწვა და ხედავდა, როგორ გარბოდა ოთხეული ბინდ-ბუნდში, მერე ნაბიჯს ცოტა უკლეს, თან უკან-უკან იხედებოდნენ. ჯო წამოდგა და ფარდულიდან გავიდა. კარებთან შეჩერდა, ტანსაცმელი გაიბერტყა გაუაზრებლად; ბიჭები მოშორებით შეჯგუფულიყვნენ და უხმოდ გამოსცქეროდნენ. თვითონ იმათკენ არ გაუხედავს. მერე გზას დაადგა, ბინდში იმისი კომბინეზონიც ბინდისფრად ჩანდა. კარგა გვიანი იყო უკვე. მწუხრის ვარსკვლავი ჟასმინის ყვავილივით დამძიმებულიყო და დაბერილიყო. ერთხელაც არ მიუხედავს უკან. გზას მიუყვებოდა და თანდათანობით, მოჩვენებასავით ქრებოდა; უხმოდ შეჯგუფული ოთხი ბიჭი თვალს არ აშორებდა, ბინდში თითქოს სახეები დაპატარავებოდათ, გაცრეცოდათ. უცებ, სრულიად მოულოდნელად — ययययეო — ყიჟინა დასცა რომელიღაცამ. ჯოს უკან არ მიუხედავს. მერე, მეორე ხმაც გაისმა, წყნარი, მკაფიო: „აბა, ხვალ ეკლესიაში შეეხვდებით, ჯო“. არაფერი უპასუხია. თავის გზას ადგა. ხანდახან, უნებლიეთ, მხოლოდ კომბინეზონს ჩამოიბერტყავდა ხოლმე.

სახლი რომ გამოჩნდა, დასავლეთი უკვე თითქმის მთლად დაწრეტილიყო შუქისაგან. თავლის უკან, საძოვარზე, წყარო მოჩქეფდა: სიბნელეში ტირიფების ჯგუფი შრიალებდა, სურნელს აფრქვევდა, ოღონდ, არ ჩანდა. წყაროს მიუახლოვდა თუ არა, ახლდამოჩიტულმა ბაყაყებმაც უცებ შეწყვიტეს ყიყინი, თითქოს მრავალი სიმი ერთდროულად, ერთი მაკრატლით გადაჭრესო. ჯომ ჩაიმუხლა;

იმდენად ბნელოდა, საკუთარი ანარეკლიც ვერ გაარჩია წყალში. პირი მოიბანა, დასიებულ თვალზეც მიიდო სველი ცხვირსახოცი. მერე ისევ გზა განაგრძო. საძოვარი გადასერა და სამზარეულოს განათებული ფანჯრისკენ აიღო გეზი. ისიც, თითქოს უთვალთვალებდა — თვალივით დაძაბული, მკაცრი.

თავიანთ მესერს მიადგა და შეჩერდა, ერთხელაც გახედა სამზარეულოს განათებულ ფანჯარას. ცოტა ხანს იდგა ასე, მესერს მიყრდნობილი. ბალახში დაუზარელი ჭრიჭინები ხმაურობდნენ, ყველაფერს აცოცხლებდნენ ირგვლივ. ნამით განაცრისფრებული მიწისა და ჩაბნელებული ხეების ფონზე ზანტად, დაბნეულად, უწესრიგოდ გაიელვებდნენ ხოლმე ციცინათელები და ისევ უჩინარდებოდნენ. სახლის გვერდით, ხეზე, ჯაფარა მღეროდა. უფრო იქით, ტყეში, წყაროს გადაღმა, ორი უფეხურა უსტვენდა. სადღაც შორს, თითქოს ზაფხულის უშორეს ჰორიზონტს მიღმა, ძაღლი ყმუოდა. მერე მესერს გადაევლო და ბოსლის კართან, სადაც ორი, თავისი მოსაწველი და ჯერაც მოუწველავი ძროხა ეგულებოდა, ვიღაც, გაუნძრევლად მჯდომი დაინახა.

არც მაკიჰერნის ცნობა გასჭირვებია და არც დანახვა გაჰკვირვებია, თითქოს რაც ხდებოდა, ყველაფერი ბუნებრივი, გამართლებული და გარდაუვალი იყო. იმ წუთას ალბათ ისიც იფიქრა, მე და ამ კაცს მუდამ ერთმანეთის იმედად შეგვიძლია ყოფნა, მუდამ ბოლომდე გავიტანთ ერთმანეთსო; ქალი იყო, თავგზას რომ უბნევდა, ქალისა ვერ გაეგო ვერაფერი. ალბათ, არც მოსალოდნელი და გარდაუვალი სასჯელი აკვირვებდა, და თუმცა მაკიჰერნის წარმოდგენით, ყველაზე მძიმე ცოდვისაგან შეეკავებინა თავი, მაინც ისეთი სიმკაცრით დაისჯებოდა, გინდაც მართლა შეეცოდოს. მაკიჰერნი არ წამომდგარა. ისევ ისე იჯდა, გარინდული და გაქვავებული, იმისი პერანგი თეთრ ლაქასავით აჩნდა შავად პირდაბჩენილ კარს. „მოვწველე და ვაჭამე კიდეც“, თქვა ბოლოს. მერე წამოდგა, დინჯად, აუჩქარებლად, და შეიძლება ბიჭმა იცოდა, ღვედი უკვე ხელში რომ ეჭირა. ღვედი თანაბარი, გამოზომილი შხუილით ჰკვეთდა ჰაერს. ბიჭის სხეული კი თითქოს ხედ ან ქვად ქცეულიყო; თითქოს სვეტი ან კოშკი იყო, სადაც მის გონიერ არსს, ფიქრში წასულს, განდეგილივით შეეფარებინა თავი — თავდავიწყებულს, აღტაცებულს, ჯვარცმულის სიმარტოვის ამარა დარჩენილს.

სამზარეულოსკენ უკვე გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ. ფანჯრის შუქი რომ დაეცა, კაცი შეჩერდა, ბიჭისკენ მიტრიალდა, წინ წაიხარა და დააკვირდა. „გიჩხუბია“, თქვა მან. „რა იყო, რა მოხდა?“

ბიჭმა პასუხი არ გასცა. სრულიად უძრავი, უტყვი სახე ედო.

ცოტა ხნის შემდეგლა დაილაპარაკა, წყნარი, ცივი ხმით — „არაფერი“.

სამზარეულოს ფანჯრის ქვეშ იდგნენ. „ვერ მეტყვი თუ არ მეტყვი?“ ბიჭს კრინტი არ დაუძრავს. მიწას ჩასცქეროდა, თუმცა არაფერს უყურებდა. „თუ არ იცი რატომ იჩხუბე, სულელი ყოფილხარ. თუ იცი და მალავ, მაშ რაღაცა გიმამაძაღლია. ქალთან იყავი?“„არა“, თქვა ბიჭმა. კაცი დაჟინებით მიაშტერდა. მერე ჩაფიქრებულმა უთხრა: „შენ ჯერ ჩემთვის ტყუილი არ გითქვამს. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც მე ვიცი“. ისევ შეხედა ბიჭს, იმის უძრავ პროფილს დააკვირდა. „ვის ეჩხუბე?“

„ბევრნი იყვნენ“.

„გასაგებია“, თქვა კაცმა. „იმედია, დაღს დაასვამდი?“

„არ ვიცი, ალბათ.“

„კეთილი“, თქვა კაცმა. „წადი, ხელ-პირი დაიბანე. ვახშამი მზადაა“.

როცა იმ ღამეს დასაძინებლად დაწვა, გაქცევა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. არწივივით გრძნობდა თავს: ძლიერად, ყოვლისშემძლედ, უდრეკად, დაუნდობლად, ღონივრად. მაგრამ მერე, ამ შეგრძნებამაც გაუარა, თუმცა, მაშინაც კი არ იცოდა, მისთვისაც, ისევე როგორც არწივისთვისაც, საკუთარი სხეულიცა და უკიდეგანო სივრცეც გალიას თუ წარმოადგენდა.

კაცმა რომ თქვას, ორი დღე ისე გავიდა, მაკიჰერნს უშობელის გაქრობა არც შეუმჩნევია. მერე, თავლაში დამალულ ახალთახალ კოსტუმს გადააწყდა შემთხვევით; კოსტუმი გულდაგულ დაათვალიერა და დარწმუნდა — ერთხელაც არ იყო ჯერ ჩანაცვამი. ეს ამბავი დილით მოხდა. მაგრამ ხმა არ ამოუღია. საღამოს ბოსელში შევიდა, სადაც ჯო ძროხას წველიდა. ჯო დაბალ ჯორკოზე იჯდა, მხრებში მოხრილს თავი ძროხის ფერდზე მიებჯინა, მაგრამ მაინც ეტყობოდა როგორ დაკაცებულიყო, როგორ აეყარა ტანი. თუმცა, მაკიჰერნს არაფერი შეუმჩნევია. თუკი ხედავდა საერთოდ რამეს, თვალწინ ახლაც ის ხუთი წლის, ობოლი ბიჭი ედგა, უძრავი, დაძაბული, ცხოველის უდარდელი მორჩილებით რომ ეჯდა გვერდით ეტლის კოფოზე დეკემბრის იმ ერთ საღამოს, თორმეტი წლის წინათ. „რაღაც შენი უშობელი არა ჩანს“, თქვა მაკიჰერნმა. ჯომ არაფერი უპასუხა. ვედროსკენ, ქაფმოდებული, აშიშინებული რძისკენ გადახრილიყო. მაკიჰერნი ზურგსუკან ედგა, ზემოდან დაჰყურებდა. „გეუბნები, შენი უშობელი არ დაბრუნებულა-მეთქი“.

„ვიცი“, მიუგო ჯომ, „ალბათ ქვეითკენ წავიდოდა, ნაკადულთან

იქნება. თუ ჩემია, მიხედვითაც მე თვითონ მივხედავ“.

„ჰოოო“, გააგრძელა მაკიჰერნმა. ჯერ ხმას არ უწევდა. „არა მგონია, ორმოცდაათდოლარიან ძროხას ღამით ნაკადულთან ყოფნამ არგოს“.

„თუ ვიზარალებ, მე ვიზარალებ“, თქვა ჯომ, „ძროხა ჩემი იყო“.

„იყო?“ თქვა მაკიჰერნმა. „რაო? ძროხა ჩემი იყოო?“

ჯოს თავი არ აუღია. იმის თითებს შორის რძე მოშხუოდა და ვედროში იღვრებოდა. ზურგსუკან მაკიჰერნის მოძრაობა გაიგონა. მაგრამ, თავი იქამდე არ მიუბრუნებია, ვიდრე მთლიანად, ბოლო წვეთამდე არ გამოწურა ჯიქანი. მერეღა შეტრიალდა. მაკიჰერნი კარებთან, გეჯაზე ჩამომჯდარიყო. „ჯერ რძე მიგეტანა შინ“, უთხრა ჯოს.

ჯო წამოდგა, ვედროს დასწვდა, ვედრო გაქან-გამოქანდა. ჯიუტი ხმა ჰქონდა, ჯიუტი, ოღონდ მშვიდი: „დილით ვიპოვი“.

„რძე შინ მიიტანე“, გაუმეორა მაკიჰაერნმა. „მე აქ დაგელოდები“.

ჯო ცოტა ხანს კიდევ გაუნძრევლად იდგა. მერე ბოსლიდან გავიდა და სამზარეულოსკენ გაემართა. ვედროს უკვე მაგიდაზე დგამდა, როცა სამზარეულოში მისის მაკიჰერნიც შევიდა. „ვახშამი მზადაა“, თქვა ქალმა. „მისტერ მაკიჰერნიც მოვიდა?“

ჯო უკვე გასვლას აპირებდა, უკვე კარებთან იდგა. „მალე მოვა“, უთხრა ქალს. გრნობდა, ქალი თვალს არ აშორებდა. მერე გამომცდელად, შეშფოთებულმა დაადევნა:

„სწორედ დაბანას მოასწრებ“.

„მალე მოვალთ“. ჯო ისევ ბოსელში დაბრუნდა. მისის მაკიჰერნი კარებთან მივიდა და თვალი გამოაყოლა. ჯერ მთლად არ ბნელოდა და ბოსლის კარში მდგარი ქმარიც დაინახა. არ დაუძახია. უბრალოდ იდგა და ორი კაცის შეხვედრას უყურებდა. იმათი ლაპარაკი არ ესმოდა.

„მაშ, ამბობ, ნაკადულთან იქნებაო?“ თქვა მაკიჰერნმა.

„შეიძლება იქ იყოს-მეთქი. საძოვარი დიდია“.

„ჰოოო“, თქვა მაკიჰერნმა. ორივე მშვიდად ლაპარკობდა. „მაინც როგორ გგონია, საით წავიდოდა?“

„არ ვიცი. მე ხომ ძროხა არა ვარ. რა ვიცი, საით წავიდოდა?!“

„ჩვენც ავდგეთ და მოვძებნოთ“, თქვა მაკიჰერნმა და ნაბიჯი გადადგა. ჯოც მიჰყვა. საძოვარზე გავიდნენ. წინ მაკიჰერნი მიაბიჯებდა, ჯო ფეხდაფეხ მისდევდა. ნაკადულამდე მეოთხედი მილი უნდა ევლოთ. ნაკადულის პირას, ჩაბურულ წარაფში, ჯგუფ-ჯგუფად იელვებდნენ ხოლმე ციცინათელები. წარაფს მალე მიაღწიეს. ხეთა ღეროები ლამის ჩამხრჩვალიყვნენ დღისითაც კი ძნელად გასავლელ, ჭაობის შამბში. „აბა, ერთი დაუძახე“, უთხრა მაკიჰერნმა

ჯოს. ჯოს ხმა არ ამოუღია. არც შერხეულა. პირისპირ იდგნენ.

„ძროხა ჩემია“, თქვა ჯომ. „მე არ მაჩუქეთ? ბოჩოლა იყო, მას მერე როგორც ჩემსას, ისე ვზრდიდი“.

„მართალი ხარ“, თქვა მაკიჰერნმა. „მე გაჩუქე. ვიფიქრე, თავისი საკუთრება, თავისი ქონება თუ გაუჩნდება, პასუხისმგებლობაც მოემატება-მეთქი. არ ვარგა, კაცი ღვთის ნაბოძებსა და ნაწყალობევს უპასუხისმგებლოდ რომ ეკიდება. თან, ანგარიშიანობა და მოგებაც მინდოდა შენთვის მესწავლებინა. დაუძახე“.

კიდევ ცოტა ხანს იდგნენ ასე პირისპირ. იქნებ ერთმანეთსაც შესცქეროდნენ. მერე, ჯო შეტრიალდა და ჭაობის კიდეს დაუყვა, მაკიჰერნიც უკან მიჰყვა. „რატომ არ ეძახი?“ ჰკითხა ჯოს. ჯომ არაფერი უპასუხა. თითქოს არც ჭაობს უყურებდა, არც ნაკადულს, არაფერს. მხოლოდ ერთადერთი, შინიდან მომავალი სინათლისაკენ გაექცეოდა ხოლმე თვალი, ხანდახან უკან მიიხედავდა და თითქოს თვალით ზომავდა, რამდენად დაშორებოდნენ სახლს. ჩქარა არ მიდიოდნენ, მაგრამ მაინც მალე მიადგნენ საძოვრის სასაზღვრო ღობეს. ჯო ღობესთან შედგა და შემოტრიალდა. ახლა უკვე აშკარად მისჩერებოდა უკან მომავალს, მეორეს. ისევ პირისპირ იდგნენ. მერე, მაკიჰერნმა სიჩუმე დაარღვია: „რა უყავი უშობელს?“

„გავყიდე“, თქვა ჯომ.

„მაშ გაყიდე, არა? კეთილი და პატიოსანი. იქნება ის მაინც გვიბრძანო, რამდენად გაყიდე?“

ერთმანეთის სახეებს უკვე ვეღარ არჩევდნენ. ახლა ორი, თითქმის ერთი სიმაღლის ლანდი იდგა პირისპირ, ოღონდ, მაკიჰერნისა უფრო განიერი. თეთრ ლაქად ქცეული პერანგის ზემოთ იმისი მრგვალი თავი სამოქალაქო ომის მონუმენტების მარმარილოს ყუმბარას ჰგავდა. „ძროხა ჩემი იყო“, თქვა ჯომ. „თუ არა და, რად მეუბნებოდით, შენიაო? რატომ მაჩუქეთ?“

„სწორი ხარ, შენი იყო, შენი საკუთარი. აკი ჯერ არც გსაყვედურობ, რატომ გაყიდე-მეთქი. თუ ფასიც კარგი აიღე, იქნებ საერთოდ არც გისაყვედურო. შენი ხნის ბიჭი ვაჭრობაში რომც მოტყუებულიყო, არც ეგ გამიკვირდება და არც მაგით დაიქცევა ქვეყანა. თუმცა, მაინც ჯობდა ვინმე უფროსი, ცხოვრებაში გამოცდილი კაცისათვის გეკითხა რჩევა. არაფერია, თანდათან ისწავლი, შენც ჩემსავით გაიწაფები. მთავარია, ფული ხომ საიმედოდ დააბანდე?“ ჯომ არაფერი უპასუხა. პირისპირ იდგნენ. „ალბათ, დედობილს მიაბარებდი შესანახად, არა?“

„ჰო“, თქვა ჯომ. ჯომ კი არა, ჯოს ტუჩებმა, ტუჩებს დასცდათ

უნებლიეთ ეს სიტყვა, ეს სიცრუე. პასუხის გაცემას საერთოდ არ აპირებდა. თვითონვე რაღაცნაირად შეძრწუნებულ-გაოცებულს ესმოდა, როგორ ამბობდნენ მისი ტუჩები ტყუილს. მაგრამ, უკვე გვიანღა იყო. „დამალეთ-მეთქი, ვთხოვე“.

„ძალიან კარგი“, თქვა მაკიჰერნმა. თქვა და ღრმად ამოისუნთქა: შვებით, კმაყოფილებით, გამარჯვებული კაცივით. „აქამდე, რაც შეგეძლო ყველა ცოდვა გამოამჟღავნე: სიზარმაცეც, უმადურობაც, უპატივცემულობაცა და მკრეხელობაც. ახლა ორი სხვაც დაუმატე: სიცრუე და სიძვა. მაშ, თუკი არ მრუშობდი, ახალი კოსტუმი რად გინდოდა?“ მაშინღა მიხვდა, მაშინღა აღიარა ხმამაღლა, თორმეტი წლის წინ ნაშვილები ბიჭი რომ დაკაცებულიყო. ისევ ისე, პირისპირ იდგნენ, ღამის ფეხის წვერებით ეხებოდნენ ერთმანეთს და უცებ, სახეში შემოჰკრა მუშტი.

ჯომ პირველი ორი დარტყმა მოითმინა; ჩვეულებამ თუ მოათმენინა ან, იქნებ, გაოცებამ. ორჯერ მაგრად მოხვდა სახეში კაცის მძიმე მუშტი და მხოლოდ მერეღა გახტა უკან, წელში მოხრილი, აქოშინებული, თან ენით სისხლს ილოკავდა. პირისპირ იდგნენ. „იცოდე, ხელი აღარ მახლო“, გამოსცრა კბილებში.

მერე, მოგვიანებით, როცა ერთიანად გათოშილი და გახევებული, უკვე სხვენზე, თავის ოთახში, თავის ლოგინში იწვა, ქვემოდან ვიწრო კიბით ამომავალი იმათი ხმები, იმათი ლაპარაკი მოესმა.

„მე ვუყიდე, მე“, ამბობდა მისის მაკიჰერნი. „კარაქში აღებული ფულით ვუყიდე. აკი თქვი, აკი მითხარი, თუ გინდა... შეგიძლია დახარჯოო... საიმონ! საიმონ!“

„შენ იმაზედაც უფრო უგერგილოდ ცრუობ“, თქვა კაცმა. იმისი ხმა, დინჯი, უხეში, ღამის ბრაზისგანაც დაცლილი, ვიწრო კიბეს მოუყვებოდა და მკაფიოდ ისმოდა ჯოს ოთახში. თუმცა, ჯო ამ ხმას არც უსმენდა. „დაიჩოქე. დაიჩოქე. დაიჩოქე-მეთქი, დედაკაცო! მე კი არა, ღმერთს, ღმერთს სთხოვე მოწყალება და პატიება.“

იმ პირველი, თორმეტი წლის წინანდელი დეკემბრის საღამოს შემდეგ, ქალი სულ იმას ცდილობდა, როგორმე სითბო და სიკეთე ეგრძნობინებინა მისთვის. მაშინაც, იმ საღამოსაც, როცა ეტლი სახლს მიადგა, ეს ყოვლისმომთმენი, საცოდავი არსება, ვისაც, კეფაზე კოხტად დაგრაგნილ თმასა და ქვედაკაბას თუ არ ჩავთვლით, სქესის სხვა ნიშანწყალი არ ეტყობოდა — უკვე პარმაღზე იდგა და ელოდებოდა. თითქოს ულმობელი და ფანატიური ქმარი თანდათანობით კი არ ხდიდა სულს,

თანდათანობით კი არ ხრწნიდა და სპობდა, ნელ-ნელა კი არ გადა-
აქცევდა საკუთარი მიზნებისა და სურვილებისთვისაც უცხო და ქალ-
ისთვის ხომ სულმთლად გაუგებარ, წარმოუდგენელ რაღაც უსახურ
არსებად, არამედ, დამყოლი, ჩლუნგი ლითონივით ჩეჩქვავდა და სულ
უფრო და უფრო მეტად ათხელებდა, ვიდრე საბოლოოდ მოუსპობდა,
საბოლოდ ჩაუკლავდა ჩანავლებული ნაღვერდალივით ფერდაკარგულ
უტყვ იმედებსაც და აუხდენელ ოცნებებსაც.

ეტლი გაჩერდა თუ არა, ისიც იმ წუთას მათკენ გამოიქცა, თითქოს
ადრევე გადაეწყვიტა, სწორედ ასე მოვიქცევიო, თითქოს წინასწარ
წაევარჯიშა კიდეც, როგორ გადმოსვამდა ბიჭს კოფოდან, შინ როგორ
შეიყვანდა. მას მერე, რაც თავისით სიარული შეძლო ბიჭმა, ქალს
ხელში აღარასოდეს აეყვანა. მაშინაც დაუსხლტა და მარტოკამ,
დამოუკიდებლად შეაბიჯა სახლში — პატარამ, ვეებერთელა ასალში
გახვეულმა, ფორმადაკარგულმა. ქალი უკან მისდევდა, დაჰფოფინებ-
და. შინ შევიდნენ თუ არა, სკამზე დასვა; თითქოს რაღაცნაირად
დაძაბული, აგანგაშებული დასტრიალებდა თავს, თითქოს ირგვლივ
ჰაერიც დამუხტულიყო, აგანგაშებულიყო, თითქოს ქალი ოცნებობ-
და, ყველაფერი ხელახლა, თავიდან დაიწყოსო, რათა თვითონაც და
ბიჭიც, ახლა მაინც, ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ადრევე, წინდაწ-
ინვე დაეგეგმა და გადაეწყვიტა. მერე, ბიჭის წინ ჩაჩოქილი, დიდხანს
წვალობდა, დიდხანს ცდილობდა ამაოდ, როგორმე ფეხსაცმელები
გაეხადა მისთვის, მანამდე იცოდვილა, ვიდრე ბიჭი არ მიუხვდა
საწადელს და თვითონვე არ გაიხადა ფეხსაცმელები, ოღონდ, იატაკზე
კი არ დააწყო, ხელში ეჭირა. ქალმა მაღალყელიანი წინდებიც წააძრო
და მაშინვე ცხელი წყლით სავსე ტაშტი მოარბენინა, ისე უცებ
შემოიტანა, ბავშვის მეტი ყველა მიხვდებოდა, წინდაწინ რომ დაეჭირა
თადარიგი, მთელი დღე ცეცხლზე რომ ედგა წყალი. მაშინ ბიჭმაც
პირველად ამოიღო ხმა, — გუშინ ვიბანავეო, — უთხრა.

ქალს არაფერი უპასუხია. ბიჭის წინ მუხლებზე იდგა და ბიჭიც
მხოლოდ იმის კეფას ხედავდა, კეფასა და ტაშტში ცოტა არ იყოს
მოუქნელად მოფათურე ხელებს. ახლა აღარ ცდილობდა მიხმარე-
ბოდა ქალს. თბილ წყალში გაყინულფეხებჩაყრილი იჯდა და უკვე
აღარ იცოდა რა უნდოდა, კიდევ რას აპირებდა ქალი, არ ეგონა,
ყველაფერი ამით თუ დამთავრდებოდა, არ ეგონა, რადგან თავს
ძალიან კარგად გრძნობდა. სულ იმას ელოდა, როდისღა დაიწყე-
ბოდა დანარჩენი, არასასიამოვნო ნაწილი — გაურკვეველი, თუმცა,
მისი აზრით, აუცილებელი და გარდაუვალი. მსგავსი არაფერი
გადახდენოდა თავს ადრე.

მოგვიანებით ქალმა ლოგინში ჩააწვინა. უკვე ორი წელი იყო,
რაც დამოუკიდებლად იცვამდა და იხდიდა ტანსაცმელს, ვერც
ვერავინ ამჩნევდა და არც არავინ ეხმარებოდა შემთხვევითი ელისე-
ბის გარდა. ისეთი დაქანცული იყო, ჯერ დაძინებაც არ შეეძლო,
ათასი საფიქრალი ჰქონდა და ამიტომ განერვიულდა კიდეც, იმას-
ღა ნატრობდა, როგორმე ქალი ოთახიდან გასულიყო და მარტო
დაეტოვებინა. იმის გასვლას კი არაფრით დაადგა საშველი. ის კი
არა, საწოლთან ახლოს სკამიც მიიჩოჩა და ჩამოუჯდა. ოთახში
ცეცხლი არ ენთო; ციოდა. ქალს ახლა მხრებზე შალი მოესხა, იმ
შალში გახვეულიყო და სუნთქვისას პირიდან ორთქლი ამოსდიო-
და, თითქოს თამბაქოს ეწევაო. ბიჭი საბოლოოდ გამოფხიზლდა.
იწვა და ელოდა, როდის დაიწყებოდა ის არასასურველი, არასასია-
მოვნო, გაურკვეველი ნაწილი, დამსახურებული თუ დაუმსახურებე-
ლი სასჯელი. რა თქმა უნდა, არ სჯეროდა ასე თუ დამთავრდებო-
და ყველაფერი. მსგავსი რამ, ადრე არასოდეს გამოეცადა.

ჰოდა, ყველაფერი იმ ღამეს დაიწყო კიდეც. დაიწყო და, მისი
ღრმა რწმენით, მთელი სიცოცხლე ასევე გაგძელდებოდა. როცა
ჩვიდმეტი წლისა უკან იხედებოდა, მარცხით, ტანჯვა-წვალებით,
დამუნჯებული ინსტინქტით გაჩენილ გრძელ, უსასრულო რიგს ხე-
დავდა ყოველდღიური, უაზრო, ფუჭი, ამაო გარჯისა და მცდელო-
ბისა; აგონდებოდა, რამდენჯერ მოუმზადებია ქალს ჩუმად, ქმრის-
გან მალულად მისთვის საყვარელი კერძები და მერე, ძალად, ხვეწ-
ნა-მუდარით, იძულებულიც გაუხდია შეეჭამა, თუმცა, თვითონ სუ-
ლაც არ სდომებია და ისიც მშვენივრად სცოდნია, მაკიჰერნს ფეხ-
ებზე რომ ეკიდა მთელი ეს გასაიდუმლოებული ამბავი; ამღამინდ-
ელის მსგავსი სხვა, მრავალი შემთხვევაც ახსოვდა, როცა ქალი
ყოველნაირად ცდილობდა წინ აღდგომოდა სასჯელს, სულერთია,
დამსახურებულსა თუ დაუმსახურებელს, სამართლიანსა თუ უსა-
მართლოს, ოღონდ, მუდამ მიუკერძოებელს, მუდამ პირუთვნელს,
ორივესათვის, კაცისთვისაც და ბიჭისთვისაც ბუნებრივსა და გარდაუ-
ვალს, რასაც მხოლოდ მისი, ქალის უაზრო გამოსარჩლება აკნინებ-
და და სულ სხვა სურნელს და გემოს აძლევდა.

ხანდახან ისიც უფიქრია, ერთხელაც იქნება დავიმარტოხელებ
და ყველაფერს ვეტყვი, ყველაფერს გავუმხელო — თავისი უსუს-
ურობის გამო, ქალი ხომ ვერც გადაასხვაფერებდა და ვერც უგ-
ულებელყოფდა ნათქვამს, თანაც, საიდუმლოს შეიტყობდა თუ არა,
მაშინვე იძულებულიც გახდებოდა, ყველა ღონესაც იხმარდა ქმარს

არ გაეგო არაფერი, ქმრის ყურამდეც არ მიეღწია რამეს, არ გაეგო იმას, ვისი დაუყოვნებელი და ყველასათვის წინასწარ ცნობილი რეაქციაც ამ ახალი ამბის გამჟღავნებისთანავე იმდენად დაჩრდილავდა და გააუფასურებდა თავად ამბავს, აღარასოდეს რომ აღარ ამოტივტივებულიყო ხელახლა. ფიქრობდა, ძალად თავსმოხვეული, უჩუმრად მომზადებული კერძების საფასურად ერთხელაც საიდუმლოდ ეთქვა, საიდუმლოდ გაენდო, ეხარებინა — „შენი ქმარი ამბობს, უღმერთო და უმადური გამოვზარდეო. ახლა ყური დამიგდე და სიმართლე მოახსენე შენს ქმარს. უთხარი, საკუთარ ჭერქვეშ, საკუთარ სუფრასთან, საკუთარი პურით ზანგი გაგვიზრდია-თქო“.

იმიტომ, რომ სიკეთის მეტი არაფერი ახსოვდა ქალისაგან. ეს უხეში, სამართლიანი, სასტიკი კაცი, საბოლოო ჯამში, მაინც სხვაზე იყო დამოკიდებული — როგორც თვითონ მოიქცეოდა, კაცისგანაც ისეთ სასჯელსა და საზღაურს მიიღებდა, თანაც, იმაშიც დარწმუნებული იყო, მის საქციელსაც და უსაქციელობასაც მუდამ სწორად რომ აღიქვამდა მამობილი. ქალი აფუჭებდა საქმეს, იმისი ქალური ინსტინქტი, ქალური მიდრეკილება ყველაფრის გასაიდუმლოებისაკენ, იმისი უნარი, ნებისმიერი, სრულიად ჩვეულებრივი და უმტკივნეულო საქციელიც ბოროტების უფერული ლაქით დაესვარა. სხვენში, ბიჭის ოთახში, ბოლოამძვრალი ფიცრის უკან ქალს თუნუქის ყუთით ცოტაოდენი ფული ჰქონდა დამალული. თანხა სახსენებლადაც არ ღირდა და არც სამალავის არსებობა წარმოადგენდა საიდუმლოს არავისათვის გარდა მაკიჰერნისა, არადა, ბიჭს ეჭვიც არ ეპარებოდა, იმისთვისაც ნამდვილად სულერთი იქნებოდა ყველაფერი. აი თვითონ, ბიჭმა კი, სამალავის ამბავი თავიდანვე იცოდა. ჯერ სულ პატარა იყო, როცა ქალი თან გაიყოლებდა ხოლმე, თამაშში მთელი არსებით ჩაფლული ბავშვის დაძაბული, გასაიდუმლოებული სიფრთხილით შეაპარებდა ოთახში და დასერიოზულებული, თვალებდამრგვალებული ბიჭის დასანახად, ფულის ყადრისა ჯერ რომ არაფერი გაეგებოდა, ყუთში თითო-ოროლა, საცოდავ ხუთ და ათცენტიანებს ჩააგდებდა (იმ პატარ-პატარა ეშმაკობებისა და ტყუილების ნაყოფს, დედამიწის ზურგზე კაცისშვილს რომ ვერ ავნებდნენ და ვერც აზარალებდნენ). ქალი დაჟინებით, ძალად უცხადებდა ნდობას, სწორედ ისევე, როგორც საიდუმლოდ მომზადებული კერძების შეჭმას აიძულებდა: შეთქმულივით, ყველასაგან მალულად; სწორედ იმ ურთიერთობას ასაიდუმლებდა, რაც, ნდობის ამგვარი გამოცხადების შემდეგ, წესით სააშკარაოზე უნდა გამოეტანა, საქვეყნოდ უნდა ნათელეყო.

ბიჭს არც მძიმე, საძულველი შრომა ურევდა თავგზას, არც სასჯელი და არც უსამართლობა. ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მანამდე შესჩვეოდა, ვიდრე საკუთარ თავზე იწვნევდა. ცხოვრებისაგან სხვას არც არაფერს ელოდა, ამიტომაც, აღარც მოტყუებულად გრძნობდა თავს და გაოცებითაც არაფერი აოცებდა. ოღონდ, ქალისა კი ვერ გაეგო: იმ ნაზი სიკეთისა, რის მსხვერპლადაც, მისი ღრმა რწმენით, სამარადისოდ გაეწირა ბედისწერას და რაც, კაცების დაუნდობელსა და მკაცრ სამართალზე ბევრად უფრო მეტად სძულდა. — ჩემს ატირებას ცდილობსო, — ფიქრობდა ბიჭი, როცა გათოშილი, გახევებული იწვა საწოლში — თავქვეშ ხელებამოწყობილი, მთვარის შუქში გახვეული — და კაცის ჯიუტი დუდუნი ესმოდა, კიბით ამომავალი, ზეცად მიმართული, გზად მის ოთახში შეყოვნებული. „უნდოდა ავტირებულიყავი. მერე რომ ეთქვა, ესაა, გამოვიჭირეთო“.

- VIII -

სამალავთან ფეხაკრეფით მივიდა და თოკი უჩუმრად გამოაძვრინა. დამაგრებისას დრო რომ არ დაეკარგა, მარყუჟი წინასწარვე გაემზადებინა, წინდაწინვე გამოეკვანძა თოკის ერთი ბოლო. ახლა ქვემოთ ჩასვლაცა და ისევ უკან, ოთახში ამობრუნებაც თვალისდახამხამებაში შეეძლო. ერთწლიანი გამოცდილებით გაწაფული სწრაფად, ლანდივით უხმაუროდ, კატის სიმარდით აცოცდებოდა ხოლმე თოკზე — სახლის კედელს ერთხელაც არ შეეხებოდა, ისე. ფანჯრიდან სანახევროდ გადაკიდულმა, თოკის თავისუფალი ბოლო უხმაუროდ ჩაასრიალა ძირს. მთვარის შუქზე თოკი აბლაბუდასავით სიფრიფანა ჩანდა. მერე ფეხსაცმელები ერთმანეთს გადააბა, გადაბმული ზონრები უკან, ქამარქვეშ გაიტარა და თვითონაც თოკზე დაეშვა, მოჩვენებასავით ჩაუქროლა იმ ოთახის ფანჯარას, სადაც ბებრებს ეძინათ. თოკი პირდაპირ ფანჯრის წინ ეკიდა. დაჭიმული თოკი კედელ-კედელ გადაატარა და დააბა. მერე მთვარის შუქში შეაბიჯა და თავლისკენ გაემართა, სათივეზე აძვრა და სამალავიდან ახალთახალი კოსტუმი ამოიღო. კოსტუმი სათუთად იყო ქაღალდში გახვეული. ვიდრე გახსნიდა, ქაღალდის ნაკეცები ხელით მოსინჯა. — უპოვიაო, გაიფიქრა. — ყველაფერი გაუგიაო. მერე, ჩურჩულით დაუმატა: „ნაბიჭვარი. ძაღლის გაგდებული“.

ბნელში ჩაიცვა, სწრაფად, ფაცაფუცით. უკვე აგვიანდებოდა; იძულებული გახდა, იქამდე ეცადა, ვიდრე ცოლ-ქმარი დაიძინებდა, ვიდრე

ჩაცხრებოდა უშობელის გამო ატეხილი აყალ-მაყალი, ისევ და ისევ ქალის მეტიჩრობით, იმისი არამკითხემოამბეობით გამოწვეული, თანაც მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი მომთავრდა, რაღაცნაირად მოგვარდა და, ყოველ შემთხვევაში, იმღამისთვის მაინც, გაირკვა კიდეც. ფუთაში თეთრი პერანგიცა და ჰალსტუხიც გამოეხვია. ჰალსტუხი ჯიბეში ჩაიდო, პერნაგზე კი პიჯაკი შემოიცვა — არ უნდოდა, იმის სითეთრე ვინმეს თვალში სცემოდა ამ მთვარიან ღამით. მერე ისევ ქვემოთ ჩაბრუნდა და თავლიდან გამოვიდა. ხშირი რეცხვით დარბილებული კომბინეზონის შემდეგ, ახალი სამოსი ეუცხოვებოდა და ეხამუშებოდა. მთვარის შუქში სახლი გალურსულიყო — ჩაბნელებული, იდუმალი, ცოტა არ იყოს, მუხანათურიც. მთვარით განათებულს, ახლა თითქოს საკუთარი სახე და ხასიათი შეეძინა: სასტიკი, მატყუარა. სახლს ჩაუარა და ბილიკს დაუყვა. ჯიბიდან დოლარიანი საათი ამოიღო, სამი დღის წინ ნაყიდი, ისიც იმ ფულით. ადრე საათი არასოდეს ჰქონია და ამიტომაც დაავიწყდა მომართვა. თუმცა, საათი რად უნდოდა, ისედაც მშვენივრად იცოდა, უკვე დავიგვიანეო.

ხეებს შორის მომწყვდეული ბილიკი მთვარის ქვეშ ლარივით გაჭიმულიყო და ტოტების სქელი, მკვეთრი ჩრდილებიც შავი საღებავივით დაღვრილიყო ფაფუკ მტვერზე. გაჩქარებული მიაბიჯებდა, სახლი უკვე სადღაც უკან დარჩენილიყო და იქიდან ველარავინ დაინახავდა. მიაბიჯებდა და თან სულ იმას ელოდებოდა, აი, ახლა ჩამიქროლებს მანქანაო, აკი თვითონვე უთხრა ქალს, გზის შესაყართან თუ არ დაგიხვდი, პირდაპირ სკოლაში მოდი ცეკვებზეო. მაგრამ, გზაზე არცერთ მანქანას არ ჩაუვლია, არც მერე, უკვე გზატკეცილზე გამოსულს გაუგონია რამე ხმა. გზაცა და ღამეც ერთიანად გამოცარიელებულიყო. „ალბათ უკვე ჩაიარა“, გაიფიქრა. ისევ ამოიღო ჯიბიდან გაჩერებული საათი და დახედა. მთელი დღე ისე გავიდა, საათის მომართვა ვერა და ვერ მოახერხა. იმდენი ქნეს, მაინც დააგვიანეს, ისიც კი არ დააცადეს, საათი დაექოქა და გაეგო, აგვიანდებოდა თუ არა. ჩაბნელებული ბილიკის ბოლოს, ახლა უკვე გაუჩინარებულ სახლში, ქალი თავის ოთახში იწვა და ეძინა, მშვიდად ეძინა, რადგან რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა ჯოს დასაბრკოლებლად და დასაგვიანებლად. ჯომაც იქით გაიხედა, ბილიკის ბოლოსაკენ; გაიხედა და ფიქრში გართულმა ნაბიჯიც შეანელა, გახევდა; თითქოს მისი გონებაცა და სხეულიც ერთსა და იმავე დროს გამორთესო, თითქოს ბილიკზე, ჩრდილებს შორის, რაღაც მოძრაობაც დალანდა და, ალბათ მომეჩვენაო, გაიფიქრა, ალბათ ჩემივე ფიქრის ანარეკლი თუ დავინახე, როგორც კედელზე ასვეტილი ჩრდილიო.

ანდა, იქნებ მართლა ისაა“, მაინც გაუელვა თავში ეჭვმა. „ნეტავი ის იყოს. ნეტავი უკან გამომყვეს და ნახოს, როგორ ჩავჯდები მანქანაში. ნეტავი სცადოს და აგვედევნოს. ნეტავი გაჩერება დამიპიროს“. მაგრამ ბილიკზე არაფერი ჩანდა. ერთიანად ცარიელი იყო, მხოლოდ ალაგ-ალაგ, შიგადაშიგ მუხანათი ჩრდილებით დასერილი. მერე შორიდან, ქალაქის მხრიდან, მანქანის ხმაც მოესმა და იმ ხმისკენ გაიხედა. მალე კაშკაშა სინათლეებიც დაინახა.

ქალი ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, პატარა, უუმურ რესტორანში მუშაობდა ოფიციანტად. გამოცდილ კაცს მაშინვე თვალში ეცემოდა ოცდაათს კარგა ხნის წინ რომ გადასცილებოდა, მაგრამ ჯოს ისიც ალბათ ჩვიდმეტი წლისა ეგონა — ტანმორჩილი იყო და იმიტომ. მაღალი არამცთუ არ ეთქმოდა, რაღაცნაირად ჩია, ბავშვური ტანი ჰქონდა. თუმცა, გამოცდილი კაცის თვალი იმასაც კარგად შეამჩნევდა, ეს ტანმორჩილობა ბუნებრივ სიკოხტავეზე მეტად შინაგან, უთუოდ სულისმიერ სიმახინჯეზე რომ მეტყველებდა: თითქოს ახალგაზრდა არასოდეს ყოფილიყო, მის არც ერთ ნაკვთს არ ეტყობოდა წარსული სიყმაწვილის, გარდასული ახალგაზრდობის კვალი. მუქი თმა ჰქონდა და ხმელი, ყვრიმალებიანი სახე, მუდამ თავჩაღუნული დადიოდა, თითქოს დაბადებიდანვე ასე, ოდნავ მრუდედ აჯდა თავი კისერზე. თვალები სათამაშო ცხოველის თვალებს მიუგავდა: მკაცრად კი გიმზერდნენ, მაგრამ მკაცრი მაინც არ ეთქმოდათ.

ჯოც სწორედ ქალის გარეგნობამ შეაცდინა, გააბედვინა, თითქოს რაკი ასეთი ჩია და ტანმორჩილი იყო, მამაკაცების ავხორც, მტაცებლურ თავლებსაც უკეთ დაემალებოდა, იმათ მზერას გაერიდებოდა. უფრო ტანად ქალს, მართლა ვერაფერს გაუბედავდა. იფიქრებდა — აზრი არა აქვს, ამას თავისი ბიჭი, თავისი სწორი უკვე ნაპოვნი ეყოლებაო.

ეს ამბავი შემოდგომაზე დაიწყო, ჯო მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო. შუა კვირა იდგა. ქალაქში, ჩვეულებრივ, მხოლოდ შაბათობით ჩამოდიოდნენ და საგზალიც თან ჩამოჰქონდათ — საგანგებოდ ამ მიზნისთვის ნაყიდ ცივ სადილს კალათით წამოიღებდნენ ხოლმე და ქალაქშიც, როგორც წესი, მთელ დღეს რჩებოდნენ. ამჯერად კი მაკიჰერნს მოულოდნლად გამოსჩენოდა რაღაც საქმე ვექილთან და საქმის მომთავრებასაც სადილობამდე ვარაუდობდა, სადილად შინ აპირებდა დაბრუნებას. მაგრამ, როცა ვექილისგან ისევ იქ მობრუნდა, სადაც ჯო იდგა და ელოდებოდა, თორმეტს აღარაფერი უკლ-

და. ჯომ რომ თვალი მოჰკრა, მაკიჰერნი საათზე იყურებოდა. მერე სასამართლოს კოშკზე, ქალაქის საათსაც შეავლო თვალი და ბოლოს გაღიზიანებული, აღშფოთებული კაცის სახით მზესაც ახედა. სახე არც ჯოს დანახვაზე შესცვლია, ხუფახდილი საათი ისევ ხელში ეჭირა, თვალებში სიცივე და ბრაზი ჩასდგომოდა. თითქოს პირველად ხედავდა, პირველად ზომავდა თვალით თავის გაზრდილ ბიჭს. მერე ზურგი შეაქცია და — წამომყევიო, — უთხრა ჯოს, — ამ ამბავს ახლა აღარაფერი ეშველებაო.

ის ქალაქი სარკინიგზო კვანძი იყო. შუა კვირაშიც უამრავი მამაკაცი ირეოდა ქუჩებში. ის კი არა, თითქოს მთელ ქალაქში ჰაერიც კი მამრობითი სქესისა ტრიალებდა, სატრანზიტო: აქაური კაცები, ცოლ-შვილიანი, ოჯახის პატრონი ხალხი, შინ მხოლოდ დროგამოშვებით, „არდადეგებზე“ თუ გამოჩნდებოდნენ, რადგანაც მთელი ეს მამაკაცური მოსახლეობა სადღაც სხვაგან, შორეულ ასპარეზზე სცდიდა ბედს, სხვა ასპარეზზე ცხოვრობდა იდუმალი ცხოვრებით და, საკუთარ ჭერქვეშ იშვიათად გამოჩენილებს, თავისიანებიც ისე ანებივრებდნენ, ისე ევლებოდნენ თავს, როგორც თეატრის დასი ეგებება ხოლმე საკუთარ მეცენატებს.

მაკიჰერნმა ჯო მანამდე სრულიად უცნობ, უჩვეულო ადგილას მიიყვანა. თავიდან, როცა მიყრუებულ ქუჩაზე, ორ გაჭვარტლულ ფანჯარას შორის გაჭრილ ვიწრო, ჭუჭყიან კარს მიადგნენ, ვერც მიხვდა, რესტორანში თუ მიდიოდნენ. ვერ მიხვდა, რადგან არც რამე აბრა შეუმჩნევია, არც საჭმლის სუნი სცემია და არც ჭურჭლის ხმაური გაუგონია. შესვლისთანავე, მხოლოდ გრძელი, ხის დახლი ეცა თვალში და ამ დახლის წინ ჩარიგებული უზურგო სკამები; მერე, კართან ახლოს, სიგარებით სავსე დიდ, შუშის ყუთთან მჯდომი ზონზროხა, ქერა ქალიც შეამჩნია. დახლის შორეულ ბოლოში კაცები შეჯგუფულიყვნენ, ოღონდ ჭამით არაფერს ჭამდნენ, მაკიჰერნისა და ჯოს შესვლისთანავე ყველამ, ერთი კაცივით, მათკენ მოაბრუნა თავი და ახლადშემოსულებს სიგარეტის ბოლში გამოხედა. კრინტი არავის დაუძრავს. მხოლოდ გამოხედეს და ლაპარაკთან ერთად, თითქოს სუნთქვაც შეწყვიტეს, თითქოს წამით სიგარეტის ბოლიც გაჩერდა და ახლა, მხოლოდ საკუთარი წონა ატორტმანებდა უმიზნოდ, ერთ ადგილას. ამ კაცებს კომბინეზონები არ ეცვათ, ყველას ქუდი ეხურა და ყველას ერთნაირი, ერთმანეთის მსგავსი სახე ჰქონდა: არც ახალგაზრდა, არც ბებერი; არც ფერმერები ეთქმოდათ, არც ქალაქელები. ეს-ესაა მატარებლიდან გადმოსულ ხალხსა ჰგავდნენ, ხვალ ისევ გზას რომ დაადგება და არავითარი მისამართი არ გააჩნია.

მაკიჰერნი და ჯო დახლთან, უზურგო სკამებზე ისხდნენ და ჭამდნენ. ჯო ჩქარ-ჩქარა ილუკმებოდა, რადგან მაკიჰერნიც სწრაფად ჭამდა. ჯო განუწყვეტლივ გრძნობდა, როგორი დაჭიმული, როგორი პირგამეხებული იჯდა მაკიჰერნი ჭამის დროსაც კი. უბრალო სადილი შეუკვეთა: იოლად მოსამზადებელი და უცებ შესაჭმელი. თუმცა, ამგვარი არჩევანი ხელმომჭირნეობით არ აიხსნებოდა და ეს, ჯომაც მშვენივრად იცოდა. შეიძლება, ხელმომჭირნეობას მოეყვანა მაინცდამაინც აქ და არა სადმე სხვაგან, ოღონდ საჭმლის არჩევა კი, მხოლოდ და მხოლოდ, აქედან სწრაფად წასვლის სურვილით იყო ნაკარნახევი. მართლაც, ჯერ ლამის დანა-ჩანგალიც არ დაეწყო თეფშზე და — აბა, წავედითო, — უთხრა ჯოს უკვე სკამიდან წამომდგარმა. ფული სიგარებიან ყუთთან მჯდომ თითბრისფერთმიან ქალს გადაუხადა. ამ ქალის მთელი გარეგნობა რაღაცნაირ, თითქოს დრო-ჟამისაგან გაუხუნარ, მძვინვარე და თვალისმომჭრელ სიდარბაისლეს ასხივებდა. მათთვის ზედაც არ შეუხედავს, არც რესტორანში შესვლისას და არც მერე, როცა უკვე ფულის გადასახდელად მიადგა მაკიჰერნი. ფულიც სწრაფად, ზუსტად დაახურდავა და ლამის იქამდე ჩამოასრიალა მუჭიდან ხურდა შუშის ზედაპირზე, ვიდრე მაკიჰერნი ბანკნოტს გაუწოდებდა; ვეება და თვალშისაცემი, საგულდაგულოდ დაწყობილი თმისა და ყურადღებიანი სახის ყალბ ბრჭყვიალებას მიღმა, ქვისგან გამოკვეთილ, კარიბჭის მოდარაჯე ძუ ლომს ჰგავდა, საკუთარი სიდარბაისლე ფარად აეფარებინა და ამ ფარის იქეთ შეჯგუფული უსაქმური და საეჭვო კაცების ავან-ჩავანი სრულებით არ აღელვებდა — რაც უნდოდათ, ის ეკეთებინათ, უნდა ქუდები დაეკოსებინათ თავზე დარდიმანდულად და უნდა ტუჩის კუთხეში დაუდევრად გაჩრილი სიგარეტები ებოლებინათ. მერე მაკიჰერნმა ხურდა გადათვალა და ისევ გარეთ, ქუჩაში გამოვიდნენ. ახლაც ჯოს შეცქეროდა. მერე უთხრა: „მინდა აქურობა კარგად დაიხსომო. ამქვეყნად ბევრი ისეთი ადგილია, სადაც მხოლოდ მამაკაცები დაიარებიან, მაგრამ შენი ხნის ბიჭებს არამც და არამც არ უნდა შეუცდეთ ფეხი. ეს რესტორანიც ეგრეა. იქნებ, საერთოდ არც უნდა მომეყვანე. თუმცა, მაინც ჯობია იცოდე, რას ერიდო, რისგან გეჭიროს თავი შორს. თანაც, ალბათ უკეთესია პირველად ჩემთან ერთად რომ ნახე, მაინც სხვაა, როცა უფროსი აგიხსნის და გაგაფრთხილებს. ისე, სადილი აქ უფრო იაფი ჯდება“.

„ცუდი რიღათია?“ ჰკითხა ჯომ.

„ეგ ქალაქის საქმეა, შენ არ გეკითხება. შენ ჩემი ნათქვამი დაიხსომე: უჩემოდ აღარასოდეს შედგა იქ ფეხი. დღევანდელი ამბავი კი მეტი

არ განმეორდება. დღეის ამას იქეთ, სულერთია, ადრე წავალთ შინ თუ შეეგვიანდებით, სადილს მაინც მუდამ თან წამოვიღებთ ხოლმე“.

აი, ეს იყო, რაც იმ დღეს ნახა, რაც შეამჩნია, რაც დაიმახსოვრა, ვიდრე უდრეკი, გამოუთქმელი რისხვით შეპყრობილი კაცის გვერდით ილუკმებოდა ჩქარ-ჩქარა; გრძელი დახლის შუაში ისხდნენ და სავსებით გამიჯვნოდნენ გარშემო მყოფთ, დახლის ერთ ბოლოში დასკუპებულ თითბრისფერთმიან ქალსაც, მეორე ბოლოში შეჯგუფულ მამაკაცებსაც და, რა თქმა უნდა, მარად თავჩაღუნულ, მორცხვსახიან ოფიციანტსაც, დიდი, მეტისმეტად დიდი ხელებით თეფშებსა და ფინჯნებს რომ ალაგებდა დახლზე და, მაღალი ბავშვივით, მხოლოდ თავი მოუჩანდა დახლს იქიდან. მერე ქუჩაში გამოვიდნენ. აზრადაც არ მოსვლია, როდისმე ისევ თუ დაბრუნდებოდა იქ. იმიტომ კი არა, მაკიჰერნმა რომ აუკრძალა. უბრალოდ, არ სჯეროდა ცხოვრება, თუნდაც შემთხვევით, ხელახლა თუ მიიყვანდა იმ რესტორანში. თითქოს საკუთარ თავსაც ჩააგონა, — არა, ეს ჩემი ჭკუის ხალხი არ არის. ვუყურებ და ვერ გამიგია, რა უნდათ, რას აკეთებენ. ხმა მესმის და არ მეყურება, რას ამბობენ, რატომ ამბობენ, ანდა, საერთოდ, ვის ელაპარაკებიან. მხოლოდ საჭმელად და სასმელად მოსულებსაც არა ჰგვანან, თუმცა სხვას რას უნდა მოჰყავდეს, ვერ მივმხვდარვარ და, ეტყობა, ვერც ვერასოდეს მივხვდებიო.

ასე და ამგვარად, მთელი ეს ამბავი ფიქრის ზედაპირიდანაც გადაირეცხა. მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში, ხანდახან, ისევ უწევდათ ქალაქში ჩასვლა, ოღონდ რესტორანთან არამცთუ ახლოს აღარ გაუვლია, შორიდანაც არ მოუკრავს მისთვის თვალი. კი შეეძლო, ან რა დააბრკოლებდა. ოღონდ, იქით გავლა აზრადაც აღარ მოსვლია თვითონ. ეტყობა, სურვილიც არ გასჩენია. თუმცა ხშირად, მისდა უნებურად, ჯერ ჩამოუყალიბებელი და აბნეული ფიქრი უეცრად მკაფიო, თვალნათელ სურათად გადაექცეოდა ხოლმე და მაშინ გრძელ, უჟმურ, რაღაცნაირად ეჭვის აღმძვრელსა და ორაზროვან დახლსაც ხედავდა, დახლის ერთ ბოლოში თავშეყრილ, წინგადმოხრილ კაცებსაც, დინჯად რომ ეწევიან, დაუსრულებლად უკიდებენ და აქრობენ თავიანთ მარადიულ სიგარეტებს; იმათაც და ოფიციანტსაც — ბავშვისოდენა ქალი სამზარეულოსა და დარბაზს შორის მიდი-მოდის, ძლივს ერევა თეფშების გორას, ყოველი გავლა-გამოვლისას იძულებულია ლამის გაეხახუნოს კაცებს და ისინიც, გვერდზე ქუდმოგდებულნი, სიგარეტის ბოლში გახვეულნი, ეღლაბუცებიან და რაღაცას ჩასჩურჩულებენ ყურში, ვერ გაიგებ, გახარებულნი თუ აღგზნებულნი, იმას კი, ფიქრიანი, მორცხვი სახე

დაუმალია, თითქოს არაფერი გაუგონია, თითქოს არაფერი ესმისო. — ისიც კი არ ვიცი, რას ეჩურჩულებიანო, ფიქრობდა ხოლმე ჯო, ერთი ფიქრიც აწვალებდა *არც ის ვიცი, იქნებ რასაც ჩასჩურჩულებენ, ბავშვს იმას არც ეტყვიან* სჯეროდა *ჯერ ვერც კი ვხვდები, თვალს დავხუჭავ თუ არა, როგორც კი ჩამეძინება, ჩემი ქუთუთოებიც მაშინვე იმის მორცხვ, ფიქრიან სახეს რომ მოიმწყვდევენ ხოლმე თვალის ბადურაზე, ტრაგიკულ, სევდიან, ნორჩ სახეს; მომლოდინესა და ჭაბუკური სურვილების ბუნდოვანი, გაურკვეველი შუქით შეფერილს; ვერ ვხვდები, უკვე სიყვარულსაც თუ გასჩენია საზრდო: მძინარემ თუ უკვე ვიცი, რატომაც არ გავეკარე, რატომაც ვურტყი სამი წლის წინ იმ ზანგის გოგოს და იმანაც უნდა იცოდეს მიზეზი, იმანაც უნდა იამაყოს, მელოდოს და იამაყოს*

მოკლედ, ქალის ხელახლა ნახვის იმედი აღარ ჰქონია, აღარ ჰქონია, რადგან ჭაბუკურ სიყვარულს საზრდოდ იმედიც ისევე მცირე ჰყოფნის, როგორც სურვილი. ადვილი შესაძლებელია, თვითონაც ისევე რომ გააოგნა საკუთარმა საქციელმა, როგორც, ალბათ, მაკიჰერნი გაოგნდებოდა. ახლა უკვე შაბათი იყო, გაზაფხული იდგა. ჯოს თვრამეტი წელი შესრულებოდა. მაკიჰერნს ისევ რაღაცაში დასჭირდა ვექილი. თუმცა, ამჯერად წინდაწინვე დაიჭირა თადარიგი. „ვექილთან ალბათ ერთ საათს დავრჩები“, უთხრა ჯოს. „შენ თუ გინდა გაისეირნე, ქალაქი დაათვალიერე“. ახლაც მკაცრად, გამომცდელად შეავლო თვალი, ისევ, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა, სამართლიანობის მოყვარული კაცივით, იძულებული რომ გამხდარა სამართლიანობასა და გონერებას შორის გააკეთოს არჩევანი. „აჰა,“ თქვა ბოლოს. საფულე გახსნა და ხურდა ფული ამოიღო — ათცენტიანი. „მაშინვე ნუ მოისვრი, როგორც კი ამღებს დაინახავ ვინმეს. უცნაური ამბავია“, დაუმატა ფიცხად, თან ჯოს არ აშორებდა თვალს, „მაგრამ კაცი ფულის ყადრს ეტყობა იქამდე ვერ გაიგებს, ვიდრე ჯერ ფლანგვას არ ისწავლის. ერთ საათში აქ იყავი“.

ჯომ ფული გამოართვა და პირდაპირ რესტორნისკენ დააღერა თავი. ფული ჯიბეში არც ჩაუდია. არც რამე წინასწარ გეგმას მიჰყავდა იქით, არც რამე განზრახვას, არც სურვილს, უბრალოდ, თითქოს ფეხების კარნახს ემორჩილებოდა და არა გონებისას. გახურებული, ერთი ბეწო ათცენტიანი მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული, ბავშვურად. ფარდაჩამოფარეულ კარებში უშნოდ შეალაჯა, წაიბორძიკა კიდეც. სიგარებიან ყუთთან მჯდარი ქერა ქალი (ამ ექვს თვეში თითქოს არც განძრეულიყო, თითქოს უხეში, კაშკაშა,

თითბრისფერი თმის ერთი კულულიც არ შერხეოდა, თითქოს ტანსაცმელიც არ გამოეცვალა) თვალს არ აშორებდა. დახლის შორეულ კუთხეშიც ისევ კაცები ისხდნენ, გვერდზე ქუდმოგდებულნი სიგარეტს აბოლებდნენ, სადალაქოს სურნელებას აფრქვევდნენ და შემოსულს უყურებდნენ. რესტორნის პატრონიც იმათში ერია. ეს კაცი ახლა პირველად შეამჩნია, პირველად დაინახა. იმასაც დანარჩენებივით ქუდი ეხურა და სიგარეტს ეწეოდა. მოსული კაცი არ ეთქმოდა, ჯოზე ბევრად მაღალი არ იქნებოდა, ანთებული სიგარეტი ტუჩის კუთხეში გაერჭო — ალბათ, ლაპარაკში ხელი არ შემიშალოსო. იდგა, დაკლაკნილ ბოლს გაქვავებულ სახეს არიდებდა, სიგარეტს ისე ჩაიყვანდა ხოლმე ბოლომდე, ერთხელ არ ახლებდა ხელს, მერე გამოაფურთხებდა და ქუსლით დაასრესდა იატაკს. აი, სწორედ ამ კაცისგან შეიძინა ჯომ შემდგომში ერთ-ერთი უსაყვარლესი ჩვევა, უფრო მოგვიანებით, როცა ცხოვრებამ სრბოლა ააჩქარა და ბრმა მიბაძვამაც შეცნობისა და შეგნებული რწმენის ადგილი დაიკავა. ახლა უხმოდ, უსიტყვოდ მიშტერებოდა დახლსიქიდან წინგადმოხრილ, ჭუჭყიანწინსაფრიან კაცს, რომელსაც სწორედ ისე აეფარებინა ეს წინსაფარი, როგორც შარაგზის ყაჩაღი მიიწებებს ხოლმე ხელოვნურ წვერს ცოტა ხნით, საქმისათვის. ბრმა მიბაძვა მერე მოვიდოდა, გულუბრყვილობის საზღაურად თავსდატეხილი უამრავი შეურაცხყოფის დარად: როცა ამ ორი ადამიანის, თითბრისფერთმიანი ქალისა და ჭუჭყიანწინსაფრიანი კაცის ცოლქმრობის ამბავს გაიგებდა, როცა სმა-ჭამის ბიზნესს ამოფარებული მათი ჭეშმარიტი საქმიანობის საიდუმლოს ამოხსნიდა, როცა თვალს შეაჩვევდა ვინ იცის საიდან ჩამოყვანილ ახალ-ახალ ოფიციანტთა უსასრულო რიგს, გაჭირვებით, ძლივძლივობით რომ დაატარებდნენ აქეთ-იქეთ იაფფასიან, უბრალო, თითქოს მხოლოდ რესტორნის სახელის გასამართლებლად მომზადებულ კერძებს; როცა თვითონაც, გაოგნებული, აღტაცებული და მოხიბლული, დაღლილი და გამობრძმედილი ფაშატების უცხო თვალს მოფარებულ საძოვარზე გაშვებული დაუკოდავი ულაყივით ხარბად შეიწოვდა, ხარბად შეითვისებდა ყველაფერს ხანმოკლე და თავაწყვეტილი თავისუფლების ჟამს, უსახელო და უთვალავი კაცის მიერ უამრავჯერ მოტყუებული და გაბრიყვებული.

თუმცა ჯერ ამეების დრო არ დამდგარიყო. ჯო დახლს მიუახლოვდა. ათცენტიანი ისევ მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული. ეჭვიც არ ეპარებოდა, კაცებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და ყველანი მე მომჩერებიანო, რადგან სამზარეულოდან მომავალი საზიზღარი შიშინის მეტი

აღარაფერი ესმოდა. ფიქრობდა ***ისიც იქ არის და ამიტომ ვერ ვხედავ*** მერე მაღალ, უზურგო სკამზე აფოფხდა. დარწმუნებული იყო, ყველანი მე მიცქერენო, სიგარებიან ყუთთან მჯდომი ქერა ქალიცა და რესტორნის პატრონიც, რომლის ირგვლივ ზანტად მოტორტმანე სიგარეტის ბოლიც ახლა, ალბათ, უძრავად გაქვავებულაო. მერე რესტორნის პატრონმა ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა, არც განძრეულა და არც სიგარეტისთვის უხლია ხელი. — ბობიო — გასძახა ვიღაცას.

კაცს დაუძახა. ამ აზრმა ფიქრზე უსწრაფესად გაუელვა ჯოს თავში, ერთბაშად, ფიქრიც არ ეთქმოდა: ***წავიდა. იმის მაგივრად კაცი აიყვანეს. ათცენტიანიც გავფლანგე, როგორც იმან მინასწარმეტყველა*** დარწმუნებული იყო, ახლა ფეხსაც ვერ გაადგამდა რესტორნიდან; გარეთ გამოსვლას თუ ეცდებოდა, ეგონა ქერა ქალი გააჩერებდა, არ გაუშვებდა. სჯეროდა, იქ, დახლის კუთხეში მიმსხდარმა კაცებმაც იციან ჩემი გასაჭირი და დამცინიანო. ამიტომაც იჯდა სკამზე გახევებული, იატაკს ჩასცქეროდა და ათცენტიანს მაგრად უჭერდა ხელს. ოფიციანტი მაშინღა დაინახა, როცა დახლზე ორი დიდი, დიდზე დიდი ხელი გამოჩნდა. უფრო სწორად, ოფიციანტი კი არა, იმისი მოჩითული ნაჭრის კაბა, წინსაფრის სამკერდული და სახსრებშეშუპებული ხელის მტევნები მოხვდა თვალში, დახლის კიდეზე ისე უმოძრაოდ ჩამოწყობილი, თითქოს ხელებიც, ჭურჭელივით, სამზარეულოდან მოეტანა და დახლზე გამოეფინა. „ყავა და ნამცხვარი“, თქვა ჯომ.

ქალს მწუხარე, არაფრისმთქმელი ხმა ჰქონდა. „ლიმნისა გვაქვს, კაკაოიანი და შოკოლადიანი“.

ხმა იმ სიმაღლიდან ისმოდა, ეს ხელები კაცს შეიძლება სხვისიც ჰგონებოდა. „დიახ,“ თქვა ჯომ.

ხელები არ შერხეულან, არც ხმა შესცვლია ქალს. „რომელი, ლიმნისა, კაკაოსი თუ შოკოლადიანი?“ უცხო თვალის დასანახად, ალბათ საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდნენ. ერთმანეთს მისჩერებოდნენ, ერთამენეთისგან მარტო მუქი, დალაქული, გაზინზლული, ხახუნისგან გადასლიპინებული დახლი ჰყოფდათ და რაღაცით, ცოტა არ იყოს, მლოცველებს წააგავდნენ: სოფლურსახიანი, სუფთად, სპარტანულად გამოწყობილი ჭაბუკი, ვისთვისაც საკუთარ სიტლანქესა და მოუქნელობას არაამქვეყნიური, უმანკო იერი მიენიჭებინა, და მის პირდაპირ გახევებული მობუზული, მომლოდინე ქალი, ტანმორჩილობის გამო ისიც თითქოს არამიწიერი, არახორციელი. ქალს გამხდარი, ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა. ყვრიმალებზე კანი გადასჭიმოდა და თვალების ირგვლივ ჩამუქებოდა; ქუთუთოებს ქვეშ ლამის

სანახევროდ დამალულ თვალებს სიღრმე დაჰკარგვოდათ, თითქოს სინათლის არეკვლაც არ შეეძლოთ. მისი ვიწრო ქვედა ყბის შემხედვარე კაცს გაუკვირდებოდა, ნეტავი პირში კბილები როგორ ეტევაო.

„კაკაოსი“, თქვა ჯომ. თქვა კი არა, იმის ტუჩებს დასცდათ უნებლიეთ, რადგან დაუყოვნებლივ მოუნდა უკანვე წაეღო სიტყვა. მხოლოდ ათცენტიანი ჰქონდა. ფული ისევ მაგრად ჩაებღუჯა, იმის ფასიც დავიწყებოდა. ათცენტიანი კი ხელში ეცვარებოდა, ხელისგულს უოფლიანებდა. ეჭვი არ ეპარებოდა, კაცები კვლავ არ აშორებდნენ თვალს და ისევ იცინოდნენ. იმათი ხმა არ ესმოდა და თვითონაც არ იხედებოდა იქით, თუმცა სჯეროდა, სწორედ ასეაო. მერე ხელები დახლიდან გაქრნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ და ფინჯანი და თეფში დაუდგეს წინ. ახლა პირველად გაუსწორა ქალს თვალი, პირველად შეხედა სახეში. „ნამცხვარი რა ღირს?“

„ათი ცენტი“. ქალი უძრავად იდგა, დახლის ჩამუქებულ ფიცარზე ისევ უღონოდ და მომლოდინედ ესვენა მისი დიდი ხელები. ქალს მისთვის ერთხელაც არ შეუხედავს. ჯომ გაპარული, სასოწარკვეთილი ხმით ამოილუღლუღა: „იცით, ყავას ალბათ არ დავლევ“.

ცოტა ხანს ქალი არ განძრეულა. მერე მისი დიდი ხელი შეირხა, ფინჯანს დასწვდა; ხელიც და ფინჯანიც გაქრნენ. ჯო გაუნძრევლად იჯდა, თავჩაღუნული, მოლოდინადქცეული. ელოდა და გაიგონა კიდეც ხმა. ოღონდ, რესტორნის პატრონისა არა. სიგარებიან ყუთთან მჯდომმა ქალმა დაილაპარაკა, იმან იკითხა — რა მოხდაო?

„ყავა არ უნდა“, უპასუხა ოფიციანტმა. სიარულშივე გამოსძახა, ნაბიჯი არც შეუნელებია. უსიცოცხლო ხმა ჰქონდა, მშვიდი. მეორე ქალიც მშვიდად ლაპარაკობდა.

„განა ყავაც არ შეგიკვეთა?“

„არა“, ისევ სიარულშივე, უკვე შორიდან შეეხმიანა ოფიციანტი. „მე შემეშალა“.

როცა სირცხვილისგან, დარდისგან, დამცირებისგან სულშეკუმშული, ერთადერთი სურვილითღა შეპყრობილი — რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა, გარიდებოდა, სადმე დამალვოდა სიგარებიან ყუთთან მჯდომი ქალის ცივ სახეს — რესტორნიდან გამოვიდა, ღრმად იყო დარწმუნებული, აღარასოდეს დაბრუნდებოდა უკან, ვეღარასოდეს ვეღარ ნახავდა ოფიციანტს. იმ წუთას ვერაფერი დააჯერებდა, როდისმე ისევ თუ შეძლებდა ქალისთვის თვალი გაესწორებინა, ან ამ ქუჩაზე გაევლო ხელახლა, ან ამ ჭუჭყიანი კარისთვის შეეხედა, თუნდაც შორიდან, შორიდან მაინც, ოღონდ, ჯერ მაინც არ ფიქრობდა ***საშინელებაა, საშინელებაა სიყმაწვილე*** შაბათი დადგებოდა თუ არა, ათას მიზეზს იგონებდა ოღონდ კი ქალაქში არ გაჰყოლოდა მაკიჰერნს, მაკიჰერნს ეს ამბავი ცოტა არ იყოს უკვირდა კიდეც, თუმცა ჯერ-ჯერობით ეჭვი მაინც არ გასჩენოდა. დღეები მძიმე, მეტისმეტად მძიმე შრომაში გადიოდა; მაკიჰერნს მისი ამგვარი თავგამოდებაც აფიქრიანებდა. აფიქრიანებდა, მაგრამ მიხვედრით კი ვერაფერს მიმხვდარიყო, ვერაფერი აეხსნა. ჯოსთვის ხომ შრომა ნებადართული იყო. მერე, როგორც იქნა, უსაშველო ღამეებსაც დაადგა საშველი, რადგან ჯაფით ქანცგაწყვეტილი, უკვე ვეღარ ახერხებდა დილამდე თვალებდაჭყეტილი წოლილიყო ლოგინში. დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა, სასოწარკვეთაც, დარდიც და სირცხვილიც დაილია, დაპატარავდა. თუმცა, მომხდარს მაინც ხშირად იგონებდა, კიდევ და კიდევ განიცდიდა ხოლმე ერთსა და იმავეს. ოღონდ, ახლა უკვე მოგონებასაც გასვლოდა ყავლი, გრამოფონის ძველ ფირფიტასავით გაცვეთილიყო: მხოლოდ ხმების გადამშლელი შიშინიღა დარჩენილიყო ნაცნობი მელოდიისგან. მალე, თუკი ჰქონდა, მაკიჰერნსაც გაუქარწყლდა ყოველგვარი ეჭვი. უთხრა კიდეც ჯოს:

„ამ ბოლო დროს ყურადღებით გაკვირდებოდი. ახლა ან საკუთარ თვალებს არ უნდა დავუჯერო, ანდა უნდა ვაღიარო, რომ ბოლოს და ბოლოს, შენც შეგიგნია, რა ხვედრიც გარგუნა ამქვეყნად უფალმა. თუმცა, ქება თავბრუს ნუ დაგახვევს, შენი ამბავი რომ ვიცი, დროც გექნება, შემთხვევაც (და, რა თქმა უნდა, სურვილიც), ეს სიტყვები სანანებლად გამიხადო, ისევ უწინდებურად იზარმაცო და იყალთაბანდო. მაგრამ, ასეა თუ ისე, კაცნი ვართ და კაცთათვის ჯილდოც ისევე დაუწესებიათ, როგორც სასჯელი. აგე, იმ უშობელს ხედავ? დღეის ამას იქეთ ეგ ხბო შენია. ეცადე, საჩუქარი შეიშნოვო“.

ჯომ მადლობა გადაუხადა. უკვე შეეძლო თამამად შეევლო ხბოსთვის თვალი და ხმამაღლა ეთქვა მე ვარ ამ ხბოს პატრონიო. შეხედა კიდეც და ახლაც ფიქრზე უსწრაფესად, ერთბაშად გაუელვა თავში: ***ეს საჩუქარი არ არის. არც დაპირებაა; მუქარას უფრო ჰგავს*** ფიქრობდა, მე ხომ არაფერი მითხოვია. თვითონ მაჩუქა. მე არაფერი მითხოვიაო. სჯეროდა: ***ღმერთია მოწმე ჩემი ოფლით დავიმსახურე***

კიდევ ერთი თვე გავიდა. შაბათი დილა გათენდა. „მეგონა, ქალაქი გულიდან ამოირეცხა-მეთქი“, უთხრა მაკიჰერნმა.

„ამ ერთხელაც რომ წამოვიდე, მე მგონი არაფერი დამიშავდება“, თქვა ჯომ. ჯიბეში ნახევარი დოლარი ედო. მისის მაკიჰერნმა მისცა. ხუთი ცენტი თხოვა. იმან კი დაიჟინა, გინდა თუ არა, ნახევარი დოლარი უნდა გამომართვაო. გამოართვა კიდეც, გამო-

ართვა და გამომწვევად, აგდებულად დაიდო ხელისგულზე.

„მეც ეგრე მგონია“, თქვა მაკიჰერნმა, „ეგეც არ იყოს, შენი გულიანი შრომითაც დაიმსახურე. ოღონდ იცოდე, ვისაც ჯერ ცხოვრებაში გზა არ გაუკვლევია, ქალაქში წანწალს არ უნდა მიეჩვიოს“.

მოკლედ, გაპარვა აღარ დასჭირვებია, თუმცა, რომც დასჭირვებოდა, უყოყმანოდ გაიპარებოდა, იქნებ, ძალაც ეხმარა. რესტორნისკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა. ახლა უფრო თამამადაც შეაბიჯა, ფეხი აღარაფრისთვის წამოუკრავს. ოფიციანტი დარბაზში არ ჩანდა. იქნებ დაინახა, იქნებ შეამჩნია კიდეც მისი არყოფნა. სიგარებიან ყუთთან შეჩერდა, სადაც ისევ ძველებურად იჯდა ქერა ქალი, და ყუთის შუშის თავსახურზე ნახევარდოლარიანი დადო. „ხუთი ცენტი მმართებს თქვენი. ფინჯანი ყავისა. ნამცხვარი და ყავა შევუკვეთე. აღარ მახსოვდა, ჯიბეში ათი ცენტის მეტი თუ არ მედო. ხუთი ცენტი მმართებს“ დარბაზის შორეული კუთხისკენ არ იყურებოდა. იქ კაცები ისხდნენ, ქუდები გვერდზე მოეგდოთ და სიგარეტს ეწეოდნენ. პატრონიც იქ იყო; სულ ელოდებოდა და როგორც იქნა, გაიგონა კიდეც ჭუჭყიანწინსაფრიანი კაცის ხმა, პირში სიგარეტგაჩრილი ლაპარაკობდა:

„რა ამბავია? რა უნდა?“

„ამბობს, ბობის ხუთი ცენტი მმართებსო“, გასძახა ქალმა. „უნდა დაუბრუნოს“. ქალს მშვიდი ხმა ჰქონდა, რესტორნის პატრონსაც.

„აი, ეს მესმის“, თქვა მან. ჯოს ეჩვენებოდა, რომ მთელი დარბაზი თვალებად ქცეულიყო. თვითონ არაფერს უსმენდა და ყველაფერი ესმოდა; არაფერს უცქერდა და ყველაფერს ხედავდა. უკვე კარებისკენ მიაბიჯებდა. ნახევარდოლარიანი შუშის თავსახურზე იდო. ეტყობა, ოთახის შორეული კუთხიდან კაცმაც მოჰკრა თვალი, რადგან იკითხა, ეგ რაღა ფულიაო?

„ფინჯანი ყავისა მმართებსო“, მიუგო ქალმა.

ჯო უკვე თითქმის კარებთან იყო მისული. „ეი, ვაჟკაც“, დაუძახა რესტორნის პატრონმა. ჯო არ შეჩერებულა. „დაუბრუნე თავისი ფული“, კაცს მშვიდი ხმა ჰქონდა, ჯერ ადგილიდანაც არ იძვროდა. მისი სიგარეტის ბოლი ახლა ალბათ ნება-ნება მიიწევდა ჭერისკენ, არავითარი მოძრაობა არ არხევდა. „დაუბრუნე-მეთქი“, გაიმეორა ისევ. „არ ვიცი, რას მამაძაღლობს, ოღონდ ჩვენთან ეგეთები არ გაუვა. დაუბრუნე. შენ კი, გირჩევნია შენს ფერმაში დაბრუნდე, ჰაირამ. იქნება იქ იშოვო ხუთ ცენტად გოგო“.

უკვე ქუჩაში იყო, ნახევარდოლარიანი ხელში ოფლით ეცვარებოდა, ხელიგულს უოფლიანებდა — ურმის ბორბლისოდენა, შემაწუხებელი. უკვე გამოერღვია სიცილის კედელი, კარებში რომ გამოდიოდა, მაშინაც სიცილი, კაცების ხმამაღალი ხარხარი მოაცილებდა. ამ სიცილ-ხარხარმა აიტაცა და ქუჩაში გამოაგდო; მერე გადაიქროლა, სადღაც შორს ჩაკვდა, ის კი მიწაზე, ტროტუარზე დატოვა. ახლა ისა და ოფიციანტი პირისპირ იდგნენ. ქალმა თავიდან ვერ შეემჩნია, სწრაფად მოდიოდა, თავჩაქინდრული, მუქი ფერის კაბა ეცვა და ქუდი ეხურა. მერე გაჩერდა, ოღონდ არც მაშინ უყურებდა ჯოს, რადგან დასანახი უკვე დაენახა, თვალის ერთი შევლებით მიმხვდარიყო ყველაფერს როგორც მაშინ, როცა ყავა და ნამცხვარი დაუწყო დახლზე. „მაშ, ჩემთვის ფულის დასაბრუნებლად მოხვედით“, თქვა ქალმა, „ყველას თანდასწრებით. იმათ კი დაგცინეს. კარგი ამბავია, მე და ჩემმა ღმერთმა“.

„მეგონა, თქვენი ჯიბიდან მოგიწევდათ გადახდა. მეგონა...“

„კარგი ამბავია. მოდი, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ასე სჯობს“.

ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. თუმცა ერთმანეთს არ უცქერდნენ. უცხო თვალისთვის ალბათ, ორ, ფიქრში წასულ ბერს ჰგავდნენ, ბაღში ბილიკზე სეირნობისას შეხვედრილებს. „მე ვიფიქრე...“

„სადა ცხოვრობთ?“ ჰკითხა ქალმა, „სოფელში? კარგი ამბავია. რა გქვიათ?“

„ჩემი გვარი მაკიჰერნი არ არის“, თქვა ჯომ. „მე ქრისთმასი ვარ“.

„ქრისთმასი? ეგ არის თქვენი გვარი? ქრისთმასი. კარგი ამბავია“.

ბავშვობაშიც და მერეც, უფრო მოგვიანებით, შაბათობით, ნაშუადღევს, ისა და კიდევ ოთხი-ხუთი იმისი ტოლი ბიჭი, სანადიროდ და სათევზაოდ დადიოდნენ ხოლმე. გოგოებს მხოლოდ კვირაობით, ეკლესიაში თუ ხედავდა. ისინი წარმოდგენაშიც მუდამ კვირა დღესა და ეკლესიას უკავშირდებოდნენ. ამიტომაც ვერ ამჩნევდა. რომ შეემჩნია, მაშინ თავადვე უნდა ეთქვა უარი რელიგიის სიძულვილზე. თუმცა, გოგოებზე მაინც ლაპარაკობდა ხოლმე ბიჭებთან. ზოგმა ბიჭმა, თუნდაც იმან, იმ საღამოს ზანგი გოგო რომ მოიყვანა, სხვებზე მეტი იცოდა. — ყველას უნდაო, ეუბნებოდა სწორედ ის ბიჭი დანარჩენებს. — ოღონდ, ზოგჯერ არ შეუძლიათო. დანარჩენებს ამდენი არ გაეგებოდათ. არამცთუ არ იცოდნენ, ზოგჯერ რომ არ შეეძლოთ, ვერც ის წარმოედგინათ, ყველას თუ უნდოდა. თვითონ სულ სხვაგავარად ფიქრობდნენ. მაგრამ რომ გამოტეხილიყვნენ, არ ვიცოდით ხანდახან თუ არ შეეძლოთო, მაშინ, ბუნებრივია, ისიც უნდა, ეღიარებინათ, დღემდე ვერც წარმოგვედგინა ყველას თუ უნდოდაო. ამიტომაც, სულგანაბულნი უსმენდნენ ბიჭის ნაამბობს. — თვეში ერთხელ რაღაცა

ემართებათ ხოლმეო, ყვებოდა ბიჭი. ყვებოდა და თან ნათლადაც აღუწერდათ, თვითონ როგორ წარმოედგინა მთელი ამ ამბის ფიზიკური მხარე. შეიძლება, მართლაც იცოდა, რასაც ამბობდა. ასეა თუ ისე, სურათს კი საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად ხატავდა. იმას რომ რაღაც, თავისთვისაც ბუნდოვან, თავისთვისაც ბოლომდე გაუგებარ სულიერ განცდებზე ელაპარაკა, არავინ მოუსმენდა. ხელშესახებ, ნამდვილ, ყნოსვისა და თვალის გამაღიზიანებელ სურათს ხატავდა და სწორედ ამან შესძრა კიდეც მსმენელები: დროებითმა და დამამცირებელმა უსუსურობამ იმისა, რაც აუხდენელ სურვილებს აღიზიანებდა; იმ გლუვი, საოცნებო სამყოფელის წარმოდგენამ, სადაც, უამიდანუამ, მკაცრად განსაზღვრულ დროს, ჭუჭყის მსხვერპლად განწირული წადილი ბინადრობდა. აი, ასე ჰყვებოდა ბიჭი და ხუთი დანარჩენიც უხმოდ უსმენდა, ხანდახან თუ გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს კითხვითა და იდუმალებით აღსავსე მზერით. მომდევნო შაბათს ჯო სანადიროდ აღარ გაჰყოლია სხვებს. მაკიჰერნს იმათთან ეგონა, რადგან თოფი არსად ჩანდა. ჯო კი მთელი დღე ბოსელში იმალებოდა. შებინდებამდე არ გამოსულა იქიდან. ერთი კვირის მერე უკვე მარტოდმარტო წავიდა, უთენია, სანამ ბიჭები გამოუვლიდნენ. წავიდა, ოღონდ არ უნადირია. საღამოხანს, სახლიდან სამი მილის მოშორებით ცხვარი მოკლა თოფით. ერთ მივარდნილ ხეობაში წააწყდა ფარას, ფეხაკრეფით მიეპარა და ცხვარს ესროლა. მერე ჩაიჩოქა და აცახცახებულმა, პირგამშრალმა, შეშინებულმა, მომაკვდავი პირუტყვის ჯერ ისევ თბილ სისხლში ჩაჰყო ხელები. ასე გადახარშა ყველაფერი და ცოტაოდენი შვებაც იგრძნო. თუმცა, ბიჭის ნათქვამი არ დავიწყებია. უბრალოდ, შეეგუა. დარწმუნდა, ამ ცოდნითაც, ამ ცოდნის გვერდითაც შეძლებდა ცხოვრებას. თითქოს ზედმეტი ფიქრისა და ტვინის ჭყლეტის გარეშე, სასოწარკვეთილი სიმშვიდით გამოუტყდა თავს ***კეთილი. ასე იყოს. ოღონდ ჩემთვის არა. ჩემს ცხოვრებაში არა, არც ჩემს სიყვარულში*** ეს ყველაფერი სამი-ოთხი წლის წინ მოხდა და ნელნელა გადაავიწყდა კიდეც მომხდარი, როგორც საერთოდ გვავიწყდება ხოლმე ნებისმიერი ამბავი, თუკი მისი სამართლისა და სიცრუის ერთნაირად უარმყოფელი გონების დაჟინებას ვერ გაუძლებს, წინ ვერ აღუდგება და თუნდაც ერთხელ მაინც დამორჩილდება.

ოფიციანტს ორშაბათ საღამოს შეხვდა, იმ შაბათის მომდევნო ორშაბათს, როცა ამაოდ შეეცადა ვალის გასტუმრებას. მაშინ თოკი ჯერ არ ჰქონდა. ფანჯარაში გადაძვრა, ათი ფუტის სიმაღლიდან ჩახტა და ქალაქამდე ხუთი მილი იარა ფეხით. ერთხელაც არ დაფიქრებულა, როგორ დაბრუნდებოდა თავის ოთახში.

ქალაქში ჩავიდა და იმ ქუჩის კუთხეში გაჩერდა, სადაც ქალმა ჰაემანი დაუნიშნა. დროზე ადრე მოსულიყო და ისედაც მუდამ წყნარ ქუჩაზე მის გარდა არავინ ჩანდა. ფიქრობდა ***არ დამავიწყდეს. უნდა დავაცადო თვითონ მაჩვენოს რა უნდა გავაკეთო, როდის და როგორ. არ უნდა შემატყოს, არაფერი რომ არ გამეგება, იმისგან თუ ველი დახმარებას***

საათზე მეტხანს იდგა იქ, ვიდრე ქალი გამოჩნდებოდა. მეტისმეტად გამოეედო თავი. ქალი ფეხით მოდიოდა. მოუახლოვდა და წინ გაუჩერდა — პატარა, ტანმორჩილი, მომლოდინე, თავჩაქინდრული, სიბნელიდან გამოსული. „უკვე მოსულხართ“, თქვა ქალმა.

„ძალიან ვჩქარობდი. არ დაადგა საშველი იმათ დაძინებას. მეშინოდა, არ დამაგვიანდეს-მეთქი“.

„დიდი ხანია მელოდებით? როდის მოხვედით?“

„არ ვიცი. თითქმის მთელი გზა მოვრბოდი. დაგვიანების მეშინოდა“.

„მორბოდით? სამი მილი სირბილით გამოიარეთ?“

„ხუთი. ხუთი მილია ქალაქამდე“.

„კარგი ამბავია.“ მერე გაჩუმდნენ. ორი ჩრდილი პირისპირ ასვეტილიყო. ერთი წლის მერე, ამ ღამეს რომ იხსენებდა, უეცრად მიხვდა ***ისე იდგა, თითქოს ელოდა, როდის გავარტყამდი*** „ხოო“, თქვა ქალმა.

ჯო ცახცახმა აიტანა. ქალის სუნს გრძნობდა, მოლოდინის სუნს: გარინდული, ბრძნული, ოდნავ მოღლილი მოლოდინისა. ფიქრობდა ***მიცდის როდის დავიწყებ, მე კი არ ვიცი როგორ დავიწყო*** საკუთარი ხმა თვითონვე მოეჩვენა ბრიყვულად: „უკვე გვიანია“.

„გვიანია?“

„ვიფიქრე, ალბათ, გელოდებიან-მეთქი. უთქვენოდ არ წვებიან...“

„მელოდებიან... მელოდებიან...“ ქალის ხმა თანდათანობით მიჩუმდა, ჩაკვდა. ისევ ისე, ორი ჩრდილივით იდგნენ; არც განძრეულა, ისე თქვა ქალმა: „მე მეიმთან და მაქსთან ერთად ვცხოვრობ. იცნობთ ალბათ. რესტორნიდან. ორივე უნდა დაგმახსოვრებოდათ წესით, აი მაშინ, იმ ხუთი ცენტის დაბრუნებას რომ აპირებდით“... მერე სიცილი დაიწყო. თუმცა, მის სიცილში მხიარულება არ იგრძნობოდა, საერთოდ არ იგრძნობოდა არაფერი. „რომ გამახსენდება ხოლმე... რომ წარმოვიდგენ, როგორ შეხვიდოდით იმ ხუთცენტიანით ხელში...“ მერე გაჩუმდა. აღარ იცინოდა, ოღონდ, არც ეს გაჩუმება ნიშნავდა მხიარულების დასრულებას. ჯოს ისევ მისწვდა იმის ჩუმი, მოღლილი, გალახული ხმა. „მე დღეს რაღაც შემეშალა. რაღაც

დამავიწყდა“. ეტყობა, ელოდა, მკითხავს, რა დაგავიწყდაო. მაგრამ ჯოს არაფერი უკითხავს. უძრავად იდგა, უკვე თითქოს ქალის ხმაც აღარ ესმოდა, თითქოს სმენაში ვეღარ ატანდა. მოკლული ცხვარი აღარც ახსოვდა. ბიჭის ნაამბობსაც დიდი ხნის წინ შეგუებოდა. იმდენად დიდი ხნის წინ მოეპოვებინა მოკლული ცხვრის ფასად ამ ნაამბობიდან გათავისუფლება, მოგონებაც კი მომკვდარიყო. ამიტომ ვერ მიხვდა თავიდანვე, რის თქმას ცდილობდა ქალი. ქუჩის კუთხეში იდგნენ, ქალაქის განაპირას, აქ ქუჩა პირდაპირ შარაგზას ერწყმოდა, რომელიც კოხტა, მოვლილ, შემოღობილ მდელოებს გასცდებოდა და მერე ტრიალ მინდვრებსა და ამგვარ ქალაქთა გარეუბნებისათვის ჩვეულებრივ, პატარა-პატარა, უწესრიგოდ გაბნეულ სახლებს შორის მიემართებოდა. „მისმინეთ, მე დღეს შეუძლოდა ვარ“, თქვა ქალმა. ჯო ისევ ვერაფერს მიხვდა. იქნებ, შინაგანად უკვე მზად იყო კიდეც რაღაც საბედისწერო უიღბლობისათვის, იქნებ უკვე ფიქრობდა: „ისე კარგად აეწყო ყველაფერი, არც შეიძლებოდა სინამდვილე გამომდგარიყო“; ფიქრზე უსწრაფესად გაუელვა თავში: ***წამიც და გაქრება. წამიც და აქ აღარ იქნება. მეც ისევ შინ აღმოვჩნდები, ჩემს სანოლში, თითქოს არც გამომედგას იქედან ფეხი*** ქალი კი თავისას აგრძელებდა: „ორშაბათ საღამოს-მეთქი, რომ გითხარით, არ მახსოვდა ორშაბათს რა რიცხვი უწევდა. ეტყობა, მოულოდნელობამ თუ დამაბნია. მაშინ იქ, ქუჩაში, შაბათს. მოკლედ, დამავიწყდა, რა რიცხვი უწევდა. თქვენი წამოსვლის მერეღა გამახსენდა“.

ჯოსაც ქალივით მშვიდი ხმა ჰქონდა. „ძალიან ავადა ხართ? იქნებ წამალი გაქვთ შინ რამე, იქნებ დაგელიათ“.

„წამალი...“ ქალს ისევ ჩაუკვდა ხმა. მერე — კარგი ამბავიაო — დაამატა. „უკვე გვიანია, თქვენ კი ოთხი მილი გაქვთ გასავლელი“, თქვა ბოლოს.

„აკი უკვე გამოვიარე. უკვე აქა ვარ“. ჯო მშვიდად ლაპარაკობდა, წყნარად, ოღონდ, ხმაში უიმედობა გამორეოდა. „მგონი მართლა გვიანია“, თქვა ჯომ. მერე, უეცრად, რაღაც შეიცვალა. ქალი ჯოს არ უცქერდა, მაგრამ მაინც იგრძნო რაღაც, იქამდე იგრძნო, ვიდრე იმის მკაცრ ხმას გაიგონებდა: „მაინც რა ავადმყოფობაა ეგეთი?“

ქალმა მაშინვე არ უპასუხა. მერე ჩუმად, თავჩაქინდრულმა უთხრა: „შენ ჯერ შეყვარეული არ გყოლია. თავს მოვიჭრი, თუ ეგრე არ იყოს“. ჯოს ხმა არ ამოუღია. „ხომ სწორი ვარ?“ არც ახლა უპასუხა. ქალი შეირხა. პირველად შეეხო ჯოს. მიუახლოვდა და ორივე ხელი მსუბუქად წაავლო მკლავზე. ჯო ზემოდან დასცქეროდა და ქალის ჩაქინდრული, თითქოს დაბადებიდანვე კისერზე ასე, ოდნავ მრუდედ დასმული თავის მუქ სილუეტს ხედავდა. მერე ქალმა ყველაფერი

დაუფარავად უთხრა, გაჭირვებით, წვალებით, ალბათ, იმ ერთადერთი სიტყვებით, რაც იცოდა. მაგრამ ყველაფერი ეს, ჯოს უკვე მოსმენილი ჰქონდა, უკვე უკან დაბრუნებულიყო, მოკლულ ცხვარზე, გადახდილ საზღაურზე კიდევ უფრო უკან, იმ საღამოში გადაბარგებულიყო, ბიჭებთან ერთად, ნაკადულის პირას რომ იჯდა, არა იმდენად გულდაწყვეტილი ან გაოცებული, რამდენადაც შეურაცხყოფილი. მკლავი უხეშად გაითავისუფლა. ქალს არ სჯეროდა, გარტყმას თუ უპირებდა; სინამდვილეში, სულ სხვას ვარაუდობდა. მაგრამ, ამით შედეგი არ შეცვლილა. ბნელ გზას შერწყმულ, უკვე ლანდად, ჩრდილადქცეულ ჯოს რომ გასცქეროდა, დარწმუნებული იყო, გარბისო. მერე ჯო მთლად მიეფარა თვალს, ოღონდ, ცოტა ხანს, იმისი ფეხის ხმა კიდევ ისმოდა. ქალი მაშინვე არ დაძრულა ადგილიდან. ისევე იდგა, როგორც ჯომ დატოვა, უძრავად, თავჩაქინდრული, თითქოს წუთის წინ ნაწვნევ დარტყმას ელოდა ისევ.

ჯო კი არ მირბოდა. თუმცა, გაჩქარებული მიაბიჯებდა, სულ სხვა მხარეს, არა შინისაკენ, არა ხუთი მილის იქით დარჩენილი სახლისკენ, რომლის ფანჯრიდანაც გადმომხტარიყო და ჯერ არ იცოდა, ხელახლა როგორ შეაღწევდა შიგ, სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა გზას, მერე გზიდან გადაუხვია, ღობეს გადაევლო და ხნულებში გადავიდა. კვლებში რაღაც ეთესა. უფრო შორს ტყე იწყებოდა, ხეები ჩანდა. ტყეს მიაღწია და შიგ შევიდა, ხეთა უხეში ღეროების, გადახლართული ტოტების მკვრივ, მძაფრსურნელოვან, უკუნ სიბნელეში შეაბიჯა. გამოქვაბულში მოხვედრილივით თვალებდაბინდული და ალღოს მინდობილი, თითქოს მთვარის შუქით გადათეთრებულ, თანდათან შორეთში გაუჩინარებულ, რბილკონტურებიან ლარნაკთა უსასრულო რიგს ხედავდა. ამ ლარნაკთაგან არცერთი არ იყო მთელი. ყველა დამსკდარიყო, დაბზარულიყო და თითოეული ბზარიდანაც რაღაც თხევადი, სიკვდილისფერი, ბინძური მოჟონავდა. ჯო ხეს შეეხო, მკლავები წინ გაიწვდინა და მიებჯინა, თან ჩარიგებულ, მთვარით განათებულ ლარნაკებს არ აშორებდა თვალს. მერე არწყია.

ერთი კვირის შემდეგ, მომდევნო ორშაბათს, უკვე თოკი ჰქონდა ნაშოვნი. ქალს იმავე ქუჩის კუთხეში ელოდებოდა; ახლაც ძალიან ადრე მოსულიყო. მერე ქალი დაინახა. მოვიდა, მოუახლოვდა, — მეგონა, არ დამხვდებოდიო — უთხრა.

„მართლა?“ ქალს მკლავში წაავლო ხელი და ქუჩას დაღმა დაუყვნენ.

„სად მივდივართ?“ — ჰკითხა ქალმა. არაფერი უპასუხა, ისევ ხელჩაკიდებული მიჰყავდა. ქალიც, არ ჩამოვრჩეო და, ნაბიჯს უჩ-

დამავიწყდა“. ეტყობა, ელოდა, მკითხავს, რა დაგავიწყდაო. მაგრამ ჯოს არაფერი უკითხავს. უძრავად იდგა, უკვე თითქოს ქალის ხმაც აღარ ესმოდა, თითქოს სმენაში ვეღარ ატანდა. მოკლული ცხვარი აღარც ახსოვდა. ბიჭის ნაამბობსაც დიდი ხნის წინ შეგუებოდა. იმდენად დიდი ხნის წინ მოეპოვებინა მოკლული ცხვრის ფასად ამ ნაამბობიდან გათავისუფლება, მოგონებაც კი მომკვდარიყო. ამიტომ ვერ მიხვდა თავიდანვე, რის თქმას ცდილობდა ქალი. ქუჩის კუთხეში იდგნენ, ქალაქის განაპირას, აქ ქუჩა პირდაპირ შარაგზას ერწყმოდა, რომელიც კოხტა, მოვლილ, შემოღობილ მდელოებს გასცდებოდა და მერე ტრიალ მინდვრებსა და ამგვარ ქალაქთა გარეუბნებისათვის ჩვეულებრივ, პატარა-პატარა, უწესრიგოდ გაბნეულ სახლებს შორის მიემართებოდა. „მისმინეთ, მე დღეს შეუძლოდა ვარ“, თქვა ქალმა. ჯო ისევ ვერაფერს მიხვდა. იქნებ, შინაგანად უკვე მზად იყო კიდეც რაღაც საბედისწერო უიღბლობისათვის, იქნებ უკვე ფიქრობდა: „ისე კარგად აეწყო ყველაფერი, არც შეიძლებოდა სინამდვილე გამომდგარიყო“; ფიქრზე უსწრაფესად გაუელვა თავში: ***წამიც და გაქრება. წამიც და აქ აღარ იქნება. მეც ისევ შინ აღმოვჩნდები, ჩემს საწოლში, თითქოს არც გამომედგას იქედან ფეხი*** ქალი კი თავისას აგრძელებდა: „ორშაბათ საღამოს-მეთქი, რომ გითხარით, არ მახსოვდა ორშაბათს რა რიცხვი უწევდა. ეტყობა, მოულოდნელობამ თუ დამაბნია. მაშინ იქ, ქუჩაში, შაბათს. მოკლედ, დამავიწყდა, რა რიცხვი უწევდა. თქვენი წამოსვლის მერეღა გამახსენდა“.

ჯოსაც ქალივით მშვიდი ხმა ჰქონდა. „ძალიან ავადა ხართ? იქნებ წამალი გაქვთ შინ რამე, იქნებ დაგელიათ“.

„წამალი...“ ქალს ისევ ჩაუკვდა ხმა. მერე — კარგი ამბავიაო — დაამატა. „უკვე გვიანია, თქვენ კი ოთხი მილი გაქვთ გასავლელი“, თქვა ბოლოს.

„აკი უკვე გამოვიარე. უკვე აქა ვარ“. ჯო მშვიდად ლაპარაკობდა, წყნარად, ოღონდ, ხმაში უიმედობა გამორეოდა. „მგონი მართლა გვიანია“, თქვა ჯომ. მერე, უეცრად, რაღაც შეიცვალა. ქალი ჯოს არ უცქერდა, მაგრამ მაინც იგრძნო რაღაც, იქამდე იგრძნო, ვიდრე იმის მკაცრ ხმას გაიგონებდა: „მაინც რა ავადმყოფობაა ეგეთი?“

ქალმა მაშინვე არ უპასუხა. მერე ჩუმად, თავჩაქინდრულმა უთხრა: „შენ ჯერ შეყვარეული არ გყოლია. თავს მოვიჭრი, თუ ეგრე არ იყოს“. ჯოს ხმა არ ამოუღია. „ხომ სწორი ვარ?“ არც ახლა უპასუხა. ქალი შეირხა. პირველად შეეხო ჯოს. მიუახლოვდა და ორივე ხელი მსუბუქად წაავლო მკლავზე. ჯო ზემოდან დასცქეროდა და ქალის ჩაქინდრული, თითქოს დაბადებიდანვე კისერზე ასე, ოდნავ მრუდედ დასმული თავის მუქ სილუეტს ხედავდა. მერე ქალმა ყველაფერი

დაუფარავად უთხრა, გაჭირვებით, წვალებით, ალბათ, იმ ერთადერთი სიტყვებით, რაც იცოდა. მაგრამ ყველაფერი ეს, ჯოს უკვე მოსმენილი ჰქონდა, უკვე უკან დაბრუნებულიყო, მოკლულ ცხვარზე, გადახდილ საზღაურზე კიდევ უფრო უკან, იმ საღამოში გადაბარგებულიყო, ბიჭებთან ერთად, ნაკადულის პირას რომ იჯდა, არა იმდენად გულდაწყვეტილი ან გაოცებული, რამდენადაც შეურაცხყოფილი. მკლავი უხეშად გაითავისუფლა. ქალს არ სჯეროდა, გარტყმას თუ უპირებდა; სინამდვილეში, სულ სხვას ვარაუდობდა. მაგრამ, ამით შედეგი არ შეცვლილა. ბნელ გზას შერწყმულ, უკვე ლანდად, ჩრდილადქცეულ ჯოს რომ გასცქეროდა, დარწმუნებული იყო, გარბისო. მერე ჯო მთლად მიეფარა თვალს, ოღონდ, ცოტა ხანს, იმისი ფეხის ხმა კიდევ ისმოდა. ქალი მაშინვე არ დაძრულა ადგილიდან. ისევე იდგა, როგორც ჯომ დატოვა, უძრავად, თავჩაქინდრული, თითქოს წუთის წინ ნაწვნევ დარტყმას ელოდა ისევ.

ჯო კი არ მირბოდა. თუმცა, გაჩქარებული მიაბიჯებდა, სულ სხვა მხარეს, არა შინისაკენ, არა ხუთი მილის იქით დარჩენილი სახლისკენ, რომლის ფანჯრიდანაც გადმომხტარიყო და ჯერ არ იცოდა, ხელახლა როგორ შეაღწევდა შიგ, სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა გზას, მერე გზიდან გადაუხვია, ღობეს გადაევლო და ხნულებში გადავიდა. კვლებში რაღაც ეთესა. უფრო შორს ტყე იწყებოდა, ხეები ჩანდა. ტყეს მიაღწია და შიგ შევიდა, ხეთა უხეში ღეროების, გადახლართული ტოტების მკვრივ, მძაფრსურნელოვან, უკუნ სიბნელეში შეაბიჯა. გამოქვაბულში მოხვედრილივით თვალებდაბინდული და ალღოს მინდობილი, თითქოს მთვარის შუქით გადათეთრებულ, თანდათან შორეთში გაუჩინარებულ, რბილკონტურებიან ლარნაკთა უსასრულო რიგს ხედავდა. ამ ლარნაკთაგან არცერთი არ იყო მთელი. ყველა დამსკდარიყო, დაბზარულიყო და თითოეული ბზარიდანაც რაღაც თხევადი, სიკვდილისფერი, ბინძური მოჟონავდა. ჯო ხეს შეეხო, მკლავები წინ გაიწვდინა და მიებჯინა, თან ჩარიგებულ, მთვარით განათებულ ლარნაკებს არ აშორებდა თვალს. მერე არწყია.

ერთი კვირის შემდეგ, მომდევნო ორშაბათს, უკვე თოკი ჰქონდა ნაშოვნი. ქალს იმავე ქუჩის კუთხეში ელოდებოდა; ახლაც ძალიან ადრე მოსულიყო. მერე ქალი დაინახა. მოვიდა, მოუახლოვდა, — მეგონა, არ დამხვდებოდიო — უთხრა.

„მართლა?“ ქალს მკლავში წაავლო ხელი და ქუჩას დაღმა დაუყვნენ.

„სად მივდივართ?“ — ჰკითხა ქალმა. არაფერი უპასუხა, ისევ ხელჩაკიდებული მიჰყავდა. ქალიც, არ ჩამოვრჩეო და, ნაბიჯს უჩ-

ქარებდა. უხერხულად მიაბიჯებდა: სწორედ ის აბრკოლებდა ცხოველს, რაც ცხოველისგან გამოარჩევდა: მაღალი ქუსლები, კაბა, სიპატარავე. გზიდან გადაიყვანა და უხეშად უბიძგა იმ ღობისკენ, თვითონ რომ გადაევლო ამ ერთი კვირის წინ. „მოიცა“, თქვა ქალმა, აქოშინებულს სიტყვები თითქოს სცვიოდა პირიდან. „ღობეა... არ შემიძლია...“ ჯომ ღობეს გადააბიჯა, ქალი დაიხარა, მავთულხლართებს შორის დააპირა გაძრომა, მაგრამ კაბა რაღაცას გამოსდო. ჯო მიეხმარა, კაბის გამოთავისუფლება სცადა, ფხრეწის ხმა გაისმა.

„ახალს გიყიდი“, უთხრა ჯომ. ქალს არაფერი უთქვამს. მიენდო, ნება მისცა ნათესებისკენ, კვლებისკენ, ტყისკენ, ხეებისკენ წაეყვანა თუ წაეთრია.

კოხტად დაგრაგნილ თოკს იმავე ბოლოამძვრალი ფიცრის უკან მალავდა სხვენში, თავის ოთახში, სადაც მისის მაკიჰერნი ინახავდა ხუთ და ათცენტიანებს, ოღონდ, ქალმა არ იპოვოსო, თოკს უფრო ღრმად ტენიდა ხოლმე ხვრელში. სწორედ მისის მაკიჰერნმა უკარნახა ეს აზრი. და ზოგჯერ, როცა ბებერი ცოლ-ქმარი უკვე ქვევით, თავიანთ ოთახში ფშვინავდა ხოლმე, ის კი სამალავიდან ჩუმად იღებდა გალურსულ თოკს, ამ პარადოქსზედაც ფიქრობდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ყველაფერში გამოსტეხოდა ქალს, ეჩვენებინა, სად ინახავდა საკუთარი ცოდვის იარაღს და დიდი მადლობაც ეთქვა, ეს რა კარგად მასწავლე, სად და როგორ დავუმალო ძვირფას მამობილს დასამალიო. მაგრამ იცოდა, ქალს ისევ და ისევ დახმარების სურვილი გაუჩნდებოდა; ჯოს შეცოდებაზეც თვალს დახუჭავდა, ოღონდ კი თვითონ რამენაირად შეეწყო ხელი ცოდვის დამალვა-დაფარვაში; ბოლოს და ბოლოს, ისეთ ფაცაფუცს ასტეხდა, ისეთ ჩურჩულსა და თვალის პაჭუნს დაიწყებდა, თავისდა უნებურად მაკიჰერნსაც გაუჩნდებოდა რაღაცის ეჭვი.

ასე ჩუმჩუმად დაიყო ქურდობა. ოფიციანტს ჯოსთან ფული არასოდეს უხსენებია, ქურდობისაკენ, ალბათ, არ უბიძგია. შეიძლება, ჯოც ვერ ხვდებოდა, სიამოვნების საფასურს თუ იხდიდა. უბრალოდ, წლების მანძილზე ხედავდა, როგორ მალავდა მისის მაკიჰერნი ფულს ერთსა და იმავე ადგილას. მერე, ერთ მშვენიერ დღეს, თვითონაც გამოუჩნდა დასამალი. გამოუჩნდა და სადაც ყველაზე საიმედო სამალავი ეგულებოდა, იქ დამალა კიდეც. თანაც, რამდენჯერაც თოკის აღება ან ძველ ადგილას დაბრუნება დასჭირდებოდა, იმდენჯერ ხელში ჯერ ფულიანი თუნუქის ყუთი მოხვდებოდა ხოლმე.

პირველად ორმოცდაათი ცენტი აიღო. ცოტა ხანს იყოყმანა, ვერ გადაეწყვიტა — ორმოცდაათი აეღო თუ ოცდახუთი. ბოლოს, მაინც ორმოცდაათი ამჯობინა, სწორედ ამდენი სჭირდებოდა და იმიტომ. ამ ფულით ძველი, ბუზნაჯდომი კანფეტის ყუთი იყიდა ვიღაც კაცისგან, ვისაც კანფეტი დუქანში, ღონის საზომზე მოეგო ათ ცენტად. კანფეტი ოფიციანტს მიართვა. ეს იყო პირველი საჩუქარი. ისეთი სახით მიართვა, თითქოს მანამდე არავის არასოდეს არაფერი მიეტანოს ქალისთვის. როცა თავისი დიდი ხელებით ჭყეტელა, გაცვეთილი ყუთი გამოართვა, ქალსაც ცოტა უცნაური სახე ედო. საწოლზე იჯდა, თავის საძინებელ ოთახში, პატარა სახლში, სადაც მაქსთან და მეიმთან ერთად ცხოვრობდა. დაახლოებით ერთი კვირით ადრე კი, საღამოხანს, მაქსი შევიდა მასთან. ქალი იხდიდა, მაშინაც საწოლზე იჯდა და წინდებს იძრობდა. მაქსი ბიუროს მიეყრდნო, თან სიგარეტს ეწეოდა.

„მდიდარი ფერმერი“, თქვა მაქსმა, „ჯონ ჯეიკობ ასტორი ბოსლიდან“.

ქალმა რაღაც აიფარა, საწოლიდან არ წამომდგარა, გაქვავებული, თავჩაქინდრული იჯდა. „აკი ფულს მიხდის“.

„რამდენს გიხდის? ის ხუთცენტიანი ჯერ არ დაუხარჯავს?“ მაქსმა ქალს შეხედა. „მაშ, მემფისიდან ტეტიების საამებლად ჩამომიყვანიხარ. იქნებ, საჭმელიც უფასოდ მივართვა?“

„მე იმას სამუშაოდან თავისუფალ დროს ვხვდები“.

„კი, ბატონო, განა გიშლი. უბრალოდ, საცქერლადაა საზიზღარი. ღლაპი, თავის დღეში ერთად დოლარიც არ უნახავს. არადა, ქალაქი სავსეა კარგი ბიჭებით. პატივისცემას არ მოგაკლებდნენ“.

„იქნება მომწონს. ეგ არ გიფიქრია?“

კაცმა ისევ შეხედა, თვალი შეავლო საწოლზე ჩამომჯდარი ქალის ჩაქინდრული, უძრავი თავის კორტოხს, კალთაში დაკრეფილ ხელებს. თვითონ ისევ ბიუროს მიყრდნობილი ეწეოდა. „მეიმ!“ დაიძახა უცებ. „მეიმ! ერთი აქ მოდი“, — გაიმეორა ცოტა ხანში. სახლს თხელი კედლები ჰქონდა. ისმოდა, როგორ აუჩქარებლად დაუყვა ზონზროხა, ქერა ქალი დერეფანს. მერე ოთახში შემოვიდა. „ერთი ამას მოუსმინე“, უთხრა კაცმა. „გესმის, რას ამბობს? იქნება, ყველაზე ძალიან ის მომწონსო. ღმერთმანი, რომეო და ჯულიეტაა!“

ქერა ქალმაც ოფიციანტის ჩამუქებულ კორტოხს შეხედა. „მერე შენ რა გინდა?“ ჰკითხა კაცს.

„არაფერი. მშვენიერია. მაქს კონფრეი წარმოგიდგენთ მის ბობი ალენს, ყმაწვილკაცობის უანგარო მეგობარს!“

„გადი აქედან“, უთხრა ქერა ქალმა.

„კი ბატონო, მივდივარ. მე მხოლოდ ხუთი ცენტის ხურდა მოვუტანე“. მაქსი ოთახიდან გავიდა. ოფიციანტი არ განძრეულა. ქერა ქალი ბიუროს მიუახლოვდა და ზედ დაეყრდნო, თან ოფიციანტის ჩაქინდრულ თავს უცქერდა.

„გიხდის მაინც რამეს?“ — ჰკითხა ოფიციანტს.

ის არ განძრეულა. „კი. მიხდის“.

ქერა ქალი თვალს არ აცილებდა, მაქსივით ბიუროს მიყრდნობილი. „მემფისიდან ამოდენა გზა გამოიარო, ჩამოეთრე და არაფერის გულისათვის“.

ოფიციანტი არ განძრეულა. „მე მაქსს არაფერს ვუშავებ.“

ქერა ქალი იმის ჩაქინდრულ თავს შესცქეროდა. მერე შეტრიალდა, კარებისკენ გადადგა ნაბიჯი. „ეცადე, არც მერე დაუშავო“, უთხრა ოფიციანტს, „უსასრულო არაფერია. პატარა ქალაქებშიც დიდხანს არ ითმენენ ასეთ ამბავს. მე ვიცი. თვითონაც ასეთ ქალაქში დავიბადე“.

საწოლზე ჩამომჯდარ ოფიციანტს იაფფასიანი, ჭყეტელა ყუთი ორივე ხელით ეჭირა, ახლაც ზუსტად ისე იჯდა, როგორც მაშინ, როცა ქერა ქალი ელაპარაკებოდა. თუმცა, ახლა უკვე ჯო მიყრდნობოდა ბიუროს, ახლა ის შესცქეროდა საწოლზე ჩამომჯდარს. ქალს უცებ სიცილი აუვარდა. თავისი სახსრებშეშუპებული ხელებით მაგრად ჩაებღუჯა ჭრელა-ჭრელა ყუთი და იცინოდა. ჯო იდგა და თვალს არ აშორებდა. არც მაშინ მოუშორებია, ქალი საწოლიდან რომ წამოდგა და თავჩაქინდრულმა გვერდზე ჩაუარა. მერე ოთახიდან გავიდა და — მაქსო — დაიძახა. ჯოს მაქსი მხოლოდ რესტორანში ჰყავდა ნანახი, ქუდიანი, ჭუჭყიანწინსაფრიანი. ახლა, ოთახში რომ შემოვიდა, სიგარეტსაც კი არ ეწეოდა. ჯოს ხელი გამოუწოდა. „როგორა ხარ, რომეო?“

ჯომ ხელი ჩამოართვა, თუმცა ჯერ ხეირიანად ვერც მიმხვდარიყო კაცის ვინაობას. „მე ჯო მაკიჰერნი მქვია“, უთხრა მაქსს. ქერა ქალიც შემოსულიყო, რესტორნის გარეთ იმასაც პირველად ხედავდა. შემოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება და ახლაც თვალს ადევნებდა, ოღონდ არც ის გამოჰპარვია, როგორ გახსნა ოფიციანტმა კანფეტის ყუთი. მერე ყუთი შემოსულებს გაუწოდა.

„აი, ჯომ მომართვა“, თქვა მან.

ქერა ქალმა ყუთს დახედა, ერთხელ. კანფეტისთვის ხელი არ უხლია. — გმადლობთო — თქვა. კაცმაც შეხედა ყუთს, ოღონდ კანფეტი არც იმას აუღია. „კარგია, კარგი“, თქვა კაცმა. „ზოგჯერ საშობაო დღესასწაული დიდხანს გრძელდება ხოლმე. არა, რომეო?“ ჯო ოდნავ მოშორდა ბიუროს. ადრე ამ სახლში არასოდეს ყოფი-

ლა კაცს შემრიგებლური, ცოტა არ იყოს დაბნეული თვალებით ჭყეტრებდა, შეშფოთება არ ეტყობოდა, ყურადღებით აკვირდებოდა იმის იდუმალებით მოცულ, ბერის სახეს. კრინტი არ დაუძრავს, მერე, ოფიციანტმა დაარღვია სიჩუმე:

„თუ არ მოგწონთ, ნუ შეჭამთ“. ჯო მაქსს უცქერდა, იმის სახეს აკვირეებოდა, თან ოფიციანტის ხმა ესმოდა, გალახული ხმა: „არც თქვენ, და საერთოდ, არავის არაფერი უშავდება... მეც ხომ მაქვს თავისუფალი დრო...“ ჯო არც იმას უყურებდა და არც ქერა ქალს. მაქსს არ აშორებდა თვალს, შემრიგებლურად, დაბნეული შესცქეროდა, ოღონდ, შეუშფოთებლად. მერე, ქერა ქალმაც ამოიღო ხმა; ყველანი ჯოზე კი ლაპარაკობდნენ, თანაც ჯოს თანდასწრებით, მაგრამ, ალბათ, ისიც იცოდნენ, ჯოს მათი ენა რომ არ გაეგებოდა.

„წამო, გავიდეთ“, თქვა ქერა ქალმა.

„ღმერთო ჩემო, გავიდეთ, აბა რა?!“ თქვა მაქსმა. „ისე, კი მინდოდა რომეოსთვის ერთი ჭიქა შემეთავაზებინა“.

„რა იცი, რომ უნდა?“ თქვა ქერამ. მერე, უკვე ჯოს მიმართა, ოღონდ, მაინც ისევ თითქოს მაქსს ელაპარაკებოდა. „გინდათ დალევა?“

„იმდღევანდელივით ნუ დატანჯავ. უთხარი, ჩვენ გპატიჟებთ-თქო“.

„რა ვიცი“, თქვა ჯომ, „არასოდეს დამილევია“.

„ხედავ, მიჩვეული არ არის სხვის ხარჯზე ქეიფს“, თქვა მაქსმა. „ღმერთო, ნუ გამაგიჟებ“. რაც ოთახში შემოვიდა, ჯოსთვის ერთხელაც არ შეუხედავს. ისევ ერთმანეთში საუბრობდნენ, ჯოზე, ჯოს შესახებ, ჯოსთვის გაუგებარ ენაზე.

„წამო“, თქვა ქერა ქალმა. „წამო, გეყოფა“.

ოთახიდან გავიდნენ. ქერა ქალს ჯოსთვის საერთოდ არ შეუხედავს, არც კაცს შეუხედავს აშკარად, თუმცა, მისი არცერთი მოძრაობა არ გამოჰპარვია. ჯო და ოფიციანტი ოთახში მარტონი დარჩნენ. ჯო ისევ ბიუროსთან იდგა. თავჩაქინდრული ქალი შუა ოთახში გარინდულიყო, ხელში კანფეტის გახსნილი ყუთი ეჭირა. ვიწრო ოთახი იყო, ჩახუთული, სუნამოს სურნელგამჯდარი. ჯო ადრე არასოდეს ყოფილა აქ და არც სჯეროდა, ოდესმე თუ ეღირსებოდა აქ მოსვლა. ფანჯრებზე ფარდები ეფარა. მავთულზე ერთადერთი ნათურა ენთო, აბაჟურად სიმხურვალისგან გაყავისფრებული ჟურნალის ფურცელი გამოეყენებინათ. „კარგი“, თქვა ჯომ, „დაწყნარდი“. ქალი არც განძრეულა, არც პასუხი გაუცია. ჯო კი სიბნელეზე ფიქრობდა, ფანჯრებს იქით ჩამოწოლილ ღამეზე, სადაც ადრე მარტონი რჩებოდნენ ხოლმე. „წამო, წავიდეთ“, უთხრა ქალს.

„სად წავიდეთ?“ ჰკითხა ქალმა. ჯომ გაკვირვებულმა შეხედა. „სად წავიდეთ? რისთვის?“ ჯო ჯერ ვერაფერს ხვდებოდა. დაინახა, როგორ მივიდა ქალი ბიუროსთან და კანფეტის ყუთი ბიუროზე დადო. მერე გახდა დაიწყო, კი არ იხდიდა, თითქოს ტანზე იხევდა ტანსაცმელს და იატაკზე ისროდა.

„აქ? ამ ოთახში?“ ჰკითხა ჯომ. შიშველს პირველად ხედავდა ქალს, თუმცა, უკვე მთელი თვე მისი საყვარელი იყო. აქამდე ისიც კი არ იცოდა, რისი ნახვა ელოდებოდა.

იმ ღამეს ბევრი ილაპარაკეს. სიბნელეში იწვნენ და საუბრობდნენ, უფრო სწორად, მარტო ჯო ლაპარაკობდა. თან განუწყვეტლივ ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში, ღმერთო, ღმერთო, მაშ, აი, თურმე რა ყოფილაო. თვითონაც შიშველი იწვა ქალის გვერდით, ეფერებოდა და მხოლოდ ქალზე ლაპარაკობდა. მის სადაურობაზე ან მის ადრინდელ საქმიანობაზე კი არა — სხეულზე, თითქოს ჯომდე მსგავსიც არავის არაფერი ჩაედინოს არც ამ ქალთან და არც სხვასთან. თითქოს ლაპარაკში ქალის სხეულსაც სწავლობდა, ბავშვურ ცნობისმოყვარეობას აყოლილი. ქალმა უთხრა, რაც სჭირდა იმ პირველ ღამეს. მაგრამ ახლა მის ნათქვამს ჯოზე აღარ უმოქმედია. სიშიშვლის, ქალის შიშველი სხეულისა არ იყოს, მანამდე თითქოს ესეც არ არსებობდა. მერე თვითონაც უამბო ყველაფერი, რაც იცოდა, რაც საამბობლად მიაჩნდა, ზანგი გოგოს ამბავიც მოუყვა, სამი წლის წიანადელი, საღამოხანს, სამხერხაოს ფარდულში მომხდარი. ქალის გვერდით იწვა, ეფერებოდა და მშვიდად, აუღელვებლად ჰყვებოდა. იქნებ, არც იცოდა, უსმენდა თუ არა ქალი. მერე ჰკითხა, ჩემს კანს, ჩემს თმას თუ დააკვირდიო, და პასუხის მოლოდინში მისი ხელი ქალის შიშველ სხეულზე გაირინდა.

ქალიც ჩურჩულით ლაპარაკობდა. „კი. ვიფიქრე, უცხოელი იქნება-მეთქი. ჩვენებური არ მეგონე“.

„არა. უცხოელობა არაფერ შუაშია. ვერ გამოიცნობ“.

„რას? რას ვერ გამოვიცნობ?“

„შენ თვითონ მიხვდი“.

ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. სიჩუმე იდგა, სიმშვიდე; ირგვლივ უკვე შეცნობილი, სურვილახდენილი, ჟინმოკლული ღამე გამეფებულიყო. „ვერ ვხვდები, მაინც ვინ ხარ ასეთი?“

ნელ-ნელა, დუნედ ეფერებოდა უხილავ მხარზე. პასუხს აყოვნებდა. ქალის გაწვალება არ სდომებია. უბრალოდ, ვერ გადაეწყვიტა სიტყვის გაგრძელება. ქალმა კითხვა გაუმეორა. მერეღა უთხრა — მგონი ზანგური სისხლი უნდა მერიოსო.

ქალი ახლა ერთიანად გახევებული, რაღაც სხვანაირად უძრავი იწვა. თუმცა, ჯო ამას, ალბათ, ვერც ამჩნევდა. ქალის მხარზე ზანტად დააცურებდა ხელს აღმა-დაღმა. „რა უნდა გერიოს?“

„მე მგონი, ზანგის სისხლი უნდა მერიოს“. თვალები დახუჭული ჰქონდა, ხელს არ აჩერებდა, ნელ-ნელა უსვამდა ქალს. „ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია“.

ქალი არ განძრეულა. ოღონდ მაშინვე უთხრა: ტყუილს ამბობო.

„ჰო, კარგი“, თქვა ჯომ, არც ის განძრეულა, ხელს კი მაინც არ აჩერებდა.

„მე ეგ არა მჯერა“, ისევ გაისმა სიბნელეში ქალის ხმა.

„შენი ნებაა“, თქვა ჯომ, ხელი არც ახლა გაუჩერებია.

მომდევნო შაბათს კიდევ ნახევარი დოლარი მოაკლო მისის მაკიჰერნის საგანძურს და ფული ოფიციანტს მისცა. ერთ-ორ დღეში უკვე ყველა საფუძველი ჰქონდა ერწმუნა, მისის მაკიჰერნმა ფულის გაქრობა შეამჩნია და ეჭვიც ჩემზე აქვსო. ასე იმიტომ იფიქრა, ქალი ჯიუტად რომ ცდილობდა მის დამარტოხელებას, თანაც, ჯოს ღრმა რწმენით, სწორედ ისეთ დროს, როცა ქმარი ლაპარაკს ვერ გააწყვეტინებდა. ბოლოს, დაიმარტოხელა კიდეც, ჯოც გაუჩერდა და უტიფრად მიაჩერდა. ქალი თვალს ვერ უსწორებდა და სუსტი, გაპარული ხმით ლაპარკობდა: „მე ვიცი, ახალგაზრდა კაცი სიმწიფეში რომ შედგამს ფეხს, ფული სჭირდება ხოლმე. უფრო მეტი, ვიდრე მა... ვიდრე მისტერ მაკიჰერნი გაძლევს...“ სანამ არ გაჩუმდა, ჯოს მისთვის თვალი არ მოუშორებია, დაეცადა, ვიდრე ნელ-ნელა, თანდათანობით, ბოლომდე არ ჩაკვდა ქალის ხმა. ელოდა კიდეც, როდის ჩაკვდებოდა, და მერეღა უთხრა:

„ფული? ფული რად მინდა?“

კიდევ ერთი კვირის შემდეგ, მეზობელს შეშა დაუჩეხა და ასე იშოვა ორი დოლარი. მაკიჰერნს ტყუილი უთხრა, არ გაუმხილა, სად მიდიოდა, რისთვის, რა საქმეზე. ფული ახლაც ოფიციანტს მისცა. თუმცა, შეშის ამბავი მაკიჰერნმა მაინც გაიგო. ოღონდ, ალბათ იფიქრა, ჯომ ფული სადმე გადამალაო. შეიძლება, მისის მაკიჰერნმაც უთხრა ასე.

კვირაში სულ ცოტა ორ ღამეს მაინც, ჯო ოფიციანტი ქალის ოთახში ატარებდა. თავიდან არც უფიქრია, მასავით სხვაც თუ შემოდიოდა ამ ოთახში. ეტყობა, სჯეროდა, ჩემთვის, ჩემ საამებლად, რაღაც უცნაურ გამონაკლისს თანხმდებიანო. თან სულ იმას ფიქრობდა, როგორმე მაქსი და მეიმიც უნდა შემოვირიგოო — ქალთან ურთიერთობის გამო კი არა, უბრალოდ, იმათ სახლში დადიოდა და ასე მიაჩნდა სწორად. მაგრამ, აღარცერთისთვის აღარ მოუკრავს თვა-

ლი, თუმცა გრძნობდა, განუწყვეტლივ გრძნობდა მათ არსებობას. თვითონ ზუსტად ვერ იტყოდა, იმათაც იცოდნენ თუ არა მისი ღამეული სტუმრობების შესახებ, იცოდნენ თუ არა, ისევ რომ დადიოდა აქ, ამ სახლში, იმღამინდელი კანფეტის ამბის შემდეგ.

ერთმანეთს, ჩვეულებრივ, ქუჩაში ხვდებოდნენ, მერე ან სადმე სხვაგან მიდიოდნენ, ანდა ქალის სახლისაკენ გაუყვებოდნენ ხოლმე ნელ-ნელა გზას. შეიძლება, ბოლომდე ეგონა, მე ავაწყვე საქმე ასეო. ერთ საღამოს კი ქალი დათქმულ ადგილას არ მოვიდა. იქამდე უცადა, ვიდრე სასამართლოს საათმა თორმეტი არ დაჰკრა. მერეღა გაემართა ქალის სახლისკენ. ადრე არასდროს მოქცეულა ასე, თუმცა, ვერც იმას იხსენებდა, როდისმე მაინც რომ ეთქვას ქალს, უჩემოდ ჩვენთან ნუ მოხვალო. ამიტომაც წავიდა, თან დარწმუნებული იყო, სახლი ჩაბნელებული და დაძინებული დაუხვდებოდა. ბნელში მართლაც ჩანთქმულიყო, ოღონდ ძილისა ნამდვილად არაფერი ეტყობოდა. მაშინვე მიხვდა, იმასაც მიხვდა, ქალის ოთახის ჩამუქებულ ფარდებს მიღმაც რომ არ ეძინათ და მარტო რომ არ იყო ოთახში ქალი. ვერ იტყოდა, საიდან იცოდა ამდენი. და ვერც იმას აღიარებდა ხმამაღლა, რაც იცოდა. — ალბათ მაქსიაო, ფიქრობდა. — აბა, სხვა ვინ იქნებაო. მაგრამ, არც ასეთი მიამიტი გახლდათ. უკვე იცოდა, ვინც სწვეოდა ქალს. ორი კვირა აღარ უნახავს ოფიციანტი, თუმცა, დარწმუნებული იყო, მელოდებაო. მერე, ერთ საღამოსაც დათქულ ადგილას დახვდა და უსიტყვოდ, გაუფრთხილებლად გაარტყა, მაგრად, გამეტებით. უკვე საბოლოდ ერწმუნა ის, რისი დაჯერებაც აქამდე ასე უჭირდა. „ააახ“, შეჰყვირა ქალმა. ჯომ ისევ გაარტყა. „აქ ნუ!“ დაიჩურჩულა ქალმა. „აქ ნუ!“ მერე დაინახა, ქალი ტიროდა. თვითონ, რაც თავი ახსოვდა, არასოდეს ეტირა. ახლა კი თვითონაც ატირებულიყო, თან ისევ ურტყამდა და აგინებდა. მერე ქალი მოეხვია. მაშინ კი ცემასაც დაეკარგა აზრი. „კარგი, გეყოფა“, აწყნარებდა ქალი. „გეყოფა, კარგი“.

მთელი ღამე იმ ქუჩის კუთხეში გაატარეს. აღარსად წასულან. ჭუჭყიანი ბალახით დაფარულ ფერდობზე ისხდნენ და საუბრობდნენ. ამჯერად უკვე ქალი ლაპარაკობდა, ქალი უამბობდა. ბევრი არაფერი ჰქონდა საამბობი. ახლა ჯოსაც აეხილა თვალი, ჯომაც დაინახა ის, რაც, თურმე, ადრეც იცოდა სულ: რესტორანში უსაქმოდ შეყრილი კაცები, გვერდით ჩავლილ ოფიციანტთან გამოლაპარაკებისას აცმუკებული იმათი სიგარეტები, და თვითონ ოფიციანტიც, დაუღალავად აქეთ-იქით მოცუხცუხე, თავჩაქინდრული, დამცირებული. ქალს უსმენდა და თითქოს მიწის სურნელების ჩამ-

ხშობი, ყველა იმ უცნობი და უსახელო კაცის მძაფრი სუნი სცემდა. ქალს ახლაც, ლაპარაკისას, თავი ჩაექინდრა და დიდი ხელები უძრავად დაეკრიფა კალთაში. ჯო ვერ ხედავდა. თუმცა, ანკი რად უნდოდა დანახვა. „მეგონა იცოდი“, თქვა ქალმა.

„არა“, თქვა ჯომ, „საიდან?“

„ასე მეგონა“.

„არა“, გაიმეორა ისევ, „არაფერი ვიცოდი“.

ორი კვირის მერე წევა დაიწყო — სახეს ბოლს არიდებდა და ისე ეწეოდა სიგარეტს. სვამდა კიდეც. მაქსთან და მეიმთან ერთად, ღამღამობით — ზოგჯერ, სამი-ოთხი სხვა კაციც შეუერთდებოდათ ხოლმე და, ჩვეულებრივ, ერთი ან ორი ქალი, ხან ქალაქელები, მაგრამ, უფრო ხშირად უცხოები — მემფისიდან ჩამოსულები, ისინი, ვინც ქალაქში ერთ კვირას ან ერთ თვეს რჩებოდნენ, ოფიციანტებად მუშაობდნენ, დახლს უკან იდგნენ რესტორანში, სადაც დილიდან დაღამებამდე არ ილეოდნენ უსაქმური კაცები. ახალი ნაცნობ-მეგობრების სახელებიც კი არ იცოდა ხშირად, თუმცა მათსავით ქუდის გვერდზე მოგდება კი კარგად ისწავლა; ღამღამობითაც, მაქსის სასადილო, ფარდებჩამოფარებულ ოთახშიც ასე გვერდზე ქუდმოგდებული იჯდა და სხვებთან, სხვების თანდასწრებით, ოფიციანტზე ლაპარაკობდა, ხმამაღლა, მთვრალი, სასოწარკვეთილი, ჯერაც ბავშვური ხმით; ზოგჯერ, არც ერიდებოდა და — ჩემი ბოზიაო — ამბობდა ქალზე. რამდენჯერმე მაქსის მანქანით ცეკვებზეც იყვნენ, ქალაქგარეთ, ოღონდ ძალიან ფრთხილობდა, ეშინოდა მაკიჰერნს არ გაეგო ეს ამბავი. „არ ვიცი, რა უფრო მეტად გადარევს“, უთხრა ქალს, „შენთან ნაცნობობა თუ ცეკვებზე სიარული“. ერთხელ, ისე დათვრა, ისეთ დღეში ჩავარდა, ლოგინამდე ძლივს მიიყვანეს, გასაცოდავებულს სწორედ იმ ჭერქვეშ გაათევინეს ღამე, ერთ დროს საოცნებოდ რომ ჰქონდა გამხდარი. სისხამ დილით ოფიციანტმა მანქანით მიიყვანა შინ, რათა თავის ოთახში დაბრუნება დროზე მოესწრო. მთელი ის დღე მაკიჰერნი კუშტად, მკაცრად, მაგრამ თან მაინც მოწონებით ადევნებდა თვალს.

— ეგ კი კარგი, ოღონდ ჯერ მაინც თავზესაყრელი დრო გაქვს, ის უშობელი სანანებლად გამიხადოო, უთხრა ბოლოს.

- IX -

მაკიჰერნი ბნელ ოთახში ცოლის გვერდით იწვა და თვალზე რული არ ეკარებოდა. ცოლი კარგა ხნის დაძინებული ეგონა, თვითონ კი დაძაბულად, გამალებით ფიქრობდა, — კოსტუმი ჩანაცვამია. ოღონდ როდის ჩაიცვა? დღისით ვერ მოახერხებდა, შაბათ საღამოს თუ არ ჩავთვლით, სულ ჩემ თვალწინ ტრიალებს. თუმცა სწორედ შაბათს შეეძლო ბოსელში შესულიყო, ტანსაცმელი გაეხადა, დაემალა და ახლებში გამოწყობილიყო, ახალი კოსტუმი ჩაეცვა, რომელიც ალბათ, ალბათ კი არა, ნამდვილად მხოლოდ და მხოლოდ ცოდვის იარაღად სჭირდებოდაო. ფიქრობდა და თითქოს უკვე იცოდა კიდეც ყველაფერი, თითქოს ვიღაცას ეთქვა. სხვა აზრი არ არსებობდა — ჯო მალულად და თანაც, უეჭველია, მხოლოდ ღამღამობით იცვამდა ახალ ტანისამოსს. ხოლო, თუკი მართლა ასე იყო, ვერაფერი დაარწმუნებდა, ერთადერთი მიზნის, გარყვნილების გარდა, სხვა რამ თუ ამოძრავებდა ბიჭს. თვითონ არასოდეს ემრუშა, ეგ კი არა, ერთხელაც არ წაეძლია სულს, სხვისი მრუშობის ამბავი მოესმინა, სხვისი მონაყოლისთვის დაეგდო ყური. და მაინც, დაახლოებით ნახევარი საათის დაძაბული ფიქრის შემდეგ, თითქმის იმდენივე იცოდა ჯოს ნამოქმედარზე, გინდაც თვითონ ჯოს ეამბოს თავის თავგადასავალი, ყველაფერი იცოდა, რა თქმა უნდა, სახელებისა და მისამართების გარდა. ადვილი შესაძლებლია, ჯოს ნაამბობიც კი ვერ დაეჯერებინა, რადგან მისი ყაიდის კაცებს, სიკეთისა არ იყოს, ბოროტების მექნიზმზე, ბოროტების თეატრზეც მტკიცე, ურყევი რწმენა გააჩნიათ ჩვეულებრივ. ასე რომ, მისი ფანატიზმი და გამჭირახობაც ფაქტიურად გაერთიანდა, ოღონდ ფანატიზმი ოდნავ მეტ სიზანტეს იჩენდა, ცოტათი იგვიანებდა, რადგან როდესაც ჯო ლანდივით ჩამოსრიალდა თოკზე და მაკიჰერნების საძინებელი ოთახის მთვარით განათებულ ღია ფანჯარას ჩაუქროლა, მაშინვე ვერც იცნო. ანდა შეიძლება იცნო და თვალებს არ დაუჯერა, თუმცა თოკს მშვენივრად ხედავდა. ფანჯარასთან რომ მივიდა, ჯოს უკვე გვერდზე გადაეწია თოკი და მიება კიდეც, უკვე ბოსლისკენ მიაბიჯებდა. მაკიჰერნი ფანჯრიდან უცქეროდა და სწორედ იმგვარ, ბუნებრივ და სამართლიან აღშფოთებას შეეპყრო, რაც, ალბათ, მოსამართლემაც უნდა იგრძნოს, თუკი თვალს მოჰკრავს, როგორ გადახრილა წინ წუთი-წუთზე სასიკვდილო განაჩენის მომლოდინე მსჯავრდადებული და როგორ აფურთხებს მკლავზე სასამართლოს ბოქაულს.

შარასა და სახლს შუა, ბილიკზე, ჩრდილში დამალული ხედავდა, როგორ იდგა ჯო გზის შესაყართან. იმანაც გაიგონა მანქანის ხმა და ისიც დაინახა, როგორ მიუახლოვდა მანქანა ჯოს, გაუჩერდა და მერე თან გაიყოლა. იქნებ არც აინტერესებდა, სხვა ვინ იჯდა მანქანაში. იქნებ უკვე იცოდა კიდეც და იმის გარკვევაღა სურდა, საითკენ წავიდოდა. თუმცა, შეიძლება სჯეროდა, ესეც ვიციო, რადგან მანქანას ათასი წასასვლელი ჰქონდა, ამ მხარეში შესაფერის ადგილებსა და მათკენ მიმავალ გზებს რა გამოლევდა. ალბათ, მართლა ასეც იყო, იმიტომ რომ ისევ სახლისაკენ იბრუნა პირი და აჩქარებული გაემართა იქით, ისევ იმ ბუნებრივი, ისევ იმ სამართლიანი აღშფოთებით შეპყრობილი, დარწმუნებული, გზას რაღაც კიდევ უფრო დიდი, კიდევ უფრო ბუნებრივი აღშფოთება გამაგნებინებსო და დროც არ დამრჩება ჩემს უნარში დასაეჭვებლადო. ქეჩის ჩუსტებში ფეხებწაყრილი, უქუდო, შარვალში ღამისპერანგჩატანებული, აჭიმებჩამოყრილი, შურდულივით პირდაპირ თავლისკენ გაქანდა და თავისი დიდი, ბებერი, ღონიერი თეთრი ცხენი შეკაზმა, ისევ ბილიკზე გამოვიდა და მძიმე-მძიმე ჭენებით დაუყვა ბილიკს შარაგზისაკენ, არ შეჩერებულა, თუმცა, როცა უკვე ეზოდან გამოდიოდა, სამზარეულოს კართან მოვარდნილი მისის მაკიჰერნი რაღაცას მოსძახოდა. შარაგზაზეც აუჩქარებელი, ისეთივე მძიმე-მძიმე ჭენებით გადაუხვია: ორივე, კაციც და პირუტყვიც, ოდნავ გახევებულნი, წინ წახრილიყვნენ, თითქოს საშინელ სისწრაფეს ასახიერებდნენ, ოღონდ ჭეშმარიტი სისწრაფისა არაფერი ეტყობოდათ, რადგან საკუთარი ყოვლისშემძლეობისა და გამჭრიახობის იმ ცივ, უდრეკ და ურყევ რწმენას, რასაც ორივე თანაბრად ინაწილებდა, ეტყობა, არც გეზის ცოდნა სჭირდებოდა და არც სისწრაფე.

იმავე სიჩქარით მიადგა იმ ადგილსაც, რომელსაც ეძებდა, რომელიც უკვე ეპოვა ღამეში, ლამის ნახევარი ოლქის ფარგლებში, თუმცა დიდი გზის გავლა არც დასჭირვებია. ოთხი მილიც არ გაევლო, როცა წინიდან მუსიკის ხმა შემოესმა და მერე, გზის პირას, ერთოთახიან სახლში, სკოლის შენობაში, სინათლეც დაინახა. სკოლის ადგილსამყოფელი ადრეც იცოდა, ოღონდ ადრე არც შემთხვევა მისცემია და არც სურვილი გასჩენია გაეგო, ღამღამობით იქ ცეკვებიც თუ იმართებოდა. არადა, პირდაპირ წარაფს კი მიადგა ჭენებით, გაჩერებული მანქანების, ეტლების, შეკაზმული ცხენებისა თუ ჯორების ჩრდილებით მოფენილს, სკოლას რომ ერტყა გარს, და ლამის მანამდე გადმოხტა მიწაზე, ვიდრე ცხენს შეაყენებდა. ცხენი არც კი დაუბამს. გადმოხტა და ქეჩის ჩუსტებში ფეხებწაყრილი, აჭიმებ-

ჩამოყრილი, მრგვალთავიანი, მოკლე, ბლაგვ, ბრაზისაგან გაფშეკილ-წვერიანი პირდაპირ ღია კარებისკენ, ღია ფანჯრებისკენ გაიქცა, საიდანაც მუსიკა მოისმოდა, სადაც, ნავთის ლამპების შუქზე, რაღაც-ნაირი თავშეკავებული სილაღით ირეოდნენ მოცეკვავე ჩრდილები.

ოთახში შესული, თუკი საერთოდ ფიქრობდა რამეს, ალბათ სჯეროდა, თავად მებრძოლი მიქაელი მიბიძგებს, ის მიჩვენებს გზასო. ეტყობა, უეცარ შუქსა და ორომტრიალს მისთვის წამითაც არ მოუჭრია თვალი, რადგან გზას ჯიუტად, ჯიქურ, მუჯლუგუნებით მიიკვლევდა სახტად დარჩენილ მოცეკვავეთა შორის, ჯიუტად მი-არღვევდა განცვიფრებისა და უკვე გადმოსახეთქად გამზადებული აღშფოთების ტალღას იმ ყმაწვილისკენ, რომელიც ოდესღაც საკუ-თარი ნებით ეშვილა, რომლის აღზრდასაც ისე ეცადა, როგორც თვითონ მიაჩნდა სწორად. ჯო და ოფიციანტი ისევ ცეკვავდნენ, ჯო მამობილს ჯერ ვერ ხედავდა. ქალს მაკიჰერნი ერთის მეტად საერ-თოდ არც ენახა, თუმცა, შეიძლება სწორედ იმ ერთხელ დაამახს-ოვრდა, ანდა, ვინ იცის, იქნებ იმის ახლანდელი სახის ხილვაც საკმარისი იყო, მაშინვე რომ ეცნო. ასეა თუ ისე, ქალი ადგილზევე გახევდა და შეძრწუნებული მიაჩერდა მომავალს. მერე ჯოც შეტრი-ალდა. შეტრიალდა და ლამის შეეჯახა მაკიჰერნს. მაკიჰერნსაც მხ-ოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი ოფიციანტი და, ადვილი შესაძლებე-ლია, მრუშობაზე წამოწყებული საუბრისა არ იყოს, არც ის ჩაუთვ-ლია საკუთარი ყურადღების ღირსად. თუმცა, მაინც პირდაპირ ქალისკენ დააღერა თავი, ცოტა ხნით ჯოც კი გადაავიწყდა. „განვედ, იეზებელ!“ შესძახა მან. ქუხილივით გაისმა იმისი ხმა თავზარდ-აცემულ სიჩუმეში, ნავთის ლამპების ქვეშ შეგროვილ ხალხში, შუა გზაზე გაწყვეტილი მუსიკის გამოძახილში, ადრეული ზაფხულის მშვიდ, მთვარიან ღამეში. „შორს ჩემგან, როსკიპო!“

შეიძლება თვითონ ვერც ხვდებოდა, გიჟივით ვაწყდები აქეთ-იქით და ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობო. ადვილი შესაძლებელია, ეჩვენებოდა, ერთ ადგილას ვდგავარო — სამართლიანი, კლდესავით უდრეკი — არც არაფერი მაჩქარებს, არც ვბრაზობ, ჩემ ირგვლივ კი, ოთხსავე მხარეს, საცოდავ არსებათა სიმდაბლე დაბოგინობს, მრისხ-ანე, დამსჯელი ტახტის ჭეშმარიტი წარგზავნილის შიშით აკვნესე-ბულ-აკანკალებულიო. შეიძლება თავისი არც ეგონა ხელი, ყმაწვილს რომ მოხვდა სახეში, პატარაობიდანვე მის ჭერქვეშ, მისი პურით გამოზრდილსა და მისი ტანსაცმლით შემოსილს, შეიძლება სახე დარ-ტყმას რომ გაერიდა და მერე ისევ უწინდელ ადგილს დაუბრუნდა, უკვე იმ ბავშვის სახედაც ველარ აღიქვა, თუმცა, ეტყობა, ველარც ეს

ვააოცებდა, რადგან ახლა ბავშვის სახე სრულებით აღარ ადარდებ-და; ახლა თვალწინ სატანის სახე ედგა, ისიც კარგად ნაცნობი. და როცა ამ სახეს მიშტერებული ისევ ხელაღმართული დაიძრა მისკენ დინჯად, ადვილი შესაძლებელია, უკვე ყველა შეცოდების გამომსყიდ-ველი მარტვილის გახელებულ, სიზმარეულ აღფრთოვანებასაც მი-ჰყავდა ჯერ იმ სკამისაკენ, რომელსაც წამის შემდეგ ჯო დაჰკრავდა თავში, და მერე არყოფნისკენაც. არყოფნამ, ალბათ, ცოტათი გააკვირვა კიდეც, ოღონდ სულ ოდნავ და ისიც ძალიან მცირე ხნით.

მერე ყველა და ყველაფერი ხმაურით, ღრიანცელით გაეცალა ჯოს და სადღაც შორს ჩაკვდა; ახლა მარტოდმარტო იდგა შუა ოთახში, გატეხილი სკამი ჩაებღუჯა და მამობილს დასცქეროდა. მაკიჰერნი გულაღმა იწვა. დამშვიდებული. მძინარეს ჰგავდა: მრგვალ-თავა, მოსვენებული, და მაინც დაუოკებელი, თითქოს სისხლიც დაწყნარებოდა — ისე მშვიდად მოჟონავდა გაჩეხილი შუბლიდან.

ჯო მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. საკუთარი სუნთქვაც ესმოდა და კიდევ რაღაც სხვა ხმაც. წვრილი და ყურისმომჭრელი, საიდანღაც შორიდან მომავალი. კარგა ხანს უსმინა ამ ხმას, ვიდრე ქალის კივილად აღიქვამდა. მერე ამ ხმისკენ გაიხედა და დაინახა, როგორ აკავებდა ოფიციანტს ვიღაც ორი კაცი, ის კი იკრუნჩხებოდა, იბრძოდა, თმა გასწეწვოდა, სახე დამანჭვოდა, დამახინჯებოდა, ზედ ლაქებად გადღაბნოდა საღებავი და პირი — პატარა, დაკბილული ხვრელი, — კივილით გამოვსებოდა. „როსკიპოო!“ კიოდა ქალი და კაცებს ეჯაჯგურებოდა, გათავისუფლებას ცდილობდა. „ბებერი ნაბი-ჭვარი! გამიშვით! გამიშვით-მეთქი ხელი!“ ახლა ეს გაბმული ხმა სიტყვებად აღარც ნაწევრდებოდა, უაზრო კივილად ქცეულიყო; ქალი კი ისევ იბრძოდა, კაცებს სცემდა, ხელებზე ეტანებოდა საკ-ბენად, როგორმე თავი რომ დაეხსნა.

ჯო ქალისაკენ დაიძრა, გატეხილი სკამი ჯერ ისევ ხელში ეჭირა. კედელს აკრული, კედელთან მიყუჟული, ერთად შექუჩებული მოცეკვავე-ნი თვალს არ აშორებდნენ: გახამებულ ჭყეტელა კაბებში, ფოსტით გამოწერილ წინდებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამო-პრანჭული გოგოები; ცუდად შეკერილ და ტანზე უშნოდ მორგებ-ულ, ასევე ფოსტით გამოწერილ კოსტუმებში გამოწყობილი ხე-ლებდაკოჟრილი ჭაბუკები, რომლებსაც თვალებზე ეტყობოდათ, მემკვი-დრეობით რომ რგებოდათ უსასრულო ხნულებისა და ჯორების ზანტი გავების ცქერა — მოთმინებით, უსაყვედუროდ, საშვილიშ-

ჩამოყრილი, მრგვალთავიანი, მოკლე, ბლაგვ, ბრაზისაგან გაფშეკილ-
წვერიანი პირდაპირ ღია კარებისკენ, ღია ფანჯრებისკენ გაიქცა,
საიდანაც მუსიკა მოისმოდა, სადაც, ნავთის ლამპების შუქზე, რაღაც-
ნაირი თავშეკავებული სილაღით ირეოდნენ მოცეკვავე ჩრდილები.

ოთახში შესული, თუკი საერთოდ ფიქრობდა რამეს, ალბათ
სჯეროდა, თავად მებრძოლი მიქაელი მიბიძგებს, ის მიჩვენებს გზასო.
ეტყობა, უეცარ შუქსა და ორომტრიალს მისთვის წამითაც არ
მოუჭრია თვალი, რადგან გზას ჯიუტად, ჯიქურ, მუჯლუგუნებით
მიიკვლევდა სახტად დარჩენილ მოცეკვავეთა შორის, ჯიუტად მი-
არღვევდა განცვიფრებისა და უკვე გადმოსახეთქად გამზადებული
აღშფოთების ტალღას იმ ყმაწვილისკენ, რომელიც ოდესღაც საკუ-
თარი ნებით ეშვილა, რომლის აღზრდასაც ისე ეცადა, როგორც
თვითონ მიაჩნდა სწორად. ჯო და ოფიციანტი ისევ ცეკვავდნენ, ჯო
მამობილს ჯერ ვერ ხედავდა. ქალს მაკიჰერნი ერთის მეტად საერ-
თოდ არც ენახა, თუმცა, შეიძლება სწორედ იმ ერთხელ დაამახს-
ოვრდა, ანდა, ვინ იცის, იქნებ იმის ახლანდელი სახის ხილვაც
საკმარისი იყო, მაშინვე რომ ეცნო. ასეა თუ ისე, ქალი ადგილზევე
გახევდა და შეძრწუნებული მიაჩერდა მომავალს. მერე ჯოც შეტრი-
ალდა. შეტრიალდა და ლამის შეეჯახა მაკიჰერნს. მაკიჰერნსაც მხ-
ოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი ოფიციანტი და, ადვილი შესაძლებე-
ლია, მრუშობაზე წამოწყებული საუბრისა არ იყოს, არც ის ჩაუთვ-
ლია საკუთარი ყურადღების ღირსად. თუმცა, მაინც პირდაპირ
ქალისკენ დააღერა თავი, ცოტა ხნით ჯოც კი გადაავიწყდა. „განვედ,
იეზებელ!“ შესძახა მან. ქუხილივით გაისმა იმისი ხმა თავზარდ-
აცემულ სიჩუმეში, ნავთის ლამპების ქვეშ შეგროვილ ხალხში, შუა
გზაზე გაწყვეტილი მუსიკის გამოძახილში, ადრეული ზაფხულის
მშვიდ, მთვარიან ღამეში. „შორს ჩემგან, როსკიპო!“

შეიძლება თვითონ ვერც ხვდებოდა, გიჟივით ვაწყდები აქეთ-
იქით და ძალიან ხმამაღლა ვლაპარაკობო. ადვილი შესაძლებელია,
ეჩვენებოდა, ერთ ადგილას ვდგავარო — სამართლიანი, კლდესავით
უდრეკი — არც არაფერი მაჩქარებს, არც ვბრაზობ, ჩემ ირგვლივ კი,
ოთხსავე მხარეს, საცოდავ არსებათა სიმდაბლე დაბოგინობს, მრისხ-
ანე, დამსჯელი ტახტის ჭეშმარიტი წარგზავნილის შიშით აკვნესე-
ბულ-აკანკალებულიო. შეიძლება თავისი არც ეგონა ხელი, ყმაწვილს
რომ მოხვდა სახეში, პატარაობიდანვე მის ჭერქვეშ, მისი პურით
გამოზრდილსა და მისი ტანსაცმლით შემოსილს, შეიძლება სახე დარ-
ტყმას რომ გაერიდა და მერე ისევ უწინდელ ადგილს დაუბრუნდა,
უკვე იმ ბავშვის სახედაც ველარ აღიქვა, თუმცა, ეტყობა, ველარც ეს

გააოცებდა, რადგან ახლა ბავშვის სახე სრულებით აღარ ადარდებ-
და; ახლა თვალწინ სატანის სახე ედგა, ისიც კარგად ნაცნობი. და
როცა ამ სახეს მიშტერებული ისევ ხელაღმართული დაიძრა მისკენ
დინჯად, ადვილი შესაძლებელია, უკვე ყველა შეცოდების გამომსყიდ-
ველი მარტვილის გახელებულ, სიზმარეულ აღფრთოვანებასაც მი-
ჰყავდა ჯერ იმ სკამისაკენ, რომელსაც წამის შემდეგ ჯო დაჰკრავდა
თავში, და მერე არყოფნისკენაც. არყოფნამ, ალბათ, ცოტათი გააკვირვა
კიდეც, ოღონდ სულ ოდნავ და ისიც ძალიან მცირე ხნით.

მერე ყველა და ყველაფერი ხმაურით, ღრიანცელით გაეცალა
ჯოს და სადღაც შორს ჩაკვდა; ახლა მარტოდმარტო იდგა შუა
ოთახში, გატეხილი სკამი ჩაებღუჯა და მამობილს დასცქეროდა.
მაკიჰერნი გულაღმა იწვა. დამშვიდებული. მძინარეს ჰგავდა: მრგვალ-
თავა, მოსვენებული, და მაინც დაუოკებელი, თითქოს სისხლიც
დაწყნარებოდა — ისე მშვიდად მოჟონავდა გაჩეხილი შუბლიდან.

ჯო მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. საკუთარი სუნთქვაც ესმოდა და
კიდევ რაღაც სხვა ხმაც. წვრილი და ყურისმომჭრელი, საიდანღაც
შორიდან მომავალი. კარგა ხანს უსმინა ამ ხმას, ვიდრე ქალის
კივილად აღიქვამდა. მერე ამ ხმისკენ გაიხედა და დაინახა, როგორ
აკავებდა ოფიციანტს ვიღაც ორი კაცი, ის კი იკრუნჩხებოდა,
იბრძოდა, თმა გასწეწვოდა, სახე დამანჭვოდა, დამახინჯებოდა, ზედ
ლაქებად გადღაბნოდა საღებავი და პირი — პატარა, დაკბილული
ხვრელი, — კივილით გამოვსებოდა. „როსკიპოო!“ კიოდა ქალი და
კაცებს ეჯაჯგურებოდა, გათავისუფლებას ცდილობდა. „ბებერი ნაბი-
ჭვარი! გამიშვით! გამიშვით-მეთქი ხელი!“ ახლა ეს გაბმული ხმა
სიტყვებად აღარც ნაწევრდებოდა, უაზრო კივილად ქცეულიყო;
ქალი კი ისევ იბრძოდა, კაცებს სცემდა, ხელებზე ეტანებოდა საკ-
ბენად, როგორმე თავი რომ დაეხსნა.

ჯო ქალისაკენ დაიძრა, გატეხილი სკამი ჯერ ისევ ხელში ეჭირა.
კედელს აკრული, კედელთან მიყუჟული, ერთად შექუჩებული მოცეკვავე-
ნი თვალს არ აშორებდნენ: გახამებულ ჭყეტელა კაბებში, ფოსტით
გამოწერილ წინდებსა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში გამო-
პრანჭული გოგოები; ცუდად შეკერილ და ტანზე უშნოდ მორგე-
ბულ, ასევე ფოსტით გამოწერილ კოსტუმებში გამოწყობილი ხე-
ლებდაკოჟრილი ჭაბუკები, რომლებსაც თვალებზე ეტყობოდათ, მემკვი-
დრეობით რომ რგებოდათ უსასრულო ხნულებისა და ჯორების
ზანტი გავების ცქერა — მოთმინებით, უსაყვედუროდ, საშვილიშ-

ვილოდ. ჯომ ნაბიჯს აუჩქარა, გაიქცა, თან მუქარით იქნევდა სკამს. „ხელი გაუშვით“, უყვირა კაცებს. ქალი იმწამსვე გაჩუმდა, კაცებთან ბრძოლას კი მოეშვა, მაგრამ ახლა მთელი თავისი რისხვაცა და კივილიც ჯოს დაატეხა თავს, თითქოს მხოლოდ მაშინ დაინახა, თითქოს მხოლოდ მაშინ გაახსენდა მისი არსებობა.

„ახ, შენც აქ ბრძანდები, ვაუბატონო?! ეს სად მომიყვანე, შე ბინძურო ნაბიჭვარო, შე ტეტია, შენა! ძაღლის შვილები ხართ ორივენი, ძაღლის გაგდებულები, შენცა და ეგეც. არა, თავზე არ დამაყენა?! ვიცნობდე მაინც...“ ჯომ თითქოს აღარ იცოდა, ახლა ვიღასთვის დაერტყა სკამი, თავზემოთ სკამშემართულს უკვე სახეც სრულიად დამშვიდებოდა. კაცები ოფიციანტს გაეცალნენ, გაათავისუფლეს, თუმცა ის მაინც უწინდებურად იქნევდა ხელებს, ეტყობა, ჯერ ვერ მიმხვდარიყო, აღარავინ მაკავებსო.

„გადი აქედან!“ უყვირა ჯომ. აქეთ-იქით ტრიალებდა, თან სკამს იქნევდა; კვლავინდებურად მშვიდი სახე ედო. „უკან დაიწით!“ იყვირა ისევ, არადა, კაციშვილს არ უფიქრია მისკენ ნაბიჯის გადადგმა. ყველას იატაკზე გართხმული კაცის მდუმარება და უძრაობა გადასდებოდა. მერე ერთხელაც მოიქნია სკამი და უკან-უკან, კარებისკენ დაიხია. „არ გაინძრეთ! აკი ვმბობდი, ერთხელაც იქნება მოვკლავ-მეთქი! აკი ვაფრთხილებდი!“ ისევ თავზემოთ დაიტრიალა სკამი, სახედამშვიდებულმა, კარებისკენ დაძრულმა. „იცოდეთ, არავინ გაბედოს განძრევა“, გააფრთხილა ისევ, თან დაუინებით, გაფაციცებით შესცქეროდა ნიღბებადქცეულ სახეებს. სკამი იატაკზე დაანარცხა, შეტრიალდა და კარში გავარდა — რბილად, ლაქებად დაღვრილ მთვარის შუქში. როცა ოფიციანტს დაეწია, ის უკვე მანქანაში ჯდებოდა. ჯოს სული ეხუთებოდა, თუმცა ხმაც მშვიდი ჰქონდა: სახე მძინარეს მიუგავდა და ხმამაღლა, ხმაურით სუნთქავდა. „ქალაქში დაბრუნდი“, უთხრა ქალს. „მეც მალე მოვალ, როგორც კი...“ ეტყობა, არც იცოდა, რას ლაპარაკობდა, რა ხდებოდა მის თავს; ქალი მანქანის კარებშივე რომ შემოტრიალდა უეცრად მთელი ტანით და სახეში ცემა დაუწყო, არ განძრეულა, ხმაც არ შესცვლია: „ჰო. სწორი ხარ. მაშინვე იქ გავჩნდები, როგორც კი...“ მერე ქალს ზურგი შეაქცია და გაიქცა, ქალი კი ისევ იქნევდა ხელებს.

რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, სად დატოვა მაკიჰერნმა ცხენი, ეგ კი არა, დარწმუნებული არც იყო, ცხენით მოვიდა მამობილი თუ არა. თუმცა პირდაპირ ცხენთან კი მიირბინა — მოვლენათა კანონზომიერების მამობილისეულმა რწმენამ მიიყვანა იქ. ცხენს მოახტა და გზატკეცილისკენ გააქანა. მანქანას უკვე გზაზე

გადაეხვია. დაინახა, თანდათან როგორ პატარავდებოდნენ მანქანის უკანა სინათლეები და მერე სულ როგორ გაქრნენ.

ბებერი, ღონიერი, მუშა ცხენი ნელი, თანაბარი ნავარდით ბრუნდებოდა შინ. მსუბუქად იჯდა ცხენზე, მსუბუქად მიჰყავდა, კარგა გვარიანად გადახრილიყო წინ უნაგირზე და იმ წუთას, ალბათ, ფაუსტივით ხარობდა, რადგან ერთხელ და სამუდამოდ, ერთბაშად დაეტოვებინა უკან ყველა აკრძალვა, ბოლოს და ბოლოს გათავისუფლებულიყო ღირსებისგანაც და კანონისგანაც. ცხენი მირბოდა და მოტკბო, მძაფრ, გოგირდოვან ოფლს აფრქვევდა; უხილავ ქარს მიაპობდნენ. მერე უცებ ხმამაღლა შეჰყვირა — „ხომ გავაკეთე, ბოლოს ხომ მაინც გავაკეთე! აკი ვამბობდი, აკი ვაფრთხილებდი!“

მთვარით განათებულ ბილიკზე გადაუხვია და ცხენი, ნაბიჯის შეუნელებლად, სახლისკენ მიაგდო. სახლი ბნელში ჩანთქმული ეგულებოდა, მაგრამ გუმანი არ გაუმართლდა. არც ამას შეუჩერებია; გალურსული და დამალული თოკიც უკვე ისეთივე ნაწილად ქცეულიყო მისი მკვდარი ცხოვრებისა, როგორც ღირსება და იმედი, როგორც უეცრად გაღვიძებული და მოლოდინად ქცეული ბებერი, გულის გამაწვრილებელი ქალი, მისი ერთ-ერთი მტერთაგანი ცამეტი წლის განმავლობაში. შუქიც სწორედ იმისი და მაკიჰერნის საძინებელ ოთახში ენთო, თვითონ კი კარებთან იდგა ღამის პერაგზე შალმოხვეული. „ჯო?“ შეეხმიანა ქალი. ჯო სწრაფად მიუყვებოდა დერეფანს. ახლაც ისეთივე სახე ედო, როგორ ცოტა ხნის წინ მაკიჰერნმა დაინახა, ვიდრე სკამი დაემხობოდა თავზე. თუმცა, ქალი ალბათ ჯერ ამას ვერც ამჩნევდა. „რა მოხდა?“ იკითხა მან. „მამა ცხენით წავიდა სადღაც, გავიგონე...“ ჯოს სახე მერეღა გაარჩია. ოღონდ უკან დახევაც ვერ მოასწრო. ჯოს მისთვის არ გაურტყამს; ის კი არა, თითქოს ნაზადაც კი შეეხო მკლავზე. უბრალოდ, კარებისკენ მიმავალი ქალს გზიდან რომ იცილებდა, ძალიან ჩქარობდა. კარზე ჩამოკიდებულ ფარდასავით გასწია გვერდზე.

„ცეკვებზეა“, უთხრა ჯომ. „ერთი გამატარე, ბებერო“. ქალმა უკან დაიხია, გვერდზე მიდგა, ცალი ხელით შალი ჩაებღუჯა, მეორეთი კი ისევ კარს მიყრდნობოდა; ხედავდა, როგორ გადაჭრა ჯომ ოთახი და სირბილით როგორ აუყვა სხვენში, თავის ოთახში ამავალ კიბეს. არ შეჩერებულა, ისე გამოხედა ქალს. ლამპის შუქზე მისმა კბილებმა გაიელვეს. „ცეკვებზეა-მეთქი, გაიგონე? ოღონდ არ ცეკვავს“. ლამპას შესცინა; მერე სიცილ-სიცილითვე შეატრიალა თავი, კიბე აათავა, ნელ-ნელა, თანდათანობით გაუჩინარდა, თითქოს რაღაც ისეთში შერგო სიცილით თავი, რამაც ისევე გადაშალა, როგორც ცარცით დახატულს გადაშლიან ხოლმე დაფიდან სველი ჩვრით.

ქალი ფეხდაფეხ მიჰყვა, მძიმე-მძიმედ აუყვა კიბეს. მაშინვე აედევნა, როგორც კი ჯომ გვერდით ჩაუქროლა, თითქოს ის ჯიუტი დაჟინება, რამაც მისი ქმარი შინიდან გაიყვანა, ბიჭს, მხრებზე მოგდებული მოსასხამივით, უკან, ამ ჭერქვეშ დაებრუნებინა და ახლა დედობილისთვის გადაელოცა. ვიწრო კიბეზე ძლივს მიათრევდა ფეხებს, ცალი ხელით მოაჯირს, მეორეთი კი შალს ჩაფრენილი. ხმას არ იღებდა, ჯოს არ ეძახდა. თითქოს, მოჩვენებად ქცეული, უხილავი მბრძანებლის ნებას ემორჩილებოდა. ჯოს თავისი ლამპა არ აუნთია. თუმცა ოთახი ისედაც სავსე იყო მთვარის დატეხილი შუქით და, ეგეც რომ არა, ქალი ალბათ მაინც მშვენივრად მიხვდებოდა, რისთვის ამოსულიყო ჯო. თვითონ კედელს აჰკვროდა, კედელ-კედელ, ხელის ფათურით მიიკვლევდა გზას, ვიდრე საწოლს არ მიადგა და ზედ არ დაეშვა. ამას დრო დასჭირდა და როცა ბოლოამძვრალი ფიცრისაკენ მიაპყრო მზერა, ჯო უკვე საწოლს უახლოვდებოდა, საწოლს მთვარის შუქი ეცემოდა და კარგად დაინახა, როგორ მოაპირქვავა ჯომ თუნუქის ყუთი, მერე ხურდისა და დაჭმუჭნული ქაღალდის ფულის პატარა გროვა ერთიანად მოხვეტა და ჯიბეში ჩაიტენა. მაშინღა შეხედა საწოლზე ჩამომჯდარ ქალს, ახლა ოდნავ უკან რომ გადაქანებულიყო, ცალ ხელს დაბჯენოდა და მეორეთი მხრებზე შალის შეკავებას ცდილობდა. „ეს ფული შენთვის არ მითხოვია“, უთხრა ჯომ. „დაიმახსოვრე. არ მითხოვია, რადგან მეშინოდა, ნებით მომცემდი. თვითონ ვიღებ, დაუკითხავად. კარგად დაიმახსოვრე, არ დაგავიწყდეს“. ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა, ისე შეაქცია ზურგი. ქალი ხედავდა, როგორ შეაბიჯა ქვემოდან ამომავალ, კიბის საფეხურებზე დაღვრილ ლამპის შუქში. მერე თვალს მიეფარა, ოღონდ ლაპარაკით ჯერ ისევ ლაპარაკობდა. მერე დერეფნიდან მოესმა ქალს მისი სწრაფი ნაბიჯების ხმა, ცოტა ხანში ისევ გაჭენებული ცხენის ფლოქვების თქარათქური გაიგონა, მერე ეს ხმაც მიწყდა.

როცა ჯომ უკვე ღონემიხდილი, ბებერი ცხენი ქალაქის მთავარ ქუჩაზე გამოაგელვა, საათმა სადღაც ერთხელ ჩამოჰკრა. ცხენი კარგა ხანია მძიმედ სუნთქავდა, მუხლი ეკვეთებოდა, მაგრამ მაინც ჩორთით მირბოდა, რადგან ჯო გამეტებით, რიტმულად სცემდა გავაზე ჯოხს. წკეპლას კი არა, სწორედ ჯოხს, ცოცხის ტარის გადანატეხს, მისის მაკიჰერნს თავისი სახლის წინ, ყვავილნარში რაღაც მცენარის ბიჯგად რომ ჩაერჭო ოდესღაც. ცხენიც თავს ძალას ატანდა, იხტიბარს არ იტეხდა, თუმცა მონდომებული კაცი ალბათ სულ იოლად

გაჰყვებოდა ფეხდაფეხ გვერდით. ჯოხიც ქანცგამოლეული, საზარელი სიზანტით ადი-ჩადიოდა ზევით-ქვევით, ცხენის ზურგზე მოქცეული ჭაბუკი კი მთელი ტანით იხრებოდა წინ, თითქოს ვერ ხვდებოდა, პირუტყვს არაქათი რომ გამოლეოდა, ანდა თითქოს ჯიუტად ლამობდა როგორმე მიხმარებოდა, რამენაირად ებიძგა და იძულებით გაეგრძელებინებინა გზა დასუსტებული ცხენისთვის, რომლის მოდუნებული ფლოქვებიც მწყობრად და ყრუდ რეკდნენ უკაცრიელსა და მთვარით დაწინწკლულ ქუჩაში. ერთ არსებად შერწყმული ცხენ-მხედარი — უცნაურ, სიზმარეულ ჩვენებად ქცეულიყო და შენელებული კადრის სიზანტით ჯიუტად მიიწევდა ქუჩის იმ კარგად ნაცნობი კუთხისაკენ, სადაც უკეთეს დროს, ჩვეულებრივად ქალს ელოდებოდა ხოლმე — ალბათ, მაშინ ნაკლებად შეუპოვარი, ოღონდ არა ნაკლებ მოუთმენელი და, რაც მთავარია, თან უფრო ახალგაზრდაც.

ცხენი ახლა უკვე ჩორთითაც ვეღარ მიდიოდა, ფეხებგახევებული ღრმად, გაჭირვებით სუნთქავდა და ხრიალებდა — თითქოს ოხვრას აყოლებდა ყოველ ამოსუნთქვას. ჯოხი კი უწინდებურად სცემდა და სცემდა; მით უფრო გამალებით, რაც უფრო მეტად ებორკებოდა, რაც უფრო მეტად ერეოდა ფეხი და რაც უფრო ხშირად ცდილობდა გზიდან გადახვევას. ჯო თავს უჭერდა, სცემდა, თუმცა ცხენი ბოლოს მაინც გადავიდა გზიდან და გაოჩნდა, ჩრდილებით დაწინწკლული, თავჩაქინდრული, ათრთოლებული, კაცივით აქოშინებული. მხედარი კი გაქვავებულ უნაგირზე წინ წახრილიყო, თითქოს საშინელი სისწრაფით მიჰქრისო, და შეუჩერებლივ ურტყამდა გავაზე ჯოხს. ჯოხის ქნევა და პირუტყვის ოხვრანარევი სუნთქვა რომ არა, მართლაც ცხენოსნის ქანდაკება ეგონებოდა მნახველს — კვარცხლბეკიდან გადმოსული და გზააბნეული, საბოლოოდ ღონემიხდილი, სულის მოსაბრუნებლად გარინდული მთვარის ჩრდილებით მოთხვრილ, მთვარის ჩრდილებით დალაქულ წყნარსა და უკაცრიელ ქუჩაში.

ჯო ჩამოქვეითდა. წინიდან დაუდგა ცხენს და ღონივრად მოქაჩა აღვირი, თითქოს ასე, მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონის წყალობით დაძრავდა ადგილიდან და მერე ისევ ზურგზე მოევლებოდა. მაგრამ ცხენი ფეხს არ იცვლიდა. ჯომაც თავი მიანება; ოდნავ წინ გადახრილიყო ცხენისკენ; ორივე ისევ უძრავად იდგა: ღონემიხდილი პირუტყვიცა და ჭაბუკიც, პირისპირ დარჩენილნი, ლამის ერთმანეთისათვის შუბლმიბჯენილნი, თითქოს ქვაში გამოკვეთილნი ჩურჩულის, ლოცვისა თუ თათბირის ჟამს. მერე ჯომ ისევ შემართა ჯოხი და უძრავ თავში დაჰკრა ცხენს. მონდომებით ურტყამდა, მანამდე სცემდა, ვიდრე ჯოხი არ გადაუტყდა. თუმცა, არც მაშინ

გაჩერებულა. როდის-როდისღა მიხვდა, უკვე ველარავითარ ტკივილს რომ ველარ აყენებდა ცხენს, ანდა შეიძლება მკლავიც დაელალა, რადგან ჯოხის ხელისგულისოდენა გადანატეხი შორს მოისროლა და შეტრიალდა, ცხენს ზურგი შეაქცია და მაშინვე სწრაფი ნაბიჯით მოსწყდა ადგილს. უკან აღარც მიუხედავს. თანდათანობით პატარავდებოდა, მისი თეთრი პერანგი ხან გაიელვებდა, ხან კი ისევ გაუჩინარდებოდა ხოლმე მთვარის ჩრდილებში, მირბოდა და საბოლოოდ, სამარდისოდ, უკანმოუხედავად გადიოდა ცხენის ცხოვრებიდან, თითქოს ეს ცხოვრება არც არასოდეს არსებულიყო.

იმ კუთხესაც ჩაურბინა, სადაც ქალს ელოდებოდა ხოლმე. თუკი საერთოდ შეამჩნია რაიმე, თუკი რამე მოგონებამ გაუელვა გონებაში, შეიძლება ეფიქრა ***ღმერთო ჩემო, რა დრო გავიდა, რამდენი ხნის წინ იყო ყველაფერი*** ქუჩამ ხრეშმოყრილ გზაზე გადაუხვია. თითქმის ერთი მილი ჰქონდა კიდევ გასავლელი, ამიტომაც მირბოდა, ოღონდ ჩქარა კი არა, ფრთხილად, გამოზომილი ნაბიჯებით, ოდნავ თავჩაქინდრული, თითქოს ფეხქვეშ გაწოლილ გზას ამოწმებსო, და იდაყვებიც, გამოცდილი, კარგად გაწვრთნილი და ნავარჯიშევი მორბენალივით, ფერდებზე მიეტყუპებინა. დაკლაკნილი, მთვარით გადათეთრებული გზა კი არ ილეოდა, გარეუბნის შორიშორ გაბნეული, პატარა, ახალი საშინელი სახლებით მონიშნული, იმ სახლებით, სადაც გუშინ არსაიდან მოსული და ხვალ, ვინ იცის, საით წამსვლელი ხალხი ბინადრობდა. ერთის გარდა, არც ერთ სახლში არ ენთო შუქი და ისიც სწორედ იმ შუქისაკენ მიისწრაფოდა.

სახლს მიაღწია და გზიდან სირბილითვე გადაუხვია, მისი გამოზომილი ნაბიჯების ხმა მკაფიოდ ისმოდა გვიანი ღამის სიჩუმეში. შეიძლება უკვე ხედავდა კიდეც ოფიციანტს, მუქი ფერის, სამგზავრო კაბაში გამოწყობილს, თავზე ქუდდახურულს, ბარგჩალაგებულს, მომლოდინეს (ეტყობა, ერთხელაც არ დაფიქრებულა, როგორ, რა გზით და საშუალებით უნდა გამგზავრებულიყვნენ სადმე). შეიძლება შილიფად ჩაცმულ მაქსსა და მეიმსაც ხედავდა — უპიჯაკო, ანდა სულაც მაისურის ამარა დარჩენილ მაქსს, ღია ცისფერ კიმონოიან მეიმს — ორივენი აღგზნებულნი ფაციფუცობენ, ხმამაღლა ლაპარაკობენ, მხიარული სახეები ადევთ, როგორც საერთოდ ყველა გამცილებელს. თუმცა, სინამდვილეში არაფერს არ ფიქრობდა, რადგან არც უთქვამს ოფიციანტისთვის, გასამგზავრებლად მოემზადეო. იქნებ თვითონ სჯეროდა კიდეც, ვუთხარიო, ანდა ეგონა, ქალი თავისით მიხვდებაო, რადგან საკუთარი ნამოქმედარიცა და მომავლის გეგმებიც იმდენად მარტივი ეჩვენებოდა, ბავშვსაც არ უნდა გასჭირვებოდა მიხვედრა. შეიძლება ისიც სჯეროდა, მანქანაში ჩაჯდომისას ვუთხარი, შინ ფულის ასაღებად მივდივარო.

პარმაღზე აირბინა. უწინ, მაშინაც კი, როცა მეტისმეტად გალაღებულად და შინაურულადაც გრძნობდა ამ სახლში თავს, ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლება მალე გადასულიყო გზიდან და სწრაფად გაუჩინარებულიყო პარმაღის ჩრდილში, თავად სახლში, სადაც ელოდნენ ხოლმე, რაც შეიძლება სწრაფად და უჩინრად. კარზე დააკაკუნა. ქალის ოთახშიც და დერეფნის ბოლოშიც ნათურები ენთო, ასეც ფიქრობდა, ამას ელოდა სწორედ; ფარდებჩამოფარებულ ფანჯრებს იქიდან ხმებიც მოისმოდა, რამდენიმე ხმა, და როგორც მოეჩვენა, უფრო დაძაბული, ვიდრე მხიარული: ამასაც ელოდა, ფიქრობდა ***ალბათ ჰგონია, აღარ მოვალ. ეშმაკმა დალახვროს ის ბეჭრეკი ცხენი*** ხელმეორედაც დააკაკუნა, უფრო ხმამღლა, მერე კარის სახელურს ჩააფრინდა, შეაჯანჯღარა, თან სახე ფარდაჩამოფარებულ მინას მიაბჯინა. სახლში ლაპარაკი შეწყდა. ჩამიჩუმიც აღარ ისმოდა. ორი სინათლე — ქალის ფანჯარაზე ჩამოფარებული შტორი და კარის გაუმჭვირვალე ფარდა — ერთნაირად, თანაბრად კაშკაშებდა, თითქოს სახელურს შეეხო თუ არა, სახლშიც ყველამ ერთბაშად, ერთდროულად განუტევა სული. მერე ისევ დააკაკუნა, გაბმულად, გაუჩერებლად აკაკუნებდა, როცა კარი (არც ფარდას დასცემია ჩრდილი და არც მოახლოებული ფეხის ხმა გაუგონია) უეცრად და უხმაუროდ მოფრიალდა, სადღაც გაექცა, თვითონაც იმწამსვე ზღურბლზე გადააბიჯა, თითქოს გამობმული ყოფილიყო კარზე, და პირდაპირ მაქსს შეეფეთა, ღამის ზედ გადააწყდა. მაქსი თავფეხიანად გამოწყობილიყო, ქუდიც კი ეხურა. „მობრძანდით, ჩემო ბატონო“, თქვა მაქსმა. ხმადაბლა ლაპარაკობდა, თან სწრაფად, თითქმის ძალით შეათრია ჯო დერეფანში და, ვიდრე ის თავს სამშვიდობოს დაიგულებდა, კარი მიხურა და გადარაზა კიდეც. ხმადაბლა კი ლაპარაკობდა, თუმცა ახლაც, კვლავინდებურად, ორაზროვანი ხმა ჰქონდა, თითქოს გულითადი, მაგრამ თან სრულიად ცარიელი, არაფრისმთქმელი, ყველაფრისგან დაცლილი — სიამოვნებისგანაც და სიხარულისგანაც, — ნიღაბივით აეფარებინა ხმა სახეზე და ასე, ნიღაბაფარებული აკვირდებოდა სტუმარს; ამ ხმის გამო იყო სწორედ ადრეც, წარსულშიც, მუდამ დაბნეულად და თან ბრაზით რომ უცქერდა ჯო მაქსს. „ესეც ჩვენი რომეო“, თქვა მაქსმა. „ბილ სტრიტელი ფლეიბოი“. ოდნავ აუწია ხმას, რომეოო კი საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქვა. „შინ შემობრძანდი, ხალხს დაენახე“.

ჯო უკვე ნაცნობი კარისკენ მიაბიჯებდა, მიაბიჯებდა კი არა, ღამის ისევ თავქუდმოგლეჯილი მირბოდა, თუკი საერთოდ შეენელებინა

ნაბიჯი. მაქსს არ უსმენდა. ბილ სტრიტის, მემფისის ამ სამი თუ ოთხი კვარტალის შესახებ, რომელთან შედარებითაც ჰარლემი კინოს დეკორაციასა ჰგავს — ადრე არაფერი სმენოდა. შეხედვითაც არაფერს უცქერდა. თუმცა, უეცრად დერეფნის ბოლოში მდგარ ქერა ქალს მოჰკრა თვალი. კარგად ახსოვდა, შემოსვლისას დერეფანში მაქსის მეტი არავინ დახვედრია, არადა, ქერა ქალი იქ იდგა, უხმოდ ასვეტილიყო. მუქი ფერის ქვედაკაბა ეცვა და ხელში ქუდი ეჭირა. იქვე, ჯოს გვერდით, ჩაბნელებული ოთახის გამოღებულ კართან ბარგი მოექუჩებინათ — რამდენიმე ჩანთა. შეიძლება ჩანთები ვერც დაინახა. ანდა, შეიძლება ერთი კი ჰკიდა თვალი და მაშინვე, ფიქრზე უსწრაფესად გაუელვა კიდეც ***არ მეგონა, ამდენი ბარგი თუ ექნებოდა*** ალბათ პირველად მაშინ დაფიქრდა, რით, რა საშუალებით უნდა გასდგომოდნენ გზას, ფიქრობდა ***ამდენს რა ატარებს*** მაგრამ, უკვე ნაცნობი კარისკენ შებრუნებულს, ნაბიჯი მაინც არ შეუნელებია. კარს ხელი შეახო თუ არა, მაშინვე გაიაზრა, რა სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურა კარს იქით, თვრამეტი წლისა კი იყო, მაგრამ უკვე ხვდებოდა, ამგვარ სიჩუმეს ერთი ადამიანი რომ არ ეყოფოდა. თუმცა, მაინც არ შეჩერებულა; შეიძლება ისიც არ შეუმჩნევია, დერეფანი კვლავ რომ დაცარიელდა, ქერა ქალი ისევ გაქრა — არც არაფერი დაუნახავს და არც რაიმე ხმა გაუგონია.

მერე ოთახის კარი შეაღო. ისევ მირბოდა: იმ კაცივით მირბოდა, უეცრად ადგილზე გაქვავებული შორს რომ გადაუსწრებს საკუთარ თავსაც და საკუთარ ცოდნასაც. ოფიციანტი ახლაც საწოლზე იჯდა, ისევე იჯდა, როგორც ადრეც მრავალჯერ მჯდარა მისი თანდასწრებით. მუქი ფერის კაბა ეცვა და ქუდი ეხურა, სწორედ ისე, როგორც ელოდა, იცოდა — ასე იქნებაო. ქალი თავჩაქინდრული იჯდა, გაღებული კარისკენ არც გაუხედავს, მუქი ფერის კაბის ფონზე ლამის გოლიათურად გაზრდილ გაქვავებულ, უძრავ ხელში სიგარეტი უბოლავდა. იმავე წამს ჯომ კაციც დაინახა. ადრე ეს კაცი არასოდეს ენახა. თუმცა, ამას მაშინვე ვერც მიხვდა. მხოლოდ მოგვიანებითღა გაახსენდა, გაახსენდა ბნელ ოთახში, კართან დახვავებული ბარგიც, წამით რომ ჰკიდა თვალი, როცა ფიქრი მხედველობას უსწრებდა წინ.

უცნობიც საწოლზე ჩამომჯდარიყო, ისიც ეწეოდა. ქუდი შუბლზე ჩამოეწია და ფარფლის ჩრდილი ტუჩებზე ეფინა. ხნიერი არ ეთქმოდა, თუმცა, არც მაინცდამაინც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. შეიძლებოდა კაცს ის და მაქსი ძმებიც ჰგონებოდა — როგორც ნებისმიერი ორი, აფრიკის რომელიმე სოფელში შემთხვევით მოხვედრილი თეთრკანიანი კაცი შეიძლება ჩათვალონ ძმებად იქაურმა მცხოვ-

რებლებმა. სახე, ნიკაპი, სადაც შუქი ეცემოდა — უძრავი ჰქონდა. ჯომ არ იცოდა, უცქერდა უცნობი თუ არა. არც ის იცოდა, ზურგს უკან მაქსი თუ ედგა. იმათი ხმები კი ესმოდა, მაგრამ რაზე ლაპარაკობდნენ, არ იცოდა და არც აინტერესებდა: ***ჰკითხე ერთი ამას საიდან ეცოდინება*** შეიძლება ჯომ ეს სიტყვები გაიგონა კიდეც. თუმცა არაფერი შეტყობია. როგორც ჩანს, მათ სიტყვებსაც იმდენივე მნიშვნელობას ანიჭებდა, რამდენსაც მწერების შარიშურს ფარდებჩამოფარებული ფანჯრის მიღმა, ანდა ჩალაგებულ ბარგს, ერთხელ რომ მოჰკრა თვალი და ვერ კი დაინახა. ***ბობიმ თქვა მაშინვე წამოვიდაო***

იქნებ იცოდეს. გავიგოთ მაინც, რას გავურბივართ

თუმცა ოთახში შემოსვლის მერე ერთხელაც არ შერხეულა, ჯო ჯერ ისევ მაინც მირბოდა. მაქსი მხარზე რომ შეეხო, ისე შეტრიალდა მისკენ, თითქოს შუა გზაში გააჩერესო. არც იცოდა, საერთოდ ოთახში თუ იყო მაქსი. მხარზემოდან გახედა, ერთდროულად განრისხებულმა და გაღიზიანებულმაც. „გვითხარი, ჩემი ბიჭი“, თქვა მაქსმა, „თუ იცი იმისი რამე, ნუ დაგვიმალავ“.

„ვისი?“ ჰკითხა ჯომ.

„აი, იმ ბებრის. როგორ გგონია, გაასაღე? პირდაპირ გვითხარი, შენ ხომ არ გინდა, ბობი შარში გაეხვეს“.

„ბობი“, გაიმეორა ჯომაც, თან ფიქრობდა ***ბობი, ბობი*** ისევ შეტრიალდა, ისევ გაიქცა; მაქსიც ახლა უფრო ღონივრად ჩააფრინდა მხარში, თუმცა, უხეშად მაინც არა.

„კარგი ახლა“, უთხრა მაქსმა, „განა ყველანი შინაურები არა ვართ? თქვი, გაასაღე?“

„გავასაღე?“ გაიმეორა ჯომ მოუთმენლად, გაღიზიანებულმა, თუმცა, თან თავის შეკავებასაც ცდილობდა, თითქოს ბავშვი აყრიდა კითხვას კითხვაზე და ტყუილუბრალოდ აკარგვინებდა დროს, ტყუილუბრალოდ აყოვნებდა.

ახლა უცნობმაც ამოიღო ხმა. „აი, ის კაცი, სკამი რომ დააფშვენი თავზე. მოკვდა?“

„მოკვდა?“ თქვა ჯომ. მერე უცნობს შეხედა. შეხედა და ისევ ოფიციანტი დაინახა, ისევ სირბილით მოსწყდა ადგილს, ახლა მართლა დაიძრა საწოლისკენ. ორივე კაცი დაავიწყდა. საწოლს მიუახლოვდა, თან ჯიბეს იტრიალებდა, ერთდროულად გამომწვევი და გამარჯვებული იერი დასთამაშებდა სახეზე. ოფიციანტი მისკენ არ იყურებოდა. ის კი არა, რაც ჯო ოთახში შევიდა, მას მერე ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ჯოს

არც ეს ახსოვდა. ქალი არ განძრეულა; ხელში ისევ ანთებული სიგარეტი ეჭირა. უძრავი ხელი, დიდი, მკვდარი, ფერგამკრთალი — მოხარშული ხორცის ნაჭერს მიუგავდა. ისევ ვიღაც ჩააფრინდა ჯოს მხარში, ამჯერად უკვე უცნობი. უცნობი და მაქსი გვერდიგვერდ იდგნენ, ჯოს შესცქეროდნენ.

„გეყო თავის მოკატუნება“, თქვა უცნობმა. „ის კაცი თუ გაასაღე, გამოტყდი კიდეც. დიდხანს მაინც არ დაიმალება. ბევრი-ბევრი, ერთ თვეში ყველაფერი გაირკვევა“.

„აკი გეუბნებით, არ ვიცი-მეთქი!“ თქვა ჯომ. ხან ერთს შეხედავდა გაღიზიანებული, ხან მეორეს, თუმცა სიბრაზე ჯერ არ ეტყობოდა. „სკამი დავარტყი და ისიც დაეცა. სულ ვეუბნებოდი, ერთხელაც იქნება, ცუდად დამთავრდება-მეთქი ყველაფერი“. ხან ერთის და ხან მეორის უძრავ, ლამის ერთნაირ სახეს შესცქეროდა. მერე სცადა უცნობისათვის ხელი გაეშვებინებინა, მხარი გაეთავისუფლებინა.

მერე ისევ მაქსი ალაპარაკდა. „მაშ, აქ რიღასთვის მოხვედი?“

„რიღასთვის?..“ გაიმეორა ჯომ, „რიღასთვის მოვედი...“ გაოცებული კაცის ხმა ჰქონდა, ხან ერთს მიაჩერდებოდა სახეში, ხან მეორეს — რაღაცნაირად შეურაცხყოფილი, გაღიზიანებული, თუმცა მოთმინება ჯერ არ დაეკარგა. „რისთვის მოვედი? რისთვის და ბობის წასაყვანად. თქვენ გგონიათ... იმოდენა გზა გავიარე სახლამდე, საქორწინო ფული რომ მომეტანა...“ ისევ გადაავიწყდა კაცების არსებობა, ორივე ამოიგდო თავიდან. მხარი გაითავისუფლა და ისევ ქალისკენ მიტრიალდა, თავდავიწყებული, აღტაცებული, ამაყი. ეტყობა, იმ წუთას ორივე კაცი ქარით გატაცებული ქაღალდის ორი ნაკუწივით სამარადისოდ და უკანმოუხედავად გამქრალიყო მისი ცხოვრებიდან. ეტყობა, მაშინაც არაფერი გაუგია, როცა მაქსი კართან მივიდა, დაიძახა და ცოტა ხანში ოთახში ქერა ქალიც შემოვიდა. ჯო საწოლს დასდგომოდა თავზე, სადაც უძრავი და თავჩაქინდრული ოფიციანტი იჯდა, ქალისკენ დახრილიყო, ჯიბიდან ბღუჯა-ბღუჯა იღებდა ხურდას და დაჭმუჭნულ ქაღალდის ფულს და კალთაში უყრიდა ქალს, მის გვერდით საწოლზე აბნევდა. „აი! შეხედე, შეხედე, ვიშოვე! ხედავ?“

მერე, როგორც სამი საათის წინ სკოლის შენობაში, როცა პირდაბჩენილი სახეებით გარშემორტყმული იდგა და ამ სახეებს ვერ ამჩნევდა, ისევ დაეძგერა ქარი. უეცრად ზეზე წამოჭრილმა ქალმა რომ უბიძგა, წელში გაიმართა, ოღონდ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, ისევ ისე იდგა და მთვარეულივით შესცქეროდა, როგორ წამოხტა ოფიციანტი საწოლიდან, მიმობნებული ფული მოხვეტა და სახეში

შეაყარა: მშვიდად უცქერდა ქალის შეშლილ სახეს, აკივლებულ პირს. კივილად ქცეულ თვალებს. იქ მყოფთაგან მხოლოდ საკუთარი თავი ეჩვენებოდა მშვიდი და აუღელვებელი; ხმაც მშვიდი ჰქონდა, საკმაოდ მშვიდი საიმისოდ, რათა ქალის ყურთასმენაში შეეღწია: „მაშ არ გინდა?“ ჰკითხა ქალს. „ესე იგი, არ გინდა, არა?“

ყველაფერი ძალიან ჰგავდა სკოლის შენობაში მომხდარს: ისევ ვიღაც აკავებდა გაცოფებულსა და აკივლებულ ქალს, იმასაც თავის ქნევისაგან და ჯაჯგურისგან ისევ გიჟივით გასწეწვოდა თმა, ხოლო სახეც და პირიც, თმისგან განსხვავებით, უძრავი დარჩენოდა, გაქვავებოდა — მკვდარ სახესავით, მკვდარი პირივით. „ნაბიჭვარო! ძაღლის გაგდებულო! შარში მხვევ, არა? მადლობის მაგიერია არა, თეთრკანიანივით რომ გექცეოდი?“

თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ჯოსთვის ეს ახლაც მხოლოდ და მხოლოდ უბრალო ხმაური ყოფილიყო, უფორმო და უსახო: გაუთავებელი ქარის ნაფლეთი და სხვა არაფერი. მისჩერებოდა ქალს, ქალის აქამდე უცხო სახეს და მშვიდად, ღონემიხდილი გაოცებით ამბობდა (თვითონაც არ იცოდა, ხმამაღლა თუ უხმოდ): ***კი მაგრამ, კაცი ხომ ამის გულისთვის მოვკალი. ქურდობითაც ამის გულისთვის ვიქურდე*** თითქოს ახლაღა ახელოდა თვალი, ახლაღა მიმხვდარიყო, ახლაღა დაფიქრებულიყო, ახლაღა ეთქვა ვიღაცას, რაც ჩაედინა.

მერე თითქოს უსასრულო ქარმა ქაღალდის მესამე ნაკუწივით ქალიც თან გაიტაცა მისი ცხოვრებიდან. ჯომ ისევ დაიწყო ხელის ქნევა, თითქოს ისევ გატეხილი სკამი ეჭირა. ქერა ქალი კარგა ხანია ოთახში იდგა. ჯომ კი ახლაღა შეამჩნია, თუმცა არ გაჰკვირვებია — ქალი თითქოს მიწიდან ამოზრდილიყო, უძრავად გარინდულიყო საგულდაგულოდ თმადავარცხნილი, დარბაისელი და სწორედ ამ თვალისმომჭრელი სიდარბაისლის წყალობით შეეძინა ერთდროულად მკაცრი და მშვიდი ღირსება — პოლიციელის თეთრი, ზეაღმართული ხელთათმანივით. მუქი ფერის სამგზავრო კაბაზე ახლა ღია ცისფერი კიმონო შემოეცვა. წყნარად თქვა: „წამოიყვანეთ და დროზე გავეტიოთ აქედან. საცაა პოლიცია მოვა. მიხვდებიან, სად უნდა ეძებონ“.

ჯოს, შეიძლება, არც მისი ხმა ესმოდა და არც ოფიციანტის კივილი: „თვითონ გამომიტყდა, ზანგი ვარო! ნაბიჭვარი! რა ჩემდა ჭირად გადავეკიდე ამ ზანგის გაგდებულს, მაინცდამაინც შარში რომ გავეხვიე და ტეტიების ცეკვებიდან პირდაპირ სოფლის პოლიციაში ამოეყოფინებინა ჩემთვის თავი“. იქნებ მხოლოდ და მხოლოდ ქარის გაბმული ზუზუნი ედგა ყურში, როცა ისევ წარმოსახულ

სკამჩაბღუჯულმა ხელის ქნევით ისკუპა ორი კაცისაკენ. ალბათ, არც იცოდა, უკვე ისინიც მისკენ თუ დაძრულიყვნენ. არ იცოდა, რადგან რაღაცნაირი, თავისი მამობილისეული აღტაცებით პირდაპირ ზედ მიეხალა უცნობის მუშტს. შეიძლება, დარტყმაც არ უგრძვნია, თუმცა, ვიდრე დაეცემოდა, უცნობმა ორჯერ გაარტყა და ჯოც მერეღა გაიშოტა იატაკზე უძრავად, სწორედ თავისი ცოტა ხნის წინანდელი მსხვერპლივით. ოღონდ გონება არ დაუკარგავს — თვალგახელილი იწვა და მშვიდად ასცქეროდა. თვალები არაფერს გამოხატავდნენ, არც ტკივილს, არც გაოცებას. მაგრამ განძრევა მაინც არ შეეძლო; ამიტომაც იწვა ასე, ღრმად ჩაფიქრებული კაცის სახით და მშვიდად უყურებდა ორ კაცსა და ქერა ქალს, კვლავინდებურად უძრავს, ჩამოსხმულ ქანდაკებასავით დასრულებულსა და პრიალას. შეიძლება, ხმები არ ესმოდა, ანდა, იქნებ ესმოდა კიდეც, ოღონდ ამ ხმებს არც ახლა ანიჭებდა ფანჯრის იქით ჯიუტი მწერების გამომშრალ შარიშურზე მეტ მნიშვნელობას:

არ გამიბაზრეს სიმწრით მოწყობილი ნანატრი ბუდე

ძუკნების აყოლამ იცის ეგრე

თავს ვერ მოერია. თვალი აახილა თუ არა ძუკნა დაინახა და რა ექნა

ნეტა მართლა ზანგია? რო არა ჰგავს

თვითონ უთხრა ერთხელ ბობის. თუმცა ბობიმ კი არა, თვითონ არ იცის თავისი ასავალ-დასავალი. ამ სოფლელი ტეტია ნაბიჭვრების თავს და ბოლოს გაიგებ კაცი

ჩვენც ავდგეთ და გავარკვიოთ. ვნახოთ მართლა შავი სისხლი აქვს თუ არა ჯო მშვიდად, გაუნძრევლად იწვა, ხედავდა, როგორ დაიხარა მისკენ უცნობი, იატაკიდან თავი აუწია და ისევ გაარტყა სახეში, მოკლედ, მოწყვეტით. ცოტა ხნის მერეღა მოილოკა ტუჩი, ფრთხილად, გაუბედავად, როგორც ბავშვი გატლიკავს ხოლმე კოვზს. უცნობმა ხელი ისევ უკან წაიღო. მაგრამ ჯოს მუშტი აღარ მოხვედრია.

გეყოფათ. წავიდეთ მემფისში

ერთიც და მორჩა ჯო მშვიდად იწვა და ხელს უცქერდა. მერე უცნობის გვერდით მაქსიც გამოჩნდა, ისიც მისკენ დახრილიყო. *თუ ზუსტად გვინდა გავარკვიოთ, ცოტა მეტი სისხლი დაგვჭირდება*

ნამდვილად. თუმცა ამას რა ენაღვლება. ეგ სიამოვნებაც ჩვენს ხარჯზე იყოს

მუშტი აღარ მოხვედრია. ახლა უკვე ქერა ქალიც დაინახა. უცნობის შემართულ ხელს ჩაფრენოდა მაჯაში. *საკმარისია-მეთქი*

- X -

ცოდნას უდარდელად დამახსოვრებია ათასობით პირქუში და უკაცრიელი ქუჩა. ყოველი მათგანი სწორედ იმ ღამიდან იღებს სათავეს, როცა იატაკზე გართხმულს უკანასკნელი ნაბიჯების ხმა, კარის უკანასკნელი გაჯახუნება მოესმა (შუქიც არ ჩაუქრიათ), როცა გულაღმა, თვალგახელილი, უკვე დამშვიდებული იწვა და ჭერიდან ჩამოკონწიალებული ბურთიც თვალისმომჭრელად, მტკივნეულად კაშკაშებდა — თითქოსდა ერთიანად, დედაბუდიანად ამოწყვეტილ სახლში. ვერ იტყოდა, რამდენ ხანს იწვა ასე. არც რამეს ფიქრობდა, არც იტანჯებოდა. შეიძლება, იცოდა კიდეც, სადღაც, მის არსებაში, ნებისყოფისა და მგრძნობელობის მავთული რომ გაწყვეტილიყო, მაგრამ მავთულის ორი გაშიშვლებული ბოლო საცაა ერთმანეთს უნდა შეხებოდა, საცაა უნდა შეერთებულიყო და მასაც ხელახლა უნდა დაბრუნებოდა წართმეული საძრაობა. ვიდრე წამსვლელები სამზადისს მოათავებდნენ, ხანდახან ზედაც გადაალაჯებდნენ ხოლმე, იმ ხალხივით ირჯებოდნენ, სამუდამოდ რომ იყრებიან ერთი ადგილიდან და დასატოვებლად განწირულ ნივთს ზედაც აღარ უყურებენ. *ბობი ჩემი გოგო აბა შენი სავარცხელი დაგვიწყებია ესეც რომეს ავლა-დიდება მე და ჩემმა ღმერთმა აქეთ მომავალი გზად საკვირაო სკოლას გაძარცვავდა ახლა ეს ყველაფერი ბობისია ვერა ნახე რა გულუხვად მოართვა აბა ბიჭო შენ ეგა თქვი აიღე ჩემი გოგო და კარგად შეინახე გინდა მორგ ჰონორარად ჩათვალე გინდა სუვენირად დაიტოვე ბობის მაგისი არაფერი არ უნდა კარგი ერთი ეგრე საქმე არ გამოვა მძიმე მდგომარეობაა აქ ხომ არ დავტოვებთ იატაკს ამოგვილპობს ერთი ხვრელი აკი უკვე ამ ფულის წყალობაა იმ ხვრელს ათი ამდენიც ველარ უშველის ვერაფერს შენ ისა თქვი საერთოდ თუ უშველის რამე "მართლა ბობი ჩემი პატარა გოგო მოდი მე შეგინახავ ჰო სულ მაგ ჭკუაზე ხარ რა იყო ნახევარს ბობისთვის გადავდებ ხელი არ ახლოთ მეთქ ნაბიჭვრებო რა გინდათ მაგისია ღმერთო შენ მიშველე მაგას ფული რად უნდა რაც ჩვენ ფული გვიჯდება მაგისთვის მუქთია თუ არ გეჯერა ბობის კითხე ისე აძლევენ ყველაფერს გითხარით ხელი არ ახლოთ მეთქ ხო სულ მაგ ჭკუაზე ვარ ჩემი კი არ არის აქ დავტოვო ბობის ფულია შენ ვინ გეკითხება ბოლო-ბოლო არა ისე იქნებ ჩემს ზურგსუკან შენი ვალიც დაედო იქნებ შენთანაც ჰქონდა კვანტი ნისიად თავი გაანებეთ მეთქ წადი კოჭი გააგორე მართლა და*

მართლა კაცზე ხუთი-ექვსი დოლარიც არ გამოვა მერე უეცრად წელში მოხრილი ქერა ქალი დაადგა თავზე, თვითონ მშვიდად ასცქეროდა, ხედავდა, როგორ აიწია ქალმა ქვედაკაბა, წინდის ყელიდან ბანკნოტების შუაზე გადაკეცილი დასტა ამოიღო, დასტიდან ერთი ბანკნოტი გამოაძვრინა, ცოტა ხანს შეიცადა და ფული შარვლის პატარა, საათის ჯიბეში ჩაუკუჭა. მერე ისიც წავიდა. ***დროზე გავეტიოთ აქედან ჯერ თვითონაც არა ხარ მზად ჩადე ეს კიმონო და დაკეტე ჩანთა თუ ისევ დროზე წაისვი პუდრი. ჩემი ჩანთა და ქუდი აქ შემოიტანეთ ჰა დროზე. შენ ბობი გაიყვანე და დანარჩენი ჩანთები წაიღე მანქანაში დაგველოდეთ მე და მაქსიც ამწუთას მოვალთ გგონიათ უჩემოდ დაგტოვებთ აქ რომელიმეს ეგეც რომ ამოაცალოთ წავედით, წავედით აქედან***

ყველანი წავიდნენ: უკანასკნელი ნაბიჯები, კარის უკანასკენლი გაჯახუნება. მერე გაიგონა, როგორ გადაფარა მანქანის ღმუილმა მწერების რია-რია, მერე, ცოტა ხანს, ორივე ხმა ისმოდა ერთდროულად, ბოლოს კი მანქანის ხმა მისუსტდა, ჩაკვდა, ისევ მწერებს დარჩათ ბურთი და მოედანი. სინათლეში იწვა. მოძრაობა ჯერ არ შეეძლო, უცქერდა და ვერ ხედავდა, უსმენდა და არ ეყურებოდა; მავთულის ორი ბოლო ჯერ არ შეერთებულიყო და ისიც უდრტვინველად გართხმულიყო იატაკზე, მხოლოდ ხანდახან, ბავშვივით, ტუჩებს გაილოკავდა ხოლმე.

როგორც იქნა, მავთულის ბოლოები შეერთდნენ და წრედიც შეიკრა. არ იცოდა, ზუსტად როდის, რა წამს მოხდა ეს, ოღონდ ეგაა, უეცრად საკუთარმა აუღრიალებულმა თავმა შეაწუხა და ნელ-ნელა წამოჯდა, თითქოს ხელახლა აღმოაჩინა სხეული, გაჭირვებით წამოდგა ფეხზე. თავბრუ ესხმოდა; ოთახი ნელა, ტაატით ტრიალებდა, ფიქრივით, ***ჯერ არა*** კარნახობდა ფიქრი. ტკივილით ისევ არაფერი სტკიოდა, მაშინაც კი, როცა ბიუროს მიყრდნობილი, სარკეში დასიებულსა და დასისხლიანებულ სახეს ითვალიერებდა, ხელით ისინჯავდა იარებს. „ღმერთო, ჩემო“, ჩაილაპარაკა ჩუმად. „რასა ვგავარ?!“ ჯერ არ ფიქრობდა, გონებაში ჯერაც არ ამოტივტივებულიყო ბოლომდე, ***ჯობია აქედან გავაღწიო. მე მგონი ჯობია აქედან გავაღწიო*** კარებისკენ დაიძრა, ხელები, ბრმასავით თუ მთვარეულივით, წინ გაეწვდინა. უკვე დერეფანს მიუყვებოდა, თუმცა, არ ახსოვდა ოთახიდან როგორ გამოვიდა, მერე, უეცრად, სხვა საძინებელ ოთახში ამოყო თავი, არადა ეგონა, ოღონდ, დაჟინებით მაინც ვერ დაიჟინებდა, შემოსასვლელი კარისკენ მივდივარო. ეს ოთახიც პატარა იყო, თითქოს ჯერაც სავსე ქერა ქალის არსებით, თითქოს მჭიდრო, შემოზღუდული, ხორკლიანი კედლებიც

იმ ქალის შმაგ და თვალისმომჭრელ სიდარბაისლეს გამოეზნიქა წინ. მოშიშვლებულ ბიუროზე ვისკის თითქმის სავსე, პინტიანი ბოთლი იდგა. ბოთლი სვენებ-სვენებით გამოცალა, გულ-მუცელი არ ჩასწვია, თან ბიუროს ჩაჭიდებული ინარჩუნებდა წონასწორობას. ვისკი ბადაგივით ცივად ჩასრიალდა ყელში, გემოდაკარგული. ცარიელი ბოთლი დადგა და ბიუროს გადააწვა, თავი ჩამოუვარდა, არაფერს ფიქრობდა, თვითონაც ვერ ხვდებოდა, რამეს თუ ელოდა, ან, შეიძლება, მართლა არც ელოდა არაფერს. მერე, სადღაც შიგნით, თანდათან აბრიალდა ვისკი და ისიც ნელ-ნელა აქეთ-იქით თავის ქნევას მოჰყვა, გახურებული შიგნეულობა ხან უეცრად დაეკრუნჩხებოდა, ხან ისევ გაეშლებოდა და ფიქრიც თითქოს მას აჰყოლოდა: — როგორმე უნდა გავიდე აქედან. ისევ დერეფანში აღმოჩნდა. ახლა გონება კი დასწმენდოდა, მაგრამ სხეული აღარ ემორჩილებოდა. მაინც ცდილობდა როგორმე დაეყოლიებინა, როგორმე, კედელ-კედელ, შემოსასვლელ კარებამდე მიეტყუებინა, თან ფიქრობდა, — კარგი, რა მოგივიდა? ძალა მოიკრიბე, ხომ უნდა გახვიდე აქედან? ფიქრობდა: ***ნეტავი ერთი კი გამათრევინა ტანი გარეთ, ჰაერზე, სიგრილეში, გრილ სიბნელეში*** ხედავდა საკუთარ ხელებს, კარებზე მოფათურეს და ცდილობდა, რამით მიხმარებოდა, დაემორჩილებინა, მოეთოკა. — კიდევ კარგი, არ ჩამკეტეს მაინც, გაუელვა თავში. „უფალო იესო, აი, მაშინ კი დილამდე ვეღარ გავაღწევდი აქედან. გინდაც ფანჯარა გამეღო, ფანჯარაში რა გადამამაძვრენდა“. როგორც იქნა, გააღო კარი, გამოვიდა, კარის დაკეტვა დააპირა, სხეული კი ეურჩებოდა, თავის შეწუხება აღარ უნდოდა, მაინც დაატანა თავს ძალა, მაინც მიხურა დაცარიელებული სახლის კარი, იმ სახლისა, სადაც ჯერ ისევ აფრქვევდა მკვდარ, თანაბარ შუქს ორი ნათურა, თითქოს არც იცოდნენ და არც ენაღვლებოდათ, სახლი რომ გაუკაცრიელებულიყო, ახლაც ისევე არ აწუხებდათ სიჩუმე და სიმარტოვე, როგორც ადრე არ აშფოთებდათ ძველი, გაქონილი ჭიქების ჭახაჭუხი, ძველი, ნახმარი ლოგინები და ღამეული, პირუტყვული ორგიები. სხეული ახლა უსიტყვოდ ემორჩილებოდა, დამჯერი გამხდარიყო. ბნელი პარმაღიდან მთვარის შუქში გადააბიჯა — თავპირდასისხლიანებულმა, ცარიელმუცელგავარვარებულმა, სასტიკმა, ვისკით გაგულადებულმა — და იმ ქუჩას დაუყვა, რომლითაც თხუთმეტი წელი უნდა ევლო.

გავიდა დრო, ვისკი გამონელდა, მერე ისევ დათვრა, ისევ გამოფხიზლდა, მაგრამ ქუჩა კი არა და არ მთავრდებოდა. იმ ღამიდან მოკიდებული, ათასობით ქუჩა ქცეულიყო ერთ უსასრულო, უჩინარ მოსახვევებიან, მარად ცვალებად ქუჩად, ამ ქუჩას მიუყვებოდა, უფრო

ხშირად ფეხით, ხანდახან კი, სამადლოდ თუ ქურდულად, მატარებლებით, სატვირთო მანქანებითა და სოფლური ფორნებითაც, რომელთა კოფოებზედაც ოცი, ოცდახუთი, ოცდაათი წლის, უძრავად, სახეგამკაცრებული იჯდა ხოლმე, მუდამ (მაშინაც კი, როცა ჭუჭყიანი და გაცვეთილი ტანისამოსი ეცვა) ქალაქურ ყაიდაზე გამოწყობილი და ვერცერთი მეფორნე ვერ უბედავდა გამოლაპარაკებას, შეკითხვის მიცემას, თუმცა, ყველას ერთი სული კი ჰქონდა მისი ვინაობა და ასავალ-დასავალი გაეგო. ქუჩა ოკლაჰომასა და მისურის გადაივლიდა, სამხრეთით შორს, ლამის მექსიკამდე აღწევდა, მერე უკან, ჩრდილოეთში, ჩიკაგოსა თუ დეტროიტში ბრუნდებოდა, ისევ სამხრეთისკენ იზამდა პირს და ბოლოს, მისისიპიში მთავრდებოდა. თხუთმეტი წელიწადი იყო ამ ქუჩის სიგრძე: ხან მენავთობეთა პატარაპატარა დაბების პირქუშ, მტრულ, ფიცრულ ფასადთა შორის გადაიჭიმებოდა, სადაც დაუშრეტელი ლაფით მოთხვრილი, მარადიულ სარჟის სამოსსა და უძირო, მსუბუქ, ფეხსაცმელებში გამოწყობილი ნახევრად უმ, ათ და თხუთმეტდოლარიან კერძებს შეექცეოდა თუნუქის თეფშებიდან და დანახარჯსაც ბანკნოტების გომბეშოსოდენა, მუდამ ბლანტი, მსუყე, თითქოს ჭუჭყიდან და ტალახიდანვე ამონთხეულ ოქროსავით ამოუწურავი და გამოულეველი ტალახით დაწინკნული დასტიდან იხდიდა. ხან ყვითლად აბიბინებულ პურის ყანებს შორის გაიწელებოდა, სადაც მცხუნვარე, ყვითელი დღეების ჯოჯოხეთურ ჯაფას ღრმა, მკვდარივით ძილი მოსდევდა ხოლმე თივის ზვინებში — სექტემბრის ცივი, შეშლილი მთვარისა და მყიფე ვარსკვლავების ქვეშ: ხან შავი მუშა იყო, ხან მაღაროელი, ხან ოქროს მაძიებელი, ხან აზარტულ თამაშობათა მომწყობი; არმიაშიც ჩაეწერა მოხალისედ, ოთხი თვე იმსახურა და გამოიქცა, თუმცა, დეზერტირობა ხახვივით შერჩა. და მუდამ, ადრე თუ გვიან, ქუჩა დიდ-დიდ ქალაქებსაც გადასერავდა ხოლმე, ლამის ერთნაირ, ტყუპისცალებივით ერთმანეთის მსგავს უბნებს ქალაქებისა, რომელთა არც სახე დამახსოვრებოდა და არც სახელი, იქ, შუაღამის ბნელ, საეჭვო, სიმბოლურ კამარებქვეშ ქალებთან წვებოდა და თუ ფული ჰქონდა, აძლევდა, თუ არა და, არც მაშინ იხევდა უკან, ოღონდ მერე ეუბნებოდა — ზანგი ვარო. ცოტა ხანს ეს ხერხი ამართლებდა, მანამ, ვიდრე ჯერ ისევ სამხრეთში იყო. ყველაფერი მარტივად, იოლად წყდებოდა. დიდი-დიდი ქალს ანდა დიასახლისს დაეწყევლა, თუმცა, ზოგჯერ სხვა კლიენტები ისე სცემდნენ ხოლმე, გონებას კარგავდა და მერე ქუჩაში ანდა საპყრობილეში ახელდა თვალს.

ეს მანამ, სანამ ჯერ ისევ (ყველაფერი შედარებითია) სამხრეთში იყო. მერე კი, ერთ ღამესაც, მისმა ეშმაკობამ აღარ გაჭრა. ზანგი ვარო, საწოლიდან წამომდგარმა რომ უთხრა ქალს, „მართლა?“ — უგულოდ, ზრდილობის გულისთვის გაიოცა ქალმა. უგულოდ, ზრდილობის გულისთვისვე აათვალიერ-ჩაათვალიერა; თუმცა, ეტყობა შეამჩნია, სახე რომ შეეცვალა და მაშინვე დაამატა: „რა უჭირს მერე? შესახედავად დასაწუნი ბიჭი არა ხარ. ერთი განახა, რა მურთხი გავისტუმრე შენამდე“. მერე ქალი უკვე დაეინებით მიაჩერდა. ერთიანად გახევდა. „კი, მაგრამ, ეს სანაგვე მაინც რა გგონია? ოტელი რიცი?“ ჰკითხა და იმწამსვე ხმა გაკმინდა. ნელ-ნელა უკან დაიხია, თან ჯოს სახეს არ აშორებდა თვალს, ერთიანად გაფითრებულიყო და პირიც დასაკივლებლად დაეღო. დაიკივლა კიდეც. ორმა პოლიციელმა ძლივძლივობით, რის ვაივაგლახით დააკავა ჯო. ქალი, ერთი პირობა, მკვდარიც ეგონათ.

იმ დღიდან ზიზღი გაუჩნდა. მანამდე წარმოდგენა არ ჰქონდა, თეთრკანიანი ქალები ზანგებსაც თუ უწვებოდნენ. ორი წელი ვერ მოინელა ეს ამბავი. ზოგჯერ გაახსენდებოდა ხოლმე, როგორ გამოიწვია ერთხელ საჩხუბრად თეთრკანიანი კაცები, შეგნებულად გააღიზიანა, ეშმაკობით აიძულა ზანგი დაეძახათ მისთვის, რადგან მიზეზს ეძებდა, ჩხუბი სწყუროდა და თან ფეხებზე ეკიდა, მოერეოდა თუ პირიქით, უმოწყალოდ გაალახვინებდა თავს; მაგრამ მერე, მოგვიანებით, უკვე ნებისმიერ ზანგს მოკლავდა ან შეაკვდებოდა, თუკი ის ჯოსაც ზანგად არ ჩათვლიდა. უკვე ჩრდილოეთში იყო, ჯერ ჩიკაგოში, მერე დეტროიტში. თეთრკანიანებს გაურბოდა, ზანგებთან ცხოვრობდა, იმათთან ჭამდა და იმათთან ეძინა — ერთთავად ალესილს, ატეხილს, გაუკაცურებულს. მაშინ ქალიც ზანგი ჰყავდა, აბანოზის ხისგან გამოკვეთილს ჰგავდა. ღამღამობით ძილგამკრთალი იწვა ხოლმე იმ ქალის გვერდით და ღრმად, ხარბად იწყებდა სუნთქვას. განზრახ იქცეოდა ასე, თან გრძნობდა, ხედავდა კიდეც, სულ უფრო და უფრო როგორ ებერებოდა ნეკნების გალიაში მომწყვდეული თეთრი მკერდი, როგორ ცდილობდა ერთბაშად და საბოლოოდ შეეწოვა ზანგების შავი სურნელი, შავი და იდუმალი ფიქრი, შავი და იდუმალი არსება, ხოლო ყოველი ამოოხვრისათვის საკუთარი სხეულიდან გამოეყოლებინა თავისი თეთრი სისხლი, თეთრი ფიქრი, თეთრი სული. და მაინც, მუდამ, როცა ნესტოებდაბერილი და ნესტოებგათეთრებული ცდილობდა ამ სურნელის გათავისებას, ერთიანად იკრუნჩხებოდა და იძაბებოდა ფიზიკური ძალდატანებისა და სულიერი უარყოფისაგან.

ეგონა, სიმარტოვეს გავურბივარ და არა საკუთარ თავსო. მაგრამ ქუჩა არ მთავრდებოდა: კატისა არ იყოს, მისთვისაც არ

განსხვავდებოდა ერთი ადგილი მეორისაგან. თუმცა, სიმშვიდეს კი ვერსად პოულობდა. ქუჩაც გრძელდებოდა, იერს იცვლიდა, განწყობილებასაც, ოღონდ მუდამ უკაცრიელი რჩებოდა: შეიძლება, ურიცხვ გაუთავებელ ავატარებში მოხვედრილიც ეგონა საკუთარი თავი, სადაც, მარადიულ სიჩუმეში, უსასრულოდ უნდა ევლო, უსასრულოდ უნდა ემოძრავა ჩაკლული თუ ხელახლა წაქეზებული სასოწარკვეთილების სიმამაცეს აყოლილს; სიმამაცის სასოწარკვეთილებას დამორჩილებულს, რომელსაც ხან ჩაკვლა, ხან კი ისევ წაქეზება სჭირდებოდა. ის უკვე ოცდაცამეტი წლისა იყო.

ერთ საღამოსაც, ქუჩა მისისიპის სოფლურ გზად იქცა. როცა რომელიღაც პატარა ქალაქის ახლოს სამხრეთისკენ მიმავალი სატვირთო მატარებლიდან ჩამოსვეს, ამ ქალაქის სახელიც არ იცოდა; არც აინტერესებდა, რა სიტყვა აერჩია ქალაქს თავის სახელწოდებად. ქალაქს საერთოდ ვერც ამჩნევდა. ტყე-ტყე შემოუარა გარეუბანს, გზაზე გავიდა და ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს გაიხედა. გზაზე ხრეშიც არ ეყარა, თუმცა ეტყობოდა, გამვლელ-გამომვლელი მაინც არ უნდა ჰკლებოდა. აქა-იქ, გზის გასწვრივ, რამდენიმე ზანგური ქოხი მიმოფანტულიყო; მერე, დაახლოებით ნახევარი მილის იქეთ, უფრო დიდ სახლსაც მოჰკრა თვალი. სახლი წარაფში იდგა და ერთ დროს, ეტყობა, პრეტენზიულობითაც გამოირჩეოდა. მაგრამ ახლა, ხეებს აშკარად არ აწყენდათ შემოკაფვა და თავად სახლიც მრავალი წლის შეუღებავს ჰგავდა. თუმცა, უკაცრიელად მაინც არ გამოიყურებოდა და მთავარიც ეს იყო, უკვე ოცდაოთხი საათი სრულდებოდა, ლუკმა არ ჩაედო პირში. — ეს უნდა გამოდგესო, — გაიფიქრა.

არადა, მაშინვე არ წასულა სახლისკენ, თუმცა კი უკვე საღამო ჩამოწვერილიყო. პირიქით, ზურგიც აქცია და საპირისპირო მხარეს გაუდგა გზას, ჭუჭყიანი თეთრი პერანგი ეცვა, გაცვეთილი სარჟის შარვალი და დამსკდარი, მტვირანი, ქალაქური ფეხსაცმელები, ნაჭრის ქუდი თავზე ამპარტავნულად დაეკოსებინა, სახეზე სამი დღის ჯაგარი მოსდებოდა და მაინც, მაწანწალას არა ჰგავდა; ყოველ შემთხვევაში, იმ ზანგ ბიჭს ნამდვილად არ ჩაუთვლია მაწანწალად, მალე რომ შემოხვდა გზად რკინის ვედროს ქნევაქნევით მომავალი. ბიჭი შეაჩერა და — აგერ, იმ დიდ სახლში ვინა ცხოვრობსო — ჰკითხა.

„იქა? მიზ ბარდენი“.

„მისტერ და მისის ბარდენი?“

„არა ბატონო. არავითარი მისტერ ბარდენი იქ არ არის. ქალის მეტი არავინ ცხოვრობს“.

„ჰოოო. გასაგებია. მაშ, მოხუცი ქალი ყოფილა“.

„არა ბატონო. მიზ ბარდნი მოხუცი არ არის. თუმცა, არც ახალგაზრდაა“.

„მერე, სულ მარტო ცხოვრობს? არ ეშინია?“

„რისა უნდა ეშინოდეს ამ ქალაქში? ვინ რას დაუშავებს?! აქაური ზანგები პატრონობენ“.

„ზანგები პატრონობენ?“

თითქოს ბიჭმა კარები მიუკეტა ცხვირწინ. „ბუზსაც არ აუფრენს არავინ. თვითონაც თავის დღეში არავისთვის უწყენინებია“.

„ეტყობა“, თქვა ქრისთმასმა, „ამ გზას რომ გავყვე, მეზობელ ქალაქამდე რამდენი მილი იქნება?“

„ამბობენ, ოცდაათამდეაო; ალბათ, ფეხით არ აპირებთ წასვლას, არა?“

„არა“, თქვა ქრისთმასმა. მერე ბიჭს ზურგი შეაქცია და გზა განაგრძო. ბიჭმა თვალი გააყოლა. მერე ისიც შეტრიალდა, წავიდა, რკინის ვედროს რწევა-რწევით. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ უკან მიიხედა. უცნობი, წელან კითხვები რომ დააყარა სეტყვასავით, თავის გზას მიუყვებოდა, მტკიცედ მიაბიჯებდა, თუმცა არცთუ ისე სწრაფად. ბიჭიც დაიძრა, გახუნებულ, დაკემსილ, დაპატარავებულ კომბინეზონიანი. ფეხზე არ ეცვა. მალე რაღაც სხვანაირად, უცნაურად ააფრატუნა ფეხები, წაიცეკვა, გაჩხინკულ, შოკოლადისფერ კანჭებთან და მეტისმეტად დამოკლებული კომბინეზონის ჩამოძენძილ ტოტებთან წითელი მტვრის ბუქი დაიყენა; მერე, წაიმღერა კიდეც, მოგუდულად, რიტმულად, მუსიკალურად, ოღონდ, ერთადერთ ნოტზე:

ენას მოუკელი
ჭკუას მოუხმე
თუ ეგ ქერა გოგო მოგწონს
ხელიც წაავლე.

სახლიდან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით ხშირ ბუჩქნარში წამოწოლილ ქრისთმასს ესმოდა სადღაც შორს როგორ ჩამოჰკრა საათმა ჯერ ცხრაჯერ, მერე ათჯერაც. ხეებში ოთხკუთხა, ვეებერთელა სახლი ილანდებოდა. ზედა სართულზე, ერთადერთ ფანჯარაში შუქი ენთო. შტორები არ დაეხურათ და ჩანდა — ოთახს ნავთის ლამპა ანათებდა. ხანდახან ფანჯარაში ადამიანის ჩრდილიც გაკრთებოდა ხოლმე, შორეულ კედელს გადაჰკვეთდა. თუმცა, თვითონ ადამიანი ერთხელაც არ დაუნახავს. ცოტა ხანში შუქი ჩაქრა.

სახლი ახლა ერთიანად ბნელში ჩანთქმულიყო; ქრისთმასიც აღარ უცქერდა. ბუჩქნარში იწვა, პირქვე, მუცლით ბნელ მიწაზე გართხმული. ბუჩქნარში თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი; სი-

გრილეც პერანგსა და შარვალში ატანდა — დამწყვდეული, ნესტიანი — თითქოს ბუჩქნარში დარჩენილ ჰაერს მზე არასოდეს გაჰკარებიაო. გრძნობდა კიდეც, მზესდანატრებული მიწა, ტანსაცმლის გავლით, ნელ-ნელა როგორ ატანდა მის არსებაში: საზარდულებში, ბარძაყებში, მუცელში, მკერდში, მხრებში. მკლავები გადაეჯვარედინებინა და შუბლი ზედ ჩამოედო, ნესტოებში ბნელი და ნოტიო მიწის მსუყე სურნელი უღიტინებდა.

ერთხელაც აღარ გაუხედავს ჩაბნელებული სახლისაკენ. საათზე მეტხანს იწვა ასე, ვიდრე წამოდგებოდა და ბუჩქნარიდან გამოვიდოდა. არ მიიპარებოდა. სახლთან მიახლოებულს არც სიფრთხილისა ეტყობოდა რამე, არც დაძაბულობისა. უბრალოდ, უხმაუროდ მიაბიჯებდა, თითქოს მხოლოდ ასე დადიოდა მუდამ, ყოველთვის; სახლის ახლა უკვე უსაშველოდ გაზრდილ ლანდს შემოუარა და უკანა კარებისკენ დააღერა თავი, იქით, სადაც სამზარეულო ეგულებოდა. კატაზე მეტი ჩქამი არ გაუღია, როცა შეჩერდა და ცოტა ხნით შეიცადა წეღან განათებული ფანჯრის ქვეშ. ჭრიჭინებმა, ადამიანის ფეხის ხმაზე შიშით რომ მიჩუმებულიყვნენ, სიჩუმის პაწია კუნძული რომ შეექმნათ, სიჩუმე ქრისთმასის ფეხებთან თავიანთი სუსტი ხმების სიფრიფანა, ყვითელი ჩრდილივით რომ დაეფინათ — ახლა ისევ ამოიღეს ხმა, მაგრამ გადადგა თუ არა ისევ ნაბიჯი, ფხიზელნი და გაფაციცებულნი, კვლავ უეცრად გაიტრუნენ. სახლს, უკნიდან, ერთსართულიანი ფრთა ჰქონდა მიშენებული. „ეს იქნება სამზარეულო“, გაიფიქრა მან. „ჰო. ეს იქნება“. უხმაუროდ მიაბიჯებდა, უეცრად ხმაგაკმენდილი მწერების პაწია კუნძულზე. სამზარეულოს კარიც გაარჩია ბნელში. კარიდან რომ დაეპირებინა შესვლა, კარი ღია დაუხვდებოდა. მაგრამ არც უსინჯავს კარის გაღება. ჩაუარა და ფანჯრის ქვეშ შედგა. ვიდრე გააღებდა, გაახსენდა — წეღან განათებულ ფანჯარას გისოსი არ ეკეთა.

არც ფანჯარა დაეკეტათ, ის კი არა, ჯოხიც შეეყენებინათ — არ მიიხუროსო. „რა გინდა კაცმა იფიქრო?!“ გაუელვა წამით. ფანჯარასთან იდგა, ხელები რაფაზე ეწყო, მშვიდად სუნთქავდა, არც არაფერს აყურადებდა, არც ჩქარობდა, თითქოს, მთელ მზისქვეშეთში არავის არსად ეჩქარებოდა. „კარგია, კარგი. აი, ეს მესმის. მშვენიერი ამბავია“. მერე ფანჯარაში გადაძვრა; თითქოს გადაიღვარა ბნელ სამზარეულოში: უხმოდ და გადაუადგილებლად დაუბრუნდა ჩრდილი წყვდიადისა და გაურკვევლობის მშობელ დედას. იქნებ ის სხვა ფანჯარაც გაახსენდა, საიდანაც, ერთ დროს, კატასავით მარდად და უხმაუროდ ძვრებოდა ხოლმე, ფანჯარა და თოკი, თავისი ერთადერთი იმედი; შეიძლება, მართლა გაახსენდა, შეიძლება — არა.

ეტყობა, მაინც არა, როგორც კატას არ გაახსენდებოდა ალბათ სხვა ფანჯრები; თითქოს, ისიც კატასავით ხედავდა ბნელში, თითქოს ზუსტად იცოდა, სად უნდა ეპოვა ნანატრი საჭმელი; ანდა, თითქოს რაღაც მისთვისაც უცნობი ძალა წარმართავდა. უხილავი თითებით დასწვდა რაღაცას: უხილავ საჭმელს. არც დაინტერესებულა, ნეტავ რა არისო. ვერც კი ხვდებოდა, უკვე რომ გაესინჯა ამ საჭმლის გემო და ახლა ცდილობდა, გაეხსენებინა, საიდან ეცნობოდა, ვერ ხვდებოდა, ვიდრე უეცრად, შუა ჭამაში, ყბა არ გაუშეშდა და ფიქრიც ოცდახუთი წლის წინანდელს არ გადასწვდა, უკან არ დაუყვა ქუჩას, მის ყველა უჩინარ, მწარე დამარცხებებითა და კიდევ უფრო მწარე გამარჯვებებით აღბეჭდილ მოსახვევს არ ჩაუარა, ხუთი მილით უკან არ მოიტოვა ის კუთხეც, სადაც სიყვარულის საშინელ, პირველ დღეებში იდგა და იმას ელოდა ხოლმე, ვისი სახელიც დავიწყებოდა ახლა; ხუთი მილით კიდევ უფრო შორს მიდიოდა ფიქრი *ამ წუთას გავიხსენებ. ადრეც მიჭამია სადღაც. ამ წუთას გავიხსენებ* და მახსოვრობაც, ტკაცატკუცით კარნახობდა — *აი, ვხედავ, ვხედავ კი არა, მესმის კიდეც. აი, თავჩაქინდრული ვდგავარ მესმის რულისმომგვრელი ჭკუისდამრიგებელი ხმა და მჯერა ეს ხმა არასოდეს მიჩუმდება მარად და მარად გაგრძელდება. აი თვალს ვაპარებ და ჯიუტ რეგვენ დახრილ თავს ვხედავ, ვხედავ ახლადდაბანილ ბლაგვ წვერსაც ვფიქრობ ნეტავი არა შია მეთქი, მე ხომ მარტო სუნიც მაგიჟებს, მთელი სასა, ენა მოლოდინის ცხელი მარილითა მაქვს დაცვარული, თვალებიც კი უსინჯავენ გემოს თეფშიდან ავარდნილ ოხშივარს* „ბარდაა“, თქვა ხმამაღლა. „ღმერთო ჩემო, მინდვრის ბარდაა, ბადაგით“.

ეტყობა, მხოლოდ ფიქრი არ გასცილებია სამზარეულოს, ადრევე უნდა გაეგონა ხმა, რადგან, მაინცდამაინც, არც ამ ხმის გამომცემი ცდილობდა სიჩუმისა და სიფრთხილის დაცვას. შეიძლება, გაიგონა კიდეც. ოღონდ, როცა რბილი ჩუსტების ხმა სახლის მხრიდან მოუახლოვდა სამზარეულოს კარს, მაინც არ შერხეულა, უეცრად თვალებანთებულმა როდის-როდის მიატრიალა ამ ხმისკენ თავი და როდის-როდის დაინახა კარებქვეშ დარჩენილ ღრიჭოში სუსტი სინათლის ათინათი. ღია ფანჯარა იქვე იყო: ერთი ნაბიჯი და გარეთ იქნებოდა. მაგრამ არც განძრეულა. თეფშიც კი არ დაუდგამს მაგიდაზე. ღეჭვაც არ შეუწყვეტია. ასე იდგა შუა ოთახში — თეფში ხელში ეჭირა და იღეჭებოდა — როცა კარი გაიღო და ქალი შემოვიდა. გახუნებული, გრძელი ხალათი ეცვა და სან-

თელი მოჰქონდა, მაღლა აწეული სანთლის შუქი ეცემოდა სახეზე: მშვიდ, სერიოზულ, სრულიად უშფოთველ სახეზე. ამ მქრქალ შუქზე ოცდაათიოდე წლისას ჰგავდა. კარებთან იდგა. წუთზე მეტხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს ლამის ერთნაირ პოზაში გახევებულნი: ერთს თეფში ეჭირა ხელში, მეორეს — სანთელი. ქრისთმასი ახლა უკვე აღარ იღეჭებოდა.

„თუ მხოლოდ საჭმელი გნებავთ, საჭმელს აქ არავინ დაგამადლით“, თქვა ქალმა წყნარი, ოდნავ მოგუდული, საკმაოდ ცივი ხმით.

- XI -

მოშილიფებული, დასაწოლად გამზადებული ქალი, სანთლის მქრქალ შუქზე ოცდაათი წლისაზე უფროსს არა ჰგავდა. მერე, როცა დღის სინათლეზეც ნახა, მიხვდა — ოცდათხუთმეტსაც იქნება გადაცილებულიო. მოგვიანებით ქალმა თვითონვე უთხრა, ორმოცისა ვარო. — ისე თქვა, ორმოცდაერთისაც შეიძლება იყოს და ორმოცდაცხრისაცო — გაიფიქრა მაშინ. ოღონდ, იმ პირველ ღამეს არაფერი უთქვამს ქალს. ჯერ კიდევ ბევრ ღამეს უნდა გაევლო, ვიდრე, თუნდაც, საკუთარ ასაკს გაუმხელდა.

საერთოდ, ძალიან ძუნწად უამბობდა თავის ამბავს. იშვიათად საუბრობდნენ, შემთხვევით თუ გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, მას შემდეგაც კი, როცა უკვე შეეჩვია და გაუშინაურდა შინაბერა ქალის საწოლს. ზოგჯერ ეგონა, სრულებით არა ვცემთ ერთმანეთს ხმას, სინამდვილეში არც ვიცნობ ამ ქალსო. თითქოს ორი ქალი არსებობდა ერთდროულად: პირველს იშვიათად, ხანდახან თუ მოკრავდა ხოლმე დღისით თვალს, როცა რამდენიმე არაფრისმთქმელ, უაზროდ და უმიზნოდ წარმოთქმულ სიტყვას გადაუკრავდა; მეორის გვერდით კი ღამღამობით იწვა და არამცთუ ვერ ხედავდა, ხმასაც არ სცემდა საერთოდ.

ერთი წლის მერეც (ახლა უკვე სარანდავ ფაბრიკაში მუშაობდა) დღისით მხოლოდ შაბათობით, სამუშაოს შემდეგ ან კვირას თუ მოჰკრავდა ხოლმე თვალს, ანდა მაშინ, როცა ქალის მომზადებული და სამზარეულოში, მაგიდაზე დატოვებული საჭმლისთვის შედიოდა სახლში. ასეთ დროს, ზოგჯერ, ქალიც წაადგებოდა ხოლმე თავს, მაგრამ თუ ჭამდა, მაშინვე უჩუმრად უკან გაბრუნდებოდა; ხანდახან უკანა

პარმაღზეც ხვდებოდა, მას მერე, რაც სახლის გვერდით დაბინავდა ქოხში, პირველი ოთხი-ხუთი თვის მანძილზე იქაც ძუნწად, ლამის უცნობებივით გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე ერთიმეორეს. მუდამ ფეხზე იდგნენ: ქალს თავისი ერთ-ერთი, ეტყობა, გამოულეველი საშინაო ჩითის სუფთა კაბა ეცვა და ზოგჯერ, სოფლელი დედაკაცივით, ნაჭრის ფარფლებიანი ქუდიც ეხურა, თვითონ კი, ახლა უკვე მუდამ გაკრიალებულ თეთრ პერანგსა და ყოველ კვირას საგულდაგულოდ დაუთოებულ სარჟის შარვალში გამოწყობილიყო. არასოდეს ჩამომსხდარან სასაუბროდ. ის კი არა, მგონი დამჯდარი არც უნახავს ქალი ერთის მეტად, იმ ერთხელაც, პირველი სართულის ფანჯარაში შეიხედა და უნებურად მოჰკრა თვალი, როგორ წერდა რაღაცას მაგიდასთან მიმჯდარი. ერთი წლის მერეღა მიაქცია ყურადღება, რამდენ წერილს ღებულობდა და გზავნიდა ქალი, მაშინ შეამჩნია, ყოველ დილით, ერთსა და იმავე, მკაცრად განსაზღვრულ დროს, როგორ მიუჯდებოდა ხოლმე პირველ სართულზე, თითქმის ცარიელ, სხვა დროს ლამის მუდამ გამოკეტილ ოთახში ძველ, ერთიანად დაკაწრულ, თავასახდელ მერხს და რა მონდომებით, როგორი გულისყურით წერდა და წერდა დაუსრულებლად; სწორედ მაშინ შეიტყო, ორმოცდაათი სხვადასხვა ადგილიდან რომ ღებულობდა თურმე ქალი საქმიანსა თუ პირად წერილებს და ორმოცდაათ სხვადასხვა მისამართზე აგზავნიდა თვითონაც პასუხს — რჩევას აძლევდა, ფინანსურ თუ რელიგიურ საკითხებზე საქმიან წერილებს სწერდა არა მარტო დირექტორებს, პედაგოგებსა და მეურვეებს, არამედ სამხრეთში გაბნეული ათასობით ზანგური სკოლისა თუ კოლეჯის მოსწავლე გოგონებსაც და ამ კოლეჯების კურსდამთავრებულებსაც კი. ათასში ერთხელ, სამი-ოთხი დღით შინიდანაც მიემგზავრებოდა სადღაც და, თუმცა, ახლა უკვე როცა მოეგუნებებოდა მაშინ, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლო ქალის ნახვა, მაინც მთელი წელი გავიდა, ვიდრე გაიგებდა, ამ სკოლების მოსანახულებლად, იქაურ მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან სასაუბროდ რომ მიემგზავრებოდა თურმე იგი. ქალის საქმეებსაც ერთი მემფისელი ზანგი ვექილი განაგებდა, თავადაც ერთ-ერთი ამდაგვარი სკოლის მეურვეთაგანი. სწორედ მის სეიფში ინახებოდა ანდერძთან ერთად, წერილობითი განკარგულება (ქალის ხელით შედგენილი), როგორ უნდა მოქცეოდნენ მის სხეულს გარდაცვალების შემდეგ. ეს რომ გაიგო, მერე ქალისადმი ქალაქის დამოკიდებულებაც აღარ გაჰკვირვებია, თუმცა, ისიც კარგად მოეხსენებოდა, ნახევარიც რომ არ იცოდა ქალაქმა იმისა, რაც თვითონ შეეტყო და აღმოეჩინა. მაშინ გაიფიქრა სწორედ: — აქ ნამდვილად არავინ შემაწუხებსო.

მერე, ერთ მშვენიერ დღეს, უეცრად თვალი აეხილა და მიხვდა — შინ არასოდეს შევუპატიჟივარ ქალსო. მართლაც, სამზარეულოს არც გასცილებოდა, თუმცა იქ კი დაუკითხავად შეაბიჯებდა ხოლმე და თან ამრეზილი ფიქრობდა — აქედან უკვე ვერასდიდებით ვეღარ ამომიკვეთავს ფეხს და ეს ჩემზე უკეთ თვითონ იცისო. ოღონდ ეგაა, დღისით თუ შედიოდა სამზრეულოში, ისიც მხოლოდ და მხოლოდ დანატოვარი საჭმლისათვის. აი, ღამ-ღამობით კი, თითქოს მუდამ, ის პირველი ღამე მეორდებოდა; მაშინაც, როცა მისი ღრმა რწმენით, მოლოდინად ქცეული ქალის საძინებელი ოთახისაკენ მიუყვებოდა ხოლმე კიბეს, ყოველთვის ისევ ქურდად, ყაჩაღად და მოძალადედ თვლიდა თავს. ერთი წლის მერეც მაინც მალულად მიიპარებოდა და თითქოს ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა აეხადა ქალისთვის ნამუსი. ყოველი ახალი შებინდებისას თითქოს ხელახლა ხდებოდა იძულებული კიდევ ერთხელ მიეტაცა მიტაცებული — ანდა, იქნებ, არც არაფერი მიეტაცა და ვერც ვერასოდეს მიიტაცებდა ვერაფერს.

ზოგჯერ ასეც ფიქრობდა, ამგვარი ეჭვიც უღრღნიდა სულს, როცა კვლავ და კვლავ ახსენდებოდა ხოლმე ის უხეში, უცრემლო, უსაყვედურო და ღამის მამაკაცური დანებება, დამორჩილება ქალისა. თავდაცვის საკუთარი ინსტინქტის გამო მსხვერპლად გაღებული, ვინ იცის, რამდენი ხნის ხელუხლებელი სულიერი განმარტოება, რომელსაც, დროთა განმავლობაში, მამაკაცური ძალა და მხნეობა შეეძინა. ეტყობა, მართლაც გაორებულ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე: თან ქალთან, ვისმა ერთმა დანახვამაც მაღლა აწეული სანთლის შუქზე (ანდა, შეიძლება მოახლოებულმა, ჩუსტებში წაყრილი ფეხის ხმამაც), წამით ისე გადაუშალა თვალწინ, ისე გაუნათა უსაფრთხოებისა და, თუ სიამოვნების არა, ყოველ შემთხვევაში ხელსაყრელი და საიმედო ურთიერთობის ჰორიზონტი, როგორც მიდამო განათდება ხოლმე უეცრად ელვის გაკრთომისას; და თან, იმავდროულად, მამაკაცურად ნავარჯიშევ და ნაწრთობ კუნთებთან და გონებასთან, მემკვიდრეობისა თუ გარემო პირობების ნაყოფთან, რასთანაც ბოლო წამამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მოუწევდა ომი და ბრძოლა. არ არსებობდა არც ქალური ყოყმანი, არც აშკარა ნდომის შემნიღბავი სიმორცხვე და არც, ბოლოს და ბოლოს, დანებების სურვილი. თითქოს მეორე კაცს ეცილებოდა, მეორე კაცს ართმევდა რაღაც ისეთს, რასაც არცერთისათვის არ გააჩნდა ჭეშმარიტი ღირებულება და მხოლოდ პრინციპის, მხოლოდ სიჯიუტის გამო ქცეულიყო ბრძოლის მიზეზად.

როცა იმ პირველი ღამის შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, გაიფიქრა — ღმერთო ჩემო, რა ცოტა ვიცი თურმე ქალებზე, არადა,

მეგონა, კარგად ვიცნობდიო. ეს მეორე დღესვე იყო; ქალს შესცქეროდა, გამოელაპარაკა კიდეც, მაგრამ ვერაფრით წარმოედგინა, თორმეტი საათის წინ მახსოვრობაში დალექილი, მართლა რომ შეიძლებოდა მომხდარიყო, ფიქრობდა ***რა უნდა ჰქონდეს ამ კაბის ქვეშ ისეთი, წუხანდელი ამბავი ვირწმუნო*** მაშინ ჯერ ფაბრიკაში არ მუშაობდა. თითქმის მთელი დღეები ქალისგან ნათხოვარ საწოლზე გაშოტილიყო ქალისავე ქოხში და თავქვეშ ხელებამოწყობილი სიგარეტს ეწეოდა. — ღმერთო ჩემოო, — ფიქრობდა ხოლმე, — თითქოს მე ქალი ვიყავი, ის კიდევ კაციო. მაგრამ, არც ეს ჰგავდა სინამდვილეს. არ ჰგავდა, რადგან ქალი უკანასკნელ წამამდე უწევდა წინააღმდეგობას. თუმცა, არც ეს წინააღმდეგობა იყო ქალური წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა, რომელსაც, თუკი თავად ქალს არ უნდა, ვერცერთი მამაკაცი ვერ დაძლევს იმ უბრალო მიზეზის გამო, ფიზიკური ორთაბრძოლისას არავითარ წესს რომ არ იცავს ქალი. არადა, პატიოსნად უძალიანდებოდა, წესსაც იცავდა, იმ წესს, რომლის თანახმადაც, ერთ გადამწყვეტ წამს, რომელიღაცა უთუოდ უნდა დამარცხებულიყო, სულერთია, გააგრძელებდა ბრძოლას თუ არა. იმ ღამეს მანამდე შეიცადა, ვიდრე სამზარეულოს ფანჯარა არ ჩაბნელდა და ცოტა ხნის მერე ქალის ოთახი არ განათდა, მაშინღა გაემართა სახლისკენ. სიბრაზეს მიჰყავდა და არა სურვილს, მშვიდ ბრაზს აჰყოლოდა. — ახლა ნახავსო, — თქვა ხმამაღლა. არც ახლა ფრთხილობდა. სახლშიც თამამად შეაბიჯა და კიბეს აუყვა; ქალმაც მაშინვე გაიგონა მისი ფეხის ხმა. ვინ არისო? — იკითხა. ხმაზე არავითარი შეშფოთება არ შესტყობია. პასუხი არ გაუცია. კიბე აათავა და ოთახში შევიდა. ქალი ჯერ ისევ ჩაცმული იყო, კარისკენ შემობრუნდა და შემოსულს მიაჩერდა. თუმცა, ხმა აღარ ამოუღია. უხმოდ შესცქეროდა, როგორ მივიდა ის მაგიდასთან და, სულის შებერვით, როგორ ჩააქრო ლამპა. ფიქრობდა, — ახლა გაიქცევაო. ამიტომაც ისკუპა წინ, კარისკენ გადაუჭრა გზა. მაგრამ ქალს არც უფიქრია გაქცევა. სიბნელეშიც იქ მიაგნო, სადაც შუქის ჩაქრობისას დატოვა. მერე ტანსაცმლის შემოხევა დაუწყო. თან ელაპარაკებოდა, დაძაბულად, უხეშად, ჩუმად: „ახლა ნახავ! ახლა ნახავ, შე ძუკნა!“ ქალი არ გასძალიანებია. ის კი არა, თითქოს ეხმარებოდა კიდეც, ოდნავ შეტრიალ-შემოტრიალდებოდა ხოლმე, სწორედ მაშინ, როცა აუცილებელი იყო. თუმცა, მაინც ეგონა ქალის ჯერ გაუხევებელ გვამს ვეხებიო. მაგრამ, არც ამას შეუჩერებია; ხელებიც უხეში და ჯიუტი ჰქონდა, ოღონდ, მხოლოდ და მხოლოდ, სიბრაზის გამო. — სხვა თუ არაფერი, ბოლოს და ბოლოს, ქალად ხომ მაინც ვაქციეო,

— ფიქრობდა. — ახლა ვძულვარ. ეს ხომ მაინც ვასწავლეო.

მეორე დღე ისევ ქოხში, საწოლზე გაშოტილმა გაატარა. არაფერი უჭამია; არც უფიქრია, სამზარეულოში შესულიყო და ენახა, დაუტოვა ქალმა რამე თუ არა. მზის ჩასვლას ელოდებოდა, შებინდებას. — მერე კი წავალო, — ფიქრობდა. აღარ ეგონა, ოდესმე ისევ თუ შეხვდებოდა ქალს. — ჯობია წავიდეო, — ფიქრობდა. — ამ ქოხიდანაც არ გავაგდებინო თავი. ამას მაინც მოვახერხებ. ჯერ არცერთ თეთრკანიან ქალს არ გავუგდივარ. მარტო ზანგის ქალმა გამომაძევა ერთხელ, ცხვირწინ მომიხურა კარიო. ასე იწვა და ეწოდა, შებინდებას ელოდებოდა. ღია კარიდან ხედავდა, როგორ გადაიხარა მზე, ჩრდილებიც დაგრძელდნენ, მზეც გასპილენძისფერდა. მერე, სპილენძისფერი იისფრად გახუნდა, ბაც იისფრად, დაბინდებისას რომ იცის ხოლმე, ისე. მაშინ ბაყაყების ხმაც მოესმა, ციცინათელებმაც გაიელვეს ღია კარის ჩარჩოში, სულ უფრო და უფრო ნათდებოდნენ, რაც უფრო მატულობდა ბინდი. ფეხზე წამოდგა. სამართებლის მეტი არაფერი ებადა; სამართებელი ჯიბეში ჩაიდო და უკვე მზად იყო გინდა ერთი, გინდა ათასი მილის გასავლელად, საითაც არ უნდა წასულიყო, საითაც არ უნდა წაეყვანა უჩინარ მოსახვევებიან ქუჩას. თუმცა, როგორც კი დაიძრა, მაშინვე სახლისკენ დააღერა თავი. თითქოს, დარწმუნდა თუ არა, იქით მიპირებენ ფეხები წაყვანასო, აღარ გასძალიანებია, ნებაზე მიუშვა და მიჰყვა, დანებდა საკუთარ ფეხებს, თან ფიქრობდა **ძალიან კარგი, ძალიან კარგი** წონადაკარგული მიცურავდა, სახლისკენ მიარღვევდა ბინდ-ბუნდს, მერე უკანა პარმაღზე აღმოჩნდა, იმ კართან, საიდანაც ჩვეულებრივ შედიოდა ხოლმე, კართან, რომელიც არასოდეს იკეტებოდა. მაგრამ ამჯერად კარი დაკეტილი დაუხვდა. ცოტა ხანს ხელსაც კი არ სჯეროდა ეს ამბავი; მშვიდად იდგა, ჯერ არაფერს ფიქრობდა. ხედავდა, როგორ ეჯაჯგურებოდა კარს მისი ხელი და კარს იქიდან ურდულის ხმაც ესმოდა. მშვიდადვე გამობრუნდა უკან. ჯერ კიდევ არ ბრაზობდა. სამზარეულოს კარს მიადგა. ეგონა, ესეც ჩაკეტილი იქნებაო. უნდოდა კიდეც, ჩაკეტილი ყოფილიყო, ოღონდ ამას მანამდე ვერ მიხვდა, სანამ არ დარწმუნდა, კარი ღია რომ დაეტოვებინათ. ეს მიიჩნია ყველაზე მძიმე შეურაცხყოფად. თითქოს მტერი, ვისთვისაც მთელი რისხვა და ზიზღი დაეტეხა თავს, საღსალამათი და უშიშარი, დამცინავად, აუტანელი სიძულვილით მისჩერებოდა. სამზარეულოში შეაბიჯა, მაგრამ სახლში გამავალი კარიკენ არ წასულა, იმ კარისკენ, საიდანაც, იმ პირველ ღამეს, სანთლიანი ქალი გამოჩნდა. პირდაპირ მაგიდას მიაშურა. არც სჭირდებოდა რამის დანახვა. მისი ხელები ხედავდნენ; თეფშები ჯერაც თბილი იყო; ფიქრობდა **ესეც ზანგის პურმარილი, ზანგისთვის გაშლილი სუფრა**

თითქოს შორიდან შესცქეროდა საკუთარ ხელებს. ხედავდა, როგორ დასწვდა თეფშს, როგორ ასწია, როგორ წაიღო უკან და როგორ ეჭირა, ვიდრე თვითონ ნელ-ნელა, ხარბად ისუნთქავდა ჰაერს ღრმად ჩაფიქრებული. მერე საკუთარი ხმაც გაიგონა, თითქოს რაღაც თამაშს თამაშობსო, ხმამაღლა წარმოთქვა — ლორიაო — და ისიც დაინახა, როგორ მოიქნია ხელი და როგორ ისროლა თეფში, ხმაურით შეალეწა უხილავ კედელს, თან, ვიდრე მეორე თეფშს აიღებდა, დაძაბული ელოდა, როდის დაისადგურებდა ისევ წელანდელი სიჩუმე. ეს თეფშიც ცალი ხელით ეჭირა, ჰაერში ათამაშებდა და თან ცხვირს აქსუტუნებდა. ახლა მეტი დრო დასჭირდა გამოცნობას, „ლობიოა თუ ფხალი?“ თქვა ისევ ხმამაღლა. „თუ ისპანახი?.. რა მნიშვნელობა აქვს. ლობიო იყოს“. ეს თეფშიც შეემსხვრა კედელს, ახლაც დაუცადა, როდის მიწყდებოდა მსხვრევის ხმა. მესამე თეფშს დასწვდა. „ხახვითაა რაღაც“. თან ფიქრობდა **სასაცილოა. ნეტავი ადრე რატომ არ მომაფიქრდა** „ქალის ნეხვი“. ისიც მოისროლა, გამეტებით, აუჩქარებლად. მსხვრევის ხმას აყურადებდა, იცდიდა. უცებ რაღაც სხვა ხმაც მოესმა: ნაბიჯებისა, სახლიდან სამზარეულოსკენ მომავალი. — ახლა ლამპა ეჭირება ხელშიო, — გაუელვა წამით, თან იმასაც ფიქრობდა **კარისკენ რომ გავიხედო სინათლეს დავინახავ** ხელი კი ისევ მაღალ აწეული ეჭირა, ისევ სასროლად მოემარჯვა თეფში. **უკვე მოადგებოდა კარს** „კარტოფილია“, თქვა როგორც იქნა, მოსამართლესავით, გადაჭრით, დაბეჯითებით. კარისკენ არ გაუხედავს, მაშინაც კი, როცა ურდულის ხმა გაიგონა, გაიგონა, როგორ შემოამთქნარა კარმა და ხელაწეულს, ცალ ხელში თეფშით გაქვავებულს, შუქიც დაეცა. „კი, კარტოფილია“, გაიმეორა ისევ, სიმარტოვეში მოთამაშე ბავშვის ფიქრიანი, დაბნეული ხმით. ერთდროულად დაინახა და გაიგონა კიდეც, როგორ შეეხეთქა თეფში კედელს. მერე შუქი თანდათან დაშორდა; ხელახლა გაიგონა კარის ჭრიალი, მერე, ურდულის ხმაც. მაინც არ გაუხედავს იქით. ბოლო თეფშს დასწვდა. — ჭარხალიაო, თქვა. — ჭარხალი ჩემს დღეში არ მყვარებიაო.

მეორე დღეს სარანდავ ფაბრიკაში მოეწყო სამუშაოდ. პარასკევი იყო. ოთხშაბათ ღამის მერე ლუკმა არ ჩაედო პირში. შაბათ საღამომდე გასამრჯელო არ მიუღია, შაბათს, ნაშუადღევს, ზედმეტი იმუშავა. ჭამითაც შაბათ საღამოსღა ჭამა, რესტორანში, ქალაქის ცენტრში, პირველად სამი დღის განმავლობაში. სახლში აღარ დაბ-

რუნებულა. კარგა ხანს, ქოხიდან გამოსული თუ ქოხისკენ მიმავალი, სახლისკენ არც იყურებოდა. ექვსი თვის თავზე, უკვე თავისი, საკუთარი ბილიკი ჰქონდა გაკვალული ქოხიდან ფაბრიკამდე. ლარივით გაჭიმული ბილიკი ყველა სხვა ქოხს გვერდს უვლიდა, და, დღითიდღე სულ უფრო და უფრო მკაფიო და თვალშისაცემი, პირდაპირ ნახერხის გროვისაკენ, მისი სამუშაო ადგილისაკენ მიემართებოდა ტყე-ტყე. როცა ექვსის ნახევარზე სასტვენს ჩაბერავდნენ ხოლმე, მუდამ ამ ბილიკით ბრუნდებოდა შინ, ტანზე გამოიცვლიდა, თეთრ პერანგსა და გაუთოვებულ, მუქი ფერის შარვალს ჩაიცვამდა და უკან ბრუნდებოდა, ხელახლა გაივლიდა ორ მილს, ქალაქში რომ ევახშმა, თითქოს იქ კომბინეზონით გამოჩენა ესირცხვებოდა. ანდა, შეიძლება არც ესირცხვებოდა, ოღონდ თვითონ, ალბათ, არ იცოდა, რა ამოძრავებდა — სირცხვილი თუ რამე სხვა.

ახლა აღარ ცდილობდა შეგნებულად აერიდებინა სახლისთვის თვალი; თუმცა, განზრახაც არ იხედებოდა ხოლმე იქით. ერთი პირობა ფიქრობდა, თვითონ მომაკითხავს ქალიო. თვითონ მომცემს პირველ ნიშანსო — ეგონა. მაგრამ ქალი ნიშანს არ იძლეოდა; მაშინ თავი დააჯერა, აღარც მახსოვს იმისი არსებობაო. არადა, როცა ისევ გაიხედა სახლისკენ — უკვე საკუთარი ნებით, უკვე საკუთარი სურვილით, — ტვინში სისხლმა აასხა და მერე ერთბაშად სისუსტემ დარია ხელი, ძალა გამოეცალა; მიხვდა, თურმე განუწყვეტლივ როგორ ეშინოდა ქალის დანახვისა, როგორ გრძნობდა მუდმივად მისი დაუფარავი და მშვიდი ზიზღით აღსავსე მზერას; ეგონა, ერთიანად ოფლში ვცურავო, თითქოს რაღაც საშინელ განსაცდელს გადარჩენოდა. „მორჩა“, გაიფიქრა ცოტა ხნის მერე. „უკვე ესეც დავძლიე“. ამიტომაც, როცა ერთ დღეს მართლა დაინახა ქალი, აღარ აღელვებულა. ალბათ, მზად თუ იყო საამისოდ. ასეა თუ ისე, როცა შემთხვევით უკანა ეზოში თვალი მოჰკრა იმის ნაცრისფერ კაბასა და ფარფლებიან ქუდს, აღარც სისხლი ავარდნია თავში და აღარც სისუსტე დაუფლებია. არ იცოდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მართლა ჩუმად უთვალთვალებდა ქალი თუ არა, ვერც იმას დაიჟინებდა, ახლა, თუნდაც ახლა მაინც მიცქერისო. — შენ შენთვის და მე ჩემთვისო, გაიფიქრა, ისიც იფიქრა, **დამესიზმრა. ტყეულია ყველაფერი. ამ კაბის ქვეშ არაფერია ისეთი, ჩვენი ამბავი რომ დავიჯერო**

მუშაობა გაზაფხულზე დაიწყო. ერთ საღამოსაც, სექტემბერში, როცა ფაბრიკიდან შინ დაბრუნდა და ქოხში შესვლა დააპირა, გაოგნებული ტყვიანაკრავივით გაშეშდა ზღურბლზე. ქალი საწოლზე იჯდა, შემოსცქეროდა. თავშიშველი იყო. ადრე თავშიშველი არასოდეს ენახა, თუმცა, სიბნელეში კი გრძნობდა ხოლმე უჩინარ ბალიშზე გაშლილ თმას, ნებაზე მიშვებულს, ოღონდ ჯერ კიდევ აუწეწავს. მაგრამ, ნახვით ადრე არასოდეს უნახავს ეს თმა და ახლაც, როცა ერთმანეთს უხმოდ მისჩერებოდნენ, მხოლოდ იმას უყურებდა; უეცრად, სწორედ იმ წამს, როცა ხელახლა გადადგა ნაბიჯი, გაიფიქრა: — ქალობას ცდილობსო. **ვიცოდი, ქალარა ექნებოდა გარეული,** ქალობას ცდილობს და არკი იცის, რა ქნას, როგორ მოიქცესო. სწამდა, სჯეროდა — **სალაპარაკოდაა მოსული** — და მართლაც, ორი საათის შემდეგაც, ქალი ჯერ ისევ ლაპარაკობდა; გვერდიგვერდ ისხდნენ საწოლზე, ახლა უკვე ბნელში ჩანთქმულ ქოხში. ორმოცდაერთი წლისა ვარო, უთხრა ქალმა, ამ სახლში დავიბადე და მას მერე, სულ აქა ვცხოვრობო. ექვს თვეზე მეტხანს არასოდეს გამგზავრებულიყო თურმე ჯეფერსონიდან და თუკი მიემგზავრებოდა ხოლმე სადმე, ისიც ძალიან იშვიათად, რადგან ვერაფრით გაეძლო ამ უბრალო ფიცრებისა და ლურსმნების, ამ მიწის, ხეების, ბუჩქების გარეშე, საერთოდ აქაურობის გარეშე, მისთვისაც და მისიანებისთვისაც მაინც უცხოდ რომ დარჩენილიყო ბოლომდე; ახლაც, ორმოცი წლის შემდეგაც, აქაურ მიფუჩეჩებულ თანხმოვნებსა და ყრუდ წარმოთქმულ ხმოვნებში ისე აშკარად გამოკრთებოდა ხოლმე ნიუ-ინგლენდური კილო, როგორც მისიანების, მისი ნათესავების მეტყველებაში, რომელნიც ნიუ-ჰემფშირს არასოდეს გასცილებოდნენ და რომელნიც, ალბათ, სულ სამჯერ ოთხჯერ თუ ჰყავდა ნანახი მთელი ამ ორმოცი წლის მანძილზე. სინათლე სულ უფრო და უფრო კლებულობდა, ველარც გაიგებდი, საიდან მოისმოდა ეს თანაბარი, ლამის მამაკაცურად მოგუდული ხმა; გვერდიგვერდ ისხდნენ ბნელში ჩაკარგულ საწოლზე. — ისეთივეა, როგორც ყველა დანარჩენიო, ფიქრობდა ქრისთმასი. — სულერთია, ჩვიდმეტისა იქნება თუ ორმოცდაშვიდისა, ბოლოს და ბოლოს, დანებებას თუ გადაწყვეტს, მაინც ქადაგად უნდა დაეცესო.

ქელვინ ბარდენი მღვდლის, ნათანიელ ბარინგთონის ვაჟი იყო. ათი შვილიდან ყველაზე უმცროსს ჯერ საკუთარი სახელისა და გვარის დაწერაც არ შეეძლო (არ შეეძლო კი არა, არ უნდოდაო — ამტკიცებდა მამამისი), როცა თორმეტი წლისა შინიდან გაიქცა და გემზე მოეწყო სამუშაოდ. ჰორნის კონცხს შემოუარა, კალიფორნიაში ჩავიდა და კათოლიკობა მიიღო; ერთი წელიწადი მონასტერში იცხოვრა. ათი წლის შემდეგ დასავლეთიდან მისურიში ჩააღწია. სამი კვირის ჩასულიც არ იყო, იქორწინა, ჰუგენოტი შეირთო ცოლად, კაროლინადან კენტუკის გავლით გადმოხვწილი ემიგრანტების ქალიშვილი. ჯვარისწ-

ერის მეორე დღეს თქვა — სჯობს საქმეს ვეწიოო. თქმა და ქმნა ერთი
იყო. ჯერ საქორწინო ზეიმი არ დასრულებულიყო, პირველი ნაბიჯი
რომ გადადგა და საჯაროდ უარყო კათოლიკობა. ეს ამბავი სალუნში
მოხდა, ყველას გასაგონად განაცხადა, მომისმინეთ და ვისაც გსურთ,
შემომედავეთ კიდეცო; დავა განსაკუთრებით სწყუროდა, თუმცა დავის
მოსურნე არავინ გამოჩენილა; მანამდე მაინც, ვიდრე მეგობრებმა
იქაურობას არ მოაშორეს. მეორე დღეს ხელახლა დაადასტურა, ჩემს
სიტყვებზე ბოლომდე ვაგებ პასუხსო; არ მინდა მეც ბაყაყიჭამია მონათ-
მფლობელების ეკლესიას ვეკუთვნოდეო. ეს ყველაფერი სენტ-ლუისში
ხდებოდა. სახლი შეიძინა იქ და წლის თავზე, მამაც გახდა. მაშინ თქვა,
ამ ერთი წლის წინ კათოლიკობა ჩემი ვაჟიშვილის სულის სახსნელად
უარვყავიო; მართლაც, ლამის ძუძუთა ბავშვს დაუწყო თავისი ნიუ-
ინგლენდელი წინაპრების რწმენის ჩანერგვა. ახლო-მახლო არც უნი-
ტარიანული სამლოცველოები იყო და ვერც თვითონ კითხულობდა
ინგლისურ ბიბლიას. კითხვა ესპანურად შეესწავლა კალიფორნიაში,
ესპანელ ხუცესებთან, და ბავშვმა ფეხი აიდგა თუ არა, ბარდენიც
(ახლა ასე იწოდებოდა, ნამდვილი გვარი დავიწყებოდა და ახალი
გვარის დაწერაც რის ვაი-ვაგლახით შეასწავლეს ხუცესებმა, რადგან
თოფს, დანასა და თოკს მუდამ უკეთ ფლობდა, ვიდრე კალამს) კალი-
ფორნიიდან ჩამოტანილ ესპანურ წიგნს უკითხავდა შვილს, უკითხავდა
და უცხოენოვანი მისტიციზმის ნატიფსა და მჟღერ დინებაში შიგადა-
შიგ თავის სახელდახელო მსჯელობასაც გამოურევდა ხოლმე, სადაც
ნიუ-ინგლენდურ უსასრულო კვირა დღეებში მამისაგან შეძენილი ცივი
და უსისხლო ლოგიკა ისე იყო შეზავებული დაუყოვნებელი გენიითა
და ჯოჯოხეთური ცეცხლით, ნებისმიერი სოფლის მოგზაური მღვდე-
ლი-მეთოდისტი იამაყებდა. ორნი განმარტოვდებოდნენ ხოლმე ოთახ-
ში: მაღალი, გამხდარი, ჩრდილოური ტიპის კაცი და დედასავით
ტანმორჩილი, დედასავით შავტუხა, ცოცხალი ბიჭი. სხვადასხვა რასის
წარმომადგენლებს ჰგავდნენ. ბიჭი ხუთიოდე წლისა იქნებოდა, როცა
მონობაზე კამათისას ბარდენს კაცი შემოაკვდა და იძულებული გახდა,
ოჯახიანად აყრილიყო, სამუდამოდ გადახვწილიყო სენტ-ლუისიდან,
„შორს დემოკრატებისაგან“, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე.

ერთ დაბაში დაბინავდნენ, რომლის მთელ ღირსშესანიშნაობასაც
დუქანი, სამჭედლო, ეკლესია და ორი სალუნი შეადგენდა. აქაც
მთელ დროს პოლიტიკაზე მსჯელობაში ატარებდა და ხმამაღლა,
გააფთრებით სწყევლიდა მონობასა და მონათმფლობელებს. სახელი
და დიდება თან ჩამოჰყოლოდა, ყველამ იცოდა, დამბაჩას რომ არ
შორებდა და მის შეხედულებებს უსიტყვოდ იზიარებდნენ. ხანდა-

ხან, უფრო ხშირად შაბათობით, ღამით, შინაც შეუცდებოდა ხოლმე
ფეხი, გაუზავებელი ვისკითა და საკუთარი მჭევრმეტყველებით ერ-
თიანად გაჟღენთილს. უხეშად გააღვიძებდა ბიჭს (მაშინ უკვე ქვრივი
იყო და ბიჭის გარდა სამი ქალიშვილიც ჰყავდა, სამივე ერთნაირად
ცისფერთვალება) და ეუბნებოდა — ან შენც შეგაძულებ ორ რამეს,
ჯოჯოხეთსა და მონათმფლობელებს, ან არადა ძვალ-რბილს გაგი-
ერთიანებ. ხომ კარგად გესმის, რასაც გეუბნებიო?

— ხოო, პასუხობდა ბიჭიც. — მესმის, სხვა რა გზა მაქვს.
ოღონდ დაწექი და მეც დამაძინეო.

არც რჯულისმოძღვარი ეთქმოდა და არც მისიონერი. საერ-
თოდაც, თუკი დამბაჩების ტრიალთან დაკავშირებულ რამდენიმე
შემთხვევით, საბედნიეროდ უსისხლოდ დამთავრებულ ეპიზოდს არ
ჩავთვლით, ძირითადად მაინც ოჯახის საზრუნავში იყო ჩაფლული.
— ყველას თავისი ჯოჯოხეთისაკენ ჰქონია გზაო, ეუბნებოდა შვილებს.
— აი, თქვენ ოთხს კი, სანამ ჯანი მომდევს, მაინც ჩაგინერგავთ
ღვთის სიყვარულსო. კვირაობით ეუბნებოდა ამას, ყოველ კვირა
დღეს, როცა, დაბანილ-დასუფთავებულნი, გაწკრიალებულ, თუმ-
ცაღა ულაზათოდ გაწყობილ სასტუმრო ოთახში შეიკრიბებოდნენ
ხოლმე; ბავშვებს ჩითისა თუ ბამბის ტანსაცმელი ეცვათ, მამას —
ჯიბეზე დამბაჩისგან გამობერილი, თხელი მაუდის განუყრელი სერ-
თუკი და უსაყელო, ნაოჭასხმულ გულისპირიანი პერანგი, რომელ-
საც ახლა, ცოლის ნაცვლად, უკვე უფროსი გოგო ურეცხავდა და
უუთოვებდა ყოველ შაბათს; ერთ დროს მოვარაყებული და ჰერალდი-
კური ნიშნებით დამშვენებული წიგნიდან უკითხავდა შვილებს იმ
ენაზე, რომელიც არცერთ მათგანს არ გაეგებოდა. ასე ცხოვრობდ-
ნენ, ვიდრე ვაჟი შინიდან გაიქცეოდა.

ბიჭს ნათანიელი ერქვა. თოთხმეტი წლისა გადაიკარგა და თე-
ქვსმეტი წელი აღარ დაბრუნებულა შინ, თუმცა, ამ ხნის მანძილზე
ორჯერ კი შემოთვალა თავისი ამბავი. ჯერ კოლორადოდან, მერე
ოლდ-მექსიკოდან. თუმცა, მისი იქაური საქმიანობისა წესიერად მაინც
არაფერი იცოდნენ. — მე საღ-სალამათი დავტოვეო, ამბობდა მაცნე,
რიგით მეორე; 1863 წელი იდგა, მაცნე სამზარეულოში მაგიდას
მისჯდომოდა და ზრდილობიანი ფაცაფუცით აჩანაგებდა საუზმეს.
სამივე და ემსახურებოდა, ორი უფროსი უკვე გასათხოვარი იყო,
ოდნავ პირდაბჩენილნი დაფუსფუსებდნენ, განიერ, უბრალო, სუფთა
კაბებში გამოწყობილნი, თეფშებით ხელდამშვენებულნი დასტრიალებდნენ
მაგიდას, მამა კი მაცნეს პირდაპირ იჯდა და თავი ერთადერთ ხელზე
ჩამოედო. მეორე მკლავი ორი წლის წინ დაეკარგა, როცა პარტიზან-

თა რაზმში იბრძოდა კანზასის მახლობად, თმა და წვერიც შეეერცხ-
ლოდა. თუმცა, ჯერაც მხნედ გამოიყურებოდა და სერთუკის კალთაც
ძველებურად გამოებერა მძიმე დამბაჩის ტარს. „პატარა უსიამოვნება
კი შეემთხვა“, თქვა მაცნემ, „მაგრამ ჩემი წამოსვლისას კარგად იყო“.

„უსიამოვნება?“ ჰკითხა მამამ.

„ერთი მექსიკელი შემოაკვდა, ცხენის ქურდობას აბრალებდა.
ხომ იცით, რა თვალითაც უცქერენ ის ესპანელები ჩვენებურ კაცს,
გინდაც უბატონოდ ხმას არ ვცემდეთ?“ მაცნემ ყავა მოსვა. „თუმცა,
ალბათ არც გაემტყუნებათ, მართლა გაივსო იქაურობა ათასი ჯუ-
რის მაწანწალით... დიდი მადლობა“, მიუბრუნდა უფროს გოგოს,
როცა იმან ცხელ-ცხელი სიმინდის კვერები დაუხვავა თეფშზე; „კი,
გავსინჯავ, უსათუოდ გავსინჯავ ტკბილსაც... ამბობენ, იმ მექსიკე-
ლის არც იყო ცხენიო. ცხენი თავის დღეში არა ჰყოლიაო. მაგრამ,
მე მგონი, ესპანელებს მაინც მართებთ სიმკაცრე, ძალიან გაუტყდა
დასავლეთს სახელი აღმოსავლელთა წყალობით“.

მამამ რაღაც ჩაიბურტყუნა. „მე არ ვიცი?! თუ სადმე მართლა
რამე უსიამოვნება მოხდა, უიმისოდ როგორ ჩათავდებოდა. უთხ-
არით“, დაამატა ბრაზიანად, „თუ იმ გულდედალ ხუცებს თავს
მოაღორებინებს, ჩემი ხელით მივახვრიტავ, მეამბოხესავით“.

„სთხოვეთ შინ დაბრუნდეს“, თქვა უფროსმა გოგომ, „ძალიან
სთხოვეთ“.

„კი ბატონო“, თქვა მაცნემ. „უეჭველად ვეტყვი. ახლა აღმოსავ-
ლეთში, ინდიანაში მაქვს პატარა საქმე, მაგრამ დავბრუნდები თუ
არა, ვნახავ და აუცილებლად ვეტყვი. ჰო, მართლა, კინაღამ დამა-
ვიწყდა. შემოგითვალათ, ქალიც და ბავშვიც კარგად არიანო“.

„ვინ ქალი და ბავშვი?“ ჰკითხა მამამ.

„იმის ცოლ-შვილი“, თქვა მაცნემ, „აბა, კიდევ ერთხელ დიდი
მადლობა. და კარგად მენახეთ“.

მერე მესამედაც მოაწვდინა თავისიანებს ხმა, ახლა უკვე შეხვე-
დრამდე მცირე ხნით ადრე. სადღაციდან, სახლის შორიახლოდან
ყვიროდა, იძახდა, ოღონდ ჯერ თვითონ არ ჩანდა. 1866 წელი იყო.
მაშინ ერთხელ კიდევ შეეცვალათ ადგილ-სამყოფელი, ასი მილით
უფრო დასავლეთით გადაბარგებულიყვნენ და ნათანიელიც ორი თვე
დაეძებდა, ორი თვე დაეხეტებოდა აქეთ-იქით კანზასსა და მისურიში
ტარანტასით, რომლის კოფოს ქვეშაც, ძველი ფეხსაცმელებივით შეე-
ყარა ოქროს მტვრით, ახლადმოჭრილი ფულითა და დაუმუშავებე-
ლი ძვირფასი ქვებით გატენილი ორი ტყავის ჩანთა, ვიდრე იპოვნი-
და და ყვირილით მიადგებოდა მიწურ ქოხს. ქოხის კარებთან სკამზე

კაცი იჯდა. „აგე მამა“, უთხრა ნათანიელმა კოფოზე გვერდით მჯდომ
ქალს. „ხედავ?“ მამამისს, თუმცა ჯერ სამოცისაც არ იყო, თვალს
დაჰკლებოდა. მანამდე ვერ იცნო ვაჟი, ვიდრე ტარანტასი არ გაჩერ-
და და დები ყურისწამღები წივილით არ გამოცვივდნენ კარში.
მერეღა წამოდგა; წამოდგა და ერთი გრძლად, გაბმულად დაიღრი-
ალა. „აი“, თქვა ნათანიელმა, „ჩვენც ჩამოვედით“.

ქელვინს კი არაფერი უთქვამს. მხოლოდ ყვიროდა და იგინებო-
და. „ძვალს და რბილს გაგიერთიანებ!“ ბუხუნებდა ლომივით. „გო-
გოებო! ვენჯი! ბეკ! სარა!“ დები უკვე გამოსულიყვნენ. თავიანთ
განიერ კაბებში გამოწყობილნი, ისე გამოცურებულიყვნენ ქოხიდან,
თითქოს ჰაერის ტალღამ გასაბერი ბურთები გამოდენაო, თან
ყურისწამღებად წიოდნენ, მაგრამ, მათ ხმას მამის გრგვინვა და
ბუხუნი ფარავდა. სერთუკი — მდიდარი, საქმიდან გადამდგარი
თუ, უბრალოდ, საკვირაოდ გამოწყობილი კაცის სამოსი — ახლა
გახსნილი ჰქონდა და ისეთი სახით ექაჩებოდა თეძოსთან რაღაცას,
თითქოს საცაა დამბაჩა უნდა დააძროსო. არადა, ერთადერთი ხე-
ლით ტყავის ქამრის შეხსნას ცდილობდა. როგორც იქნა, შეიხსნა
კიდეც და ქამრის ქნევა-ქნევით გაარღვია ჩიტებივით აჟივჟივებულ-
აფორიაქებული ქალიშვილების გუნდი. „მე შენ გასწავლი ჭკუას!“
უყვიროდა შვილს, „გასწავლი, როგორ უნდა შინიდან გაქცევა!“
ორჯერ გადაუჭირა ნათანიელს ბეჭებზე ქამარი. ორჯერ მოასწრო
დარტყმა, ვიდრე მამა-შვილი ერთმანეთს შეებმებოდა.

თან, ყველაფერი თამაშსაც ჰგავდა: სასიკვდილო თამაშსა და
მოჩვენებით სერიოზულობას: ორი ლომის გართობას, როცა ვერ-
ავინ იტყვის წინასწარ, რით დამთავრდება ყველაფერი — სისხლით
თუ უსისხლოდ. ერთმანეთს შეებნენ და ქამარიც გაჩერდა, ძირს
მოეთრა: პირისპირ იდგნენ, გადაჭდობილნი: გამხდარი, ჭაღარა,
უფერულ, ნიუ-ინგლენდურ თვალებიანი მოხუცი და მისი კეხიანცხ-
ვირიანი, თეთრად კბილებმოელვარე, მომღიმარი ვაჟი, არაფრით
რომ არ ჰგავდა მამას. „კარგი, გეყოფა“, თქვა ნათანიელმა, „ვერა
ხედავ, ვინ გვიყურებს ტარანტასიდან?“

მანამდე ტარანტასი არცერთს არ გახსენებია. ქალი და ბავშვი
ისევ გაუნძრევლად ისხდნენ კოფოზე. მამამ ახლაღა შეავლო ქალს
თვალი; ბიჭისკენ აღარც გაუხედავს. ქალი დაინახა და ყბა ჩამოუ-
ვარდა, თითქოს მოჩვენება მოევლინაო. „ევანჯელინა!“ ამოღერღა
ბოლოს. მართლაც, დასავით ჰგავდა ქალი მის გარდაცვლილ ცოლს.
ნათანიელს, რომელსაც წესით დედა არც უნდა ხსომებოდა, ლამის
მისი ასლი შეერთო ცოლად.

„ეს ხუანაა“, უთხრა შვილმა. „ხუანა და ქელვინი. ჯვრის დასაწერად ჩამოვედით“.

იმ ღამეს, ვახშმის შემდეგ, როცა ქალსა და ბიჭს უკვე ეძინათ, ნათანიელმა თავისი ამბავი უამბო. ლამპის გარშემო ისხდნენ: მამა, დები, უძღები შვილი.

ხუცებისა და კათოლიკეების იმ მხარეში ჩვენებური მღვდელი სანთლით იყო საძებარიო, უხსნიდა თავისიანებს. „როცა ჩიკო საცაა ქვეყანას უნდა მოვლენოდა, ხუანამაც მაშინ პირველად ახსენა მღვდელი. არც მე მინდოდა, ჩემი შვილი წარმართად დაბადებულიყო. ჰოდა, ძებნას შევუდექი, თან ვიფიქრე, ხუანასაც გულს გავუკეთებ-მეთქი. მაგრამ, ხან რა გამომიტყვრა, ხან — რა და მღვდელიც ვერ ვიპოვე; მერე ბიჭიც გაჩნდა და საჩქარო აღარაფერი მქონდა. მაგრამ, ხუანა მაინც სულ წუხდა, ისევ სულ მღვდელზე და ჯვრისწერაზე ლაპარაკობდა, მეც გავიკითხ-გამოვიკითხე და გავიგე, ამა და ამ დღეს სანტა ფეში თეთრი მღვდელი იქნებაო. ავიბარგეთ და სანტა ფესაკენ გავწიეთ, თუმცა, იქ ჩასულებმა, მხოლოდ შორიდანლა მოვკარით თვალი დილიჟანსის დანატოვარ მტვერს, იმ მღვდელმაც გაგვასწრო. სანტა ფეში დავბინავდით და ორიოდე წლის ლოდინის შემდეგ ერთხელ კიდევ მოგვეცა ჯვრის დაწერის შესაძლებლობა, ახლა უკვე ტეხასში ვაპირებდით გამგზავრებას. არადა, სწორედ მაშინ ცხენოსან პოლიციას ვეხმარებოდი — ვიღაც იქაურ ბიჭებს ცეკვებზე შერიფის თანაშემწე გაემწარებინათ და იმათ დავდევდით დასაჭერად. ესეც რომ მოთავდა, გადავწყვიტეთ შინისაკენ გამოვდგომოდით გზას და ადამიანურად დაგვეწერა ჯვარი. გადავწყვიტეთ და აი, ჩამოვედით კიდეც“.

მამა — გამხდარი, ჭაღარა და მკაცრი — ლამპასთან იჯდა. უსმენდა, ოღონდ ერთსა და იმავე დროს შეცბუნებულსა და შეურაცხყოფილ სახეზე ეტყობოდა, სხვაგან იყო, სხვა ფიქრებში, თავის გაუყუჩებელ და მოუნელებელ სადარდებელთან. — კიდევ ერთი ოხერი შავტუხა ბარდენი მოევლინა ამ ქვეყანასო, თქვა ბოლოს. „ხალხი იფიქრებს, დაწყევლილი მონათმფლობელების ჯილაგს ამრავლებენო. ახლა ესეც ამ გზას დასდგომიაო“. შვილი არ შეკამათებია, არ უთქვამს, ჩემი ცოლი ესპანელია და არა მეამბოხეო. „დაწყევლილი, დაგვჯული ტარაკნები: ან რა გაზრდით, როცა ღვთის რისხვის სიმძიმე აწევთ მხრებზე?! შავებიც იმიტომ არიან, მონობის ცოდვა რომ ულაქავთ სისხლსა და ხორცს“. დაბინდული მზერა ჰქონდა, ფანატიური, თავის თავში დარწმუნებული. „მაგრამ არა უშავს, უკვე გავათავისუფლეთ, თეთრებიცა და შავებიც. ახლა გათეთრდებიან. ას წელიწადში ისევ თეთრკანიანებად იქცევიან. მერე იქნებ ამერიკაში დაბრუნების ნებაც დავრთოთ“. ისევ ჩაფიქრდა, დაცხრა, გაირინდა. „ისე“ თქვა უცებ „სიშავე სიშავედ და, აღნაგობა კი კაცური კაცისა აქვს. ღმერთმანი, ესეც, ბაბუამისივით, ბრგე ვაჟკაცი დადგება; შავი დედა კი ჰყავს, მაგრამ მამამისივით ჯუჯა მაინც არ დარჩება“.

აი, ამას უყვებოდა, როცა ბნელ ქოხში გაუნძრევლად ისხდნენ საწოლზე. საათზე მეტი გასულიყო უკვე. ახლა ქალის სახეს ვეღარც არჩევდა სიბნელეში; ქრისთმასი თითქოს ატორტმანებულ ნავში იჯდა — ისე არწევდა და ანანავებდა ქალის ხმა, ხმა და რაღაც უსაზღვრო, რულისმომგვრელი, ყველაფრისაგან დაცლილი სიმშვიდე; უყურადღებოდ უსმენდა. „ქელვინი ერქვა, ბაბუის სახელი, და მართლაც ბაბუასავით მოსული იყო, თუმცა სიშავით ბებიას და დედას ჰგავდა. დედამისი ჩემი დედა არ ყოფილა: ამიტომ, ნახევარძმად მერგებოდა. ბაბუაჩემი თუ ათიდან უკანასკნელი იყო, მამაჩემი — ორიდან, ქელვინი საერთოდ უკანასკნელი აღმოჩნდა“. ოცი წლის ქელვინს ერთმა ყოფილმა მონათმფლობელმა, კონფედერატთა არმიის ძველმა ჯარისკაცმა, სარტორსმა დაახალა ტყვია ქალაქში, დღისით, სახლიდან ორი მილის მოშორებით: არჩევნებში ზანგების მონაწილეობის გამო მოსვლოდათ ერთმანეთში დავა.

ქალმა ქრისთმასს საფლავების შესახებაც უამბო — ძმის, ბაბუის, მამისა და მისი ორი ცოლის საფლავების შესახებ — სახლიდან ნახევარი მილის იქით, საძოვარზე, კედრებიან გორაკზე რომ გაეთხარათ; ქრისთმასი მშვიდად უსმენდა და ფიქრობდა, „გასაგებია. ახლა მეტყვის, წამოდი და გაჩვენებო. მეც უნდა გავყვე“. მაგრამ ქალს არსადაც არ წაუყვანია. იმ ღამის მერე საფლავები საერთოდ აღარც უხსენებია, მაშინ კი მათი ადგილსამყოფელი მიასწავლა მხოლოდ და უთხრა, თუ გინდა, შეგიძლია მიხვიდე და ნახოო. „თუმცა, ალბათ მაინც ვერ მიაგნებ“, დაამატა მერე. „იმ საღამოს ბაბუა და ქელვინი შინ რომ მოასვენეს, მამაჩემმა დაღამებამდე მოიცადა და მერეღა დაასაფლავა, თან საფლავებიც შეძლებისდაგვარად დამალა — ბორცვები მოასწორა და ზედაც ბალახ-ბულახი და ტოტები მიაყარა“.

„დამალა?“ ჰკითხა ქრისთმასმა.

ქალს არც ახლა მოლბობია ხმა, არ შესტყობია წარსულის მოგონებით გამოწვეული დარდი. „რომ არ ეპოვათ. მკვდრები არ ამოეთხარათ. არ წაებილწათ.“ მერე მოუთმენლად გააგრძელა, განმარტებასავით მოაყოლა: „აქ ყველას ვეჯავრებოდით. ჩვენ იანკები ვიყავით... უცხოელები. კიდევ უარესი — მტრები. წყლის ამამღვრევლები. ისიც — გადატანილი ომიც — ჯერ კიდევ ძალიან

კარგად ახსოვდათ დამარცხებულებს და მეტ გონიერებას, ალბათ, ვერც მოსთხოვდი. აქაურები ამბობდნენ, ზანგებს აქეზებენ, თეთრები დახოცეთ და გააუპატიურეთო. თეთრკანიანების ხელისუფლების დამხობა უნდათო. ეტყობა, პოლკოვნიკიც ამიტომ იქცა ქალაქში გმირად — ორი გასროლით მოკლა ბებერი, ცალხელა კაცი და ოცი წლის ბიჭი, ვისაც ჯერ არჩევნებში მონაწილეობაც ვერ მოესწრო. იქნებ, მართლებიც იყვნენ. რა ვიცი“.

„მაშ ამასაც იზამდნენ?“ თქვა ქრისტმასმა, „მკვდრებსაც ამოთხრიდნენ საფლავებიდან? ნეტავი როდის მობეზრდება სხვადასხვა სისხლის ხალხს ერთმანეთის სიძულვილი“.

„როდის?“ ქალს ხმა ჩაუწყდა. მერე გააგრძელა: „არ ვიცი. არც ის ვიცი, მართლა ამოთხრიდნენ თუ არა. მაშინ ჩემი ხსენებაც არ იყო. მე ქელვინის მოკვლიდან თოთხმეტი წლის მერეღა გავჩნდი. რა ვიცი, როგორ მოიქცეოდნენ მაშინ კაცები. მამაჩემს ეშინოდა, არ ამოთხარონო. ამიტომ დამალა საფლავები. მერე, ქელვინის დედაც გარდაიცვალა და ისიც იქ დამარხა, ბაბუისა და ქელვინის გვერდით. ჩვენდა უნებურად, იქაურობა ჩვენსავე საგვარეულო სასაფლაოდ იქცა. თავიდან, შეიძლება მამა არც აპირებდა ცოლის იქ დასაფლავებას. მახსოვს, დედაჩემი მიამბობდა (ქელვინის დედის გარდაცვალებიდან დიდი დრო არ გასულა, დედაჩემი ნიუ-ჰემფშირიდან რომ ჩამოვიდა, ნათესავები დღესაცა გვყავს იქ, და დედაჩემიც იმათ გაურიგეს მამას. აქ მარტო ვეღარ გაძლებდა. ბაბუისა და ქელვინის საფლავებს ვერ ტოვებდა, თორემ, ალბათ, თვითონაც აღარ გაჩერდებოდა, თითქოს მართლა დაუპირებია წასვლა და ამ დროს ქელვინის დედაც მომკვდარა. ზაფხული ყოფილა და იმ პაპანაქებაში ისევ უკან, მექსიკაში, მისიანებთან ვეღარ წაუსვენებია. ამიტომაც დაუმარხავს აქ. დარჩენაც, ალბათ, ამიტომ გადაწყვიტა. ანდა, იქნებ უკვე სიბერეც ეძალებოდა, იმასაც და საერთოდ ყველას, ვისაც ომი გამოევლო; კაცმა რომ თქვას, არც ზანგებს მოუკლავთ და გაუუპატიურებიათ ვინმე, მოკლედ, აქ დაასაფლავა. ახლა ეს საფლავიც უნდა დაემალა, ფიქრობდა, ვინმემ არ ნახოს და ისევ არ გაახსენდეთ ქელვინი და ბაბუამისიო. ყველაფერი კი დამთავრებულიყო ვითომ, წარსულს ჩაბარებოდა და დავიწყებასაც მისცემოდა, მაგრამ სიფრთხილეს მაინც არ სტკიოდა თავი. ერთი წლის მერე კი ბიძაშვილს წერილი გაუგზავნა ნიუ-ჰემფშირში: „ორმოცდაათი წლის კაცი ვარ. არაფერი არ მაკლია. ერთი რიგიანი ქალი შემირჩიე ცოლად. დიასახლისობა ემარჯვებოდეს და ოცდათხუთმეტ წელზე ნაკლების ნუ იქნება, სხვა იმისი არაფერი მინდა“-ო. კონვერტში მატარებლის ბილეთის

ფულიც ჩადო. ორი თვის შემდეგ დედაჩემი ჩამოვიდა და იმავე დღეს იქორწინეს. მამაჩემის კვალობაზე ძალიან ნაჩქარევი და ნაუცბათევი ქორწინება გამოვიდა. პირველად თორმეტ წელზე მეტი დასჭირდა ჯვრის დასაწერად, იქ, კანზასში, როცა მამა, ქელვინი და დედამისი ბოლოს და ბოლოს ბაბუის ქოხს მიადგნენ. შინ შუა კვირაში დაბრუნდნენ, მაგრამ ჯვარი მხოლოდ კვირა დღეს დაიწერეს. სუფრა გარეთ, ნაკადულის პირას გაშალეს, მთლიანად შემწვარი მოზვერი ჰქონდათ და კასრით ვისკი; ვისაც კი ხმა მიაწვდინეს ან ვინც თავისით შეიტყო ქორწილის ამბავი, ყველა მოვიდა. შაბათ დილიდან დაიწყეს სტუმრებმა დენა, შაბათ საღამოს კი მოძღვარიც მობრძანდა. მთელი ის დღე მამიდები თავაუღებლივ შრომობდნენ — საქორწინო კაბასა და რიდეს უმზადებდნენ პატარძალს. კაბა ფქვილის ტომრებისგან შეკერეს, რიდე კი კოლოებისგან თავდასაცავი ბადისგან, რომელიც სალუნის პატრონს ბარის უკან, სურათზე გაეკრა. დროებით დაესესხნენ თურმე. ქელვინისთვისაც გაახერხეს რაღაც კოსტუმისმაგვარი. ქელვინი მაშინ თორმეტი წლისა იყო და მეჯვარედ უნდოდათ. თვითონ უარზე იდგა. წინა ღამეს გაიგო, რას უპირებდნენ და მეორე დილას (ჯვრისწერის დაწყებას დილის ექვს თუ შვიდ საათზე ვარაუდობდნენ), როცა ყველანი ადგნენ და ისაუზმეს კიდეც, ცერემონია დაუგვიანდათ, ქელვინი გაუხდათ საძებარი. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვეს, კოსტუმი ძალისძალად ჩააცვეს და ჯვარიც დაიწერეს — ქელვინის დედას შინ შეკერილი კაბა ეცვა და კოლოების ბადის რიდე ეფარა, მამაჩემს დათვის ქონით გადაესლიპა თმა და მექსიკიდან ჩამოტანილ, სახეებიან, ესპანურ წაღებში გამოწყობილიყო. პატარძალი ბაბუამ გამოიყვანა. ოღონდ ეგაა, ვიდრე ქელვინს დაეძებდნენ, მალი-მალ მიაკითხავდა ხოლმე ვისკის კასრს და, როცა პატარძლის გამოყვანის ჟამმა მოაწია, სიტყვა მოითხოვა. თავისებურად ლინკოლნსა და მონობაზე ილაპარაკა და სტუმრებს ჩააცივდა, გინდათ თუ არა მითხარით, ვინ გაბედავთ და უარყოფთ, ლინკოლნი და ზანგები იგივე მოსე და ისრაელის შვილები რომაა, წითელი ზღვა კი აღთქმულ ქვეყანამდე შავი რასის მისაღწევად დასაღვრელი სისხლიო. კარგა ხანს ვერ გააჩუმეს, კარგა ხანს ვეღარ გააგრძელეს საქორწინო ცერემონია. ჯვრისწერის მერე თითქმის მთელ თვეს კიდევ დარჩნენ იქ. მერე, ერთ დღესაც მამა და ბაბუა აღმოსავლეთში, ვაშინგტონს გაემგზავრნენ და გათავისუფლებული ზანგების მისახმარებლად აქეთ გადმოსახლების ნებართვა გამოითხოვეს მთავრობისგან. ჯეფერსონში დაბინავდნენ ყველანი, გარდა მამიდებისა. ორნი უკვე გათხოვილიყვნენ, უმცროსი კი ერთ-ერთთან გადავიდა საცხოვრებლად; ბაბუა-

ჩემი, მამა, ქელვინი და ქელვინის დედა აქ დასახლდნენ, ეს სახლი შეიძინეს. ბოლოს კი, მოხდა ის, რისი წინათგრძნობაც, ალბათ, არასდროს გაჰქრობიათ და მამაჩემიც მარტოდმარტო დარჩა, მანამდე, ვიდრე დედაჩემი არ ჩამოვიდა ნიუ-ჰემფშირიდან. ადრე ერთმანეთი არასოდეს ენახათ, ერთმანეთის სურათიც კი. დედაჩემის ჩამოსვლისთანავე იქორწინეს, ორი წლის შემდეგ კი მეც მოვევლინე ქვეყანას და მამამ, ქელვინის დედის პატივსაცემად, ჯონანა დამარქვა. მე მგონი, ბიჭი აღარც უნდოდა. მამის გარეგნობა ბუნდოვნად მახსოვს, არ დამამახსოვრდა, როგორი კაცი იყო. ერთადერთი დღე მაგონდება, როცა თითქოს ნათლად ვხედავ მის სახეს, ქელვინისა და ბაბუის საფლავების სანახავად წამიყვანა მაშინ. გაზაფხულის ნათელი დღე იდგა. მახსოვს, როგორ არ მინდოდა წასვლა, არადა, არც ვიცოდი, სად მივდიოდით. მაინც არ მიმიწევდა გული კედარებისკენ. თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა. რის ნახვას ვერიდებოდი. ოთხი წლისა ვიყავი და გინდაც რამე მცოდნოდა, წესით, არაფრისა უნდა შემშინებოდა. ალბათ, მამაჩემის ბრალი იყო, იმის მეშვეობით თუ მოაღწია ჩემამდე რაღაცამ კედარებიდან. მისი დაღი აჩნდა ალბათ წარაფს და იქ ფეხს შევდგამდი თუ არა, მეც მაშინვე იმ დაღით დავიდაღებოდი, ველარც ჩამოვიშორებდი მერე ველარასდროს, არ ვიცი... მოკლედ, მაინც წავედით, უკვე საფლავებთან ვიდექით, როცა მითხრა: „დაიმახსოვრე. აქ შენი ბაბუა და ძმა წვანან, ისინი ვიღაც ერთმა თეთრკანიანმა კაცმა კი არ დახოცა, არამედ წყევლამ, იმ წყევლამ უწიათ, რომლითაც ღმერთმა ჯერ კიდევ მაშინ დაწყევლა მთელი რასა, როცა არც ბაბუაშენის, არც შენი ძმის, არც ჩემი და არც შენი ხსენებაც კი არ იყო ამქვეყნად. და ეს დაწყევლილი და განწირული რასა, სამარადისოდ თეთრი რასის ბედისწერისა და წყევლის ნაწილად უნდა დარჩეს, ისევ და ისევ თეთრი რასის ცოდვების გამო. ესეც დაიმახსოვრე. — ღვთის განგება და წყევლა არასოდეს დაივიწყო. მეც დაწყევლილი ვარ. დედაშენიც, შენც, თუმცა ჯერ ბევრი არაფერი გაგეგება. მაგრამ, შენსავით ყველა სხვა თეთრკანიანი ბავშვიცაა დაწყევლილი, უკვე დაბადებულიცა და მომავალში დასაბადებელიც. წყევლას ვერავინ გადაურჩება“. „ვერც მე?“ ვკითხე მაშინ. „ვერც შენ“, მიპასუხა მამამ. „განსაკუთრებით შენ“. რაც თავი მახსოვს, ზანგებსაც ვიცნობ. იმათაც ისევე აღვიქვამდი, როგორც წვიმას, ავეჯს, საჭმელს, ძილს. იმ დღის შემდეგ კი, ეტყობა, პირველად აღვიქვი არა ადამიანებად, არამედ რაღაც სხვად, ჩრდილად, და ამ ჩრდილში ვცხოვრობდით თითქოს ყველა — მეც და დანარჩენი თეთრკანიანებიც, საერთოდ ადამიანები. ახლა უკვე ბავშვებზედაც ვფიქრობდი ხოლმე,

ჯერაც ამქვეყანას მოუვლენელ ბავშვებზე, თეთრკანიანებზე, ვისაც ლამის ჰაერის პირველ ჩასუნთქვამდე უნდა დასცემოდათ შავი ჩრდილი. ეს ჩრდილი თითქოს ჯვრად მესახებოდა. თეთრი ბავშვებიც თითქოს იბრძოდნენ, ჰაერის ჩასუნთქვამდე იბრძოდნენ, რათა როგორმე დაეღწიათ ამ ჩრდილისთვის თავი, ჩრდილი კი, არა მარტო ზემოდან დასცქეროდათ, ქვეშაც მოჰქცეოდათ მათივე მკლავებივით წაგრძელებული — თითქოს ბავშვები ჯვარზე არიან მილურსმულნიო. მე ყველა ჩვილს ერთად ვხედავდი, ვისაც კი ამქვეყნად გაჩენა ელოდა, ვინც ჯერ არ დაბადებულიყო — იმათ გრძელ რიგს, შავ ჯვრებზე ხელებგადაწვდენილებს. თან, ვერ გამეგო, მართლა ვხედავდი თუ მესიზმრებოდა. საშინელება იყო. ღამღამობით ტირილი დამჩემდა. ბოლოს მამას გავანდე ყველაფერი. ვცადე ამეხსნა, როგორმე თავს თუ არ ვუშველე, როგორმე ამ ჩრდილს თუ არ გავეცალე, იცოდე, მოვკვდები-მეთქი. — ვერაფერს გახდებიო, მითხრა მამამ. — უნდა იბრძოლო და გაიზარდო. თანაც, რომ გაიზარდო, შენთან ერთად ჩრდილიც უნდა ზარდოო. თუმცა, შენოდენად მაინც ვერასოდეს აქცევ. მეც გვიანღა ამეხილა თვალი, აქ გადმოსახლების შემდეგო. თავს ვერაფრით დააღწევ. შავი რასისთვის წყევლა ღვთის წყევლაა. თეთრისთვის კი სწორედ ის შავკანიანი კაცია, ვინც სამარადისოდ უფლის რჩეულად დარჩება, რადგან უფალმავე დასწყევლა ოდესღაცო“. ქალი გაჩუმდა. ღია კარის ჩაბნელებულ ოთხკუთხედში ციცინათელები გაიელვებდნენ ხოლმე. სიჩუმე ქრისთმასმა დაარღვია:

„რაღაც მინდოდა მეკითხა. მაგრამ, მე მგონი, თვითონვე მივხვდი“.

ქალი გაუნძრევლად იჯდა. მშვიდი ხმა ჰქონდა. „რას მიხვდი?“

„რატომ არ მოკლა მამაშენმა ის კაცი... რა ერქვა? სარტორისი“.

„ჰოოო“, თქვა ქალმა. მერე, ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ციცინათელები ისევ კრთოდნენ და კრთოდნენ. „შენ მოკლავდი. მოკლავდი?“

„კი“, მაშინვე უპასუხა, დაუყოვნებლივ. მიხვდა, ქალი მისი ხმისკენ იყურებოდა, თითქოს შეეძლო დაენახა. ქალმა ისევ მშვიდი, წყნარი, ლამის ალერსიანი ხმით დაილაპარაკა:

„მართლა არ იცი შენი მშობლების ვინაობა?“

სიბნელე რომ არ ყოფილიყო, დაინახავდა, რა კუშტი, როგორი ჩაფიქრებული სახე ედო ქრისთმასს. „მე მხოლოდ ის ვიცი, ერთერთს ზანგური სისხლი რომ ერია. აკი ადრეც გითხარი“.

ქალი ისევ შესცქეროდა, ხმაზე ეტყობოდა. ხმაც მშვიდი იყო, აუღელვებელი, დაინტერესებულიც, თუმცა, ცნობისმოყვარე არა. „ეგ საიდან იცი?“

ცოტა ხანს პასუხი არ გაუცია. მერე თქვა: „არც ვიცი“. ისევ

გაჩუმდა; ქალიც მისმა ხმამ მიახვედრა, შორს რომ იყურებოდა კარებისაკენ. კუშტი სახე ჰქონდა, გაქვავებული. მერე შეირხა, ისევ დაილაპარაკა: ხმაში ახლა სხვანაირი კილოც გამოერია — დამცინავი, თუმცა კი უსიხარულო, ერთდროულად უხალისოც და ღვარძლიანიც: „თუ არა და, წყეულიმც ვიყო, ბევრი დრო თუ არ დამეკარგოს ფუჭად“.

ქალიც თითქოს ფიქრში წასულიყო, მშვიდად, იშვიათად სუნთქავდა, ხმაში არც ჩივილი ეტყობოდა, არც სინანული: „მეც ბევრი ვიფიქრე. რატომ არ მოკლა-მეთქი მამაჩემმა პოლკოვნიკი სარტორისი. ალბათ, ფრანგული სისხლის ბრალი თუ იყო“.

„ფრანგული სისხლის?“ გაუკვირდა ქრისთმასს. „განა ფრანგიც არ გაგიუდება, ერთ დღეს რომ მოუკლავენ მამასა და შვილს? ეტყობა, მამაშენს რაღაც თავისი რელიგია ჰქონდა. იქნებ, ქადაგი გახდა“.

ქალმა თავიდან არაფერი უპასუხა. ციცინათელები ისევ გაკრთებოდნენ ხოლმე ბნელში; სადღაც ძაღლმაც დაიყეფა, მშვიდად, მოწყენილად, შორიდან. „მეც ბევრი მიფიქრია-მეთქი“. თქვა ბოლოს. „მაშინ ყველაფერი მოთავებული იყო. მუნდირებიან-დროშებიანი ხოცვა-ულეტაც და უმუნდირო-უდროშებოც. არც ერთს მოუტანია რამე ხეირი და არც მეორეს, არცერთს. ჩვენ კი უცხოელები ვიყავით, უცხოები, სხვანაირად ვფიქრობდით, იმათგან განსხვავებულად, ვის ქვეყანაშიც დაუპატიჟებლად დავსახლდით. თან, მამაჩემი სანახევროდ ფრანგი იყო. ეტყობა, ესეც კმაროდა, მშობელი მიწისადმი ნებისმიერი ადამიანის სიყვარულისთვის პატივი რომ ეცა, სცოდნოდა, ყველა კაცი ისე რომ უნდა მოიქცეს, როგორც მიწა ასწავლის და კარნახობს. მე მგონი, მიზეზიც ეს იყო“.

- XII -

ასე დაიწყო მეორე ფაზა. ეგონა, ფეხსადგილის ორმოში ჩავვარდიო. უკვე სხვა ცხოვრებაში მომხდარივით აგონდებოდა ხოლმე ის პირველი, უხეში და მამაკაცური დამორჩილება, უხეში და საზარელი, რაღაცით სულიერი ჩონჩხის მსხვრევის მსგავსი, რომლის მყესების ტკაცა-ტკუციც მტკივნეულად სჭრიდა ყურს და დანებების აქტიც თითქოს შვებად, დაძაბულობის განმუხტვად ესახებოდა, იმ დამარცხებული გენერლის საქციელად, უკანასკნელი ბრძოლის გადაწყვეტის შემდეგ, ღამით, საგანგებოდ რომ გაიპარსავს პირს, ჩექმებს ბრძოლის ველის ტალახს ჩამოაშორებს და დილით ხმლის ჩასაბარებლად ეახლება გამარჯვებულ მოწინააღმდეგეს.

ორმო მხოლოდ ღამღამობით ივსებოდა. დღეები ახლაც ისევე მიედინებოდა, როგორც ადრე, როგორც მუდამ. დილის შვიდის ნახევარზე სამუშაოდ მიდიოდა. ქოხიდან გამოსული, ერთხელაც არ გაიხედავდა სახლისაკენ. საღამოს ექვსზე უკან ბრუნდებოდა და მაშინაც თვალს არიდებდა სახლს. მერე დაიბანდა, თეთრ პერანგსა და შავ, გაუთოებულ შარვალს ჩაიცვამდა, სამზარეულოს მიაშურებდა და მისთვის გაწყობილ ვახშამს შეექცეოდა. ქალს, კვლავინდებურად, ვერსად ხედავდა. არადა, მის არსებობას განუწყვეტლივ გრძნობდა და ამ ძველთაძველ კედლებში სიბნელის დასადგურებაც თითქოს ამსხვრევდა რაღაცას, თითქოს რაღაცას ხრწნიდა მოლოდინით. იცოდა, როგორ ატარებდა ქალი დღეს; არც მისი ცხოვრების ყაიდა შეცვლილიყო, ოღონდ, ამ ცხოვრებითაც თითქოს სხვა ცხოვრობდა მის მაგივრად. ხშირად წამოუდგენია, როგორ დიასახლისობდა შინ, ერთსა და იმავე დროს როგორ მიუჯდებოდა ხოლმე დაკაწრულ მერხს, ანდა როგორ ესაუბრებოდა ზანგის ქალებს, წლების მანძილზე გაკვალული, სახლიდან ურმის თვლის მანებივით გატოტვილი ბილიკებით რომ მოდიოდნენ მასთან გაღმა-გამოღმიდან. არ იცოდა, რა ჰქონდათ ამდენი სალაპარაკო, თუმცა, დანახვით კი ბევრჯერ დაუნახავს, როგორ მიადგებოდნენ ხოლმე სახლს, არამცთუ საიდუმლოდ, ოღონდ მიზანდასახულად, უფრო ხშირად თითო-თითოდ, ზოგჯერ კი ორ-ორიცა და სამ-სამიც, წინსაფარაფარებულნი, თავზეხილაბანდშემოხვეულნი, ხანდახან მხრებზე მამაკაცის პალტოებმოსხმულნიც და ცოტა ხნის მერე, ახლა უკვე შინისაკენ გაუყვებოდნენ სხივებად განფენილ ბილიკებს — არც ჩქარა და არც ფეხათრევით. ზანგები მალევე ავიწყდებოდა, ისევ და ისევ ქალი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ **ახლა ამას აკეთებს, ახლა ამას** მაგრამ, არც ეს გრძელდებოდა დიდხანს. თანაც, დარწმუნებული იყო, მთელი დღე არც ქალი ფიქრობს ჩემზეო. ღამღამობითაც, ჩაბნელებულ საძინებელ ოთახშიც, როცა ქალი დაწვრილებით, მოსაბეზრებლად უამბობდა მთელი დღის ამბებს და მისგანაც იმავეს მოითხოვდა ჯიუტად, მხოლოდ და მხოლოდ, შეყვარეულთა წესს უხდიდნენ ხარკს: დაუინებით და უსასრულოდ, სიტყვებად კი აქცევდნენ უმნიშვნელო წვრილმანსაც, მაგრამ ერთმანეთის მონაყოლს უკვე ლამის აღარც უსმენდნენ. მერე, ვახშამს მოათავებდა და ქალთან მიდიოდა. აღარ ჩქარობდა ხოლმე. რაც უფრო გადიოდა დრო, რაც უფრო მეტად ხუნდებოდა მეორე ფაზის სიახლე და ჩვევად იქცეოდა, მით უფრო ხშირად ყოვნდებოდა

სამზარეულოს ღია კართან, ბინდბუნდს გასცქეროდა და, ვინ იცის, ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, ხედავდა კიდეც სასტიკ და უკაცრიელ, საკუთარი ნებით არჩეულ, მომლოდინე ქუჩას; ერთი ფიქრი აწვალებდა *ჩემი ცხოვრებით არ ვცხოვრობ. მე აქ უცხო ვარ*

თავიდან, ერთი პირობა შეკრთა: შეზარა ნიუ-ინგლენდური ბიბლიური ჯოჯოხეთის ცეცხლში უეცრად გახვეული ნიუ-ინგლენდურივე მყინვარის უსუსურმა გააფთრებამ. შეიძლება ხვდებოდა კიდეც, რა თავგანწირვა იმალებოდა ამ გააფთრებაში: მბრძანებლური, მოუთოკავი ვნება ფუჭი და უსაშველო წლების ჭეშმარიტი სასოწარკვეთის შენიღბვას ცდილობდა და ყველაფრის ერთად, ერთ ღამეში ანაზღაურებაც სურდა, თითქოს სჯეროდა, ყოველი ახალი ღამე უკანასკნელი აღმოჩნდებოდა დედამიწაზე, ამიტომაც შეგნებულად განამზადებდა, შეგნებულად სწირავდა თავს სამარადისო, მამაპაპისეული ჯოჯოხეთისათვის, რადგან არა მარტო ცოდვაში ჩაფლულიყო, არამედ ჭუჭყშიც. გაგიჟებით უყვარდა უშვერი სიტყვები; ვერ ძღებოდა მათი მოსმენითა და გამეორებით. ბავშვურად უსაზღვრო და გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობას ავლენდა აკრძალული თემებისა და საგნებისადმი; დასტაქრის საქმიან, გაუნელებელ, პროფესიულ ინტერესს — ადამიანის სხეულისა და მისი შესაძლებლობებისადმი. დღისით კი, კვლავინდებურად მშვიდ, ცივსახიან, ლამის მამაკაცურ, შუახანს მიტანებულ, ოცი წლის სიმარტოვეს შეჩვეულ ქალად იქცეოდა, ვისთვისაც, ამ განმარტოებულ, მეზობელი ზანგების ანაბარა დარჩენილ სახლში, მაინც უცხო იყო ნებისმიერი ქალური შიში, ვინც, ყოველდღიურად, მკაცრად განსაზღვრულ დროს, საწერ მაგიდასთან ატარებდა და მშვიდად მჯდომი, აუჩქარებლად წერდა ახალგაზრდებისა თუ მოხუცებისათვის განკუთვნილ თავის პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს — ერთდროულად მოძღვარიც, ბანკირიცა და მრავალჭირნახული მოწყალების დაც.

მათი ურთიერთობის ამ პერიოდის განმავლობაში (თაფლობის თვე მას ნამდვილად ვერ დაერქმეოდა) ქრისთმასი ნათლად ხედავდა, როგორ იცვლიდა ქალი სახეს, როგორ გადიოდა მიჯნურობის ავატარის ყოველ საფეხურს. მალე, ქალმა არა მარტო შეაკრთო, არამედ განაცვიფრა და შეაცბუნა კიდეც. იმისმა გაშმაგებულმა ეჭვიანობამ შეაცბუნა, ეჭვიანობის მოულოდნელმა შემოტევებმა. წარმოუდგენელი იყო, რაიმე მსგავსი გამოცდილება ჰქონოდა, არც ეჭვიანობის საფუძველი გააჩნდა და არც მეტოქე ჰყავდა: ქრისთმასის ღრმა რწმენით, ეს ქალსაც მშვენივრად მოეხსენებოდა. მაგრამ, თითქოს თვითონვე განზრახ გამოეგონა ყველაფერი, რათა პიესასავით გაეთამაშა სიყვარული. არადა, ისეთი მძვინვარება, ისეთი დამაჯერებლობა და შინაგანი რწმენა ეტყობოდა, თავიდან დაეჭვდა კიდეც, იქნება ვინმემ მოატყუაო, მაგრამ მესამედაც რომ განმეორდა იგივე, იფიქრა — გაგიჟებულაო. ქალმა ინტრიგის მოულოდნელი და შეუმცდარი ალღო გამოამჟღავნა. დაიჟინა, ბარათებისა და წერილების ჩასაყრელად საიდუმლო ადგილია საჭიროო და გამომპალ თავლასთან მესერის ფუტურო ბოძი ამოარჩია. ერთხელაც არ დაუნახავს, ქალს იქ ბარათი ჩაეგდოს, არადა, ჭირვეულად თხოულობდა, მიდი და ნახეო; მართლაც, რამდენჯერაც მივიდა, წერილი დახვდა. როცა არ მიდიოდა და გასამართლებლად რამეს მოიგონებდა ხოლმე, აღმოჩნდებოდა, რომ ქალს უკვე მახე ჰქონდა დაგებული მისთვის, ტყუილში გამოსაჭერად; ასეთ დროს. ტიროდა ხოლმე, გულსაკლავად ქვითინებდა.

ზოგჯერ ბარათში ეწერა, ამა და ამ საათამდე არ მოხვიდეო, იმ სახლში უკრძალავდა შესვლას, სადაც წლების მანძილზე, მის გარდა, არცერთ თეთრკანიანს არ შეედგა ფეხი, სადაც, ოცი წელიწადია, ღამღამობით მარტოდმარტო იყო ხოლმე ქალი; ზოგჯერ, მთელი კვირა ფანჯრიდან აძრომიალებდა, კარიდან არ უშვებდა. ისიც ემორჩილებოდა და მერე კარგა ხანს დაეძებდა ჩაბნელებულ სახლში, ვიდრე საკუჭნაოში ან რომელიმე ცარიელ ოთახში არ იპოვიდა დამალულს — მომლოდინეს, აქოშინებულს, ბნელში კატასავით თვალებდაკვესილს. ხანდახან ეზოშიც უნიშნავდა პაემანს, რომელიმე ბუჩქთან, და იქ დედიშობილა ან სანახევროდ ტანსაცმელშემოგლეჯილი ხვდებოდა, ნიმფომანიის ველური შემოტევით შეპყრობილი — მისი სხეული შუქს ირეკლავდა და ისეთი თვალშისაცემი ეროტიული მოძრაობებით ირწეოდა აქეთ-იქით, რასაც, ალბათ, მხოლოდ პეტრონიუსის თანამედროვე ბირდსლი თუ დახატავდა. ასეთ დროს, ჩახუთულ, აქოშინებულ, კედლებით შემოუზღუდავ სიბნელეში ველურს ემსგავსებოდა, თმაგაწეწილს თითქოს თმის ყოველი ხვეული უცოცხლდებოდა, რვაფეხას საცეცებივით უთრთოდა და, თვითონაც ერთიანად ვნებას აყოლილი და აცახცახებული — ზანგო! ზანგო! ზანგოო! — ეჩურჩულებოდა სულშეხუთული.

ექვს თვეში ქალი საბოლოოდ გაირყვნა. ოღონდ, მის გარყვნაში ქრისთმასს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა. უწესრიგო და შემთხვევითი კავშირების მიუხედავად, ქრისთმასი მაინც საკმაოდ წესიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, ჩვეულებრივი, ჯანმრთელი და ნორმალური ცოდვილის ცხოვრებით. ამიტომაც, ქალზე მეტად უჭირდა გარყვნილების წყაროს პოვნა. სინამდვილეში ისე გამოდიოდა, თითქოს ჰაერიდან შეწოვილი გარყვნილებით, ქალი მასაც რყვნიდა. თანდათანობით

შიშიც გაუჩნდა. ეშინოდა, არ კი იცოდა რისი. ახლა, თითქოს შორიდან შესცქეროდა საკუთარ თავს — უძირო ჭაობში ჩაფლულს. თუმცა, ჯერ ბოლომდეც ვერ გაეაზრებინა ყველაფერი. უბრალოდ, უკაცრიელ, სასტიკ და გრილ ქუჩას ხედავდა წამდაუწუმ. სწორედაც რომ გრილს; ფიქრობდა, ხანდახან კი ხმამაღლაც ამბობდა ხოლმე თავისთვის, — ჯობია დავიძრა, ჯობია გადავიკარგო აქედანო.

მაგრამ, ნებისმიერი ფატალისტის მსგავსად, იმასაც აკავებდა რაღაც: ცნობისმოყვარეობა, პესიმიზმი, უბრალოდ, ინერციაც. ურთიერთობა კი გრძელდებოდა და ღამეული მბრძანებლური და ყველაფრის გამთელავი გააფთრებაც უფრო და უფრო ღრმად ითრევდა. შეიძლება ხვდებოდა, ვერაფრით ველარ ვუშველი თავსო. ასეა თუ ისე, მაინც დარჩა. დარჩა, რათა კვლავ ეცქირა როგორ იბრძოდა ერთ სხეულში ორი არსება — მთვარით განათებული შავი, მღვრიე ტბის ზედაპირზე მოფართხალე ორი ლანდივით, დასაღუპად განწირულნი, მაინც რომ არ ნებდებიან ბედს, ბოლომდე წვალობენ და, თავის გადასარჩენად, რიგრიგობით ძირავენ ერთმანეთს. ხან პირველი ფაზის დროინდელ უძრავ, ცივ, თავშეკავებულ სახებას ხედავდა, დაღუპული და დაწყევლილი, მაინც რომ ინარჩუნებდა იდუმალებასა და მიუდგომლობას, ხან კი მეორეს, იმ მიუდგომლობის გააფთრებით უარმყოფელს, ვისაც თავისი ხელით გათხრილ უფსკრულში სურდა ჩაემარხა იმდენ ხანს შენარჩუნებული ფიზიკური სისპეტაკე, უკვე ველარასოდეს, ვერასდიდებით რომ ველარ დაკარგავდა. ზოგჯერ, ორივე სახება ერთად ამოტივტივდებოდა ხოლმე ტბის შავ ზედაპირზე, დებივით ჩახუტებული; წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი და მაშინ, ქვეყანაც ბრუნდებოდა ხმაურით: ოთახი, კედლები, ეზოდან მომავალი მირიადი მწერის ორმოცწლიანი მშვიდი ზუზუნი და ბზუილი. ასეთ დროს ველური და სასოწარკვეთილი სახით შესცქეროდა ხოლმე ქალი და მის შემხედვარეს, ძველი მოგონების პერიფრაზი გაუელვებდა ხოლმე ფიქრში:

— ლოცვას ცდილობს, ოღონდ ლოცვაც არ იცისო.

ქალს სიმსუქნე დაეტყო.

პირველისაგან განსხვავებით, ეს ფაზა უეცარი კულმინაციით არ დამთავრებულა. ისე თანდათანობით გადაიზარდა მომდევნოში, ვერავინ იტყოდა, სად დასრულდა ერთი და სად დაიწყო მეორე. ზაფხული ილეოდა, უკვე შემოდგომაც ველარ ითმენდა და ჩამავალი მზის წაგრძელებული ჩრდილებივით აპარებდა ზაფხულს თავის სიგრილეს და სუსხს; თუმცა, მომაკვდავი ზაფხულიც ისევ ძალობდა და, ჩანავლებული კოცონივით, ხანდახან ისევ აბრიალდებოდა ხოლმე. ორწლიანი მონაკვეთი მთავრდებოდა. ქრისთმასი ჯერ კიდევ სარანდავ ფაბრიკაში მუშაობდა, თუმცა, უკვე ცოტ-ცოტა ვისკითაც ვაჭრობდა, ჭკვიანურად ააწყო საქმე, სულ რამდენიმე მუშტარი ჰყავდა და ისინიც არ იცნობდნენ ერთმანეთს. ქალისთვის არაფერი უთქვამს, არადა ვისკის მარაგს იმის მამულში ინახავდა, მუშტარსაც იმისი საძოვრის გადაღმა, ტყეში ხვდებოდა. ქალი არაფერს დაუშლიდა. ისევე, როგორც ადრე მისის მაკიჰერნი. მაგრამ, შეიძლება, ახლაც სწორედ იმიტომ არ გაუმხილა თავისი ბუტლეგერობა ქალს, რა მიზეზითაც მისის მაკიჰერნს არ გაანდო მაშინ დამალული თოკის ამბავი. საერთოდ, როცა მისის მაკიჰერნი, თოკი ანდა ოფიციანტი ქალი ახსენდებოდა, ვისთვისაც არასოდეს უთქვამს, სად შოულობდა ხოლმე ფულს, როცა, ახლაც, ამჟამინდელ სატრფოზე და ვისკიზე ფიქრობდა, თანდათანობით რწმუნდებოდა, ფულის შოვნისა და გამდიდრების სურვილი კი არ მაყიდინებს ვისკის, ეტყობა, უბრალოდ ასე დამებედა, მუდამ რაღაც უნდა დავუმალო ჩემს ირგვლივ მყოფ ქალებსო. დროდადრო, შორიდან, ქალს დღისითაც ხედავდა; სახლის უკან მოფუსფუსეს სუფთა, სადა კაბა ეცვა ხოლმე, კაბის ქვეშ კი უკვე თვალშისაცემად ფეთქავდა გადამწიფებული, ლპობაგამჯდარი სიმსუქნე, ჭაობის მცენარესავით, შეხებისთანავე რომ უნდა გასკდეს და ლორწოდ დაიღვაროს. ქალი ერთხელაც არ გამოხედავდა, ერთხელაც არ გამოექცეოდა ქოხისკენ თვალი. ქრისთმასს კი მუდამ ის, მეორე, თითქოს მხოლოდ ღამღამობით, მხოლოდ სიბნელეში არსებული პიროვნება ედგა თვალწინ და დღისით, მზის სინათლეზე დანახული ქალიც ვიღაც უცნობის, იმ ღამეული დის მიერ მოკლულის აჩრდილად ესახებოდა — ძველისძველ მამულში უმიზნოდ მოხეტიალე აჩრდილად, ვისთვისაც დაჩივლების უფლებაც კი წაერთმიათ.

მეორე ფაზის თავდაპირველი სიშმაგე, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო. ნიაღვარივით მოვარდნილი, ის ახლა მოქცევა-უკუქცევად გარდაქმნილიყო. მოქცევისას ქალი ლამის მართლა ახერხებდა ქრისთმასიც მოეტყუებინა და საკუთარი თავიც. თითქოს, რაკი მოქცევის წარმავლობას გრძნობდა, რაკი იცოდა, მოქცევას ისევ მალევე უნდა მოჰყოლოდა უკუქცევა, უფრო და უფრო შმაგდებოდა, სულ უფრო და უფრო დაუნდობლად უარყოფდა წარსულს და უკვე სრულიად მოულოდნელ, წარმოუდგენელ ხორციელ ექსპერიმენტებში ეძებდა თავდავიწყებას — თავისთვისაც და ქრისთმასისთვისაც — რათა, ყველა სურვილისაგან

დაცლილნი, ორივენი ბრმად მიჰყოლოდნენ დინებას. თითქოს იცოდა, დრო ცოტაღა მრჩება, შემოდგომა მომდგომია კარსო, თუმცა, შემოდგომის ზუსტი მნიშვნელობა ჯერ მაინც არ ესმოდა კარგად. ალბათ, მხოლოდ ალღო ამოძრავებდა: ქალური ალღო და თანდაყოლილი ჟინი ფუჭად ჩავლილი წლების დავიწყებისა. მერე, მოქცევას მართლაც ცვლიდა უკუქცევა. და ისინიც თითქოს მობეზრებულ და გამოფიტულ ნაპირზე ეყარნენ ჩამდგარი მისტრალის შემდეგ, უცხოებივით შესცქეროდნენ ერთმანეთს, უიმედო, მოსაყვედურე (ქალი — სასოწარკვეთილი, ის — დაღლილი) თვალებით.

მაგრამ, შემოდგომის ჩრდილი მაინც უკვე დასცემოდა. ბავშვიც ახსენა, თითქოს ალღომ გააფრთხილა, დროა ან თავი იმართლო, ანდა მოინანიოო. უკუქცევისას ახსენა, რადგან ღამის დასაწყისი მუდამ წარღვნას ჰგავდა ხოლმე — თითქოს ყოველდღიური განშორება დაწრეტილ ნაკადულს სიცოცხლეს უხანგრძლივებდა, ბოლომდე დაშრობას არ აცლიდა, რათა მერე, ღამით ცოტა ხნით მაინც დამსგავსებოდა ნიაღვარს. თუმცა, მალე ნაკადული მაინც დაშრა: ახლა უკვე უხალისოდ, უცხოსავით მიდიოდა ქალთან და თვალიც გამოქცევაზე ეჭირა; მის გვერდითაც უცხოსავით იჯდა ჩაბნელებულ საძინებელ ოთახში და იქიდანაც უცხოსავით გამოდიოდა, ვიღაც მესამე, და რაც მთავარია, კიდევ უფრო უცხოზე საუბრის შემდეგ. მაშინღა შეამჩნია, თითქოსდა რაღაც წინასწარი განზრახვის კარნახით, მუდამ საძინებელ ოთახში რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარივით. ახლა მთელ სახლში აღარ სჭირდებოდა ქალის ძებნა; ის ღამეები, როცა დამალულს, აქოშინებულს, შიშველს პოულობდა ხოლმე ბნელში ჩანთქმულ სახლში თუ გაპარტახებულ ეზოში, სამუდამოდ ჩაბარებოდა წარსულს, ისევე, როგორც მესერის ფუტურო ბოძი თავლასთან.

ყველაფერი დამთავრებულიყო: სცენებიც კი, გასაიდუმლოებული და უხამსი სიამოვნებისა თუ ეჭვიანობის სცენებიც. არადა, არ იცოდა, თორემ ახლა ეჭვიანობის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. თითქმის ყოველ კვირას ქრისთმასი საქმეზე მიემგზავრებოდა — ასე ეუბნებოდა ქალს. საქმეს კი მემფისში ჩაჰყავდა, სადაც სხვა, ფულით ნაყიდ ქალებთან ღალტობდა ხოლმე. ქალმა არაფერი იცოდა. არც აინტერესებდა, რადგან სხვა სადარდებელი ადარდებდა და ქრისთმასს გულახდილობის სურვილი რომც გასჩენოდა, შეიძლება მისი ნათქვამი არც დაეჯერებინა, ის კი არა, იქნებ საერთოდ არც დაეგდო ყური. ქალს ძილი გაუკრთა, მთელი ღამეები ძილგამკრთალი იწვა საწოლში და მხოლოდ დღისით, ნაშუადღევს თუ მოატყუებდა ხოლმე

თვალს. ავად არ იყო; სხეულს ვერაფერს დააბრალებდა. უკეთესად არასოდეს უგრძვნია თავი; მგლის მადა ჰქონდა და ოცდაათი ფუტიც მეტს იწონიდა ახლა, ვიდრე ადრე, ოდესმე. უძილობას სხვა მიზეზი ჰქონდა, სიბნელის, მიწის, მომაკვდავი ზაფხულის გაჩენილი: შიშისმომგვრელი და საზარელი, მით უფრო საზარელი, რაც უფრო ჯიუტად არწმუნებდა ალღო — არაფერი დაგიშავდებაო; განსაცდელი და იმედის გაცრუებაც მოგელის, მაგრამ ნუ გეშინია, უვნებელი გადარჩებიო: ცხოვრება ძველებურად გაგრძელდება, უკეთესიც გახდება, ნაკლებად საშინელი. არადა, ეს ზარავდა სწორედ, რადგან თვითონ, ყველაზე ნაკლებად გადარჩენა სურდა. — მე ჯერ არა ვარ მზად სალოცავადო, ამბობდა მშვიდად, მტკიცედ, ხმადაბლა, ფართოდ თვალებგახელილი; ფანჯარაში კი მთვარე იღვრებოდა და ოთახიც სიცივით, უსასოობით, გამწარებული სინანულით ივსებოდა. „ჯერ ლოცვას ნუ მაიძულებ. ღმერთო ძლიერო, ცოტა ხანს კიდევ მამყოფე დაწყევლილი, სულ ცოტა ხანს“. ახლა, როცა თავის განვლილ ცხოვრებას იხსენებდა, ნაცრისფერი, გრძელი გვირაბივით გასცქეროდა შიმშილობის წლებს, გვირაბის შორეულ ბოლოში კი მარადიულ საყვედურად, სინდისის მარადიულ ქენჯნად დარჩენილ საკუთარ შიშველ, სამი ხანმოკლე წლის წინანდელ მკერდს ხედავდა, და ნატანჯი, უმანკო და მოკვდინებული ხორციც ახლაც ისევე სტკიოდა, როგორც მაშინ, სამი წლის წინათ; „ჯერ არა, ღმერთო. ღმერთო ძლიერო, ჯერ არა“ — იმეორებდა ერთსა და იმავეს.

მოკლედ, როცა ახლა ისევ ესტუმრებოდა ხოლმე ქრისთმასი მის საძინებელ ოთახს და როცა უგულოდ, დუნედ, მხოლოდ ჩვეულების გამო გადაუხდიდნენ ხოლმე ხარკს ვნებას, მუდამ ბავშვზე იწყებდა საუბარს. თავიდან, განყენებულად ლაპარაკობდა, ზოგადად ბავშვებზე. შეიძლება, უბრალოდ ქალური, თანდაყოლილი ეშმაკობაც ალაპარაკებდა მიკიბულ-მოკიბულად. ასეა თუ ისე, კარგა ხანი გავიდა, ვიდრე, ცოტა არ იყოს შემკრთალი ქრისთმასი მიხვდებოდა, მართლა შესაძლებლად, მართლა დასაშვებად რომ თვლიდა ქალი შვილის გაჩენას. მიხვდა თუ არა, მაშინვე — არაო — უთხრა.

„რატომ?“ ჰკითხა ქალმა. თან ჩაფიქრებული შესცქეროდა. ქრისთმასი კი საგონებელში ჩავარდნილიყო, გამალებული ფიქრობდა **გათხოვება უნდა. სხვა არაფერი. ბავშვი ჩემზე მეტად არც ამას სჭირდება რამეში** მეხუმრებაო, იმშვიდებდა თავს. მაგრამ, მაინც მეტი ჭკუა მმართებდა, ესეც უნდა მეფიქრა. ერთი წლის წინ უნდა ავვორთქლებულიყავი აქედანო. თუმცა, ქალს ხმამაღლა ვერაფერს ეუბნებოდა, სიტყვა ქორწინების ხსენებისაც ეშინოდა, ფიქრობდა,

შეიძლება მსგავსიც არაფერი უგულისხმია, შეიძლება მე თვითონ ვუკარნახო ეს აზრიო. ქალი დაჟინებით მისჩერებოდა. „რატომ არა?“ გაუმეორა ისევ. მერე, უეცრად, წამით, ქრისთმასსაც გაუელვა *მართლაც, რატომ არა? ბავშვი ხომ სიმშვიდეს ნიშნავს, უსაფრთხოებას, უზრუნველობას მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე. აღარც წანწალი დაგჭირდება. ვითომ რითი იქნება ქორწინება ამაზე უარესი* მაგრამ, ფიქრი სხვას კარნახობდა, — ახლა რომ დავთმო, მთელ ჩემ ოცდაათწლიან, საკუთარი ნებით არჩეულ ცხოვრებასაც ერთბაშად უნდა გადავუსვა ხაზიო. ბოლოს, როგორც იქნა, ისევ ამოიღო ხმა:

„შვილის გაჩენას თუ აპირებდი, ამ ორი წლის წინ გაგეჩინა“.

„ორი წლის წინ არ გვინდოდა“. თქვა ქალმა.

„არც ახლა გვინდა“.

მაშინ სექტემბერი იდგა. სწორედ შობის მერე კი ქალმა უთხრა — ფეხმძიმედ ვარო. ჯერ სიტყვაც არ დაემთავრებინა და ქრისთმასმა უკვე ირწმუნა, მატყუებსო. მიხვდა, სამი თვე სულ ამ აღსარებას რომ ელოდებოდა. მაგრამ, როცა ყურადღებით დააცქერდა, უცებ დაიჯერა ქალის ნათქვამი: სიმართლეს ამბობს და თავის სიმართლე აღარც თვითონ აეჭვებსო. მაშინვე გაიფიქრა, — ესეც ასე. ახლა მეტყვის, ცოლად შემირთეო. ოღონდ, სხვა თუ არაფერი, მანამდე აქედან გასვლას მაინც ხომ მოვასწრებო.

მაგრამ, ქალს არაფერი უთქვამს. გაუნძრევლად იჯდა საწოლზე, ხელები კალთაში დაეკრიფა და გაქვავებული, ნიუ-ინგლენდური სახეც (ჯერაც შინაბერა ქალისა: ღაწვმაღალი, გრძელი, გამხდარი, ლამის მამაკაცური, უკვე თვალშისაცემად შეუფერებელი მის მსუქან, გაფუებულ, ცხოველურად რბილ ტანთან) დაემალა. ცოტა ხნის შემდეგღა დაილაპარაკა, ჩუმად, მოწყენილად, გულგრილად: „ზანგის ნაბიჭვარი. სხვა რაღა დარჩა? ნეტავი ახლა ქელვინისა და მამაჩემის სახეები დამანახა. ისე, გაქცევას თუ აპირებ, უკეთეს დროს ველარ იპოვი“. მაგრამ, თითქოს არც უსმენდა საკუთარ ხმას, არავითარ აზრს არ ანიჭებდა სიტყვებს: უბრალოდ, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად გაებრძოლა კერპსა და მომაკვდავ ზაფხულს, რომელსაც გაუფრთხილებლად, მუხანათურად დასხმოდა თავს შემოდგომა, ნახევრად სიკვდილის დასაწყისი. „ახლა კი მორჩა“, ფიქრობდა მშვიდად; „დამთავრად ყველაფერი“. ყველაფერი, გარდა მოლოდინისა — ერთ თვეს უნდა გაევლო კიდევ, რათა საბოლოოდ გაფანტულიყო ყველა ეჭვი; ზანგი ქალებისგან იცოდა, ორ თვეზე ადრე ვერაფერს იტყვი დაბეჯითებითო. ამიტომაც უნდა ეცადა კიდევ

ერთი თვე, კალენდარს მიჩერებულს. ნებისმიერი შეცდომისგან თავის დასაზღვევად, ფანქრითაც კი აღნიშნა ის დღე კალენდარზე; საძინებელი ოთახის ფანჯრიდან გასცქეროდა, როგორ ილეოდა თვე. ყინვები დაიჭირა, ფოთლებსაც შეეპარა სიყვითლე. მერე, კალენდარზე აღნიშნული დღეც დადგა და გავიდა; ბოლომდე დასარწმუნებლად ერთი კვირა კიდევ დაინიშნა. არ ზეიმობდა, რადგან არც უკვირდა არაფერი. — ორსულად ვარო, თქვა მშვიდად, ხმამაღლა.

„ხვალ წავალ“, გადაწყვიტა ქრისთმასმა სწორედ იმ დღეს. „არა, კვირას ჯობია“, გააგრძელა მერე ფიქრში. „ჯერ მოვიცდი, ამ კვირის გასამრჯელოსაც დაველოდები და მერე მეძებონ“. შაბათის მოლოდინში სულ იმას ვარაუდობდა, საით გაუდგებოდა გზას. მთელი კვირა აღარ უნახავს ქალი. ელოდებოდა — თვითონ დამიძახებსო. ქოხში შესულიცა და იქიდან გამოსულიც უნებურად ამჩნევდა, როგორ არიდებდა სახლს თვალს, როგორც ადრე, ქოხში ახლადდაბინავებული. ქალი აღარსად ჩანდა. ხანდახან მხოლოდ ზანგის ქალებს ხედავდა ხოლმე, შემოდგომის სუსხისგან თავდასაცავად რაღაც უაზრო, უცნაურ სამოსში გახვეულები რომ მიდი-მოდიოდნენ გაკვალულ ბილიკებზე — სახლისკენ ანდა სახლიდან. ეს იყო და ეს. მერე, შაბათიც დადგა, მაგრამ მაინც არსად წასულა. — კიდევ ცოტა ფულს რომ მოვუყარო თავი, არ მაწყენსო, გაიფიქრა. — თვითონ თუ არ მაგდებს, მე რა მრჯის, იქითა შაბათამდე დავრჩებიო.

დარჩა კიდეც. ცივი დღეები დაიჭირა, ცივი და ნათელი. ფარღალალა ქოხში თავის ბამბის საბანში რომ გაეხვეოდა, ქალის საძინებელი ოთახი წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ — იქაური ცეცხლი, იქაური განიერი, დალიანდაგებული, ღუნღულა საბნები. ასე ძლიერ არასოდეს შებრალებია საკუთარი თავი. — ერთი საბანიც რომ გამოეგზავნა, ვითომ რა მოხდებოდაო, ფიქრობდა ბრაზიანად. ისე, საბნის ყიდვა თვითონაც შეეძლო, მაგრამ არ უყიდია. არც ქალს გამოუგზავნია. მაინც ელოდა. როგორც თვითონ ეგონა, უსაშველოდ დიდხანს ელოდა. მერე, ერთ საღამოსაც, თებერვალში, შინ დაბრუნებულს საწოლზე ბარათი დახვდა. მოკლე ბარათი იყო; ბრძანებასავით. ამაღამ გელოდებიო. არ გაჰკვირვებია. ჯერ ისეთი ქალი არ ენახა, დროზევე არ მოგებულიყო გონს, თუკი, რასაკვირველია, სხვა კაცს ვერ იშოვიდა. ახლა უკვე ისიც იცოდა, მეორე დღეს აუცილებლად რომ აიკრავდა გუდა-ნაბადს. — ამას ველოდიო, ფიქრობდა; — ვალის გადაუხდელად არ მინდოდა წასვლაო. ტანზე გამოიცვალა და პირიც

გაიპარსა. თავისდა უნებურად, სასიძოსავით კოხტავდებოდა. სამზარეულოში მაგიდა ჩვეულებისამებრ იყო გაშლილი; იმ ხნის მანძილზე, რაც ქალი არ ენახა, ვახშამი მაინც სულ ელოდებოდა. ივახშმა და კიბეს აუყვა. არ ჩქარობდა. — მთელი ღამე წინაარო, ფიქრობდა. — ქოხი ცარიელი რომ დაუხვდება, რაღაცა მაინც ექნება მოსაგონარიო. ქალი ცეცხლთან იჯდა. თავიც არ მოუბრუნებია, ისე გამოსძახა — სკამი გამოაყოლე ხელსო.

ასე დაიწყო მესამე ფაზა. და ამ ფაზამ ცოტა ხნით უფრო დიდ საგონებელში ჩააგდო, ვიდრე პირველმა ორმა. აღფრთოვანებას, უსიტყვო ბოდიშს ელოდა; ყოველ შემთხვევაში, ალერსზე საპასუხო ალერსის იმედი ნამდვილად ჰქონდა. თანახმაც იყო. არადა, ხელში უცხო ადამიანი კი შერჩა, რომელმაც მშვიდად, მამაკაცური სიმტკიცით მოიშორა, როცა ამან, ბოლოს და ბოლოს, გაბედა და თავგზააბნეულმა, სასოწარკვეთილმაც კი, მოფერება დაუპირა. — მოდი ჩემთანო, — მაინც არ გაიტეხა იხტიბარი. — თუ სათქმელი გაქვს რამე, მერე უკეთესად მეტყვი. ბავშვსაც არაფერი დაუშავდება, ნუ გეშინიაო.

ქალმა ერთადერთი სიტყვით შეაჩერა; ქრისთმასმაც მაშინ პირველად შეხედა და ცივი, შორეული, ფანატიური სახე დაინახა. „როგორ არ გესმის“, თქვა ქალმა. „როგორ არ გესმის, ტყუილ-უბრალოდ რომ ფლანგავ სიცოცხლეს?“ ქრისთმასი გაქვავებული მისჩერებოდა, თითქოს საკუთარ ყურებსაც არ უჯერებდა.

კარგა ხნის მერეღა ჩასწვდა საბოლოოდ ქალის ნათქვამის აზრს. ქალი კი ზედაც არ უყურებდა. ცეცხლს მიშტერებული იჯდა, სახეგამკაცრებული, უძრავი, ჩაფიქრებული, უცხოსავით ელაპარაკებოდა და ქრისთმასიც შეურაცხყოფილი და თან გაოგნებული უსმენდა. ქალს გადაეწყვიტა მთელი თავისი საქმეები მისთვის გადაებარებინა — კორესპონდენციაცა და პერიოდული ვიზიტებიც ზანგურ სკოლებში. გულდასმით მოეფიქრებინა გეგმა და ახლა ამ გეგმის დეტალებსაც დაწვრილებით უხსნიდა. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა, ქრისთმასსაც მით უფრო მეტად იპყრობდა გაშმაგება და გაოცება. ქალის ჩანაფიქრის თანახმად, მთელი პასუხისმგებლობა მას უნდა ეკისრა, თვითონ კი ქრისთმასის მდივანი, მისი თანაშემწე გახდებოდა: სკოლებსაც ერთად მოინახულებდნენ და შინაც ერთად ესტუმრებოდნენ ხოლმე ზანგებს; გაბრაზებული კი უსმენდა, მაგრამ ამ გეგმის სიგიჟეში წამითაც არ შეპარვია ეჭვი. არადა, ქალის მშვიდსა და სერიოზულ პროფილს რომ შესცქეროდა ცეცხლის გამონაშუქზე, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტს უყურებდა. ოთახიდან გამოსვლის მერეღა გაახსენდა, ერთხელაც არ უხსენებია ბავშვიო.

ჯერ მაინც ბოლომდე არ სჯეროდა ქალის სიგიჟე. ფეხმძიმობით ცდილობდა ყველაფრის ახსნას, ახლოსაც, ალბათ, მაგიტომ არ გამიკარაო. ერთი პირობა შეკამათებაც დაუპირა. მაგრამ, გინდაც კედელთან ეკამათა: ქალმა აუღელვებლად მოუსმინა და მერე ისევ დინჯად, ცივი ხმით გააგრძელა თავისი, თითქოს ქრისთმასს საერთოდ არც დაეძრა კრინტი. ბოლოს და ბოლოს სკამიდან რომ წამოდგა და გამოვიდა, დარწმუნებული არც იყო, შეამჩნია თუ არა ქალმა მისი წამოსვლა.

მომდევნო ორი თვის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ნახა. ისევ გაგრძელდა ყოველდღიური რუტინა, ოღონდ ეგაა, ახლა სათოფეზე აღარ ეკარებოდა სახლს, კვლავ ქალაქის ცენტრში ჭამდა ხოლმე, როგორც მაშინ, როცა ფაბრიკაში მუშაობა ახალი დაწყებული ჰქონდა. მაგრამ მაშინ, მუშაობის დაწყებისას, დღის განმავლობაში ქალზე ფიქრი არ აწუხებდა; საერთოდ თითქმის არც ფიქრობდა მასზე. ახლა კი თავს ვეღარაფერს უხერხებდა. გამუდმებით თვალწინ ედგა, ლამის მართლა ხედავდა — მომლოდინეს, მომთმენს, შეშლილსა და ბედისწერასავით გარდაუვალს. პირველი ფაზის განმავლობაში, ქრისთმასი თითქოს გარეთ, დათოვლილ მიწაზე იდგა და სახლში შეღწევას ცდილობდა; მეორე, ორმოს ფსკერზე, ჩახუთულ, ცხელ, გიჟურ სიბნელეში გაატარა; ახლა კი, ტრიალ მინდორში დარჩენილიყო, სადაც არც სახლი ჩანდა, არც თოვლი, არც ქარი.

თუ აქამდე მხოლოდ გაურკვევლობა აწუხებდა, ხანდახან ავი წინათგრძნობა და საკუთარი განწირულობის შეგნება თუ სტანჯავდა, ახლა შიშიც გასჩენოდა. უკვე ამხანაგთან ერთად ყიდდა ვისკის: ამ ქალაქში ბრაუნსაც შემთხვევით ამოეყო თავი და სამუშაოს ძიებაში, ადრიანი გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ქრისთმასივით ისიც ფაბრიკას მისდგომოდა. სიბრიყვე სახეზე ეწერა, მაგრამ თავიდან იფიქრა, იმდენი ჭკუა მაინც ეყოფა, უსიტყვოდ დამემორჩილოს, თვითონ ტვინის განძრევა არ დასჭირდებაო, მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა — სულელი იმის სულელია, საკუთარ გონივრულ რჩევასაც რომ არ უგდებს ყურს. ბრაუნს არავინ იცნობდა, თან მხიარული კაციც იყო, დაუფიქრებლად ამყოლიც და უფრო ამიტომ შეიამხანაგა; სიმამაცისა, რა თქმა უნდა, არაფერი ეცხო, მაგრამ ქრისთმასმა იცოდა, გონიერი კაცის ხელში ლაჩარსაც რომ შეუძლია გარკვეული სარგებლობის მოტანა, ყველასათვის, საკუთარი თავის გარდა.

მარტო იმის ეშინოდა, შეიძლება ქალის ამბავი შეიტყოს და, თავისი გაუთვალისწინებელი სიბრიყვის წყალობით, რამე გამოუს-

წორებელიც ჩაიდინოსო. ისევ ჯიუტად გაურბოდა, ჯიუტად ემალებოდა ქალს და ამიტომ შიშობდა, ვაითუ ერთ ღამესაც თვითონ მომადგეს, თვითონ მომაკითხოს ქოხშიო. თებერვლის მერე, მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი. მიაკითხა და ქოხში ბრაუნის დაბინავების ნებართვა სთხოვა. კვირა დღე იდგა. უკანა პარმაღიდან დაუძახა, ქალიც გამოვიდა და მშვიდად მოუსმინა. — არ იყო საჭიროო — უთხრა. თავიდან ვერც მიხვდა, რას გულისხმობდა. მოგვიანებითღა განათდა გონებაში, ერთბაშად, დაბეჭდილ წინადადებასავით: ***ჰგონია მისგან თავის დასახსნელად მოვიყვანე. დაიჯერა, თითქოს ბრაუნის იმედად ვიყო, თითქოს ბრაუნი თუ მეყოლება გვერდით თვითონ ველარ გაბედავს მოსვლას და იძულებულიც გახდება თავი დამანებოს***

ეს ფიქრი ჩაინერგა და შიშიც გაუჩნდა ქალის მოსალოდნელი საქციელის გამო, თუმცა, სინამდვილეში, საკუთარ აზრებს მიაწერდა მხოლოდ. ეჭვი აღარ ეპარებოდა, რაკი ასე ფიქრობს, აღარც ბრაუნისა მოერიდება და, ჯიბრზე, უფრო მომადგება ქოხშიო. თვეზე მეტია, ქალს არაფერი მოემოქმედა, ჯიუტად დუმდა და, ქრისთმასის ღრმა რწმენით, სწორედ ახლა უნდა გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი. უკვე თვითონაც თვალდაჭყეტილი იწვა ხოლმე ღამღამობით, ფიქრობდა, — რაღაც გზას უნდა დავადგე. უთუოდ ჩავიდენ რაღაცასო.

ამიტომაც ეშმაკობდა, ბრაუნს ატყუებდა, ემალებოდა და მუდამ პირველი ცდილობდა ქოხში დაბრუნებას. სულ ელოდებოდა, ქალი დამიხვდება ქოხშიო. მაგრამ ქოხამდე რომ მიაღწევდა და ქოხიც ცარიელი დაუხვდებოდა, რაღაცნაირი დამაუძლურებელი გააფთრება იპყრობდა ხოლმე: თვითონ სულ ფეთებაში იყო, რაღას არ იგონებდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა, ქალი კი იჯდა თავისთვის შინ, უსაქმოდ, მარტოდმარტო და მხოლოდ ის ჰქონდა საფიქრალი, ახლავე გავცე თუ ცოტა ხანს კიდევ ვაწვალოო. სხვა დროს ფეხებზე დაიკიდებდა, გაიგებდა ბრაუნი მათი ურთიერთობის ამბავს თუ ვერა. არც დიდი თავდაჭერილობა ახასიათებდა და არც ქალისადმი რაინდული მოწიწება. პრაქტიკული, საქმიანი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. გინდაც მთელ ჯეფერსონს გაეგო იმათი სიყვარულობანა, არ დაგიდევდათ: ქალის მამულში შენახული ვისკის გამო ასაიდუმლოებდა ასეთი მონდომებით პირად ცხოვრებას, რადგან ვისკის მოჰქონდა სწორედ ყოველკვირეულად ოცდაათი-ორმოცი დოლარი მოგება. ეს იყო ერთი მიზეზი, მეორე კი — პატივმოყვარეობა. უმალ მოკვდებოდა ან მოკლავდა, ვიდრე სხვას, მეორე კაცს გააგებინებდა, სადამდე მისულიყო მათი ურთიერთობა. ქალს არა მარტო საკუ-

თარი ცხოვრება შეეცვალა ძირფესვიანად, არამედ მისი ცხოვრების შეცვლასაც ცდილობდა და ქრისთმასისგან რაღაც საშუალოს შექმნას აპირებდა განდეგილსა და ზანგების მისიონერს შორის. იცოდა, თუკი ბრაუნი ამბის დასაწყისს შეიტყობდა, აღარც დანარჩენის გაგება გაუჭირდებოდა. ამიტომაც, როცა ათასი ტყუილისა და ოინის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ქოხს მიადგებოდა, როცა უკვე კარს შეახებდა ხელს, ერთბაშად მოეძალებოდა ხოლმე შიშითა და უძლური მძვინვარებით ნასაზრდოები სიძულვილი, რადგან, უკვე ფეთებისა და გულისხეთქვის ამაოებაში დარწმუნებულს, მაინც ვერა და ვერ დაეძლია ჩვევად ქცეული სიფრთხილე. მერე, ერთ საღამოსაც, კარი შეაღო თუ არა, საწოლზე ბარათი დაინახა.

ოთხკუთხა, თეთრი და იდუმალებით მოცული ბარათი მუქი ფერის საბანზე იდო და შესვლისთანავე ეცა თვალში. იმდენად იყო საკუთარ გუმანს მინდობილი, წამითაც არ დაფიქრებულა, რას უქადდა, რა ეწერა შიგ. არც სიხარულს შეუპყრია და არც მღელვარებას; შვება დაეუფლა. — მორჩაო, გაიფიქრა, ოღონდ შუაზე გაკეცილი ქაღალდისთვის მაინც არ უხლია ხელი. — ისევ ძველი დრო დაბრუნდება. გათავდა ზანგებზე და ბავშვებზე ყბედობა. ჭკუას მოუხმო. გადაუარა, ნახა, რაც ელოდა. დარწმუნდა, მხოლოდ და მხოლოდ კაცი რომ უნდა, კაცი სჭირდება. თანაც ღამღამობით; დღისით რას აკეთებს ეს კაცი, მნიშვნელობა არა აქვსო. მაშინ იმასაც უნდა მიმხვდარიყო, რატომ არ წასულიყო აქამდე. უნდა ეგრძნო, რომ ჯერაც მდუმარე და არაფრისმთქმელი ქაღალდის პატარა ოთხკუთხედი ჯაჭვზე და ბოქლომზე საიმედოდ უბორკავდა ხელ-ფეხს. მაგრამ, ამაზე არ ფიქრობდა. დანაპირები სიამოვნების ზღვარზე იდგა და წინდაწინ ტკბებოდა ამ სიამოვნების წარმოდგენით. ოღონდ, ახლა, უფრო მშვიდად მოხდებოდა ყველაფერი; ორმხრივი თანხმობით; არ აპირებდა უეცრად მოპოვებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. — გათავდა სისულელეებიო, აგრძელებდა ფიქრს და ჯერ გაუხსნელი ბარათიც უკვე ხელში ეჭირა; — ამდენი სიგიჟის მერე, ისიცა და მეც მაინც ისევ ისა ვართ, რაც ადრე ვიყავითო. წარმოიდგინა, როგორ იცინებდნენ ამაღამ წარსულზე, მერე, მოგვიანებით, ყველაფრის შემდეგ — როცა მშვიდი საუბრისა და მშვიდად სიცილის ჟამი დადგებოდა: ყველაფერზე იცინებდნენ, ერთმანეთზეც, საკუთარ თავზეც.

ბარათი კი მაინც არ გაუხსნია. გვერდზე გადადო, დაიბანა, პირი გაიპარსა და ტანსაცმელი გამოიცვალა, თან რაღაცას უსტვენდა. ბრაუნი რომ შემოვიდა, სამზადისი ჯერ არ დაემთავრებინა. „კარგია, კარგი“ — თქვა ბრაუნმა. ქრისთმასს პასუხი არ გაუცია.

კედელზე მიმაგრებულ სარკის ნატეხში იყურებოდა. ყელსახვევს იკრავ-და. ბრაუნი შუა ოთახში გაჩერდა: მაღალი, გამხდარი, ახალგაზრ-და კაცი იყო, ჭუჭყიანი კომბინეზონი ეცვა, მზედაკრული, უნებისყ-ოფო, ლამაზი სახე ჰქონდა და ცნობისმოყვარე თვალები. ტუჩის კუთხეში დორბლივით აჩნდა წვრილი, თეთრი ნაიარევი. ცოტა ხანს ჩუმად იდგა. მერე უთხრა: — გეტყობა, სადღაც გაგიწევიაო.

„მართლა მეტყობა?“ შეეხმიანა ქრისთმასიც. თავი არ მოუ-ბრუნებია. ისევ უსტვენდა, მონოტონურად, სწორად: რაღაც მი-ნორულს, გულსაკლავს, ზანგურს.

„მაშ მე აღარ დავიბან“, თქვა ბრაუნმა, „შენ მაინც უკვე მზადა ხარ“.

ქრისთმასმა გამოხედა. „რისთვისა ვარ მზად?“

„განა ქალაქში არ მიდიხარ?“

„როდის გითხარი, ქალაქში მივდივარ-მეთქი?“ ქრისთმასი ისევ სარკეს მიუბრუნდა.

„ჰოოო“, გააგრძელა ბრაუნმა. ქრისთმასის კეფას მიშტერებოდა. „ესე იგი, თუ არა ვცდებით, პირად საქმეზე მიბრძანდებით, არა?“ ქრისთმასს თვალს არ აშორებდა. „ისე, ცივი ღამეა. ნოტიო მიწაზე გაიყინები, ქვეშ კნაჭა გოგოს მეტი თუ არაფერი დაიგე“.

„ეგრე ფიქრობ?“ თქვა ქრისთმასმა, სტვენა არ შეუწყვეტია, დინ-ჯად, საქმიანად იკრავდა ყელსახვევს. მერე შემობრუნდა, პიჯაკს დასწვდა, ჩაიცვა; ბრაუნი თვალს არ აშორებდა. ქრისთმასი კარებთან მივიდა და — აბა დილამდეო — გამოსძახა. კარი არ გაუხურავს. თუმცა იცოდა, ბრაუნი უთვალთვალებდა. უკვე აღარაფრის დამალვას არ აპირებდა. პირდაპირ სახლისაკენ დააღერა თავი. — მიყუროს რამ-დენიც უნდაო, ფიქრობდა. — თუ უნდა, უკანაც გამომყვესო.

სამზარეულოში გაშლილი სუფრა ელოდა. ვიდრე მაგიდას მი-უჯდებოდა, გაკეცილი ბარათი ჯიბიდან ამოიღო და თეფშის გვერ-დით დადო. ბარათი არც კონვერტი ჩაედოთ და არც დაებეჭდათ; თავისთავად გადაიხსნა, თითქოს ეპატიჟებოდა, წაკითხვას სთხოვდა. მაინც არ დაუხედავს ზედ, ისე შეუდგა ჭამას. აუჩქარებლად იღეჭებო-და. უკვე ამთავრებდა ვახშამს, როცა უეცრად დაიძაბა, თავი აიღო და რაღაცას მიაყურადა. მერე წამოდგა, კატასავით უხმაუროდ მიუახლოვდა კარს და ერთბაშად მოაფრიალა. გარეთ ბრაუნი იდგა — ყურებდაც-ქვეტილი, კისერწაგრძელებული, კარისკენ წახრილი, თითქოს კარის გაღება ვერც შეამჩნიაო. სამზარეულოს შუქი რომ დაეცა, ქრისთმასმა დაინახა რა დაძაბული, ბავშვური ინტერესი ეწერა სახეზე, თუმცა, ინტერესი მაშინვე გაოცებამ შეცვალა, ხოლო როცა საბოლოოდ მოეგო

ტანს, სწრაფად გასწორდა წელში და თავიც უნებურად უკან წაიღო. ...ბა კი მაინც მხიარული ჰქონდა, ოღონდ ჩუმად, წინდახედულად, შეთქმულივით ლაპარაკობდა, ვითომ, არაფერი მაინტერესებს, არაფერი მეტება, არაფერს გეკითხები — ისე გიერთგულებ და დაგიდგები გვერდში, თუნდაც მხოლოდ მამაკაცური ერთსულოვნების გამო: „კარგია, კარ-გი. აი, თურმე სად დასუნსულებ ყოველ ღამე კატასავით. როგორც იტყვიან, პირდაპირ ცხვირწინ...“

ქრისთმასმა ხმისამოუღებლივ მოუქნია ხელი. თუმცა, მაგრად ვერ მოარტყა, რადგან ბრაუნი ხვიხვინით, უდანაშაულო და უდარდელი კაცის იერით იხევდა უკან-უკან. ხმა კი გააწყვეტინა; დამფრთხალი, უკან გამხტარი, შუქს გაერიდა, ბნელში გაუჩინარდა და, თითქოს ისევ ძმაკაცზე ზრუნავდა, თითქოს ეშინოდა, საქმე არ გავუფუჭოო, ახლა იქიდან შეეხმიანა ხმადაბლა, თუმცა, უკვე დაძაბული, აგანგაშ-ებული, გაოცებული: „ხელი აღარ მახლო!“ ტანად უფრო მაღალიც იყო და უფრო მოსულიც, მაგრამ უშნოდ აწოწილი და ერთიანად მორღვეული, ისე სასაცილოდ, ისე მოუქნელად მიბორძიკობდა ქრისთ-მასის უსიტყვო, ჯიქური შეტევით გულგახეთქილი, კაცი იფიქრებ-და, საცაა ხმაურით დაენარცხება მიწას და ნაწილ-ნაწილ დაიშლე-ბაო. ყალბი მუქარით ერთხელაც რომ გამოსძახა — იცოდე, ხელი აღარ მახლოო — შიშისაგან უკვე ხმაც გასწვრილებოდა. გასაქცე-ვად შებრუნებულს, ახლა მხარში მოხვდა მუშტი. მაშინ კი იკადრა და თავქუდმოგლეჯილი მოსწყდა ადგილს. ასიოდე ნაბიჯი გაირ-ბინა, ვიდრე ფეხს შეანელებდა და უკან მოიხედავდა. „დამპალო, ქვეშაფსია იტალიელო“. დაუძახა ქრისთმასს, ისე, გამომცდელად, და თან, მაშინვე თავი გადააქნია, თითქოს ასე ხმამაღლა დაყვირებას არ აპირებდა. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა; სამზარეულოს ჩაკეტილი კარიც ბნელში ჩანთქმულიყო. მაშინ ცოტა კიდევ აუწია ხმას: „შე დამპალო, ქვეშაფსია იტალიელო! გასწავლი, ვის ემაიმუნო“. არაჭინ გამოპასუხებია. გრილოდა. სახლს ზურგი შეაქცია და ბურტყუნ-ბურტყუნით ქოხისაკენ წაჩანჩალდა.

როცა ქრისთმასი სახლში შებრუნდა, მაგიდისკენ, ჯერაც წაუ-კითხავი ბარათისკენ აღარც გაუხედავს. სამზარეულოდან გავიდა და კიბეს აუყვა. ნელ-ნელა, აუჩქარებლად. უკვე ხედავდა საწოლი ოთახის კარს, კარის ღრიჭოში მოციმციმე ცეცხლის ალს. დინჯად მიადგა კარებს, სახელურს ჩაავლო ხელი. ცოტა ხანს ასე იდგა, ბოლოს კარი შეაღო და ადგილზე გაქვავდა. ქალი მაგიდას უჯდა, ლამპის შუქი ეცემოდა. ქრისთმასი ნაცნობ სხეულს შესცქეროდა, ნაცნობ ტანსაცმელს — თითქოსდა დაუდევარი კაცისთვის შეკე-

რილს, დაუდევარი კაცისავე ნახმარს, ქალს ჭაღარა მომატებოდა, თმაც უკან გადაევარცხნა და უხეშად, უშნოდ დაგრაგნილი ისევ აჯდა კეფაზე, როგორც მახინჯი კორძი დაავადებული ხის ტოტს, ქვემოდან რომ ამოხედა, რკინის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა — ადრე არასოდეს უნახავს სათვალით. ქრისთმასი ისევ გახევებული იდგა კარებში, სახელურს ჩაფრენილი. ეჩვენებოდა, ვითომ მართლაც ესმოდა საკუთარ არსებაში გახმიანებული სიტყვები: ***ის ბარათი უნდა წაგეკითხა. ის ბარათი უნდა წაგეკითხა*** ფიქრობდა, — რაღაც უნდა ვქნა, უთუოდ ჩავიდენ რაღაცასო.

მაშინაც ეს სიტყვები ედგა ყურში, როცა უკვე ფურცლებით მოფენილ მაგიდას მიუახლოვდა, მაგიდასთან ისევ ისე, გაუნძრევლად მჯდომ ქალს, და როცა ქალის მშვიდი, ცივი, მონოტონური ხმით წარმოთქმულ სისაძაგლეს უსმენდა, როცა თვითონაც, მაგიდაზე მიმობნეულ საიდუმლოებით მოცულ ქაღალდებსა და დოკუმენტებს დაშტერებული, უნებლიეთ იმეორებდა ამ სისაძაგლეს, მისი მდორე და მოცლილი ფიქრი სულ სხვას დასტრიალებდა: ნეტავი ეს რა ქაღალდია, ან ეს, მეორე, რას უნდა ნიშნავდესო? „სკოლაში“, გაიმეორეს მისმა ტუჩებმა.

„ჰო“, თქვა ქალმა. „მიგიღებენ. ნებისმიერში. ჩემს ანგარიშზე. რომელიც მოგეწონება, იმას აირჩევ. არაფრის გადახდა არ მოგიწევს“.

„სკოლაში“... გაიმეორეს ტუჩებმა ისევ, „ზანგების სკოლაში... მე“.

„ჰო. მერე მემფისში წახვალ. პიბლზის ოფისში სამართალს შეისწავლი. ის შეგასწავლის. მაშინ მთელ საქმეებსაც შენ გადაიბარებ, ყველაფერს, რასაც პიბლზი აკეთებს ჩემთვის“.

„სამართალი შევისწავლო ზანგი ადვოკატის ოფისში“, გაიმეორეს ტუჩებმა.

„ჰო, საქმეებსაც და ფულსაც შენ გადმოგაბარებ. ყველაფერს. ფული როცა დაგჭირდება, შეგეძლება... მოკლედ, მაშინ თვითონვე გეცოდინება, რა უნდა ქნა; ვექილებმა იციან, როგორ კეთდება ასეთი საქმეები... სიბნელიდან გამოსვლაში მიეხმარები და გინდაც რამე გაიგონ, ვერავინ დაგადანაშაულებს, ვერაფერს დაგაბრალებენ... გინდაც აღარ დააბრუნო... მაგრამ, თუ გენდომება, დაბრუნებითაც მშვენივრად დააბრუნებ, ვერც შეამჩნევს ვერავინ...“

„კარგი, მაგრამ ზანგების კოლეჯი, ზანგი ადვოკატი?!“ მშვიდი ხმა ჰქონდა, კამათს არ აპირებდა; მხოლოდ შეხსენება სურდა. ერთმანეთს არ უცქერდნენ: ოთახში რაც შევიდა, ქალს თავი ერთხელაც არ აუწევია.

„უთხარი ყველაფერი“, თქვა ქალმა.

„ზანგებს ვუთხრა, ზანგი ვარ-მეთქი?“ ქალმა პირველად შეხედა. სახეზე სრული სიმშვიდე ეწერა. მოხუცი ქალი შემოსცქეროდა.

„ჰო. ამის თქმა მოგიწევს. ფული რომ არ მოგთხოვონ. ჩემს ხარჯზე რომ ისწავლო“.

მაშინ კი აევსო მოთმინების ფიალა და თითქოს ტუჩებს უბრძანა: — გეყოფათ. მორჩით სისულეების ტლიკინს. მეც მათქმევინეთ სიტყვაო. ქალისკენ დაიხარა. ქალი არ შერხეულა. ლამის ერთმანეთისთვის მიებჯინათ სახეები: ერთს ცივი, მიტკალივით გაფითრებული, ფანატიური, გიჟური; მეორეს კი პერგამენტისფერი, პირქუში, სიმწრით დაღრეჯილი. მშვიდად უთხრა: „შენ ბებერი ხარ. ახლაღა შეგატყვე. ბებერი ქალი. ჭაღარა“. ქალი არც ახლა შერხეულა, ოღონდ მაშინვე, დაუყოვნებლივ შემოჰკრა სილა. სილის ტკაცუნი ყრუდ გაისმა ოთახში და ამ ხმას, ექოსავით სწრაფად მოჰყვა საპასუხო დარტყმა. ქრისთმასმა მუშტი გაარტყა და უეცრად კვლავ მოვარდნილი ქარის ზუზუნში, ძალით წამოაგდო სკამიდან, მაგრად ჩაბღუჯა და ასე ეჭირა — თვალებადფცეული, გახევებული, სახეგაქვავებული; თვითონ ისევ ქარი უზუზუნებდა ყურებში, მთელი ძალით დასძგერებოდა ცოდნის გაბმული ქარი. „შენ არც ბავშვს ელოდები“, უთხრა ქალს, „არც ყოფილხარ ფეხმძიმედ. სიბერის მეტი არაფერი გჭირს. უბრალოდ, დაბერდი, შენი დრო მოჭამე და აღარაფრად ვარგიხარ. ეგ არის და ეგ მთელი შენი უბედურება“. ხელი გაუშვა და და ისევ გაარტყა. ქალი მოკუნტული გადავარდა სწოლზე, თან ქვემოდან ამოსცქეროდა, ქრისთმასმა ხელახლა გაარტყა. თავზე დაადგა და სწორედ იმ სიტყვებით დაუწყო გინება, რომელთა მოსმენაც ერთ დროს ასე ძლიერ უყვარდა ქალს, როგორც თვითონვე ამბობდა ხოლმე — თითქოს გემოთიც შეიგრძნობდა ჩურჩულით ნათქვამ ამ უწმაწურსა და თან საალერსო სიტყვებს. „მორჩა. შენ შენი დრო მოჭამე. აღარაფრად ვარგიხარ, მორჩა“.

ქალი გვერდულად იწვა საწოლზე, თავი მისკენ მოებრუნებინა და პირგასისხლიანებული ამოსცქეროდა. — იქნებ ჯობდა, ორივე მოვმკვდარიყავითო — თქვა.

კარის გაღებისთანავე ხედავდა ხოლმე საბანზე დადებულ ბარათს. მივიდოდა, აიღებდა, გაშლიდა. მესერის ღრუ ბოძი ახლა სხვისი მონაყოლივით ახსენდებოდა, სხვის ცხოვრებაში მომხდარი ამბავივით, იმ ცხოვრებაში, რომელსაც მის წარსულთან საერთო არაფერი ჰქონდა. იმიტომ, რომ იმავე ქაღალდზე, იგივე მელნით

დაწერილი ბარათები, არაფრით განსხვავდებოდა ძველებისგან. ძველ ბარათებშიც ორიოდე სიტყვა ეწერა ხოლმე და მრავალსიტყვაობით არც ახლები გამოირჩეოდა. ოღონდ ეგაა, ახლა აღარაფერი შერჩენოდათ გამომწვევი, უტყვი დაპირებისა, უკვე აღარ მოასწავებდნენ მადისაღმძვრელ, სიტყვით გამოუთქმელ სიამოვნებას. ეპიტაფიაზე უფრო მოკლე იყო ეს ბარათები და ბრძანებაზე უფრო ნათელი.

მაინც არ მივალო — პირველი ეს აზრი გაუელვებდა ხოლმე ყოველი ბარათის დანახვაზე. ეგონა, ვერც გაბედავდა მისვლას. არადა, სინამდვილეში, მისვლას კი არა, სწორედ მიუსვლელობას ვერ ბედავდა. ახლა უკვე ტანსაცმელსაც აღარ იცვლიდა. ისევ ოფლით დალაქული კომბინეზონი ეცვა ხოლმე, როცა მაისის გვიან საღამოს ბინდბუნდს შეერეოდა და მერე სამზარეულოში შევიდოდა. უკვე აღარც გაწყობილი ვახშამი ხვდებოდა. ზოგჯერ მაგიდას რომ ჩაუვლიდა და გახედავდა, ფიქრობდა, — ღმერთო ჩემო, როდის იყო მშვიდად რომ ვიჯექი აქ და ვჭამდიო — და იმ დროს ვერ იხსენებდა.

მერე სახლში შედიოდა და როგორც კი კიბეს აუყვებოდა, მაშინვე ქალის ხმასაც გაიგონებდა ხოლმე. რაც უფრო მაღლა ადიოდა, რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა საწოლი ოთახის კარს, ხმაც მით უფრო ძლიერდებოდა. კარი მუდამ დახურული, ჩაკეტილი ხვდებოდა; ოთახიდან მონოტონური, ერთფეროვანი ხმა გამოდიოდა. სიტყვებს ვერ არჩევდა; მარტო გაბმული დუდუნი ესმოდა. არც ცდილობდა სიტყვების გარჩევას, ვერ ბედავდა. ფიქრსაც ვერ ბედავდა იმაზე, რას აკეთებდა ქალი. იდგა და ელოდა, როდის მიწყდებოდა ხმა, როდის გაუღებდნენ კარს, როდის შეუშვებდნენ ოთახში. მერე, საწოლთან რომ ჩაივლიდა, უნებურად საწოლის გვერდით იატაკსაც დახედავდა და ეჩვენებოდა, ვითომ მართლა არჩევდა იქ მუხლების ანაბეჭდს, მაშინვე აარიდებდა ხოლმე თვალს — თითქოს თვალებს სიკვდილი დაენახოთ.

როგორც წესი, ლამპა არ ენთო ხოლმე. არცერთი არ ჯდებოდა. უწინდელივით ზეზეურად საუბროდნენ, როგორც მაშინ, ორი წლის წინათ; ბინდბუნდში იდგნენ და ქალიც თავის ზღაპარს აგრძელებდა: „... არ გინდა სკოლა და ნუ გინდა... უსკოლოდ გავიდეთ იოლად... მაგრამ სული... მონანიება...“ ის კი, ყინულივით ცივი, გაქვავებული, იდგა და იცდიდა, როდის გაჩუმდებოდა ქალი: „...ჯოჯოხეთი... სამუდამოდ, სამარადისოდ“...

„არა“, პასუხობდა მუდამ ერთსა და იმავეს. ქალიც მშვიდად ისმენდა მის პასუხს, რადგან ორივემ მშვენივრად იცოდა, ვერასდიდებით რომ ვერ გადაარწმუნებდნენ ერთმანეთს. მაინც იბრძოდნენ; უფრო უარესი: თითქოს, უერთმანეთოდ ვერც სძლებდნენ; ქრისთმასიც ძველებურად ითრევდა ფეხს, არსად არ აპირებდა წასვლას. ასე იდგნენ ხოლმე კიდევ ცოტა ხანს, ოთახში გამეფებული ბინდბუნდი კი თითქოს მკვდარი ცოდვებისა და მკვდარი სიამოვნების უთვალავი აჩრდილით დასახლებულიყო — მათი სიყვარულის ნაყოფით, მათი ნაშიერით; იდგნენ და ერთმანეთის უძრავ, ბინდში გამკრთალ სახეებს შესცქეროდნენ — დაღლილს, გამოფიტულს, უტეხს.

მერე ქრისთმასი ოთახიდან გამოდიოდა და ვიდრე ზურგსუკან კარი ჩაიკეტებოდა, ვიდრე ურდული გაიჩხაკუნებდა, ლამის უკვე ხელახლა ესმოდა იგივე მონოტონური, მოგუდული, სასოწარკვეთილი ხმა, არც იცოდა და ვერც ბედავდა ევარაუდა, ვისკენ იყო მიმართული ქალის ბუნდოვანი, გაურკვეველი სიტყვები. და აი, სამი თვის შემდეგ, აგვისტოს იმ ღამეს, როცა გაპარტახებულ, ჩაბნელებულ ბაღში იჯდა და ესმოდა, როგორ ჩამოჰკრა ორი მილის იქით სასამართლოს საათმა ჯერ ათჯერ, მერე კი თერთმეტჯერაც — უკვე საბოლოოდ შეჰგუებოდა იმ უცნაურ აზრს, მთელი შეგნებით ბედისწერის უარმყოფელი, სწორედ ბედისწერის მორჩილ მსახურად, მის ბრმა იარაღად რომ ქცეულიყო მოულოდნელად. ***სხვა გზა არ მქონდა*** უკვე მომხდარივით ამბობდა მოსახდენზე; ***სხვა გზა არ მქონდა... აკი თვითონვე მითხრა***

ორი ღამით ადრე უთხრა. იმ დღესაც დახვდა ქოხში ბარათი და ქალთან წავიდა. კიბეზე რომ ადიოდა, მონოტონური ხმა ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ ესმოდა. მიზეზს მერეღა მიხვდა, როცა კიბე აათავა. ქალს კარი ღია დაეტოვებინა, თვითონ კი საწოლის გვერდით მოეყარა მუხლი და ქრისთმასის დანახვაზეც არ წამომდგარა. არც შერხეულა; არც ლოცვა შეუწყვეტია. თავი მაღლა აეწია, ამაყადაც კი, თითქოს ჩვეულებრივი მორჩილების ეს პოზაც სიამაყის ნაირსახეობა იყო, და მისი ხმაც წყნარად, მშვიდად, უიმედოდ გაისმოდა ბინდბუნდში. ვიდრე ფრაზა არ დააბოლოვა, არც შესტყობია ქრისთმასის შემოსვლა თუ შეამჩნია. მერეღა მიაბრუნა მისკენ თავი. — ჩემს გვერდით დაიჩოქეო — უთხრა.

„არა“, თქვა ქრისთმასმა.

„დაიჩოქე“, გაუმეორა ისევ. „შენ არაფრის თქმა არ მოგიწევს. მხოლოდ დაიჩოქე. პირველი ნაბიჯი გადადგი“.

„არა“, თქვა ქრისთმასმა, „მივდივარ“.

ქალი ქვემოდან ასცქეროდა, არც ახლა შერხეულა. „არ წახვიდე ჯო. ეს ხომ მაინც შეგიძლია?“

„კარგი. დავრჩები. ოღონდ დაუჩქარე“.

ქალმა ლოცვა გააგრძელა. ხმადაბლა ლაპარაკობდა, ისევ იმ

ამაყი მორჩილებით. ქრისთმასისგან ნასწავლი, ტაბუდადებული სიტყვების თქმა რომ დასჭირდებოდა ხოლმე, იმ სიტყვებსაც უყოყმანოდ, შეულამაზებლად ამბობდა, ისე მიმართავდა ღმერთს, თითქოს ღმერთიც ჩვეულებრივი მოკვდავი მამაკაცი იყო და ორ სხვა კაცთან ერთად ისიც იქვე, იმ ოთახში იმყოფებოდა. ქრისთმასზეც და საკუთარ თავზეც ისე ლაპარაკობდა, როგორც ორ უცხო ადამიანზე — დუნე, მონოტონური, უსქესო ხმით. მერე გაჩუმდა. უხმაუროდ წამოდგა. ბინდბუნდში იდგნენ, პირისპირ. აღარაფერი უკითხავს; არც ქრისთმასს დასჭირვებია პასუხის გაცემა. ცოტა ხნის შემდეგღა თქვა: მაშ მხოლოდ ერთი რამ დაგვრჩენიაო.

„მხოლოდ ერთი რამ“, გაიმეორა ქრისთმასმაც.

მორჩა, დამთავრდა ყველაფერიო — ფიქრობდა ხშირი ჯაგნარის ჩრდილში მჯდომი და ესმოდა, როგორ მიჩუმდა, როგორ ჩაკვდა სადღაც შორეული საათის უკანასკნელი დარტყმაც. იმ ადგილას იჯდა, სადაც ერთხელ, ორი წლის წინათ, ერთ გიჟურ ღამეს იპოვა დამალული ქალი. თუმცა, ესეც სხვა დროში ხდებოდა, სხვა ცხოვრებაში. ახლა აქ სიმშვიდე სუფევდა, სიწყნარე, ნოყიერი მინაც მძიმე-მძიმედ სუნთქავდა და სიგრილეს აფრქვევდა. სიბნელე ხმებით იყო სავსე, განვლილი, გარდასული ცხოვრების უამრავი ნაცნობი ხმით, თითქოს მთელი წარსული, ერთფეროვანი და მოსაწყენი, ერთ სიბრტყეში გაწოლილიყო. ოღონდ, თან უნდა გაგძელებულიყო კიდეც: ხვალინდელ ღამეში, ყველა ხვალეში — უნდა გაგრძელებულიყო და კვლავ ერთფეროვნების ნაწილად უნდა ქცეულიყო. თან ამშვიდებდა და თან ანცვიფრებდა ეს ფიქრი: მარადიულ გაგძელებაზე, უსასრულობაზე, უთვალავ ნაცნობ ხმაზე, რადგან ყოველივე ოდესღაც არსებული, მოსახდენს ჰგავდა, რადგან ხვალ, „არის“ და „იყო“ ერთი და იგივე იქნებოდა. მერე ჟამმაც დაჰკრა.

წამოდგა. ჩრდილს გამოეყო, სახლს შემოუარა და სამზარეულოში შევიდა. სახლში ბნელოდა. დილას აქეთ ქოხში არ შეევლო და არ იცოდა, დღესაც დაუტოვა ქალმა ბარათი თუ არა, არ იცოდა, ამაღამაც თუ ელოდებოდა. თუმცა, მაინც არ ფრთხილობდა. არც იმას ფიქრობდა, სძინავს თუ არაო, ძილის არსებობა თითქოს საერთოდ აღარც ახსოვდა. აუჩქარებლად აათავა კიბე და ოთახში შევიდა. ლამის მაშინვე გამოელაპარაკა ქალი. — ლამპა აანთეო — გამოსძახა საწოლიდან.

„შუქი არ დაგვჭირდება“, უთხრა ქრისთმასმა.

„მაინც აანთე“.

„არა“, თქვა ისევ. უკვე საწოლთან იდგა. ზემოდან დასცქეროდა.

ხელში სამართებელი ეჭირა. ოღონდ, ჯერ დაკეცილი. ქალს ხმა აღარ ამოუღია და ქრისთმასს მოეჩვენა, თითქოს საკუთარი სხეული გამოეყო და გაშორდა. სხეული მაგიდასთან მივიდა, ხელმა სამართებელი მაგიდაზე დადო, ლამპა მოიძია, ასანთს გაჰკრა. ქალი ლოგინში წამომჯდარიყო, ზურგით საწოლის თავს მიყრდნობილი. ლამის პერანგზე შალი მოესხა და მკერდზე გამოეკრა. გულხელი დაეკრიფა და ხელის მტევნები შალის ქვეშ შეემალა. ქრისთმასი მაგიდასთან იდგა. ერთმანეთს შესცქეროდნენ.

„დაიჩოქებ ჩემ გვერდით?“ ჰკითხა ქალმა, „იცოდე, მე არ გთხოვ“.

„არა“, თქვა ქრისთმასმა.

„მე არ გთხოვ. მე არა ვარ ის, ვინც გთხოვს. დაიჩოქე“.

„არა“.

ერთმანეთს შესცქეროდნენ. „ჯო“, წამოიწყო ქალმა ისევ. „უკანასკნელად გეუბნები. მე არ გთხოვ, ეს იცოდე. დაიჩოქე ჩემ გვერდით“.

„არა“, თქვა მან. მერე დაინახა, როგორ გაშალა ქალმა ხელები, როგორ გამოაძვრინა შალსქვემოდან მარჯვენა და როგორ გამოიშვირა წინ. ხელში ძველებური, ორლულიანი, ფისტონიანი დამბაჩა ეჭირა, ლამის პატარა თოფისოდენა და თოფზე უფრო მძიმე. არადა, არც დამბაჩისა და არც წინგაწვდილი მკლავის ჩრდილი ოდნავადაც არ თრთოდა კედელზე, საზარლად გაქვავებულიყო და საზარლად შემართული ჩახმახიც ბოროტად გარინდული გველის მორკალული თავივით დასცქეროდა ზემოდან; არც ჩახმახის ჩრდილი ირხეოდა. არც ქალს დაურბოდა თვალები აქეთ-იქით. არც თვალები იძვროდნენ დამბაჩის ლულის შავი, მრგვალი ტუჩივით. თუმცა, ამ თვალებში არც სიფიცხისა და მძვინვარების კვალი ჩანდა. მშვიდნი იყვნენ და უძრავნი, როგორც თავად სიბრალული, როგორც თავად სასოწარკვეთა, როგორც თავად რწმენა, მაგრამ, ქრისთმასი თვალებს არ უცქერდა. დამბაჩის ჩრდილს მიშტერებოდა კედელზე; მაშინაც მიშტერებოდა, როცა შემართული ჩახმახის ჩრდილი შეთრთოლდა.

ქრისთმასი შუა გზაზე იდგა. მოახლოებული მანქანის სინათლეში თავფეხიანად გახვეულს, ხელი მაღლა აეწია, თუმცა, იმედი არ ჰქონდა მანქანას თუ გაუჩერებდნენ. არადა, მოულოდნელად, მანქანა მართლა გაჩერდა — ერთი დაიწკმუტუნა, წაიბორძიკა და რაღაცნაირად სასაცილოდ გაირინდა. პატარა მანქანა იყო, შელახული, ძველი. ახლოს რომ მივიდა, მოეჩვენა, თითქოს ფარების არეკლილ შუქზე ორი ახალგაზრდა სახე, ფერგადასული და შემკრთალი, სა-

ჰაერო ბურთებივით ტორტმანებდა; ქრისთმასისკენ უფრო ახლოს გოგო იჯდა — შეძრწუნებისგან სახეგამოლენჩებული, გასაქცევად გამზადებული. მაგრამ ქრისთმასს მაშინ არაფერი შეუმჩნევია. — რას იტყვით, გამიყოლებთ საითაც მიდიხართო? — ჰკითხა. მანქანაში მსხდომებს არაფერი უპასუხიათ, გაშტერებულნი და შეძრწუნებულნი, თან ცნობისმოყვარედაც შესცქეროდნენ, ოღონდ, ქრისთმასი ჯერ მაინც ვერაფერს ამჩნევდა. კარი გამოაღო და უკანა სკამზე დაჯდა.

დაჯდა და გოგომაც მაშინვე მოგუდული ზლუქუნი ამოუშვა, თუმცა, ეტყობოდა, გაცილებით უფრო ხმამაღლა აღრიალდებოდა, როგორც კი შიშს ცოტაოდენი გაბედულება შეემატებოდა. მანქანა უკვე დაძრულიყო; მოკლე-მოკლე ნახტომებით მიიწევდა წინ და ბიჭიც, ორივე ხელით საჭეს ჩაფრენილი, კისერგახევებული და გზას მიშტერებული, გოგოს გაჩუმებას ცდილობდა: „სუ! გაჩუმდი! თუ გაჩუმდები, შეიძლება გადავრჩეთ! ხმა გაკმინდე“. ქრისთმასს არც ბიჭის სივილი ესმოდა. უკანა სკამზე იჯდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა სასოწარკვეთა და შიში მიერეკებოდა მანქანას. მხოლოდ წამით გაუელვა, სოფლის ვიწრო გზის კვალობაზე ცოტა არ იყოს, თავზეხელაღებით ხომ არ მიქრის ეს პატარა მანქანაო.

„საით მიდის ეს გზა?“ იკითხა ისევ.

მძღოლმა უპასუხა, იგივე ქალაქი დაუსახელა, რაც ზანგის ბიჭმა სამი წლის წინათ, სწორედ იმ საღამოს, როცა პირველად დაინახა შორიდან ჯეფერსონი. მძღოლს გაბზარული, გაპარული ხმა ჰქონდა. „იქით მიდიხართ, უფროსო?“

„ჰო“, თქვა ქრისთმასმა. „იქით იყოს. თქვენი თანამგზავრი ვყოფილვარ“.

„ნამდვილად“, შეეხმიანა ბიჭი, ისევ ხმაგაბზარული. „საითაც გვიბრძანებთ“. გოგო ისევ აკრუსუნდა, მოგუდულად, გაბმულად, პატარა ცხოველივით; ბიჭმაც კვლავ გადაუსისინა, ოღონდ არც ახლა მიუტრიალებია მისკენ თავი, კისერგახევებული კვლავ გზას გასცქეროდა, რომელზედაც ნახტომ-ნახტომ, ბიძგებით მიქროდა მანქანა: „ससससუუ-უუ! ჩუმად! ჩუ!“ ქრისთმასი კი ვერაფერს ამჩნევდა. ის მხოლოდ ორ გახევებულ, გზას მიშტერებულ თავს ხედავდა კაშკაშა სინათლის ფონზე, ორ თავს და სინათლეში უეცრად შემოჭრილი გზის უსასრულო ლენტის ნაკუწებს. თუმცა, რასაც ხედავდა, იმასაც ცნობისმოყვარეობის გარეშე შესცქეროდა, ისიც არ აინტერესებდა; არც მაშინ დასტყობია დიდი გულისყური, როცა, ბოლოს და ბოლოს, გამოერკვა და მიხვდა, უკვე კარგა ხანია რაღაცას რომ უხსნიდა ბიჭი. ქრისთმასმა არ იცოდა სად იყვნენ, რა გზა გამოევლოთ. ბიჭი ახლა ნელა, სვენებ-

სვენებით ლაპარაკობდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა, უბრალო, გასაგები სიტყვების მონახვას ცდილობდა და ისე მკაფიოდ და დინჯად გამოთქვამდა ამ სიტყვებს, თითქოს უცხოელს მიმართავდა: „მისმინეთ უფროსო. ახლა გადავუხვევ. უბრალოდ, გზას შევიმოკლებთ. თანაც, უკეთეს გზაზეც გადავალთ. მეტი არაფერი. აი, ახლავე იქნება გადასახვევი. უკეთესი გზისკენ. უფრო მალე რომ მივიდეთ. ხომ გესმით?“

„კი ბატონო“, თქვა ქრისთმასმა. მანქანა მიხტოდა, გზას აგრძელებდა, მოსახვევებში კუდს იქნევდა. ბორცვებზე ადიოდა და მერე ისე მიექანებოდა კვლავ თავდაღმართში, თითქოს ბორბლებქვეშ მიწა გამოსცლიაო. ხანდახან ჩაბნელებულ სახლებს ჩაუქროლებდნენ ხოლმე. ბიჭი ისევ ალაპარაკდა:

„აი, ამ ადგილზე გეუბნებოდით. სწორედ აქაა. აქ ვაპირებ გადახვევას. ოღონდ, გეზს კი არ ვიცვლით. უბრალოდ, უკეთეს გზაზე უნდა გადავიდეთ. ხომ გესმით?“

„კარგი“, თქვა ქრისთმასმა. მერე ისე, სხვათაშორის, დაუმატა: „თქვენ სადღაც ახლომახლო უნდა ცხოვრობდეთ, არა?“

ახლა გოგომაც ამოიღო ხმა. სკამზე გველნაკბენივით შემოტრიალდა და პატარა, მოლოდინისგან, შიშიგან, ვირთხის ბრმა სასოწარკვეთისაგან ფერმიხდილი და დაძაბული სახე ქრისთმასს მიაპყრო: „კი, აქა ვცხოვრობთ“, — შეჰყვირა გოგომ. „ორივე! აქვე, ყურისძირში! ჰოდა, მამაჩემი და ჩემი ძმები რომ...“ უცებ გაჩუმდა, ხმა ჩაუწყდა; ქრისთმასმა დაინახა, როგორი გააფთრებით ააფარა ბიჭმა პირზე ხელი, ის კი, გოგო — გაგუდული და სულშეხუთული, ორივე ხელით მაჯაში ჩააფრინდა. ქრისთმასი წინ გადაიხარა.

„აქ ჩამოვალ“, უთხრა ბიჭს. „აქ გამიჩერეთ“.

„ეს გინდოდა“, უკვე ბიჭსაც აღარაფერი უკლდა ტირილს, სასოწარკვეთილსა და თან გაცოფებულს, კიდევ უფრო გაუწვრილდა ხმა. „შენ რომ წყნარად მჯდარიყავი...“

„გააჩერე მანქანა“, თქვა ქრისთმასმა. „არცერთს არაფერს გერჩით. უბრალოდ მანქანიდან ჩასვლა მინდა“. მანქანა ახლაც მოულოდნელად გაჩერდა, ახლაც ბორძიკ-ბორძიკით, ოღონდ ძრავა მაინც მუშაობდა და ხელახლაც მანამდე მოსწყდა ადგილს, ვიდრე ქრისთმასი საფეხურიდან ფეხს ჩადგამდა; რამდენიმე ნაბიჯის გარბენაც მოუწია წონასწორობის შესანარჩუნებლად. როცა საბოლოოდ გაჩერდა, რაღაც მაგარი და მძიმე მოხვდა ფერდში. მანქანა კი მიქროდა, თვალისდახამხამებაში უჩინარდებოდა. თუმცა, გოგოს სისხლის გამყინავი კივილი ჯერაც ისმოდა. მერე ეს ხმაც გაქრა; კვლავ ჩამობნელდა იქაურობა, უჩინარი მტვერიც ისევ დაეფინა მიწას და ზაფხულის ვარსკვლავებქვე-

შაც სიჩუმემ დაისადგურა. ფერდი სტკიოდა; მარჯვენა ხელში რაღაც ეჭირა. ხელი ასწია და ძველებური, მძიმე დამბაჩა დაინახა. დამბაჩის არსებობაც აღარ ახსოვდა; არ ახსოვდა, როდის აეღო, ან რატომ. არადა, ახლა ნამდვილად ხელში ეჭირა. „მანქანასაც ეს ხელი ავუწიე", გაიფიქრა ქრისთმასმა. „რაღა მიკვირს, თუ ის გოგო... ორივე..." ხელი უკან წაიღო, დამბაჩის გადაგდება დააპირა. მერე, ცოტა ხანს შეიცადა, ასანთს გაჰკრა და ასანთის სუსტ, მოლიცლიცე ალზე დამბაჩა დაათვალიერა. ასანთი უცებ ჩაიწვა და ჩაქრა, მაგრამ თითქოს ბნელშიც ხედავდა ძველებურ იარაღს, იმის ორ გაუსროლელ ვაზნას: ერთს ჩახმახი დასცემოდა, მაგრამ არ აფეთქებულიყო, მეორეს კი ჩახმახის არავითარი ნაკვალევი არ აჩნდა, თუმცა, წესით და კანონით, ისიც უნდა გავარდნილიყო. „თავისთვის და ჩემთვის", თქვა ხმამაღლა. ხელი მოიქნია და დამბაჩა მოისროლა. გაიგონა, როგორ გაიჟღრიალა ბუჩქებში. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. „თავისთვის და ჩემთვის".

- XIII -

ჯერ ხუთიოდე წუთსაც არ გაევლო, რაც გლეხმა ხანძარს მიაკვლია და მის ბარდენის კარმიდამოზე უკვე ქვეყნის ხალხმა მოიყარა თავი. შაბათ დღეს ქალაქში მიმავალმა ბევრმა სხვამაც გააჩერა ფორანი, ბევრნიც, შორიახლოს მცხოვრებნი, ფეხით მოვიდნენ. ამ ზანგური ქოხმახებისა და გამოფიტული, უნაყოფო მინდვრების მხარეში, მაძებართა რაზმი სხვა დროს სანთლითაც ვერ პოულობდა ხოლმე თუნდაც ათიოდე ადამიანს — ქალსა თუ ბავშვს — ახლა კი, ნახევარ საათში, დიდიან-პატარიანად ლამის ყველა გარეთ გამოეფინა, თითქოს სოკოებივით ამოიზარდნენ მიწიდან და თითო-თითოდ, წყვილ-წყვილად, ჯგუფ-ჯგუფად მიაშურეს ცეცხლმოდებულ სახლს. მერე ქალაქელებიც მოცვივდნენ აქაქანებული და აბღავლებული მანქანებით. ოლქის შერიფიც იმათ მოჰყვა — მსუქანი, აუღელვებელი, ერთი შეხედვით მიამიტი და გულუბრყვილო კაცი, არადა, სინამდვილეში, ეშმაკი და გამჭრიახი ჭკუის პატრონი — და მაშინვე, მოსვლისთანავე, ძალის-ძალად მიმოფანტა გახევებული და გარინდული, ზეწარზე უძრავად გართხმულ სხეულს იმ ბავშვური განცვიფრებით მიშტერებული ბრბო, რა განცვიფრებითაც, ჩვეულებრივ, მოზრდილი ხალხი საკუთარ გარდაუვალ მომავალს უცქერის ხოლმე. ბრბოში იანკებიც ერივნენ, საერთოდ შემთხვევით მოხვედრილნი ამ მხარეში, ღარიბ-ღატაკი თეთრკანიანებიცა

და ის სამხრეთელებიც, ვისაც ცხოვრების გარკვეული ნაწილი ჩრდილოეთში გაეტარებინა, და ყველანი ჯიუტად, ყველანი ერთხმად ამტკიცებდნენ — ამ მკვლელობაში ზანგის ხელი ურევიაო, ოღონდ, ვილაც ერთს, კონკრეტულ შავკანიანს კი არ ადანაშაულებდნენ, ზოგადად ზანგს სდებდნენ ბრალს: თანაც, ისიც იცოდნენ, ისიც სჯეროდათ, იმის იმედიც ჰქონდათ, გაუპატიურებულიც რომ იყო ქალი: სულ ცოტა, ერთხელ მაინც ყელის გამოჭრამდე და ერთხელაც ყელის გამოჭრის შემდეგ. გვამთან შერიფიც მივიდა, ერთი კი დახედა, მაგრამ მაშინვე ბრძანა — წაიღეთო — მაშინვე გაარიდა ცნობისმოყვარე თვალებს ეს საცოდავი სანახაობა.

ხალხსაც აღარაფერი დარჩა საცქერი ცეცხლისა და იმ ადგილის გარდა, სადაც ცოტა ხნის წინ გვამი ესვენა. თუმცა, მალე ვერც ველარავინ იხსენებდა ზუსტად სად, რა ადგილას ეფინა ზეწარი და, ამიტომაც, ყველანი ცეცხლს მიუბრუნდნენ. იდგნენ გახევებულნი, პირდაბჩენილნი და ძველთაძველი, მყრალი გამოქვებულებიდან გამოყოლილი პირველყოფილი გაოცებით მიშტერებოდნენ, თითქოს, სიკვდილისა არ იყოს, არც ცეცხლი ენახათ აქამდე არასოდეს. როდის-როდის, სახანძრო მანქანაც მოგრიალდა, მხნედ, ომახიანად, ზარის რეკვითა და სტვენა-სტვენით. ახალთახალი მანქანა იყო, წითლად გადაბრიალებული, მორთულ-მოვარაყებული, ხელის სირენიანი; იმისი ოქროსფერი, ხმაწკრიალა ზარიც მედიდურად და ამაყად რეკდა. მანქანაზე თავშიშველი კაცებისა და ქალაქელი ბიჭბუჭობის ჯგრო ჩამოკონწიალებულიყო, ძლივძლივობით იმაგრებდნენ ზედ თავს, ეტყობა, რაღაც ჯადოქრობის წყალობით, ბუზებივით იმათაც მოეხერხებინათ მიზიდულობის კანონის დაძლევა. სახანძრო მანქანას მექანიკური კიბეები ჰქონდა, ილუზიონისტის დასაკეცი ცილინდრივით, ხელის ერთი შეხებით თვალუწვდენელ სიმაღლეზე რომ აიტყორცნებოდნენ, და ჯერაც უხმარი, პოპულარულ ჟურნალებში დაბეჭდილი სატელეფონო კომპანიების რეკლამებივით კოხტად დახვეულ-დაგრაგნილი შლანგებიც, მაგრამ, ახლა ველარც კიბეები უშველიდნენ საქმეს და ველარც შლანგებით ჩააქრობდნენ ცეცხლს, თუნდაც იმიტომ, წვეთი წყალიც რომ აღარ მოიძებნებოდა ამ შლანგებისთვის ახლომახლო. ამიტომაც, დახლებსა თუ საწერ მაგიდებს ნაუცბათევად მომწყდარი კაცები მაშინვე მანქანიდან ჩამოხტნენ, ყველანი, იმ ერთის ჩათვლით, ვისაც სირენის სახელურის ტრიალი ევალებოდა, და ისინიც ხალხში შეერივნენ. რასაკვირველია, იმათაც უჩვენეს რამდენიმე ადგილი, სადაც, ვითომ, ცოტა ხნის წინ ზეწარი ეფინა და ზოგიერთმა მათგანმა, ყოველი შემთხვევისათვის წინდაწ-

ინვე დამბაჩით შეიარაღებულმა, დანარჩენების წაქეზება დაიწყო — რაღას ვუდგევართ, რატომ არ დავსჯით დამნაშავესო.

არადა, მსხვერპლი არსად ჩანდა. საკუთარ საზრუნავში ჩაფლულ ქალს ისე მშვიდად გაეტარებინა წუთისოფელი, გაოცებისა და შეურაცხყოფის გარდა, სხვა ვერაფერი ეანდერძა ქალაქისათვის, იმ ქალაქისათვის, სადაც დაბადებულიყო, სადაც ეცხოვრა და სადაც, მაინც, უცხოდ, უცხოელად მომკვდარიყო; ამიტომაც, ველარც ქალაქი აპატიებდა ამ გაოცებასა და შეურაცხყოფას, და, მიუხედავად უკანასკნელი, სიკვდილის შემდეგ გამართული თავაწყვეტილი ნადიმისა, ლამის რომაული დღესასწაულისა, ველარც მშვიდად, წყნარად სიკვდილს დაეცდიდა. ეს არამც და არამც არ მოხდებოდა. სიმშვიდე იშვიათი ხილია. ჰოდა, ისინიც დაძრწოდნენ, ბჭობდნენ, ვერ ისვენებდნენ, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდათ, ცეცხლის ალიც, სისხლიცა და ლამის უკვე სამი წლის მკვდარი და მხოლოდ ახლა, ეს-ესაა კვლავ სიცოცხლეს დაბრუნებული სხეულიც, შურისძიებას ღაღადებდნენ; არაფრით არ სჯეროდათ, ცეცხლის აღატაცებული გააფთრებაცა და სხეულის უმოძრაობაც, ერთიც და მეორეც, ადამიანურ ტკივილთა და ვნებათაგან თავისუფალი, საბოლოო მიზნის მიღწევას თუ ადასტურებდა. ვერც ვერაფრით დაიჯერებდნენ, რადგან საპირისპიროს დაჯერება გაცილებით უფრო მეტად ხიბლავდა. საპირისპიროს დაჯერება, მართლაც, სჯობდა შეჩვეული და მობეზრებული ნივთებით გამოტენილ თაროებსა და დახლებს, მითუმეტეს, როცა მათი შეძენა მფლობელის ოცნებით, აღტაცებით, ანდა, თუნდაც პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ, ათასი ტყუილისა და ეშმაკობის ფასად, საქონლის როგორმე გასაღებისა და სარგებლის ნახვის იმედით; მითუმეტეს, როცა იმედიც არ უმართლდებოდათ ხშირად და უკვე ბრაზით, ბრაზით კი არა, სიძულვილით და, იქნებ, სასოწარკვეთითაც შესცქეროდნენ გასაყიდსა და ჯერ გაუყიდავ საქონელსაც და საქონლის ორჭოფ მუშტარსაც. სჯობდა აშმორებულ კაბინეტებსაც, სადაც გარდასულ სურვილთა და აჩრდილთა შორის ადვოკატები განაბულან, ანდა, სადაც ბასრი დანებითა და მწარე წამლებით შეიარაღებული ექიმები, დარწმუნებულნი, ბრმად, უსიტყვოდ და უსაბუთოდ დაგვიჯერებენო, პაციენტებს უმტკიცებდნენ — ჩვენი დღე და მოსწრება მხოლოდ იმას ვცდილობთ, იქნებ როგორმე უმუშევრები დავრჩეთო. ქალებიც ბევრნი მოვიდნენ, ჭყეტელა, ნაუცბათევად გადაცმულკაბიანი ფუქსავატი ქალები, იდუმალი ჟინით თვალებანთებულნი, გაცრუებული ვნებით მკერდგატანჯულნი (სიკვდილი მათ მუდამ სიმშვიდეზე მეტად იზიდავდა), მოვიდნენ, რათა გაუთავებელ ჩურჩულში **ვინ იყო? ნეტავ ვინ მოკლა?** თავიანთი უთვალავი, პატარ-პატარა,

მსგავი ქუსლებით ამგვარი ფრაზებიც ჩაებეჭდათ **როგორ, ჯერაც არ დაუჭერიათ? მართლა არ დაუჭერიათ**

შერიფიც გაღიზიანებული და გაოცებული შესცქეროდა ცეცხლის ენებს, რადგან დანაშაულის ადგილას დასათვალიერებელი სხვა ვერაფერი გადარჩენილიყო. ჯერ ვერ მიმხვდარიყო, ადამიანის ჩარევას რომ გაეწბილებინა ასე. ცეცხლს აბრალებდა ყველაფერს. თითქოს ცეცხლი თავისთავად, თვითნებურად გაჩენილიყო და საწადელიც აესრულებინა. თითქოს ის, რისი წყალობითაც და რისი მეშვეობითაც მის წინაპრებს იმდენხანს გაეძლოთ ქვეყნად, ბოლოს და ბოლოს თვითონაც რომ დაბადებულიყო — ახლა დანაშაულის თანამონაწილედ ქცეულიყო. ასე მიდი-მოდიოდა ჩაფიქრებული და გაღიზიანებული თავნება მონუმენტის ირგვლივ, რომელსაც, ერთდროულად, იმედისა და კატასტროფის ელფერი მისცემოდა, ვიდრე თანაშემწე არ მიუახლოვდა და არ შეატყობინა — მე მგონი, სახლის უკან, ქოხში, ვიღაცას უცხოვრიაო. ხანძრის აღმომჩენმა გლეხმაც (ის ჯერაც არ წასულიყო ქალაქში. მის ჯორებს გოჯითაც არ მოუცვლიათ ადგილიდან ფეხი მას შემდეგ, რაც ორი საათის წინ თვითონ ფორნიდან გადმოვიდა, ახლაც ჯერ ისევ ხალხში ტრიალებდა თმაგაჩეჩილი და აღგზნებული, დაქანცულ სახეზე ბრიყვული, შეშლილი ღიმილი შეჰყინვოდა და ხმაც ხავილივით ამოსდიოდა ყელიდან) მაშინ გაიხსენა, კარი რომ შევამტვრიე, სახლში ვიღაც დამხვდაო.

„თეთრკანიანი იყო?“ ჰკითხა შერიფმა.

„დიახ, ჩემო ბატონო. ჰოლში დაბორიალობდა, თითქოს ეს-ესაა კიბეზე ჩამოგორდაო. ზევით არ მიშვებდა. ამწუთას ვნახე, არავინ არისო. მე რომ ისევ ჰოლში ჩამოვბრუნდი, იქ აღარ დამხვედრია“.

შერიფმა ირგვლივ მიმოიხედა. „მაინც, ვინ ცხოვრობდა იმ ქოხში?“

„არც მეგონა, ვინმე თუ ცხოვრობდა“, მიუგო თანაშემწემ, „ზანგები თუ იყვნენ, ალბათ ზანგებს აცხოვრებდა თავისთან. მე ის მიკვირს, აქამდე რომ არ მოუღეს ბოლო“.

„ვინმე ზანგი მომიყვანეთ“, ბრძანა შერიფმა. თანაშემწემ და ორმა-სამმა მოხალისემ ბრძანება წამსვე შეუსრულეს. „ვინ ცხოვრობდა იმ ქოხში?“ ჰკითხა შერიფმა ზანგს.

„აბა რა ვიცი, მისტერ უატ“, თქვა ზანგმა. „რა ჩემი საქმეა?! განა ცხოვრობდა ვინმე?“

„ერთი აქეთ წამოიყვანეთ,“ თქვა შერიფმა.

ხალხი ახლა შერიფის, შერიფის თანაშემწისა და ზანგის ირგვლივ იყრიდა თავს, ყველას ერთნაირი, ერთიმეორის მსგავსი სახეები

დასდებოდა და ერთნაირად ხარბი თვალები ცეცხლის მშიერი ენებ
ის ანარეკლით დაბინდვოდა. თითქოს მათი ხუთივე გრძნობა აპო
თეოზში შერწყმულიყო, გაერთიანებულიყო და მხედველობის ერთ
ორგანოდ ქცეულიყო, ხალხში დარხეული ხმები კი — ***ეს არ? მაგან მოკლა? უკვე დაიჭირა შერიფმა*** — ქარსა თუ ჰაერის
ტალღას მოეტანა სადღაციდან. შერიფმა მიმოიხედა. „წადით“, უთხრა
ხალხს, „ყველანი წადით. ცეცხლს უცქირეთ. დახმარება თუ დამ-
ჭირდა, დაგიძახებთ. ახლა კი დაიშალეთ“. მერე შეტრიალდა და
თავის თანამგზავრებს ქოხისკენ გაუძღვა. მაგრამ გაძევებულებს მაინც
არ მოუცვლიათ ფეხი, ისევ ისე იდგნენ, ვიდრე სამი თეთრკანიანი
და ერთი ზანგი ქოხში არ გაუჩინარდა და ქოხის კარებიც არ
მიიხურა. ფეხმოუცვლელად იდგნენ, იმათ ზურგსუკან კი ჩანავლე-
ბული ცეცხლი ბუბუნებდა, ცეცხლის ბუბუნს გაეჟღინთა მთელი
ჰაერი და, თუმცა, სიტყვებზე ხმამაღლა არ ისმოდა — ***ღმერთმანი, თუ მართლა მაგან მოკლა, რაღას ველოდებით, რაღას ვუდგევართ? თეთრი ქალი მოკლა მაგ...*** — ყოველ შემთხვევაში,
ჩანდა მაინც, საიდან მოდიოდა. არადა, არცერთ მათგანს ფეხიც კი
არასოდეს შეედგა ამ სახლში. ის კი არა, სანამ ქალი ცოცხალი იყო,
თავიანთ ცოლებსაც არ აჭაჭანებდნენ აქეთ. ადრე, როცა ჯერ ისევ
ბავშვები ეთქმოდათ (თუმცა, ბევრის მამაც სწორედ ასევე იქცეოდა),
ქუჩაში გამოსულ ქალს ფეხდაფეხ აედევნებოდნენ ხოლმე და —
ზანგების ბოზო! ზანგების ბოზოო! — მისძახოდნენ.

ქოხში შერიფი მძიმედ დაეშვა საწოლზე. ერთი კი ამოიხვნეშა
ამ მართლა კასრივით გაბერილმა, კასრივით უმოძრაო კაცმა და —
ახლა მაინც გამაგებინეთ, ვინ ცხოვრობდა ამ ქოხშიო — ბრძანა.

„აკი გითხარით, არაფერი ვიცი-მეთქი“, ისევ თავისი წამოიწყო
ზანგმა. ოდნავ ბრაზიანი ხმა ჰქონდა, ბრაზიანი და თან დაძაბული,
თუმცა ცდილობდა დაძაბულობა არ შესტყობოდა. შერიფს მის-
ჩერებოდა. ორი სხვა თეთრკანიანი ზურგსუკან ედგა, იმათ ვერ
ხედავდა. არც უცდია დაენახა, ერთხელაც არ გაქცევია იმათკენ
თვალი. შერიფის სახეს შესცქეროდა, თითქოს სარკეში იყურებოდა.
შეიძლება, მართლა სარკესავით აერეკლა შერიფს სახეზე ყველაფერი.
თუმცა, შეიძლება არც იყო ასე, რადგან თუკი მართლა შეეცვალა
სახე, მხოლოდ ოდნავ და ისიც სულ რაღაც ერთი წამით. ზანგს კი
მაინც არ მიუხედავს უკან, ბეჭებზე ქამარი რომ გადაუჭირეს, იმანაც
წამით შეიჭმუხნა წარბი, სიმწრისგან დაიღმენჭა და, თითქოს იღიმე-
ბაო, კბილები გამოაჩინა. მერე ისევ დაუმშვიდდა სახე, ისევ აიფარა
იდუმალების ნიღაბი.

„მე მგონი, არცა ცდილობ, რამე გაიხსენო“, უთხრა შერიფმა.

„რა გავიხსენო, რაც არ ვიცი“, თქვა ზანგმა. „თანაც, მე აქედან
შორსა ვცხოვრობ. თქვენც ხომ იცით ჩემი ადგილ-სამყოფელი,
თეთრო კაცებო?!“

„მისტერ ბოფორდი ამბობს, აქვე, გზისპირას ცხოვრობსო“,
თქვა შერიფმა.

„გზის პირას ბევრი ვინმე ცხოვრობს. მისტერ ბოფორდს, წეს-
ით, ჩემი სახლი სხვისაში არ უნდა შეეშალოს“.

„ტყუის“, თქვა შერიფის თანაშემწემ. სწორედ ის იყო ბოფორ-
დი. ქამარიც იმას ეჭირა, ხელში ათამაშებდა. ქამრის ბალთიანი
ბოლო ძირს ეთრეოდა. თან შერიფს შესციცინებდა თვალებში. პა-
ტრონის ბრძანებისთანავე წყალში გადასახტომად გამზადებულ სპან-
იელს ჰგავდა.

„ტყუის თუ არა, არ ვიცი“, თქვა შერიფმა. ჩაფიქრებული
უყურებდა ზანგს. გაუნძრევლად იჯდა, ვეებერთელა, მოშვებული,
იმის სიმძიმეს ლამის ჩაეწყვიტა საწოლის ზამბარები. „ოღონდ, მე
მგონი ვერ ხვდება, სახუმაროდ რომ არა მცალია. არც მე და არც
გარეთ დარჩენილ ბიჭებს. აი იმათ, ვისაც თავიანთი ციხეც არა
აქვთ, იქ რომ ჩაამწყვდიონ, თუკი, ღმერთმა დაიფაროს, ცუდად
შეუტრიალდა საქმე. თუმცა, რომც ჰქონდეთ, ალბათ, არც მაშინ
შეიწუხებდნენ, მაინცდამაინც, თავს“. შეიძლება შერიფის თვალებში
ისევ რაღაც ნიშანმა გაიელვა, შეიძლება არა. შეიძლება, ნიშანი
ზანგმაც დაინახა, შეიძლება, ვერა. ასეა თუ ისე, ქამარმა ერთხელ
კიდევ აუწვა ზურგი და ქამრის ბალთაც მწარედ მოხვდა ბეჭებში.
„ჰა, გაიხსენე?“ ჰკითხა შერიფმა.

„ორნი არიან, თეთრები“, თქვა ზანგმა. ცივი ხმა ჰქონდა, ოღონდ,
არა ბრაზიანი, საერთოდ არაფრის გამომხატველი. „არც სახელი
ვიცი იმათი და არც ასავალ-დასავალი. რა ჩემი საქმეა. თვალითაც
არ მინახავს არცერთი. ყური კი მოვკარი, ორი თეთრკანიანი ცხოვ-
რობს ბარდენების კარმიდამოზეო. არც მიკითხავს, ვინ იყვნენ. სხვა
არაფერი ვიცი; თუ გინდათ, ცემით მომკალით, მეტს მაინც ველ-
არაფერს გეტყვით“.

შერიფმა ისევ ამოიოხრა. „საკმარისია. მე მგონი მართალს უნდა
ამბობდეს“.

„ქრისთმასი იქნებოდა, ფაბრიკაში რომ მუშაობდა, და აი, ის,
მეორე, ბრაუნი“. პირველად ამოიღო ხმა მესამე თეთრკანიანმა.
„ჯეფერსონში ნებისმიერი შექეიფიანებული კაცი გვეტყოდა ამდენს“.

„ალბათ, ეგეც სწორია“, თქვა შერიფმა.

ათასი ტონა ძვირფასი, უცნაურად დაგრეხილ-დახლართული ლითონი, თვალისმომჭრელი სინათლითა და ხმაურით შემოიჭრა, ხმაურით შეასკდა კაცების გაუბედავი ხმებით სავსე, საზარელ სიჩუმეს და ორი გასავათებული, კუდამოძუებული მოჩვენება ამოარწყია, ყურებჩამოყრილნი, გასაცოდავებულნი, მოწყენილი თვალებით რომ მისჩერებოდნენ ერთდროულად შიშისმომგვრელი და თან უსუსური მოუთმენლობით გარშემორტყმული, მთელი ღამის უძინარი კაცების დაღლილსა და გადაფითრებულ სახეებს. თითქოს ძალადობას, მკვლელობის პირველსაწყისს, მართლა გამოეღო ნაყოფი და ნებისმიერი მომდევნო საქციელიც უაზრობად, გონისთვისაც და ბუნებისთვისაც მიუღებელ საშინელებად გადაექცია.

როცა პოლიციელთა რაზმმა დაფერფლილ-დანახშირებულ ნასახლარს ჩაუარა და ქოხს მოადგა, მზე ის-ის იყო ამოიწვერა. მზის შუქითა და სითბოთი გათამამებულმა თუ კაცების დაძაბული მღელვარებით დამუხტულმა ძაღლებმა ქოხის ირგვლივ სუნსული და ღრენა დაიწყეს. ხმამაღლა იყნოსავდნენ ჰაერს ერთად, ერთდროულად, მერე გეში აიღეს, კვალს დაადგნენ და პოლიციელიც თან გაითრიეს. დაახლოებით ასი იარდი ირბინეს გვერდიგვერდ, მერეღა გაჩერდნენ, გაშმაგებით მოჰყვნენ მიწის ფხოჭნას და იქამდე არ მოისვენეს, ვიდრე ორმო არ ამოთხარეს, სადაც ვიღაცას ცარიელი კონსერვის ყუთები ჩაემარხა. ორმოს ძლივს მოაშორეს. ცოტა კიდევ ატარეს და ხელახლა სცადეს ბედი. ძაღლებიც აქეთ-იქით ეცნენ, იწკავწკავეს და წინ გაიჭრნენ, ენაგადმოყრილები, აქაქანებულები, დუჟმორეულები. კაცები გინებ-გინებით მისდევდნენ უკან, ისინი კი კვლავ ქოხთან მიცვივდნენ, ქოხის წინ გაშეშდნენ და უკან თავგადაგდებულებმა და თვალებგადათეთრებულებმა, იტალიური ოპერის ბარიტონთა მგზნებარებითა და თავდავიწყებით შეუყეფეს გამოცარიელებულ ქოხს. ძაღლები მანქანით დააბრუნეს ქალაქში და საჭმელი აჭამეს. მოედანზე უკვე დინჯად, წყნარად რეკდნენ ზარები, უკვე დარბაისელი ხალხიც გამოფენილიყო ქუჩებში და ქოლგებმომარჯვებული, ბიბლიებითა და ლოცვანით ხელდამშვენებული, აუჩქარებლად მიეშურებოდა ეკლესიისაკენ.

იმ ღამეს შერიფის სანახავად ვიღაც სოფლელი ბიჭიც ჩამოვიდა მამამისთან ერთად. ბიჭმა თქვა, პარასკევს, გვიან ღამით, მანქანით ვბრუნდებოდი შინ და მკვლელობის ადგილიდან ორიოდე მილის მოშორებით ვიღაც კაცმა გამაჩერა, ხელში დამბაჩა ეჭირაო. ბიჭს ჰგონებია, გაძარცვას ანდა იქნებ, სულაც მოკვლას მიპირებსო; ამბობდა, მოტყუება მოვუნდომე, ნებართვა გამოვტყუე, როგორმე

ჩემი ეზოსკენ გადამეხვია და იქ ვინმესთვის საშველად დამეძახაო, მაგრამ კაცს რაღაც უეჭვია, მანქანა გაუჩერებინებია და გადასულა. მამას აინტერესებდა, ათასი დოლარიდან ჩვენ რამდენი გვერგებაო.

„დაიჭირეთ და მერე ვნახოთ“, უთხრა შერიფმა. ძაღლები მაშინე გააღვიძეს, სხვა მანქანაში ჩასხეს და ბიჭმა იმ ადგილას მიიყვანა, სადაც კაცი მანქანიდან გადმოსულიყო; ძაღლები მიუშვეს, ისინიც დაუზარებლად შეცვივდნენ ტყეში და, ეტყობა, ლითონის ნებისმიერი საგნისადმი თავიანთი აშკარა მიდრეკილების წყალობით, უცებ იპოვეს გატენილი, ორლულიანი ძველებური დამბაჩა.

„სამოქალაქო ომის დროინდელი იარაღია“, თქვა შერიფის თანაშემწემ. „ერთი ფისტონი გამსკდარია, ოღონდ არ გავარდნილა. როგორ გგონიათ, დამბაჩა რაღა ჯანდაბად უნდოდა?“

„ძაღლები აუშვით“, თქვა შერიფმა, „შეიძლება ღვედი აწუხებთ“. ასეც მოიქცნენ. ძაღლები ახლა თავისუფლები იყვნენ; ნახევარ საათში კი დაიკარგნენ. არა, კაცებს არ დაჰკრაგვიათ ძაღლები; კაცები დაეკარგნენ ძაღლებს. არადა, ერთმანეთისგან მხოლოდ პატარა ნაკადული და გორაკი ჰყოფდათ, კაცებს მკაფიოდ ესმოდათ იმათი ხმა. თუმცა, უწინდებური რწმენითა და სიამაყით, უწინდებური სიამოვნებით აღარ ყეფდნენ. გაბმულად, უიმედოდ ყმუოდნენ და კაცებიც ამაოდ ეძახდნენ, ამაოდ უხმობდნენ უკან. იმათ კი, ეტყობა, სმენაც დახშობოდათ. ორივეს ხმა კარგად ისმოდა, ოღონდ, ეს გაწელილი და შესაბრალისი ყმუილი თან, თითქოს ერთი ყელიდან ამოდიოდა, თითქოს ერთმანეთს შეზრდიან და მიტყუპებიანო. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც ასე იპოვეს — თხრილში გვერდიგვერდ მიყრილები, ჩვილი ბავშვებივით აღნავლებულები. თვითონაც იქ დაუცადეს გათენებას და მერეღა გამოიგნეს გზა მანქანებისაკენ. ორშაბათი თენდებოდა.

ორშაბათს კიდევ უფრო ჩამოცხა. სამშაბათ ღამითაც, მთელი დღის პაპანაქების შემდეგ, ჰაერი ჯერ ისევ ჩახუთულია, დამძიმებული; სახლში შედის თუ არა, ბაირონი მაშინვე გრძნობს როგორ ეჭიმება, როგორ ეძაბება ნესტოები მარტოხელა მამაკაცის ამ აშმორებულ ბინაში დაგუბებული მქისე სუნისაგან. მერე, ჰაითაუერი რომ მოუახლოვდება, სხვა სუნიცა სცემს, მსუქანი, დაუბანელი ხორცისა, უსუფთაო ტანსაცმლისა — მოდუნებული, უმოძრაო ცხოვრებისა და ზედმეტი, ქონმოდებული ხორცის სურნელი — და ეს სუნი ახლა უკვე ყველა დანარჩენს ახშობს. შესვლისთანავე ხელახლა აეკვიატება ძველი, ადრინდელი ფიქრი: — ეს მისი კანონიერი უფლებაა. მე შეიძლება არც მომწონდეს,

მას კი ვერავინ აუკრძალავს ასე ცხოვრებასო. ახსენდება, თითქოს შთაგონებისა თუ წინასწარმეტყველების კარნახით, ერთხელ როგორ იპოვა პასუხი: ეს სუნი სიკეთის სუნია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მოგვეწონება, ჩვენ, უკეთურებსა და ცოდვიანებსო.

კვლავ ერთმანეთის პირისპირ სხედან კაბინეტში, ახლაც საწერი მაგიდის აქეთ-იქით, მაგიდაზე კი ისევ ლამპა ანთია. ბაირონი ახლაც მაგარზურგიან სკამზე ზის, გაქვავებული სახე დაუმალავს, იატაკს ჩასცქერის. მშვიდი ხმა აქვს, ჯიუტი: იმ კაცის ხმა, ვინც არა მარტო არასასიამოვნო, არამედ, თან, დაუჯერებელ ამბავსაც ჰყვება. „სხვა თავშესაფარი მინდა ვუპოვო. უფრო მყუდრო. სადაც...“

ჰაითაუერი ბაირონის ჩაქინდრულ თავს მისჩერებია. „სხვაგან რატომ უნდა გადავიდეს? აკი, კარგად მოეწყოო? თან ქალიც გვერდში ჰყავს, თუ რამე გაუჭირდება!“ ბაირონი არაფერს პასუხობს. გაუნძრევლად ზის, თავჩაქინდრული; სახეც ჯიუტი ადევს, გაქვავებული; სწორედ ამ სახის შემხედვარე ფიქრობს ჰაითაუერი, — ერთბაშად ხდება ამდენი რამე და იმიტომო, ესაა მიზეზიო. კაცი გაცილებით მეტ ტვირთს იკიდებს ზურგზე, ვიდრე ზიდვა შეუძლია, ვიდრე მოეთხოვებაო. მერეღა ხვდება, ყველაფრის ზიდვა შემიძლიაო. ჰო, ჰო, და საშინელებაც ესაა. ყველაფრის ზიდვა რომ შეუძლია, ყველაფრისო. ბაირონს თვალს არ აცილებს. „მაშ, მხოლოდ მისის ბიარდის გამო მოინდომა გადაბარგება?“

ბაირონი არც ახლა იღებს თავს, ლაპარაკით კი ისევ მშვიდი, ჯიუტი ხმით ლაპარაკობს: „ისეთი ბინა სჭირდება, სადაც უფრო შინაურულად იგრძნობს თავს. ბევრი დროც აღარ დარჩა, პანსიონში კი, სადაც უმეტესობა მამაკაცებია... დრო რომ მოუვა, წყნარად უნდა იწვეს, ვიღაც ოხერმა ცხენით მოვაჭრემ თუ სასამართლოს მსაჯულმა რომ დერეფნიდან...“

„გასაგებია“, სიტყვას აწყვეტინებს ჰაითაუერი. თან ბაირონის სახეს შესცქერის. „ესე იგი, გინდა აქ შევიფარო“. ბაირონი რაღაცის თქმას აპირებს, ოღონდ ჰაითაუერი არ აცლის: იმასაც ცივი ხმა აქვს, ცივი და მშვიდი: „ეგ არ ივარგებს, ბაირონ. ამ სახლში ქალიც რომ ცხოვრობდეს, კიდევ მესმის. არადა, მართალი გითხრა, თან მრცხვენია კიდეც უარის თქმა: ჩემთან ადგილიც ბევრია და სიწყნარეცაა. მაგრამ, მე იმაზე ვზრუნავ, ჩემს თავს არ დავეძებ. მე აღარც მენაღვლება რას იტყვიან და რას იფიქრებენ ჩემზე.“

„მაგას არცა გთხოვთ“. ბაირონი თავჩაქინდრული ზის. გრძნობს ჰაითაუერის მზერას. ფიქრობს ***თვითონაც იცის რას ვგულისხმობ. იცის. ისე თქვა, ფიქრით სულ სხვას ფიქრობს. არც მიკვირს. ვითომ ვინა ვარ, სხვანაირად იფიქროს ჩემზე*** „მე მგონი, ეჭვი არ გეპარებათ“. ალბათ, მართლა არც ეპარება. ოღონდ, ბაირონი მაინც არ იღებს თავს, მაინც არ უსწორებს თვალს. ისევ ლაპარაკს აგრძელებს, უწინდებურად რულისმომგვრელი, მოღლილი ხმით, უწინდებურად თავჩაღუნული; მაგიდის იქითა მხარეს კი ჰაითაუერი ხაზგასმულად, თვალშისაცემად წელგამართული ზის და მის გამხდარ, ქარდაკრულ, ჯაფით განწმენდილ სახეს აკვირდება ხარბად. „თქვენ ამ საქმეში როგორ გაგხვევთ, თქვენ რა შუაში ხართ. ჯერ თვალითაც არ გინახავთ და, არცა მგონია, ოდესმე ნახოთ. ალბათ, ის კაციც არ გეცოდინებათ. უბრალოდ ვიფიქრე, იქნებ...“ ბაირონს ხმა უწყდება. მაგიდის იქიდან წელში გამართული მღვდელი შემოსცქერის დაძაბული, ოღონდ, დახმარებას მაინც არა და არ სთავაზობს. „როცა კაცი გადაწყვეტს რამე არ გააკეთოს, მე მგონი, შეუძლია გულის კარნახს აჰყვეს. აი, როცა გაკეთებაზე მიდგება საქმე, მაშინ კი ნებისმიერ რჩევას ყური უნდა მიუგდოს. ოღონდ, მე თქვენ არაფერში გხვევთ. არც მინდა, ფიქრით თავი შეიწუხოთ“.

„მე მგონი, ვხვდები“, ამბობს ჰაითაუერი. ბაირონს მისჩერებია და — მე ხომ ხალხში აღარ ვითვლებიო — ფიქრობს. — ამიტომაც აღარც სხვის საქმეში ჩარევა ღირს, აღარც უნდა ვცადო. ესეც ისევე ვერ მომისმენს, როგორც ის ქალი და კაცი (ჰო, ბავშვიც) ვერ მომისმენდნენ და ვერ გამიგებდნენ, გინდაც ხელახლა მეცადა, ცხოვრებას დავბრუნებოდიო. „აკი მითხარი, ქალმა არ იცის იმის ადგილსამყოფელიო?“

„დიახ“, ამბობს ფიქრში წასული ბარიონი, „მეგონა, აქ მაინც ვერავის ვერაფერს დავუშავებ-მეთქი, ვერც დიდსა და ვერც პატარას. არადა, ხეირიანად არც იყო შემოსული, ყველაფერი რომ დავფქვი“.

„მაგას არ გეუბნები. მაშინ თვითონაც არაფერი იცოდი. მე დანარჩენი მაინტერესებს. იმის და იმ მეორის... რა ჰქვია... უკვე სამი დღე გავიდა. შენ ეტყოდი თუ არა, სულერთია, მაინც ყველაფერს გაიგებდა. ამდენხანს რა დაიმალებოდა?!

„ქრისთმასი“. ბაირონი თავს არ იღებს. „ტუჩთან თეთრი იარა ხომ არა აქვსო, რომ მკითხა, მერე კრინტიც აღარ დამიძრავს. იმ საღამოს, სანამ ქალაქში ამოვდიოდით, მთელი გზა შიში მკლავდა, აი ახლა მკითხავს და აი ახლა-მეთქი. რაღას არ ვიგონებდი სიტყვის მასალად, ოღონდ იმას ხმა არ ამოელო. ვითომ ვზოგავდი, გამოქცევას და გვარის გამოცვლას ვიღა ჩივის, ახლა იმ ბრაუნისა თუ ბარჩის ბუტლეგერობაც არ გაიგოს-მეთქი, იმან კი თურმე უკვე იცოდა ყველაფერი. იცოდა, რა უვარგისსაც გადაჰკიდებოდა“. ბაირო-

ნი ახლა რაღაცნაირი ფიქრიანი გაოცებით ლაპარაკობს: „არც მჭირდებოდა რამის დამალვა და მოგონება. ეტყობა, წინასწარვე იცოდა რის თქმას ვაპირებდი, ტყუილს როდის ვეტყოდი. თითქოს ადრევე თვითონაც ეფიქრა ყველაფერზე და უკვე იქამდე დაეჭვებულიყო, სანამ მე საერთოდ პირს გავაღებდი სიტყვის სათქმელად. ამასაც კიდევ არა უშავს. უბრალოდ, მისი არსების რაღაც ნაწილმა სიმართლე იცოდა და რაც არ უნდა მეღონა, იმ ნაწილს მაინც ვერასდიდებით ველარ მოვატყუებდი...“ ბაირონი თითქოს სიტყვებს დაეძებს, წინდაწინ წონის, მაგიდის მეორე მხარეს მჯდომი, წელგამართული კაციც თვალს არ აშორებს, თუმცა, დახმარებას ჯერ მაინც არა და არ უპირებს. „თითქოს ორად იყო გაყოფილი. თან იმისი არამზადობის ამბავიც იცოდა და თან სჯეროდა, კაცი და ქალი შვილის გაჩენას რომ განიზრახავენ და ჟამიც დაკრავს, უფალი იზრუნებს იმათ შეერთებაზეო. თითქოს უფალი იცავს ქალებს კაცებისაგან. ოღონდ, თუ ღმერთს არა სურს ამ ორი ნაწილის შეერთება და შერიგება, ვითომ მე რატომ უნდა შევაერთო?!“

„სისულელეა“, ამბობს ჰაითაუერი. თან მოსუბრის უძრავ, ჯიუტ, ასკეტურ სახეს მისჩერებია: ქვიშის ქარაშოტებს ნაჩვევი მეუდაბნოეს სახეს. „მე თუ მკითხავ, ყველაფერს ისა სჯობია, ისევ თავისინებთან, ალაბამაში დაბრუნდეს“.

„არა მგონია“, ამბობს ბაირონი. დაუყოვნებლივ პასუხობს, გადაჭრით, თითქოს მთელი ამ ხნის მანძილზე სულ ამ სიტყვებს ელოდებოდაო. „ეგ არ დასჭირდება. მე მგონი, არ დასჭირდება“. თავს კი მაინც არ იღებს. განუწყვეტლივ გრძნობს ჰაითაუერის მზერას.

„ბა... ბრაუნმა თუ იცის ქალის ჩამოსვლის ამბავი?“

ბაირონს ლამის ელიმება. სულ ერთი წამით ტუჩი გვერდზე ექცევა: სუსტი, უსიხაულო ჩრდილი გადაურბენს სახეზე. „სამაგისოდ სადა სცალა. ათას დოლარზე ფიქრმა აურია თავგზა. მართლა სასაცილო საქმეა. იმ კაცივითაა, ვისაც დაკვრის ინჩი-ბინჩი არ გაეგება და მაინც მთელი ძალით უბერავს საყვირს, ჰგონია ცოტაც და ხმას ამოვაღებინებო. ყოველ თორმეტ თუ თხუთმეტ საათში ერთხელ ხელებზე ბორკილდადებულს დაათრევენ იქეთ-აქეთ მოედანზე, არადა, ის მაძებრებიც რომ მიუქსიონ, აქედან მაინც ვერ მოაცვლევინებენ ფეხს. შაბათ ღამეს ციხეში აყურყუტეს, პირი არ გაუჩერებია, აქაოდა ყველანი მე მიდგახართ კრიჭაში, ყველა მე მეცილებით იმ ათას დოლარს და ლამისაა ქრისთმასთან ერთად მეც გამრიოთ ქალის მკვლელობაშიო; ბოლოს ბაკ ქონერი აუვარდა საკანში და დაემუქრა, თუ ხმას არ ჩაიწყვეტ და პატიმრებს არ დააძინებ, იცოდე, ალიკაპს

გაგიკეთებო. მაშინ კი გაჩუმდა, მაგრამ მერე, კვირა ღამეს რომ გაიგო ისევ სადღაც მიჰყავთ ძაღლებიო, ისეთი ვაი-უშველებელი ატეხა, შერიფი იძულებული გახდა, ისიც თან წაეყვანა. ძაღლები კი თურმე ადგილიდან არ იცვლიდნენ ფეხს. კინაღამ გადარეულა, ყვიროდა, აგინებდა, საცემრადაც გაუწევია — კვალს როგორ ვერ მიაგენით, თქვე უჯიშოებოო; ყველას უმტკიცებდა, პირველმა მე ვამხილე ქრისთმასი და ახლა თქვენ იცით და თქვენმა სამართალმაო. ბოლოს შერიფს გვერდზე გაუყვანია და ერთი-ორი ტკბილი სიტყვა უთქვამს ჩუმად. ვერავინ გაიგო, რა ილაპარაკეს. ეტყობა, დაემუქრა — ჭკუით თუ არ იქნები, ციხიდან საერთოდ აღარ გამოგადგმევინებ ფეხსო. მოკლედ, ცოტა დაწყნარდა და იმათაც გზა გაუგრძელებიათ. ორშაბათს, გვიან ღამითღა დაბრუნდნენ ქალაქში. მაშინ უკვე აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. ალბათ მართლა კარგა მაგრად დაიქანცა. აბა, რა იქნებოდა, ძილი იმან აღარ იცოდა და თან, თურმე, ძაღლებსაც ეჯიბრებოდა სირბილში, იმდენი უქნია, ბოლოს შერიფი ისევ დამუქრებია, თუ არ გაჩერდები, ჩემს თანაშემწეს გადაგაბამ ბორკილით, მოეშვი მაგ ძაღლებს, ეგება, შენი სუნის გარდა, სხვაც იყნოსონ რამეო. შაბათს, ციხეში რომ ჩასვეს, უკვე გვარიანი გასაპარსი იყო, მაშინ კი თურმე საერთოდ აღარ შეეხედებოდა ზედ. მე მგონი, ქრისთმასზე მეტად ისა ჰგავდა მკვლელს. ქრისთმასს ახლა უშვერი პირით ლანძღვდა და აგინებდა, ვითომ ქრისთმასი მარტო იმის ჯიბრით გაქცეულიყო, მარტო იმის გულის გასახეთქად იმალებოდა და სხვა დარდი არა ჰქონდა, ოღონდაც ბრაუნს არ ერგოს ის ათასი დოლარიო. მერე ისევ ციხეში მიიყვანეს და საკანში ჩაკეტეს. ამ დილას კი, ეტყობა, ახალ კვალს დაადგნენ, ძაღლებიც წაიყვანეს და ისიც თან გაიყოლეს. ხალხი ამბობს, სანამ ქალაქიდან არ გავიდნენ, ენა არ გაუჩერებიაო“.

„და შენ გგონია, ქალმა არაფერი იცის? გგონია, ყველაფერი დაუმალე? რატომ გირჩევნია, არამზადა ეგონოს და არა ბრიყვი?“

ბაირონს ისევ გაქვავებია, ისევ დასერიოზულებია სახე, წელანდელი ღიმილის ნატამალიც აღარ შერჩენია ზედ. „არ ვიცი. კვირას თქვენგან რომ დავბრუნდი, მეგონა დაძინებული დამხვდებოდა, ის კიდევ სასტუმრო ოთახში მელოდებოდა, მკითხა — რა იყო, რა ხდება ამ ქალაქშიო? — დაძაბული შემომცქეროდა, მე კი თვალს ვერ ვუსწორებდი. ვიღაც ზანგს თეთრკანიანი ქალი მოუკლავს-მეთქი. ტყუილი იყო? ისე გამიხარდა, ტყუილს რომ აღარ ვეუბნებოდი, იმწამსვე, დაუფიქრებლად დავუმატე — მოუკლავს და იმის სახლისთვის ცეცხლიც წაუკიდებია-მეთქი. ჯერ იყო და, კვამლი და-

ვანახე, მერე ქრისთმასის და ბრაუნის ამბავი ჩავუკაკლე, ბოლოს კიდევ, ესეც წამომცდა. ზუსტად თქვენსავით შემომცქეროდა. ეტყობა, მართლა სწყალობთ ღმერთი, რაც არ უნდა მოიგონო, რისი გაგებაც უნდათ, მაინც გათქმევინებენ, ისე გათქმევინებენ, თვითონ არც შეგეკითხებიან არაფერს, თუ გაგება უნდათ. თუ არა და, პირიქით, ყრუვდებიან, ბრმავდებიან... სიმართლესაც ვერ შეასმენს კაცი. მოკლედ, ვეღარც მივმხვდარვარ, რა იცის და რა არა. ერთი კი დავუმალე, არ მითქვამს, ვისაც დაეძებ, სწორედ იმან გაუმხილა პოლიციას მკვლელის ვინაობა და თუ ძაღლებთან ერთად არ დასდევს თავის ამხანაგსა და შემფარებელს, სხვა დროს ციხეში ჰყავთ-მეთქი დამწყვდეული. აი, ეს მართლა არ მითქვამს“.

„ახლა რას აპირებ? მაინც, სად უნდა გადაბარგება?“

„იქ, იმ ქოხში უნდა დაელოდოს. ვუთხარი, ლოდინი დიდხანს მოგიწევს, ბრაუნი შერიფმა გააგზავნა საქმეზე-მეთქი. კაცმა რომ თქვას, მთლად ტყუილიც არ მითქვამს. ადრევე მკითხა, სად ცხოვრობსო და როცა ვუთხარი, დაიჩემა, რაკი ეგაა იმის ბინა, მეც იქ გადავალ და იქ დავუცდიო. თვითონაც მომიწონებს საქციელსო. რა უნდა მეთქვა, ხომ არ ვეტყოდი, ამქვეყნად თუ რამე არ უნდა, ყველაზე მეტად ეგ არ უნდა-მეთქი? ამ სალამოს ფაბრიკიდან რომ დავბრუნდი, უკვე წასასვლელად გამზადებული დამხვდა, ფუთაც გამოეკრა, ქუდიც ეხურა — მარტო მეღა მელოდებოდა. — ერთი პირობა კი ვიფიქრე მარტო წასვლაო, მეუბნება, — მაგრამ შემეშინდა, ვაითუ გზა ვერ გავიგნოო. უკვე გვიანია, ხვალ აჯობებს-მეთქი — ვუთხარი. არაო; ჯერ რა დროს დაღამებაა, ორი მილიც არა გვაქვს გასავლელიო. ძლივს გავაჩერე, ნებართვა უნდა ვიკითხოთ-მეთქი. ნებართვა ვის უნდა ვთხოვოთ, განა ლუკასის სახლში არ გადავდივარო? ვგრძნობდი, რა დაჟინებით მომჩერებოდა, მითხრა, — აკი თქვით, ლუკასი იქ ცხოვრობდაო? თვალს არ მაცილებდა, მერე მკითხა, ვინ არის ის მღვდელი, სულ იმას რომ ელაპარაკებით ჩემზეო?“

„მაშ, იქ გინდა გაუშვა საცხოვრებლად?“

„იქნებ ეგრე სჯობდეს. თავის გემოზედაც მოეწყობა და, ამასობაში, ვინ იცის, ეს საგიჟეთიც მოთავდეს“.

„ესე იგი, გადაწყვიტა და ვეღარ გააჩერებ, არა? თუ არც გინდა გააჩერო?“

ბაირონი თავჩაღუნული ზის. „კაცმა რომ თქვას, ის ქოხი მართლა ბრაუნის სახლია. არა მგონია, ოდესმე უკეთესი სახლი ექნეს. ბრაუნი კი იმის...“

„მარტოდმარტომ უნდა იცხოვროს იქ, თან, წუთიწუთზე შეიძლება ბავშვიც გაჩნდეს. ზანგის უახლოეს ქოხამდე ნახევარი მილია სავალი“. ჰაითაუერი ბაირონს მისჩერებია.

„ეგეც ვიფიქრე. რაღაც-რაღაცეების მოგვარება შეიძლება“.

„რისი? რის მოგვარება შეიძლება? როგორ უნდა მიხედო იქ?“

ბაირონი მაშინვე არ პასუხობს; არც ახლა იღებს თავს. ხმა კი, კიდევ უფრო გასჯიუტებია, უფრო გაკერპებია. „კეთილი საქმის. მარტო ბოროტება ხომ არ კეთდება მალულად. ხალხმა რაც უნდა ის იფიქროს“.

„შენ რა ბოროტების ჩამდენიც ხარ, მეც კარგად ვიცი. არც ხალხის ლაპარაკისა მეშინია. მაგრამ, შეგიძლია მითხრა, სად მთავრდება ნამდვილი ბოროტება და სად იწყება შენიღბული? როდისაა ბოროტება შეგნებული და როდის — უნებლიე?“

„არა“, ამბობს ბაირონი. ლამის პირველად შეირხევა სკამზე; ახლადგაღვიძებული კაცივით ლაპარაკობს: „ალბათ, არ შემიძლია. მე, უბრალოდ, საკუთარ თავთან მინდა მართალი ვიყო“. — აი, ფიქრობს ჰაითაუერი, — თავის სიცოცხლეში პირველი ტყუილიც მითხრა. თუმცა, მე კი არა, აქამდე ალბათ არც არავისთვის უთქვამს ტყუილი, საკუთარი თავისთვისაც კიო. ბაირონის ჯიუტ, კერპ, ჩაფიქრებულ სახეს მისჩერებია. იმას კი ჯერ ერთხელაც არ გაუსწორებია ჰაითაუერისთვის თვალი. „ანდა, იქნებ ტყუილადაც არ ითვლება, რაკი თავისივე სიტყვებისა თვითონაც სჯერა“.

„კეთილი“, ამბობს მერე ხმამაღლა. ნაძალადევად უკმეხი ხმა აქვს, იმის დაღლილ, თვალებამოღამებულ სახესთან სრულიად შეუფერებელი. „მაშ გადაწყვეტილი ყოფილა. ქოხში გადაიყვან, დააბინავებ, უპატრონებ და ყველაფერი რომ მოთავდება, მერე ბრაუნია თუ ბარჩი, იმასაც გააგებინებ ქალის ადგილ-სამყოფელს“.

„და ისიც გაიქცევა“, ამბობს ბაირონი. ისევ თავჩაღუნული ზის, თუმცა, ახლა თითქოს სიხარულის, ზეიმის მხურვალე ტალღა გადაუვლის გულზეო, ვერც ასწრებს თავის მოთოკვას, არადა, რომც სცადოს და დამალოს სიხარული, მაინც აღარაფერი გამოუვა. თავიდან, ერთი პირობა, არც ფიქრობს არაფრის დამალვას; მაგარზურგიან სკამზე ჩამომჯდარი, ახლა პირველად შესცქერის მღვდელს სახეში, სახეალეწილი პირველად უსწორებს თამამად თვალს. ჰაითაუერიც თვალს თვალში უყრის.

„შენც სწორედ ეგ გინდა, არა?“ ეკითხება ბაირონს. სახეზე ორივეს ლამპის შუქი ეცემა. ღია ფანჯრიდან ჩახუთული ღამის ცხელი, უსაშველო სიჩუმე შემოდის. „დაფიქრდი, ბაირონ, შენ ცოლქმარს შორის აპირებ ჩადგომას“.

ბაირონი ნელ-ნელა გონს ეგება. უკვე სიხარულის დამალვასაც ახერხებს, ოღონდ ჰაითაუერს თვალს აღარ არიდებს, გაბედულად შესცქერის. ხმის მოთოკვასაც ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოუდის. ისინი ჯერ ცოლ-ქმარი არ არიანო — ამბობს.

„ქალიც ეგრე ფიქრობს? შენ გგონია, ისიც ეგრე იტყვის?“ ერთმანეთს არ აცილებენ თვალს. „ეჰ, ბაირონ, ბაირონ! რა ფასი აქვს ღვთის საკურთხეველთან ამოლუღლუღებულ ათიოდე სიტყვას ქალის სიმტკიცესთან, ანდა იმ ბავშვთან შედარებით?“

„კი ბატონო, იმ ფულს თუ ჩაიჯიბავს, ეგება არც არსად გაიქცეს, ისე დაამღერებს, რასაც უნდა გააკეთებინებს კაცი, იქნება ცოლიც შევრთოთ“.

„წადი. ჯეფერსონიდან წადი“. ისევ ერთმანეთს შესცქერიან დაჟინებით. „არა“, ამბობს ბოლოს ჰაითაუერი. „შენ ჩემი დახმარება არ გჭირდება. შენ უკვე ჩემზე ბევრად ძლიერი გეხმარება“.

ცოტა ხანს ბაირონი ხმას არ იღებს. თვალისმოუშორებლად შესცქერიან ერთმანეთს. „ვინ, ვინ მეხმარება?“

„ეშმაკი“, — ამბობს ჰაითაუერი.

„ეშმაკი იმაზეც ზრუნავს“, ფიქრობს ჰაითაუერი. სახლისაკენ მიაბიჯებს, ჯერ ნახევარი გზაც არ გაუვლია, მკლავზე პირთამდე სავსე, პატარა, მოწნული კალათა წამოუცვამს. „იმაზეც, იმაზეც“, ფიქრობს და ქუჩას მიუყვება, ცხელა. ჰაითაუერი უპიჯაკოდაა, შავი შარვალი აცვია, მაღალი, თხელი ფეხები აქვს, გამხდარი, გალეული მკლავები და მხრები, ქონმოდებული მუცელი კი არაბუნებრივად გამობერვია, ორსულ ქალსავით წამოზრდია წინ. თეთრი, ოღონდ არც მთლად სუფთა პერანგი აცვია; პერანგის საყელოცა და დაუდევრად გაკვანძული ბატისტის ყელსახვევიც გასჭუჭყიანებია, ეტყობა, ორი-სამი დღეა პირიც არ გაუპარსავს. თავზე გაზინზლული პანამა ხურავს, ქუდის ქვეშ კი, სიცხისგან შეწუხებულს, ჭუჭყიანი და დაჭმუჭნული ცხვირსახოციც ჩაუფენია. როგორც წესი, კვირაში ორჯერ გამოდის ხოლმე ქალაქში საყიდლებზე; აწოწილი, მოღვენთილი, ლოყებზე ჭაღარაწვერმოდებული, სათვალით თვალებდაბინდული, ფრჩხილებჩაშავებული და ჯდომას მიჩვეული, დაუბანელი ხორცის მძაღე, მამაკაცური სუნით გაჟღენთილი — დღესაც ესტუმრა ნაირგვარი სურნელით სავსე, აფუსფუსებულ დუქანს, სადაც, ჩვეულებრივ ვაჭრობდა ხოლმე და ანგარიშსაც მუდამ ნაღდი ფულით ასწორებდა.

„გაიგეთ, როგორც იქნა მიუგნიათ იმ ზანგის კვალისთვის“, უთხრა მედუქნემ.

„ზანგის?“ გაიმეორა ჰაითაუერმაც. უკვე ხურდას იდებდა ჯიბეში და უეცრად გაქვავდა, ხელი გაუშეშდა.

„რა ჰქვია?.. აი იმ ბიჭის, მკვლელის; სულ ვამბობდი, რაღაც არ მომწონს-მეთქი. თეთრკანიანი არ უნდა იყოს-მეთქი. რაღაცა ჰქონდა უცნაური. მაგრამ, სანამ უბედურება არ მოხდება, ხალხს რამეს შეასმენ...“

„მაშ იპოვეს?“ თქვა ჰაითაუერმა.

„აბა, რა ჯანდაბას იზამდნენ. ის შტერი, ჩვენ ოლქში დარჩენილა. ჩვენმა შერიფმა ქვეყანა შეაწრიალა ტელეფონით იმის ძებნაში, ის შავი ნაბი... ჰო, ის კიდევ თურმე ამ დროს აქვე ყურისძირში არ იმალებოდა?!“

„ესე იგი, უკვე...“ ჰაითაუერი თავმობმული კალათის ზემოდან დახლისკენ გადაიხარა. მუცლით მიაწვა დახლის კიდეს. დახლი მაგარი იყო, მყარად იდგა; დახლი კი არა, თითქოს მიწა ირყეოდა, სუსტად, ოდნავ შესამჩნევად, თითქოს ადგილიდან მოსაწყდომად იღებდა ქანს. მერე, თითქოს, მართლა მოსწყდა კიდეც ადგილს, აუჩქარებლად, ნებაზე მიშვებულივით დაქანდა თავქვე, თანდათან სიჩქარესაც უმატა, ოღონდ, თან რაღაც თვალთმაქცურადაც მიქროდა, რადგან მოტყუებული თვალი აშკარად ხედავდა — არც მახინჯ თაროებს, არც ამ თაროებზე ჩარიგებულ, ბუზნაჯდომ კონსერვის ქილებსა და არც მედუქნეს უწინდელი ადგილი არ შეეცვალათ; შეურაცხმყოფელი, გამაბითურებელი შეგრძნება იყო. ჰაითაუერი კი ფიქრობდა, — არა! არ მინდა! მე ხელშეუხებლობა მოვიპოვე. ხელშეუხებლობის საფასურიც კარგა ხანია გადავიხადეო.

„ჯერ არ დაუჭერიათ,“ თავისას აგრძელებდა მედუქნე. „მაგრამ სადღა წაუვათ. შერიფმა უთენია მიიყვანა ძაღლები ეკლესიასთან. ექვსიოდე საათითღა თუ ჩამორჩებიან ალბათ. იმ დამპალს მეტი ჭკუა კი მართებდა, მაგრამ ზანგს რა გინდა მოჰკითხო? სულ ეგ იყო?“ — დაამატა მერე.

„რა?“ თქვა ჰაითაუერმა. „რა მითხარით?“

„სხვა არაფერი გინდათ?“

„ჰო, ჰო. სხვა...“ ჯიბეში ააფათურა ხელი, მედუქნე გაკვირვებული მიაჩერდა. მერე, ჯერაც ათრთოლებული ხელი ჯიბიდან ამოიღო, ახლა დახლზე მოაფათურა, დახლზე ხურდა ფული გაიბნა. მედუქნემ ხელი შეაშველა, ფული დახლიდან რომ არ გადაცვენილიყო.

„ეს რიღას ფულია?“

„რისი და...“ ჰაითაუერმა ახლა უკვე სავსე კალათაში დაიწყო ხელის ფათური. „რისი და...“

„აკი უკვე გადაიხადეთ“. მედუქნე თვალს არ აცილებდა, ცნობისმოყვარედ შესცქეროდა. „ეს თქვენი ხურდაა, ახლა არ დაგიბრუნეთ?! დოლარის ხურდა“.

„ჰოო“, თქვა ჰაითაუერმა. „მართალია... მე... უბრალოდ...“ მედუქნემ ხურდა მოხვეტა და ისევ გადმოაწოდა. მუჭში რომ უყრიდა, იგრნო როგორ გაყინვოდა ჰაითაუერს ხელი.

„სიცხის ბრალია“, თქვა მედუქნემ. „გათანგავს კაცს. ჯერ ნუ წახვალთ. გინდათ, ცოტა ხანს ჩამოჯექით?“ ჰაითაუერს კი, ეტყობა, აღარაფერი ეყურებოდა. უკვე კარებისკენ დაეღერებინა თავი, მედუქნემ თვალი გააყოლა. მერე ქუჩაში გამოვიდა, მკლავზე კალათი წამოეცვა და გაშეშებული, ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს ყინულზე დადისო. ცხელოდა; ასფალტს ცახცახით ასდიოდა ხვატი, მოედნის ირგვლივ ნაცნობ შენობებს თითქოს შარავანდედით მოსავდა და, თითქოს იმათაც აცოცხლებდა, იმათაც ათრთოლებდა. გზად ვიღაც გამოელაპარაკა; ოღონდ ჰაითაუერს არაფერი შეუმჩნევია. თავის გზას მიუყვებოდა, ფიქრობდა **იმაზეც, იმაზეც** ახლა ჩქარა მიდიოდა და როცა, ბოლოს და ბოლოს, გზიდან გადაუხვია და იმ მკვდარსა და უკაცრიელ, პატარა ქუჩას აუყვა, სადაც მკვდარი და უკაცრიელი სახლი ელოდებოდა, ლამის ველარც იბრუნებდა სულს. სიცხის ბრალიაო, კარნახობდა, უმტკიცებდა, უხსნიდა გონების ზედაპირი. მაგრამ აქაც, ამ წყნარ ქუჩაზეც, სადაც ათასიდან ერთი კაცი თუ შეანელებს ფეხს, ათასიდან ერთს თუ გაახსენდება უკვე გამოჩენილი აბრა, სახლი, მარტოხელა კაცის თავშესაფარი, სადღაც, ზედაპირის ქვეშ, ჯერაც გრძელდება თავგზის ამაბნეველი და თან დამამშვიდებელი ფიქრი: „არ მინდა. არ მინდა. მე ხელშეუხებლობა მოვიპოვე“. უკვე ლამის ესმის კიდეც ეს ჯიუტი, ყოვლისამხსნელი და ყოვლისმპატიებელი სიტყვები: საფასურიც გადავიხადე და ფასზედაც არ მივაჭრია. ამას ვერავინ დამწამებს. მე მხოლოდ სიმშვიდე მსურდა; შეუვაჭრებლად გადავიხადე საფასური. ქუჩა თრთის და მიცურავს; ჰაითაუერი გაოფლილა, ოღონდ ახლა შუადღის პაპანქებაც სიგრილედ ეჩვენება. მერე ოფლიც, სიცხეც, მირაჟიც — საბოლოო, ცეცხლოვან გადაწყვეტილებად ერთიანდება და ცეცხლივით ბუგავს, ცეცხლივით სპობს და ანადგურებს ლოგიკასაც და ნებისმიერ მტკიცებასაც: — უარს ვამბობ! მაინც უარს ვამბობ!

ახალშებინდებულზე კაბინეტის ფანჯარასთან ჩამომჯდარმა როგორც კი სინათლის წრეში შემოსული ბაირონი დაინახა, მაშინვე გველნაკბენივით წამოხტა ზეზე. ასეთ დროს ბაირონის დანახვას არ გაუკვირვებია. თავიდან, როცა მომავალი იცნო, გაიფიქრა **აი, კი ვიცოდი ამალამაც რომ მესტუმრებოდა. აბა სად ბაირონი და სად ავი საქმე** სწორედ ამას ფიქრობდა, უეცრად რომ შეცბა, სანახევროდ წამოვარდა სავარძლიდან: იცნო თუ არა ნათურის კაშკაშა შეუქზე სტუმარი, თითქმის იმწამსვე შეეპარა ეჭვი, ხომ არ მეშლებაო, არადა, შეცდომა გამორიცხული იყო, ასეთ დროს, ბაირონის გარდა, სხვა არავინ შეიძლებოდა მისდგომოდა კარს, მითუმეტეს, ის უკვე ეზოშიც შემოსულიყო.

ოღონდ, ამაღამ ბაირონი მაინც არა ჰგავს საკუთარ თავს. სადღაა მისი ძველებური სიარული, ძველებური მიხვრა-მოხვრა; **სიამაყე უსწავლია, თუ გათავხედებულა** თავისთვის ამბობს სავარძლიდან სანახევროდ წამომდგარი ჰაითაუერი. ბაირონი კი სწრაფად მოაბიჯებს, თავაწეული, წელში გამართული: „რაღაც ჩაუდენია. რაღაც ნაბიჯი გადაუდგამს“ — ლამის უკვე ხმამაღლა ამბობს ჰაითაუერი. ფანჯრისკენ, სიბნელისკენ გადახრილი, ენას აწკლაპუნებს და ცდილობს კარგად დააკვირდეს მომავალს, ის კი, წამით თვალს ეფარება, პარმაღზე ადის და ცოტა ხანში უკვე იქიდან მოისმის ჯერ ნაბიჯების ხმა და მერე კაკუნი. „მე არაფერი გამიზიარა“, ფიქრობს ჰაითაუერი. „არადა, მოვუსმენდი. დავაცდიდი, ხმამაღლა ეფიქრა ჩემი თანდასწრებით“. უკვე წამომდგარა, წამით საწერ მაგიდასთან ჩერდება ლამპის ასანთებად. მერე კარის გასაღებად მიდის.

„მე ვარ, მამაო“, ამბობს ბაირონი.

„გიცანი“, პასუხობს ჰაითაუერიც. „თუმცა ამჯერად ბოლო საფეხურზე ფეხი აღარ წამოგიკრავს. მერამდენედა ხარ ამ სახლში და დღეს პირველი შემთხვევაა“. ბაირონის ყოველი ვიზიტი ჩვეულებრივ ასე იწყება ხოლმე: ხუმრობითა და სითბოთი შეზავებული ეს ვითომ მბრძანებლური კილო ეხმარება შინაურულად იგრძნოს თავი, ცოტა ხნით მაინც დაძლიოს და დაივიწყოს ის ტლანქი, სოფლური სიმორცხვე, რაც თვითონ თავაზიანობად მიაჩნია. ჰაითაუერს ზოგჯერ ისიც მოსჩვენებია, თითქოს ბაირონს აფრა უკეთია, მე კი სულს ვუბერავ და სვენებ-სვენებით, წვალებ-წვალებით შემომყავს სახლშიო.

ახლა კი, სიტყვის დამთავრებასაც ვერ ასწრებს, ისე შემოდის სტუმარი ოთახში — ლაღად, თამამად. სახეზეც ახლებური იერი დასთამაშებს, უცებ ვერც მიხვდები, თავდაჯერებული თუ თავხედი კაცისა. „მე მგონი, მალე დარწმუნდებით, ის დრო რომ სჯობდა, როცა კისერს ვიტეხდი ხოლმე კიბეზე“, ამბობს ბაირონი.

„შენ რა, მაიმედებ თუ მემუქრები, ბაირონ?“

„აბა, რასა ბრძანებთ, მუქარა რა სახსენებელია“, ამბობს ბაირონი.

„ჰოო“, ამბობს ჰაითაუერი. „სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმედიც

არაფრისა უნდა მქონდეს. კეთილი, ასეა თუ ისე, წინასწარ მაინც გამაფრთხილე. მაგაზედაც მადლობელი ვარ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ქუჩაში რაც დაგინახე, მას მერე სულ ფრთხილადა ვარ. გეტყობა, რაღაცის მოყოლას აპირებ. ვხედავ, რაღაც ჩაგიდენია, თუმცა ჩემთან წინდაწინ შეთანხმება არ ისურვე". კაბინეტის კარებისაკენ მიდიან. ბაირონი შუა გზაში ჩერდება, უკან იხედება, ქვემოდან ასქცერის ჰაითაუერს.

„მაშ, უკვე იცით", ამბობს ბაირონი, „უკვე გაგიგიათ". გაუნძრევლად დგას, ოღონდ ახლა ჰაითაუერს აღარ უყურებს. „ძალიანაც კარგი", აგრძელებს ცოტა ხნის შემდეგ: „ენაზე კლიტეს ვერავის დაადებ. მითუმეტეს ქალებს. მაინც ვინ გითხრათ? განა მრცხვენია რამისა. არც მიფიქრია თქვენთვის დამემალა. აკი, მოვახერხე თუ არა, მაშინვე თქვენკენ გამოვეშურე".

განათებული ოთახის კარებთან დგანან. ჰაითაუერი ახლაღა ამჩნევს ქაღალდის პარკებსა და ფუთებს, ეტყობა, ბაირონს საბაყლოში გამოუვლია. „რის სათქმელად გამოეშურე?" ეკითხება ჰაითაუერი. „რა უნდა მითხრა? თუმცა, ჯერ ოთახში შემოდი. შეიძლება, მართლაც უკვე ვიცი ყველაფერი, მაგრამ მაინც მირჩევნია შენი სახე დავინახო, როცა თვითონ მეტყვი. აი, მეც წინასწარ გაგაფრთხილე". განათებულ ოთახში შედიან, ქაღალდში აშკარად სურსათ-სანოვაგეა გახვეული: ჰაითაუერსაც იმდენი ასეთი პარკი თუ ფუთა უყიდია და უტარებია, ნადვილად არ შეეშლება. „დაჯექი", ეუბნება ბაირონს.

„არა", პასუხობს ბაირონი. „დიდხანს ვერ დავრჩები". მართლაც არ ჯდება, ფეხზე დგას — მშვიდი, თავდაჭერილი, — სახეზე თანაგრძნობა აწერია, თანაგრძნობა, სიმტკიცე და გაბედულება, ოღონდ, სიმტკიცეს თვითდაჯერება აკლია, გაბედულებას კი შეუპოვრობა: იმ კაცის სახე ადევს, ვისაც, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გადაუწყვეტია ყველაზე ახლობელი ადამიანისათვის გაუგებარი და მიუტევებელი საქციელის ჩადენა, გადაუწყვეტია, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულს, ბოლომდე სჯერა, ამ საქციელს ვერასოდეს ერთი თვალით რომ ვერ შეხედავენ თვითონ და ის ახლობელი. „ვიცი, განზრახვას არ მომიწონებთ. მაგრამ სხვა გზაც არა ჩანს. ნეტავი თქვენც ჩემსავით ფიქრობდეთ. რას იზამ. ამ ამბავს, ეტყობა, აღარაფერი ეშველება".

ჰაითაუერი ისევ მაგიდას მისჯდომია და მოღუშული შესცქერის. „მაინც რა ჩაიდინე ასეთი, ბაირონ?"

ბაირონს ხმაც შესცვლია: მოკლედ, ლაკონურად ლაპარაკობს, ყოველი სიტყვა წინდაწინვე აუწონ-დაუწონავს და სათქმელსაც ნათლად ამბობს: „დღეს საღამოს გადავიყვანე. ქოხიც ადრევე გავამზადე,

კარგად გავასფუთავე იქაურობა. ახლა უკვე დაბინავებულია. ასე ისურვა. უკეთესი სახლი ბრაუნს არც ჰქონია და არც არასდროს ექნება, ამიტომ, მე მგონი, ქალსაც შეუძლია იქ იცხოვროს, მითუმეტეს, პატრონს ის ქოხი აღარაფერში სჭირდება. ჩავთვალოთ, რომ ცოტა ხნით სხვაგან გადაბარგდა. ვიცი, თქვენ ეს ამბავი არ მოგეწონებათ. ალბათ, უამრავ საფუძვლიან მიზეზსაც დამისახელებთ. მეტყვით, ქოხი არც ბრაუნისაა და არც ის ქალი უნდა შეგეშვაო. კეთილი. შეიძლება მართალი ბრძანდებით. მაგრამ, ჩვენს შტატში კი არა, მთელ დუნიაზე თუ მოუბრუნდება ვინმეს ენა და თუ დამარწმუნებს ვინმე, უფლება არა აქვს დროებით შეაფაროს იქ თავიო? ვიცი, იმასაც მეტყვით, გვერდში უთუოდ ქალი უნდა ედგასო. კი ბატონო. იქვე, ორას იარდში ცხოვრობს ერთი ხანში შესული ზანგი დედაკაცი. საკმაოდ ჭკუადამჯდარი ქალი ჩანს. თუ გაუჭირდა, წამოდგომაც არ დასჭირდება, შეუძლია საწოლიდანვე მიაწვდინოს ხმა. მეტყვით, ქალი კია, მაგრამ თეთრკანიანი ხომ არ არისო. მაშინ მეც გკითხავთ, მშობიარობის დრო რომ მოუვა, თეთრკანიანი ჯეფერსონელი ქალბატონები რას მიეხმარებიან-მეთქი? რას მიეხმარებიან, როცა ჯერ ერთი კვირის ჩამოსულიც არ არის და ისე ვერცერთს ვერ გამოლაპარაკებია, მაშინვე ზურგსუკან რომ არ აქირქილდნენ — ამას ჯერ ჯვარიც არ დაუწერია და ვიდრე ის გაფუჭებული ცოცხალია და თუნდაც ხანდახან მაინც ესმის იმის ამბავი, ვერც დაიწერს ვერასოდესო? მითხარით ერთი, რას დაეხმარებიან, რა ხეირს დააყრიან? კი, უპატრონოდ ალბათ არ დააგდებენ ქუჩაში და ალბათ, სადმე საწოლსაც უშოვნიან. მაგას არ ვამბობ. თუმცა, ჩვენში დარჩეს და, იმათაც არ გაემტყუნებათ თუ თქვეს, მეტის ღირსი არ არის, ამ დღეშიც ღია ცის ქვეშ ჩავარდა, არც მაშინ გახსენებია საწოლიო. მაგრამ, ბავშვს ხომ არ ჰქონია ასარჩევად საქმე? და გინდაც ჰქონოდა, ღმერთმანი, ნებისმიერი საცოდავი პატარა ბავშვი, რომელსაც ჯერ არაფერი გაეგება რა ელის ამქვეყანაზე, მაინც იმსახურებს... მეტს იმსახურებს... უკეთესს, ვიდრე... მე მგონი, ხვდებით, რასაც ვამბობ. თქმითაც თქვენ უკეთესად იტყვით". ჰაითაუერი მაგიდასთან ზის და უხმოდ შესცქერის, ბაირონსაც ისევ მშვიდი, დაურვებული ხმა აქვს, მხოლოდ ერთადერთხელ აერია სიტყვა, როცა რაღაც მოულოდნელის, ბუნდოვანის, მართალია, გუმანით ნაგრძნობის, მაგრამ ბოლომდე გაუაზრებლის გამოთქმა სცადა. „მესამე მიზეზიცაა. თქვენ, რა თქმა უნდა, არც თეთრკანიანი ქალის იმ არემარეში მარტოდმარტო ყოფნა მოგეწონებათ. მოგეწონებათ კი არა, ყველაზე უფრო, ალბათ, ეგ გაგაბრაზებთ".

„ეჰ, ბაირონ, ბაირონ".

ბაირონს ხმა უჯიუტდება. თავი კი ჯერაც ისევ მაღლა უჭირავს.

„მე ქოხში არ ვიცხოვრებ. კარავი ვიშოვე. შორიახლოს დავდგი, იოლად რომ მომაწვდინოს ხმა. ქოხის კარებს ურდულიც დავადე. ვისაც უნდა, მოვიდეს და ნახოს — მე დღე და ღამ კარავში ვარ“.

„ეჰ, ბაირონ, ბაირონ“.

„ვიცი, თქვენც სხვებივით არ ფიქრობთ. თქვენ მაინც გამიგებთ, გინდაც ის ქალი... ის რომც... განა ვერა ვხედავ, თქვენც ხალხის ყბედობა გადარდებთ“.

ჰაითაუერი ახლაც აღმოსავლური კერპის პოზაში ზის, მკლავები სავარძლის სახელურებზე დაუსვენია. „წადი, ბაირონ, წადი. ახლავე. დაუყოვნებლივ. სამუდამოდ მიატოვე აქაურობა, მიატოვე ეს საზარელი, საზარელი ადგილი. მე ხომ ყველაფერი მესმის. მეტყვი, ახლაღა გავიგე სიყვარული რა ყოფილაო; მე კი გიპასუხებ, ეგ სიყვარული კი არა, იმედია-მეთქი. იმედი და მეტი არაფერი. იმედის საგანს კი არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არც იმედისთვის და, მითუმეტეს, არც შენთვის. შენს მიერ არჩეულ გზას ერთადერთი ბოლო აქვს: ან ცოდვა და ან ქორწინება. ღმერთო, შემინდე და, ამ ორიდან შენთვის იქნებ ცოდვა სჯობდეს კიდეც, მაგრამ, ხომ გიცნობ რაცა ხარ. შენ ან უნდა იქორწინო, ან არადა გაწბილებული დარჩე. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ქორწინება გირჩევნია. შენ შენსას ეცდები და, ალბათ, იმასაც დაარწმუნებ; იქნებ, უკვე დაარწმუნე კიდეც, ოღონდ ჯერ ვერ ხვდება, ჯერ საკუთარ თავსაც ვერ გამოსტყდომია: თუ არა და, მაშინ აქ რაღა აჩერებს ან იმ კაცის ნახვას მაინც რატომ არა ცდილობს? ცოდვისკენ როგორ გიბიძგო? რომც გიბიძგო კიდეც, არა მარტო შენ შემიძულებ, სიძულვილს იმასაც გადასდებ. ამიტომ წადი, ახლავე, დაუყოვნებლივ. წადი და უკან აღარ მოიხედო. ოღონდ ეგ ფიქრი კი თავიდან ამოიგდე ბაირონ“.

ერთმანეთს შესცქერიან. „ვიცოდი, განზრახვას არ მომიწონებდით“, ამბობს ბაირონი. „მე მგონი, სწორი ვქენი, რომ არ დავჯექი და სტუმრობა არ გავაბი. თუმცა არც ამას ველოდი. არ მეგონა, თქვენც თუ აუმხედრდებოდით მოტყუებულ და მიტოვებულ ქალს...“

„არც ერთი ქალი, ვისაც შვილი ჰყავს, მოტყუებული არ არის; დედის ქმარსაც, სულერთია, მამა იქნება თუ არა, უკვე რქები ადგას თავზე. ათიდან ერთი საშუალება მაინც დაიტოვე, ბაირონ. თუკი მაინცდამაინც ცოლის შერთვა გინდა, ამქვეყნად გაუთხოვარ ქალებს რა გამოლევს, ქალიშვილებს, ქალწულებს. უსამართლობაა მსხვერპლად შეეწირო ქალს, ვინც ერთხელ უკვე აირჩია, ახლა კი ამ არჩევანის უარყოფა უნდა. ეგ არ არის სწორი. უსამართლობაა. ქორწინებას რომ აწესებდა, არც ღმერთს ჩაუფიქრებია ასე. აწესებდა კი? ქორწინება ქალების მოგონილია“.

„მსხვერპლად შევეწირო? მე შევეწირო მსხვერპლად? მე მგონი, მსხვერპლი თუა...“

„ოღონდ ის არა. ლინა გროუვებისათვის ამქვეყნად მუდამ არსებობს ორნაირი მამაკაცი. ლუკას ბარჩების და ბაირონ ბანჩების რიცხვი ლეგიონია. მაგრამ, არცერთი ლინა, არცერთი ქალი არ იმსახურებს ერთ-ერთ მათგანზე მეტს. არცერთი. იყვნენ კარგი ქალები, ვინც მართლა გაიუბედურეს თავი, მართლა შეეწირენ მსხვერპლად პირუტყვებს, ლოთებსა და ათასნაირ ნაძირალებს. მაგრამ, აბა რომელი ავი თუ კარგი ქალი გატანჯულა იმაზე მეტად, ვიდრე კაცები გაუტანჯავთ კარგ ქალებს? მითხარი“.

მშვიდად საუბრობენ, გაფიცხება არცერთს არ ეტყობა, ჩუმდებიან კიდეც ერთი-მეორის სიტყვების ასაწონ-დასაწონად, ოღონდ, მაინც საკუთარი რწმენის ბოლომდე ერთგულ ხალხსაც ჰგვანან. „თქვენ, ალბათ, მართალი ბრძანდებით“ ამბობს ბაირონი. „ყოველ შემთხვევაში, მე ვერ გეტყვით, ცდებით-მეთქი. ვიცი, არც თქვენ გამამტყუნებთ, გინდაც მეშლებოდეს“.

„არ გაგამტყუნებ“, ამბობს ჰაითაუერი.

„გინდაც მეშლებოდეს“, იმეორებს ბაირონი, „ახლა კი დაგემშიდობებით. კაიხელა გზა მაქვს გასავლელი“.

„ვიცი“, ამბობს ჰაითაუერი, „ხანდახან მეც დავდიოდი ხოლმე იქით. სამი მილი იქნება“.

„ორია“, აზუსტებს ბაირონი, „აბა, წავედი“. კარებისკენ ტრიალდება. ჰაითაუერი გაუნძრევლად ზის. ბაირონი ცდილობს უფრო მარჯვედ, უფრო მოხერხებულად დაიკავოს სანოვაგით სავსე შეკვრები, რომლებიც მთელი ამ ხნის მანძილზე ხელიდან არ გაუშვია. „კარგად ბრძანდებოდეთ“, ამბობს კარისკენ მიმავალი. „როგორც მოვახერხებ, მაშინვე გინახულებთ“.

„ჰო“, ამბობს ჰაითაუერი. „მე რით დაგეხმარო? რა გჭირდება? ქვეშაგები ხომ არ გინდა ან რამე ეგეთი?“

„მადლობელი ვარ. მე მგონი, ყველაფერი საკმარისად აქვს. იქაც დაგვხვდა. მადლობელი ვარ“.

„ხომ გამაგებინებ? თუ რამე შეიცვლება. ბავშვი... ექიმს შეუთანხმდი?“

„მაგასაც მივხედავ“.

„როგორ, ჯერ არ გინახავს? არ შეიპირე?“

„ყველაფერი რიგზე იქნება. თქვენც გაგაგებინებთ“.

ბაირონი მიდის. ჰაითაუერი ფანჯრიდან აყოლებს თვალს, ხედავს, როგორ მიუყვება ქუჩას სანოვაგით დატვირთული, ორი მილის

გასავლელად გამზადებული. წელგამართული, ჩქარი ნაბიჯით მიმავალი, თანდათან ეფარება თვალს; ზედმეტი ქონისა და სულის ხუთვისგან გატანჯული, სანახევროდ მჯდომარე ცხოვრებას მიჩვეული მოხუცი ამ ნაბიჯს უკვე ველარასოდეს აუწყობს ფეხს. ამიტომაც, ჰაითაუერი ისევ ფანჯრისკენ, აგვისტოს ხვატისკენ გადაიხრება, ცოტა ხნით, მუდმივ თანამგზავრად ქცეული სურნელისგანაც თავისუფლდება — ცხოვრებას გამოკლებული კაცის, კვდომაგამჯდარი სიმსუქნის, აშმორებული თეთრეულის სუნისგან — და დაძაბული აყურადებს სიჩუმეს, თითქოს ჯერაც ესმის მიმავალის ფეხის ხმა, ფიქრობს — ღმერთო, შენ უშველე, ღმერთო, შენ შეეწიეო. ფიქრობს **ახალგაზრდობა. რა შეედრება ახალგაზრდობას. ამქვეყნად ახალგაზრდობის მეტი არც არსებობს არაფერი** „ლოცვას არ უნდა გადავჩვეულიყავი“, ფიქრშივე ამატებს მშვიდად. მერე წარმოსახული ნაბიჯების ხმაც წყდება. ახლა მხოლოდ უთვალავი, დაუღალავი მწერის შარიშურიღა ესმის, ფანჯრიდან გადახრილი მიწის ცხელ, მსუყე, ფერადოვან სურნელს ისუნთქავს და ახსენდება, ადრე, სიჭაბუკეში, ვიდრე თვითონაც ახალგაზრდა იყო, როგორ უყვარდა ღამღამობით მარტოდმარტო ხეთა შორის ბორიალი თუ ხის ძირას ჯდომა. მაშინ, თითქოს მიწაც და ხეებიც ცოცხლდებოდნენ, პირველყოფილ იერს იბრუნებდნენ და ერთდროულად თან სიამოვნებისა და თან შიშის უცნაურ, ავისმომასწავებელ გრძნობას ბადებდნენ. მართლა ეშინოდა. შიშისგან ძრწოდა, ოღონდ, ეს შიშიც უყვარდა. მერე კი, ერთ მშვენიერ დღეს, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას, უეცრად მიხვდა, რომ შიში გამქრალიყო. თითქოს, რაღაც უხილავი კარი დაიხშო. სიბნელის შიში კი დაეძლია, მაგრამ შიშის ადგილი სიძულვილს დაეკავებინა; უკვე იმდენად სძულდა სიბნელე, თავქუდმოგლეჯილი გაურბოდა და ოთახებში, არაბუნებრივ სინათლეში აფარებდა თავს. — ჰო, ლოცვას არ უნდა გადავჩვეულიყავიო, — ფიქრობს. მერე ფანჯარას ზურგს შეაქცევს. კაბინეტის ერთი კედელი მთლიანად დაუფარავს წიგნის თაროებს. ჰაითაუერი თაროების წინ ჩერდება და კარგახნის ძებნის შემდეგ თაროდან წიგნს იღებს. ეს ტენისონის კრებულია, სემინარიისდროინდელი, ფურცლის კუთხეებაპრეხილი. ლამპასთან ჯდება და წიგნს შლის. დიდხანს არც სჭირდება ლოდინი. ლექსის დახვეწილი, ლაღი ენა, გამოფიტული ხეებითა და დაშრეტილი სურვილებით სავსე ღონისწამრთმევი მოთენთილობა, ლამის იმწამსვე ითრევს თავის მდორე, მშვიდ, უწყვეტ ტალღებში. ეს უხმო, უსიტყვო ლოცვასაც სჯობია. თითქოს ტაძარშია და იმ უცხო ენაზე მგალობელ საჭურისს უსმენს, რომლის არგაგებაც კი არ სჭირდება.

- XIV -

„ვიღაც უნახავთ იმ ქოხში“, უთხრა თანაშემწემ შერიფს. „არ იმალება: საცხოვრებლად გადასულა“.

„შენც მიდი და გაარკვიე“, უბრძანა შერიფმა.

თანაშემწე წავიდა და მალევე დაბრუნდა უკან.

„ქალი ყოფილა. ახალგაზრდა ქალი. ეტყობა, კარგა ხნით დაბინავებულა; იქვე შორიახლოს კი, აი, როგორც აქედან და ფოსტამდე, ბაირონ ბანჩსაც გაუშლია კარავი“.

„ბაირონ ბანჩს?“ უკვირს შერიფს. „რა ქალია ამისთანა?“

„არ ვიცი. ჩვენ არ ვიცნობთ. ახალგაზრდა ქალია. თავისი ამბავიც მაშინვე მიამბო. ქოხში ფეხი შევდგი თუ არა, იმწამსვე დაიწყო მოყოლა, თითქოს სიტყვა აქვს მომზადებულიო. თითქოს, თავისი ამბის თხრობა ჩვეულებად გადაქცევიაო. ალბათ, მართლაც მიეჩვია, სანამ ქმრის ძებნა-ძებნაში ალაბამადან თუ რა ვიცი, საიდან, ჩვენამდე ჩამოაღწევდა. ჯერ ქმარი წამოსულა სამუშაოს საშოვნებლად, ქალიც, ეტყობა, მალევე გამოჰყოლია უკან და გზაში ვიღაცისგან გაუგია, შენი ქმარი ჯეფერსონში მუშაობსო. ამასობაში ბაირონიც შემოვიდა ქოხში და მითხრა, დანარჩენს მე გეტყვიო. თითქოს თქვენთანაც სდომებია მოლაპარაკება“.

„ბაირონ ბანჩი“, იმეორებს შერიფი.

„დიახ“, კვერს უკრავს თანაშემწეც. მერე ისევ აგრძელებს: „ორსულადაა. საცაა იმშობიარებს კიდეც“.

„ორსულადაა?“ ამბობს შერიფი. თან თანაშემწეს მისჩერებია. „მაშ, ალაბამადან ჩამოვიდა? ალაბამადან კი არა, საიდანაც გინდა იყოს. ბაირონისგან მაგას მაინც ვერ დავიჯერებ“.

„მე რა, მე არც არაფერს ვამბობ“, ამბობს თანაშემწე. „განა ვამტკიცებ, ბაირონისგანაა-მეთქი. თანაც, ბაირონსაც არ უთქვამს, ჩემიაო. მე მხოლოდ იმათ ნათქვამს ვიმეორებ“.

„ჰოოო“, ხვნეშის შერიფი. „გასაგებია ყველაფერი. მივხვდი, რატომაც ჩამოსულა. რომელია? ქრისთმასი, არა?“

„არა. ბაირონმა ეგეც მითხრა. ქოხიდან გამიყვანა, ქალმა არ გაიგონოსო. თქვენთანაც სდომებია მოსვლა. ბრაუნისაა. ოღონდ, ბრაუნი არ ყოფილა გვარად. ლუკას ბარჩი რქმევია. ქალი ალაბამაში მიუტოვებია. დაპირებია, სამუშაოს ვიშოვი, ბინასაც მოვაწყობ და მაშინვე მოგაწვდენ ხმასო. სადაცაა ბავშვი უნდა დაიბადოს, იმისგან კი თურმე ჩამიჩუმიც არ ისმოდა, ქალიც ამდგარა და წამოსულა. კითხვა-კითხ-

ვით გამოუვლია ამოდენა გზა, ხანდახან თუ დაიმგზავრებდა ვინმე ღვთისნიერი. ბოლოს მიუსწავლებიათ, ვიღაც ბარჩი თუ ბანჩი ჯეფერსონში მუშაობს სარანდავ ფაბრიკაშიო. შაბათს ჩამოსულა, ფორნით ჩვენ რომ მკვლელობის ადგილას ვიყავით, ის ფაბრიკაში მისულა და თავისი ბიჭის მაგივრად ბაირონი შერჩენია ხელში. ბაირონსაც მაშინვე ყველაფერი წვრილად დაუფქვავს. ქალიც აღარ მოშვებია და ბოლოს, ბრაუნის ადგილსამყოფელიც უთქმევინებია. ოღონდ, ის კი აღარ გაუმხელია, ბრაუნი თუ ბარჩი ქრისთმასის ამბავში რომაა გახვეული. საქმეებზეა წასულიო — ასე უთქვამს ქალისათვის. ჩვენში დარჩეს, რითი არაა საქმე? საქმე თუ არა, სამუშაო მაინც? ჯერ ჩემს დღეში არც მინახავს, კაცს ათასი დოლარი ასე ნდომოდეს და ამდენიც ეწვალოს. ქალს უთქვამს, ლუკასი ალბათ სწორედ ამ ბინაზე მელაპარაკებოდაო და ქოხში გადაბარგებულა, აქ დავუცდი, ვიდრე დაბრუნდებოდესო. ბაირონმა, ვერაფრით გავაჩერეო, ერთი რომ მოვატყუე, მერე ველარ ვუთხარი ბრაუნის კაიკაცობის ამბავიო. შერიფის ნახვას ადრევე ვაპირებდი, მაგრამ სანამ გადაბარგებას მოვრჩით, ალბათ, თვითონვე შეიტყო ყველაფერიო“.

„ლუკას ბარჩი, ჰა?“ ამბობს შერიფი

„ცოტა არ იყოს, მეც გამიკვირდა“, პასუხობს თანაშემწე. „ახლა რა ვქნათ?“

„რა უნდა ვქნათ?!“ ამბობს შერიფი. „მე მგონი, იქ არავის არაფერს დაუშავებენ. ვერც გამოვყრი, ჩემი სახლი ხომ არ არის? თან, აკი ბაირონსაც უთქვამს იმისთვის, ბარჩია თუ ბრაუნი, კიდევ კარგა ხანს ვერ მოიცლისო“.

„ბრაუნს თუ ეტყვით ქალის ამბავს?“

„არა მგონია“, ამბობს შერიფი. „რა ჩემი საქმეა?! მე იმისი ალაბამელი, თუ რა ვიცი, კიდევ სადაური, ცოლების დარდი არა მაქვს. მე იმის ჯეფერსონელი ქმარი უფრო მაინტერესებს“.

თანაშემწე ხორხოცებს. „ნამდვილია, წყალი არ გაუვა“, ეუბნება შერიფს. თანდათან მშვიდდება, რაღაცას ფიქრობს. „იმ ათას დოლარს თუ ვერ ჩაიგდებს ხელში, მართლა მოკვდება ის უბედური“.

„ნუ გეშინია, არ მოკვდება“, ამბობს შერიფი.

ოთხშაბათს, დილის სამ საათზე, ქალაქში ვიღაც ზანგმა უბელო ჯორი შემოაგელვა, შერიფს შინ მიადგა და გააღვიძა. ჯეფერსონიდან ოცი მილით მოშორებული ზანგური ეკლესიიდან მოსულიყო, პირდაპირ ღამის ლოცვიდან. თურმე წინა საღამოს, შუა გალობისას, ეკლესიაში რაღაც საშინელი ხმაური გაუგიათ. მლოცველები ამ ხმაურზე შეტრიალებულან და კარებში უცნობის ლანდი დაუნახავთ. კარი ჩაკეტილი არ ყოფილა, ღია დაეტოვებინათ, უცნობს კი ეტყობა მთელი ძალით მოექაჩა სახელური, მოექაჩა და ისეთი გამეტებით მიეჯახებინა კარი კედელზე, ამ ჯახანს დამბაჩის გავარდნასავით ჩაუხშვია შეწყობილი გალობა. მერე, უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში, სწრაფად გაუვლია სკამებს შორის და კათედრისკენ დაუღერებია თავი, საიდანაც ჯერაც ხელებაპყრობილი და პირდაბჩენილი მღვდელი გადმოხრილიყო. მაშინღა გაურჩევიათ იმისი კანის ფერი. ვიდრე კათედრას არ მიახლოვებია, ზეთის ორი ჭრაქით კიდევ უფრო ჩაჟამებულ, ბლანტ, გამოქვაბულისებრ ბინდში ვერავის გაუგია, ვინ იყო და რა სულიერი. მერეღა დაუნახავთ — ზანგი არ არისო — მერეღა აწივლებულა ვიღაც ქალი, უკან მსხდომნიც გულგახეთქილნი წამოშლილან და გამოსასვლელს მისწყდომიან; მონანიეთა სკამზე მჯდომი მეორე ქალიც ლამის ჭკუიდან გადასულა, წამომხტარა, თვალებგადათეთრებული, თვალებგადმოცვენილი, ცოტა ხანს მიშტერებია უცნობს და უკივლია — ეშმაკია! სატანააო! მერე გაქცეულა, მაგრამ პირდაპირ უცნობს გადასწყდომია ზედ, იმას კიდევ ისე უხეთქია სახეში, ფეხიც არ შეუნელებია, წაქცეულისთვის გადაუბიჯებია, დაზაფრული, დასაკივლებლად პირდაბჩენილი ხალხის ზღვა გაურღვევია, კათედრაზე ავარდნილა და ახლა მღვდელს ჩაფრენია კისერში.

— არც მაშინ უხლია იმისთვის ვინმეს ხელიო, ყვებოდა მაცნე. — ისე უცებ მოხდა ყველაფერი, ისიც ვერ გავიგეთ, ვინ იყო, რას გვერჩოდაო: ქალები ყურისწამღებად კიოდნენ თურმე, უცნობი კი კათედრაზე შემხტარა და ძმა ბედენბერის დასძგერებია. ძმა ბედენბერი, როგორც შეეძლო, უყვავებდა და ამშვიდებდა, ის კი სახეში სცემდა და კათედრიდან აგდებდა. ისეთი წივილ-კივილი მდგარა ირგვლივ, არავის გაუგია, რას ეუბნებოდა ძმა ბედენბერი უცნობს, მაგრამ ხელის შებრუნებაც რომ არ უფიქრია, ყველა ხედავდა. მერე, დიაკვანთან ერთად, რამდენიმე დარბაისელი კაციც ასულა კათედრაზე და ახლა იმათ უცდიათ უცნობთან გამოლაპარაკება, იმას კი ძმა ბედენბერისთვის თავი გაუნებებია და ერთი ისეთი უთაქებია სამოცდაათი წლის მამილო ტომპსონისათვის, საცოდავი, პირდაპირ მონანიეთა სკამზე გაშოტილა. მაშინ უცნობსაც გადმოულაჯებია კათედრიდან, სკამს დასწვდენია, თავსზემოთ დაუტრიალებია და ჯიქურ წამოსულა ხალხისკენ. — ჩვენც, რა უნდა გვექნა, სხვა რა უნდა გვეღონა — გზა ვუტიეთო — ჰყვებოდა მაცნე. — ეკლესიაში ისეთი გნიასი და ვაიუშველებელი იდგა, ძლივს გამოვაღწიეთ იქიდანო. ის კი ისევ კათედრაზე

ასულა, თავფეხიანად ტალახში ამოთხვრილი, გაბურძგნული და გაუპარსავი, ძმა ბედენბერის ადგილზე უტიფრად გაჯგიმულა და მღვდელივით აღუპყრია ხელები. ასე იდგა და ღმერთს აგინებდა თურმე ყვირილით. ისე ხმამაღლა გაჰყვიროდა, ქალების კივილიც კი ჩაუხშვია. სამაგიეროდ, მამილო ტომპსონის შვილიშვილს, როზ ტომპსონს, ორმეტრიან ახმახს, ძლივს აკავებდნენ თურმე. როზს გახსნილი სამართებელი სჭერია ხელში. — მოვკლავ. ძმებო, გამიშვით. სულერთია მოვკლავ. ბაბუაჩემს გაარტყა, გეხვეწებით, გამიშვითო, — ევედრებოდა თურმე თავისიანებს. ხალხი კარებს დაეძებდა, ერთმანეთზე გადადიოდა, თავპირისმტვრევით გამორბოდა გარეთ, ის კიდევ კათედრაზე მდგარა და ღმერთს აგინებდა, როზიც თურმე ისევ მოსაკლავად იწევდა, ძლივს აჩერებდნენ, კარებისკენ ექაჩებოდნენ, როზი კი — გამიშვით და გამიშვითო — გაჰყვიროდა თავისას გამწარებული. როზი ერთხელაც გაქაჩულა. ძლივს გაუკავებიათ. იმას, ეტყობა, ხმაურობა გაუგონია და სიცილი დაუწყია. კარებში მდგარა უკვე, შუქი უკნიდან ეცემოდა და ხმამაღლა იცინოდა, მერე, კვლავ გინებას მოჰყოლია, მერე სკამის ფეხი მოუქნევია და ჯერ ერთი ჭრაქის მსხვრევის ხმა გაუგონიათ, კიდევ უფრო დაბნელებულა ეკლესიაში, მერე მეორისა და ახლა მთლად ჩამობნელებულა. როზი კი მაინც არა და არ წყნარდებოდა თურმე, — არ გაუშვა! არ გაუშვა! დაიჭიო! — ჩურჩულით აყვირებულა ვიღაც, მერე სხვასაც დაუძახია ხმამაღლა გაგვექცაო — და გაუგონიათ, როგორ გაქანებულა როზი ეკლესიისკენ. მაშინ უთქვამს დიაკვან ვაინსს მაცნესათვის, — როზი იმას მოკლავს. ჩქარა ჯორს მოახტი, შერიფი მოძებნე და რაც შენი თვალით ნახე, ყველაფერი უამბეო. — გეფიცებით, არავინ ერჩოდა, უფროსოო, ჰყვებოდა ზანგი. — არც ვიცნობდით, არც გვენახა. როზის გაკავებასაც გულით ვცდილობდით, ოღონდ, როზი მოსული ბიჭია, იმანაც სამოცდაათი წლის ბაბუა გაულახა, თან, სამართებელი ეჭირა ხელში და ძალიან არ გაარჩევდა, ვინ დააკავებდა და ვინ გადაუდგებოდა გზაზე. თუმცა, ღვთის წინაშე, მაინც გულით ვცდილობდით გაგვეჩერებინაო.

აი, ეს უამბო შერიფს, რადგან სხვა მაშინ თვითონაც არაფერი გაეგებოდა. ქალაქში დაუყოვნებლივ წამოსულიყო და რა იცოდა, ზანგი როზი ამ დროს უკვე უგონოდ რომ ეგდო ეკლესიის მეზობლად, ქოხში, არ იცოდა, ეკლესიაში შევარდნილს, კარებთან, სიბნელეში გალურსულმა ქრისთმასმა სკამის ფეხით რომ გაუპო თავი. ერთადერთხელ დასცხო, გამეტებით, გაბოროტებით, ნაბიჯების ხმას დაუმიზნა, კარებში გიჟივით შემოჭრილ ვეება ჩრდილს, და ღამის

იმწამსვე გაიგონა გრუხუნით როგორ დაასკდა როზი გადაბრუნებულ სკამებს. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქრისთმასიც მაშინვე გარეთ გამობრუნდა და ახლა ეკლესიის ეზოში გაჩერდა, სკამის ფეხი ისევ მაგრად ჩაებღუჯა, მშვიდად იყო, სუნთქვაც კი არ გახშირებოდა. წვეთი ოფლი არ გამოსვლია, პირიქით, თითქოს გაგრილდა კიდეც და სიბნელეც გრილად ეკვროდა გარს. ეკლესიის ეზოს, გათელილი, დატკეპნილი, ფერწასული მიწის ნახევარწრეს, ბუჩქები და ხეები შემოსჯარვოდა. ბუჩქნარი ზანგებით იყო სავსე: ქრისთმასი განუწყვეტლივ გრძნობდა იმათ მზერას. — მიცქერენ და მიცქერენო, გაიფიქრა. — რა იციან, რომ ვერა მხედავენო. ხარბად ისუნთქავდა ჰაერს; მერეღა შეამჩნია, თურმე, კარგა ხანია სკამის ფეხს ათამაშებდა, ცნობისმოყვარედ, თითქოს წონას უსინჯავდა, თითქოს მანამდე არასოდეს სჭეროდა ხელში. — ხვალ ნაჭდევს გავუკეთებო, გაიფიქრა. სკამის ფეხი იქვე ეკლესიის კედელს მიაყუდა და პერანგის ჯიბიდან სიგარეტი და ასანთი ამოაძვრინა. ასანთს გაჰკრა და ვიდრე ყვითელი, უღონო ალი ძალას მოიკრებდა, ოდნავ გვერდზე თავგადახრილი, წამით გაირინდა. უცებ ფლოქვების თქარათქური გაიგონა. უსმენდა, თანდათან როგორ ძლიერდებოდა და მერე, ნელ-ნელა, როგორ მიწყდა. „ჯორია“, თქვა არცთუ ისე ხმამაღლა. „ქალაქისკენ მიქრის მახარობელი“. სიგარეტს მოუკიდა, ასანთის ღერი წკიპურტით მოისროლა, იდგა, ეწეოდა, ცეცხლის პაწია, ცოცხალ წერტილზე ზანგების მიშტერებულ თვალებს გრძნობდა. ვიდრე სიგარეტი ბოლომდე არ ჩაიყვანა, არც შერხეულა, თუმცა, სიფხიზლე წამითაც არ მოსდუნებია. მერე ზურგით კედელს მიეყრდნო და მარჯვენა ხელით ისევ სკამის ფეხს დასწვდა. ბოლო ნაფაზიც დაარტყა და ანთებული სიგარეტი წკიპურტით გატყორცნა ბუჩქებისაკენ, გატრუნული ზანგებისკენ. „ნაფაზი კიდევ გამოვა, ბიჭებო“, გასძახა სიბნელეს და მისი ხმა მოულოდნელად, მჭახედ გაისმა სიჩუმეში. ბუჩქნარიდან ჰაერში გაელვებული სიგარეტი დაინახეს, ცოტა ხანს კიდევ უცქირეს მიწაზე მოციმციმეს, ოღონდ, ის კი ვერავინ შეამჩნია, ქრისთმასი როდის წავიდა, რომელ გზას დაადგა.

მეორე დილით, რვა საათზე, შერიფიც ჩავიდა თავის რაზმიანძაღლებიანად. ერთი ნადავლი მაშინვე ჩაუვარდათ ხელთ, თუმცა, ამ საქმეში ძაღლებს არავითარი წვლილი არ მიუძღვოდათ. ეკლესიაცარიელი იყო; ირგვლივ ზანგის ჭაჭანება არ ჩანდა. რაზმი ეკლესიაში შევიდა და აუჩქარებლად მოავლო თვალი წუხანდელ ნამუსრევს. მალევე გამობრუნდნენ უკან. ძაღლებმაც იმწამსვე აიღეს გეში, ოღონდ, ვიდრე იმათ მიუშვებდნენ კვალზე, შერიფის თანაშემწემ მანამდე იპ-

ოვა კედლის ბზარში გარჭობილი ქაღალდის ნაგლეჯი. ქაღალდი, აშკარად შეგნებულად დაეტოვებინა ვიღაცას. როცა გახსნეს, ცარიელი, საგულდაგულოდ გასწორებული სიგარეტის კოლოფი შერჩათ ხელში, რომლის შიგნითა, სუფთა მხარეზე რამდენიმე სიტყვა ეწერა ფანქრით. დაუდევრად, გაუწაფავი ხელით, ანდა, შეიძლება, სიბნელეში დაწერილი ერთადერთი, უწმაწური, ხელმოუწერელი ფრაზა პირადად შერიფისადმი იყო მიმართული. „ხომ გეუბნებოდით?“ თქვა რაზმის ერთ-ერთმა წევრმა. იმასაც წვერი მოეშვა ლტოლვილივით, რომლისთვისაც ჯერ შორიდანაც არ მოეკრათ თვალი, ისიც ტალახში ამოგანგლულიყო, დაძაბული სახე იმედისგაცრუებისა თუ შეურაცხყოფისაგან შეშლოდა და ხმაც ჩახრინწვოდა, თითქოს ეს-ესაა ყელი ყვირილით ჩაუხევია, ანდა, კარგა ხანია გაუჩერებლივ ულაპარაკიაო. „სულ ვამბობდი! სულ ამას გიჩიჩინებდით!“

„რას მეუბნებოდი?“ ჰკითხა შერიფმა. ცივი, აუღელვებელი ხმა ჰქონდა, გაყინული თვალებით მისჩერებოდა და ქაღალდის ნაგლეჯიც ჯერ ისევ ხელში ეჭირა. „რა მითხარი და როდის?“ მეორე უხმოდ შესცქეროდა, აღშფოთებული, სასოწარკვეთილი, ეტყობოდა, ცოტაც და საბოლოოდ გაუწყდებოდა მოთმინების ძაფი; იმის შემხედვარე შერიფის თანაშემწემ გაიფიქრა, — არა, ჯილდო თუ ვერ მიიღო, ნამდვილად მოკვდება ეს უბედურიო. თან, რაღაცის თქმასაც ცდილობდა, პირი დაეღო, ოღონდ ხმა კი არ ამოსდიოდა, თავგზააბნეული, დაეჭვებული, გაოცებული იდგა. „შენ გირჩევნია, ჩემი ნათქვამი დაიხსომო“, უთხრა შერიფმა, ისევ ცივი, ისევ მშვიდი ხმით. „მეც ხომ გითხარი? თუ არ მოგწონს, რასაც ვაკეთებ, კეთილი ინებე და ქალაქში დაეტიე. იქ შენთვის ერთი კარგი ადგილი მეგულება. გრილი. ამ მზეში ტყუილად რაღას იხრუკები? არ თქვა ახლა, არ გითქვამსო“.

იმან პირი დამუწა. თითქოს დიდი ძალდატანების ფასად შერიფს თვალი აარიდა და, თითქოს დიდი ძალდატანების ფასადვე — ჰოო, — ამოიხრიალა სულშეხუთულმა.

შერიფი მძიმედ შეტრიალდა, თან ბარათს ჭმუჭნიდა. „ჰოდა, მაშინ ეცადე, ჩემი ნათქვამიც აღარ ამოგივარდეს თავიდან. თუკი საერთოდ გაბია მხრებზე თავი“. დილის მზის შუქში იდგნენ, მშვიდი, საქმიანი სახეებით გარშემორტყმულნი. „ისე, ჩვენში დარჩეს და, ძალიან კი მეეჭვება“, დაუმატა ბოლოს. ვიღაცამ დაიხორხოცა, ერთხელ, როყიოდ. „გეყოთ ხმაური“, გაბრაზდა შერიფი. „წასვლის დროა. ძაღლები მიუშვი, ბუფ“.

ძაღლები მიუშვეს, ოღონდ, ღვედები ჯერ მაინც არ მოუხსნიათ. იმათაც მაშინვე იპოვეს კვალი. კარგი კვალი იყო, ნამის წყალობით

იოლი მისადევნი. არც ლტოლვილი ცდილა კვალის დამალვას. წყაროს ნაპირას, სადაც, ეტყობა, წყლის დასალევად ჩაემუხლა, მისი მუხლებისა და ხელების ანაბეჭდიც ჩანდა. „ჯერ არასდროს შემხვედრია მკვლელი, თავისი მდევრები უკეთესად სცნობოდეს“, თქვა შერიფის თანაშემწემ. „ოღონდ, ამ შტერს, ეტყობა, ძაღლების არსებობა საერთოდ დავიწყებია“.

„ძაღლებით არ დავდევთ კვირიდან მოყოლებული?“ თქვა შერიფმა, — „და ჯერაც ვერ დაგვიჭერია“.

„ის რა კვალი იყო?! დღევანდლამდე წესიერი, ცხელ-ცხელი კვალი არც გვიპოვია. ახლა კი, როგორც იქნა, დაუშვა შეცდომა. დღეს უეჭველად ავიყვანთ, იქნება შუადღემდეც დავიჭიროთ“.

„აღდგომა და ხვალეო, იქნებ მაგ დროს მეც მოვესწრო“, თქვა შერიფმა.

„მოესწრებით,“, მოუგო თანაშემწემ. „ვერა ხედავთ, ლიანდაგივით გაჭიმული კვალია. ლამის მარტოკა მივყვე. შეხედეთ. აგე, როგორ მოჩანს ნაფეხურები. იმ შტერს იმდენი ჭკუაც არ ეყო, შარაზე გადასულიყო, მტვერში. ამ ნაკვალევის ბოლოს ძაღლები ათ საათამდე მიაგნებენ“.

ასეც მოხდა. მალე ნაკვალევმა მკვეთრად, სწორი კუთხით გადაუხვია გვერდზე. მდევრებიც მიწაში ცხვირჩარგულ, მოწადინებულ ძაღლებს მიჰყვნენ და გზაზე გამოვიდნენ, ძაღლებმა ცოტა კიდევ ირბინეს, მერე ისკუპეს და ისევ გადაცვივდნენ გზიდან, მინდორში ეულად მდგომი ბამბის საწყობიდან ჩამომავალი ბილიკისკენ იბრუნეს პირი. არეულ-დარეულად, წვალებ-წვალებით, ხმამაღლა აყეფდნენ ერთხელაც, აწკმუტუნდნენ, აღეგზნენ და ახალი ძალით გაიწიეს. „რა შტერია!“ თქვა შერიფის თანაშემწემ. „აქ დამჯდარა დასასვენებლად. აგე ნაკვალევი: იგივე რეზინის ქუსლებია. ერთი მილითაც აღარ გვისწრებს! აბა ბიჭებო, წავედით!“ კვლავ განაგრძეს გზა, ძაღლებიც აყეფდნენ, ღვედები დაჭიმეს, ფეხი ააჩქარებინეს მდევრებს. შერიფი გაუპარსავ კაცს მიუბრუნდა.

„აი, თუ კარგი ბიჭი ხარ, ახლა გადაგვისწარი, დაიჭირე და ის ათასი დოლარიც ჩაიჯიბე, ჰა, რაღას უცდი?“

იმას არაფერი უპასუხია; უკვე ძლივს იბრუნებდნენ ყველანი სულს, მით უმეტეს მაშინ, როცა ლამის მთელი მილი არბენინეს დაუოკებელმა და აყეფებულმა ძაღლებმა ბილიკ-ბილიკ აღმართში, სიმინდის ყანისაკენ. მერე უეცრად გაკმინდეს ხმა, უეცრად შეწყვიტეს ყეფა, თუმცა, წადილი თუ არ მომატებიათ, ნამდვილად არ მოკლებიათ; კაცებიც მირბოდნენ. კაცის სიმაღლე სიმინდების იქით ზანგების

ქოხი იდგა. „იქ არის“, თქვა შერიფმა, თან დამბაჩას იღებდა ბუ-
დიდან. „ახლა კი ყურადღებით ბიჭებო. იმასაც ექნება იარაღი“.

ყველაფერი გონივრულად და ოსტატურად გაკეთდა: ჩასაფრებუ-
ლი, შეიარაღებული მდევრები უხმაუროდ შემოერტყნენ სახლს, შერი-
ფი კი, ეს ვეებერთელა და ზონზროხა კაცი, თანაშემწესთან ერთად
საოცარი სისწრაფით მიიჭრა ქოხთან და ისე აეკრა კედელს, ლტოლვილს
ვერცერთი ფანჯრიდან რომ ვერ დაენახა. მერე კედელ-კედელვე შე-
მოურბინა ქოხის კუთხეს, კარი წიხლით შეაღო და დამბაჩამომარჯვე-
ბული შიგნით შევარდა. ქოხში ზანგის ბავშვი დაუხვდა. დედიშობი-
ლა იჯდა კერიასთან, გაცივებულ ნაღვერდალში და რაღაცას ლოღნი-
და. ეტყობა, შინ მარტო იყო, თუმცა, წამის შემდეგ ტიხარს იქიდან
ქალიც გამოვიდა, გაოცებისგან პირი დააღო და ხელიდან ტაფა
გაუვარდა. კაცის ფეხსაცმელები ეცვა, შერიფის ერთ-ერთმა რაზმელ-
მა მაშინვე იცნო. ქალმა უამბო, გამთენიისას როგორ შეხვედროდა
გზაზე ვიღაც თეთრკანიანი და როგორ გაეცვალათ ფეხსაცმელები:
ქალს მაშინ ქმრის უხეში წაღები სცმოდა და უცნობსაც, სანაცვ-
ლოდ, სწორედ ისინი წაეღო. შერიფი ხმის ამოუღებლად უსმენდა.
„სად მოხდა ეგ ამბავი, ბამბის საწყობთან?“ ჰკითხა ბოლოს. — ჰოო,
დაუდასტურა ქალმაც. შერიფი ისევ თავისიანებთან დაბრუნდა, აღგ-
ზნებულ, გაქაჩულ ძაღლებთან. ვიდრე რაზმელები შეკითხვას შეკითხ-
ვაზე აყრიდნენ, ძაღლებისთვის თვალი არ მოუშორებია, მერე ყველანი
გაჩუმდნენ, უხმოდ შეაცქერდნენ შერიფს. იმან დამბაჩა ისევ ბუდეში
ჩააბრუნა და თითო მძიმე წიხლი უთავაზა ძაღლებს. — მომაშორეთ
ეს ქარაქუცებიო — ბრძანა.

შერიფი მუყაითი ოფიცერი იყო. თვითონაც და მისმა რაზმელებმაც
მშვენივრად იცოდნენ, ისევ ბამბის საწყობთან დაბრუნება რომ მარ-
თებდათ, სადაც, მათი ღრმა რწმენით, მთელი ამ ხნის მანძილზე
იმალებოდა ქრისთმასი, თუმცა, არც იმის იმედი ჰქონდათ, ლტოლვილი
ისევ იქ დაგვიხვდებაო. ძაღლები რის ვაივაგლახით მოაშორეს ქოხს
და ათი საათის კაშკაშა მზეშილა შემოარტყს ალყა ბამბის საწყობს —
ისევ ოსტატურად, ისევ უხმაუროდ, ყველა წესის დაცვითა და ყოველ-
გვარი იმედის გარეშე; საწყობში შეცვენილებს, ერთი გაოცებული და
გულგახეთქილი ვირთაგვის მეტი არაფერი უპოვიათ. ახლა მხო-
ლოდ ძაღლების იმედი თუღა ექნებოდათ, არადა, ისინიც სათოფეზე
არ ეკარებოდნენ საწყობს; ცოცხალი თავით გზიდან ფეხის მოცვ-
ლას არ აპირებდნენ, იქაჩებოდნენ, ლამის საყელოებიდან გამომ-
ძვრალიყვნენ და ისევ უკან, ქოხისკენ იწევდნენ, ქოხისკენ მიილტვოდნენ,
საიდანაც ძლივს წამოეთრიათ. ორი კაცის ღონე დასჭირდა იმათ

მოყვანას, მაგრამ, ღვედები ოდნავ მოუშვეს თუ არა, ერთდროუ-
ლად მოსწყდნენ ადგილს, წინ გავარდნენ, საწყობს შემოურბინეს,
კედლის ჩრდილში, ჯერაც ნამიან სარეველაში ცოტა ხანს ყნოსეს
ლტოლვილის ნაფეხურები და კვლავ გზისკენ გაქანდნენ, ის ორი
კაციც დაახლოებით ორმოცდაათი იარდი ათრიეს და არბენინეს,
ვიდრე დიდი წვალება-ჯახირის ფასად, ღვედებს ხეზე გამოაბამდნენ
და ასე დააოკებდნენ გადარეულ ძაღლებს. ამჯერად შერიფს წიხლიც
აღარ გაუმეტებია მათთვის.

როგორც იქნა მიწყდა, როგორც იქნა, ჩათავდა ნადირობის
გნიასი და ორომტრიალი, ნადირობის ხმაური და მძვინვარება. კა-
ცებმა და ძაღლებმა რომ ჩაირბინეს, ქრისთმასი ბამბის საწყობში
აღარ იყო, შერიფს ვარაუდი არ გაუმართლდა. იქ მხოლოდ წაღების
შესაკრავად შეყოვნდა; შავი, ზანგის სუნით გაჟღენთილი ფეხსაც-
მელების შესაკრავად. ფეხსაცმელები რკინის მადნიდან ბლაგვი ცუ-
ლით გამოჩორკნილებს ჰგავდნენ. ერთი კი დახედა ამ უხეშ, დაუმ-
თავრებელ, ტლანქ უფორმობას და — ჰაჰო, — გამოსცრა კბილებში.
ეჩვენებოდა, თითქოს გვერდიდან ადევნებდა თვალს საკუთარ გაწამაწიას,
საკუთარ თავს, თეთრკანიანი მდევრების მიერ ბოლოს და ბოლოს
შედენილს, ბოლოს და ბოლოს მიმწყვდეულს შავ უფსკრულში, რომელ-
იც ოცდაათი წელი ცდილობდა, ოცდაათი წელი ელოდა მის ჩახრ-
ჩობას და ახლაღა აესრულებინა საწადელი — აკი თვალნათლივ
აჩნდა კოჭებთან, სადამდისაც ჩაფლულიყო უკვე.

განთიადია, მზე ესესაა ამოიწვერა: განაცრისფრებულ, გაუკაცრიე-
ლებულ მდუმარებაში მშვიდად, გაუბედავად იღვიძებენ ჩიტები. ჰაერი
წყაროს წყალივით კამკამებს. ქრისთმასიც ხარბად, სვენებ-სვენებით
ისუნთქავს ჰაერს და გრძნობს, ყოველი ჩასუნთქვისთანავე თვითონაც
როგორ ითქვიფება სინაცრისფრეში, თვითონაც იმ მდუმარებისა და
სიმშვიდის ნაწილი ხდება, რომლისთვისაც ერთნაირად უცნობია
მძვინვარებაცა და სასოწარკვეთაც. „მეტი არც არაფერი მდომებია“,
ფიქრობს დაწყნარებული, გაოცებული. „სულ ეს იყო ოცდაათი წლის
მანძილზე. განა რა იმდენი მითხოვია ოცდაათ წელიწადში“.

ოთხშაბათს აქეთ, თითქმის არ სძინებია, მერე ოთხშაბათი ისევ
დადგა და გავიდა კიდეც, თუმცა თვითონ არც იცის, როცა დროზე
ფიქრობს, ეჩვენება, თითქოს ოცდაათწლიანი ცხოვრება სახელდებუ-
ლი, დათვლილი, მარგილებივით ჩარიგებული დღეების მესერს მიღ-
მა გაატარა — ხოლო ერთ დილას მესერს გარეთ გამოეღვიძა მოულოდ-

ნელად. თავიდან, მას მერე, რაც პარასკევ ღამეს ჯეფერსონიდან გამოიქცა, ძველი ჩვეულების კარნახით ცოტა ხანს კიდევ ცდილობდა დღეების სათვალავი არ არეოდა. ერთხელ თივის ზვინში გაათია ღამე და სწორედ იმ დროს გაახილა თვალი, როცა შორიახლოს მდებარე ფერმაც ის-ის იყო იღვიძებდა. ჯერ დაინახა, ყვითლად როგორ შეცურდა სამზარეულოში ლამპა, მერე, ნაცრისფერ დილაბნელში, ცულის გამოზომილი, ყრუ დარტყმები გაიგონა, ცოტა ხანში კი ბოსლიდან ახლადგაღვიძებული საქონლის ბღავილი და კაცების ნაბიჯების ხმაც მოესმა. ბოლოს, კვამლის სუნიც ეცა, კვამლისა და ცხელი, ძძაფრი საჭმლისა, რამდენჯერმე ჩუმად, თავისთვის გაიმეორა ***მას მერე არ მიჭამია, მას მერე არ მიჭამია*** ცდილობდა გაეხსენებინა, რა დრო გასულიყო პარასკევს ჯეფერსონის რესტორანში ვახშმობის შემდეგ, გაუნძრევლად იწვა, მოუთმენლად ელოდა, როდის მოამთავრებდნენ კაცები საუზმეს, როდის წავიდოდნენ მინდორში, და უეცრად, ჭამაზე უფრო მნიშვნელოვნად იმის გაგება მოეჩვენა, რა დღე იყო, კვირის რომელი დღე დამდგარიყო. ამიტომაც, როცა ბოლოს და ბოლოს კაცები შინიდან გაეტიენ და თვითონაც ფერმისკენ დაეშვა, რბილად, ჩალისფრად დაღვრილ მზეში შეაბიჯა და სამზარეულოს კარს მიადგა, საჭმლის თხოვნა აზრადაც არ მოსვლია. არადა, აპირებდა, გრძნობდა კიდევაც, როგორ მწკრივდებოდნენ გონებაში მაგარ-მაგარი სიტყვები და როგორ მოიწევდნენ ენის წვერისკენ. სამზარეულოდან გამხდარმა, ტყავივით გამომშრალმა ქალმა გამოხედა, ერთი კი შეათვალიერა და ისეთი შიში, ისეთი შეძრწუნება ჩაეღვარა თვალებში, ეტყობოდა, იმის ყურამდეც უნდა მიეღწია ქრისთმასის ამბავს. ***მიცნობს. ამასაც მოუკრავს ყური*** გაიფიქრა ქრისთმასმაც და, ვიდრე ფიქრს დაასრულებდა, მანამდე გაიგონა საკუთარი მშვიდი ხმა: „ხომ ვერ მეტყვით, დღეს რა დღეა? სხვა არაფერი მინდა, მხოლოდ ამის გასაგებად მოვედი“.

„რა დღეა?“ ქალსაც, ქრისთმასივით, ხმელი სახე ჰქონდა, ქრისთმასივით გამხდარი, ქრისთმასივით დაუღალავი და ნატანჯი სხეული. „აქედან დამეკარგე!“ აყვირდა უცებ. „სამშაბათია! აქედან დამეკარგე! იცოდე, ჩემს კაცს დავუძახებ!“

— გმადლობთო, — თქვა ქრისთმასმა წყნარად, როცა ქალმა ცხვირწინ მიუჯახუნა კარი. მერე უკვე გარბოდა. არ ახსოვდა, როდის გაქცეულიყო. ცოტა ხანს ეგონა, შორეული მიზანი მიხმობს, ამ მიზნისაკენ მივრბივარო, თითქოს ფეხებს სირბილშივე გახსენებოდათ რაღაც, ფეხები მიარბენინებდნენ დაუკითხავად და ამიტომ, აღარც იმაზე სჭირდებოდა ტვინის ჭყლეტა, ასე გიჟივით რად გავრბივარო, მითუმეტეს,

სირბილი არ უჭირდა. პირიქით, სიმსუბუქეს გრძნობდა, წონა დაჰკარგვოდა. მთელი სისწრაფით მიქროდა და ვიდრე არ წაიქცა, მაინც სულ ეჩვენებოდა, საერთოდ ვერა ვგრძნობ ფეხებს, მყარად ვერ ვიკიდებ ფეხს მიწაზეო. არაფერს წამოსდებია, მთელი ტანით კი გაიშხლართა, თუმცა, ერთი პირობა ჯერ ისევ ეგონა, არაფერი მომსვლია, ისევ მივრბივარო. არადა, გადახნული მინდვრის ნაპირას ეგდო, დამშრალ თხრილში სახეჩარგული. — ადგომა აჯობებსო, თქვა. წამოჯდა კიდეც და ნახა, მზეს ნახევარი გზაღა დარჩენოდა შუბის ტარამდე, ოღონდ, ახლა მეორე მხრიდან დანათოდა. იფიქრა, ალბათ, მხარი მეცვალაო. მერეღა მიხვდა, მოსაღამოებულაო. დილით წაქცეული, საღამოსღა წამოდგა ფეხზე, თუმცა, თვითონ დარწმუნებული იყო, მაშინვე წამოვჯექიო. — მეძინაო, გაუელვა ფიქრში. — ექვს საათზე მეტი მეძინა. იქნება, სირბილში ჩამეძინა, კი, სწორედ ასე იქნებოდაო.

გაოცებით მაინც არაფერს გაუოცებია. დროს, სინათლისა და სიბნელის მონაცვლეობას, უკვე კარგა ხანია დაერღვია დადგენილი წესრიგი. ველარ გაეგო, როდის დღე იყო და როდის — ღამე. მართლაც ისე უეცრად, ერთ წამში, თვალისდახამხამებაში ცვლიდა ბნელს ნათელი და ნათელს — ბნელი. ვერც იტყოდა, როდის გადადიოდა ერთიდან მეორეში, ეძინა, მაგრამ არ ახსოვდა, როდის დაწოლილიყო, გზას ადგა და ვერ გაეხსენებინა, როდის გაღვიძებოდა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ თივის ზვინში, თხრილსა თუ მიტოვებულ ფარდულში ძილს, დაუყოვნებლივ ახალი ღამე მოსდევდა, დღე აღარ არსებობდა, გზის გასაგნებად აუცილებელი დღის სინათლე; ზოგჯერ დღესაც ისევ დღე მოსდევდა, ისევ სირბილი, ისევ დავიდარაბა, თითქოს მზე კი არ ჩადიოდა, ჰორიზონტისკენ მიმავალი, უცბად იცვლიდა გეზს, უკან, საპირისპირო მიმართულებით აგრძელებდა სვლას და ახლა სიბნელეს, ძილს, დასვენებას ხდიდა სანატრელს. როცა ზეზეურად, ანდა წყაროსთან წყლის დასალევად ჩამუხლულს ჩაეძინებოდა ხოლმე, არასოდეს იცოდა წინასწარ, მზით გაჩახჩახებული თუ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ გაახელდა ხელახლა თვალს.

თავიდან, ცოტა ხანს, განუწყვეტლივ შიოდა, დამპალ, მატლების გამოხრულ ხილს აგროვებდა და იმას ჭამდა; ხანდახან ყანაშიც გადაიპარებოდა ხოლმე და ჩაცუცქული ღრღნიდა სიმინდის მწიფე, კარტოფილის სახეხივით მაგარ ტაროებს. განუწყვეტლივ ჭამაზე ფიქრობდა, სულ ნაირნაირი კერძები ედგა თვალწინ. სამი წლის წინ, სამზარეულოს მაგიდაზე მისთვის გაწყობილი ვახშამიც ახსენდებოდა, არც ის დავიწყებოდა, როგორ დინჯად, აუჩქარებლად ათამაშებდა ხელში საჭმ-

ლიან თეფშებს, ვიდრე გამეტებით მიახლიდა კედელს და ეს მოგონება სინანულის, სინდისის ქენჯნის, გააფთრების მტანჯველ, დაუძლეველ გრნობას ბადებდა. მერე, ერთ მშვენიერ დღესაც, შიმშილი თავისთა-ვად გაუქრა. მოულოდნელად, უმტკივნეულოდ მოხდა ყველაფერი. დამშვიდდა კიდეც, ერთბაშად დაცხრა. არადა, იცოდა, უჭმელობაც არ იქნებოდა. ამიტომაც, თავს ძალას ატანდა, ძალისძალად იტენიდა პირში დამპალ ხილსა თუ მაგარ სიმინდს და ნელ-ნელა, საქმიანად, უგემურად ღეჭავდა. უამრავს ჭამდა, მერე კი სისხლზე გადიოდა. თუმცა, მაინც ხელახლა, ლამის დაუყოვნებლივ, ისევ ჭამის სურვილი უჩნდებოდა. ოღონდ, მოთხოვნილებას კი არ უხდიდა ხარკს, აუცილე-ბლობის შეგნებით იყო ერთიანად შეპყრობილი. ცდილობდა და ვერ იხსენებდა, უკანასკნელად როდის შეეჭამა ადამიანური, ცხელი კერძი. ბუნდოვნად შეიგრძნობდა რაღაცას, ბუნდოვნად ხედავდა რაღაც სახლსა თუ ქოხს, ოღონდ ვერაფრით გაერკვია, რომელი იყო — სახლი თუ ქოხი, თეთრკანიანებისა თუ ზანგების ბინა. მერე, ერთხ-ელაც, როცა დაქანცული იჯდა და ისვენებდა, როცა გამხდარ, დაღ-ლილ, გაუპარსავ სახეზე ნეტარი რინდი გადაჰფენოდა, უეცრად ზანგ-ის სუნი ეცა. არ შერხეულა (ზურგით ხეს მიყრდნობოდა, წყაროსთან, თავი უკან გადაეგდო, ხელები კალთაში დაეკრიფა და ნატანჯ-ნაწამები სახე დამშვიდებოდა), ზანგური კერძის, ზანგური საჭმლის სუნსა გრძნობდა და ხედავდა კიდეც ამ საჭმელს. ოთახში იყო. არ ახსოვდა, როგორ მოხვედრილიყო იქ. ოთახში პანიკურ შიშსა და თავზარდაცემას დაე-სადგურა, თითქოს მოულოდნელი საფრთხით გულგახეთქილი ბინა-დარნი ცოტა ხნის წინ თავქუდმოგლეჯილნი გაცვენილიყვნენ გარეთ. თვითონ მაგიდასთან იჯდა, იცდიდა, არაფერზე ფიქრობდა ამ მდუ-მარე, დაზაფრულ სიცარიელეში. მერე საჭმელი დაინახა, საჭმლიანი თეფში გრძელ, მოქნილ, შავ ხელებს მოჰქონდათ და, ვიდრე მაგიდაზე დადებდნენ, თითქოს იმათაც სულ გაქცევაზე ეჭირათ თვალი. არ უსმენდა, ოღონდ მაინც ესმოდა ღეჭვისა და ყლაპვის ხმებში არეული, გაქცეული და მიმალული ხალხის ოხვრაზე უფრო ჩუმი, შეძრწუნებუ-ლი და მწუხარე მოთქმა-გოდება. — ზანგების ქოხში ვიყავიო, გაიფიქრა. — იმათ კი ეშინოდათ. თავიანთი ძმისა ეშინოდათო.

იმ ღამეს უცნაური სურვილი დაებადა. დასაძინებლად იწვა, მაგრამ ძილი არა და არ ეკარებოდა თითქოს, სწორედ ისევე, როგორც კუჭი აღარ იკარებდა ძალდაუტენებლად მობეზრებულსა და უსარგე-ბლო საკვებს. უცნაური კი ის იყო, ვერაფრით რომ ვერ მიმხვ-დარიყო, ვერაფრით აეხსნა, საიდან ან რატომ გასჩენოდა ამგვარი სურვილი: თურმე ცდილობდა, გამოეთვალა, კვირის რომელი დღე

ადგა. თითქოს, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ახლაღა დაუფლებოდა დაჟინებული და ჯიუტი მოთხოვნილება ერთხელ და სამუდამოდ გადაესვა ხაზი უკვე განვლილი დღეებისათვის დღეთა იმ მარაგიდან, რომელნიც გარკვეულ მიზანს, გარკვეულ დღესა თუ საქციელს აშორებდ-ნენ და, თან, არც დაეკლო სათვალავისთვის რამე და არც გადაეჭარ-ბებინა. სწორედ ამ მოთხოვნილებით შეპყრობილი მინებდა უგონობასაც, რადაც ახლა ძილი ქცეულიყო მისთვის, ხოლო, როცა ნაცრისფერ, ნამიან ალიონზე გამოეღვიძა, მოთხოვნილებას იმდენად მკაფიო სახე მიეღო, უკვე უცნაურადაც აღარ მოსჩვენებია.

თენდება, მზე ესესაა ამოიწვერა. ქრისთმასი წყაროზე ჩადის, ჯი-ბიდან სამართებელს, ფუნჯსა და საპონს იღებს. ჯერ ისევ ბნელა, წყალში ნათლად ვერ არჩევს საკუთარ სახეს და ცოტა ხანს იცდის, გათენებას ელოდება. მერეღა ისაპნავს ლოყებს მოთმინებით, წყალი ცივია, სუსხიანი. ხელი უკანკალებს, ჩქარობს, ოღონდ ისეთი ქანცგაწ-ყვეტილია, მთელი ნებისყოფის მოკრება უხდება სამართებელი რომ არ გაუვარდეს. სამართებელი დაბლაგვებულა; ცდილობს წაღის ყელზე გალესოს, მაგრამ ტყავი ნამს დაუცვარავს, რკინასავით გამაგრებულა. რის ვაივაგლახით იპარსავს. ხელი უკანკალებს; მაინც ცოდვილობს და სამჯერ თუ ოთხჯერ იჭრის კანს, სისხლის დენას ცივი წყლით იჩერებს. მერე საპარს მოწყობილობას ისევ ჯიბეში ინახავს და მიდის. შეუძლია იოლი გზა აირჩიოს, კვლებში გადავიდეს, მაგრამ, ჯიუტად, სწორ ხაზზე მიაბიჯებს. ცოტა ხანში შარაზე გადის და გზის პირას ჯდება. უკაცრიელი, მდუმარე შარა უჩუმრად გაწოლილა მის თვალწინ, უჩუმ-რად იკარგება შორეთში; უფერულ მტვერს იშვიათი ფორნების ვიწრო ნაკვალევი და ცხენებისა და ჯორების ნაფეხურები ამჩნევია, აქა-იქ — ადამიანის ნატერფალიც. ქრისთმასი გზისპირას ზის, უპიჯაკოდაა, ერთ დროს თეთრი პერანგიცა და ოდესღაც გაუთოვებული შარვალიც გაჭუჭყიანებია, ტალახით მოთხვრია, იმისი გამხდარი სახე დარჩენილი წვერისა და შემხმარი სისხლის ნაკუწებს დაულაქავს, დაღლილობისა და სიცივისგან ოდნავ შესამჩნევად კანკალებს, მაგრამ მალე მზე ძალას იკრებს და თანდათან ათბობს. ცოტა ხნის შემდეგ მოსახვევში ორი ზანგი ბავშვი გამოჩნდება, ნელ-ნელა უახლოვდებიან. ვიდრე ხმას არ ამოიღებს, ქრისთმასს ვერც ამჩნევენ; მერეღა შეშდებიან, ერთ ადგილას ქვავდებიან და თეთრად დაყვლეპილი თვალებით მიაჩერდებიან. „რა დღეა დღეს?“ ეკითხება ახლა იმათ. ისინი კი ხმას არ იღებენ, დამუნჯე-ბულნი შესცქერიან. ქრისთმასი ოდნავ აქნევს თავს. „წადით“, ეუბნება ბავშვებს. ისინიც მიდიან. თვალს არ აყოლებს, ძველებურად ზის, ჩაფ-იქრებული მიშტერებია იმ ადგილს, სადაც წელან ბავშვები იდგნენ,

თითქოს წყვილი ნიუარიდან გამოვიდნენ, ნიუარები კი იქვე დატოვეს. ვერ ხედავს, როგორ გარბიან თავქუდმოგლეჯილები.

თვითონაც ვერ ხვდება, გზისპირას ჩამომჯდარსა და მზის გამთბარს, როდის ერევა რული. მოულოდნელად აფხიზლებს აულრიალებულ-აჭრიალებული ხისა და რკინის საშინელი რახარუხი და ფლოქვების თქარათქური. სწორედ იმ დროს ახელს თვალს, როცა ფორანი მოსახვევში უჩინარდება, ფორანში მსხდომნი მხარს ზემოდან გამოსცქერიან, მეფორნე კი გამალებული იქნევს მათრახიან ხელს. — ამათაც მიცნესო, ფიქრობს. „ამათაც, იმ თეთრკანიანმა ქალმაც და ზანგებმაც, ვისთანაც იმ დღეს ვჭამე. თუ მოინდომებდნენ, ნებისმიერ მათგანს შეეძლო ჩემი დაჭერა. მაგრამ ყველამ რატომღაც გაქცევა ამჯობინა. სუყველას ჩემი დაჭერა უნდა, არადა, როცა თვითონვე ვეახლები ხოლმე და ლამისაა ვუთხრა კიდეც, აჰა, ბატონო, აგერა ვარ, არსად ვიმალები-მეთქი ***ჰო მართლა ვეტყოდი, ვეტყოდი დამლალა ამდენმა წანწალმა და სირბილმა დავიღალე საკუთარი სიცოცხლის კვერცხებით სავსე კალათასავით თრევით-მეთქი*** უკანმოუხედავად გარბიან. თითქოს ჩემი შეპყრობის რაღაც სავალდებულო წესი არსებობდეს და თუ სხვანაირად ჩამიგდეს ხელში, იმ წესს დაარღვევენ“.

ისევ ბუჩქნარში ბრუნდება, თუმცა ახლა გაფაციცებული აყურადებს და ფორნის ხმაც მანამდე ესმის, ვიდრე გამოჩნდებოდეს. ჯერ მაინც იმალება, ფორანი რომ გაუსწორდება, მაშინღა გამოდის გზაზე და — ჰეიო, შესძახებს ხმამაღლა. ფორანი ბიძგით ჩერდება, მოწყვეტით. ზანგ მეფორნეს თავი უკან უვარდება; სახეზე, იმასაც, გაოცება აწერია, მერე, ეტყობა, ქრისთმასს სცნობს და თავზარი ეცემა. „რა დღეა დღეს?“ ეკითხება ქრისთმასი.

ზანგი გაშტერებული, ყბაჩამოვარდნილი უყურებს. „ررررا ბრძანეთ?“

„რა დღეა-მეთქი დღეს? ხუთშაბათი, პარასკევი? ჰა? რა დღეა? ნუ გეშინია, არაფერს გიზამ“.

„პარასკევია“, ამბობს ზანგი. „ოხ, ღმერთო ჩემო, პარასკევი“.

„პარასკევი“, იმეორებს ქრისთმასი. ისევ იქნევს თავს. „წადი“. ზანგი გამეტებით ურტყამს ჯორებს მათრახს, ჯორებიც დაფეთებულნი სწყდებიან ადგილს. ეს ფორანიც საშინელი სისწრაფით ეფარება თვალს. მათრახი გაუჩერებლივ ადი-ჩადის ზევით-ქვევით. მაგრამ ქრისთმასს ფორნისთვის უკვე ზურგი შეუქცევია, ისევ ტყეში შებრუნებულა.

ახლაც პირდაპირი გეზი აურჩევია, თითქოს მიწისმზომელის გავლებულ ხაზს მიჰყვებაო და არც მთას ეპუება, არც ხევს, არც

ანგრევს. თუმცა, არ ჩქარობს. იმ კაცსა ჰგავს, ვინც მშვენივრად უწყის სადაა და საით მიდის, წუთის სიზუსტით გამოუთვლია, რა დრო დასჭირდება დანიშნულ ადგილამდე მისაღწევად. თითქოს ერთადერთი სურვილიღა შერჩენია, ერთადერთი ნატვრა — მშობელი მიწა ნახოს და, პირველად თუ უკანასკნელად, მთელი სისავსით შეიგრძნოს კიდეც. სოფელში გაიზარდა და დავაჟკაცდა, ფიზიკურადაც და გონებრივადაც იქაური გავლენით ჩამოყალიბდა, ოღონდ, ცურვის უცოდინარი მეზღვაურივით, მაინც ვერაფრით გაითავისა, ვერაფრით შეიცნო მისი ჭეშმარიტი სახე და არსი. ახლაც, უკვე მთელი კვირაა მის იდუმალ სანახებს აფარებს თავს, მთელი კვირაა ქურდულად დაიძურწება და, მიუხედავად ამისა, ვერაფრით ჩასწვდენია იმ მარადუცვლელ კანონებს, რასაც მიწა ემორჩილება. ცოტა ხანს, სანამ კვლავინდებურად დინჯად, აუჩქარებლად მიაბიჯებს, ასე ჰგონია, ვითომ სწორედ ის ანიჭებს სიმშვიდესა და სიწყნარეს, რასაც უცქერის და რასაც ხედავს, მაგრამ უეცრად, ჭეშმარიტი პასუხიც უნათებს გონებას. გრძნობს, თითქოს ერთიანად გამომშრალა შიგნიდან, წონა დაჰკარგვია. — საჭმლისთვის თავის შეწუხება აღარასოდეს მომიწევსო, ფიქრობს. — აი, ესაა სწორედ საქმეო.

შუადღემდე რვა მილის გავლას ასწრებს. უკვე გზატკეცილზე გამოსულა, ხრეშმოყრილ გზაზე. ამჯერადაც რომ უწევს ფორანს ხელს, ფორანი წყნარად, ნელ-ნელა ჩერდება. არც კოფოზე მჯდომ ზანგის ბიჭს ეტყობა გაოცება ან შიში. „ეს გზა საითკენ მიდის?“ ეკითხება ქრისთმასი.

„მოთსთაუნში. მეც იქით მივდივარ“.

„მოთსთაუნში. ჯეფერსონზე არ გაივლი?“

ბიჭი თავს იქექავს. „რო არ ვიცი ეგ საითაა. მე მოთსთაუნში მივდივარ“.

„კარგი“, ამბობს ქრისთმასი. „გასაგებია. გეტყობა, აქაური არ უნდა იყო“.

„არა, ბატონო. აქედან შორსა ვცხოვრობ. სამი დღეა გზაში ვარ. მოთსთაუნში ერთი წლის უშობელის წამოსაყვანად მივდივარ, მამაჩემმა იყიდა. თქვენც მოთსთაუნში მიბრძანდებით?“

„ჰო“, პასუხობს ქრისთმასი. კოფოზე ადის და ბიჭის გვერდით ჯდება. ფორანიც გზას აგრძელებს. „მოთსთაუნი“, ფიქრობს ქრისთმასი. ჯეფერსონამდე ოციოდე მილია. „ახლა შეიძლება ცოტათი მოვეშვა კიდეც“, აგრძელებს ფიქრშივე. „შვიდი დღეა, არ დამისვენია, რა იქნება, ცოტა სული მოვითქვა?“ ფორანიც ისე მოირწევა და ანანავებს, ჰგონია დაეძინება. მაგრამ ვერ იძინებს. არც ეძინება,

არც შია, დაღლილობასაც კი არა გრძნობს. სადღაც, ამ გრძნობებს შორისაა მოქცეული, ამ გრძნობებს შუა გამოკიდულა და ნებისმიერი ფიქრისა და განცდისაგან დაცლილი, ფორნის რწევას აყოლილი, თითქოს თვითონაც ჰაერში ირწევა. დროისა და სივრცის სათვალავიც არევია; იქნებ, ერთი საათი გადის, იქნებ — სამიც, როცა ბიჭი ამბობს: აგე, მოთსთაუნიო.

წინ იხედება და უჩინარ მოსახვევს იქით ცაზე დაბლა გაწოლილ კვამლს ხედავს; ისევ ძველ ქუჩას უბრუნდება, ქუჩას, რომელიც ოცდაათი წელიწადია მოიკლაკნება. ამ მოკირწყლულ ქუჩაზე იოლად და სწრაფად დააბიჯებდა ხოლმე. ახლა ქუჩას სრული წრე შემოუხაზავს, თვითონ კი მაინც წრის შიგნით დარჩენილა. მართალია, ბოლო შვიდი დღის განმავლობაში მოკირწყლული ქუჩის მსგავსი შორიდანაც კი არ უნახავს არაფერი, მაგრამ მაინც უფრო მეტის გავლა მოახერხა ვიდრე მანამდე, ოცდაათ წელიწადში. და მაინც, ჯერაც ისევ წრის შიგნითაა. — მართალია, შვიდ დღეში მეტი გავიარე, ვიდრე ოცდაათ წელიწადში, მაგრამ წრე კი მაინც ვერაფრით გავარღვიეო, ფიქრობს. — ვერა და ვერ გავწყვიტე ჩადენილი და გამოუსწორებელი შეცდომების ჯაჭვიო. მშვიდად ფიქრობს, კოფოზე ზის და შავი, ზანგის სუნით აქოთებული ფეხსაცმელები ფორნის ფიცარზე მიუბჯენია: კოჭებთან ისევ ამჩნევია დაღი — შავი მოქცევის აშკარა და მარადიული ნიშანი ნელ-ნელა მოუყვება მის ფეხებს და, სიკვდილივით, ჯიუტად მოიწევს სულ ზევით და ზევით.

- XV -

მოთსთაუნში, სადაც ქრისთმასი შეიპყრეს პარასკევს, მოხუცი ცოლქმარი ცხოვრობდა, ჰაინსები. უკვე საკმაოდ ბებრები იყვნენ, ზანგების მეზობლად, პატარა, ერთსართულიან, ფიცრულ სახლში ედოთ ბინა და ისეთ სიბინძურეში, ისეთ სიღატაკესა და უსაქმურობაში ამოსდიოდათ სული, ქალაქს ვერაფრით აეხსნა, რითი ირჩენდნენ თავს, საერთოდ, რა აძლებინებდათ იმ საცოდავებს; უფრო ის აკვირვებდა ყველას, ჰაინსს უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე არავითარი საქმე, არავითარი მუდმივი სამუშაო რომ არ გააჩნდა.

მოთსთაუნში ოცდაათი წლის წინ გამოჩენილიყვნენ. თავიდან, ერთ მშვენიერ დღეს, ქალს მოჰკრეს თვალი, ჯერ სწორედ ის დაბინავდა პატარა სახლში, სადაც, მას მერე, მუდმივად ცხოვრობდნენ

კიდეც, თვითონ ჰაინსს კი, მომდევნო ხუთი წელი, მხოლოდ თვეში ერთხელ, ისიც შაბათ-კვირას თუ ხედავდნენ ხოლმე. როგორც გამოირკვა, ჰაინსი მემფისში მსახურობდა. ოღონდ, ზუსტად მაინც ვერავინ დაადგინა, მემფისში რას აკეთებდა, რას საქმიანობდა, რადგან უკვე მაშინაც იდუმალებით მოცული კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, ვერ მიხვდებოდი, ოცდათხუთმეტი წლისა იყო თუ ორმოცდაათისა, და ისეთი ცივი, ისეთი შმაგი, ფანატიკური და, ცოტა არ იყოს, შეშლილი თვალებით იცოდა ცქერა, წამსვე გაუქრობდა მოსაუბრეს ცნობისმოყვარეობასაც და შეკითხვის სურვილსაც. ქალაქის საერთო აზრით, ჭკუაზე ორივე მწყრალად გახლდათ — მარტოსულები, ჭაღარები, ნებისმიერ სხვა კაცსა თუ ქალზე ოდნავ უფრო ტანმორჩილები, თითქოს სხვა რასას, ადამიანთა განსხვავებულ მოდგმას განეკუთვნებოდნენ — მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მომდევნო ხუთიექვსი წელი, უკვე მას მერე, რაც ჰაინსი, ეტყობა, საბოლოოდ დამკვიდრდა მოთსთაუნში, საბოლოოდ დაბინავდა ცოლთან ერთად თავიანთ პაწია სახლში. ვიღაც-ვიღაცეები ხანდახან მაინც ქირაობდნენ ხოლმე წვრილმანი, შემთხვევითი და, როგორც თვითონ მიაჩნდათ, სწორედ ჰაინსის ძალღონისათვის ზედგამოჭრილი საქმისათვის. ოღონდ, თავის დროზე ჰაინსმა ამაზედაც უარი თქვა. ნეტავ, ახლა რაღას იზამენო, იწუხა ცოტა ხანს ქალაქმა, მაგრამ დარდი დიდხანს არ გაჰყოლია, არც მაშინ და არც მერე, უფრო მოგვიანებით, როცა შეიტყო, ჰაინსს თურმე მთელი ოლქი ფეხით რომ ჰქონოდა მოვლილი და თან, თურმე, ზანგების ეკლესიებში ქადაგებდა, როცა საკუთარი თვალითაც იხილა, ათასში ერთხელ როგორ შეიძურწებოდნენ ხოლმე უკანა კარიდან ჰაინსების ბინაში ზანგი დედაკაცები საჭმლიანი თეფშებით და როგორ გამოდიოდნენ იქიდან ხელცარიელნი: ერთი პირობა, მცირე ხანს, ამ ამბებზედაც იმტვრია თავი, მაგრამ, უწინდელივით, მალევე დაივიწყა ყველაფერი. დაივიწყა, ანდა, უბრალოდ, მიუტევა ჰაინსს, რაკი-ის ბებერიც იყო და უწყინარიც; არადა, იმის ადგილას ნებისმიერ ახალგაზრდა კაცს, ალბათ, დაუფიქრებლად აცვამდა ჯვარზე. — გიჟები არიან; ზანგებს აურევიათ უბედურთათვის ტვინი, ვინ იცის, იქნება იანკებიც იყვნენო, — მხოლოდ ესღა თქვა და ამ საქმეზე ფიქრს თავი მიანება. თუმცა, შეიძლება, ჰაინსს კი არ აპატია ზანგთა სულის ხსნისათვის ამგვარი თავგანწირული ზრუნვა, პირიქით, საკუთარ თავს მიუტევა ამ ფაქტის უგულებელყოფაცა და ზანგების ნაწყალობევზე თვალის დახუჭვაც, მიუტევა, რამდენადაც ესაა სწორედ გონების ბედნიერი უნარი — იოლად დაივიწყოს ყველაფერი, რაც კი სინდისისათვის ძნელად მისაღები და ძნელად შესაგუებელია.

მოკლედ, მთელი ოცდახუთი წელიწადი მოხუც ცოლ-ქმარს ცხოვრების არავითარი სხვა ხილული სახსარი არ მოეპოვებოდა და ქალაქიც, ერთი კაცივით, შეგნებულად იბრმავებდა თვალს, შეგნებულად ცდილობდა არ შეემჩნია ზანგი დედაკაცების მიერ სამადლოდ მიტანილი, თავდახურული თეფშები და ქვაბები. თუმცა, მშვენივრად მოეხსენებოდა, ამ თეფშებისა და ქვაბების უმრავლესობა აშკარად თეთრკანიანთა სამზარეულოებიდან რომ იყო გამოპარებული, სწორედ იმ სამზარეულოებიდან, სადაც ეს ზანგი დედაკაცები მზარეულობდნენ. ალბათ, მართლა გონების გულმავიწყობით აიხსნებოდა ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში, ქალაქიც გულმოდგინედ არიდებდა თვალს და მოხუცი ცოლ-ქმარიც ოცდახუთი წელიწადი საკუთარი სიმარტოვისა და გარიყულობის დამყაყებულ გუბეში ცხოვრობდა — ჩრდილო პოლუსიდან გადმოხვეწილი და გზააბნეული ორი ხარვერძივით თუ გამყინვარებას გადარჩენილი რომელიღაც უცნაური, უსახლკარო და მიუსაფარი ცხოველივით.

ცოლს, მართლაც, თითქმის ვერსად ხედავდნენ, თუმცა ქმარი — რატომღაც ყველასთვის ძია დოკად ცნობილი — უკვე შინაურ კაცად ქცეულიყო ქალაქის მოედანზე: წვირიან, ჩია მოხუცს, — ნათელმხილველსა თუ გამოუსწორებულ ეგოისტს, — ვისაც სახეზე ოდინდელი სიმამაცისა თუ სიგიჟის ანარეკლი დასთამაშებდა, მუდამ ერთნაირი, უსაყელო, ლურჯი ტილოს სამოსი ეცვა და ხელშიც განუყრელი, მძიმე, თვითნაკეთი ჯოხი ეჭირა, ტართან ჩამუქებულ-ჩაშავებული და შუშასავით გადასლიპინებული. ადრე, სანამ ჯერ ისევ მემფისში მსახურობდა, ყოველთვიური სტუმრობების ჟამს, იშვიათად საკუთარ ამბავსაც ჰყვებოდა ხოლმე, ჰყვებოდა არა მარტო დამოუკიდებელი კაცის თვითდაჯერებით, არამედ რაღაც სხვანაირი ღირსებითაც, თითქოს თავის დროზე, და თანაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, არამცთუ მხოლოდ დამოუკიდებელი, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი პიროვნებაც ბრძანდებოდა. დაჩაგრულ-დაბეჩავებულისა არაფერი ეცხო. უფრო იმ კაცის თავდაჯერება ეტყობოდა, ვინც ქვეშევრდომთა, მასზე დაბლა მდგომთა ბედ-იღბალს განაგებდა და ნებაყოფლობით, გარკვეულ მიზეზთა გავლენით, რომელთა გამოჩხრეკასა და გამოძიებასაც, მისი ღრმა რწმენით, ვერავინ გაუბედავდა, შეეცვალა ცხოვრების ყაიდა. მაგრამ, ნაამბობის აშკარა თანამიმდევრობის მიუხედავად, საკუთარ თავზე მონათხრობი და მისი იმჟამინდელი ყოფა მაინც ვერაფრით ეხამებოდა ერთი-მეორეს. ჰოდა, უკვე მაშინ ყველამ ერთხმად გიჟად ჩათვალა. ოღონდ, არა იმიტომ, თითქოს ვინმეს ეჭვი შეეპარვოდა — ერთი ამბის მოყოლით, რაღაც

სხვა ამბის დამალვას ცდილობსო. უბრალოდ, მისი ნაამბობი იმ ფარგლებში ვერ თავსდებოდა, რაც მსმენელს დასაშვებად (და აუცილებლად) მიაჩნდა ნებისმიერი ერთი კაცის გაქანებისათვის. ზოგჯერ დაასკვნიდნენ ხოლმე, ალბათ ადრე მღვდელი იქნებოდაო. მერე ჰაინსი ისევ მემფისზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ბუნდოვნად და მაღალფარდოვნად მოჰყვებოდა ქალაქის ამბებს და თან ისე იბღინძებოდა, თითქოს მთელი ცხოვრება მართლა იქაურ მნიშვნელოვან, ოღონდ, ისევ და ისევ, იდუმალებით მოცულ მუნიციპალურ დაწესებულებაში გაეტარებინა. აბა რაო, ქილიკობდნენ მაშინ მის ზურგსუკან მოთსთაუნელები; — მაგას მთელი მემფისის რკინიგზა ებარა. ყოველთვის, როცა კი მატარებელი ჩაივლიდა, შუა ქუჩაში იდგა და წითელ დროშას იქნევდაო. — არაო, ლაზღანდარობდნენ სხვები. — რკინიგზას კი არა, საგაზეთო საქმეს განაგებდაო, ბაღში, სკამებქვეშ გაზეთების ნაკუწებს აგროვებდაო. თუმცა, პირში მაინც არაფერს ეუბნებოდნენ, ყველაზე უდიერნიც ზოგავდნენ, ისინიც კი, ვინც არაფერს ერიდებოდნენ, ოღონდ როგორმე ენაკვიმატი კაცის სახელი დავარდნოდათ.

მერე მემფისში სამუშაო დაკარგა, ანდა, შეიძლება, თვითონაც მიანება თავი. ყოველ შემთხვევაში, ერთ შაბათს შინ დაბრუნდა და ორშაბათი რომ დადგა, აღარსად წასულა. მას მერე მთელ დღეებს ქალაქის ცენტრში, მოედნის შორიახლოს ატარებდა, დამუნჯებული, ჭუჭყიანი, თვალებშიც მძვინვარე და შიშისმომგვრელი გამომეტყველება ჩაბუდებოდა, რასაც ყველა შეშლილობად უთვლიდა: სუნივით, სურნელივით დაჰყვებოდა თან ყავლგასული სისასტიკე; ნაღვერდალივით ჩანავლებული, ლამის უკვე მთლად ჩამქრალი ევანგელისტური ფანატიზმი, რომლის ერთ მეოთხედსაც, თავის დროზე, ურყევი რწმენა შეადგენდა, სამ მეოთხედს კი — ფიზიკური გამბედაობა. ჰოდა, როცა შეიტყვეს, ფეხით დადის მთელ ოლქში ზანგების ეკლესიებში საქადაგოდო, მაინცდამაინც აღარ გაჰკვირვებიათ; აღარც ერთი წლის მერე გაოცებულან დიდად, მაშინ, როცა ისიც გაიგეს, რას ქადაგებდა და რაზე ლაპარაკობდა ხოლმე იქ. ეს თეთრკანიანი ბერიკაცი კი, ვისი არსებობაც უპირატესად სწორედ ზანგების გულუხვობასა და გულმოწყალებაზე იყო დამოკიდებული, მარტოდმარტო მიაშურებდა ხოლმე რომელიმე შორეულ, ზანგურ ეკლესიას, წირვა-ლოცვას გააწყვეტინებდა, კათედრაზე ავიდოდა და ჩახლეჩილი, ყრუ ხმით, ხშირად უშვერი და უწმაწური სიტყვებითაც, ზანგებს ნებისმიერი სხვა, უფრო ღია ფერის კანის წინაშე მონურ მორჩილებას უქადაგებდა; თეთრი რასის უპირატესობაზე ელაპარაკებოდა და, რაც უნდა უაზროდ და პარადოქსულად მოსჩვენებოდა ვინმეს, ამ რასის უპირველეს, სა-

მაგალითო წარმომადგენლადაც საკუთარ თავს უსახავდა. იმის სიგიჟეში
ერც ზანგებს ეპარებოდათ ეჭვი, თუმცა, თან ღვთისგან ხელდასხმულ
თუ ოდესღაც უფალს ნაზიარებ კაცადაც თვლიდნენ. დიდი გული-
სყურით, ალბათ, არასოდეს უსმენდნენ, რადგან გინდაც მოსმენა
ეცადათ, ბევრს მაინც ვერაფერს გაიგებდნენ ჰაინსის ნალაპარაკე-
ვიდან. შეიძლება, ღმერთადაც კი მიაჩნდათ, რაკი, მათი წარმოდგე-
ნით, ღმერთიც თეთრკანიანი იყო და ხშირად, ვერც მის ნებას
სწვდებოდნენ ხოლმე გონების თვალით.

მაშინაც, იმ საღამოსაც, ქალაქის ცენტრში ტრიალებდა, როცა
ქუჩებში პირველად გაისმა ქრისთმასის სახელი და მოთსთაუნის
ბიჭბუჭობაცა და მოწიფული კაცებიც — ვაჭრები, კლერკები, ცნო-
ბისმოყვარე უსაქმურები, უპირატესად კი კომბინეზონიანი სოფ-
ლელები — უეცრად მოსწყდნენ ადგილს და სადღაც გაიქცნენ.
გაქცეულებს ჰაინსიც მიჰყვა. მაგრამ სწრაფად ვერ მირბოდა და
როცა, ბოლოს და ბოლოს, დანიშნულების ადგილს მიაღწია, ტან-
მორჩილმა და დალეულმა, ცნობისმოყვარეთა მიტყუპებულ მხრებს
ზემოდან ბევრი მაინც ვერაფერი დაინახა. მიუხედავად ამისა, ფარ-
ხმალი არ დაუყრია, ნებისმიერი იქ მყოფივით უხეშად და და-
ჟინებით ცდილობდა ძალით გაეკვლია გზა ამ ახმაურებულსა და
აზავთებულ ბრბოში, თითქოს ხელახლა დაბრუნებოდა ის ოდინდე-
ლი სისასტიკე, რისი კვალიც ჯერ კიდევ აჩნდა სახეზე, გააფთრებუ-
ლი ეპოტინებოდა ზურგზე წინ მდგომთ, ფხოჭნიდა და მანამდე
ურტყამდა ჯოხს, ვიდრე ბოლოს ვიღაცეები არ მოუბრუნდნენ, არ
იცნეს, არ გააკავეს და ჯოხზე არ უტაცეს ხელი. „ქრისთმასიო?“
ყვიროდა ჰაინსი: „რაო, რა თქვეს, ქრისთმასიო?“

„ჰო, ქრისთმასი“, ყვირილითვე უპასუხა ერთ-ერთმა, ვინც მის
გაკავებას ცდილობდა, იმანაც დაძაბულმა, იმანაც სახეაღგზნებულ-
მა. „ქრისთმასი! აი, ის თეთრი ზანგი, ერთი კვირის წინ ჯეფერსონ-
ში ქალი რომ მოკლა!“

ჰაინსმა ახლა ამ კაცს მიანათა თვალები, უკბილო პირზე ოდნავ
აჩნდა აქაფებული დორბლი. მერე ხელახლა გაიბრძოლა, გამწარე-
ბულმა, გინებ-გინებით: ჩია, პატარა მოხუცი, რომელსაც ბავშ-
ვურად სუსტი, ბავშვურად წვრილი ძვლები ჰქონდა, ცდილობდა
რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯოხის დახმარებით მაინც დაეხსნა
თავი და შეჯგუფულ ხალხში როგორმე გაეკვლია გზა სახედასისხ-
ლიანებული პატიმრისკენ. „გეყო, ძია დოკ!“ უყვავებდნენ ირგვლივ
მდგომნი, თან მაინც არ უშვებდნენ ხელს, მაინც იჭერდნენ; „გეყო,
დამშვიდდი. უკვე დაიჭირეს. ვეღარსად გაიქცევა. დაწყნარდი“.

ის კი მაინც იბრძოდა, არ ჩერდებოდა, ხმაც გაბზარვოდა,
გაწვრილებოდა, პირზე დუმომდგარი უშვერი სიტყვებით იგინებო-
და და პატარა, მისი ზომისათვის შეუსაბამო წყლის მაღალი წნევის-
გან თავაწყვეტილი შლანგივით აწყდებოდა აქეთ-იქით, წამდაუწუმ
უსხლტებოდა ხელიდან მისი დაჭერის მოსურნეთ. მთელ ბრბოში
ახლა მარტო პატიმარიღა იდგა მშვიდად. ჰაინსს კი ძალა მოზღვავე-
ბოდა, ბებერ, სუსტ ძვლებსა და კანაფივით წვრილ კუნთებში თითქოს
გაცოფებული თრითინას მოქნილობა ჩაღვროდა და ბოლოს, აკი
მართლაც დაიხსნა თავი, წინ გაიჭრა, თავჩაღუნულმა გაარღვია წრე
და პირისპირ შეეფეთა ქრისთმასს. მხოლოდ მაშინღა გაირინდა
წამით, თან დაჟინებით მიშტერებოდა ტუსაღის სახეს. წამი კარგა
ხანს გაგრძელდა და, ვიდრე ისევ ხელს სტაცებდნენ და გააკავებდნენ,
ჯოხი ასწია და მაგრად, გამეტებით დაჰკრა; კიდევ და კიდევ ცდი-
ლობდა დაერტყა, როცა ხელახლა გაქაჩეს, ხელახლა დაუჭირეს ჯოხი
გააფთრებისგან დაუძლურებულსა და ტუჩებზე დუმომდგარს. ოღონდ,
პირზე ხელი არ აუფარებიათ და ისიც — მოკალით ეგ ნაბიჭვარი,
მოკალით, რაღას უდგახართო! — გაჰყვიროდა ერთსა და იმავეს.

ნახევარი საათის შემდეგ ორმა კაცმა მანქანით მიიყვანა შინ.
ერთი საჭესთან იჯდა, მეორე კი უკანა სკამზე, ჰაინსის გვერდით.
ჰაინსს თვალები დაეხუჭა და ჯაგარმოდებული, ჭუჭყიანი სახეც
მიტკალივით გაფითრებოდა. ხელში ატატებული გადმოიყვანეს მან-
ქანიდან, ჭიშკარში შევიდნენ და კიბისკენ გაუყვნენ დაფშხვნილი,
ობმოდებული აგურითა და ბეტონის ნამსხვრევებით მოფენილ ბილ-
იკს. ჰაინსს უკვე თვალი გაეხილა, ოღონდ აზრის ნატამალი არ
შერჩენოდა, თვალები უკან გადაეტრიალებინა და მხოლოდ ამღვრეუ-
ლი, მოცისფრო გარსი მოუჩანდა. ჯერაც ერთიანად მოღვენთილსა
და დაუძლურებულს, მთლად გამოსცლოდა არაქათი. ლამის პარ-
მალს მიადგნენ კიდეც, როცა მოულოდნელად კარი გაიღო, სახლ-
იდან ქალი გამოვიდა, კარი ზურგსუკან მიხურა, იქვე გაჩერდა და
უსიტყვოდ დააცქერდა ზემოდან. სახლის პატრონის ვინაობა იცოდ-
ნენ და მხოლოდ ამით მიხვდნენ, პარმაღზე მდგომი მისის ჰაინსი
იქნებაო. მართლაც, ჰაინსის ერთ-ერთ თანმხლებს მთელი თავისი
ცხოვრება მოთსთაუნში კი გაეტარებინა, მაგრამ ამ ქალისთვის ჯერ
შორიდანაც არ მოეკრა თვალი. „რა იყო, რა მოხდა?“ იკითხა ქალმა.

„არაფერი, ნუ გეშინიათ“, შეეხმიანა ერთ-ერთი მოსულთაგანი.
„უბრალოდ, ცოტახნის წინ ქალაქის მოედანზე პატარა აურზაური
ატყდა, თან ეს ოხერი სიცხეც დაემატა და ეტყობა გადაიღალა“.
ქალი კარებთან გაქვავებულიყო, თითქოს სახლისკენ მიმავალ გზას

ულობავდა მოსულებს — ჯმუხი, ტანსრული, დაბალი, — მრგვალი სახე ჭუჭყიან, ალაო ცომს მიუგავდა, მეჩხერი თმა კი მაგრად გამოენასკვა კეფაზე. „ესესაა დაიჭირეს ის ზანგი, ქრისთმასი, ერთი კვირის წინ ჯეფერსონში ქალი რომ მოკლა“, გააგრძელა კაცმა, „ძია დოკიც, ამ ამბავმა ცოტათი ააღელვა“.

მისის ჰაინსი უკვე შებრუნებულიყო, კარის გაღებას თუ აპირებდა, და, როგორც მოგვიანებით უთხრა მოთსთაუნელმა თავის თანამგზავრს, სანახევროდ კარებისკენ შებრუნებული, უეცრად გაირინდა, თითქოს ვიღაცამ მსუბუქად ნასროლი კენჭი მოარტყაო. „ვინ დაიჭირეს?“ იკითხა მისის ჰაინსმა.

„ქრისთმასი“, უპასუხა კაცმა, „ზანგი მკვლელი, ქრისთმასი“.

ქალი პარმაღის კიდეზე იდგა და ნაცრისფერ, უძრავ სახეს არ აშორებდა. „თითქოს წინდაწინვე იცოდა, რასაც ვეტყოდი“, ეუბნებოდა მანქანასთან მობრუნებული მოთსთაუნელი თავის თანამგზავრს. „თითქოს მთელი იმ ხნის განმავლობაში, ერთდროულად თან უნდოდა და თან არც უნდოდა მკვლელის ვინაობის გაგება“.

„როგორ გამოიყურება?“ იკითხა ქალმა ისევ.

„მე არაფერი დამინახავს“, თქვა მოთსთაუნელმა. „დაჭერისას, ეტყობა, ცოტა დაუსისხლიანებიათ. ისე, ახალგაზრდა ბიჭია, ჩემზე მეტად არა ჰგავს ზანგს“. ქალი თვალს არ აშორებდა, ისევ ზემოდან დასცქეროდა. ორ თანაგზავრს შორის კი ჰაინსი ახლა უკვე მყარად იდგა ფეხზე და, ახლადგამოღვიძებულივით, რალაც გაუგებარს ლუღლუღებდა. „რას გვიბრძანებთ, ძია დოკს რა ვუყოთ?“ ჰკითხა კაცმა.

ქალმა არაფერი უპასუხა. თითქოს ვერც კი იცნო საკუთარი ქმარიო, უთხრა მოგვიანებით მოთსთაუნელმა ამხანაგს, — რას უპირებენო — ისევ ქრისთმასის ამბავი იკითხა.

„რას უპირებენ?“ თქვა კაცმა. „ჰოოო. ზანგს... ეგ ჯეფერსონმა უნდა გადაწყვიტოს. იმათი საქმეა“.

ქალი ზემოდან დასცქეროდა, ნაცრისფერი, უძრავი, გარიდნული. „განა დაუცდიან ჯეფერსონს?“

„დაუცდიან?“ გაიმეორა კაცმაც. „აააა“, გააგრძელა მაშინვე. „რა ვიცი აბა, თუ ჯეფერსონმა ძალიან არ დაიგვიანა...“ მერე ჰაინსის მკლავზე ხელი მოინაცვლა და — სად დავაწვინოთო, — იკითხა კიდევ ერთხელ. ქალიც მაშინღა შეირხა. კიბეზე ჩამოვიდა, მიუახლოვდა. „თქვენ ნუ წუხდებით, ჩვენ შემოვიყვანთ სახლში“.

„მე თვითონ შევიყვან“, თქვა ქალმა. ისა და ჰაინსი დაახლოებით ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ოღონდ ქალი უფრო ტანსრული ჩანდა. მისის ჰაინსმა ქმარს მკლავები შემოხვია. „ეუფეუს“, თქვა

არცთუ ისე ხმამაღლა; „ეუფეუს“. მერე კაცებს მიუბრუნდა. „წადით, ამას მე მოვუვლი“, უთხრა მშვიდად. კაცებმაც მაშინვე ხელი უშვეს ჰაინსს. ეტყობა, უკვე იმასაც დაბრუნებოდა საძრაობა. კაცები ხედავდნენ, როგორ მიეხმარა ცოლი კიბეზე ასვლაში და როგორ შეიყვანა შინ. ქალს ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან.

„მადლობაც კი არ გვაღირსა“, პირველად ამოიღო ხმა მეორე კაცმა.

„იქნებ ჯობია, უკან წავიყვანოთ და იმ ზანგთან ერთად ჩავამწყვდიოთ ციხეში, რაკი ასე კარგად სცნობია“.

„ეუფეუსო“, თქვა მოთსთაუნელმა. „ეუფეუს. თხუთმეტი წელი ვიმტკვრიე თავი, ნეტავი რა უნდა ერქვას-მეთქი. ეუფეუს“.

„წამო, დავბრუნდეთ. არაფერს გამოვაკლდეთ“.

მოთსთაუნელმა ერთხელაც გახედა სახლს, სახლის ჩარაზულ კარს, რომლის მიღმაც ორი ადამიანი გაუჩინარებულიყო. „ქალიც იცნობდა“.

„ვისა?“

„ვისა და იმ ზანგს. ქრისთმასს“.

„წამო, წამო“. კაცები მანქანასთან დაბრუნდნენ. „ის დამპალიც კაი ჩიტი ჩანს. პირდაპირ ქალაქში არ მობრძანდა, მკვლელობის ადგილიდან ოცი მილის მოშორებით?! მანამდე ისეირნა ქუჩებში, სანამ ვინმე იცნობდა. ნეტავი, მე ვყოფილიყავი იმ ბედნიერის ადგილას. მე ვიცი, როგორც დავამღერებდი ათას დოლარს. ჩემი ბედი რა ვთქვი“. მერე მანქანა ადგილს მოსწყდა. მოთსთაუნელი კიდევ ცოტა ხანს იცქირებოდა დახშული კარისკენ, რომლის იქითაც წელან მოხუცი ცოლ-ქმარი მიიმალა.

ჰაინსები კი თავიანთი პატარა სახლის ერთიბეწო, ჩაბნელებულ, გამოქვაბულივით აყროლებულ წინკარში იდგნენ. დაუძლურებული კაცი ჯერაც ნახევრად უგონოდ იყო და როცა ცოლმა სკამთან მიიყვანა და გაჭირვებით დასვა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ უბრალო, ჩვეულებრივ მზრუნველობას გადაუხადა ხარკიო, ოღონდ, ვერავინ ახსნიდა, ხელახლა რისთვის მიბრუნდა კართან და საგულდაგულოდ რატომ ჩაკეტა. მერე, ისევ ქმარს დაადგა თავზე. ერთი შეხედვით, ვითომ თანაგრძნობითა და წუხილით დააკვირდა. მაგრამ სხვასაც რომ დაენახა ამ დროს ვინმეს, იოლად შეამჩნევდა, რა საშინლად კანკალებდა ქალი. ეტყობა, სკამზეც მხოლოდ იმიტომ დაესვა ჰაინსი, შემთხვევით იატაკზე რომ არ დავარდნოდა, ანდა, ვიდრე თვითონ ხმის ამოღებასა და დალაპარაკებას მოახერხებდა, ადგილიდან ვერ მოეცვალა იმას ფეხი. ბოლოს, ქმრისკენ გადაიხარა: ჯმუხი,

სქელი, ერთიანად ნაცრისფერი, დამხრჩვალის გვამივით სახეშეშუ-
პებული. როცა ხმის ამოღება შეძლო, ხმაც უთრთოდა და ისიც
დიდი გულმოდგინებით ებრძოდა, დიდი გულმოდგინებით ცდი-
ლობდა ხმის დამორჩილებას, თვითონაც ერთიანად აცახცახებული,
ხელებით სკამის სახელურებს ჩაფრენოდა და სკამზე სანახევროდ
გადაწოლილ ქმარს მთრთოლვარე, შეკავებული ხმით ერთსა და
იმავეს უმეორებდა: — ეუფეუს, მომისმინე. უნდა მომისმინო. ადრე
არასდროს შემიწუხებიხარ. ოცდაათი წელია, არაფერი მიკითხავს
შენთვის. ახლა კი უნდა გკითხო. მე ყველაფერი უნდა ვიცოდე და
შენც ვალდებული ხარ, მითხრა. ეუფეუს, უნდა მითხრა, რა უყავი
მილის ბავშვსო?

მთელი იმ გრძელი საღამოს განმავლობაში არა და არ ცხრებოდ-
ნენ მოედანზე და ციხის წინ შეკრებილი კლერკები, უქნარები თუ
კომბინეზონიანი სოფლელები; არც მითქმა-მოთქმა ცხრებოდა: კიდ-
ით-კიდემდე მოეცვა მთელი ქალაქი და ხან ჩაკვდებოდა, ხან კი,
ქარივით თუ ცეცხლივით ძალამოკრებილი, ისევ ხელახლა იფეთქებდა
ხოლმე, სანამ, ბოლოს, ჩრდილები არ წაგრძელდნენ, სოფლელები
თავთავიანთ ფორნებსა და მანქანებში არ ჩასხდნენ და შინ არ გაემგ-
ზავრნენ, ქალაქელებმა კი სახლებს არ მიაშურეს სავახშმოდ. ვახშმობი-
სას მაგიდებთან ერთხელ კიდევ გამოცოცხლებულმა მოთქმა-მოთქ-
მამაც უკვე ოჯახურ წრეში გადაინაცვლა, ელექტრონით გაჩახჩახებულ
ოთახებსა და ნავთის ლამპებით განათებულ მთის მივარდნილ, შორეულ
ქოხმახებში. მეორე დღეს კი, საამურ, უსასრულო, გაჭიანურებულ
კვირა დღეს, როცა გახამებულ პერანგებსა და მოხატულ აჭიმებში
გამოწკეპილნი დინჯად, საქმიანად აქსუტუნებდნენ განუყრელ ჩიბუხ-
ებს და, ვიდრე ქალები სადილის სამზადისში სამზარეულოში ტრი-
ალებდნენ, ჩაცუცქულნი ისხდნენ სოფლის ეკლესიათა ეზოებსა თუ
თავთავიანთი ბაღჩების ჩრდილში, რომელთა ღობეებთანაც სტუმრებ-
ის ფორნები და მანქანები ჩამწკრივებულიყვნენ, ვინ იცის, მერამდენედ
იხსენებდნენ წინა დღით მომხდარ ამბებს: „ერთი შეხედვით ჩვენზე
უფრო არც ისა ჰგავს ზანგს. ოღონდ, ეტყობა, ზანგური სისხლი კი
მართლა უნდა ერიოს. კაცი რომ ცოლის შერთვას ჩაიფიქრებს და
გადაწყვეტს, იმანაც თითქოს ისე ჩაიფიქრა და გადაწყვიტა, ვინ-
მესთვის თავი დაეჭერინებინა. აკი ერთი კვირის წინ აუბნია ჯეფერ-
სონელებს თავგზა და სახლისთვის ცეცხლი რომ არ წაეკიდებინა,
იქნება, მთელ თვესაც ვერავის შეეტყო მკვლელობის ამბავი. ქრისთ-

მასზე ალბათ ახლაც არ მიიტანდნენ ეჭვს, იმ ბიჭს, ბრაუნს, რომ არ
ეთქვა სიმართლე. ზანგს თავი თეთრკანინად მოჰქონდა, საწყალ ბრაუნს
კი ვისკის აყიდინებდა და, ეტყობა, იმედიც ჰქონდა, ვისკით ვაჭრობასაც
და მკვლელობასაც იმას გადავაბრალებო.

გუშინ დილით კი მოთსთაუნში გამოგვეცხადა, დღისით, მზი-
სით, თანაც შაბათს, როცა ქალაქში მილეთის ხალხი ირევა ხოლმე.
თეთრკანიანების სადალაქოში შებრძანდა და, რაკი სახეზე მართლა
არაფერი ეტყობოდა, ეჭვიც არავის შეპარვია იმის კაიკაცობაში. არც
მაშინ დაეჭვებულან, როცა ფეხსაცმლის მწმენდავმა იმისი ზომაზე
დიდი, გამონაცვალი წაღები დააპრიალა. სადალაქოში წვერი გაიპარსა,
თმაც გაიკრიჭა, ფული გადაიხადა და ისევ ქუჩაში გამობრუნდა.
ახლა დუქანს მიაშურა, იმ უბედური ქალისთვის მოპარული ფულით
ახალი პერანგი, ყელსახვევი და ჩალის ქუდი იყიდა. მოკლედ, გაკოხ-
ტავდა, გამოიპრანჭა და, თითქოს ქალაქის ბატონ-პატრონიაო, დღისით,
მზისით, ქუჩაში სეირნობას მოჰყვა, აღმა-დაღმა დასეირნობდა და,
ვინ იცის, რამდენმა ჩაუარა გვერდით, ვიდრე ჰოლიდეიც მოკრავდა
თვალს, იმან კი, არც აცია, არც აცხელა, მაშინვე ეცა, ხელები
შემოხვია და — შენ განა ქრისთმასი არა ხარო? — ჰკითხა. კიო,
კვერი დაუკრა ქრისთმასმა. ერთხელაც არ უცდია ვინაობის დამალ-
ვა. საერთოდ არ უღონია არაფერი, არც ზანგივით იქცეოდა, არც
თეთრკანიანივით. ასე იყო. ხალხიც ამან გადარია. მკვლელი გაწკეპილ-
გამოპრანჭული ქალაქში ცხვირწინ დაუდიოდათ, თითქოს ამბობდა,
კარგი ბიჭები ხართ და აბა ერთი რომელიმემ ხელი დამაკარეთო,
არადა, წესით, ტყე-ტყე უნდა ეწანწალა, სოროში უნდა ჩამძვრალიყო
ერთიანად ტალახში ამოთხვრილ-ამოგანგლული. იმას კი, ზანგობას
ვიღა ჩივის, თითქოს ისიც კი არ ახსოვდა, მკვლელი რომ იყო.

მოკლედ, ჰოლიდეი (სახე შეშლოდა, აღგზნებულიყო, ეტყობა,
უკვე ათასი დოლარის სუნი სცემდა; ქრისთმასისთვის ერთი-ორჯერ
ხელი შემოერტყა, ის კი, ქრისთმასი, მართლა ზანგივით უხმოდ
ითმენდა ყველაფერს, პირქუშსა და მშვიდს, სახეზე სისხლი სდიოდა,
ოღონდ კრინტსაც არ ძრავდა) ორივე ხელით თავის ტყვეს ჩაფრე-
ნოდა და მთელი ხმით რაღაც გაუგებარს გაჰყვიროდა, როცა
მოულოდნელად საიდანღაც ერთი მოხუციც გამოტყვრა, — ქალაქ-
ში ყველანი ძია დოკს ეძახიან, — ზანგს ეცა და მანამდე სცემა
თავისი ჯოხით, ვიდრე ორმა კაცმა ძლივძლივობით არ გააკავა და
მანქანით არ წაიყვანა შინ. არავინ იცოდა, მართლა იცნობდა იმ
ზანგს თუ არა. კოჭლობ-კოჭლობით მოჩლახუნდა და აღრიალდა,
— მართლა ქრისთმასია მაგისი გვარი? მართლა ქრისთმასი თქვით

თუ მომეყურაო? მუჯლუგუნებით გაარღვია ბრბო, ერთი კი შეხედა ზანგს და მერე ჯოხით დაუწყო ცემა. მონუსხულსა ჰგავდა. იძულებულნი გახდნენ ძალით გაეკავებინათ, იმან კიდევ თვალები გიჟივით გადაატრიალა და პირზე დუუმომდგარმა იქამდე იქნია ჯოხი უაზროდ, სანამ არაქათი მთლად არ გამოეცალა. მაშინღა წაიყვანეს შინ, ცოლს ჩააბარეს და ისევ უკან, ქალაქში გამობრუნდნენ. ვერავინ გაიგო, რა ეტაკა მოხუცს, რატომ ააღელვა ასე ზანგის დაჭერამ, თუმცა, მალევე დაავიწყდათ ყველაფერი, რაც იყო, იყო, ახლა ალბათ აღარაფერი უჭირსო. თქვენც არ მომიკვდეთ, ნახევარ საათსაც არ გაუვლია და ისევ მოედანზე არ გამოცხადდა?! უკვე საბოლოოდ შეშლოდა სახე, ქუჩის კუთხეში იდგა და გამვლელ-გამომვლელს ლანძღვა-გინებით იკლებდა, ლაჩრებს ეძახდა — ჯეფერსონს რას ელოდებით, რატომ ციხიდან არ გამოათრევთ იმ ზანგს და აქვე, პირველსავე ხეზე არ ჩამოჰკიდებთო. საგიუეთიდან გამოქცეულს ჰგავდა, თან რომ იცის, მოსასწრები უცბად უნდა მოვასწრო, თორემ საცაა მოვლენ, მომაგნებენ და ისევ უკან დამაბრუნებენო. ხალხი იმასაც ამბობს, ადრე, მგონი, ქადაგი იყოო.

ერთსა და იმავეს გაიძახოდა, უფლება მაქვს ამ ზანგის მოკვლისაო. ოღონდ, უფლება საიდან ჰქონდა, ის აღარ უთქვამს და გინდაც ვინმეს მოეხერხებინა და ეკითხა რამე, ისეთი აღგზნებული და შეშლილი იყო, მისი პასუხიდან აზრს მაინც ვერაფრით გამოიტანდა. თანდათანობით კარგა მოზრდილი ბრბო შემოიკრიბა გარშემო, იდგა და გაჰყვიროდა — პირველ რიგში მე უნდა გადავწყვიტო, იცოცხლოს ზანგმა თუ არაო. ისიც კი იფიქრეს, ამასაც ციხეში ხომ არ მივუჩინოთ ადგილი ზანგის გვერდითო, როცა, მოულოდნელად, საიდანღაც ძია დოკის ცოლიც გამოჩნდა.

ისეთი ხალხიც ბლომად მოინახება, ვისაც მოთსთაუნში ოცდაათ წელიწადზე მეტი გაუტარებია და ეს ქალი კი არასოდეს უნახავს თვალით. სანამ ქმარს არ გამოელაპარაკა, თავიდან ვერც მიხვდნენ მის ვინაობას, რადგან, თუკი ენახა კიდეც ვინმეს, ისიც მარტო იმათი პატარა სახლის შორიახლოს, ზანგების უბანში, საშინაო კაბასა და მამაკაცის ნახმარ ქუდში გამოწყობილი. ახლა კი ისე გამოპრანჭულიყო, ნაცნობებიც ვეღარ სცნობდნენ. მეწამული აბრეშუმის კაბა ეცვა, ბუმბულიანი ქუდი ეხურა და ხელში ქოლგა ეჭირა, ბრბოს მიუახლოვდა, აღრიალებულ ქმართან მივიდა და — ეუფეუსო, — უთხრა ერთხელ. ისიც მაშინვე გაჩუმდა, უხმოდ მიაჩერდა, დუუმორეული და ყბაჩამოვარდნილი, შემართულ ხელში ახლაც ჯოხი ეჭირა და ჯოხიც თითქოს ირწეოდა, აქეთ-იქით ქანაობდა. ქალმა

მკლავში ჩასჭიდა ხელი. ჯოხის შიშით ვერავინ უბედავდა მიახლოებას, მართლაც ისეთი სახე ედო, ყოველ წუთს შეეძლო ნებისმიერი მათგანისთვის დაერტყა, თანაც თავისდა უნებურად, უნებლიეთ, გაუაზრებლად. ქალი კი ჯოხსაც არ შეეპუა, მკლავში ხელი ჩაავლო, მოედნის მეორე მხარეს გადაიყვანა, დუქნის წინ სკამზე დასვა და — ჩემს მოსვლამდე აქედან ფეხი არ მოიცვალო, იცოდე, არ გაინძრე, გეყოფა ღრიალიო — უთხრა.

კაცმაც დაუჯერა. მართლა დამორჩილდა. გაუნძრევლად იჯდა და ქალსაც აღარ გაუხედავს მისკენ. ყველამ შეამჩნია ეს ამბავი. ალბათ იმიტომ, მანამდე შინიდან გამოსული ქალი არასოდეს რომ არ ენახათ. გამძვინვარებულ, ჩია ბერიკაცს კი ვერავინ უბედავდა ქალაქში გზაზე გადადგომას. მოკლედ, ასეა თუ ისე, ყველანი გაოგნებულნი დარჩნენ. რას იფიქრებდნენ, ძია დოკი ვინმესგან ჭკუის დარიგებას თუ მოითმენდა. თითქოს ცოლმა ძია დოკის რაღაც საიდუმლო იცოდა და საიდუმლოს გამხელის შიშით ისიც იძულებული გახდა დამორჩილებოდა, ანგარიში გაეწია, მის ნებას დაჰყოლოდა. მართლაც, ერთი აღარ შერხეულა სკამზე, აღარც ყვიროდა, დადუმებულიყო, თავი ჩაექინდრა, ჯოხზე დაკრეფილი ხელები უცახცახებდა და გულისპირზე წვეთ-წვეთად ეღვრებოდა დორბლი.

ქალმა კი პირდაპირ ციხისაკენ დააღერა თავი. ციხის კარებთან უამრავი ხალხი შეგროვილიყო — ჯეფერსონელებს შემოეთვალათ, უკვე გზაში ვართ, ზანგის წასაყვანად მოვდივართო. ქალმა ბრბო გაარღვია, ციხეში შევიდა და მეთქაფს უთხრა — პატიმრის ნახვა მინდაო.

— პატიმრის ნახვა რად გინდათო? — ჰკითხა მეთქაფმა.

— არ შევაწუხებო, უპასუხა ქალმა. — მხოლოდ ერთს შევხედავო.

მეთქაფამა უთხრა, მაგის მსურველი ბლომად მეგულება, ისიც ვიცი, გაპარებას რომ არ უპირებთ, ოღონდ, მე მხოლოდ და მხოლოდ ციხის ზედამხედველი ვარ და შერიფის უნებართვოდ ვერავის შევუშვებ საკანშიო. მეწამულკაბიანი ქალი კი მაინც არ იცვლიდა ფეხს, ისე უძრავად იდგა, ქუდზე ოდნავადაც არ ერხეოდა ბუმბული. — შერიფი სადღააო? ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— იქნებ თავის კანტორაშიც იყოსო, მიუგო მეთქაფმა. — მოძებნეთ, ნებას თუ დაგრთავთ, მერე ზანგსაც გაჩვენებთო. ეგონა, ამით დასრულდებოდა ყველაფერი. ციხიდან გამოსულ ქალს თვალი გამოაყოლა, დაინახა, ერთხელ კიდევ როგორ გაარღვია ბრბო და როგორ აუყვა ქუჩას მოედნისკენ. უკვე ბუმბულიც აქანავებულიყო. ქალი მესერს იქით მიდიოდა და მესერს ზემოთ მხოლოდ

ბუმბული მიირწეოდა. მერე მოედანიც გადაჭრა და სასამართლოში შევიდა. ვერავინ მიხვდა, სასამართლოში რაღა უნდოდა, რადგან მეთქაფს ჯერ ციხეში მომხდარზედაც ვერ მოესწრო ვინმესთვის რამის თქმა. უბრალოდ, იდგნენ და ხედავდნენ, როგორ გაუჩინარდა სასამართლოს შენობაში. დანარჩენს მერე უკვე რასელი მოჰყვა — ჩემს მაგიდასთან ვიჯექი, უცებ, შემთხვევით, თავი რომ ავწიე და ფანჯარაში სწორედ ის ბუმბულიანი ქუდი დავინახეო. ვერ გაეგო, რამდენ ხანს იდგა ქალი მის ჯიხურთან, რამდენ ხანს ელოდებოდა იმისი თავის აწევას. — ტიხარს ზემოთ მარტო თავი მოუჩანდა, თითქოს ტანი საერთოდ არცა ჰქონდაო. კომიქსებში პატარა კათცენიამერები რომ ცელქობენ, თითქოს ისე ეცელქა ვიღაცას, რასელის ფანჯრის წინ სალაღობოდ, გასართობად, საჰაერო ბუშტი ჩამოეკონწიალებინა, ზედ სახე დაეხატა და სასაცილო ქუდიც დაეკოსებინა. — შერიფის ნახვა მინდაო, ეუბნება თურმე ქალი.

— შერიფი არ არისო, უთქვამს რასელს. — მე შერიფის თანაშემწე ვარ. რით შემიძლია დაგეხმაროთო?

ქალი ცოტა ხანს უხმოდ შესცქეროდა, პასუხს არ სცემდა, მერე — აბა, სად იქნებაო — ეკითხება თურმე.

— რა ვიცი, იქნება შინაც იყოსო, ეუბნება რასელი. — მთელი კვირა ძალიან დაკავებული იყო. ღამეები არ სძინებია, ჯეფერსონელ ოფიცრებს ეხმარებოდა. შეიძლება ახლა შინაა და ისვენებს. მითხარით, რა გნებავთ, იქნებ მე დაგეხმაროთო... მაგრამ, ქალს ბოლომდე არც მოუსმენია. — ფანჯრიდან გავიხედე და დავინახე, მოედანი როგორ გადაჭრა, მერე კი შერიფის სახლისკენ გაუხვიაო. თქვა რასელმა. — თან სულ ვცდილობდი და ვერ გამეხსენებინა, ვინ იყო, ადრე სად მენახაო.

ქალმა კი შერიფი მაინც ვერ იპოვა. თუმცა, რომც ეპოვა, შერიფის ნახვას უკვე აზრიც აღარ ჰქონდა. არადა, შერიფი მთელი ამ ხნის მანძილზე სულ ციხეში იყო, ოღონდ მეთქაფმა ქალს სიმართლე დაუმალა და ისიც ხეირიანად არ გასცლოდა ციხის შენობას, როცა ორი მანქანით ჯეფერსონელი ოფიცრები მოგრიალდნენ და იმწამსვე ციხეში გაუჩინარდნენ. თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი. მაგრამ, მათი ჩამოსვლის ამბავი ლამის იმწამსვე მოედო ქალაქს და ციხის კართანაც თითქმის ორასმა კაცმა, ქალმა თუ ბავშვმა მოასწრო შეგროვება, როცა პარმაღზე ორივე შერიფი ერთად გამოვიდა და მოთსთაუნელმა შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა, სთხოვა კანონისათვის პატივი ეცათ და საკუთარი და ჯეფერსონელი შერიფის სახელითაც აღუთქვა, ზანგს სწრაფად და სამართლიანად გავასამართლებთო; „სამართლიანადო, ჰა?“ გაისმა ხალხში. „განა მაგან კი სამართლიანად გამოუტანა მსჯავრი იმ თეთრკანიან ქალს?“ აი, მაშინ კი ყველა ერთად აყაყანდა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ოღონდ, შერიფების კი არა, სწორედ მოკლული ქალის გასაგონად იხევდნენ ყელს. შერიფი მაინც მშვიდად ცდილობდა ლაპარაკს, ირწმუნებოდა, მე მხოლოდ არჩევნების დღეს თქვენს წინაშე დადებული ფიცის აღსრულება მწადია და სხვა არაფერიო. — ნებისმიერ აქ მყოფ თეთრკანიანზე მეტად არც მე მეხატებიან გულზე ზანგი მკვლელებიო, ამბობდა. — ოღონდ, მე წმინდათაწმინდა ფიცი მაქვს დადებული და ღვთის წინაშე, ამ ფიცს აღვასრულებ კიდეც. -ეს ყველამ კარგად დაიხსომეთო. ჰოლიდეიც შერიფების გვერდით იდგა. ისიც კეთილგონიერებისკენ მოუწოდებდა ხალხს, არ გვინდა ძმებო შფოთი და აყალ-მაყალიო, გაჰყვიროდა. „ჰო, აბა რა, გასაგებია“, ისევ აყვირდა ბრბოში ვიღაც. „შენ, რა თქმა უნდა, მაგ ზანგის ლინჩის წესით გასამართლება ხელს არ გაძლევს. მაგრამ, ჩვენ რომ მაგის სიცოცხლე ათასი დოლარი არ გვიღირს? ათასი დოლარი კი არა, ასანთის ათასი დამწვარი ღერიც არ გვიღირს“. „მერე და რა, ჰოლიდეის ზანგის მოკვლა თუ არ უნდა?“ სასწრაფოდ შეეხმიანა შერიფი. „განა ყველა ჩვენგანსაც იგივე არ გვწადია? ჯილდოს ჩვენებური მიიღებს: ფულიც აქ, მოთსთაუნში დაიხარჯება. წარმოიდგინეთ, ჯეფეროსნელს რომ მიეღო ჯილდო. სწორი არა ვარ, ხალხო? მეშლება რამე?!“ შერიფის ხმა სუსტად ისმოდა, თოჯინის ხმასავით, ზოგჯერ მოსული, ზორბა კაცებიც ლაპარაკობენ ხოლმე ასე, მაშინ, როცა ხალხს მიმართავენ და იმდენად ხალხის ყურადღების მიპყრობას არ ცდილობენ, რამდენადაც იმის უკვე სანახევროდ მიღებული გადაწყვეტილების შერყევასა და გაქარწყლებას.

ასეა თუ ისე, მისმა ნათქვამმა რაღაც ნაყოფი მაინც გამოიღო, თუმცა ეჭვი, რა თქმა უნდა, არავის შეჰპარვია, მოთსთაუნი იქნებოდა თუ ნებისმიერი სხვა ქალაქი, ჰოლიდეისნაირ კაცს მისხალსაც რომ ვერ გააგდებინებდა იმ ათასი დოლარიდან. მაგრამ, შერიფის სიტყვამ მაინც გაჭრა. ხალხი უცნაურია. თუ ახალ-ახალი საბუთები მოაკლდა, დიდხანს ვერასდიდებით ვერ აფიქრებინებ და ვერც გააკეთებინებ ერთსა და იმავეს, მერე კი, გული თუ აიცრუა ერთხელ, უკვე საბუთებსაც აღარ დაგიდევს, უკვე სულ სხვაზე უჭირავს თვალი. მოკლედ, ერთბაშად არავის დაუხევია უკან, უბრალოდ, აქოთქოთებული ბრბო თუკი ადრე შიგნიდან დუღდა და გადმოდუღდა, ახლა ოდნავ ჩაცხრა, გაიტრუნა და შერიფის ნათქვამს ჩაუკვირდა. შერიფებმაც წამსვე აუღეს ალღო, ოღონდ, თან დარწმუნებულნი იყვნენ, ასე დიდხანს არ გაგრძელდებაო და დრო აღარ დაუკარგავთ, მაშ-

ინვე ციხეში შებრუნდნენ და ლამის დაუყოვნებლივ, თვალის დახამ-ხამებაში გამოვიდნენ უკან ხუთი-ექვსი თანაშემწის თანხლებით; შუა-ში პატიმარი ეყენათ, ეტყობა, ამ ხნის მანძილზე გამზადებულს იქვე კარსუკან აყურყუტებდნენ, რადგან მართლა ძალიან სწრაფად გამო-ბრუნდნენ ყველანი. პატიმარს სახეზე ტალახი და სისხლი შეხმობო-და, ბორკილი ედო და ჯეფერსონელ შერიფს იყო გადაბმული. — ააჰჰჰო, აღმოხდა ბრბოს მათ დანახვაზე.

ციხიდან ქუჩამდე რაღაც ოცსხალი დერეფნისმაგვარი გააკეთეს, ქუჩაში ჯეფერსონელთა მანქანა იცდიდა, ძრავა გაუჩერებლივ მუშაობდა და არც მძღოლი გადმოსულიყო მანქანიდან, შერიფები წამის დაკარგვასაც არ აპირებდნენ და, უცებ, ისევ გამოჩნდა ის ქალი, მისის ჰაინსი. ჯიკავ-ჯიკავით მოიკვლევდა გზას ბრბოში. იმდენად დაბალი იყო, ხალხი მარტო იმისი ქუდის ბუმბულს ხედავდა, ბუმბულიც ნელ-ნელა, ბიძგებით მოცურავდა, თუმცა ქალის შეჩერება არაფერს შეეძ-ლო, პატარა ტრაქტორს ჰგავდა, გინდაც არაფერი ეღობებოდეს, მაინც ნელა რომ მიიწევს წინ, ნებისმიერ წინაღობას კი დაუფიქრებლად იშორებს გზიდან. ბოლოს, როგორც იქნა, გაარღვია ხალხი და ცოცხ-ალ დერეფანსაც მიადგა, შერიფებსა და პატიმარს აესვეტა წინ და ისინიც იძულებულნი გახდნენ ნაბიჯი შეენელებინათ, ცოტა ხანს მაინც შეჩერებულიყვნენ. ქალს საგოზავის ვეება გუნდას მიუგავდა სახე, ქუდი გვერდზე მოქცეოდა, ბუმბული შუბლზე ჩამოვარდნოდა და მალიმალ გვერდზე სწევდა. ოღონდ სხვა არაფერი მოუმოქმედია. უბრალოდ წამით თვითონაც გაქვავდა, ისინიც გააქვავა და დაუინებით დააცქერ-და ზანგს. კრინტიც არ დაუძრავს, თითქოს სხვა არაფერი სურდა, მხოლოდ ამისთვის შეეწუხებინა ხალხიც და გამოპრანჭულიც ამ მიზნით გამოსულიყო ქალაქში: ერთადერთხელ რომ დაენახა ზანგი პატიმრის სახე. მართლაც, მაშინვე შეტრიალდა და ისევ ბრბოში გაუჩინარდა, როცა მანქანა ზანგიანად და ჯეფერსონელი კანონის დამცველებიანად ადგილს მოსწყდა და ხალხმაც ირგვლივ მიმოიხედა, მისი კვალიც გამქრალიყო უკვე. მოედანზე დაბრუნებულებს აღარც ძია დოკი დაუხ-ვდათ თავის ადგილას, იქ, სადაც ცოლმა დატოვა და მოცდა უბრძა-ნა. ოღონდ, მოედანზე ყველა არ დაბრუნებულა. ბევრი ისევ ციხესთან დარჩა, ისევ ციხის შენობას შესცქეროდა, თითქოს წეღან იქიდან მხოლოდ პატიმრის ლანდი გამოსულიყო.

ეგონათ, ალბათ შინ თუ წაიყვანა ძია დოკიო. სკამი დოლარის დუქნის წინ იდგა და სწორედ დოლარმა თქვა, ვიდრე ციხესთან ხალხი შეგროვდებოდა, მანამდე დავინახე როგორ დაბრუნდა ქალი უკან იმავე ქუჩითო. სანამ ქმართან არ მისულა და მხარზე ხელი არ

დაუდია, ძია დოკიც ძველებურად, გაუნძრევლად მჯდარა, მონუსხ-ულივით, მხოლოდ მერეღა წამომდგარა და უხმოდ გაჰყოლია ცოლს, დოლარსაც თვალი გაუყოლებია. ძია დოკი ისე გამოიყურებოდა, პატრონი რომ ჰყოლოდა, წესით საერთოდ არ უნდა გამოედგმევინე-ბინა შინიდან ფეხიო.

არადა, მაშინაც არ წაუყვანია ცოლს შინ. ცოტა ხნის მერე ისევ ერთად გამოჩნდა ორივე და ძია დოკსაც უკვე ისეთი სახე ედო, სხვისი წასაყვანი არაფერი სჭირდა. თითქოს ორივეს ერთი სურ-ვილი გასჩენოდა. მიზანი კი არა, სურვილი, მიზანი სხვადასხვა ჰქონდათ და ისიც იცოდნენ, ერთის მიზნის განხორციელება მე-ორეს კარგს არაფერს უქადდა. უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთისა და ფხიზლადაც ადევნებდნენ ერთმანეთს თვალს, თუმცა, ალბათ, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდა ორივეს, საქმეში პირველობა ქალს რომ უფრო შეშვენოდა.

პირდაპირ გარაჟისკენ გაემართნენ, სადაც სალმონს თავისი გასა-ქირავებელი მანქანა უყენია. ლაპარაკით მარტო ქალი ლაპარაკობდა. ჯეფერსონში გვინდა გამგზავრებაო. ეტყობა, არ ეგონათ, სალმონი კაცზე ოცდახუთ ცენტზე მეტს თუ მოითხოვდა, რადგან სამი დოლა-რიო, რომ გაიგეს, ქალმა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო, ნათქვამი ხელახლა გაამეორებინა. სამი დოლარიო, არ გადათქვა სალმონმაც. ნაკლებ არაფრით არ იქნებაო. ისინიც იდგნენ, ძია დოკი საქმეში არ ერეოდა, ვითომც არაფერი ეხებოდა, მშვიდად იცდიდა, რადგან, როგორც ჩანს, ეჭვიც არ ეპარებოდა, საწუხარი არაფერი მაქვს, ავად თუ კარგად, მაინც ჩამიყვანს ცოლი ჯეფერსონშიო.

— ამდენს ვერ გადავიხდითო, ეუბნება თურმე ქალი.

— ნაკლებად სხვაგანაც ვერ იშოვითო, თავისაზე მდგარა სალმო-ნიც. — თუკი, რა თქმა უნდა, მატარებლით არ წახვალთ. იქ თითო ბილეთი ორმოცდათორმეტი ცენტი ღირსო. ქალმა კი იმასაც არ აცალა სიტყვის დამთავრება, უეცრად შეაქცია ზურგი და ძია დოკიც ძაღლივით აედევნა უკან.

ეს ამბავი დაახლოებით ოთხ საათზე მოხდა. ექვსამდე სასა-მართლოს ეზოში, სკამზე ისხდნენ. ერთმანეთს ერთხელაც არ და-ლაპარაკებიან: თითქოს ერთმანეთის არსებობაც დაავიწყდათო. უბრალოდ, გვერდიგვერდ ისხდნენ, უცხოებივით, ქალსაც ჯერ ისევ თავისი საგარეო სამოსი ეცვა. იქნებ, მხოლოდ ერთობოდა, იქნებ, მოსწონდა, მთელი შაბათი საღამო ასე გამოპრანჭულს რომ უნდა ეტრიალა ქალაქის თვალწინ. შეიძლება იმისთვისაც იმავეს ნიშნავ-და ყველაფერი, რასაც სხვისთვის — მემფისში დროსტარება.

სანამ საათმა ექვსჯერ არ ჩამოჰკრა, ფეხი არ მოუცვლიათ. მერელა წამოდგნენ. ხალხი ამბობდა, კაცისთვის სიტყვაც არ უთქვამსო; უბრალოდ, ერთდროულად წამოიშალნენ, როგორც ტოტიდან ჩიტები, და ვერავინ შეამჩნია, ნიშანი რომელმა მისცაო. ძია დოკი ახლაც ოდნავ უკან მისდევდა. მოედანი გადაიარეს და სადგურისკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვნენ. კიდევ სამ საათს მოთსთაუნში არცერთ მატარებელს არ ელოდნენ და ხალხი ერთი პირობა დაეჭვდა კიდეც, იქნებ არც აპირებენ მატარებლით სადმე წასვლასო, მერე კი, ისეთი ამბავი მოხდა, ეჭვისთვის ვიღას ეცალა, პირდაღებულნი დარჩნენ ყველანი. ცოლქმარი სადგურის მახლობლად კაფეში შევიდა და ივახშმა, არადა, ერთად ვახშმობას ვინ ჩივის, მოთსთაუნში გადმოსახლების მერე ქუჩაში ერთად გამოსულიც არ ენახათ. ასეა თუ ისე, ქალმა პირდაპირ კაფეს მიაშურა; ალბათ ეშინოდა, ქალაქში თუ დავრჩით ვახშმად, მატარებელი გაგვასწრებსო. ჯერ შვიდის ნახევარიც არ იყო, იქ რომ მივიდნენ, დახლთან, დაბალ სკამებზე დასხდნენ და ქალმა, — ქმრისთვის ზრდილობისთვისაც არაფერი უკითხავს, — საჭმელი შეუკვეთა. კაფეს პატრონისგანაც მან გაიგო, ჯეფერსონისკენ მიმავალი მატარებელი ნაშუაღამევს, ორ საათზე რომ გადიოდა. ამაღამ ჯეფერსონში დიდი ამბავი იქნებაო, ეუბნება თურმე კაფეს პატრონი. შეგიძლიათ ქალაქის ცენტრში მანქანა იქირაოთ და ორმოცდახუთ წუთში ჯეფერსონში ხართ. ორ საათამდე მატარებელს რად უნდა უცადითო?! ეტყობა, იფიქრა, ჩამოსულები არიანო; ქალაქის გზაც მიასწავლა.

ქალს არაფერი უპასუხია, ჭამას რომ მორჩნენ დაკეცილი ქოლგიდან გაკვანძული ჭინჭი ამოიღო, ჭინჭიდან რიგრიგობით ამოაძვრინა ათცენტიანი და ხუთცენტიანი და ვახშმის საფასური უხმოდ გადაიხადა, ძია დოკს ისევ უწინდებურად გაოგნებული, თითქოს მთვარეულის სახე ედო. მერე კაფედან გამოვიდნენ, კაფეს პატრონს ეგონა, ჩემი რჩევა ჭკუაში დაუჯდათო, ალბათ ქალაქისკენ წავლენ და მანქანას დაიქირავებენო, მაგრამ ფანჯრიდან რომ გაიხედა, დაინახა სადგურისკენ მიმავლნი როგორ გადადიოდნენ ლიანდაგებზე. ჯერ დაძახება დააპირა, თუმცა მაშინვე გადაიფიქრა. „მეგონა, მე ვერ მივუხვდი-მეთქი. ალბათ, სამხრეთისკენ მიმავალი ცხრასაათიანი მატარებლის ამბის გაგება უნდოდათ“-ო.

მოსაცდელ დარბაზში მერხზე ისხდნენ, როცა კომივოიაჟერებმა, უსაქმურებმა თუ სხვა, ათასი ჯურის ხალხმა ნელ-ნელა იწყო შეგროვება და სამხრეთის მატარებლის ბილეთების შეძენა. მოლარემაც თქვა, ვახშმის მერე, რვის ნახევარზე რომ მიებრუნდი სადგურში, მოსაცდელ დარბაზში ვიღაცეები კი შევამჩნიე, ოღონდ ვიდრე

ქალი სალაროს ფანჯარასთან არ მოვიდა და ჯეფერსონის მატარებლის ამბავი არ მკითხა, მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია იმათთვისო. ჩემი საქმე მქონდა, ერთი კი ავხედე და, საქმისთვის თავიც არ მიმინებებია, ისე ვუთხარი — ხვალე-მეთქი. მერე, ცოტა ხანში, რაღაცა ძალამ ისევ ამაღებინა თავი, ფანჯარაში ისევ ის მრგვალი სახე და ბუმბული დავინახე და ქალმაც მითხრა — ორი ბილეთი მომეცი მაგ მატარებელზეო.

„მატარებელი მხოლოდ დილის ორ საათზე მოვა“, ეუბნება თურმე მოლარე. ქალი ვერც იმას უცვნია. „თუ მანამდე გინდათ ჯეფერსონში ჩასვლა, არ გირჩევნიათ ქალაქში მანქანა იქირავოთ. ხომ იცით ქალაქის გზა?“ ქალი კი თურმე უკვე თავმოკრული ჭინჭიდან ამოღებულ ათ და ხუთცენტიანებს ითვლიდა, მოლარემაც ორი ბილეთი მისცა, მერე ქალიდან ძია დოკისკენ გადაიტანა მზერა და ქალის ვინაობასაც მაშინღა მიხვდა. სანამ სამხრეთის მატარებლის მგზავრები თავს იყრიდნენ, ისინიც გაუნძრევლად ისხდნენო, მერე მატარებელი მოსულა, წასულა კიდეც, იმათ კი ფეხიც არ მოუცვლიათ. ძია დოკი მძინარეს ჰგავდაო, თითქოს ბურანში იყო, ან რაღაც უცნაური სჭირდაო. მატარებლის გასვლის მერე გამცილებელთაგან ბევრნი სადგურშივე დარჩნენ. ფანჯრიდან იჭყიტებოდნენ, ხანდახან მოსაცდელ დარბაზშიც შედიოდნენ და მერხზე ჩამომჯდარ ცოლქმარს უთვალთვალებდნენ, ვიდრე მოლარემ შუქი არ გამორთო.

ზოგი ამის შემდეგაც დარჩა. მაინც იხედებოდნენ ფანჯარაში და ბნელში გაყუჩებულ მოხუცებს უცქერდნენ. ბუმბულს თუ ხედავდნენ სიბნელეში, ანდა, ძია დოკის მელოტ, მბზინავ თავს. მერე, თანდათანობით, ძია დოკიც გამოერკვა, გამოფხიზლდა. არც გაოცება შესტყობია — ნეტავი აქ რამ მომიყვანაო, — და არც გაბრაზება — რა მინდოდა აქო. უბრალოდ, გამოცოცხლდა, თითქოს კარგა ხნის ინერციით მოძრაობის მერე ისევ სიჩქარის ჩართვის დრო დაუდგაო. „შშშშ, შშშშშ“-ო, ესმოდათ როგორ აჩუმებდა ქალი, მერე კი ძია დოკის ხმაც გამოიჭრა ბაქანზე. უწინდებურად ისხდნენ, როცა მოლარემ კვლავ აანთო შუქი და — სადაცაა მოვა ორსაათიანი მატარებელიო — უთხრა; „შშშშ. შშშშ“-ო, ჯერაც უყვავებდა ცოლი, თითქოს ბავშვის დაძინებას ცდილობსო, ძია დოკი კი — სიძვა და სიბილწე! სიბილწე და სიძვაო! — გაჰყვიროდა ერთსა და იმავეს.

- XVI -

კაკუნზე არავინ ეპასუხება და ბაირონიც ისევ ქვევით ჩამოდის. პარმაღიდან, სახლს გარს უვლის და პატარა, მყუდრო, უკანა ეზოში გადის. მაშინვე ამჩნევს თუთის ქვეშ დადგმულ სკამს. მრავალგზის დაკერებული და გახუნებული ტილოს შეზლონგი იმდენი ხნის წინ ჩაუზნექია ჰაითაუერის სხეულის სიმძიმეს, უკვე თითქოს ცარიელიც კი ინარჩუნებს ხოლმე პატრონის აჩრდილის სქელ, მობოშებულ უფორმობას; ბაირონი სკამისკენ მიაბიჯებს, უახლოვდება და თან ფიქრობს, ამაოების, უმოქმედობის, ცხოვრებისაგან სავალალო განდგომის ნიშნით აღბეჭდილი სკამი, როგორ ქცეულა იმავდროულად პატრონის არა მარტო სიმბოლოდ, არამედ მთელი მისი არსის გამოხატულებადაც — მე კი ხელახლა უნდა შევაწუხოო, აგრძელებს გუნებაში თავისებურად ოდნავ ტუჩმოქცეული, ფიქრობს **ხელახლა? ადრინდელ შეწუხებას ვინლა ჩივის, ყველა ადრინდელი შეწუხება ახლა თვითონაც სისულელედ მოეჩვენება. თანაც ისევ კვირა დღეს მოვადექი. თუმცა, რა, განა კვირა დღეც სიამოვნებით არ იძიებდა მასზე შურს, რაკი ისიც კაცის მოგონილია**

სკამს ზურგიდან უახლოვდება და ზემოდან დასცქერის. ჰაითაუერს ჩასძინებია. გამობერილ მუცელზე, იქ, სადაც ნახმარი შავი შარვლიდან თეთრი (ამჯერად სუფთა და ახალი) პერანგი ამოსჩაჩვია, გადაშლილი წიგნი უდევს პირქვე. ხელები წიგნზე დაუკრეფია, მშვიდად, მოწყალედ, პაპივით. ძველმოდური პერანგი აცვია, ნაოჭასხმულ გულისპირიანი, დაუდევრად დაუთოვებული, და არც ახლა უკეთია საყელო. პირი ღია დარჩენია, მრგვალი ღრმულის გარშემოც, საიდანაც ჩაშავებული ქვედა კბილები მოუჩანს, და ლამაზ, ნატიფ ცხვირთანაც, რომელიც ჯერაც უცვლელი დარჩენილა, ჯერაც არ შეპუებია ასაკსა და მწარე მარცხით აღსავსე წლებს, ხორცი მობოშებია და ჩამოჰკიდებია. ბაირონი მძინარის სახეს დასცქერის და ეჩვენება, თითქოს ამ ხანდაზმული კაცის მთელი სხეული საკუთარ ცხვირს გაურბის თავქუდმოგლეჯილი, ის კი, ცხვირი, დაცემულ და დანგრეულ ციხის ქონგურზე მივიწყებულ დროშასავით, მაინც ჯიუტად ებღაუჭება, მაინც არა თმობს სიამაყისა და სიმამაცის მონარჩენებს. ცის ანარეკილი, თუთის ფოთლებში მოჭიატე შუქი, სათვალის შუშებზე ტყდება და ბაირონიც ვერ ამჩნევს, როდის ახელს ჰაითაუერი თვალს. მარტო იმას ხედავს, უეცრად პირს რომ დამუწავს და წიგნზე დაკრეფილ ხელებს ააფათურებს უაზროდ. „ჰა?“ ამბობს შემკრთალი; „ვინ არის? ააა, ბაირონ, შენა...“

ბაირონი ზემოდან დასცქერის, მეტისმეტად სერიოზული სახე დასდებია. თუმცა, ახლა თანაგრძნობა აღარ აწერია ზედ. საერთოდ, არაფერს გამოხატავს მისი სახე, სიმშვიდისა და სიმტკიცის გარდა. ხმაც მშვიდი აქვს, ნებისმიერი გრძნობისგან დაცლილი: „გუშინ დაიჭირეს. ალბათ, არც ეს გაგიგიათ, როგორც მაშინ მკვლელობის ამბავი“.

„დაიჭირეს?“

„ქრისთმასი. მოთსთაუნში. ქალაქში ჩასულა და მანამდე მდგარა ქუჩაში, სანამ ვიღაცამ არ იცნო“.

„დაიჭირეს“. ჰაითაუერი სკამზე სწორდება. „და შენც მოხვედი, რომ მითხრა... მითხრა, რომ...“

„არა. ჯერ არაფერი უქნიათ. ჯერ ცოცხალია. ციხეში ზის. არაფერი უჭირს“.

„არაფერი უჭირს. მაშ, არაფერი უჭირსო, ჰა? ბაირონი ამბობს, არაფერი უჭირსო... ბაირონ ბანჩი ქალის კუროს მეგობრის ათას დოლარად გაყიდვაში მიეხმარა და ახლა ბრძანებს, არაფერი უჭირსო. ქალი საკუთარი შვილის მამას დაუმალა, ვიდრე... ვთქვა, მეორე კურო-მეთქი, ბაირონ? ვთქვა? თუ მეც დავხუჭო სიმართლეზე თვალი, რაკი ბაირონ ბანჩს ასე ურჩევნია?“

„თუკი ხალხის ყბედობას დაეჯერება, მაშინ, ალბათ, მართალი ბრძანდებით. მით უმეტეს, როცა გაიგებთ, ორივე ციხეში რომ დავიგულე“.

„ორივე?“

„ჰო. ბრაუნიც. ოღონდ, მე მგონი უკვე ყველა მიხვდა, ბრაუნს იმ მკვლელობაშიც იმდენივე წვლილი მიუძღვის, რამდენიც მკვლელის დაჭერაში. მაგრამ, ასეა თუ ისე, ხალხი, ალბათ, მაინც ლაპარაკობს, ბაირონმა, როგორც იქნა, ციხეში ამოაყოფინა თავი და მშვიდადაც ამოისუნთქაო“.

„ჰოო, მართალია“. ჰაითაუერი ხმამაღლა, წვრილი, ოდნავ მთრთოლვარე ხმით ლაპარაკობს. „ბაირონ ბანჩი, საზოგადოების კეთილდღეობისა და ზნეობის ფხიზელი დარაჯი. კანონიერი პატრონი, კანონიერი მემკვიდრე ჯილდოებისა, მართლაც, ჯილდო ხომ ახლა იმ კაცის მორგანატულ მეუღლეს ერგება, ვინც... ვთქვა? ესეც ავუხსნა ბაირონს?“ მერე უეცრად ტირილს იწყებს, საკუთარი სიმძიმით ჩაზნექილ სკამზე ზის, ვეებერთელა, მოშვებული, და სახეზე ღვარად სდის ცრემლი. „მე ასე არ ვფიქრობ. შენც ხომ იცი. მაგრამ, არც ჩემი შეწუხება გეკადრება, ჩემი ასე აწრიალება, როცა მე... როცა თავს ვაიძულე ჩრდილში დგომა... მაიძულეს... სიბერეში რატომღა უნდა დამტყდომოდა თავს ეს ამბავი, აკი მორჩილად შევეგუე იმას, რაც სხვებმა...“ ერთხელ,

ადრე უნახავს ბაირონს როგორ იჯდა ჰაითაუერი და ცრემლივით როგორ უცვარავდა სახეს ოფლი; ახლა კი, მართლა ცრემლებს ხედავს, ხედავს, ოფლივით რომ სდის მობოშებულ ლოყებზე ცრემლი.

„განა ვერა ვხვდები? საცოდაობაა. საცოდაობაა თქვენი შეწუხება. მე არაფერი ვიცოდი. არაფერი ვიცოდი, როცა ამ საქმეში გავერიე. თორემ, უთუოდ... მაგრამ თქვენ ღვთის მსახური ბრძანდებით. თქვენ არ შეგიძლიათ თავის არიდება“.

„აღარა ვარ ღვთის მსახური. თანაც, ჩემი ნებით არ ამიღია ღვთისმსახურებაზე ხელი. ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე. იცოდე, ჩემი არჩევანი არაფერ შუაშია. იმათი სურვილი იყო, ბრძანებაზე ძლიერი სურვილი, შენნაირების, იმ ქალისნაირების, იმ პატიმრისა და იმათნაირების, ვინც ბორკილი დაადო და ციხეში ჩაამწყვდია, ოღონდ კი საკუთარი ნებასურვილი აესრულებინა როგორმე, შეურაცხეყო და, ჩემსავით, თავიანთი სისასტიკის მსხვერპლად ექცია, არადა, ისიც ხომ იმავე ღმერთის გაჩენილია, თვითონ არ მიიყვანეს იქამდე, რის გამოც ახლა ეცემიან და ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთენ? ჩემი არჩევანი არაფერ შუაშია. კარგად დაიმახსოვრე ეს“.

„განა არ ვიცი? ვიცი, რადგან კაცს ამდენი არჩევანის უფლება არცა აქვს. თქვენ თქვენი არჩევანი ადრევე გააკეთეთ“. ჰაითაუერი ყურადღებით შესცქერის. „არჩევანის უფლება ჩემს გაჩენამდე მოგეცათ და თქვენც მანამდე აირჩიეთ თქვენი გზა, ვიდრე მე, ის ქალი, ანდა ის კაცი მოვევლინებოდით ქვეყანას. სწორედ მაშინ აირჩიეთ. თანაც, მე მგონი, კეთილმა ხალხმაც ისევე უნდა აგოს პასუხი საკუთარი არჩევანის გამო, როგორც ბოროტმა. როგორც იმ ქალმა, იმ კაცმა, მე... სხვებმაც, თუნდაც მეორე ქალმა“.

„მეორე ქალმაო? ვინ მეორე ქალმა? ორმოცდაათ წელს გადაცილებულ კაცს განა ორმა გზააბნეულმა ქალმა უნდა დამინგრიოს ცხოვრება და სიმშვიდეც მომისპოს, ბაირონ?“

„არა, ის მეორე გზააბნეული არ არის. ოცდაათი წელი მართლა კი ჰქონდა გზა და კვალი არეული, მაგრამ ახლა აღარ. ბებიამისზე გეუბნებით“.

„ვის ბებიაზე?“

„ვისი და ქრისთმასისა“, ამბობს ბაირონი.

თვალებადქცეული, მიყურადებული ზის კაბინეტის ბნელ ფანჯარასთან, ქუჩას, ჭიშკარს გასცქერის და შორეული მუსიკის ხმაც დაწყებისთანავე ესმის. თვითონ არც იცის თუ ელოდება, ვერ მიმხვდარა,

ყოველ ოთხშაბათ და კვირა ღამეს, ბნელ ფანჯარასთან მჯდომი, სწორედ ამ ხმის გაგონებას რომ უცდის მუდამ. ლამის წამის სიზუსტით გრძნობს მის დაწყებას და არც მაჯის, არც კედლის საათი არ სჭირდება. უკვე ოცდახუთი წელიწადია, აღარცერთი არ დასჭირვებია. მექანიკური დროისაგან სრულიად გამიჯნული ცხოვრობს. თუმცა, სწორედ ამ მიზეზის გამო, ჯერ არასოდეს გამოჰპარვია მუსიკის ხმა. თითქოს ცნობიერების ფსკერიდან, გონების ჩაურევლად, თავისთავად ამოტივიტვდება ხოლმე რამდენიმე მკაფიოდ განსაზღვრული მომენტი, რომელნიც, ერთ დროს, მის ამქვეყნიურ მკვდარ ცხოვრებას წარმართავდნენ და აწესრიგებდნენ. საათის დაუხმარებლად შეუძლია ფიქრში ზუსტად, უშეცდომოდ აღიდგინოს, სად იქნებოდა და რას გააკეთებდა ძველ ცხოვრებაში იმ ორ, უცვლელ წამს შორის, რომელნიც კვირა დღის ცისკრისა და მწუხრის ლოცვისა და ოთხშაბათ ღამის წირვის დასაწყისსა და დასასრულს აღნიშნავდნენ. როდის შევიდოდა ეკლესიაში, საკუთარი ვარაუდით, როდის დაამთავრებდა ლოცვასა და ქადაგებას. ასე რომ, ვიდრე ჯერ საბოლოოდ დაბნელდებოდეს, ვიდრე საბოლოოდ იძალებდეს ღამე, თავისთვის ამბობს **აი, ახლა თანდათანობით იკრიბებიან, ნელ-ნელა მოუყვებიან ქუჩას, ახლოვდებიან, ერთმანეთს სალამს აძლევენ, შემოდიან: ჯგუფ-ჯგუფად, წყვილ-წყვილად, თითო-თითოდ. ეკლესიაშიც ხმადაბლა აგრძელებენ ადრე წამოწყებულ საუბარს, მანდილოსნები ოდნავ შესამჩნევად არხევენ განუყრელ მარაოებს, თავის კანტურით ესალმებიან ახლადმოსულებს, სკამებს შორის მომავალთ. მის ქარადერსიც აქვა** (მისი ორღანისტი, აგერ უკვე ოცი წლის მკვდარი); **სადაცაა ქანდარაზე ავა და ორღანს მიუჯდება** მწუხრის წირვა-ლოცვა კვირა საღამოს. მუდამ ეჩვენებოდა, სწორედ ამ დროს უახლოვდება ადამიანი ყველაზე მეტად ღმერთსო, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მსგეფსის ნებისმიერ სხვა ჟამს. სწორედ მაშინ, და არა ეკლესიაში მრევლის სხვა რომელიმე შეკრების დროს, ისადგურებს ხოლმე რაღაც იმ სიმშვიდისმაგვარი, რასაც ჰპირდება, რითაც ანუგეშებს ეკლესია ადამიანს, რაც, საბოლოო ჯამში, შეადგენს კიდეც მის მიზანს. თუკი ოდესმე იწმინდება, სწორედ მაშინ იწმინდება ხოლმე კაცის გონებაც და გულიც; განვლილი კვირა, მისი ათასი დავიდარაბითა და გასაჭირით, უკვე დამთავრებულია, შეჯამებულიც და მონანიებულიც ცისკრის ლოცვის მკაცრი და დარბაისლური სიშმაგით; მომდევნო კი, თავისი ახალი საატანჯველით, ჯერ არ დამდგარა და გულიც დამშვიდებულა, ცოტა ხნით გაუგრილებია რწმენისა და იმედის სიოს.

ბნელ ფანჯარასთან მჯდომი, თითქოს ხედავს კიდეც **აი, უკვე**

შეგროვდნენ ყველანი, კარებში შემოდიან, თითქმის აღარავინ აკლიათ და მერე, ოდნავ წინგადახრილი, — დროა, დროაო, — ამბობს ხმამაღლა; თითქოს მის ნიშანს ელოდაო, დაუყოვნებლივ გაისმის მუსიკის ხმაც. ზაფხულის ღამეში ომახიანად, მჭექარედ ჟღერს საორღანო მელოდია, ხმაშეწყობილი, მოგუგუნე, ერთდროულად მორჩილიც და ამაღლებულიც, თითქოს გათავისუფლებულ ბგერებს ჯვარცმის ფორმა და სახე შეუძენიათ, და აღტაცებული, დიდებული, გულშიჩამწვდომი მუსიკაც თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებს. მაგრამ, ახლაც კი, ჯერ ისევ დაჭრავს სიმკაცრის, ულმობლობის, სიცივის რაღაც ელფერი, იმდენად აღტკინებით არ არის სავსე, რამდენადაც თავგანწირვით, ვედრებით, თხოვნით, ოღონდ, არა სიყვარულისა, არა სიცოცხლისა — რამდენადაც, მთელი პროტესტანტული მუსიკის დარად, ერთსაც უკრძალავს ადამიანს და მეორესაც, არამედ სიკვდილისა, თითქოს სიკვდილი მადლი იყოს კაცთათვის. თითქოს ისინი, ვინც სიკვდილს დაჰყაბულდნენ და ვინც მისი ძალა აღიარეს, ვინც ხოტბა შეასხეს და მის სადიდებლადაც აღიმაღლეს ხმა, ვინც იმაზე აღიზარდნენ, ვინც იმით ისულდგმულეს, რასაც სწორედ ამგვარი მუსიკა განადიდებდა, რის მარადიულ სიმბოლოსაც წარმოადგენდა, ახლა ხოტბისა და ქება-დიდების მეშვეობითვე იძიებენ შურს თავიანთ აღმზრდელსა და მასულდგმულებელზე. უსმენს და ჰგონია, ამ ხმებში საკუთარი ისტორიის, საკუთარი მიწის, საკუთარი სისხლის აპოთეოზიც ესმის: მისი გამჩენი, მის ირგვლივ მცხოვრები ხალხისა, ვისაც უხმაუროდ და უაყალმაყალოდ არც შეგუება შესძლებია ოდესმე სიამოვნებასა თუ უბედურებასთან და არც რომელიმესთვის თავის არიდება. თითქოს ვერც ვერაფრით შეჰგუებიან, ვერც ვერაფრით აუტანიათ სიამოვნება თუ აღტაცება: საშველს სისასტიკეში, სასმელში, ჩხუბში და ლოცვაში ეძებენ ხოლმე; უბედურებაც ასეა, ისიც გარდაუვალ სისასტიკეში უნდა გადაიზარდოს მუდამ ***ჰოდა, განა საკვირველია, ბოლოს და ბოლოს, მათი რელიგიაც ერთიმეორის ჯვარცმამდე თუ მიდის*** ეჩვენება, თითქოს მუსიკა იმასაც აუწყებს და ამცნობს, რაც ხვალ უნდა მოხდეს, რაც ხვალ უნდა ჩაიდინონ, რაზეც უკვე თვითონაც ფიქრობენ. თითქოს გასული კვირა ნიაღვარივით მოვარდა, ნიაღვარივით წალეკა ყველაფერი, მომავალი კი, ხვალ დასაწყები, უფსკრულია და ვიდრე ამ უფსკრულში საბოლოოდ და სამარდისოდ ჩაინთქმებოდეს, უფსკრულის პირას აზვირთებულ ნიაღვარს ერთადერთი, გაბმული, რიხიანი, უწყალო ყვირილი აღმოხდება, არა პატიების, არა სამართლიანობის მთხოვნელი: უბრალოდ, უკანასკნელი სალამი გაქრობის, გაუჩინარების წინ, თანაც,

არა რომელიმე ღმერთისადმი აღვლენილი, არამედ ჩარაზულ საკანში დამწყვდეული, განწირული კაცისადმი მიმართული, იმისადმი, ვისაც ახლა მათი ხმაც ესმის და ორი სხვა ეკლესიისაც. ვის საწამებლადაც ხვალ დაუფიქრებლად აღმართავენ კიდევ ერთხელ ჯვარს. „და თან ხალისითაც“, ამბობს ბნელ ფანჯარასთან გარინდული. გრძნობს, როგორ ეჭიმება ტუჩები, როგორ ეძაბება ყვრიმალის ძვლები, წინათგრძნობის კარნახით, რაღაც, სიცილზე უფრო საშინელის გავლენით. „რადგან მისი შეცოდება და შეწყალება საკუთარი თავისადმი უნდობლობის აღიარებასაც ნიშნავს, იმას ნიშნავს, თვითონაც რომ აქვთ სხვათაგან შებრალების იმედიცა და მოთხოვნილებაც. ამიტომაც, ხალისით ჩაიდენენ ყველაფერს. აი, ესაა სწორედ საშინელი, საშინელი, საშინელი“. მერე, ფანჯრიდან გადახრილი, ხედავს როგორ უახლოვდებიან, როგორ შემოდიან ჭიშკარში სამნი, სტუმრებს ქუჩის ნათურის შუქი ეცემა და მხოლოდ ჩრდილებში მომავალთა სილუეტებს არჩევს. თუმცა, ბაირონს მაინც სცნობს და ახლა დანარჩენ ორს აკვირდება. ცოლ-ქმარს ელოდება, მაგრამ ერთ-ერთს კაბა რომ არ ეცვას, ალბათ ვერც ვერაფრით განასხვავებდა ერთმანეთისგან: ერთი სიგრძე-სიგანისანი, ნებისმიერ ქალსა და კაცზე ტანსრულები და ტანმორჩილები, ორ ფეხზე შემდგარ დათვებსა ჰგვანან. ვერც ასწრებს თავის შემაგრებას, ისე უეცრად უტყდება სიცილი. თავზე ხილაბანდი და საყურეებიღა აკლია ჩვენს ბაირონსო, — ფიქრობს და იცინის, იცინის გაუჩერებლივ, უხმოდ, თან მაინც თავის შეკავებას ცდილობს, რადგან საცაა ბაირონიც დააკაკუნებს და თვითონაც კარის გასაღებად მოუწევს წამოდგომა.

ბაირონი სტუმრებს მოუძღვება, კაბინეტში შემოჰყავს — ტანდაბალ, ჯმუხ ქალს მეწამული ფერის კაბა აცვია, თავზე ბუმბულიანი ქუდი ხურავს, ხელში ქოლგა უჭირავს და სრულიად უძრავი სახე ადევს, საოცრად ჭუჭყიანსა და ძალიან ბებერ კაცს კი თხასავით წვერი თამბაქოს ბოლით ჩაყვითლებია და აქეთ-იქით აცეცებს გიჟის თვალებს. მორიდება ან კრძალვა არცერთს არ ეტყობა, მოსამართი, ზამბარიანი თოჯინებივით შემოდიან ოთახში. ქალი ცოტათი უფრო თვითდაჯერებულად გამოიყურება, ყოველ შემთხვევაში, ამ ორიდან უფრო შეგნებულს ისა ჰგავს. მართლა თოჯინასავით გახევებულს, თითქოს ვილაც სხვა კი დაატარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეტყობა, მაინც რაღაც გარკვეული მიზანი თუ ბუნდოვანი იმედი ამოძრავებს. კაცი კი ლამის უგონოდაა, რასაც ჰაითაუერიც იმწამსვე ამჩნევს, თითქოს ვერც მიმხვდარა და არც ადარდებს, სად იმყოფება, სად ამოუყვია

თავი და, ერთდროულად უცნაურად გარინდული და თან გაფაციცებული, ყოველ წუთს ასაფეთქებლადაა მზად.

„აი, ეს ქალია“, ამბობს ბაირონი წყნარად, „ესაა მისის ჰაინსი“. ცოლ-ქმარი გაუნძრევლად დგას შუა ოთახში. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ უცხო ხალხში, უცხო გარემოში მოხვედრილი, დამშვიდებული, გახევებული ქალი, ქვისგან გამოკვეთილსა და გაფერადებულ კერპს რომ ჰგავს, და გამოთიშული, გარინდული, ფარული რისხვით დამუხტული ჭუჭყიანი ბერიკაცი. ხეირიანად ჯერ არცერთს არ შეუხედავს მასპინძლისთვის — არც ცნობისმოყვარედ და არც ცნობისმოყვარეობის გარეშე. მერე ჰაითაუერი დასხდომას სთავაზობს. ბაირონს ქალი სკამისკენ მიჰყავს და ისიც, ქოლგაჩაბღუჯული, ფრთხილად ჯდება. კაცი კი პირიქით, მოწყვეტით ეხეთქება სკამზე. ბოლოს ჰაითაუერიც იკავებს თავის ჩვეულ ადგილს და — აბა, რის შესახებ სურთ ჩემთან ლაპარაკი? — ეკითხება ბაირონს.

ქალი სკამზეც გაუნძრევლად ზის. ეტყობა, არც გაუგონია ჰაითაუერის შეკითხვა. იმ ადამიანსა ჰგავს, ვისაც დანაპირების ხათრით ძნელი გზა გამოუვლია და ახლა ერთიანად მოშვებულა, მოლოდინად ქცეულა. „ესაა“, ეუბნება ბაირონი ქალს. „ესაა ღირსი ჰაითაუერი. უთხარით, უამბეთ, რისი მოყოლაც გინდათ“. ქალი უტყვი, უაზრო, არაფრისმთქმელი სახით მისჩერებია ბაირონს. შეიძლება ამ სახის მიღმა ბუნებრივი, თანდაყოლილი სიმუნჯე და უენობაც იმალება, მეტყველების უნარი კი თითქოს თავად სახის უძრაობასა და უაზრობას წაურთმევია ქალისათვის; შეიძლება, იმედი და სურვილი — ოღონდ, არც ერთის კვალი ატყვია და არც მეორისა. „უთხარით“, იმეორებს ბაირონი, „უთხარით რამაც მოგიყვანათ. რისთვისაც ჩამოხვედით ჯეფერსონში“.

„რისთვის, და...“ ამბობს ქალი. მოულოდნელად გაისმის ოთახში მისი ხმა, მოგუდული, ლამის უხეშიც კი, ოღონდ, მაინც ჩუმი. თუმცა, თითქოს თვითონ ამასაც არ ელოდაო, მაშინვე ჩუმდება, ეტყობა, საკუთარი ხმის გაგონებით გაოცებული, და ხან ბაირონს, ხან კი ჰაითაუერს შესცქერის სახეში.

„მითხარით“, ამბობს უკვე ჰაითაუერიც. „სცადეთ მითხრათ“.

„იმისთვის, რომ მე...“ გაოცებას ჯერაც არ გაუვლია, ქალს ისევ უცებ უწყდება უწინდელივით ჩუმი ხმა. თითქოს ეს სამი სიტყვა ხმისთვის გადაულახავ, ხელოვნურ დაბრკოლებად ქცეულა; თითქოს ხედავენ კიდეც, როგორ ცდილობს გვერდი აუაროს ამ დაბრკოლებას. „არც კი მინახავს, ფეხი როგორ აიდგა“, ამბობს ქალი. „ოცდაათი წელიწადია შორიდანაც არ მომიკრავს მისთვის თვალი. რაც ფეხი აიდგა, ლაპარაკი დაიწყო...“

„სიძვა და სიბილწე!“ მოულოდნელად ყვირის ბერიკაცი. ხმამაღლა, გამყინავად, ყურისწამღებად. „სიძვა და სიბილწე!“ იმეორებს ერთხელ კიდევ და ჩუმდება. მთვარეულივით გამოთიშული, მისნის გაშმაგებით, ყველასთვის მოულოდნელად წამოისვრის ამ სიტყვებს და, ვითომც არაფერი, ისევ ირინდება. ჰაითაუერი გაოცებული მიშტერებია. მერე უკვე ბაირონზე გადააქვს მზერა და ისიც ხმადაბლა უხსნის:

„ის ამათი ქალიშვილის შვილია. ამან...“ ოდნავ შესამჩნევად გადააქნევს თავს ბერიკაციისკენ, იმას კი თავისი დაკვესილი, გიჟური თვალები ჰაითაუერისთვის მიუნათებია — „დაბადებისთანავე სადღაც წაიყვანა თურმე. ცოლისთვისაც არ გაუმხელია ბავშვის ადგილსამყოფელი. ქალს ცოცხალიც აღარ ჰგონებია, ვიდრე...“

სიტყვას ისევ ბერიკაცი აწყვეტინებს, ისევ მოულოდნელად. ოღონდ ახლა აღარ ყვირის: დამშვიდებულა და ბაირონივით გასაგებად, დალაგებულად ლაპარაკობს, თუმცა, ოდნავ ნაწყვეტ-ნაწყვეტად: „ჰო. ბებერმა დოკ ჰაინსმა წაიყვანა. ღმერთმა მოუმართა ხელი და იმანაც არ გაუცრუა იმედი ღმერთს. ბავშვების პირით განაცხადა უფალმა საკუთარი ნება. ბავშვები დასძახოდნენ — ზანგო! ზანგო! — ღვთისა და კაცის წინაშე, ღვთის ნებას აღასრულებდნენ. ბებერმა დოკ ჰაინსმა კი უფალს ჰკითხა, — ეგ კი კარგი, მაგრამ განა ეგ კმარა. განა ბავშვები ერთმანეთს უარეს სახელებსაც არ დასძახიანო? უფალმა კი, — დაიცადე და ნახეო, მე ამქვეყნიურ სიბილწესა და სიძვაზე დასაკარგავი დრო არა მაქვსო. მე მარტო ნიშანი დავადე და ახლა ქვეყანასაც მოვდებ მის ამბავს, შენ კი იმისათვის დაგაყენე აქ, ჩემი ნება რომ აღასრულოო. დანარჩენზე უკვე შენ თვითონ უნდა იზრუნო და ფხიზლადაც უნდა იყოო“. ბერიკაცი ჩუმდება; ისე უცბად უწყდება სიტყვა, თითქოს ვიღაცამ, ვისაც მუსიკის მოსმენა მობეზრებია, ფირფიტიდან ნემსი აიღოო. უკვე ჰაითაუერსაც უელავს თვალები, ბერიკაციდან კვლავ ბაირონზე გადააქვს მზერა.

„რას ნიშნავს ეს? რას?“ ეკითხება ბაირონს.

„მინდოდა რამენაირად მარტო ქალი მომეყვანა“, ამბობს ბაირონი. „მაგრამ, ვერსად დავტოვეთ. ქალიც ამბობს, თვალს ვერ მოვაშორებო. თურმე, გუშინ, მოთსთაუნშიც აქეზებდა ხალხს, მოდით ახლავე ლინჩის წესით გავასამართლოთო, არც იცოდა, რაში სდებდნენ ბრალს“.

„ლინჩის წესით?“ ყურებს ვერ უჯერებს ჰაითაუერი. „საკუთარი შვილიშვილი?“

„ქალი ასე ამბობს“, პასუხობს ბაირონი დინჯად — „აქაც მაგიტომ ჩამოვიდაო. თვითონაც იძულებული გამხდარა გამოჰყოლოდა, როგორმე ხელი რომ შეეშალა“.

ისევ ქალი იწყებს ლაპარაკს. შეიძლება ამ ხნის მანძილზე სულ უსმენდა. თუმცა, მეტი აზრი არც ახლა აწერია სახეზე, ვიდრე ოთახში შემოსვლისას ეწერა; სახეგაქვავებული, ხმაჩამკვდარი ლაპარაკობს, ლამის ქმარივით მოულოდნელად ერთვება საუბარში. „ორმოცდაათი წელია ასეა. მეტიც, ორმოცდაათი წელია მე ვუძლებ. სანამ დავქორწინდებოდით, მანამდეც სულ ჩხუბზე ეჭირა თვალი. იმ ღამესაც, მილი რომ გვეყოლა, ჩხუბისთვის ციხეში ამოაყოფინეს თავი. აი, რა გადავიტანე, რას ვუძლებდი. ამბობდა, იძულებული ვარ ვიჩხუბოო, სხვებზე ტანმორჩილი ვარ და სხვანაირად ყველა ჩემს დაჩაგვრას და დაბეჩავებას ეცდებაო. პატივმოყვარეობა და სიამაყე ალაპარაკებდა. მე კი ვეუბნებოდი, ეშმაკი ჩაგბუდებია-მეთქი. ერთ დღესაც უსათუოდ მოგადგება და თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, ისე მოგთხოვს-მეთქი თავის კუთვნილ ხარკს. მილის დაბადების მეორე დღესაც ამას ვეჩიჩინებოდი, ციხიდან ახლადგამოშვებულს; ჯერაც ისეთი დასუსტებული ვიყავი, თავი ვერ ამეწია, ასე ვუთხარი: ღმერთი ნიშანს გაძლევს და გაფრთხილებს-მეთქი; შენი შვილის დაბადებისას ციხეში რომ იჯექი, ეგ უფლის ნიშანია და იცოდე, ზეციერი არასოდეს მოგანდობს ქალიშვილის აღზრდას-მეთქი. იმასაც განიშნებს, ქალაქს (მაშინ რკინიგზაზე მუშაობდა კონდუქტორად) ზიანის მეტი არაფერი მოაქვს ჩვენი ოჯახისთვის-მეთქი. ეტყობა დამიჯერა, დაიჯერა, მართლა ნიშანს რომ აძლევდა უფალი, რადგან ქალაქიდან კარგა ხნით ამოვიკვეთეთ ფეხი და ეუფეუსიც სამხერხაოში მოეწყო ოსტატად, თავიდან კარგად წაუვიდა საქმე, რადგან იმ დროს ჯერ არ დაეწყო ამაოებითა და სიამაყით შეპყრობილს უფლის სახელის ფუჭად ხსენება, ისიც მხოლოდ იმიტომ, როგორმე ეშმაკის მონება რომ დაემალა და გაემართლებინა. ჰოდა, როცა ცირკიდან შინისკენ მიმავალმა ლემ ბუშის ფორანმა ჩაგვიარა და მილი სახლთან არ გადმოსვა, როცა ეუფეუსი გადარეულივით შემოვარდა ოთახში და ყველა უჯრა ამოაქოთა სანამ დამბაჩას იპოვიდა, ვუთხარი, ეუფეუს, ეგეც ეშმაკია-მეთქი. შენ ახლა მილიზე დარდს არ გაუგიჟებიხარ-მეთქი ეგრე. ამან კიდევ, სულერთიაო. სულერთია, ეშმაკია თუ არაო, მერე გამარტყა, საწოლზე დამაგდო და მეც ვხედავდი...“ ქალი ჩუმდება. ოღონდ ნელ-ნელა, თანდათანობით უწყდება ხმა, თითქოს პატეფონი მხოლოდ სანახევროდ, ჰაიჰარად მოუმართავთო. ჰაითაუერს ისევ ბაირონისთვის მიუპყრია ანთებული, გაოცებული მზერა.

„მეც ასე მიამბო“, ამბობს ბაირონი. „თავიდან ბევრი ვერაფერი გავიგე. სამხერხაოში ცხოვრობდნენ თურმე, არკანზასში, ოსტატად მოწყობილა იქ. გოგო მაშინ უკვე თვრამეტიოდე წლისა ყოფილა, როცა ერთ ღამეს სამხერხაოსთან ქალაქისკენ მიმავალ ცირკს ჩაუვლია.

დეკემბერი მდგარა, წვიმიანი, ერთ-ერთ ფურგონს სამხერხაოს შორიახლოს ხიდი ჩასტეხია, ვიღაც იმათიანი მისდგომია შინ, გაუღვიძებია და უთხოვია, იქნებ ფურგონის ამოთრევაში მოგვეხმაროთო...“

„უფლისთვის საძულველი ქალის ხორცი!“ ყვირის უეცრად ბერიკაცი. ყვირის და მაშინვე იკმენდს ხმას, მაშინვე ჩუმდება; თითქოს მხოლოდ წამით სურდა ყურადღების მიპყრობაო. მაგრამ, ცოტა ხანში ისევ ჩქარ-ჩქარა იწყებს ლაპარაკს, დამაჯერებლად, ბუნდოვნად, ფანატიურად, საკუთარ თავს ახლაც მესამე პირში იხსენიებს. „მან იცოდა. იცოდა ბებერმა დოკ ჰაინსმა. აკი ნანახიც ჰქონდა უკვე მის ტანზე, მისი კაბის ქვეშ უფლისთვის საძულველი ქალური ნიშანი. ჰოდა, როცა ლაბადა მოისხა, ფარანი აანთო და სახლიდან გამოსვლა დააპირა, გოგოც კარებთან დაუხვდა, იმასაც ჩაეცვა საწვიმარი, ჰაინსი ეუბნება, — წადი, დაწექიო, გოგო კი — მეც მინდა წამოსვლაო, — წადი, ოთახში შებრუნდიო, უთხრა ჰაინსმა, გოგოც დამორჩილდა, მერე ჰაინსი იმათ გაჰყვა, სამხერხაოდან მოზრდილი მორი დაითრია და ფურგონის ამოთრევაში მიეხმარა. ლამის გათენებამდე იმუშავა, დარწმუნებული იყო, გოგომ დამიჯერაო, მამის ნებას დაჰყვაო, უფლისგან მონიჭებულ ნებას. მაგრამ, მეტი ჭკუა მართებდა. ვალდებულიც იყო არ დავიწყებოდა ქალის ხორცისადმი უფლის ზიზღი და სიძულვილი; უნდა ეცნო მრუშობისა და სიბილწის მოარული სახე, უკვე აქოთებული, უკვე აყროლებული ღვთის თვალწინ. ბებერ დოკ ჰაინსს უმტკიცებდა, მექსიკელიაო, დოკ ჰაინსს! არადა, შეხედა თუ არა, მაშინვე დაუნახა სახეზე ყოვლისშემძლე ღმერთის შავი წყევლის დაღი. ეუბნებოდა...“

„რაო?“ ამბობს ჰაითაუერი. ხმამაღლა ამბობს, თითქოს წინდაწინვე იგრძნო, მხოლოდ საკუთარი ხმის სიძლიერით რომ მოახერხებს მეორე ხმის ჩახშობას. „რას ნიშნავს ეს ყველაფერი?“

„ის ბიჭიც თურმე ცირკს ახლდა“, უხსნის ბაირონი. „როცა გაქცეულებს დასწევია, მექსიკელიაო — ქალიშვილს უთქვამს ამისთვის. შეიძლება, ბიჭისგან იცოდა იმის მექსიკელობა. ოღონდ ამას...“ — ბაირონი ისევ ბერიკაცზე უთითებს — „საიდანღაც შეუტყვია ზანგური სისხლი ურევიაო. ეტყობა, ცირკის მსახიობებიდან უთხრა ვინმემ. არ ვიცი. თვითონ არავის გამოსტეხია, ვინ აუხილა თვალი. თითქოს ამ ამბავს არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა. ისე, მე მგონი, მართლაც არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მომდევნო ღამის შემდეგ მაინც“.

„მომდევნო ღამის?“

„ეტყობა მაშინ, აი, ფურგონი რომ გადავარდნილა ხიდიდან, გოგო მაინც გაიპარა შინიდან. ეს ასე ამტკიცებს. თვითონ ღრმადაა დარწმუნებული და მართლაც, ეჭვი რომ არ გასჩენოდა, გოგოს რომ

არ მიეცა ეჭვის საბაბი, მერე რაც მოხდა, ალბათ, არც მოხდებოდა. მეორე საღამოს გოგო უკვე ვიღაც მეზობელთან ერთად წასულა წარმოდგენაზე. ამასაც, რაკი გაპარვის ამბავი მაშინ ჯერ არ სცოდნია, გაუშვია. ჯერ არ შეჰპარვოდა ეჭვი, მაშინაც არაფერს შეუშფოთებია თურმე, როცა საკვირაოდ გამოპრანჭულ-გამოწყობილი გოგო მეზობლის ფორანში ჯდებოდა. შვილის დაბრუნებას მაინც მოუთმენლად ელოდა თურმე და როცა ფორნის ხმა გაუგია, ფორანს კი ამათი სახლისთვის ისე ჩაუვლია, ისე გაუგრძელებია გზა, თითქოს გოგოს გადმოსმას არც აპირებდა, გიჟივით გამოვარდნილა შინიდან და ყვირილ-ყვირილით გასდევნებია უკან. ფორანი გაჩერებულა, ოღონდ გოგო შიგ არა მჯდარა. ცირკთანვე დაგვშორდაო — უთქვამს მეზობელს, — ასე გვითხრა, ამაღამ ჩემ დობილთან ვრჩებიო. გაჰკვირვებია კიდეც, შენ როგორ არაფერი იცი, შინიდან წამოსვლისას ხელში ხომ სამგზავრო ჩანთა ეჭირაო. ჰაინსს ჩანთა არ დაუნახავს. ეს ამბობს", ბაირონი ახლა სახეგაქვავებულ ქალზე უთითებს; ქალი კი უძრავად ზის, ვერც შეატყობ, ესმის მათი ნალაპარაკევი თუ არა. — „ეშმაკი მიუძღოდა წინო. ჩემზე უკეთ საიდან ეცოდინებოდა მილის ადგილსამყოფელი, არადა, მაინც დაფეთებული შემოვარდა შინ, დამბაჩას ეცა, მე საწოლზე დამანარცხა და, რამდენი არ ვეცადე გამეჩერებინა, მაინც ვერაფერს გავხდი, მაინც შეკაზმა ცხენი და გიჟივით სადღაც გააჭენაო. ერთდერთი მოკლე გზა ეგულებოდა და ისიც სწორედ იმ გზას დაადგა ბნელშიო, გაქცეულების დაწევა ათიოდე სხვა გზითაც შეიძლებოდა, მაგრამ მაინცდამაინც ის ამოარჩიაო. ეტყობა, რაღაც სხვა გუმანს მიჰყავდა, სხვა გუმანი კარნახობდა. მართლაც, მალევე უპოვნია, თითქოს წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი რომელ გზას დაადგებოდნენ, სად იქნებოდნენ, თითქოს, იმ მექსიკელთან თუ ზანგთან პაემანი ჰქონოდა დანიშნული. წინათგრძნობა ეხმარებოდა. უკუნი სიბნელე მდგარა და მაშინაც კი, როცა იმათ პაწია ორთვალას დასწევია, ზუსტად ვერაფრით ეცოდინებოდა, მართლა ისინი ისხდნენ შიგ თუ სხვები. მაინც ჩასდგომია კვალში, მაინც ჭენებით მიჰყოლია იმ ღამეს შეხვედრილ პირველსავე ეტლს. მერე მარჯვნიდან ამოსდგომია, ცხენის კისერზე გადაწოლილა და იმ უკუნ ღამეში სიტყვის უთქმელად, ცხენის შეუჩერებლად, მეეტლისათვის, ვინც თავისუფლად შეიძლებოდა უცნობი ანდა სულაც მეზობელი გამომდგარიყო, მაგრად ჩაუვლია ხელი. ცალი ხელით ჩაუბღუჯავს, მეორეთი დამბაჩა მიუბჯენია, გაუსვრია და ადგილზევე გაუთავებია; მერე გოგო უკან შემოუსვამს უნაგირზე და შინ დაბრუნებულა. ორთვალაც და მოკლულიც გზაზე უპატრონოდ დაუყრია. მაშინაც წვიმდა თურმე".

ბაირონი ჩუმდება. ჩუმდება და მაშინვე ქალი იწყებს ლაპარაკს, თითქოს ერთიანად დაჭიმული, მოუთმენლობით შეპყრობილი, მხოლოდ ბაირონის დადუმებას ელოდებოდაო. უწინდებურად მკვდარი, უხალისო, რულისმომგვრელი ხმა აქვს: ორი ხმა ენაცვლება ერთიმეორეს, მონოტონურად, სტროფივით და ანტისტროფივით: ორი უსხეულო ხმა თვლემამორეული ჰყვება რაღაც ამბავს, არარსებულ მხარეში მომხდარს, არარსებული ხალხის ჩადენილს: „მე საწოლზე ვეგდე და მესმოდა, როგორ გავიდა სახლიდან, მერე ცხენის ფლოქვების ხმაც გავიგონე. გავიგონე, როგორ ჩაუქროლა სახლს თქარათქურით, ჭენებით. გაუხდელად ვეგდე და ლამპას შევცქეროდი. ლამპაში ზეთი ილეოდა, ცოტა ხანში წამოვდექი, სამზარეულოში გავიტანე, ისევ გავავსე, პატრუქიც გავწმინდე, მერე ტანზე გავიხადე და ლოგინში ჩავწექი, ლამპა ანთებული დავტოვე. გადაუღებლად წვიმდა, ციოდა; მერე გავიგონე, როგორ დაბრუნდა ცხენი, პარმაღთან გაჩერდა, მეც წამოვდექი, შალი მოვისხი და ისინიც შემოვიდნენ. მესმოდა ეუფეუსის ფეხის ხმა, მილის ნაბიჯებიც, დერეფანს დაუყვნენ, კარს მოადგნენ, მილის სახეზე წვიმის წყალი ჩამოსდიოდა, თმა და ახალი კაბა ტალახში ამოთხვროდა, თვალები დაეხუჭა. უცებ ეუფეუსმა სახეში გაარტყა, მილი დაეცა, იატაკზე ეგდო, ოღონდ სახე ოდნავადაც არ შესცვლია. ეუფეუსი კარებში იდგა, სველი, ტალახიანი, — შენ ამბობ, ეშმაკს ემსახურებიო. კეთილი, აი, მოგიყვანე ეშმაკის ნაშიერი. ჰკითხე ერთი, რას დაატარებს მუცლით, ჰკითხეო. ისეთი დაღლილი ვიყავი, არაფრის თავი არა მქონდა, თან ციოდა, ვეუბნები, რა იყო, რა მოხდა-მეთქი? გზას გაჰყევი, ტალახში კარგად მოიძიე და ნახავო. ამის მოტყუებას რა უნდა? მაგრამ მე ვერავინ გამასულელებსო. თუმცა, არც ამის გასულელება დასჭირვებია ვინმეს. რად უნდოდა? აკი შენცა თქვი, ერთ მშვენიერ დღეს ეშმაკი მოგადგება და თავის ხარკს მოგთხოვსო. აი, მოვიდა კიდეც. ჩემმა ცოლმა მეძავი გამიჩინა. მაგრამ, საათმა რომ ჩამოჰკრა, ეშმაკმა, რაც შეეძლო, ის მაინც გააკეთა — სწორი გზაც მასწავლა და დამბაჩაც მაგრად დამაჭერინა ხელშიო.

ხანდახან ვფიქრობდი, ეშმაკმა ღმერთი დაამარცხა-მეთქი. როცა დავრწმუნდით მილის ფეხმძიმობაში, ეუფეუსი ექიმის ძებნას შეუდგა — ყველა ექიმი კი არ იკისრებდა ასეთ საქმეს. ხან მეშინოდა, მართლა არ იპოვოს-მეთქი — მერჩივნა მოსახდენი მომხდარიყო, ყველაფერი ისევე დარჩენილიყო, როგორ იყო, რაკი კაცსა და ქალს ამქვეყნად გვერდიგვერდ ცხოვრება რგებიათ წილად. ხან კი პირიქით, იმედიანად ველოდი ექიმის პოვნას, ისე ვიყავი არაქათგამოცლილი, ვიდრე ძიება და სასამართლო დამთავრდებოდა, ვიდრე ცირკის პატრონი მოწმედ

გამოვიდოდა და იტყოდა, ის კაცი მექსიკელი კი არა, მართლა ზანგი იყო სანახევროდო: ეუფეუსიც ხომ მუდამ იმავეს ამტკიცებდა, თითქოს სიმართლე ეშმაკისაგან იცისო. მოკლედ, დაავლებდა ხოლმე დამბაჩას ხელს, ან ვიპოვნი ეგეთ ექიმს, ან არადა, შემომაკვდება ვინმეო, იტყოდა და სადღაც მიდიოდა, ზოგჯერ მთელი კვირაც გადაიკარგებოდა ხოლმე უგზო-უკვლოდ და უკვე მთელმა ხალხმა იცოდა ჩვენი ამბავი, ვთხოვდი კიდეც, მოდი აქედან ავიყაროთ-მეთქი: ცირკის პატრონის მეტს არავის უთქვამს იმ კაცის ზანგობა, თან, ცირკის პატრონსაც ზუსტად საიდან რა ეცოდინებოდა და ეგეც რომ არა, სადღა უნდა გვეძებნა თავის ცირკიანად, ვინ მიაკვლევდა იმის ადგილ-სამყოფელს? არადა, ეუფეუსი ფეხსაც არ იცვლიდა, მილის დრო კი ახლოვდებოდა და დარბოდა ასე დამბაჩამომარჯვებული აღმა-დაღმა, უაზროდ. მერე გავიგე, ისევ ციხეში ზისო; თურმე ექიმის ძებნით დაღლილს ეკლესიებში და სამლოცველოებში დაეწყო სიარული და ერთ ღამესაც, წირვა-ლოცვის დროს, ადგილიდან წამომხტარა, კათედრაზე ასულა და თვითონვე დაუწყია ქადაგება, ზანგებს წყევლიდა და აგინებდა თურმე, თეთკანიანებს კი უკიჟინებდა, ერთიანად წამოვიშალოთ და დედაწულიანად ამოვყლიტოთ ყველა ზანგიო, ძლივს გაუჩუმებიათ, კათედრიდანაც ჩამოუყვანიათ, ის კი თურმე დამბაჩას უღერებდა ხალხს, ემუქრებოდა, იქვე, ეკლესიაში, ვიდრე კანონის დამცველები არ მისულან და არ დაუპატიმრებიათ; ღმერთმანი, გიჟსა ჰგავდაო — ამბობდნენ მისი მნახველები. მერე ძველი ამბავიც გამოუჩხრიკეს, რომელიღაც ქალაქში ექიმი გაელახა თურმე, ოღონდ მაშინ მოესწრო გამოქცევა, დროზეკე ეშველა თავისთვის. მოკლედ, ციხიდან რომ გამოუშვეს, მილის დროც, ჰა და ჰა, უკვე მოწეული იყო. მეგონა, დაწყნარდა-მეთქი, ბოლოს და ბოლოს ღვთის ნებას ჩასწვდა-მეთქი — რადგან ლამის საერთოდ აღარ ისმოდა იმისი ხმა; ერთ დღეს, მე და მილი იმისგან მალულად ბავშვის ტანსაცმელს რომ ვკერავდით, იმ ტანსაცმელსაც მიაგნო და კრინტიც არ დაუძრავს, მარტო გვკითხა, როდის იქნება ეს ამბავიო. ყოველდღე გვეკითხებოდა, მეგონა, ალბათ ბედს შეეგუა, ეკლესიებში სიარულმა ანდა ისევ ციხეში ჯდომამ ცოტა გული თუ დაუმშვიდა, როგორც მაშინ, მილის დაბადებისას-მეთქი. ასე იყო თუ ისე, ერთ ღამესაც მილიმ გამაღვიძა და — დაიწყოო — მითხრა, მეც ჩავიცვი, ეუფეუსიც გავაღვიძე და ექიმის მოსაყვანად გავგზავნე. ისიც უჩუმრად გავიდა შინიდან. ყველაფერი გავამზადე. ვზივარ, ველოდები, მაგრამ არც ეუფეუსი ჩანს, არც ექიმი, აი, საცაა შემოვლენ-მეთქი, ვფიქრობ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ბოლოს ავდექი და პარმაღზე გავედი — გავხედავ-მეთქი — და რასა ვხედავ? კიბეზე ზის, ზედა

საფეხურზე, კალთაში თოფი უდევს და მეუბნება, — სახლში შედი, კახპას მშობელოო, — ეუფეუს-მეთქი, დავაპირე რაღაცის თქმა, მაგრამ თოფი მოიმარჯვა და — შინ შედიო. დააცადე ეშმაკს დათესილის მომკაო. უკანა კარიდან ვცადე გაპარვა, მაგრამ ეტყობა ხმა გაიგონა, სახლს შემოურბინა თოფმომარჯვებულმა, თოფის ლულით მცემა და მეც ისევ მილისთან შევბრუნდი, რა მექნა?! თვითონ დერეფანში იდგა, კარებთან და უხმოდ უყურებდა, როგორ კვდებოდა მილი. მერეღა შემოვიდა ოთახში, საწოლს მიუახლოვდა, ბავშვს დახედა, მერე დასწვდა, აიყვანა, მაღლა ასწია და ასე აწეული ეჭირა ლამპის ზევით, თითქოს ელოდებოდა, თითქოს ცდილობდა არ გამოჰპარვოდა, რომელი გაიმარჯვებდა — ეშმაკი თუ ღმერთი. მე საწოლთან ვიჯექი, არაფრის თავი აღარ მქონდა, მარტო ჩრდილებს ვხედავდი კედელზე — იმისას, იმის ხელებისას, და უფრო ზევით — ბავშვისას. მაშინ გამიელვა თავში, ღმერთმა გაიმარჯვა-მეთქი. თუმცა, ახლა კი აღარაფერი ვიცი. ამან ბავშვი ისევ მილის მიუწვინა გვერდით და ოთახიდან გავიდა. საერთოდ წავიდა სახლიდან. ავდექი, ღუმელში ცეცხლი დავანთე და რძე ავადუღე". ქალი ჩუმდება; კვდება იმისი უხალისო, მოგუდული ხმა. მაგიდის იქით ჰაითაუერი ზის, უძრავ, სახეგაქვავებულ, მეწამულ კაბაში გამოწყობილ ქალს მისჩერებია, რომელიც, ოთახში შემოსვლის შემდეგ ერთხელაც არ შერხეულა. მერე ქალი ისევ აგრძელებს ლაპარაკს, გაუნძრევლად მჯდომი ლამის ტუჩებსაც კი არ ამოძრავებს, თითქოს თოჯინა იყოს, ხმას კი მუცლითმეზღაპრე გამოსცემდეს მეორე ოთახში.

„გადაიკარგა ეუფეუსი. სამხერხაოს პატრონმაც ვერ გაიგო მისი ასავალ-დასავალი. ახალი ოსტატი კი აიყვანა, მაგრამ მე ცოტა ხანს კიდევ დამრთო სახლში დარჩენის ნება — ეუფეუსისა არაფერი ვიცოდით, ზამთარი კარს იყო მომდგარი და ჩვილი ბავშვის პატრონს ქუჩაში ხომ არ გამაგდებდა. სანამ წერილი არ მივიღე, მისტერ გილმანისა არ იყოს, არც მე ვიცოდი, სად მეძებნა ქმარი. მემფისიდან გამოეგზავნა, შიგ მარტო ფული იდო, სხვა არაფერი. ვერც წერილმა გამაგებინა ხეირიანად რამე. ნოემბერში ისევ მივიღე კონვერტით ფული, ბარათი არც მაშინ გამოუყოლებია. აღარაფრის თავი აღარ მქონდა, მერე, შობამდე ორი დღით ადრე, უკანა ეზოში შეშას ვაპობდი და შინ რომ შევბრუნდი, ბავშვი აღარ დამხვდა. ერთი საათიც არ ვყოფილვარ ეზოში, ვინმე რომ შემოსულიყო ან გასულიყო, წესით აუცილებლად უნდა დამენახა, მაგრამ არავინ დამინახავს. ბარათი კი ვიპოვე, ეუფეუსს დაეტოვებინა, იმ ბალიშზე, ბავშვს რომ ამოვუდებდი ხოლმე გვერდით — საწოლიდან არ გადმომივარდეს-მეთქი. ისეთი დაღლილი ვიყავი, არაფრის თავი არა

მქონდა. ვიჯექი და ველოდი, სხვა რა დამრჩენოდა? შობის მერე ეუფეუსიც დაბრუდნა, ოღონდ არაფერს მეუბნებოდა. მარტო ისა თქვა, გზას უნდა გავუდგეთო, ვიფიქრე, ბავშვი წინდაწინვე თუ დააბინავა და ახლა მეც ჩამომაკითხა-მეთქი. არც ის ვიცოდი, სად მივდიოდით; აქვე ახლოსო, მხოლოდ ეს ვათქმევინე, თან ჩემი მემართებოდა, ლამის გავგიუდი დარდით, ჩვენს ჩასვლამდე ბავშვს რა ეშველება-მეთქი, ამას კიდევ პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული, არც მეგონა ცოცხალი თუ ჩავაღწევდი ახალ ადგილას. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ, მაგრამ ბავშვი იქ არ დაგვხვედრია და ვეკითხები, მითხარი რა უყავი-მეთქი ჯოს. იცოდე, გინდა თუ არა, მაინც გათქმევინებ-მეთქი. მეც ისე შემომხედა, როგორც იმ ღამეს მომაკვდავ მილის და მითხრა, — აი, ესაა უფალი ღმერთის სიძულვილი, მე კი მისი ნების აღმსრულებელი იარაღი ვარო. მეორე დღეს ისევ გადაიკარგა, ისევ არ ვიცოდი, სად მეძებნა, ფულიც ისევ მივიღე ფოსტით და როცა, ბოლოს და ბოლოს, ერთი თვის მერე შინ დაბრუნება იკადრა, მითხრა მემფისში ვმუშაობო. ვიცოდი, სადღაც მემფისში რომ გადაემალა ჯოც და თავს ვინუგეშებდი, მე თუ არა, ამას მაინც შეუძლია თვალი ადევნოს და მიხედოს-მეთქი. ვიცოდი, ცოტა უნდა დამეცადა, გამეგო, რა ედო გულში, და იმედიც მიჭიატებდა, ერთხელაც იქნება, მეც თან წამიყვანს-მეთქი. ჰოდა, ვიცდიდი. ვკერავდი, ტანსაცმელს ვუმზადებდი ჯოს, ეუფეუსის დაბრუნებისასაც მუდამ ყველაფერი მზად მქონდა ხოლმე, მინდოდა მეთქმევინებინა, მოერგებოდა ჯოს ჩემი ნახელავი თუ არა, რას შვრებოდა, როგორ იყო, მაგრამ ეს არაფერს მეუბნებოდა. დაჯდებოდა და ბიბლიას კითხულობდა ხმამაღლა, ხმამაღლა კი არა — ყვირილით, თან ჩემს მეტი მსმენელი არავინ ჰყავდა და თითქოს ეჭვი ეპარებოდა, მეც თუ მჯეროდა მისი წაკითხულისა. ხუთი წელი არაფერი უთქვამს ჩემთვის, არც ვიცოდი, მიჰქონდა ჯოსთვის ჩემი შეკერილი ტანსაცმელი თუ არა. თან კითხვისაც მეშინოდა, მეშინოდა ჩემი სადარდებლის გამჟღავნება, ჯანდაბას, მე თუ არა, ეგ მაინც ხომაა-მეთქი ბავშვის სიახლოვეს. მერე, ხუთი წლის თავზე, ერთხელაც შინ დაბრუნდა და — უნდა ავიბარგოთო — მითხრა; ვიფიქრე, ესაა, მეღირსა, მოვესწარი, ისევ ვნახავ-მეთქი ჩემს ჯოს. რამე ცოდვა თუ გვედო ამ ხსნის მანძილზე, გამოვისყიდეთ-მეთქი, მეგონა, ეუფეუსსაც კი ვაპატიე ყველაფერი. მეგონა, მემფისში გადავსახლდებოდით, ახლა მაინც, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. მემფისში კი არა, მოთსთაუნში ჩავედით. ისე, მემფისზე გავიარეთ, რამდენს ვეხვეწებოდი! ჩემს სიცოცხლეში პირველად ვთხოვე რაღაც. აღარაფერს დავეძებდი, ერთი წუთი, ერთი წამი-მეთქი

ვევედრებოდი; ხელსაც არ ვახლებდი, არც დაველაპარაკებოდი, არც არაფერი. მაინც არ დამრთო ნება. სადგურიდან არცკი გაგვიდგამს ფეხი. ერთი მატარებლიდან გადმოვედით, შვიდი საათი ვიცადეთ სადგურში, მერე მეორეში ჩავსხედით და მოთსთაუნში ჩავედით. მემფისში აღარც თვითონ დაბრუნებულა სამუშაოდ, ცოტა ხნის მერე ვუთხარი, — ეუფეუს, ხუთი წელიწადი ლოდინში გავატარე და ერთხელაც არ შემიწუხებიხარ. ის მაინც მითხარი, ცოცხალია თუ არა-მეთქი? ერთი სხვანაირად შემომხედა და — მკვდარიაო — მითხრა. — მკვდარია თუ ჩემთვისაა-მეთქი მკვდარი? თუ მხოლოდ ჩემთვისაა, არ დავეძებ. ოღონდ სიმართლე მითხარი, აკი ხუთი წელია არაფრით შემიწუხებიხარ-მეთქი. — შენთვისაც მკვდარია, ჩემთვისაც და ღმერთისთვისაცო, მთელი სამზეოსთვისაა მკვდარი საუკუნოდ და სამარადისოდო.

ქალი ისევ ჩუმდება. მაგიდასთან მჯდომი ჰაითაუერი მშვიდი, უიმედო გაოცებით შესცქერის. ბაირონიც გაუნძრევლად ზის, ოდნავ თავჩაქინდრული. სამი მათგანი, ბერიკაცის გარდა, მიქცევის მერე ნაპირთან გაშიშვლებულ სამ კლდესა ჰგავს. ბერიკაცი კი ამჯერად, ეტყობა, ყურადღებით უსმენდა ცოლს, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ყველაფრისადმი ყრუ ყურადღებით, რასაც მაშინვე, იმწამსვე, ისევ უგონობა და რინდი ენაცვლება, თან თვალებსაც ისე უცნაურად და შემზარავად გადაატრიალებს ხოლმე უკან, თვალის კაკლები აღარც უჩანს, თითქოს დათხრილი თვალები თვითონვე, თავისი ხელითვე ჩაუსვამს, ოღონდ უკუღმაო. მერე უეცრად, მოულოდნელად აკაკანდება, მხიარულად, გიჟურად — ბებერი, შეშლილი, საშინლად ბინძური. „ღმერთი იყო. ღმერთი იყო იქ. ბებერმა დოკ ჰაინსმა არც ღმერთს გაუცრუა იმედი. ღმერთმა ჩააგონა, რაც უნდა ექნა და ბებერმა დოკ ჰაინსმაც არ დაახანა. მერე უფალი ეუბნება, — ახლა კი უცქირე, ნახე როგორ აღსრულდება ჩემი ნებაო. ბებერი დოკ ჰაინსიც უცქერდა და ესმოდა კიდეც პაწაწა ბაგეების მიერ წარმოთქმული სიტყვა, უფლის ობლების, უდედმამოების, ესმოდა, როგორ იმეორებდნენ უფლის ჩანაგონებს, როგორ ამუღავნებდნენ უფლისგან შეძენილ ცოდნას, მაშინაც კი, როცა ჯერ თვითონ ვერაფერს ხვდებოდნენ, ჯერ არაფერი გაეგებოდათ, რადგან უცოდველები იყვნენ, ჯერ გოგოებისთვისაც უცნობი იყო ცოდვა და სიძვა — ზანგო, ზანგო! — იმეორებდნენ ბავშვების უმანკო ბაგეები. — რას გეუბნებოდიო? უთხრა უფალმა ბებერ დოკ ჰაინსს. — აი, საცაა აღსრულდება ნება ჩემი და მეც მივდივარო. დანარჩენი ხელის გასვრადაც აღარა ღირსო, რას დავეძებ ერთი კახპას მრუშობას,

თუკი ესეც ჩემი მიზნის აღსრულებას ემსახურებაო. ბებერ დოკ ჰაინსს გაუკვირდა, — კახპის მრუშობა შენი მიზნის აღსრულებას რანაირად ემსახურებაო? უფალმა კი მიუგო, — დაიცადე და ნახავ. შენ გგონია მაინცდამაინც იმ ახალგაზრდა ექიმმა შემთხვევით იპოვა შობა ღამეს კარებთან საბანში გახვეული ჩემთვის საძულველი ჩვილიო? უბრალო შემთხვევითობის წყალობად მიგაჩნია იმ ღამეს დირექტორის არყოფნა, რათა ახალგაზრდა კახპებს იმ ჩვილისთვის ქრისთმასის დარქმევა შესძლებოდათ ჩემი ძის სახელის შესაბღალავადო? ასე რომ, მე მივდივარ, რადგან ჩემი ნების აღსრულებას ველარაფერი დაუდგება წინ, შენ კი დარჩი და თუ გინდა, დანარჩენს თვალყური ადევნეო. ბებერი დოკ ჰაინსიც იცდიდა და თვალყურს ადევნებდა. უფლის საქვაბიდან ადევნებდა თვალს ბავშვებს, იმათ შორის მოარულ, ოღონდ იმათთვის შეუცნობელ თესლს ეშმაკისას, ქვეყნის წამბილწველს, ვისზეც უნდა აღსრულებულიყო განგება ღვთისა. და თანდათან სრულდებოდა კიდეც, სრულდებოდა, რადგან ის უკვე ძველებურად აღარ თამაშობდა სხვებთან ერთად. თავისთვის იდგა ხოლმე, მარტო, გარიყული, მაშინ ბებერი დოკ ჰაინსიც მიხვდა, როგორ ჩაესმოდა უკვე იმასაც ღვთის განგების იდუმალი გაფრთხილება და უთხრა, — უწინდელივით რატომ აღარ ეთამაშები ბავშვებსო? იმან არაფერი უპასუხა, მაშინ ბებერი ჰაინსი ეკითხება, — ზანგს რომ გეძახიან, იმიტომო? იმან არც ახლა გასცა პასუხი. — გგონია, ზანგი ხარ, რადგან ღმერთმა სახეზე ნიშანი დაგასვაო? ჰკითხა ჰაინსმა. იმან კიდევ, — ღმერთიც ზანგიაო? — ღმერთი უფალია მრისხანე ანგელოზებისაო, უთხრა მაშინ ბებერმა დოკ ჰაინსმა, — და აღსრულდება ნება მისი. არა შენი ან ჩემი, რადგან შენცა და მეც, ორივე, ნაწილი ვართ მისი მიზნისა და მისი შურისძიებისაო. იმან ზურგი შეაქცია, წავიდა და დოკ ჰაინსიც ხედავდა, როგორ უსმენდა, როგორ აყურადებდა უფლის შურისმგებელ ნებას, მერე ისიც გაიგო, როგორ ასვეტია თურმე წინ ეზოში მომუშავე ზანგს და მანამდე უცქერია დაუინებით, ვიდრე ზანგს არ უკითხავს, რა იყო, რას მიყურებ, ბიჭუნაო? — ზანგი როგორ გახდიო? უთქვამს იმას. — ვინ გითხრა, რომ ზანგი ვარ, შე თეთრი მათხოვრების ნაბიჭვაროო? უკითხავს ზანგს. — მე ზანგი არა ვარო, უპასუხია ბიჭს. ზანგს კი — შენ უარესი ხარო. შენ ისიც არ იცი, ვინა ხარ. მეტიც, ვერც გაიგებ ვერასოდეს, ისე იცხოვრებ და ისე მოკვდები, არაფერი გეცოდინებაო. — არც ღმერთია ზანგიო, უთქვამს იმას. — ღმერთის ამბავი ალბათ შენ უკეთესად გეცოდინებაო", უპასუხია ამაზე ზანგს. — რადგან ღმერთის მეტმა არავინ იცის შენი ვინაობაო. ღმერთს კი იმისთვის აღარაფერი უთქვამს, ღმერთი იქ

აღარ იყო, თავისი ნება აღასრულა და მეთვალყურედ ბებერი დოკ ჰაინსი დატოვა. იმ პირველ ღამესვე დატოვა, როცა საკუთარი ნების აღსასრულებლად ყველაფერი განამზადა და დათქმულ ვადად თავისი ძის წმინდათაწმინდა დღესასწაული აირჩია. იმ ღამეს ციოდა, ბებერი დოკ ჰაინსი კუთხეს ეფარებოდა, კარებს შესცქეროდა და ხედავდა, როგორ სრულდებოდა ღვთის ნება, ახალგაზრდა ექიმიც დაინახა, დაინახა, როგორ მოდიოდა, როგორ მოჰყავდა გარყვნილებისა და სიძვის ჟინს, მერე გაჩერდა, დაიხარა, ცოდვის შვილი აიტაატა და სახლში შეიყვანა. ბებერი დოკ ჰაინსიც ფეხდაფეხ შეჰყვა, ყველაფერი ნახა, ყველაფერი გაიგონა. იმ ახალგაზრდა კახპებსაც საკუთარი თვალით ხედავდა, დირექტორის არყოფნაში რომგარეული გოგლიმოგლითა და ვისკით რომ ბილწავდნენ უფლის წმინდათაწმინდა დღესასწაულს, მერე საბანს მისცვივდნენ და გახსნეს. იმან კი, ექიმის იეზაბელმა, უფლის იარაღმა, — მოდით, ქრისთმასი დავარქვათო, მეორემ, — კარგი, ოღონდ სახელი, სახელი რა შევურჩიოთო? და მაშინ ღმერთმაც ჩააგონა ბებერ დოკ ჰაინსს — უთხარიო — იმათაც, სიბილწის ოხშივარში გახვეულებმა, დოკ ჰაინსს მიაპყრეს მზერა და აყვირდნენ, — უი, ეს ხომ ძია დოკია. ნახე რა მოგვიყანა, რა დაგვიტოვა კარებთან სანტა კლაუსმა, ძია დოკო. ბებერმა დოკ ჰაინსმაც უთხრა, — ამისი სახელი ჯოზეფიაო, იმათ სიცილი შეწყვიტეს, ბებერ დოკ ჰაინსს მიაჩერდნენ და იეზაბელმა ჰკითხა, — თქვენ საიდან იცითო? ბებერმა დოკ ჰაინსმაც — ღმერთი ამბობს ასეო, — უთხრა, მაშინ ისევ გაიცინეს, ისევ აყვირდნენ, — კი, ბიბლიაშიც ასე სწერიაო: ქრისთმასი, ჯოს ძეო. ჯო, ძე ჯოსიო. ჯო ქრისთმასიო, ჯო ქრისთმასს გაუმარჯოსო, თქვეს და ეცადნენ ბებერი დოკ ჰაინსისთვისაც დაელევინებინათ სადღეგრძელო, ღვთის დასაგმობად, მაგრამ იმან ჭიქა გვერდზე მოისროლა. მას მხოლოდ უნდა ეცქირა და ეცადა, ასეც იქცეოდა, ვიდრე უფლის დათქმულმა დრომ არ მოაწია და ბოროტებამ ბოროტება არ შვა. ექიმის იეზაბელმა მიირბინა მასთან, თავისი ავხორცული სარეცელიდან, ჯერ ისევ ცოდვითა და შიშით აქოთებულმა. — საწოლის უკან იყო დამალულიო, ეუბნება, ბებერმა დოკ ჰაინსმა კი — განა სხვათა საცთუნებლად და შენივე თავის დასაღუპავად თვითონვე არ ხმარობდი ნაირნაირ სურნელოვან საპნებსო, ღვთის საგმობად და შესაგინებლადო? ახლა კეთილი ინებე და იტანჯე კიდევაცო. ის კი ეუბნება, — მარტო თქვენ შეგიძლიათ დაელაპარაკოთო. ვიცი, ჩემი თვალით მინახავსო. იქნება, როგორმე დაიყოლიოთო. მაშინ ბებერმა დოკ ჰანსმა უთხრა, — მეც ისევე არ მედარდება შენი გარყვნილება, როგორც ღმერთსო, გამამხელს და დამითხოვენო, თავი

მომეჭრებაო, გაიძახოდა, თავისი ავხორცობითა და სიძვით ყარდა, ბებერი დოკ ჰაინსის პირისპირ იდგა და აშკარად აჩნდა ღვთის ნება, ღვთის სახლის შეურაცხმყოფელს, სადაც უფალს თავისი ობლებისათვის მიუჩენია ბინა. — შენ არარაობა ხარო, უთხრა ბებერმა დოკ ჰაინსმა. — შენცა და ყველა შენნაირი კახპაც. შენა ხარ იარაღი უფლის მრისხანე მიზნისა, მის უნებართვოდ კი ერთი ბელურაც ვერ ჩამოვარდება ციდან. შენც, ჯო ქრისთმასივით და ბებერი დოკ ჰაინსივით, უფლის იარაღი ხარო. ქალი შეტრიალდა და წავიდა, ბებერი დოკ ჰაინსი კი იცდიდა და თვალს ადევნებდა, დიდი დრო არ გასულა, ისევ რომ მობრუნდა უკან, უდაბნოს ბინადარი მტაცებელი ნადირის სახე ედო. — დავაბინავეო, თქვა, ბებერმა დოკ ჰაინსმა კი ჰკითხა, — სად დააბინავე, როგორო? რადგან იმისი უცოდინარი არაფერი შეიძლებოდა დარჩენილიყო, უფალი არ უმალავს თავის მიზანს საკუთარ რჩეულებს, და ბებერმა დოკ ჰაინსმაც უთხრა, — შენ აღასრულე ღვთის განგება. ახლა შეგიძლია მიბრძანდე და განკითხვის დღემდე მშვიდად აკეთო შენი ბინძური საქმეო. იმას კი ბილწი ჭუჭყით მოთხვრილი სახე უდაბნოს მტაცებელს მიუგავდა და ურცხვად დასცინოდა უფალს. მერე მოვიდნენ და წაიყვანეს. ბებერი დოკ ჰაინსი ხედავდა, როგორ სვამდნენ ეტლში, მერე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა, რათა უფლის გამოცხადებას დალოდებოდა, უფალიც გამოეცხადა და უთხრა, — ახლა შენც შეგიძლია წახვიდეო. შენ ჩემი ნება აღასრულე. ქალური ბოროტების გარდა, აქ სხვა ბოროტება აღარ დარჩენილა, ეს კი ჩემი რჩეულის საცქერლად არა ღირსო. ბებერი დოკ ჰაინსიც ღვთის ნებას დაემორჩილა. ოღონდ უფლის გამოცხადებას ისევ და ისევ ელოდებოდა, — ის ნაბიჭვარი, უფალოო? შეჰღაღადა ერთ ღამეს, და ღმერთმა უთხრა, — ის ჯერაც დადის ჩემს მიწაზეო, და ბებერი დოკ ჰაინსი კვლავინდებურად უცდიდა უფლის გამოცხადებას, სხვა ღამეც დადგა და ისევ ჰკითხა, — ის ნაბიჭვარი, უფალო? ღმერთმა მიუგო, — ის ჯერაც ჩემს მიწაზე დადისო, ბებერი დოკ ჰაინსიც იცდიდა, ელოდებოდა, ერთ ღამესაც ველარაფრით მოისვენა, იბორგა, იშფოთა და ბოლოს ხმამაღლა შეჰბღავლა, — ის ნაბიჭვარი, ღმერთო! მე ვგრძნობ! ვგრძნობ ბოროტის კლანჭებსა და ეშვებსო! და ღმერთმაც — ეგ ისაა, ის ნაბიჭვარიო. შენი საკეთებელი საქმე ჯერ არ დასრულებულაო. ის ჯერაც წამლავს და ჯერაც ბილწავს ჩემს მიწასო.

შორეული ეკლესიის მუსიკის ხმა დიდი ხანია მიწყდა. ღია ფანჯრიდან მხოლოდ ზაფხულის ღამის მშვიდი, მირიადი ხმაღა

იჭრება ოთახში. ჰაითაუერი მაგიდასთან ზის და როგორც არასდროს, ისე ჰგავს მახინჯ, ტლანქ ცხოველს, გასაქცევად გამზადებული, ეშმაკობითა და მოტყუებით რომ გაუჩერებიათ და, მისივე გამაბრიყვებლებსა და მომტყუებლებს, ჩიხში მოუმწყვდევიათ განწირული. სტუმრები უხმოდ მისჩერებიან, ლამის მსაჯულებივით. ორი მათგანი ჰაითაუერივით უძრავად ზის — სახეგაქვავებული, მოლოდინად ქცეული, კლდესავით მომთმენი ქალი და გამოფიტული, ულმობლად, სულის ერთი, ღონიერი შებერვით ჩამქრალი სანთლის დანახშირებული ძაფივით ყინწმოწყვეტილი ბერიკაცი. მარტო ბაირონს შერჩენია სიცოცხლის ნიშან-წყალი. თავი ჩაუქინდრავს. ცერსა და საჩვენებელ თითს ნელ-ნელა უსვამს ერთმანეთს, თითქოს რაღაცას ასორსოლავებსო და ფიქრში წასული, თვალებგაშტერებული, ჯიუტად დასცქერის მუხლზე ჩამოდებულ საკუთარ ხელს. ჰაითაუერი რომ ლაპარაკს იწყებს, დარწმუნებულია, მე არ მომმართავსო, არც მე და არც სხვას, ამ ოთახში მყოფსო. „ჩემგან რას მოითხოვენ?“ ამბობს ჰაითაუერი. „რისი იმედი აქვთ, მაინც რა ჰგონიათ, რა შემიძლია?“

ხმას არავინ იღებს; ეტყობა, მისი შეკითხვა ცოლ-ქმარს არც გაუგონია. არც ბაირონს ჰქონია იმედი, ბერიკაცი თუ გაიგებდა რამეს. — ამას არაფერი დახმარება არცა საჭირდებაო, ფიქრობს და ახსენდება, მთელი თორმეტი საათი, მას მერე, რაც ჰაინსებს გადაეყარა, როგორ დაჩანჩალებდა ცოლს აკიდებული ბერიკაცი მთვარეულივით, გამოთიშული, საცნაურდაკარგული, ავადმყოფურად გარინდებული. „დახმარება კი არა, როგორმე ხელი უნდა შევუშალოთ. მარტო ცოლმა კი არა, ყველამ უნდა ვილოცოთ, დიდხანს იყოს ასე გასავათებული“. მერე ქალისკენ გადააქვს მზერა. მშვიდად, ლამის ტკბილად ეუბნება: „განაგრძეთ. უთხარით, რაც გინდათ. ხომ უნდა იცოდეს. უთხარით“.

„ვიფიქრე, იქნებ ...“ ამბობს ქალი. აუღელვებლად ლაპარაკობს. რიდი კი არ აწყვეტინებს სიტყვას, არამედ ხმაში გამორეული ხრინწი, თითქოს ხმას ძალა დაატანეს, აიძულეს რაღაც სიტყვით გამოუთქმელი, მხოლოდ ნაგრძნობი, ცოდნაში ღრმად დამარხული გამოეთქვა. „მისტერ ბანჩმა თქვა, იქნება...“

„რა?“ ამბობს ჰაითაუერი. მკაცრად, მოუთმენლად, ბრაზიანადაც კი; ჯერ არ განძრეულა, სკამზე უკანგადაწეული ზის, ხელები სახელურებზე დაუსვენებია. „რაო? რა თქვა მაინც?“

„ვიფიქრე...“ ქალს ისევ უწყდება ხმა. ფანჯრის იქით ჯიუტი, დაუღალავი მწერები ხმაურობენ. მერე კვლავ აგრძელებს გაწყვეტილ სიტყვას, მოღლილი, არაფრისმთქმელი ხმით ლაპარაკობს, თვითონაც ოდნავ თავჩაქინდრული ზის და თითქოს მშვიდი ყურადღებით ისიც

საკუთარ ხმას უსმენს: „ის ჩემი შვილიშვილია, ჩემი გოგოს პატარა ბიჭი. მე ვიფიქრე, თუ მე... თუ ის...“ ბაირონიც მშვიდად უსმენს, თან ფიქრობს **გაგიუდება კაცი. ვინმეს ეგონება ადგილები გაუცვლიათო. თითქოს ჰაითაუერსა ჰყავს ზანგი შვილიშვილი და ჩამოხრჩობაც იმას ემუქრება** ქალი კი თავისას აგრძელებს. „ვიცი, არ ვარგა უცხო კაცის შეწუხება. მაგრამ, თქვენ იღბლიანი ბრძანდებით, უცოლო, მარტოხელა, მშვიდი სიბერე გელით და სიყვარულის სასოწარკვეთაც უცხოა თქვენთვის. სწორად თუ ვერ ვლაპარაკობ, ბოდიშს ვიხდი, თუმცა, სხვანაირად თქმა რომც შემეძლოს, ალბათ, მაინც ვერ გამიგებდით. უბრალოდ, ვიფიქრე ერთი დღე მაინც ვიცხოვრო-მეთქი ისე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ერთი დღე მაინც დაივიწყოს-მეთქი ხალხმა, მკვლელი რომ ჰქვია...“ ხმა ერთხელ კიდევ წყდება. ქალი კი არც შერხეულა. გაჩუმებასაც, თითქოს, ისევე ელოდება, როგორც ადრე ლაპარაკის დაწყებას ელოდა, უწინდებურად დაძაბული, გაფაციცებული, ყველაფერს შეგუებული.

„განაგრძეთ“, ეუბნება ჰაითაუერი, ხმამაღლა ეუბნება, მოთმინებადაკარგული; „განაგრძეთ“.

„არც მინახავს, როგორ აიდგა ფეხი, ლაპარაკი როგორ დაიწყო. ოცდაათი წელიწადია, შორიდანაც არ მომიკრავს მისთვის თვალი. არ ვამბობ, რასაც აბრალებენ, არ ჩაუდენია-მეთქი. არ უნდა იტანჯოს-მეთქი იმათსავით, ვისაც უყვარდათ და საყვარელი ადამიანი დაკარგეს. მაგრამ, თუნდაც ერთი დღით რომ გამოეშვათ... თითქოს ჯერ არც მომხდარა არაფერი, თითქოს ჯერ არც ამხედრებია ქვეყანა. მაშინ ვიფიქრებდი, სამოგზაუროდ წავიდა, გაიზარდა, დაკაცდა და უკან დამიბრუნდა-მეთქი. მხოლოდ ერთი დღით... მერე აღარაფერში ჩავერეოდი. თუ მართლა ჩაიდინა, რასაც აბრალებენ, თითსაც არ გავანძრევ, ტანჯვა რომ ავაცილო თავიდან. მხოლოდ ერთი დღით, გესმით? თითქოს იმოგზაურა და დამიბრუნდა, თავის თავგადასავალს მიამბობს და ქვეყანაც ჯერ არ გადამტერებია“.

„ააააა“, ამბობს ჰაითაუერი, გამყინავი, წვრილი ხმით. ერთხელაც არ შერხეულა, სკამის სახელურებს ჩაფრენილ ხელებზე სახსრები დასჭიმვია და გასთეთრებია, თავის შეკავებას კი ცდილობს, მაგრამ ნელ-ნელა მაინც იტანს ცახცახი, მთელი ტანი უცახცახებს და ტანსაცმელიც ვერ ფარავს ამას. „მაშ ეგაა, არა?“ ამბობს ჰაითაუერი. „სულ ეგაა. ეგ ადვილია... ადვილი... ადვილი“. გიჟივით იმეორებს ერთსა და იმავეს. „ადვილია, ადვილი“. თავიდან ხმადაბლა ლაპარაკობდა; ახლა ხმას აუწია. „რას მოითხოვს ეს ხალხი? ახლა რაღა უნდა გავაკეთო? ბაირონ! ბაირონ, რას ნიშნავს ეს? რაღა უნდათ ჩემგან?“ ბაირონი

ფეხზე წამომდგარა. მაგიდასთან დგას, ხელები მაგიდაზე დაუბჯენია და ჰაითაუერს შესცქერის სახეში. ჰაითაუერი ჯერაც გაუნძრევლად ზის, ოღონდ ზონზროხა სხეული ერთიანად ცახცახს აუტანია. „ააააა. სწორია. აბა რა, უნდა მცოდნოდა. უნდა მივმხვდარიყავი, ბაირონის მეტი სხვა არავინ მთხოვდა ამას. უნდა მცოდნოდა, ესეც რომ გველოდა მე და ბაირონს. რაღაც უცდი, გაბედე. ნუღა ყოყმანობ“.

ბაირონი მაგიდას დასცქერის, მაგიდაზე დაბჯენილ საკუთარ ხელებს. „საცოდაობაა, საცოდაობა“.

„ააა. მითანაგრნობ კიდეც, არა? ამდენი ხნის მერე? ოღონდ, მე მითანაგრძნობ თუ საკუთარ თავს? მიდი, თქვი რაც სათქმელი გაქვს. რა გინდა? რას ითხოვ? ვიცი, შენგან მოდის ყველაფერი. ყოველთვის ვიცოდი. ეჰ, ბაირონ, ბაირონ. რა დრამატურგი იკარგები“?!

„ალბათ, კომივოიაჟერიო, გინდოდათ გეთქვათ, ან დალალი, ან ვაჭარი“, ამბობს ბაირონი, „საცოდაობაა. მეც ვიცი. თქვენი თქმა რად მინდა?!“

„მაგრამ მე ხომ შენსავით გამჭრიახი არა ვარ. შენ, გეტყობა, წინდაწინ იცოდი, რასაც გიპასუხებდი, თუმცა სათქმელს ბოლომდე არც მეუბნები. მაინც რა გინდა გავაკეთო? წავიდე და მკვლელობა დავიბრალო? ჰა?“

ბაირონს სახე ებზარება, ისევ ის, თავისებური, ოდნავშესამჩნევი, მოულოდნელი, სარდონიკული, დაღლილი და უსიხარულო ჩრდილი გადაურბენს. „კაცმა რომ თქვას, თითქმის მართლა ეგაა“. ისევ უმშვიდდება სახე, უსერიოზულდება. „საცოდაობაა ამისი თხოვნა. ღმერთმანი, თვითონაც ვხვდები“. ზანტად, გაუაზრებლად, უნებლიეთ დააცურებს ხელს მაგიდის ზედაპირზე და თვალმოუშორებლად დასცქერის. „მახსოვს, ერთხელ გითხარით, ბოროტებისა არ იყოს, სიკეთის საზღაურიც არსებობს-მეთქი; საზღაური კი უნდა გადაიხადო. თანაც, დრო რომ დგება, სწორედ კეთილ კაცს არ შეუძლია ხოლმე ვალისთვის თავის არიდება. იმ უბრალო მიზეზის გამო, ვერავითარი ძალდატანებით სხვანაირად რომ ვერ გადაახდევინებ, კეთილი კაცი პატიოსან მოთამაშესა ჰგავს. ბოროტი, პირიქით, სულ თავის დაძვრენას ცდილობს; ამიტომაც არავინ ელოდება მაშინვე რომ გადაიხდის, ან, თუნცად დიდი ხნის მერე. პატიოსანი კი სხვაა. ალბათ, სიკეთის საზღაურის გადახდაც უფრო ხანგრძლივად გიწევს კაცს, ვიდრე ბოროტებისა. თქვენთვის კი პირველი არ იქნება, ერთხელ ადრეც ხომ უკვე გადაიხადეთ ამგვარი ვალი. აუცილებელი არ არის, ახლაც ისე დამთავრდეს ყველაფერი, როგორც მაშინ“.

„განაგრძე. განაგრძე. მაინც, რა უნდა გავაკეთო?“

ბაირონი თავის ზანტ, დაუღალავ ხელს დასცქერის ჩაფიქრებული. „მკვლელობა ჯერ ერთხელაც არ უღიარებია. ბრაუნის ნათქვამის გარდა, სხვა სამხილი არც არსებობს, ეგ კი — გინდ ყოფილა, გინდ არა. თქვენ რომ გეთქვათ იმ ღამეს აქ იყო, ჩემთანო. ყოველ ღამეს, როცა, ბრაუნის თქმით, ქალთან დადიოდა ხოლმე. თქვენ დაგიჯერებდნენ. ამის დაჯერება არ გაუჭირდებოდათ. ის უფრო უკვირთ, ქალთან სიყვარულობანა ჰქონდა გამართული და მერე ყელი გამოჭრაო. თქვენც მოხუცი ბრძანდებით. ვნებას ვერაფერს მოგაყენებენ. სხვა დანარჩენს კი, მე მგონი, უკვე ისედაც შეეჩვიეთ.“

„ჰოო“, ამბობს ჰაითაუერი. „კი, კი. დაიჯერებენ. იოლადაც დაიჯერებენ და თან ყველას ეშველება. ყველას. მაშინ ისიც იმათ დაუბრუნდება, ვისაც ტკივილი და ტანჯვა მიაყენა, ბრაუნიც უჯილ-დოოდ დარჩება, შეაშინებენ კიდეც, აიძულებენ ბავშვის მამობა აღიაროს და მერე სამუდამოდ გადაიკარგოს უგზო-უკვლოდ. ჰოდა, დარჩებათ ბურთი და მოედანი ბაირონსა და იმ ქალს. რადგან მე, მე მხოლოდ ერთი ბებერი კაცი ვარ, თანაც იღბლიანი, სიყვარულის სასოწარკვეთის გაუგებლად დაბერებული“. ჰაითაუერი ერთიანად კანკალებს, ვეღარ ჩერდება; თავი აუწევია. ლამპის შუქზე სახე უბზინავს, თითქოს ზეთი სცხიაო. ნაწამები და დამახინჯებული სახე ლამპის შუქზე უპრიალებს; დილით სუფთა, ხშირი რეცხვით გაყვითლებული პერანგი ოფლს დაულბია. „იმიტომ კი არა, თითქოს არ შემეძლოს ანდა ვერ ვბედავდე“, ამბობს ის; „იმიტომ, რომ არა მსურს! არა მსურს! გესმის?“ მერე სკამის სახელურებიდან ხელებს იღებს. „არა მსურს-მეთქი ამის გაკეთება!“ ბაირონი უძრავად დგას. ხელიც გაუჩერებია; ჰაითაუერს შესცქერის და ფიქრობს **მე არ მიყვირის. ეტყობა ხვდება, ჩემზე ახლოს ვიღაც სხვაა ახლა მასთან და იმის დარწმუნებას ცდილობს** ჰაითაუერი კი მართლა ყვირის, „არ ვიზამ ამას! არ ვიზამ!“ ხელები მაღლა აღუმართავს, მოუმუშტავს, სახეზე ოფლი ჩამოსდის, პირ-დაბჩენილს დაკრეჭილი, ჩამპალი კბილები მოუჩანს და ლოყებზე მობოშებული, საგოზავისფერი ხორცი მახინჯად ჩამოჰკიდებია. „გაეთრიე!“ კივის ყურისწამღები ხმით. „გაეთრიე ჩემი სახლიდან! გაეთრიე-მეთქი ჩემი სახლიდან!“ მუშტებშეკრული და მკლავებგაწვდილი პირქვე ემხობა მაგიდაზე. მოხუცი ცოლ-ქმრის უკან მიმავალი ბაირონი კარებთან წამით ყოვნდება, უკან იყურება, ჰაითაუერისკენ, ის კი არ ინძრევა, თალფაქიანი ლამპიდან დაღვრილი სინათლის ტბაში მისი მელოტი თავი და მომუშტული, წინგაშვერილი ხელები ბზინავს. ღია ფანჯრის იქით მწერებს ერთხელაც არ შეუწყვეტიათ შარიშური, წამითაც არ გაუკმენდიათ ხმა.

- XVII -

ეს ამბავი კვირა ღამეს მოხდა. მეორე დილას კი ლინამ იმშობიარა. ის-ის იყო ირიჟრაჟა, როცა ბაირონმა სწორედ იმ სახლთან შეაყენა გაჭენებული ჯორი, საიდანაც სულ რაღაც ექვსიოდე საათის წინ წამოსულიყო. გადმოხტა თუ არა უნაგირიდან, მაშინვე მოსწყდა ადგილს და სირბილით აუყვა ბნელი პარმაღისკენ მიმავალ ჩაბნელებულ ბილიკს. ძალიან კი ჩქარობდა, ოღონდ, თითქოს გვერდიდანაც შესცქეროდა საკუთარ თავს და თან ბრაზიანად, გაუოცებლად ფიქრობდა: — სად ბაირონ ბანჩი და სად მშობიარე ქალზე ზრუნვა. ღმერთმანი, ორი კვირის წინ რომ მომხდარიყო ეს ამბავი, თვალებს არ დავუჯერებდი, მატყუებთ-მეთქი, ვეტყოდიო.

იმ ოთახის ფანჯარა, სადაც ექვსი საათის წინ მღვდელი დატოვა, ახლა ბნელში ჩანთქმულიყო. სირბილშივე გაახსენდა ჰაითაუერის მელოტი თავი, იმისი მომუშტული ხელები, მაგიდაზე გადაწოლილი დუნე სხეული. „მაგრამ, ალბათ, ბევრი არ სძინებია“, გაუელვა ფიქრში. „გინდაც არ თამაშობდეს...არ თამაშობდეს...“ ფიქრშიც ვერ გაებედა ბებიაქალის ხსენება, არადა იცოდა, ჰაითაუერი უთუოდ ამ სიტყვას იტყოდა. — ეტყობა, მართლა არც უნდა ვიფიქროო, აგრძელებდა გუნებაში. — იმ კაცივით, თოფს რომ გაურბის ანდა, პირიქით, თოფისკენ მირბის და დროც აღარ რჩება გასარკვევად, რა ჰქვია მის საქციელს — სიმხდალე თუ სიმამაცეო.

კარი ღია დაუხვდა. ალბათ, სხვას არც ელოდა არაფერს. დერეფანში ხელისცეცებით გაიკვლია გზა, თუმცა ოდნავადაც არ ცდილა უხმაუროდ ევლო. იმ ოთახს, სადაც გაჩახჩახებული ლამპის შუქზე უკანასკნელად იხილა მაგიდაზე გართხმული სახლის პატრონი, ადრე არასოდეს გასცილებოდა. არადა, ახლა უშეცდომოდ პირდაპირ სასურველი კარისკენ დააღერა თავი, თითქოს გუმანს მიჰყავდა, თითქოს ხედავდა რამეს სიბნელეში, თითქოს ვიღაც მიუძღოდა. — ესეც ასე იტყოდაო, გაიფიქრა მოუთმენლობით შეპყრობილ, გზა-კვალის ამბნევ სიბნელეში მიმავალმა. ესეც და ქალიცო. ლინას გულისხმობდა, იქ, ქოხში მწო-ლიარეს, უკვე ტკივილებით გაწამებულს. „ოღონდ, ვინც არ უნდა იყოს ჩემი მეგზური, სახელს მაინც ორივე სხვადასხვას დაარქმევდა“. ოთახში შესვლამდე მოესმა ჰაითაუერის ხვრინვა. „ყველაფრის მერე, თითქოს მაინცდამაინც არც აღელვებულა“, გაიფიქრა ბაირონმა. მაგრამ იმწამსვე, დაუყოვნებლივ, ფიქრშივე დაამატა: „არა, არა ვარ მართალი. უსამართლობაა. თვითონაც ხომ არ მჯერა საკუთარი სიტყვებისა. უბრალოდ, მოხუცია და ჩემდენის გაძლების თავი აღარა აქვს, ეგაა და ეგ მაგის ძილისა და ჩემი უძილობის მიზეზი“.

საწოლს მიუახლოვდა. საწოლის ჯერაც უჩინარი ბინადარი საშინელ ხმაზე ხვრინავდა. სრული, საბოლოო დანებება მოისმოდა ამ ხმაში. დაღლილობა და დაქანცულობა კი არა, სწორედ დანებება, თითქოს ერთხელ და სამუდამოდ შეეწყვიტა წინააღმდეგობა, ერთხელ და სამუდამოდ შელეოდა ერთმანეთში არეულ სიამაყესაც, იმედსაც, პატივმოყვარეობასაც, შიშსაც და ის ძალაც გამოსცლოდა, რომლის წყალობითაც კაცი თანაბრად ებღაუჭება დამარცხებასაც და გამარჯვებასაც, რომელიც უფლებას აძლევს თქვას — მე ვარო — და რისი უარყოფაც, ჩვეულებრივ, სიკვდილს ნიშნავს ხოლმე. საწოლთან მდგომმა ბაირონმა ერთხელ კიდევ გაიფიქრა **ცოდვაა. ცოდვა** ახლა, ამ წუთას, მძინარის გაღვიძება ყველაზე საშინელ ვნებად ეჩვენებოდა, რაც კი ოდესმე მიეყენებინა მისთვის. „მაგრამ, მე ხომ არ ვუცდი“, გაუელვა ფიქრში. „ღმერთია მოწმე. მე მგონი, ამ ბოლო დროს, სხვებისა არ იყოს, ღმერთიც ჯიუტად მადევნებს თვალს და ფიქრობს, აბა, ერთი სხვას რას მოიმოქმედებს კიდევო“.

მერე მძინარეს შეახო ხელი, მტკიცედ, ოღონდ უხეშად არა. ჰაითაუერსაც შუა გზაზე გაუწყდა ხვრინვა; უცებ ტალღასავით აუზვირთდა მთელი ტანი და დაფეთებული წამოვარდა. „ჰა? რა იყო?“ იკითხა შეშინებულმა. „ვინ არის აქ?“

„მე ვარ“, მიუგო ბაირონმა, „ისევ ბაირონი ვარ. გაიღვიძეთ?“

„ჰო. რა...“

„დიახ“, თქვა ბაირონმა. „დროაო. ამბობს, უკვე მოაწია დრომო“.

„ამბობს?“

„შუქი სად ინთება?.. მისის ჰაინსი... ისიც იქაა. მე ექიმის მოსაყვანად მივდივარ. ალბათ შემაგვიანდება. თქვენ კი ჩემი ჯორი წაიყვანეთ. იქამდე ჯორით მისვლა წესით არ უნდა გაგიჭირდეთ. წიგნი ხომ ისევა გაქვთ?“

ჰაითაუერი შეინძრა, საწოლი ააჭრიალა. „წიგნი? რა წიგნი?“

„აი, მაშინ რომ გამოგადგათ, როცა ის ზანგი ქალი ამშობიარეთ. იქნება, ახლაც დაგჭირდეთ-მეთქი. ექიმი თუ დროზე ვერ მოვიყვანე. ჯორი ჭიშკართან დგას. გზას თავისით გაიგნებს. მე ქალაქამდე ფეხითაც ჩავალ და ექიმს წამოვიყვან. ვეცდები არ დავიგვიანო“. შეტრიალდა და მაშინვე კარებისკენ დააღერა თავი. ესმოდა, გრძნობდა, როგორ წამოჯდა ჰაითაუერი საწოლში. ოთახის შუაგულში წამით შეყოვნდა, ჭერიდან ჩამოკონწიალებული ნათურა იპოვა და აანთო. შუქი რომ აინთო, უკვე კარებთან იყო. უკან აღარც მიუხედავს. ჰაითაუერი — ბაირონ! ბაირონო! — მოსძახოდა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა, პასუხი არ გაუცია.

განთიადი ძალას იკრებდა. სწრაფად მიუყვებოდა ცარიელ ქუჩას, დაშორიშორებულ, გაფერმკრთალებულ ქუჩის ნათურებქვეშ მიაბიჯებდა, რომელთაც ჯერ ისევ გუნდ-გუნდად ეხვია ქინქლა. მაგრამ, სინათლე მაინც განუწყვეტლივ მატულობდა; მოედანს რომ მიაღწია, აღმოსავლეთის ფასადი უკვე მკვეთრად ილანდებოდა ცის ფონზე. გამალებული ფიქრობდა. ექიმს წინდაწინ არაფერზე შეთანხმებია. მიდიოდა, დარწმუნებული იყო, რაღაც წარმოუდგენელი, დანაშაულებრივი დაუდევრობა გამოვიჩინეო და, ნებისმიერი ჭეშმარიტი, დამწყები მამის შიშითა და სიშმაგით შეპყრობილი, გაჩენის დღეს იწყევლიდა. თუმცა, მის წუხილს მთლად დამწყები მამის წუხილიც არ ეთქმოდა. ამის გარდა, სხვაც იყო კიდევ რაღაც, რასაც მხოლოდ და მხოლოდ მოგვიანებით ახსნიდა და ჩასწვდებოდა. ოღონდ, ის რაღაც, მის გონებაში მაინც უკვე შეყუჟულიყო და სიჩქარის აუცილებლობით დროებით მიჩქმალული, განაბული ელოდა თავის დროს, რათა მერე, ბრჭყალებმომარჯვებული მუხანათურად დასცემოდა თავს. ფიქრით კი ასე ფიქრობდა: „დროზე უნდა გადავწყვიტო. ამბობენ, ის ზანგი ქალი რიგიანად ამშობიარაო. მაგრამ ახლა სხვა ამბავია, ყველაფერი გასულ კვირაშივე უნდა მომეგვარებინა, ფეხი კი არ უნდა მეთრია, ექიმი უნდა მენახა დროზე და მაშინ აღარ დამჭირდებოდა ბოლო წუთას ახსნა და განმარტება, სახლიდან სახლში წანწალი იმის საძებნელად, ვინც გამომყვებოდა, ვინც ჩემს ტყუილებს დაიჯერებდა. რაც მე ამ ბოლო დროს ტყუილი ვთქვი, სხვას იმისი ნახევარიც რომ ეთქვა, არც ახლა გაუწყრებოდა ღმერთი და კიდევ ერთ ცხელ-ცხელ ტყუილს გამოაცხობდა, მე კი, მომკალით და არ შემიძლია. ეტყობა, არ არის ჩემი საქმე ხეირიანი ტყუილის ხეირიანად თქმა“-ო. სწრაფად მიაბიჯებდა, მისი ეული ნაბიჯების ხმა ყრუდ გაისმოდა უკაცრიელ ქუჩაში; ვერ მიმხვდარიყო, არადა უკვე მიეღო გადაწყვეტილება. პარადოქსულად ან კომიკურადაც არაფერი მოსჩვენებია. გადაწყვეტილებაც მეტისმეტად სწრაფად აღმოცენდა მის გონებაში და როცა თვითონაც მიხვდა და გაიაზრა, უკვე ძალიან მტკიცედაც ჰქონდა გადგმული ფესვი; ფეხები ახლა ბრმად ემორჩილებოდნენ. სწორედ იმ ექიმის სახლისაკენ მიჰყავდათ, ვისაც მაშინ, იმ ზანგი ბავშვის გაჩენისას, როცა მის მოვალეობას სამართებლითა და თავისი წიგნით აღჭურვილი ჰაითაუერი ასრულებდა — მეტისმეტად დაეგვიანა.

დაგვიანებით ექიმმა ამჯერადაც დაიგვიანა. ჯერ იყო და იმის ჩაცმას არ დაადგა საშველი. უკვე ხანშიშესული, ფუსფუსა კაცი იყო, ასე უდროო დროს გაღვიძებულსა და ლოგინიდან წამოგდებულს, ბოლომდე ვერც უკმაყოფილებისა და გაღიზიანების დამალვა მოეხერ-

ხებინა. მერე მანქანის გასაღების ძებნა მოუხდათ, გასაღები ლითონის პატარა, ცეცხლგამძლე ყუთში იდო თურმე, კარგა ხანს იმ ყუთის გაღებაზეც იჯახირეს, ბაირონმა ერთი პირობა საკეტის გატეხაც კი დააპირა, მაგრამ ექიმმა ცოცხალი თავით არ დაანება. მოკლედ, როცა ბოლოს და ბოლოს ქოხს მიაღწიეს, აღმოსავლეთი უკვე ღია ყვითლად შეფერილიყო, უკვე ჭიატებდნენ ზაფხულის მზის მკვირცხლი სხივები. და აი, ორი, ახლა უკვე ხანში შესული კაცი, ისევ შეხვდა ერთმანეთს ერთოთახიანი ქოხის კარებთან, და მოყვარულსაც ისევ, ერთხელ კიდევ დაემარცხებინა პროფესიონალი, დაემარცხებინა, რადგან ქოხში რომ შედიოდა, ექიმს სწორედ მაშინ მოესმა ჩვილის ტირილი. ჭირვეული მზერა შეავლო მღვდელს, — სალამი ექიმოო, უთხრა, — ნეტავი ეთქვა ბაირონს, თქვენ თუ გიხმოთ, ჯერაც ლოგინში ვიწვებოდიო. გაჭირვებით აუქცია გვერდი ჰაითაუერს და ოთახში შეაბიჯა. „ვატყობ, ამჯერად უფრო იღბლიანი აღმოჩენილხართ, ვიდრე ჩვენი უკანასკნელი კონსულტაციისას. ოღონდ, ისეთი სახე გადევთ, მგონი ექიმი თავადვე გჭირდებათ. ანდა, იქნებ ფინჯანმა ყავამ უფრო გარგოთ“. ჰაითაუერმა რაღაც უპასუხა, მაგრამ ექიმი აღარ გასჩერებია, აღარ მოუცდია მისი პასუხისთვის. ოთახში შევიდა, სადაც მისთვის უცნობი, ახალგაზრდა, ფერმიხდილი, არაქათგამოცლილი ქალი ვიწრო, ჯარისკაცულ საწოლზე იწვა, მოხუც, მეწამულკაბიან, ასევე უცნობ ქალს კი ბავშვი ეჭირა მუხლებზე. მეორე საწოლზე, ჩრდილში, ბერიკაცს ეძინა. შეამჩნია თუ არა, მკვდარსა ჰგავსო, თქვა ექიმმა თავისთვის, ისე ღრმად, ისე მშვიდად ეძინა ბერიკაცს. თუმცა, შემჩნევით შესვლისთანავე არ შეუმჩნევია. ჯერ მოხუც ქალს მიუახლოვდა. „კეთილი ჩემო ბატონო, ძალიან კარგი“, თქვა ექიმმა. „ბაირონი ალბათ ძალიან ღელავდა. არ უთქვამს, მთელი ოჯახი თუ დამიხვდებოდა აქ, ბებია-ბაბუიანად“. ქალმა ქვეშ-ქვეშად ამოხედა. — ეს სკამზე კი ზის, მაგრამ ბერიკაცზე მეტად მაინც არა ჰგავს ცოცხალსო, გაიფიქრა ექიმმა. — ისეთი უაზრო სახე ადევს, ბებიობას ვინღა ჩივის, მგონი დედა რომაა, ისიც კი აღარ ახსოვსო.

„დიახ“, თქვა ქალმა. ბავშვს გადაჰფოფრვოდა და ქვემოდან ასცქეროდა ექიმს. მერეღა შენიშნა ექიმმა, არც ბრიყვული სახე აქვს და არც უაზროო. მერეღა დაინახა, ერთდროულად მშვიდი და თან საშინელი სახე ედო ქალს, თითქოს სიმშვიდეცა და საშინელებაც ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ შეჰკვდომოდა ზედ და ახლა, ერთბაშად, ერთსა და იმავე დროს გაცოცხლებულიყო ორივე. რაღაცნაირად უცნაურადაც იჯდა — კლდესაც ჰგავდა და მობუზულ მხეცსაც — და ექიმსაც ყველაზე მეტად ეს ეუცნაურა. მერე ქალმა მძინარისაკენ გადაიქნია თავი; ექიმიც პირველად მაშინღა დააკვირდა

ხანგრძლივად მეორე საწოლზე გაშოტილ ბერიკაცს. თითქოს ნელ-ნელა შიშს მოერიაო, ქალი უცებ ეშმაკურად და თან დაძაბულად აჩურჩულდა: „ჭკუაში მოვატყუე. ვუთხარი, ვითომ ამჯერად უკანა კარიდან შემოხვიდოდით. გავაბრიყვე. მაგრამ, აი თქვენც უკვე აქა ხართ. ახლა შეგიძლიათ მილის მიხედოთ. მე კი, ჯოს მოვუვლი“. მერე ყველა ეს შთაბეჭდილება უეცრად გაქრა. ვიდრე ექიმი შესცქეროდა, სიცოცხლეც და გზნებაც უკვალოდ განქარდა ქალის სახიდან, რომელიც ახლა ისე პირქუშად და ისე უაზროდ გამოიყურებოდა, თითქოს წეღანდელი, ცოტა ხნის წინანდელი სახე, მოჩვენება ყოფილიყო; მუნჯი, უტყვი, არაფრისმთქმელი, თავგზააბნეული თვალებით მისჩერებოდა ექიმს, რაღაცას ეკითხებოდა და ბავშვსაც ისე იფარავდა მთელი ტანით, თითქოს წართმევას უპირებდა ვინმე. ქალის მოძრაობამ, ეტყობა, ბავშვიც შეაკრთო; წაიტირა. მერე, ის თავგზააბნეული მზერაც გაქრა. ჩრდილივით დაუბრკოლებლად გაქრა; ქალმა ბავშვს დახედა — ჩაფიქრებულმა, სახეგაქვავებულმა, სასაცილომ. „ეს ჯოა“, უთხრა ექიმს. „ჩემი მილის პატარა ბიჭი“.

ბავშვის ტირილი კარებთან გაშტერებულმა ბაირონმაც გაიგონა, გაიგონა და რაღაც საშინელი დაემართა. კარვიდან მისის ჰაინსმა გამოიხმო უთენია. ისეთი ხმით დაუძახა, ლამის სირბილშივე ჩაიცვა შარვალი, გიჟივით ჩაუქროლა ქოხის კარში გახირულ მისის ჰაინსს, რომელსაც იმ ღამით საერთოდ არც გაუხდია ტანთ, და დაფეთებული ოთახში შევარდა. მერე ისიც დაინახა, დაინახა და ამ ხილვამ თოფნაკრავივით გააშეშა ადგილზე. მისის ჰაინსი უკვე გვერდით ედგა, ელაპარაკებოდა; შეიძლება, თვითონაც გასცა პასუხი, თვითონაც გამოელაპარაკა. ასე იყო თუ ისე, ჯორი საჩქაროდ შეკაზმა და უკვე ქალაქისკენ მიერეკებოდა კიდეც, არადა, თითქოს ჯერაც ისევ მის სახეს შესცქეროდა, თითქოს ჯერაც მას ხედავდა, საწოლში წამომჯდარს, მკლავებზე დაბჯენილს, საბანქვეშ საკუთარი სხეულის მოხაზულობას დაშტერებულს, აღმუვლებულსა და უიმედო შიშით შეპყრობილს. სულ ეს სახება ედგა თვალწინ ვიდრე ჰაითაუერს აღვიძებდა, ვიდრე ექიმს ცეცხლს უნთებდა, სადღაც მისი არსების სიღრმეში კი ბრჭყალებიანი დადარაჯებულიყო, თავის დროს უცდიდა და ფიქრიც მეტისმეტად სწრაფად მიქროდა, დასაფიქრებელ დროს არ უტოვებდა. ასე იყო. ისეთი გამალებით ქროდნენ ფიქრები, დაფიქრება ვერც მოახერხა, ვიდრე ექიმთან ერთად ქოხთან არ დაბრუნდა. მაშინ კი, უკვე ქოხის კარებთან გაშტერებულმა, გაიგონა ერთი როგორ წაიტირა ბავშვმა და რაღაც საშინელი დაემართა.

ახლა უკვე ბრჭყალებიანის სახელიც იცოდა, იცოდა, რა განაბუ-

ლიყო მის არსებაში მოლოდინად ქცეული, ვიდრე თვითონ მოედანს
გადასერავდა, ვიდრე ექიმს დაეძებდა, ვისთანაც წინდაწინ შეთანხმება
ასე სულელურად დავიწყებოდა. უკვე აღარც ამ დაუდევრობის
მიზეზის ახსნა გასძნელებია. უბრალოდ, სანამ მისის ჰაინსმა კარვიდან
არ გამოიხმო, არც სჯეროდა ექიმი თუ დასჭირდებოდა (ქალს თუ
დასჭირდებოდა), მართლა ასე თუ გაუჭირდებოდა. ბოლო ერთი
კვირის მანძილზე მისი თვალები თითქოს კი მიჩვეოდნენ ლინას
მუცლის ცქერას, მაგრამ, გონებას კი მაინც არ სჯეროდა და არა.
— არადა, ხომ ვიცოდიო! — ფიქრობდა. — უნდა მცოდნოდა:
სხვანაირად აბა რას მოვახერხებდი ამდენ სირბილს, ამდენ ტყუილს,
ამდენი ხალხის შეწუხებასო. თავს იტყუებდა, არაფერიც არ იცოდა,
სანამ მისის ჰაინსს არ ჩაუქროლა და ქოხში არ შეიხედა. მისის
ჰაინსის ხმამ პირველად რომ შეაღწია მის ძილში, მაშინვე მიხვდა
ამ ხმის მნიშვნელობას, მიხვდა, რაც მომხდარიყო; წამოხტა, ჩაიცვა,
სიჩქარეც და ფაცაფუციც თითქოს კომბინეზონივით ამოიცვა ნაუც-
ბათევად, იცოდა, რატომაც გაეღვიძებინათ, იცოდა — უკვე ხუთი
ღამეა სულ ამას ველოდებოდიო. და მაინც, ჯერ კიდევ არ სჯეროდა.
ახლაღა ხვდება: ქოხთან რომ მივირბინე და შიგ რომ შევიხედე,
იმედი მქონდა, ფეხზე დამიხვდებოდაო; იქნება, ისიც ეგონა, კარებთან
შემომეგებებაო — ჩვეულებისამებრ წყნარი, მშვიდი, დროის დინებას
დაუმორჩილებელი. მაგრამ, კარს ხელი შეახო თუ არა, რაღაც
ისეთი გაიგონა, რაც მანამდე, ადრე, არასოდეს გაუგონია. ხმამაღალი,
ერთდროულად მგზნებარე და დამცირებული კვნესა-გოდება იყო,
თან, თითქოს, ვიღაცასაც მიმართავდა ქალი პირადად, ბაირონის-
თვისაც და ნებისმიერი მამაკაცისთვისაც უცხო, უცნობ ენაზე. მერე
კარებში გახირულ მისის ჰაინსს გვერდი აუარა და საწოლზე
მწოლიარეც დაინახა. დაწოლილი ადრე არასოდეს ენახა და იმედი
ჰქონდა, როცა — თუკი — ოდესმე ნახავდა კიდეც, ქალი დაძაბული,
გაფაციცებული, შეიძლება, ოდნავ გაღიმებულიც კი შეეგებებოდა —
იცნობდა, შეამჩნევდა. არადა, ქოხში შესულს ზედაც არ შეხედა.
კარის გაღებაც ვერ შეამჩნია, ვერ შეამჩნია, კიდევ ვიღაც თუ რაღაც
სხვაც რომ იყო ოთახში საკუთარი თავისა და იმის გარდა, ვისაც
მამაკაცთათავის გაუგებარ ენაზე კვნესა-გოდებით ელაპარაკებოდა.
ნიკაპამდე ჩამალულიყო საბანში, იდაყვებზე წამოწეულიყო და თავი
დაეხარა. თმაგაჩეჩილს თვალები ორ ხვრელს მიუგავდა, ტუჩები
სისხლისგან დაცლოდა, ბალიშისპირივით გათეთრებოდა, ასე
აგანგაშებული და გაოცებული, თითქოს საბანქვეშ საკუთარ სხეულს
ათვალიერებდა, თან თვალებისთვისაც ვერ დაეჯერებინა და უცებ,

ისევ ის ხმამაღალი, დამამცირებელი, გულისგამგმირავი ყვირილი
აღმოხდა. მისის ჰაინსი თავს დასტრიალებდა. მერე შემობრუნდა,
მეწამულ მხარსზემოდან გამოხედა ბაირონს, გახევებული სახე მიაპყრო
და — წადით, ექიმი მოიყვანეთ, უკვე ეწყებაო, — უთხრა.

არც ახსოვდა, როგორ აღმოჩნდა თავლაში. თუმცა, უკვე იქ
იყო, უკვე ჯორს აკავებდა, უნაგირს მოათრევდა, ზურგზე ადგამდა.
სწრაფად ირჯებოდა, მაგრამ ფიქრი მეტისმეტად მდორედ, ტაატით
მიედინებოდა. ახლაღა მიმხვდარიყო მიზეზს. არც ფიქრის სიზანტე
ყოფილა შემთხვევითი, ნელ-ნელა ტორტმანებდა, როგორც ზეთი
აღელვებული, ქაფმოდებული ზღვის ზედაპირზე. — მაშინ რომ
მცოდნოდაო, ფიქრობდა. — მაშინ რომ მცოდნოდა... მაშინ რომ
მივმხვდარიყავიო. მშვიდად ფიქრობდა, სასოწარკვეთითა და სინანულით
შეძრწუნებული. „ჰო. დაუფიქრებლად შევაქცევდი ზურგს და სადმე
გადავიკარგებოდი. უგზო-უკვლოდ, დაუფიქრებლად, უკანმოუხედავად“.
მაგრამ, ახლა გვიანღა იყო ამაზე ფიქრი. ქოხს ჭენებით ჩაუქროლა,
ფიქრიც ისევ ზანტად, აუჩქარებლად ტორტმანებდა, ოღონდ, მაშინ
ჯერ არ იცოდა — რატომ. — ნეტავი მანამდე ჩავუარო, ნეტავი
მანამდე გავცდე, ვიდრე ხელახლა დაიყვირებდესო. ფიქრობდა. —
ნეტავი, ის ხმა აღარ გამაგონაო. ცოტა ხანს ამ ფიქრს მიჰყავდა
გზისკენ, კუნთმაგარი, პატარა პირუტყვიც სწრაფად მიქროდა, ფიქრი
კი, ზეთი, მდორედ, გლუვად იგლისებოდა ზედაპირზე: „ჯერ ჰაითა-
უერთან მივალ. ჯორს დავუტოვებ. არ დამავიწყდეს, წიგნი უნდა
გავახსენო. არ დამავიწყდეს“. ზეთი კარნახობდა, ზეთი მიერეკებოდა
იქით, სადაც ცოტა ხნის შემდეგ გაჭენებული ჯორიდან გადმოხტებოდა
და თავქუდმოგლეჯილი ჰაითაუერის სახლისკენ გაქანდებოდა. მერე
სხვა ჟინმა აიტანა. — ეს მორჩაო, ფიქრობდა ***გინდაც ხეირიანი
ექიმი ვერ ვიპოვო*** ამ ჟინმა გაიყვანა მოედანზეც და იქ მიატოვა;
ახლა ბრჭყალებიანის, მომლოდინეს, გალურსულის არსებობასაც
გრძნობდა, ფიქრობდა ***გინდაც ხეირიანი ექიმი ვერ ვიპოვო.
იმიტომ, რომ არც მიფიქრია არასოდეს, მართლა თუ დამჭირდებოდა
ექიმის პოვნა. ნამდვილად არ მჯეროდა*** ეს უტრიალებდა
გონებაში, ეს ფიქრი მიქროდა ჭენებით, სიჩქარის აუცილებლობასთან
ერთად შებმული პარადოქსის უღელში, სულ, განუწყვეტლივ, ვიდრე
მოხუც ექიმთან ერთად ჯერ ცეცხლგამძლე ყუთის გასაღებს დაეძებდა,
რათა მერე იქიდან მანქანის გასაღებიც ამოეღოთ. როგორც იქნა,
გასაღების პოვნასაც დაადგა საშველი და ცოტა ხნით სიჩქარის
აუცილებლობაც დაემთხვა მოძრაობას, წინსვლას, უკაცრიელ ალიონზე,
უკაცრიელ გზაზე ქროლვას — ან მართლა მოხდა ასე, ანდა, უბრალოდ,

თვითონვე გადააბარა, თვითონვე აჰკიდა მთელი სინამდვილე, მთელი შიში და გულისხეთქვა მანქანაში გვერდით მჯდომ ექიმს, როგორც საერთოდ სჩვევია ხოლმე ადამიანს. ასეა თუ ისე, ქოხთან ისევ ამან დააბრუნა, იქ მანქანიდან გადმოვიდნენ და ქოხს მიუახლოვდნენ, საიდანაც ჯერ ისევ ლამპის შუქი გამოდიოდა: სწორედ მაშინ დაეუფლა უკანასკნელად სიმშვიდის შეგრძნება, მაგრამ სულ ერთი წამით, რადგან დაუყოვნებლივ იგრძნო მწარე დარტყმა და ბრჭყალებიანიც მაგრად ჩააფრინდა ზურგიდან. ბავშვის ტირილი მოესმა და უკვე ყვლაფერი იცოდა. განთიადი ძალას იკრებდა. მშვიდად იდგა გრილ სიჩუმეში, გამოღვიძებულ სიმყუდროვეში — ეს ჩია, შეუმჩვენებელი კაცი, ვისთვისაც ჯერ არასოდეს, ჯერ არავის — არც კაცსა და არც ქალს — ხელმეორედ ზედ არ შეეხედა, თვალი არ გაეყოლებინა. უკვე ახელოდა თვალი, უკვე მიმხვდარიყო, მთელი ამ ხნის მანძილზე ფარული ძალა რომ იფარავდა, ბოლომდე რწმენას არ აცლიდა და, სწორედ რწმენის მეშვეობითვე იცავდა რაღაცისაგან. მკაცრი, პირქუში გაოცებით ფიქრობდა *ვიდრე მისის ჰაინსმა არ დამიძახა, ვიდრე მისი ხმა არ გავიგონე, ვიდრე მისი სახე არ დავინახე და არ დავრწმუნდი, იმ წუთას ბაირონ ბანჩი საერთოდ რომ არ არსებობდა ამქვეყნად მისთვის, არც კი დავფიქრებულვარ ქალწული თუ არ იყო* საშინელებად ეჩვენებოდა ეს ფიქრი, მაგრამ ამას კიდევ არა უშავდა. სხვაც ელოდა რაღაც. თავი არ ჩაუქინდრავს. უძრავად იდგა განთიადის ძალამოკრებილ მზეში, ფიქრი კი მშვიდად აგრძელებდა თავისას *როგორც ღირსი ჰაითაუერი იტყვის, ესეც შემონახულია ჩემთვის. ახლა კი უნდა ვუთხრა. მე ახლა ლუკას ბარჩს უნდა ვუთხრა* აღარც აოცებდა და აღარც არ აოცებდა არაფერი. სიყმაწვილის საშინელი, უკურნებელი სასოწარკვეთა დაუფლებოდა. *კი, მაგრამ აქამდე ხომ არც მჯეროდა იმის კაიკაცობა. აქამდე ხომ თითქოს მეც, ეს ქალიც და ყველა დანარჩენიც, ვისი საქმეში გარევაც მომიხდა, მხოლოდ და მხოლოდ აზრს მოკლებული სიტყვების გროვა ვიყავით და მეტი არაფერი, ჩვენსავე საკუთარ თავს არ ვგავდით არცერთი, მთელი ამ ხნის მანძილზე სხვას არაფერს ვაკეთებდით ლაყბობის გარდა, ვლაყბობდით, ვლაყბობდით და სიტყვა ერთხელაც არ შემოგვკლებია. დიახ, ჩემო ბატონო. აქამდე არც მჯეროდა ის თუ მართლა ლუკას ბარჩი იყო. საერთოდ თუ არსებობდა ქვეყნად ლუკას ბარჩი*

„იღბლიანიო“, ამბობს ჰაითაუერი; „იღბლიანი. ვინ იცის, იქნებ მართლა მწყალობდა იღბალი“. ექიმი უკვე ქოხში შესულა. ჰაითაუერიც კიდევ ცოტა ხანს ადევნებს თვალს, საწოლთან მოფუსფუსე ხალხს უცქერის, ექიმის ხალისიან ხმას უსმენს. მოხუცი ქალი ახლა მშვიდად ზის, არადა, ჰაითაუერს ეჩვენება, თითქოს წუთის წინ გამოგლიჯა ხელიდან ბავშვი ძალისძალად, დამუნჯებულ, გამძვინვარებულსა და შეძრწუნებულ ქალს იატაკზე რომ არ დავარდნოდა შემთხვევით. სიმუნჯეც ვერ მალავდა იმ მძვინვარებას, რა მძვინვარებითაც დასწვდა ბავშვს, ლამის დედის საშოდან გამოხტომაც არ აცალა, მაღლა აიტატა, მერე წელში მოიხარა — დათვივით ზონზოროხა, დათვივით ტლანქი — და მძინარე ბერიკაცს მიაპყრო მზერა. კაცს ჰაითაუერის მისვლისასაც ეძინა. თითქოს არც კი სუნთქავდა. ქალი მაშინ მობუზული ეჯდა გვერდით, სკამზე. უფსკრულის თავზე გადაკიდულ კლდეს ჰგავდა, მოსაწყდომად გამზადებულს; ჰაითაუერს წამით გაუელვა *უკვე მოკლა. ამჯერად წინდაწინვე, დროულად იზრუნა ყველაფერზე* მერე უკვე აღარცერთისთვის აღარ ეცალა; ქალიც მის გვერდით დაფუსფუსებდა, ოღონდ, ვიდრე ჯერაც სუნთქვაშეკრულ ბავშვს არ მიაფრინდა, ვიდრე მაღლა არ აიტატა და თან, ძუ ვეფხვივით არ მიაშტერდა მძინარე ბერიკაცს, მისი არსებობა არც შეუმჩნევია. ბავშვმა ამოისუნთქა, ატირდა, ქალმაც თითქოს პასუხი მისცა, ყველასათვის უცნობი, ველური, მოზეიმე ხმით. მერე, ხელიდან არ გაუვარდესო, ჰაითაუერი ბავშვის გამოსართმევად რომ წაეტანა, ქალმა ლამის მართლაც შეშლილის სახე მიანათა. „აი, შეხედეთ!“ ეუბნებოდა ჰაითაუერი. „ნახეთ! წევს თავისთვის და სძინავს. ამჯერად აღარსად უპირებს წაყვანას“. ის კი მაინც არ აცილებდა თვალს, უტყვი, უენო მხეცივით მისჩერებოდა, თითქოს ინგლისური არც ეყურებაო. ოღონდ, სახეზე აღარც მძვინვარებისა და აღარც ზეიმის ნატამალი აღარ შერჩენოდა: ხმაჩახლეჩილი ზლუქუნებდა და ისევ ბავშვის დაბრუნებას ლამობდა. „ფრთხილად, ფრთხილად“, ეუბნებოდა ჰაითაუერი. „ხომ არ გაგივარდებათ?“ ქალმა თავი გააქნია, უსიტყვოდ,ზლუქუნ-ზლუქუნით, თან თავის დათვივით ტორს ნაზად უთათუნებდა ჩვილს. ხელებზე სიმტკიცე ეტყობოდა და ჰაითაუერმაც უფრო ამიტომ დაანება ბავშვი. ახლა კი ზის წყნარად, ჩვილი მუხლებზე უჭირავს, ვიდრე დაგვიანებული ექიმი საწოლს დასტრიალებს, მხნე, ხალისიანი ხმით ლაპარაკობს და ხელებს წამითაც არ აჩერებს. ჰაითაუერი აღარ უცქერის, ტრიალდება და მოდის, ფრთხილად მოუყვება ჩამოტეხილ საფეხურებს, ქვემოთ, მიწისკენ, ერთბაშად კიდევ უფრო მეტად დაბერებული, მოტეხილი, ღიპითაც თითქოს რაღაცას, დინამიტივით საბედისწეროსა და საგულდაგულოდ ჩაკეტილს დაატარებს. უკვე

გათენებულა, დილაა, განთიადი აღარც ეთქმის: მზეს ძალა მისცემია. ჰაითაუერი აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, წამით ჩერდება; — ბაირონო, იძახის. არავინ ეპასუხება. მერეღა ამჩნევს, შორიახლოს, ღობის სარზე გამობმული ჯორიც აღარსად ჩანს. ერთს მძიმედ ამოიოხრებს. — კეთილი და პატიოსანიო, ფიქრობს. — ამასაც ხომ მოვესწარი, ბაირონის ბოლო თავხედობას — სახლამდე ფეხით ჩანჩალსო. არ ეკადრება ეს ბაირონს, და, სხვათა შორის, არც სიძულვილს არ ეკადრებაო. თუმცა, რას იზამ, ადამიანს ხომ ძალიან ხშირად არ შეეფერება საკუთარი საქციელი, ანდა პირიქით, თვითონ არ შეეფერება თავის საქციელსო.

ნელ-ნელა, აუჩქარებლად ბრუნდება უკან, ქალაქისკენ — აწოწილი, ღიპიანი: თავზე ჭუჭყიანი პანამა ხურავს, უხეში ბამბის ღამის პერანგის კალთა რის ვაი-ვაგლახით ჩაუტანია შავ შარვალში. — კიდევ კარგი, ფეხსაცმლის ჩაცმა მაინც მოვასწარიო, ფიქრობს. „დავიღალე", აგრძელებს ფიქრს ბრაზიანად. „დავიღალე და ვერ კი დავიძინებ". გულით ბრაზობს, მართლა დაღლილია, ნაბიჯებს უწყობს ფიქრს და მალე საკუთარ ჭიშკარში შედის. მზე ახლა მაღლა დგას, ქალაქსაც გაუღვიძია; ყოველი მხრიდან ცეცხლზე შემოდგომული საუზმის სუნი სცემს. „ჯორი ხომ წაიყვანა და წაიყვანა", ფიქრობს ბაირონზე, „სხვა თუ არაფერი, წინ მაინც გამოესწრო და ქურაში ცეცხლი მაინც დაენთო, რაკი, მისი ჭკუით, უზმოზე ორი მილის გავლას მადაზე უნდა მოვეყვანე".

სამზარეულოში შედის და ქურაში ცეცხლს აჩაღებს, ნელ-ნელა, მოუქნელად; ახლაც ისევე ტლანქად, როგორც ოცდახუთი წლის წინათ, როგორც მაშინ, იმ პირველ დღეს, როცა პირველად სცადა საკუთარი ხელით საუზმის მომზადება, და ცეცხლზე ყავას დგამს. — მერე ისევ დავწვებიო, ფიქრობს. „მაგრამ, ვიცი, არ დამეძინება". თვითონვე ამჩნევს, წუწუნს რომ ჩამოჰგავს მისი ფიქრი, აღრენილი ქალის ყავლაგასულ, უკვე მისთვისაც მობეზრებულ ჯუჯღუნს; როდის-როდის ამჩნევს, თურმე ჩვეულებრივი, უხვი საუზმის მზადებას რომ შესდგომია, ამჩნევს და მაშინვე ხელი უშეშდება, თითქოს გაკვირვებული და ნირწამხდარი აწკლაპუნებს ენას. — წესით, უფრო უარესად უნდა ვგრძნობდე თავსო, ფიქრობს. არადა, თავს მშვენივრად გრძნობს და იძულებულია აღიაროს კიდეც. ასე დგას, მაღალი, უშნოდ აწოწილი, მარტოხელა, უქალოდ დარჩენილსა და მოუვლელ სამზარეულოში, ხელში ტაფა უჭირავს, რომელზედაც გუშინდელი, ძველი, გაყინული ქონი გადაგლესილა და უცებ გულზე სიმხურვალე გადაუვლის, რაღაც ძალიან ცხელი, ღამის ზეიმური ტალღა თუ ზვირთი. — ხომ ვუჩვენე სეირიო! ფიქრობს. — სიცოცხლეს ბებერი კაცი უდებს სათავეს, ისინი კი მუდამ იგვიანებენ. მონარჩენებისთვის მოდიან, როგორც ბაირონი იტყოდაო. ამაოება,

ფუჭი სიამაყე აფიქრებინებს ამას. თუმცა, უკვე განელებული, უკვე ღონემიხდილი, ნებისმიერი საყვედურისგან საგულდაგულოდ დაცული სიმხურვალისთვის მაინც სულერთია. — მერე რაო? ფიქრობს. — მერე რა? რა ვუყოთ, თუკი მართლა მიხარია და მეამაყება, რა მოხდა მერეო? სითბოს, სიმხურვალეს კი არც გამართლება სჭირდება და არც საფუძველი; ვერც ფორთოხლის, კვერცხისა და დაბრაწული პურის ხელშესახები სინამდვილე აქარწყლებს მათ ძალას. ჰაითაუერი ახლა მაგიდაზე დახვავებულ ჭუჭყიან, ცარიელ თეფშებს დასცქერის და უკვე ხმამაღლა ამბობს: ღმერთმანი, თითსაც არ გავანძრევ. ფიქრშიაც არ გავივილებ ამათ გარეცხვასო. საძინებელ ოთახშიც არ შედის, რომ, იქნებ, სცადოს მაინც დაძინება. კართან ჩერდება წამით, კარებიდან შეიხედავს ერთს, ჯერ ისევ მიღწეული მიზნის, სიამაყის სიმხურვალით ანთებული და ფიქრობს, — ქალი მაინც ვიყო. ქალი ხომ დაუფიქრებლად დაწვებოდა და დაისვენებდაო. მერე კაბინეტისკენ იბრუნებს პირს. მიზანდასახულივით მიემართება, ის, ვისაც მთელი ოცდახუთი წელი-წადია, გაღვიძებიდან დაძინებამდე, არაფერი უკეთებია, არაფრით შეუწუხებია თავი. ამჯერად ამორჩეული წიგნიც აღარაა ტენისონის კრებული: ახლაც მამაკაცურ საზრდოს ირჩევს, „ჰენრი მეოთხეს". უკანა ეზოში გადის და თუთის ქვეშ, ჩაზნექილ შეზლონგში წვება — მძიმედ, საფუძვლიანად ენარცხება ზედ. — დაძინებით კი მაინც ვერ დაავიძინებო, ფიქრობს: რადგან ვიცი, საცაა ბაირონი გამოცხადდება ჩემს გასაღვი-ძებლად. არადა, კაცმა რომ თქვას, მართლა კი ღირს გაღვიძებად იმის გაგება, კიდევ რა მოიფიქრა, ახალი რა მომიმზადაო.

მაშინვე ეძინება, ღამის დაუყოვნებლივ იწყებს ხვრინვას. ვინმემ რომ დახედოს მძინარეს, სათვალის შუშებში ტყუპად მოკაშკაშე ცის ქვეშ უმანკო, მშვიდსა და მტკიცე სახეს დაინახავს. მაგრამ, გარშემო კაციშვილი არ ჭაჭანებს, თუმცა, როცა თითქმის ექვსი საათის შემ-დეგ ეღვიძება, რატომღაც მაინც დარწმუნებულია, ვიღაცამ დამი-ძახაო. მოწყვეტით წამოჯდება, სკამს ააჭრიალებს. „ჰო?" ამბობს. „ჰო? რა იყო?" ეზოში არავინაა, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თითქოს აყურადებს და ელოდება, კვლავ მტკიცე, საკუთარ თავში დაჯერებული სახით. ჯერ არც წელანდელი სიმხურვალე გამქრალა ბოლომდე. — არადა, იმედი მქონდა ძილში გამომნელდე-ბოდაო, ფიქრობს და მაშინვე, ფიქრშივე ამატებს, „არა; იმედი მქონდაო, არ მინდოდა მეთქვა. უფრო მეშინოდა. მაშ, დამიყრია ფარ-ხმალი და ეგ არის". უძრავად ზის, მშვიდად ფიქრობს. მერე ხელების ფშვნეტას იწყებს რბილად, დამნაშავესავით. „დავნებდი, დავყარე ფარ-ხმალი. ჰოდა, ძალიანაც კარგი, ამის ნებას მაინც მივცემ საკუთარ თავს.

დიახ. იქნება ესაცაა საჩემოდ შემონახული. მეც ავდგები და დავყაბულ-დები“. მერე უკვე სხვა აზრი, სხვა ფიქრი ებადება *ის ბავშვი, მე რომ გავაჩენინე. ჩემი სახელი ჯერ არავისთვის დაურქმევიათ. არადა, რამდენი მადლიერი დედა ვიცი, პატივისცემის ნიშნად შვილისთვის ექიმის სახელი რომ უწოდებია. ოღონდ, ბაირონს რა ვუყოთ. ბაირონს, რა თქმა უნდა, ჩემთან შედარებით მეტი უფლება აქვს. მაგრამ ის ხომ კიდევ ბევრს გააჩენს, სხვებსაც* ახსენდება ახალგაზრდა, ღონიერი სხეული, ტკივილშიც რაღაც მშვიდსა და უშიშარ შუქს რომ ასხივებდა. *კიდევ ბევრს. ძალიან ბევრს. და ეს იქნება მისი ბედი, მისი ცხოვრება. ამ ბედის კარნახს დამორჩილებული კეთილი თესლიც გაიხარებს და ნაყოფიერი მიწაც დასახლდება; ეს ღონიერი წელი, სიჩქარისა და ზედმეტი ფაცაფუცის გარეშე შობს დედასა და ქალიშვილს. ოღონდ, უკვე ბაირონის ნაშიერთ. საწყალი ბიჭი. ფეხით კი მატარა, მაგრამ მაინც მეცოდება*

ჰაითაუერი სახლში შედის. პირს იპარსავს, ღამის პერანგს იხდის და საგარეოდ ეწყობა, არც საყელო ავიწყდება, არც ბატისტის ყელსახვევი და არც პანამა. თითქოს ქოხამდე მანძილი შემცირებულა, დილით მეტი დრო მოანდომა შინ დაბრუნებას, არადა ახლა ტყე-ტყე მიდის, უფრო ძნელი გზით. — უფრო ხშირად უნდა ვიარო ფეხითო, ფიქრობს, მზის მცხუნვარე, დატეხილ-დაქუცმაცებულ შუქში მიაბიჯებს და ხარბად ისუნთქავს მიწის, ტყის ველურ და ნოყიერ სურნელს, ხმამაღალ სიჩუმეს. — არც ეს ჩვევა უნდა მომეშალა. იქნება, ორივე განვაახლო, გინდაც სეირნობა ლოცვას ვერც შეედრებოდესო.

ტყიდან ქოხის უკან, საძოვრის შორეულ ბოლოში გამოდის. ქოხის იქით კორომი მოჩანს, სადაც ადრე, ხანძრამდე, სახლი იდგა, ოღონდ, დანახშირებულსა და დამუნჯებულ ნაღვერდალს, ერთ დროს ფიცრები და დირეები რომ ერქვა სახელად, მაინც ვერ ხედავს. საცოდავი ქალიო, ფიქრობს. — საცოდავი, ბერწი ქალი. ერთი კვირაც რომ ეცოცხლა, ნახავდა, როგორ დაუბრუნდებოდა აქაურობას ბედნიერება. ბედნიერება და სიცოცხლე დაუბრუნდებოდა ამ უნაყოფო და გაჩანაგებულ მიწას“. ეჩვენება, თითქოს ხედავს, გრძნობს შორიახლო გაწოლილი დოვლათიანი მინდვრების სულებს, ამ მხარის ნაყოფიერ, ნოყიერ, შავ ცხოვრებას, რბილი, მკერდისმიერი ხმებიც ესმის ჯიშიანი ქალებისა, სახლის წინ მტვერში მოთამაშე ჯანსაღი, ტიტლიკანა ბავშვებისა; დიდ სახლსაც ხედავს თითქოს, ხმაურიანს, მრავალი თაობის ჟრიამულით ახმაურებულს. ქოხთან მიდის და კარზე აკაკუნებს; საცაა შეაღებს კარს, საცაა შევა, თუმცა ჯერ რიხიანი, როხროხა ხმით კითხულობს: — ექიმს არ შემოუშვებთო?

ქოხში დედისა და ჩვილის მეტი არავინაა. ქალი საწოლში წამომჯდარა, ბავშვს ძუძუს აწოვებს. ჰაითაუერის შესვლისას ჯერ ბოლომდე ვერც ასწრებს მკერდზე ზეწრის აფარებას, თან კარს შესცქერის, შეშფოთებული კი არა, გაფაციცებული, სახეზე სიმშვიდე და სითბო გადაჰფენია, თითქოს გაღიმებას აპირებდაო. ჰაითაუერი ამჩვნევს, როგორ ეცვლება სახე. „მე მეგონა...“ ამბობს ქალი.

„მაინც ვინ გეგონეთ?“ ამბობს, როხროხებს ჰაითაუერი. საწოლს უახლოვდება და ზემოდან დასცქერის ქალს, ჩვილის ერთიმუჭა, დაჭმუჭნულ, გამომწვარი თიხისფერ სახეს, ჩვილი კი, მძინარე, უსხეულო, დედის მკერდს ჩაჭიდებული, თითქოს ჰაერში გამოკიდულა. ქალი კიდევ უფრო მაგრად იხუტებს ზეწარს, მშვიდი, მორიდებული, თავს აწოწილი, ღიპიანი, მელოტი კაცი დასდგომია და ნაზი, აღტაცებული, მოზეიმე სახით დასცქერის. ქალი ბავშვს არ აშორებს თვალს.

„ეტყობა, ამის გულს ვერაფრით მოვიგებ. მგონია, დაიძინა-მეთქი, არადა, დავაწვენ თუ არა, მაშინვე ატირდება, მეც რა ვქნა, ისევ ხელახლა უნდა ვაჭამო“.

„მარტო არ უნდა იყოთ აქ“, ამბობს კაცი. ოთახს ათვალიერებს. „სად არიან?“

„ქალიც წავიდა. ქალაქში. ჩემთვის არ უთქვამს, ქალაქში მივიდვარო, მაგრამ ვიცი. ჯერ კაცი გაიპარა, ქალმა რომ გაიღვიძა და იმისი ამბავი მკითხა, მერე თვითონაც უკან გაჰყვა“.

„ქალაქში? გაიპარა?“ მერე — ااااო — ამატებს მშვიდად. უკვე დასერიოზულებია სახე.

„ქალი მთელი დღე იმას უთვალთვალებდა, ის კიდევ ქალს. ვატყობდი. თავს იმძინარებდა. ქალს კი ეგონა მართლა სძინავსო. სადილის მერე, იმასაც გამოელია არაქათი. აბა რა იქნებოდა, წუხელ თვალი არ მოუხუჭავს, ჰოდა, ნასადილევს სკამზე ჩამოჯდა და მაშინვე ჩასთვლიმა. კაცი კი უთვალთვალებდა, მერე უჩუმრად, უხმაუროდ წამოდგა საწოლიდან, თან თვალს მიშვრებოდა და მემანჭებოდა. სანამ კართან არ მივიდა, მხარსზემოდან სულ მე გამომცქეროდა და თვალს მიკრავდა, მერე ფეხაკრეფით გაიძურწა ქოხიდან. არც იმის გაჩერებას ვცდილვარ და არც ქალის გაღვიძებას“. ლინა ჰაითაუერს შესცქერის, თავისი ჭკვიანი, ფართოდ გახელილი თვალებით. „თან, შემეშინდა კიდეც. უცნაურად ლაპარაკობს და ცქერითაც რაღაც სხვანაირად მიცქერდა. თითქოს, იმიტომ კი არ მემანჭებოდა და იმიტომ კი არ მიკრავდა თვალს, ქალი არ გააღვიძოო, მემუქრებოდა — თუ გააღვიძებ, ნახავ რა მოგივაო. მართლა შემეშინდა. ხმაგაკმენდილები ვინექით და მალე ქალმაც გაახილა თვალი. მაშინღა მივხვდი, თავისდა უნებურად რომ

ჩასძინებოდა. კაცის საწოლისკენ რომ გარბოდა, თითქოს ჯერაც ბოლომდე ვერ გამოფხიზლებულიყო, მერე საწოლზე გიჟივით მოაფათურა ხელები, ეტყობა, არაფრით სჯეროდა ქმრის გაპარვა. საბანში დაეძებდა, ალბათ ეგონა, სადმე საბანში გაიბლანდებოდაო. მერე მე შემომხედა, ერთხელ. იმას არც თვალის პაჭუნი დაუწყია და არც მანჭვა-გრეხა, მაგრამ ლამის ვინატრე, ნეტავი ამანაც თვალი ჩამიკრას-მეთქი. კაცის ამბავი მკითხა, ვუთხარი, ქუდი დაიხურა და წავიდა-მეთქი". ლინა ჰაითაუერს შესცქერის. „მიხარია კიდეც. რაც ჩემთვის გააკეთა, იმის მერე ასე ალბათ არ უნდა ვამბობდე. მაგრამ..."

ჰაითაუერი ზემოდან დასდგომია საწოლს. ვერ შეატყობ, საერთოდ თუ ხედავს ქალს. ძალიან სერიოზული სახე ადევს; თითქოს ათი წლით დაბერდა აქ დგომაშიო. ანდა, თითქოს თავისი ჭეშმარიტი სახე ახლაღა დაიბრუნაო, ოთახში შემოსვლისას საკუთარ თავს არცა ჰგავდაო. „მაშ, ქალაქში, არა?" ამბობს ცოტა ხნის შემდეგ. უკვე თვალებიც იღვიძებენ, ისევ უბრუნდებათ მხედველობა. „კეთილი, რაღა გაეწყობა", ეუბნება ლინას. „ეგეც არ იყოს, ქალაქი ხალხითაა სავსე, ვინმე გონიერიც ხომ გამოერევა... ხომ მოინახება ვიღაც... რად გიხარიათ იმათი წასვლა?"

ლინა თავს დაბლა ხრის. ხელით თითქოს ჩვილს თავზე ეფერება, ოღონდ არ ეხება: ეს მოძრაობა აშკარად ინსტინქტურია და ზედმეტი, მისთვისაც კი სრულიად გაუაზრებელი. „ქალზე აუგის სათქმლად ენა როგორ მომიბრუნდება. აუგის კი არა, პირიქით. შენ დაისვენეო, ბავშვი სულ თვითონ ეჭირა ხელში. არც მანებებდა, იჯდა სკმზე და... უი, მაპატიეთ. სულ გამოვსულელდი, დაჯდომა როგორ არ შეგთავაზეთ". ჰაითაუერი საწოლისკენ იჩოჩებს სკამს, ჯდება. „...იჯდა და უთვალთვალებდა, ის კიდევ თავს იმძინარებდა". ლინა ჰაითაუერს შესცქერის; რაღაცას ეკითხება თვალებით, დაჟინებით. „სულ ჯოს ეძახის. არადა ჯო არ ჰქვია. სულ..." ჰაითაუერს შესცქერის. თვალები საგონებელში ჩაცვენილან, დაეჭვებულან, კითხვაზე პასუხი ვერ უპოვიათ. „სულ ერთსა და იმავეს ლაპარაკობს... უნდა ურევდეს რაღაცას. ჯუსმენ და ზოგჯერ მე თვითონაც ტვინი მერევა, როცა იძულებული ვარ..." მისი თვალები, მისი სიტყვები, აქეთ-იქით აწყდებიან, გზას დაეძებენ, გამოსავალს.

„ურევდესო?"

„ბავშვზე სულ ისე ლაპარაკობს, თითქოს მამამისი ის იყოს... აი, ციხეში როა, მისტერ ქრისთმასი. დაუჩემებია რაღაცა და მეც მაბნევს, ზოგჯერ უკვე მეც ველარ... თითქოს სულ ამერია თავგზა, მეც ის მგონია ხოლმე ბავშვის მამა... მისტერ ქრისთმასი..." ლინა ჰაითაუერს შესცქერის; თითქოს ებრძვის, ძალას ატანს თავს. „არადა, ხომ ვიცი, რომ სინამდვილეში ასე არ არის. ვიცი, სისულელეა ყველაფერი. ის

კიდევ, ერთსა და იმავეს გაიძახის, მეც, ეტყობა, ჯერ ვერ მოვმაგრდი, გონება ვერ მოვიკრიბე. ამიტომაც მეშინია..."

„რისი?"

„არ მიყვარს, როცა ვიბნევი ხოლმე. მეშინია, სულმთლად არ ამიბნიოს თავგზა, აი, ხომ გაგიგონიათ, რომ ამბობენ ხოლმე, თვალებს თუ დააელმებ, მერე შეიძლება ველარც გაასწოროო..." ჰაითაუერს აღარ შესცქერის. გაუნძრევლად ზის საწოლში და ჰაითაუერის დაჟინებულ მზერას გრძნობს.

„თქვენ თქვით, ჯო არ ჰქვიაო, მაშ, რა დაარქვით?"

ლინა კიდევ ცოტა ხანს არიდებს სახეს. მერე თავს მაღლა სწევს. „ჯერ არაფერიც არ დამირქმევია" — პასუხობს სწრაფად, ლამის დაუფიქრებლად.

ჰაითაუერი ამის მიზეზსაც ხვდება. თითქოს პირველად ახლა ხედავს ქალს ოთახში შემოსვლის მერე. ახლაღა ამჩნევს, ცოტა ხნის წინ თმა რომ დაუვარცხნია, სახეც გამოცოცხლებია და ზეწარქვეშაც, ჰაიჰარად, ნაჩქარევად შეუჩურთავს სავარცხელი და სარკის ნატეხი. „მე რომ შემოვედი, ვიღაცას ელოდით. რა თქმა უნდა, მე არა. ვის ელოდებოდით?"

ქალი თვალს არ არიდებს. არც უმანკო ეთქმის ახლა იმის სახეს და არც თვალთმაქცური. აღარც წყნარი და მშვიდი. „ველოდი?"

„ბაირონ ბანჩს ელოდით?" ქალი არც ახლა არიდებს თვალს. ჰაითაუერს მშვიდი სახე ადევს, მტკიცე, კეთილმოსურნე. თუმცა, ის ულმობლობაც აწერია ზედ, რაც ლინას ადრეც არაერთხელ უნახავს, ადრეც არაერთხელ შეუმჩნევია უმთავრესად იმ კეთილი მამაკაცების სახეებზე, ვისაც კი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე შეხვედრია. ჰაითაუერი ლინასკენ გადაიხრება, იმ ხელზე ჰკიდებს ხელს, რომლითაც ქალს ბავშვი უჭირავს. „ბაირონი კარგი კაცია", ამბობს ჰაითაუერი.

„მე მგონი, სხვაზე უარესად არც მე ვიცი ეგ ამბავი. იქნებ, უმრავლესობაზე უკეთაც ვიცოდე".

„თქვენც კარგი ქალი ხართ. იქნებით. მე არ ვგულისხმობ..." ბოლო სიტყვებს სწრაფად ამატებს. მერე ჩუმდება. „არ ვგულისხმობდი..."

„მე მგონი, მესმის თქვენი", ამბობს ლინა.

„არა. სხვას ვამბობ. ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეგ ჯერ კიდევ არაფერია. მერეა საქმე, მომავალში. მერე რას უზამთ საკუთარ თავს. სხვებს". ქალს მისჩერებია და ისიც არ არიდებს თვალს. „გაუშვით, წავიდეს. უთხარით მოგცილდეთ". ერთმანეთს შესცქერიან. „დაითხოვე, შვილო. ის ხომ, ალბათ, ორი შენი ხნისაა. შენ კი იმაზე ორჯერ მეტი

გიცხოვრია უკვე. ვეღარასოდეს დაგეწევა, ვეღარასოდეს გაგითანაბრდება, რადგან ძალიან ბევრი დრო დაკარგა. თანაც, იმის არაფერსაც ისევე აღარ ეშველება, როგორც შენს ყველაფერს. ისიც ისევე ვერ დაბრუნდება უკან და ვერ გააკეთებს გასაკეთებელს, როგორც შენ ვერ გამოასწორებ გაკეთებულს. შენ ბიჭი გყავს, სხვისგან გყავს, სხვა კაცისგან. ძალად უნდა შეიყვანო იმის ცხოვრებაში ორი უცხო მამაკაცი და ქალის კი — მხოლოდ ერთი მესამედი, არადა, იმდენს მაინც ხომ იმსახურებს, ოცდათხუთმეტწლიანი არაფერი აუცილებლად თუ უნდა დაინგრას, უმოწმეებოდ მაინც მოხდეს მოსახდენი. გაისტუმრე“.

„ეგ ჩემი საქმე არ არის. ის თავისუფალი კაცია. ჰკითხეთ. თვითონ გითხრას, ერთხელ მაინც თუ ვცდილვარ ძალათი იმის დაკავებას“.

„საქმეც ეგაა. თუ ეცდებოდი, ალბათ ვერც დააკავებდი. საქმეც ეგაა. რომც გცოდნოდა, როგორ უნდა ცდილიყავი. თუმცა, ეგ რომ გცოდნოდა, მაშინ აქაც ხომ არ იქნებოდი ახლა, ძუძუთა ბავშვიც ხომ არ გეწვებოდა გვერდით. მაშ, არ გააგდებ? სიტყვასაც არ ეტყვი?“

„რაც უკვე ვთქვი, იმაზე მეტს ვეღარაფერს ვეტყვი. აკი, ხუთი დღის წინათვე ვუპასუხე — არა-მეთქი“.

„უარი უთხარი?“

„ცოლად გამომყავიო. ახლავეო. მეც, არა-მეთქი, ვუთხარი“.

„და ახლაც იმავეს ეტყოდი?“

ქალი წარბშეუხრელად შესცქერის. „დიახ. ახლაც იმავეს ვეტყოდი“.

ჰაითაუერი, დიდი, ზონზროხა, ფორმადაკარგული, მძიმედ ოხრავს; მობოშებულ სახეზე ისევ აშკარად ეტყობა დაღლილობა. „მჯერა. მჯერა, სულ ასე უპასუხებ, ვიდრე არ დარწმუნდები...“ ისევ ლინას შესცქერის; დაჟინებით, მტკიცედ. „ახლა სად არის? ბაირონი?“

ლინაც ჰაითაუერს უყურებს. ცოტა ხნის შემდეგღა ამბობს წყნარად — არ ვიციო. თვალს მაინც არ აშორებს მოსაუბრეს; მერე, უეცრად, სახე ერთიანად უცარიელდება, თითქოს ის, რაღაც, რაც სიმტკიცესა და ფორმას ანიჭებდა ამ სახეს, ნელ-ნელა, თანდათანობით დაიწრიტაო. აღარც თვალთმაქცობის, დაძაბულობისა თუ გაფაციცების ნატამალი შერჩენია. „ამ დილით, ასე, ათ საათზე დაბრუნდა. ოთახში არც შემოსულა. კართან გაჩერდა და იქიდან მიყურებდა. წუხანდლიდან არ მენახა, არც იმას ენახა ჯერ ბავშვი და ვუთხარი, მოდით, დახედეთ-მეთქი. იქიდან, კარებიდანვე შემომხედა და — ამბის გასაგებად მოვედი, როდის გინდათ იმის ნახვაო? — ვისი ნახვა-მეთქი? — ალბათ შერიფის თანაშემწესაც გამოაყოლებენ თან, თუმცა, მე მგონი, ქენედის დაყოლიებას მოვახერხებ და გამოუშვებენო, — ვის გამოუშვებენ-მეთქი? — ვისა და

ლუკას ბარჩსო, — ჰო, დიახ-მეთქი — სხვა ვეღარაფერი ვთქვი, — ამ საღამოს, არა უჭირსო? — დიახ-მეთქი, და ისიც წავიდა, ცოტა ხანს იდგა და მერე წავიდა“. ქალი ტირილს იწყებს და ჰაითაუერიც იმ სასოწარკვეთით შეჰყურებს, რასაც ყოველი მამაკაცი განიცდის ხოლმე მდედრის ცრემლის დანახვისას. ქალი წელგამართული ზის, გულზე ბავშვი მიუხუტებია და ტირის, არც ხმამაღლა და არც გულამოსკვნილი, უბრალოდ, ყოვლისმომთმენი და უსასოო მორჩილებით და თან, სახის დამალვასაც არ ცდილობს. „თქვენ კი უარესად მტანჯავთ და მაწამებთ, „არა“ უთხარი თუ არაო, ვუთხარი, ჰო, უკვე ვუთხარი, ვუთხარი და წავიდა კიდეც, აღარასოდეს დაბრუნდება. ვეღარასოდეს ვეღარ ვნახავ“. ჰაითაუერი უწინდებურად ზის, ბოლოს და ბოლოს, ლინაც ხრის თავს, ჰაითაუერიც სკამიდან დგება, ზემოდან დასცქერის, იმის ჩაქინდრულ თავზე უდევს ხელი და ფიქრობს ***მადლი უფალს, ღმერთო შენ მიშველე. მადლი უფალს, ღმერთო შენ მიშველე***

ტყეში ქრისთმასის გაკვალულ, ფაბრიკისკენ მიმავალ ბილიკს მიაგნო და იმ ბილიკს მიჰყვა. მანამდე მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ როცა ნახა, საით მიდიოდა, აღგზნებულსა და აღტაცებულს, ესეც განგების ნიშნად მოეჩვენა. ლინასი გულით კი სჯერა, მაგრამ მისი ნათქვამის დადასტურებაც სურს, უბრალოდ, სიამოვნებს იმავეს ხელახლა, სხვა წყაროდან მოსმენა. ფაბრიკამდე რომ მიაღწევს ბოლოს და ბოლოს, ოთხ საათს აღარაფერი უკლია. ამბის გასაგებად კანტორისკენ მიეშურება.

„ბანჩი?“ ამბობს ბუღალტერი. „აქ ვეღარ ნახავთ. ამ დილით მიანება მუშაობას თავი“.

„ვიცი, ვიცი“, ამბობს ჰაითაუერი.

„შვიდი წელი იმუშავა ჩვენთან, შაბათობით, ნაშუადღევსაც კი მუშაობდა ხოლმე. ამ დილას კი გამოგვეცხადა და, კარგად მენახეთო. მიზეზიც არაფერი უთქვამს. ეგ სოფლელები ყველანი ეგეთი უცნაურები არიან“.

„დიახ, დიახ“, ამბობს ჰაითაუერი. „ოღონდ, მშვენიერი ხალხი კია. კაცებიც კარგები არიან და ქალებიც“. მერე კანტორიდან გამოდის. ქალაქის გზა საჩარხავ ფარდულთან გადის, იქ, სადაც ადრე ბაირონიც მუშაობდა. ჰაითაუერი ოსტატსაც იცნობს, მუნის. „გავიგე, ბაირონი დაგმშვიდობებიათ“. — ეუბნება აუჩერებლად.

„ჰო“, პასუხობს მუნი. „ამ დილით დაგვიკრა თავი“. მაგრამ, ჰაითაუერი აღარ უსმენს; კომბინეზონიანი მუშები თვალს ვერ აშორებენ ამ უცნაურ, შეფერთხილ, არცთუ მთლად ნაცნობ სტუმარს, ერთგვარი მოზეიმე ინტერესით რომ მისჩერებია კედლებს, ფიცრებსა თუ იმ იდუმალ მექანიზმებს, რომელთა არსსა და დანიშნულებასაც ვერასოდეს

ჩასწვდება, რომც მოინდომოს და სცადოს, ვერასოდეს გაუგებს თავსა და ბოლოს. „ბაირონის ნახვა თუ გნებავთ, მე მგონი მოედანზე, სასამართლოსთან ნახავთ“, ეუბნება მუნი.

„სასამართლოსთან?“

„დიახ, სერ. დღეს დიდი ჟიური იკრიბება. საგანგებო შეკრებაა. იმ მკვლელს ბრალდება უნდა წაუყენონ“.

„დიახ, დიახ“, ამბობს ჰაითაუერი. „მაშ, წავიდა არა? დიახ. მშვენიერი ახალგაზრდაა. მშვიდობით, მშვიდობით, ბატონებო. კარგად მენახეთ“. ჰაითაუერი გზას აგრძელებს, კომბინეზონიანი მუშები კი ცოტა ხანს კიდევ აყოლებენ თვალს. ხელები უკან დაუკრეფია. მიაბიჯებს და მშვიდად, აუღელვებლად, სევდიანად ფიქრობს: „საწყალი კაცი. საბრალო ბიჭი. არავის მიეტევება, არავის უნდა მიეტევოს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა; ყველაზე ნაკლებად კი უფლებამოსილ პირს, თავის თანამოძმეთა ნაფიც მსახურს. მართლაც, როცა ეს უფლება საჯაროდა აქვს მინიჭებული ვიღაც ერთ ოფიცერს, ვისაც თავისი მსხვერპლისგან, რაც გინდათ ის დაარქვით იმ მსხვერპლს, არავითარი პირადი წყენა და ტკივილი არ ახსოვს, სხვას, უბრალო, ჩვეულებრივ კაცს როგორღა უნდა მოსთხოვო რამე, იმან როგორღა უნდა შეიკავოს თავი, თუკი თავისი მსხვერპლი ამომგდებად, ამკლებად და გამაუბედურებლად მიაჩნია?“ მიდის, მიაბიჯებს; უკვე თავის ქუჩაზეა. ცოტაც და თავის მესერსაც დაინახავს, თავის აბრასაც; მერე, აგვისტოს ხშირ ფოთოლნარში სახლიც გამოკრთება. „მაშ, წავიდა და არც გამომემშვიდობა. ყოველივე იმის მერე, რაც ჩემთვის გააკეთა. რაც მომიტანა. ჰო; რაც მომცა, განმიახლა. მოდი და ნუ იფიქრებ, ისეც იყო ჩემთვის შემონახულიო. თუმცა, ახლა კი მორჩა“.

მაგრამ, არაფერიც არ მორჩენილა. ერთი რამ, მისთვის კიდევაა შემონახული.

- XVIII -

როცა ბაირონი ისევ ქალაქში დაბრუნდა — მოცდა მოგიწევსო, — უთხრეს, შუადღემდე ვერ ნახავ შერიფს, რადგან მთელი დილა სასამართლოში იქნება, საგანგებო სხდომას უნდა დაესწროსო.

„რა გაეწყობა“, თქვა ბაირონმაც. „ეგ მაინც მეხერხება“.

რა გეხერხებაო? — ჰკითხეს, მაგრამ აღარაფერი უპასუხია. შერიფის ოთახიდან გამოვიდა და პორტიკის ქვეშ გაჩერდა, რომელიც მოედნის

სამხრეთ მხარეს გასცქეროდა. ვიწრო, ფილებით მოკირწყლული გალერეიდან ქვის მაღალი, გვარიანად შეფერთხილი, ვინ იცის, რამდენი თაობის ნაღეჭი თამბაქოთი დაურიდებლად დანერწყვილ-დალაქავებული სვეტები აზიდულიყვნენ და კამარით ბოლოვდებოდნენ. კამარის ქვეშ დინჯად, გაუჩერებლად, სერიოზული უმიზნობით მიმოდიოდნენ კომბინეზონიანი სოფლელები (აქა-იქ, სვეტებთან, რამდენიმე, შედარებით ახალგაზრდა ქალაქელი კაციც იდგა, ზანტად, ზარმაცად საუბრობდნენ ერთმანეთში, ზოგიერთს, კლერკებს, დამწყებ ვექილებსა და, წარმოიდინეთ, ვაჭრებსაც კი, ბაირონიც იცნობდა, იცნობდა იმათ ერთნაირ, ქედმაღლურ იერს, რაც, ყველას, ცოტა არ იყოს, გადაცმულ პოლიციელებს ამსგავსებდა, ფეხებზე რომ ჰკიდიათ, შეატყობს ხალხი პოლიციელობას თუ ვერა), მონასტრის ეზოში მოსეირნე ბერების სახეები ედოთ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ ფულზე, მოსავალზე და, ხანდახან, მშვიდად ახედავდნენ ხოლმე ჭერს, რომლის მიღმაც, ჩაკეტილ ოთახში, დიდი ჟიური მალე გამოუტანდა განაჩენს იმ კაცს, ვისაც არამც თუ არ იცნობდნენ, ნახვითაც თითო-ოროლა მათგანს თუ ჰყავდა ნანახი; იმ ქალის მოკვლის გამო წაართმევდა სიცოცხლეს, ვისაც, ალბათ, ასევე არცერთი მათგანი არ იცნობდა და ვისთვისაც კიდევ უფრო ცოტას მოეკრა თვალი, თუნდაც შორიდან. მოედნის ირგვლივ იმათი ფორნები და დამტვერილი მანქანები ჩამწკრივებულიყვნენ, ქალაქში ჩამოყოლილი იმათი ცოლები და ქალიშვილები კი ქუჩებში, დუქნებში, დუქნების წინ ირეოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ზანტად, უაზროდ — ნახირივით თუ ღრუბელივით. ბაირონიც კარგა ხანს იდგა იქ, გაქვავებული, გარინდული, ჩია, კაფანდარა კაცი, ვისაც შვიდი წელი კი გაეტარებინა ამ ქალაქში, მაგრამ კიდევ უფრო უცხოდ და უცნობად დარჩენილიყო სოფლელ-თათვის, ვიდრე მკვლელი და მოკლული ქალი.

ოღონდ, ახლა ბაირონი ამაზე არ ფიქრობდა. ერთი კვირის წინანდელისგან განსხვავებით, ახლა ეს ამბავი არც ადარდებდა. თუმცა, ერთი კვირის წინ, ალბათ, არც იდგებოდა აქ, ამ გამოსაჩენ ადგილას, სადაც ნებისმიერ გამვლელს შეიძლებოდა თვალში მოხვედ-როდა და ვიღაცას, იქნებ, ეცნო კიდეც: *აგე ბაირონ ბანჩი, მარტოდმარტომ, დაუხმარებლად რომ გამომარგლა სხვისი ყანა. ეგ არის, სხვის კასპას რომ გადაჰყვა უანგაროდ ზედ, სანამ ის სხვა ათასი დოლარის საშოვნელად იდგამდა წელებზე ფეხს. ბაირონ ბანჩი, ქალის პატიოსანი სახელის ქომაგი — არადა, ქალსაც და იმის კუროსაც ეგ თქვენი პატიოსნება სულ ფეხებზე ეკიდათ, ვილაცის ნაბიჭვარზე ზრუნავდა — ადამიანურად, წესიერად გაჩნდეს ამქვეყანაზეო, — ხარჯიც გასწია, მადლობის*

ნიშნად კი ერთხელ მოასმენინეს ბავშვის ჩხავილი. თუმცა, როცა უკვე აღარავის აღარაფერში სჭირდებოდა, როცა ბოლო-ბოლო, იმ ბიჭმაც იშოვა ათასი დოლარი, იმისი ნებაც დართეს, ხელახლა ისევ თვითონ შეეხვედრებინა ერთმანეთისთვის ქალი და ქალის კურო. აი, ეგ არის, ეგ არის ის ბაირონ ბანჩი — ახლა კი შემიძლია გზასაც გავუდგეო, — გაიფიქრა ბაირონმა. რატომღაც ღრმად დაიწყო სუნთქვა. გრძნობდა, რა ხარბად ისუნთქავდა ჰაერს და თან ეშინოდა, ვაითუ მომდევნო ჩასუნთქვაზე ჰაერი აღარ მეყოს და რაღაც საშინელება მოხდესო, ეგონა, მკერდზე თუ დაიხედავდა, სიცოცხლის ნიშან-წყალსაც ვეღარ შეატყობდა — დინამიტივით უძრავი იქნებოდა გულმკერდი, იმ დინამიტივით, ნელ-ნელა რომ ღვივდება, თანდათანობით იძენს საშინელ, მომაკვდინებელ ძალას — ახლა, ახლა, ახლა — და გარეგნულად კი არაფერი ეტყობა; ეგონა, გამვლელ-გამომვლელიც ვერაფერს მამჩნევს უცნაურსო: ჩია, კაფანდარა კაცს, ვისაც ხელმეორედ არავინ შეხედავდა ზედ, არავინ დაუჯერებდა ამდენი თუ გაეკეთებინა, ამდენი განეცადა და გადაეტანა, ვინც ღრმად იყო დარწმუნებული, იქ, ფაბრიკაში, შაბათ საღამოს, მარტოდმარტო დარჩენილს, ვერავითარი წყენა და გულისტკივილი ახლოსაც ვერ გამეკარებაო.

ბაირონი ხალხში მიიკვლევდა გზას. — სადმე უნდა წავიდეო, ფიქრობდა. ამ ფიქრს აყოლილი მიაბიჯებდა: „სადმე უნდა წავიდე“. ფიქრი სიარულსაც უადვილებდა. ჯერაც ამ სიტყვებს იმეორებდა გუნებაში, როცა პანსიონს მიაღწია. მისი ოთახი ქუჩას გადმოსცქეროდა. მანამდე აარიდა ფანჯარას თვალი, ვიდრე ბოლომდე გაიაზრებდა — იქით ვიყურებიო. — შეიძლება ისიც დავინახო, როგორ კითხულობს ან როგორ აბოლებს ფანჯარასთან ვიღაცაო, გაიფიქრა. მერე დერეფანში შევიდა. დილის კაშკაშა მზის შემდეგ ცოტა ხანს თვალთ დაუბნელდა. სველი ლინოლიუმისა და საპნის სუნი ეცა. —ჯერ ისევ ორშაბათიაო, გაიფიქრა. „აღარ მახსოვდა. ან, იქნებ, უკვე მომდევნო ორშაბათიც დადგა. კი, ნამდვილად ეგრე იქნება“. არავისთვის დაუძახია. მალე სიბნელესაც მიაჩვია თვალი. დერეფნის ბოლოში, ანდა, შეიძლება სამზარეულოში, ჯაგრისით ხეხდნენ იატაკს, სინათლის მართკუთხედში — გამოღებულ უკანა კარში — ჯერ მისის ბიარდის თავი გამოჩნდა და მერე ბაირონისკენ მომავალი მისი სილუეტი.

„ოოო“, თქვა ქალმა. „მისტერ ბაირონ ბანჩი მოსულა, მისტერ ბაირონ ბანჩი“.

„დიახ“, თქვა ბაირონმაც და თან გაიფიქრა, „მარტო სქელი ქალი, ვის მთელ საზრუნავსაც, ალბათ, აი ეს ვედრო დაიტევს, არ ეცდება...“ ამჯერადაც ვერ იპოვა ის საჭირო სიტყვა, რომელიც ჰაითაუერს

აუცილებლად ეცოდინებოდა, დაუფიქრებლად წარმოსთქვამდა. — ეტყობა, იმის დაუხმარებლად არამცთუ არაფრის გაკეთება არ შემიძლია, ფიქრითაც კი ვეღარ ვფიქრობ უიმისოდო. „დიახ“, გაიმეორა ისევ. გაშეშებული იდგა და იმდენიც ვერ მოეხერხებინა, ქალისთვის აეხსნა — გამოსამშვიდობებლად მოვედიო. — იქნება არც მოვსულვარო, გაიფიქრა. — წესით, კაცი ერთ ოთახში შვიდი წელი რომ იცხოვრებს, ერთ დღეში აღარ უნდა მიუკეტონ ცხვირწინ კარი. თუმცა, არა მგონია, ამაზე დარდმა ახალი მდგმურის პოვნაში მაინცდამაინც შეუშალოს ხელიო. „მე მგონი, ქირა ცოტათი დაგიგვიანეთ“, თქვა ბაირონმა.

ქალი უსიტყვოდ მიაჩერდა: მკაცრი, მშვიდი, თანაც უბოროტო სახით. „რისი ქირა?“ ჰკითხა ბოლოს. „მეგონა, დაბინავდით. ზაფხულის კარავში გატარება გადაწყვიტა-მეთქი, ვიფიქრე“. თან ისევ ისე შესცქეროდა. მერე, სათქმელიც უთხრა. შეძლებისდაგვარად ხათრიანად. „აკი იმ ოთახის ქირა უკვე გადამიხადეს კიდეც“.

„ჰოო“, თქვა ბაირონმა. „დიახ. დიახ. გასაგებია“. მშვიდად ასცქეროდა ახლად დაგვილ, ლინოლეუმგადაკრულ, მისი ფეხებითაც გადაპრიალებულ კიბეს. სამი წლის წინ ახალი ლინოლეუმი რომ დააგეს, სწორედ ბაირონი იყო, ვინც პირველმა გაიარა ზედ. „ჰოოო“, გაიმეორა ისევ. „კეთილი, მაშ ჯობია...“

ქალმა ახლაც დაუყოვნებლივ, უბოროტოდ უპასუხა. „ეგ საქმეც მოვაგვარე. რაც დატოვეთ, ყველაფერი თქვენს ჩემოდანში ჩავალაგე. ჩემს ოთახშია, ისე, თუ გნებავთ, მაინც ადით და თვითონაც ნახეთ“.

„არა. თქვენ, რა თქმა უნდა... კეთილი, მაშ...“

ქალი თვალს არ აშორებდა. „ეჰ, კაცებო, კაცებო“, უთხრა მერე. „რაღა გასაკვირია, თქვენი გადამკიდე ქალებს მოთმინება თუ ღალატობთ ხოლმე. ეშმაკობის ზომაც არ იცით. არადა, სინამდვილეში, მთელი თქვენი ეშმაკობა ქინძისთავზე დაეტევა. მაგაშიც ისევ ქალები რომ არ გიმართავდეთ ხელს, სანამ ათი წლისანი გახდებოდით, ყველანი მანამდე ამოყოფდით ზეცაში თავს“.

„არა მგონია, რამე საბაბი გქონდეთ იმ ქალზე ძვირის თქმისა“, თქვა ბაირონმა.

„არცა მაქვს და არცა მჭირდება. მაგაზე თუ მიდგა საქმე, ქალს ქალის სალანძღავად საბაბი რად უნდა. არ ვამბობ, ქალებს არ დაუწყიათ ათასი მიეთ-მოეთი მეთქი. ოღონდ, კაცს რაც მოეთხოვება, იმაზე მეტი ჭკუა რომ გამოგეჩინათ, მიხვდებოდით, რა ფასიც ადევს ქალების ყბედობას. ეგ კაცებსა ჰგონიათ ლაპარაკი რაღაცა. არცერთი ქალი არც თქვენზე და არც იმაზე გულში ცუდს არ ფიქრობს, რადგან ყველამ იცის, ის ბავშვიც რომ არა, მაინც არ გააჩნია

თქვენთან ბუტიაობის მიზეზი. არც თქვენთან და არც ნებისმიერ სხვა კაცთან. ნამდვილად არ გააჩნია. განა თქვენც, იმ მღვდელმაც და სხვებმაც, ვინც იმისი ამბავი გაიგო, ყველაფერი არ გაუკეთეთ, რაზეც კი ოცნება შეეძლო? მაშ, რაღასთვის უნდა გაიბუტოს? მითხარით ერთი, თუ ღმერთი გწამთ“.

„დიახ“, თქვა ბაირონმა. ქალს აღარ უყურებდა. „მე მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ...“

ვიდრე სიტყვას დაასრულებდა, ქალმა ამაზედაც უპასუხა. „ალბათ, მალე გამოგვემშვიდობებით“, თან თვალს არ აცილებდა. „რა ქნეს დილას სასამართლოში?“

„არ ვიცი. ჯერ არ დაუმთავრებიათ“.

„ეგრეც ვიცოდი. იწვალებენ ახლა, რაც შეუძლიათ მეტ დროსა და ოლქის ფულს გაანიავებენ იმის გასაკეთებლად, რასაც ჩვენ, ქალები შაბათ საღამოსვე მოვაგვარებდით ათ წუთში. რა სულელი უნდა იყო კაცი. არა, ჯეფერსონი უიმისობას როგორმე გადაიტანს; ვერ ვიტყვი, უიმისოდ ვერ გაძლებს-მეთქი. მაგრამ რა სულელი უნდა იყო, რამ უნდა გაფიქრებინოს კაცს, ქალის მოკვლა იმაზე მეტს შემმატებს რამეს, რასაც ქალს კაცის მოკვლა შემატებდაო... მეორეს გაუშვებენ, არა?“

„ალბათ. მეც ეგრე მგონია“.

„არადა, ეგონათ ისიც ეხმარებოდაო. ამიტომ, იმ ათას დოლარსაც ჩაუთვლიან, შენი ჭირიმე, არაფერი გეწყინოს, არ იფიქრო შენზე გულში ბოლმა ჩავიდეთო. მაშინ დაქორწინებაც შეეძლებათ. ასეა, არა?“

„დიახ“, განუწყვეტლივ გრძნობდა ქალის დაჟინებულ, უბოროტო მზერას.

„და, როგორც ეტყობა, თქვენც გვტოვებთ. მაშ, ჯეფერსონმა საბოლოოდ მოგაბეზრათ თავი?“

„არც უმაგისობაა. მე მგონი, ჯობია გზას გავუდგე“.

„აბა, რა გითხრათ? ჯეფერსონი კარგი ქალაქია. ოღონდ, არც იმდენად კარგი, თქვენნაირმა თავისუფალმა კაცმა სხვაგან ვერ იპოვოს თავისი წილი საეშმაკო და საწუხარი... თუ გინდათ, სანამ წახვიდოდეთ, ჩემოდანი აქ იყოს.“

შუადღემდე იცადა, ცოტა მეტხანსაც. მანამდე, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდა, ახლა კი ნამდვილად მოათავებდა შერიფი სადილობასო. მერე შინ მიადგა. ოღონდ სახლში ცოცხალი თავით არ შევიდა. კარებთან უცდიდა, ვიდრე შერიფმა არ გამოხედა — მსუქანმა, ზონზროხა კაცმა, ვისაც ქარსის ნამტვრევებივით ჩაჰკარგვოდა უძრავ, ხორციან სახეში წვრილი და ჭკვიანი თვალები. გვერდზე გადგნენ, ჩრდილში. ეზოში სკამი არ იდგა; ჩვეულების წინააღმდეგ (ორივე სოფლელები

იყვნენ, სოფელში გაზრდილ-დაბადებულები) არც ჩაუმუხლიათ. შერიფი უხმოდ უსმენდა უწყინარ, ჩია კაცს, რომელიც შვიდი წელიწადი ქალაქისათვის სულ მუდამ პატარა საიდუმლოდ რჩებოდა, შვიდ დღეში კი ლამის საზოგადოების შეურაცხმყოფელად და მტრად ქცეულიყო.

„გასაგებია“, თქვა შერიფმა. „მაშ, ფიქრობ, დაქორწინების დრომაც მოაწია?“

„რა ვიცი. ეგ იმათი საქმეა. უბრალოდ, ჯობია მივიდეს და ნახოს. ამის დრო ნამდვილად დადგა. თუ გინდათ, თანაშემწეც გააყოლეთ. ქალს ვუთხარი, ამ საღამოს მოვა-მეთქი. მერე რას იზამენ, უკვე იმათი საქმეა. მე აღარ მეხება“.

„სწორია“, თქვა შერიფმა. „შენ რა შუში ხარ“. თან ბაირონის პროფილს შესცქეროდა. „ახლა რას აპირებ, ბაირონ?“ „რა ვიცი“. ბაირონი ნელ-ნელა უხახუნებდა მიწას ფეხს; ჯიუტად დასცქეროდა. „მემფისში წასვლას ვფიქრობ უკვე ორიოდე წელია. იქნება, ასეც მოვიქცე. რა ყრია ამ პატარ-პატარა ქალაქებში“.

„სწორი ხარ. ვისაც ქალაქური ცხოვრება უყვარს, იმისთვის მემფისი მისწრებაა. თან არც ოჯახი გაწევს კისერზე. ათი წლის წინ მეც მარტოხელა რომ ვყოფილიყავი, იქნება მეც იგივე მექნა. ვინ იცის, უკეთესადაც წასულიყო ჩემი საქმე. მაშ, ახლავე მიემგზავრები?“

„რაღაზე ვითრიო ფეხი“. ბაირონმა წამით ზევით აიხედა, მერე ისევ მიწას ჩააცქერდა. „დილას ფაბრიკიდანაც დავეთხოვე“.

„ვიცი“, თქვა შერიფმა. „მივხვდი, თორმეტიდან პირველამდე ამოდენა გზის გამოვლას და უკან დაბრუნებას ვერ მოასწრებდი. კეთილი. ისეთი პირი უჩანს...“ გაჩუმდა. იცოდა, ჟიური დაღამებამდე წაუყენებდა ქრისთმასს ბრალდებას და ბრაუნიც — ბარჩიც — ისევ თავისუფალი კაცი გახდებოდა, სანამ მომავალ თვეში სასამართლოზე მოწმედ გამოიძახებდნენ. თუმცა, ალბათ, სასამართლოზედაც იოლად გავიდოდნენ უიმისოდ, რაკი ქრისთმასს არაფერი უარუყვია და, შერიფის ღრმა რწმენით, დამნაშავედაც სცნობდა თავს, ოღონდ კი სიცოცხლე შეენარჩუნებინა. — დაშავებითაც არაფერი დაშავდება იმ ჯიბიდან გავარდნილს ერთხელ მაინც თუ ჩავუნერგავთ ღვთის შიშსო, გიფიქრა ბრაუნზე. „მე მგონი, ეგ საქმე იოლად მოგვარდება“, თქვა ცოტა ხნის შემდეგ. „შენი თქმისა არ იყოს, თამაშემწეც უნდა გავაყოლო. გინდაც გაქცევა არ ედოს გუნებაში, გინდაც ჯერ ისევ ჰქონდეს ჯილდოს იმედი. თან, არც იცის, რა ელოდება იქ. ჯერ არ იცის“.

„არა“, თქვა ბაირონმა. „არ იცის. ქალი ჯეფერსონში არცა ჰგონია“.

„ჰოდა, ავდგეთ და თანაშემწესთან ერთად გავისტუმროთ.

ნურაფერს ვეტყვით; უბრალოდ, გავუშვათ. გინდა, შენც გაყევი?“

„არა“, იუარა ბაირონმა, „არა, არა“. ოღონდ ფეხი არ მოუცვლია.

„ასე ვიზამ. შენ, იმ დროისათვის ალბათ უკვე წასულიც იქნები. თანაშემწეს კი გავაყოლებ. ოთხი საათი უპრიანია?“

„მშვენიერია. დიდი სიკეთე იქნება თქვენგან... დიდი ყურადღება“.

„ჯეფერსონში ჩამოსვლის მერე სიკეთე არც უჩემოდ მოჰკლებია. კეთილი, იცოდე, არ გემშვიდობები. იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ისევ გიხილავ ჯეფერსონში. ჯერ ისეთი კაცი არ შემხვედრია, ცოტა ხანი მაინც ეცხოვროს აქ და მერე სამუდამოდ გადაკარგულიყოს. იმ ბიჭის მეტი, აი, ციხეში რომ ზის ახლა. მაგრამ, მე მგონი, დანაშაულს მაინც აღიარებს. გადაირჩენს თავს. ჯეფერსონს კი სათოფეზედაც აღარ გაეკარება. იმ ქალის ბედიც არა მშურს, ბებიამისი ვარო, რომ დაუჩემებია. შინ რომ ვბრუნდებოდი, ის ბებერი კაციც ისევ შუა მოედანზე იდგა, ყვიროდა, ილანძღებოდა, ლაჩრები ხართ ყველანი, რატომ ციხიდან არ გამოათრევთ და აქვე არ მოუგრეხთ კისერსო“. შერიფი მძიმე-მძიმედ ახორხოცდა. „ჭკუით იყოს, თორემ პერსი გრიმი თუ დაადგა თავს თავისი ლაშქრით...“ მერე უცებვე დასერიოზულდა. „ცუდ დღეშია საცოდავი. ქალები საერთოდ ცუდ დღეში არიან“. ისევ ბაირონის პროფილს შეავლო თვალი. „არც ჩვენ დაგვდგომია უკეთესი დღე. კეთილი, აბა, მალე დაგვიბრუნდი. იქნებ მერე მაინც მოგექცეს ჯეფერსონი ადამიანურად“.

იმავე დღეს, ოთხ საათზე, სამალავიდან უთვალთვალებს მოახლოვებულ მანქანას, ხედავს, როგორ ჩერდება ქოხთან, როგორ გადმოდიან მანქანიდან შერიფის თანაშემწე და ის კაცი, ვისაც ბრაუნად იცნობდა, და ქოხისკენ მიემართებიან. თვალს არ აშორებს, ბრაუნს ახლა ხელბორკილი აღარ ადევს, ქოხის კარებთან მისულს შერიფის თანაშემწე ზურგში უბიძგებს ხელს და ზურგსუკან კარს უკეტავს, მერე თვითონ კიბის საფეხურზე ჯდება და ჯიბიდან თამბაქოს ქისას იღებს. ბაირონი ფეხზე დგება. — ახლა კი შემიძლია გზას გავუდგეო, ფიქრობს. — უკვე შემიძლია წავიდეო. სამალავად ჯაგნარი აურჩევია, მდელოზე, სადაც ერთ დროს სახლი იდგა. ჯაგებს უკან ჯორი აბია, არც გზიდან ჩანს, არც ქოხიდან. გაცვეთილ უნაგირზე შეფერთხილი, ყვითელი ჩემოდანია მიმაგრებული, ხელოვნურ ტყავგადაკრული. ბაირონი ჯორზე ჯდება და გზისკენ ერეკება. უკან არ იყურება.

ნაშუადღევის ძალადაკარგული, გადახრილი მზით განათებული, რბილი და წითელი გზა გორაკს მიუყვება. — კარგი, ბატონო, როგორმე ამ გორაკსაც გადავივლიო, ფიქრობს ბაირონი, როგორმე ამასაც გავუძლებო. ირგვლივ შვიდი წლის ნაცნობ სიმშვიდესა და მყუდროებას

დაუსადგურია. „ეტყობა, კაცს ყველაფრის გაძლება შეუძლია. იმისაც, რაც არასოდეს ჩაუდენია. იმ ფიქრისაც, რაღაც გაუსაძლისიც არსებობსო. ხან ისე აქვს საქმე, მიწაზე უნდა გორავდეს და ბღაოდეს, არადა, თავს ამდენის უფლებას არ აძლევს და თან, ამასაც უძლებს. უკან გახედვის ცდუნებასაც უძლებს, მაშინაც უძლებს, როცა იცის, გინდა გაიხედე, გინდა არა — ხეირი მაინც არაფერი იქნება“-ო.

გზა სულ ზევით და ზევით, გორაკის თხემისკენ მიიკლაკნება. ზღვა არასოდეს უნახავს და ალბათ ამიტომ ფიქრობს, — თითქოს არარაობის ნაპირთან ვდგავარო. თითქოს ერთი თუ გადავაბიჯე, მეც არარაობაში ამოვყოფ თავსო. იქ, სადაც ხეებიც სხვანაირები არიან და ადამიანებიც, არც ხეებს ჰქვიათ სახელად ხეები და არც ადამიანებს — ადამიანებიო. იქ აღარც ბაირონ ბანჩს დასჭირდებოდა ყოფილიყო ან არ ყოფილიყო ბაირონ ბანჩიო. უფსკრულში დაქანებულნი, ისიც და იმისი ჯორიც არარად იქცეოდნენ, გავარვარდებოდნენ და ბოლოს იმ ქვებივით დაიწვებოდნენ, ღირსი ჰაითაუერი რომ ამბობს — სივრცეში დაქრიან, ცეცხლი უჩნდებათ, ვარვარდებიან და ისე იფერფლებიან, მიწამდე იმათი ნაცარიც არ აღწევსო.

მაგრამ, მწვერვალზე ასულს მაინც სულ სხვა ხედი ეშლება თვალწინ, ხედი, რომლის ხილვასაც თვითონაც ელოდება: ნაცნობი ხეებიცა და შიშისმომგვრელი, მოსაბეზრებელი სივრცეც, სადაც, სისხლის კარნახს აყოლილმა, მარად და მარად უნდა იმოძრაოს მკაცრი მიწის ორ, გადაულახავ ჰორიზონტს შორის მომწყვდეულმა. ნელ-ნელა ეშლება ეს ყველაფერი თვალწინ, არც ავბედითად და არც შიშისმომგვრელად. ასეა. ნელ-ნელა, თანდათანობით ჩნდებიან ხეთა კენწეროები და თან, არც ბაირონის არსებობა ახსოვთ, არც მისი ასავალ-დასავალი ადარ-დებთ. „არც მიცნობენ და არც ვენაღვლებით“, ფიქრობს. „თითქოს ამბობენ *ძალიან კარგი. მაშ, ვიტანჯებიო, ამბობ? ძალიან კარგი. მაგრამ, სიტყვაზე რატომ დაგიჯერეთ? ბაირონ ბანჩი ვარო, გაიძახი. კი ბატონო, ოღონდ შენ ხომ მხოლოდ ახლა, დღეს ამ წუთასა ხარ ბაირონი.* და თუკი მართლაც ასეა“, აგრძელებს ფიქრში, „მაშინ ბოლო სიამოვნებასაც აღარ მოვიკლებ და უკან მიხედვის ცდუნებასაც აღარ გავუძლებ“. ჯორს აჩერებს და უნაგირზე მთელი ტანით ტრიალდება.

არ ეგონა, ასე შორს თუ წამოვიდა, ასეთი მაღალი თუ იყო მწვერვალი. მოპირდაპირე მთაგრეხილზე ჯეფერსონი შეფენილა, მთაგრეხილსა და მთაგრეხილს შორის კი ერთიბეწო, ხელისგულისოდენა ფიალასავით მოჩანს ოდესღაც ვრცელი სამფლობელო იმ ოჯახისა, რომელსაც, სამოცდაათი წლის წინ პლანტატორთა ოჯახი ერქვა სახელად. ოღონდ,

პლანტაცია ახლა უწესრიგოდ მიმობნეული ზანგური ქოხმახებით, ბაღ-
ჩების ნაკუწებით და მკვდარი, ეროზიით შეჭმული, მუხნარით, ხურმით,
დაფნითა და ასკილით დაფარული მინდვრებითაა დაქუცმაცებული.
პლანტაციის შუაგულში მუხების კორომი ჯერაც ისევ დგას, როგორც
მაშინ, სახლის აშენებისას იდგა, თუმცა თავად სახლის ნაკვალევიც
აღგვილა პირისაგან მიწისა. ბაირონი აქედან ნახანძრალის ჭრილობებსაც
ვერ ხედავს და ეს კორომი, ჩამოქცეული თავლა და, ოდნავ მოშორებით,
ქოხი რომ არა, ალბათ ვერც იტყვის ზუსტად სად, რა ადგილას იდგა
სახლი. ქოხი კარგად მოჩანს, მთლიანად, ლამის სათამაშოსავით გარინ-
დულა ნაშუადღევის მზეში; სათამაშოსა ჰგავს კიბეზე ჩამომჯდარი შერი-
ფის თანაშემწეც. ბაირონი იქით იყურება და უეცრად, თითქოს რაღაც
ჯადოქრობის წყალობით, ქოხის უკან სხვა კაციც გამოჩნდება, უკვე
გარბის, სირბილით გამოვარდნილა უკანა ფანჯრიდან, შერიფის თანაშემ-
წეს კი ეჭვიც არაფრისა აქვს, ზის კიბეზე თავისთვის მშვიდად. კიდევ ცოტა
ხანს ბაირონიც არ ირხევა, უნაგირზე შებრუნებული ზის და ხედავს,
როგორ არბის მოტიტვლებულ ფერდობზე, ტყისკენ, პაწაწინა ფიგურა.

მერე, თითქოს სუსხიანი, ძლიერი ქარი დაუვლის მთელ არსებაში.
ერთდროულად სასტიკიცა და მშვიდიც, და ბზესავით, ნაგავივით თუ
მკვდარი ფოთლებივით ერეკება სურვილებსაც, სასოწარკვეთასაც,
უიმედობასაც, ტკივილსაც და ფუჭ ოცნებებსაც. თითქოს მართლა
ქარი დასძგერებოდეს, ბაირონი უკან გადაქანდება, ისევე გამოფიტული,
გამოცარიელებული, ყველაფრისაგან დაცლილი, როგორც უწინ,
როგორც ორი კვირის წინ, როგორც ლინასთან პირველ შეხვედრამდე.
ამ წუთის სურვილს სურვილი აღარც ეთქმის: უფრო მეტია —
მშვიდი, ურყევი რწმენა. ჯერ ვერც მიმხვდარა, ტვინმა ტელეგრაფის
სიზუსტით თუ გადასცა ბრძანება ხელს და ჯორი უკვე გზიდან
გადაჰყავს, მთაგრეხილის გასწვრივ მიერეკება იქითკენ, საითაც გაქცეულ,
ტყეში გაუჩინარებულ კაცს უჭირავს გეზი. კაცის სახელი ფიქრშიაც
არ წარმოუთქვამს. არც იმაზე დაფიქრებულა წამით, სად გარბის, რა
მიარბენინებსო. ერთხელაც არ გაუელვა ფიქრში, ისევ ლინას გამოქცევიაო,
არადა, ადრე თვითონვე იწინასწარმეტყველა ყველაფერი. რომ დაფიქრდეს,
ალბათ თავსაც დაირწმუნებს, ბრაუნს ახლაც რაღაც გადაუდებელი,
საქმეებით კანონიერი, ჯეფერსონიდან ქალიან-ბავშვიანად გამგზავრებასთან
დაკავშირებული საქმე გამოსჩენია, ოღონდ, ამ საქმესაც, თავისებურად,
უცნაურად აგვარებსო. თუმცა, არაფერსაც არ ფიქრობს; ლინას
არსებობაც კი დავიწყებია; ვითომც, მის დღეში არც ენახოს, სახელიც
არ გაეგოს მისი. ფიქრობს: — მაგის მაგივრად მაგის ქალსაც მე
მივხედე და ბავშვსაც. მაგრამ, ერთი სამსახური კიდევ შემიძლია გავუწიო.

მღვდელი მე არა ვარ და ჯვარს ვერ დავწერ. ისე გამასწრო, დაწევაც
ძალიან გამიჭირდება. ჩემზე ზორბაა და რომც დავეწიო, იქნება
ვერც გავლახო. მაგრამ, ცდით ხომ მაინც უნდა ვცადო, ცდას ხომ
არ მიშლის არავინო.

როცა შერიფის თანაშემწემ საკანში მიაკითხა, — სად მიგყავართო,
— მაშინვე ისა ჰკითხა ბრაუნმა. სადა და სტუმრადო — მიუგო
შერიფის თანაშემწემ. ბრაუნი შეცბა, თავისი ლამაზი, ვითომ გულადი
სახე მიაშტერა. „არავისთან სტუმრობისთვის არა მცხელა. მე ამ
ქალაქში უცხო ვარ“.

„შენ ყველგან უცხო იქნები“, უთხრა შერიფის თანაშემწემ —
„შინაც. ადე, წავედით“.

„მე ამერიკის მოქალაქე ვარ“, თქვა ბრაუნმა, „და, თუ არ
ვცდები, უფლებებიც გამაჩნია, მერე რა, თუკი თუნუქის ვარსკვლავი
არ მაბნევია აჭიმზე“.

„გაგაჩნია, აბა არ გაგაჩნია?!“ კვერი დაუკრა შერიფის თანაშემწემაც.
„მაშ ან მე რა მრჯის: მეც უფლებების დაცვაში არ გეხმარები?!“

ბრაუნს სახე გაუნათდა: გაუბრწყინდა. „იმათ... ისინი რა, გა-
დახდას აპირებენ?“

„აბა?! გაჯილდოებენ. და თუ ჯერაც იმ ჭკუაზე ხარ, ახლავე, ამ
წუთას მიმყავხარ შენ ჯილდოსთან“.

ბრაუნი დასერიოზულდა. შერიფის თანაშემწეს ეჭვით კი უცქერდა,
მაგრამ მაინც წამოდგა, მაინც გადადგა კარებისკენ ნაბიჯი. „რაღაც
უცნაურად აეწყო ყველაფერი“, თქვა მან, „მე ციხეში მაყურყუტეთ,
ის ნაბიჭვრები კიდევ მშრალზე მიპირებდნენ დატოვებას“.

„შენი მშრალზე დამტოვებელი ნაბიჭვარი ჯერ არ გამოჩეკილა“,
თქვა შერიფის თანაშემწემ. „ჰა, წავედით, გველოდებიან“.

ციხიდან გამოვიდნენ. მზემ ბრაუნს თვალი მოსჭრა, თვალებმოწკუ-
რულმა მიმოიხედა და მერე თავისებურად, ცხენივით აიქნია ცერად
თავი. ტროტუარათან მანქანა იცდიდა. ჯერ მანქანას შეხედა ეჭვით,
მერე შერიფის თანაშემწეს. „მანქანა რაღად გვინდა?“ იკითხა ბრაუნმა.
„ამ დილას სასამართლომდე ფეხით მისვლა სულ არ გამჭირვებია“.

„უატმა გამოგიგზავნა, ჯილდოს ტარება გაუადვილდებაო“, უთხრა
შერიფის თანაშემწემ. „ჩაჯე“.

ბრაუნმა ჩაიბუზღუნა. „რაღაც ძაან კი მოიქაჩლა უცებ თავი,
აი. ბორკილი არაო, მანქანაო. თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად,
მარტო ერთ ყარაულს მაყოლებს თან“.

„მე შენ არ გყარაულობ“, თქვა შერიფის თანაშემწემ. ის იყო, მანქანის დაძვრას აპირებდა და წამით შეყოვნდა. „გაქცევა თუ გინდა, გაიქეცი. ვინ გიჭერს?“

ბრაუნმა ბრაზით მიანათა შეურაცხყოფილი, ეჭვიანი თვალები. „გასაგებია ყველაფერი“, ჩაილაპარაკ ჩუმად. „ეშმაკობს. ჭკუაში მატყუებს: მე გავიქცევი, თვითონ კიდევ ათას დოლარს ჩაიჯიბავს. შენ რამდენს დაგპირდა?“

„მეე? მე ზუსტად შენდენი მერგება. ბოლო ცენტამდე“.

ბრაუნი ცოტა ხანს კიდევ შეაცქერდა. მერე შეიგინა, უმისამართოდ, უჯიგროდ ბინძურად. „წავედით“, თქვა ბოლოს. „წავიდეთ თუ მივდივართ“.

ხანძრისა და მკვლელობის ადგილისკენ გაემგზავრნენ. ხანგამოშვებით, თითქოს დრო ზუსტადა აქვს გამოთვლილიო, ბრაუნი თავს აიქნებდა ხოლმე, უკან-უკან იხედებოდა და მართლა ემსგავსებოდა ჯორს, ვიწრო ორღობეში დაფეთებული რომ გაურბის მანქანას. „აქ რაღასთვის მოვეთრევით?“

„რაღასთვის და შენი ჯილდოსათვის“, უპასუხა შერიფის თანაშემწემ.

„ჯილდო სადღაა?“

„აგე, იმ ქოხში. იქ გელოდება“.

ბრაუნმა მიიხედ-მოიხედა, ჯერ ნასახლარის ჩაშავებულ ნაცარს შეავლო თვალი, მერე კი მიგდებულ, მრავალ ავდარგამოვლილ, მზის გულზე გაყუჩებულ ქოხს, სადაც ოთხიოდე თვე თვითონაც გაეტარებინა. სერიოზული სახე ედო, სერიოზული და დაძაბული. „რაღაც უცნაურად მეჩვენება ეს ამბავი. ქენედის თუ ჰგონია, ჩემი უფლებების გათელვაც შეუძლია, რაღაი ის თუნუქის ვარსკვლავი თუ ჩემი ფეხები...“

„მიდი“, უთხრა შერიფის თანაშემწემ. „თუ ჯილდო არ მოგეწონოს, აქ გელოდები და რა წუთსაც მიბრძანებ, მაშინვე უკან, ციხეში დაგაბრუნებ“. ბრაუნს ზურგში უბიძგა, ქოხის კარი გაუღო, ოთახში შეაგდო, კარი მიუკეტა და თვითონ კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

ბრაუნმა გაიგონა, როგორ დაიკეტა ზურგსუკან კარი. ჯერ ისევ მიდიოდა, ვერ მოესწრო ნაბიჯის შენელება. დამფრთხალმა, გაცეცებულმა, რამდენჯერმე ხარბად მოათვალიერა ოთახი, თითქოს თვალები ველარ ითმენდნენ, სული უსწრებდათ, ერთბაშად სურდათ ყველა კუთხე-კუნჭულის მოჩხრეკა, და უცებ თოფნაკრავივით შედგა. ლინა იწვა და ხედავდა, როგორ უკვალოდ გაუქრა ტუჩთან თეთრი ნაიარევი, თითქოს სისხლის მიქცევამ იარაც თან გაიტაცა, როგორც ქარმა თოკზე გასაშრობად გაფენილი ჩვარიო. ქალს კრინტი არ დაუძრავს. საწოლში

სანახევროდ წამომჯდარიყო, ბეჭებქვეშ ბალიშები ამოეწყო და ფხიზელი, ჭკვიანი თვალებით შესცქეროდა — თვალებში არც სიხარული ედგა, არც გაოცება, არც საყვედური და არც სიყვარული, — კაცს კი, პატარა, მუხანათი, გამცემი ნაიარევის გასამასხრებლად და გამოსაჯავრებლად, რიგრიგობით ხან აღშფოთება ეხატებოდა სახეზე, ხან გაკვირვება, და ხან შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა, ვიდრე ბოლოს აშკარა შეძრწუნება არ შეაცივდა ზედ, ხოლო დამფრთხალი და სასოწარკვეთილი თვალები კვლავ გაუჩერებლივ აწყდებოდნენ აქეთ-იქით ცარიელ ოთახში. ქალი ხედავდა, ნებისყოფის რა დაძაბვად დაუჯდა იმათი მოთოკვა, იმათი დამორჩილება — ორი დაფეთებული პირუტყვივით, — და ლინასთვის თვალის გასწორება. „ბიჭოს, ბიჭოს“, თქვა ბრაუნმა. „ბიჭოს, ბიჭოს, ბიჭოს; ეს ხომ ლინაა“. ქალი დაუინებით მისჩერებოდა, ამჩნევდა, როგორ გაურბოდა კაცს თვალები, რა ტანჯვით აოკებდა გასაქცევად გამზადებული პირუტყვებივით, თითქოს სჯეროდა, ერთიც თუ დამისხლტნენ, მერე ვერასდიდებით ველარ გავაჩერებ, ველარაფრით მოვაბრუნებ და უეჭველად დავილუპებიო. ლინა ლამის ხედავდა კიდეც, გაუჩერებლივ როგორ დაეძებდა გამოსავალს იმისი დამფრთხალი და შეძრწუნებული გონება და იმ სიტყვების პოვნასაც ცდილობდა, რომელთა წარმოთქმასაც ხმა, ენა მოახერხებდა. „ეს თუ ლინა არ იყოს... კი, ასეა. მაშ, მიგიღია ჩემი ბარათი. ჩამოვედი და დავბინავდი თუ არა, მაშინვე გამოგიგზავნე, გასულ თვეში, მეგონა, დაიკარგა-მეთქი — ვიღაც ბიჭს გამოვატანე, წესიერად არც ვიცნობდი, თვითონ ამიჩემა, გინდა თუ არა მე წავიღებო — სანდო კაცს არა ჰგავდა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო, უნდა ვნდობოდი, ოღონდ, შენთვის სამგზავროდ ათი დოლარიც რომ ჩავუდე, მერე კი შემეშინდა...“ ხმა სადღაც, სასოწარკვეთილ თვალებს მიღმა ჩაკვდა. ლინა კი ჯერაც ხედავდა, როგორ უსასოოდ აწყდებოდა აქეთ-იქით მისი გონება, სიბრალულის, საერთოდ, ნებისმიერი გრძნობის გარეშე შესცქეროდა, თავისი მშვიდი, ყურადღებიანი, გაუსაძლისი მზერა მიეპყრო და ხედავდა, როგორ გარბოდა, როგორ ბორძიკობდა, როგორ იტეხდა კისერს, ვიდრე, თანდათანობით, სიამაყის მონარჩენებიც საბოლოოდ არ მიმოეფანტა — თუკი, საერთოდ ერქვა სიამაყე თავის მართლების გაუნელებელ ჟინს, — და ბრაუნიც დედიშობილა არ დარჩა. მაშინ ლინამაც პირველად დაილაპარაკა. წყნარი ხმა ჰქონდა, დამშვიდებული, ცივი.

„მოდი აქ“, უთხრა ბრაუნს. „მოდი. ნუ გეშინია, არ ვაკბენინებ“. ბრაუნმა ნაბიჯი გადადგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა. ქალმა ესეც შეამჩნია, თუმცა, უკვე აღარ უცქერდა. უბრალოდ, ტანი უგრძნობდა, გრძნობდა, რა უხერხულად, როგორი რიდით და კრძალვით წამოსდ-

გომოდა თავს. ოღონდ, ისიც იცოდა, მძინარე ბავშვზე ზრუნვით რომ არ იყო ეს რიდი და კრძალვა ნაკარნახევი. ბავშვისთვის ხეირიანად არც დაუხედავს. ლინა ისევ ამჩნევდა, როგორ მოუსვენრად აწყდებოდა აქეთ-იქით ბრაუნის გონება. **უნდა დამიმტკიცოს, არაფრისა შემშინებიაო** ფიქრობდა. **არც შერცხვება და დაიუნებს არ მეშინიაო, აკი ადრეც, როცა ტყუოდა, არ შერცხვენია შიშისა**

„კარგია, კარგი“, თქვა ბრაუნმა. „მაშ, ეს არის, ჰა?“

„ჰო“, თქვა ლინამ. „არ დაჯდები?“ ჰაითაუერის სკამი ჯერაც საწოლთან იდგა. ბრაუნს უკვე ესეც შეემჩნია. **წინდაწინვე გაამზადა** — გაიფიქრა. ისევ შეიგინა, უხმოდ, გაღიზიანებულმა, გაცოფებულმა. **ნაბიჭვრები. ოოოო, ეს ნაბიჭვრები** მაგრამ, როცა სკამზე ჩამოჯდა, სახეზე მაინც არაფერი შეტყობია.

„ასეა საქმე, ჩემო ბატონო. აი, ისევ ერთადა ვართ. როგორც ვაპირებდით. მინდოდა, მზამზარეულზე ჩამოსულიყავი, ოღონდ ამ ბოლო დროს სულ მოუცლელი ვარ. მართლა, არ დამავიწყდეს...“ ახლაც, მოულოდნელად, ჯორივით აიქნია თავი და უკან მიიხედა. ქალი არ უყურებდა. მერე უთხრა:

„აქ ერთი მღვდელია. უკვე იყო ჩემს სანახავად“.

„ძალიანაც კარგი“, მაშინვე გაეპასუხა ბრაუნიც. ხმამაღლა, გულით უპასუხა. თუმცა, ხმისა არ იყოს, ამ გულითადობასაც ვერ ენდობოდა კაცი, ისიც როყიო სიტყვებთან ერთად ქრებოდა უკვალოდ და არაფერს ტოვებდა, არც აზრსა და არც რწმენას. „მაგას რა ჯობია. ჩემს საქმეებს მოვათავებ თუ არა...“ თან მრავალმნიშვნელოვნად და თან არაფრისმთქმელად აიქნია ხელი, ისევ ლინას მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა. სახე გადაგლესოდა და გამოცარიელებოდა. მლიქვნელური, დაძაბული, იდუმალებით მოცული თვალები ჰქონდა, ოღონდ, სადღაც სიღრმეში, უწინდელი შიში და სასოწარკვეთაც ჩარჩენოდა. მაგრამ, ქალი აღარ უყურებდა.

„ახლა რას საქმიანობ? ისევ ფაბრიკაში ხარ?“

ბრაუნი ქალს შესცქეროდა. „არა. იქიდან წამოვედი“. ვერაფრით მოეწყვიტა ლინასთვის თვალი. თითქოს მისი არც იყო ეს თვალები, თითქოს არც დანარჩენ სხეულთან აკავშირებდა რამე და არც ნათქვამთან თუ ნამოქმედართან. „ბინძურ ზანგ მონასავით დღეში ათი საათი გაწყვეტინებენ წელს. ახლა ერთი ანკესი მაქვს გადაგდებული, წესით, სარფიანი საქმე უნდა გამოდნეს. საათში თხუთმეტი ცენტი კი არა. ხოდა, ამ საქმეს მოვათავებ თუ არა, კაცმა რომ თქვას, რაღა დარჩა, მაშინ მე და შენც...“ იდუმალებით მოცული თვალები ჯიუტად, ჯიქურ მისჩერებოდნენ თავდახრილი ქალის პროფილს. მერე ერთხელაც აიქნია

თავი, ერთხელაც მიიხედა უკან, და ქალმაც ერთხელ კიდევ გაიგონა სუსტი, მოულოდნელი ჩქამი. „არ დამავიწყდეს...“

ქალი არ შერხეულა. „მაინც, როდის იქნება ეგ, ლუკას?“ ჰკითხა მერე. ჰკითხა და მაშინვე გაიგონა, მაშინვე იგრძნო რა საოცარმა, რა უსაშველო სიჩუმემ დაისადგურა უცებ.

„რა როდის იქნება?“

„თვითონაც იცი. რაცა თქვი. იქ, ჩვენთან, შინ. მარტოკას იქნება არც არაფერი გამჭირვებოდა. აკი, ერთხელაც არ დამიჩივლია. ახლა კი სხვაა. ახლა, მე მგონი, წუხილის უფლებაცა მაქვს“.

„ჰოო, ეგა“, თქვა ბრაუნმა „შენ ნურაფერზე ნუ იდარდებ. ოღონდ, დამაცადე საქმეს მოვრჩე და ფული ჩავიგდო ხელში. ჩემი კუთვნილი ფული. ვერცერთი ის ნაბიჭვარი ვერ...“ ბრაუნი გაჩუმდა. ნელ-ნელა ისე შევიდა ეშხში, ისე აუწია ხმას, ეტყობა, დაავიწყდა სად იყო, ეტყობა, ხმამაღლა გააბა ფიქრი. სწრაფადვე მოეგო გონს; უკვე ჩუმად თქვა: „შენ მე მაცალე. ნურაფერზე იდარდებ. განა აქამდე რამე სადარდებელი გამიჩენია შენთვის, ჰა? გამიჩენია?“

„არა. დარდით არასოდეს მიდარდია. ვიცოდი, შენი იმედი შემეძლო მქონოდა“.

„მეც მანდა ვარ. ეს ნაბიჭვრები კიდე... აქაურები...“ სკამიდან წამოდგა. „მართლა, არ დამავიწყდეს...“ ქალს არც თავი აუწევია, არც ხმა ამოუღია, ის კი მაინც ფეხმოუცვლელად იდგა, დამფრთხალი, სასოწარკვეთილი, უტიფარი თვალებით დასცქეროდა. თითქოს ქალი აკავებდა და ამას თვითონაც მიხვედრილიყო, უნებართვოდ ფეხი ველარ მოეცვალა. მაგრამ, მერე ქალმაც გაუშვა, საკუთარი ნებით, საკუთარი სურვილით მისცა წასვლის უფლება.

„გეტყობა, ახლა ძალიან მოუცლელი უნდა იყო, არა?“

„რაღა დაგიმალო და, ეგრეა. ჯერ ჩემი საწვალებელი რამდენი მაქვს და თან ეს ნაბიჭვრები ხომ...“ უკვე ქალსაც მისთვის მიეპყრო მზერა. ხედავდა, როგორ შეავლო ბრაუნმა თვალი უკანა კედელში დატანებულ ფანჯარას. მერე ჩაკეტილ კარს მიაცქერდა. ბოლოს კი ქალს, ქალის სერიოზულ, არაფრისა, თუ, პირიქით, ყველაფრის, მთელი ცოდნის გამომხატველ სახეს. კიდევ უფრო დაიდაბლა ხმა. „მე აქ მტრები მყავს. ბევრს არ უნდა, ჩემი კუთვნილი რომ მივიღო. ამიტომაც ვაპირებ...“ ქალი თითქოს ისევ იჭერდა, იჭერდა და თანაც, ეტყობა, გამოცდის მიზნით, იმ უკანასკნელი ტყუილისკენაც უბიძგებდა, რომელსაც მისი სიამაყის საცოდავი მონარჩენებიც კი უჯანყდებოდნენ; თოკით ან საბელით კი არ იჭერდა და აკავებდა, რაღაც სხვა ხერხი გამოენახა, რაც იმის ტყუილს უბრალოდ ხმელი ფოთლებივით თუ ნაგავივით

გაატანდა ქარს. თუმცა, ქალს კრინტიც არ დაუძრავს. თვალმოუშორებლად შესცქეროდა და ხედავდა, როგორ მიუახლოვდა ფეხაკრეფით ფანჯარას, უხმაუროდ როგორ გამოაღო. მერე გამოხედა. შეიძლება, ფიქრობდა უკვე სამშვიდობოს ვარო, მანამდე გადავხტები ფანჯრიდან, ვიდრე ქალი ჩემს დაჭერას მოასწრებსო. ან, იქნებ, ესეც მონარჩენები იყო, ოღონდ, ცოტა ხნის წინანდელი სიამაყისა კი არა, სირცხვილისა. ასეა თუ ისე, ქალს ახლა ყბედობისა და სიცრუის ნიღაბჩამოხსნილი შესცქეროდა. ძლივსგასაგონად ჩურჩულებდა: „გარეთ, ქოხის წინ კაცი მელოდება, მე მიდარაჯებს“. მერე წავიდა, ფანჯრიდან გაიპარა, უხმაუროდ, ერთი ბიძგით, ერთი მოძრაობით მიეფარა თვალს, გრძელი გველივით. თავი გარეთ დაიგულა თუ არა, მაშინვე გაიქცა, ერთადერთი სუსტი ჩქამი-ღა მოესმა ლინას. თვითონაც მაშინღა შეირხა, ერთადერთხელ, ღრმად ამოიოხრა.

— მოსულა ჩემი ადგომის დროო, თქვა ხმამაღლა.

რკინიგზის მიწაყრილთან რომ გამოდის ტყიდან, ბრაუნს გული უკვე ამოვარდნაზე აქვს. მართალია, ოც წუთში თითქმის ორი მილიც გამოიარა და არც გზა აურჩევია იოლი, მაგრამ დაღლილობის გამო მაინც არ ქოშინებს ასე. უფრო დევნილი ნადირის გააფთრებით ქშინავს ავისმომასწავებლად: დგას, ხან აღმა ახედავს ცარიელ ლიანდაგს, ხან დაღმა და სახეც სწორედ ეულ, დევნილ ნადირს მიუგავს, ნებისმიერი შემწეს უარმყოფელს, თავის სიმარტოვეს ჩაბღაუჭებულს, მხოლოდ საკუთარი კუნთების რწმენას მინდობილსა და სულის მოსაბრუნებლად შეჩერებულს, ცოცხალი, სულიერი მტერივით რომ სძულს ყოველი ხე და ბალახის ყოველი ღერი, ის მიწაც სძულს, რომელზეც ისვენებს და თავად ჰაერიც, ურომლისოდაც ვერაფრით ჩაიწყნარებს სუნთქვას.

სადაც ვარაუდობდა, იქიდან რამდენიმე ასეული იარდის მოშორებით გამოსულა რკინიგზასთან. აღმართის ბოლოში, ჩრდილოეთისაკენ მიმავალი სატვირთო მატარებლები სვლას ანელებენ ხოლმე, ძლივძლივობით, გაჭირვებით მიღოღავენ, მონდომებული კაცი ლამის ფეხითაც გადაუსწრებს. ოდნავ უფრო წინ, ლიანდაგის ტყუპი, კაშკაშა ზოლი თითქოს მაკრატლით გადაუჭრიათო.

ხეებს მოფარებული, ცოტა ხანს კიდევ იცდის ტყისპირას, რკინიგზის მიწაყრილთან. უიმედოდ, გამალებით რაღაცის მოანგარიშე კაცსა ჰგავს, თითქოს გონებაში უკვე წაგებული თამაშის უკანასკნელ, სასოწარკვეთილ სვლას დაეძებს. ერთი პირობა, რაღაცას აყურადებს, მერე ისევ ტყისკენ იბრუნებს პირს და გარბის, ტყე-ტყე, ლიანდაგის გასწვრივ. ეტყობა, იცის საითაც უჭირავს გეზი; მალე ბილიკს პოულობს

და ბილიკსაც სირბილით მიუყვება, ვიდრე ბოლოს პატარა ახოზე არ გავა, სადაც ზანგური ქოხი დგას. უკვე შეუნელებია ნაბიჯი, ქოხის კარს დინჯად უახლოვდება. პარმაღზე ზანგი დედაბერი ზის, ჩიბუხს აბოლებს, თავი თეთრი ხილაბანდით წაუკრავს. აღარ მირბის, მაგრამ ბრაუნი ჯერაც ჩქარ-ჩქარა, მძიმე-მძიმედ სუნთქავს. სანამ ხმას ამოიღებდეს, ცდილობს ქოშინს მოერიოს.

„დიდედას ვახლავართ“, ეუბნება ქალს, „შინ არავინ არის?“

ქალი ჩიბუხს პირიდან იღებს. „მე ვარ. შენ ვინა გნებავს?“

„ბარათი მაქვს ქალაქში წასაღები. საჩქაროდ“. ამბობს და თან სუნთქვის ჩაწყნარებას ცდილობს. „ფულს გადაგიხდით. ჰა, არავინაა წამღები?“

„ეგრე თუ გეჩქარება, ჯობია თვითონვე შეიწუხო თავი“.

„გეუბნები, გადაგიხდით-მეთქი!“ ამბობს ბრაუნი. მოთოკილი ბრაზით ლაპარაკობს, უნდა სუნთქვაც დაიწყნაროს და თან არც ხმას აუწიოს. „თუ დროზე იზამს, დოლარს მივცემ. არ მითხრა ახლა, დოლარის მუშტარი არავინა გვყავსო. ბიჭები არ არიან სახლში?“

ქალი ისევ ჩიბუხს აბოლებს, თან ბრაუნს ათვალიერებს. ბებერი, იდუმალი, კუნაპეტი სახე ლამის ღვთაებრივი პირუთვნელობით მიუპყრია მისთვის, ოღონდ — არა კეთილად, არა თანაგრძნობით. „მაშ, დოლარიო, ამბობ?“

ბრაუნი რაღაც ენითაუწერელ მოძრაობას აკეთებს ხელით, ერთდროულად სიჩქარის, შეკავებული რისხვისა და სასოწარკვეთილების გამომხატველს. უკვე მზადაა ქალს ზურგი შეაქციოს და გამობრუნდეს, მაგრამ ქალი ხელახლა უწყებს ლაპარაკს. „ჩემი და ორი ბალღის მეტი არავინაა. ბალღები კიდევ, შენი საქმისთვის ძალიან პატარები არიან“.

ბრაუნი ისევ ჩერდება. „როგორ, პატარები? დავიჯერო შერიფს ბარათს ვერ...“

„შერიფისო? არა, გენაცვალე, მისამართი შეგეშალა. ჩემი ბიჭები შერიფებთან არ დაიარებიან. ჩემ კაცსაც ეგონა, ახლოს ვიცნობ შერიფს, წავალ, ვესტუმრებიო, და მას მერე სტუმრობს, ჯერაც არ დაბრუნებულა. წადი, შვილოსან, სადმე სხვაგან ეძებე შენი ბარათის წამღები“.

ბრაუნი უკვე გამოტრიალებულა და წამოსულა. ჯერ არ გარბის. ჯერ აზრადაც არ მოსვლია ხელახლა აუჩქაროს ნაბიჯს; ცოტა ხანს, საერთოდ არც ფიქრობს არაფერს. გააფთრებაცა და უძლურებაც, ლამის აღფრთოვანების ზღვარს მისდგომია. თითქოს უნებლიე, მაგრამ წესად ქცეულ იმედისგაცრუებათა მარადიულ და გარდაუვალ აუცილებლობაზე ფიქრს გაურინდებია ასე. თითქოს წვრილმანი ადამიანური

ოცნებებისა და სურვილების გადამშლელი და უარმყოფელი იმედისგაცრუების უსასრულობა, მასაც აღამაღლებს, ამ ოცნებებსა და სურვილებზე მაღლა აყენებს. ამიტომ, ვიდრე გააგონებდეს, ვიდრე ისევ მოაბრუნებდეს უკან, ზანგ დედაბერსაც ორჯერ უხდება დაძახება. ქალი სიტყვასაც არ ამბობს და არც ინძრევა: უბრალოდ, ეხმიანება. — ერთია, ის წაიღებსო, ეუბნება მერე ისევ ქოხთან მიბრუნებულ ბრაუნს.

პარმაღთან მართლაც დგას აშკარად ცით მოვლენილი ზანგი, ვერ გაიგებ, ზრდასრული ყეყეჩია თუ აყლაყუდა მოზარდი. იმასაც შავი, უძრავი, იდუმალი სახე ადევს. ისა და ბრაუნი პარმაღთან დგანან და ერთმანეთს შესცქერიან. უფრო სწორად, ბრაუნი შესცქერის ზანგს დაუინებით. ვერც იტყვის, ზანგიც ხედავს თუ ვერა. ესეც კანონზომიერად ეჩვენება, მეტის ღირსი არცა ვარო, ფიქრობს, უკანასკნელ იმედად და ნუგეშად ეს პირუტყვი უნდა მომვლენოდა მაინცდამაინცო, ეს უბედური ქალაქში ვინმეს მოძებნას კი არა, ქალაქამდე გზის გაგნებასაც ვერ მოახერხებსო. მერე ერთხელაც უხმოდ, უსიტყოდ, არაფრისმთქმელად აიქნევს ხელს. „ბარათი მინდა ქალაქში წაიღო და პასუხი მომიტანო“, ეუბნება ზანგს და ჯიბეზე ითათუნებს ხელს. „მოახერხებ?“ პასუხს არც უსმენს. პერანგის ჯიბიდან ჭუჭყიანი ქაღალდის ნაგლეჯსა და ფანქრის დაკბილულ ნალევს იღებს, პარმაღზე გადაემხობა და წერს, ჩქარობს, ცოდვილობს ზანგი დედაბრის თვალწინ:

მისტერ ვატ კენედი ძვირფასო ბატონო ქთხოვ მიეცი
მამტანს ჩემი კუთნილი ჯილდოს ფული
მკვლელი ქრისმასისთვის გახვიე ქახალთში მიეცი მამტანს

მარად თქვენი

ხელს არ აწერს. მერე ერთხელაც აიტაცებს ქაღალდს, დააცქერდება, ზანგი დედაბერი უხმოდ ადევნებს თვალს. ბრაუნი ხარბად დაშტერებია ჭუჭყიან, უწყინარ ქაღალდს, ნაცოდვილარ, ნაჩქარევ ნაჯღაბნს, რომელშიაც მთელი თავისი სულის, მთელი სიცოცხლის მომწყვდევა მოახერხა წამით. ქაღალდს ისევ პარმაღზე ატყეპებს და წერს — ***ხელმოწერილი არ არი მარა რა უჭირს იცი ვინც*** — მერე ბარათს კეცავს, ზანგს უწვდის. „შერიფს მიუტანე. სხვას არავის მისცე. იპოვი?“

„თუ მანამდე შერიფმა არ იპოვა, კი“, ამბობს დედაბერი. „მიეცი, ნუ გეშინია. იპოვის თუ იმას მიწამ არ უყო პირი. დოლარი გამოართვი და დროზე გაადგი ფეხი, ბიჭო“.

ზანგი უკვე დაძრულა ადგილიდან. ამ სიტყვების გაგონებაზე კვლავ ჩერდება. დგას, ხმას არ იღებს, არაფერს და არავის უცქერს. დედაბერი პარმაღზე ჩამომჯდარა, ჩუბუხს ეწევა და ზემოდან

დასცქერის თეთრკანიანი კაცის უძლურ, ცხოველურ სახეს: ლამაზს, გულმისასვლელს, ოღონდ ახლა ფიზიკურ დაღლილობაზე უარესი დაღლილობისგან, კუთხეში მიმწყვდეული მელიის ნიღბად გადაქცეულს. „მეგონა, გეჩქარებოდა“, ამბობს ქალი.

„ჰო“, პასუხობს ბრაუნი. ჯიბიდან ფულს იღებს. „აჰა, გამომართვი და ერთ საათში თუ მომიტან პასუხს, ხუთ ამდენს მოგცემ“.

„გასწი, ზანგო“, ამბობს დედაბერი. „ამდენი დრო არ არის. პასუხი აქ მოგიტანოს?“

ბრაუნი კიდევ ცოტა ხანს უსიტყვოდ შესცქერის ქალს. აღარც წელანდელი სიფრთხილე შერჩენია და აღარც სირცხვილი. „არა. აქ არა. ქვევით, აღმართის ბოლოში მომიტანოს. სანამ არ დაგიძახო, ლიანდაგს გამოჰყევი, ბიჭო. იცოდე, თვალს არ მოგაშორებ. არ დაგავიწყდეს. გაიგე?“

„დარდი ნუ გაქვს“, ამბობს ქალი. „თუ ყველაფერი კარგად იქნა, მივა, მიიტანს და პასუხსაც წამოიღებს. გასწი-მეთქი, ბიჭო“.

ზანგიც მიდის. მაგრამ ნახევარი მილის გავლასაც ვერ ასწრებს, და ისევ გაჩერება უწევს. ამჯერად სხვა თეთრკანიანი კაცი აჩერებს, ჯორი მოჰყავს აღვირით.

„სად ნახე?“ ეკითხება ბაირონი. „სად?“

„სადა და ჩვენ სახლთან, ეს წუთია“. თეთრკანიანი გზას აგრძელებს, ჯორიც ისევ აღვირით მიჰყვეს. ზანგი თვალს აყოლებს. ბარათი არ უჩვენებია, რადგან არც თეთრკანიანს უთხოვია, მაჩვენეო. იქნებ, იმიტომ არა სთხოვა, არც იცოდა ბარათის არსებობა; ეტყობა, ზანგი ამაზე იტეხს თავს, ღრმად ჩაფიქრებულა და სახეზედაც ატყვია დაძაბული, იდუმალი ფიქრის კვალი. მერე სახე უცებ უნათდება. ყვირის. თეთრკანიანი ჩერდება, მისკენ ტრიალდება. „იქ ვეღარ ნახავ“, ეძახის ზანგი, „მითხრა, აღმართის ბოლოში დაგელოდებიო“.

„დიდი მადლობა“, პასუხობს თეთრკანიანი. ზანგი ისევ აგრძელებს გზას.

ბრაუნი რკინიგზასთან დაბრუნდა. აღარ მირბოდა. მიდიოდა და თავისთვის ლაპარაკობდა: ვერ მოახერხებს. ვერ მოაბამს თავს. ვერც იპოვის, ვერც გამოართმევს და ვერც მოიტანსო. ფიქრშიც არ ახსენებდა და არ წარმოთქვამდა სახელებს. ყველა და ყველაფერი ახლა თითქოს ჭადრაკის ფიგურებად ესახებოდა — ზანგიც, შერიფიც, ფულიც, ყველაფერი — და ამ ფიგურებს, მოულოდნელად და უმიზეზოდ, მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილის კარნახით უცვლიდა

ადგილს ვიღაც უხილავი და უცნობი მოწინააღმდეგე, თან მის გასაკეთებელ სვლებსაც წინდაწინ გამოიცნობდა ხოლმე და ახალ-ახალ, თვითნებურ წესებსაც ადგენდა, ოღონდ თავისთვის კი არა, მხოლოდ მისთვის, მხოლოდ ბრაუნისათვის. როცა ლამის ბოლომდე აათავა აღმართი, რკინიგზის მინაყრილიდან გადაუხვია და მეჩხერ ტყეში შევიდა, უკვე სასოწარკვეთილების ზღვარზე იყო მისული. აღარ ჩქარობდა, მხოლოდ ისღა ახსოვდა, ლიანდაგს ძალიან არ უნდა დავშორდეო, თითქოს ამქვეყნად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მის ცხოვრებაში მაინც, სხვას ყველაფერს დაჰკარგვოდა აზრი. ადგილი ამოირჩია და ჩაიმუხლა: რკინიგზიდან ვერავინ შეამჩნევდა, თვითონ კი აქედან ყველაფერს კარგად ხედავდა.

— ხომ ვიცი, მაინც ვერ მოაბამს თავსო, ფიქრობს. არც ველოდები. რომც დავინახო, როგორ ბრუნდება ფულიანად, თვალებს არ დავუჯერებ. მეცოდინება, ჩემთვის არ მოაქვს, შეცდომაა-მეთქი. ვეტყვი კიდეც **წადი შვილოსან. შენ ხომ მე არ მეძებ. ლუკას ბარჩს არ ეძებ. არა, ბატონო, ლუკას ბარჩს ეგ ფული არ ეკუთვნის, არ იმსახურებს ჯილდოს. სამაგისო ნამდვილად არაფერი გაუკეთებია-მეთქი** ჩაცუცქულა, არც ინძრევა, დაქანცული სახე დაუმალავს და უცებ სიცილს იწყებს, იცინის, იცინის, ვერ ჩერდება. „დიახ, ჩემო ბატონო. ლუკას ბარჩს სამართლიანობის მეტი არაფერი სდომებია. მარტო სამართალს დაეძებდა. ვითომ მე არ მეთქვას იმ ნაბიჭვრებისათვის მკვლელის ვინაობა, ვითომ მე არ მესწავლებინოს სად უნდა ეძებნათ, იმათ კიდევ თითი თითზე არ დააკარეს, ყურიც არ შეიბერტყეს: აბა რა, მაშინ ხომ ლუკას ბარჩისთვის უნდა მიეცათ ფული. ოხ, მე მაგათი სამართალი...“ მერე უკვე ხმამაღლა ამბობს, ჩახლეჩილი, ცრემლგარეული ხმით: „სამართალი. ჩემი უფლებები. სხვა არაფერი. ის ნაბიჭვრები კიდევ, თავიანთი თუნუქის ვარსკვლავებით... არა, ფიციც რომ დადეს საჯაროდ — ამერიკის მოქალაქეებზე ზრუნვაში ამოგვხდება სულიო!“ ხმაჩახლეჩილი ლაპარაკობს, ლამის ტირის ბრაზისგან, სასოწარკვეთილებისგან, დაღლილობისგან: „ნაღდად ბოლშევიკად გაქცევენ კაცს, ძაღლიშვილი ვიყო“. ამიტომაც, ვიდრე ბაირონი თავს არ წაადგება და — ფეხზე ადექიო — არ ეტყვის, ჩამიჩუმიც არ ესმის არსაიდან.

ყველაფერი უცებ მთავრდება. ასე ვარაუდობდა ბაირონიც. ვარაუდობდა, მაგრამ ყოყმანი მაინც არ დაუწყია. სანამ დაინახავდა, სანამ მობუზულსა და გასაცოდავებულ ბრაუნს დაადგებოდა თავზე, უხმაუროდ მიიპარებოდა ტყე-ტყე — შენ ჩემზე ზორბა ხარო, ფიქრობდა, — მაგრამ, არ დავეძებ. ჩემთან შედარებით სხვა ბევრი უპირატესობაც გაგაჩნია, ოღონდ, მაგასაც არა უშავს. შენ ცხრა

თვეში ორჯერ დაუნანებლად მოიშორე ის, რაც მე ოცდათხუთმეტი წელიწადია არ მღირსებია. ახლა, ვიცი, ძვალსა და რბილსაც გამიერთიანებ, მაგრამ, არა უშავს, მაგასაც არ დავეძებო.

ყველაფერი უცებ მთავრდება. ბაირონის ხმით უეცრად გამოფხიზლებული ბრაუნი ახერხებს საკუთარი გაოცებითაც იხეიროს. მართლაც, რა დააჯერებდა, რა აფიქრებინებდა, თავის მტერს, გინდაც უფრო სუსტს, გინდაც უფრო უღონოს, კაცი მჯდომარეს თუ დაეცემოდა თავს, თანაც ზურგიდან თუ მიეპარებოდა და წამოდგომას დააცდიდა. თვითონ, რა თქმა უნდა, მსგავსიც არაფერი მოუვიდოდა აზრად. ამიტომაც, ბაირონის მხრიდან ასეთი ბედნიერი შემთხვევის უგულებელყოფა შეურაცხყოფაზე მეტად აცოფებს; ეს ჭირიანიც მე მიგდებს მასხრადო — ლამის გულზე გასკდეს ბრაზისგან და კიდევ უფრო მეტი გაშმაგებითა და გაცილებით მეტი სისასტიკით იბრძვის, ვიდრე მაშინ იბრძოლებდა, ბაირონი გაუფრთხილებლად რომ დახტომოდა ზურგზე: ნაშიმშილარი, კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის ბრმა და უსასოო სიმამაცით გადადის შეტევაზე.

ორიოდე წუთში მოთავდა საქმე. ბაირონი უკვე წყნარად იწვა მილეწ-მოლეწილ და გადათელილ ბუჩქნარში, სახეზე ნელ-ნელა სდიოდა სისხლი და ესმოდა, თანდათანობით როგორ სუსტდებოდა, თანდათანობით როგორ გადადიოდა სიჩუმეში ლაწალუწის ხმა. მერე სრულიად მარტო რჩება. მაინცდამაინც არაფერი სტკივა, არაფერი აწუხებს, ყველაფერს კი ის სჯობია, აღარსად რომ აღარ მიეჩქარება, ცეცხლი აღარ უკიდია, აღარც გასაკეთებელი დარჩენია და აღარც წასასვლელი. წევს თავისთვის, გასისხლიანებული, დამშვიდებული, და იცის — კიდევ ცოტაც რომ შეიცადოს, ცოტაც რომ დააგვიანოს სამყაროსა და დროში ხელახლა დაბრუნება, არც ამით დაშავდება რამე.

აღარ ადარდებს, საით გაქცეულა ბრაუნი. ბრაუნზე ფიქრსაც გასვლია ყავლი. მისი გონება კვლავ უმოძრაო ფიგურებს დაუპყრია, ბავშვობისდროინდელი დამტვრეული და მობეზრებული სათამაშოებივით, მტვრით რომ იფარებიან მივიწყებულ საკუჭნაოში — ბრაუნი. ლინა გროუვი. ჰაითაუერი. ბაირონ ბანჩი — ყველა პაწაწინა, უსულო საგანს დამსგავსებია, რომლებითაც ბავშვობაში თავს იქცევდა ხოლმე, მერე კი დაამტვრია და დავიწყებას მისცა. ასე წევს და მოულოდნელად, ნახევარი მილის მოშორებით, რკინიგზის გადასასვლელიდან, მატარებლის სასტვენის ხმა ესმის.

ეს ხმა აფხიზლებს; ეს სამყაროსა და დროის ხმაა. ნელ-ნელა, გაუბედავად წამოჯდება. — კიდევ კარგი, მოტეხვით მაინც არაფერი მოვიტეხეო, ფიქრობს. — არ მოვიტეხე კი არა, არ მომტეხაო. უკვე

დამდგარა დრო: დროც დაბრუნებულა და მასთან ერთად მანძილიცა და საძრაობაც. „ჰო. უნდა დავიძრა. უნდა წამოვდგე და რამე ახალი ვიპოვო ცხვირის ჩასაყოფი“. მატარებელი ახლოვდება. თითქოს აღმართის მოახლოვება იგრძნოო, ორთქლმავალიც უფრო მძიმე-მძიმედ, გაჭირვებით აქოშინდა; ცოტაც, და უკვე ბოლიც მოჩანს. ბაირონი ჯიბეში ცხვირსახოცს დაეძებს. ვერ პოულობს, პერანგს ახევს კალთას და ფრთხილად ის'ვამს სახეზე, თან აღმართს შეჭიდებული ლოკომოტივის მოკლე-მოკლე, ფეთქებად ხმებს აყურადებს. ტყისპირას გამოდის, აქედან ლიანადგი კარგად მოჩანს. ორთქლმავალიც გამოჩენილა, ლამის გასწორებია კიდეც, შავი ბოლის გამოზომილად, მძიმე-მძიმედ გამოსროლილ ბოლქვებში გახვეული. თითქოს წინ არც მოიწევს, თითქოს საზარლად გაქვავებულა ერთ ადგილას. არადა, მაინც მოძრაობს, მაინც მოცოცავს შიშისმომგვრელად და ბოლოს, თხემზეც ექცევა გორაკს. ბაირონი ტყისპირას, ბუჩქნარში დგას და სოფლელი ბიჭის აღფრთოვანებით, გაოცებით (და, იქნებ სევდითაც) შესცქერის, ხედავს, როგორ უახლოვდება, როგორ ჩაუვლის ტაატით, ზოზინით, ხვნეშა-ხვნეშით. ორთქლმავალი უკვე გასცდა; მისი თვალები ახლა ვაგონებს მიაცილებენ, ახლა ისინი მოუყვებიან რიგრიგობით აღმართს, და უცებ, თითქოს ისევ ჯადოქრობის წყალობით, ამ საღამოს მეორედ გამოჩნდება გაქცეული კაცი.

ახლაც კი ვერ ხვდება, რა უდევს გულში ბრაუნს. ისე შორს შეტოპა სიმშვიდესა და სიმარტოვეში, ბრაუნის გეგმებზე თავის სატეხად აღარც სცხელა. უბრალოდ, დგას და უყურებს როგორ მირბის მატარებლისკენ წელში მოხრილი, დამფრთხალი, მერე, ერთ-ერთი ვაგონის უკანა კარებს ებღაუჭება და, თითქოს ვაკუუმში შესრუტული, წამსვე ეფარება თვალს. მატარებელი თანდათანობით იკრებს სიჩქარეს; ბაირონი ბრაუნის შთანმთქმელი ვაგონის მოახლოებას უცდის; ისიც ახლოვდება, ჩაივლის; ვაგონსა და ვაგონს შორის, უკანა კარებს ჩაფრენილი, ბრაუნი დგას, სახე წაგრძელებია და ბუჩქებს ათვალიერებს. ერთდროულად დაინახავენ ერთმანეთს: ორი სახე — ერთის თვინიერი, შეუხედავი, დასისხლიანებული, მეორისა კი — ქანცგაწყვეტილი, დამფრთხალი, სასოწარკვეთილი და მატარებლის დგანდგარით ჩახშული ყვირილით დამახინჯებული, საპირისპირო ორბიტებზე მოძრავი მოჩვენებებივითა თუ ლანდებივით ჩაუქროლებს ერთმანეთს. ბაირონი ჯერ არაფერს ფიქრობს. „ღმერთო დიდებულო ცათა შინა“, ამბობს მერე ბავშვური, აღტაცებული გაოცებით. „აი, ამან უნდა თქვას მატარებელზე შეხტომა ვიციო. ეტყობა, რომ ნავარჯიშევია.“ თუმცა, ფიქრით არაფერსაც არ ფიქრობს. თითქოს გამჭვარტლული ვაგონების მოძრავი კედელი

ჯებირია, რომლის იქითაც სამყარო, დრო, დაუჯერებელი იმედები და უდაო სინამდვილე ელოდება, მაგრამ, ცოტა ხანს, ჯერ კიდევ აცლიან სიმშვიდით თრობას. ასეა თუ ისე, როცა უკანასკნელი ვაგონიც ჩაივლის, როცა ისიც ჩაიქროლებს, სამყაროც მთელი ძალით დაატყდება თავს, ნიაღვარივით, მოქცევის მძლავრი ზვირთივით მოასკდება.

თან, ისეთი ძალა და სისწრაფე შეუძენია, დროისა და მანძილის მიჯნებსაც უკვალოდ შლის; ამიტომაც, ბაირონსაც უჭირს უკან დასაბრუნებელი ბილიკის პოვნა, კარგა ხანს ჯორიც ისევ აღვირით დაჰყავს, ვიდრე, როდის-როდის, ზედ შეჯდომას მოიფიქრებდეს. თითქოს დიდი ხნის წინვე გადაუსწრო საკუთარ თავს და ახლა ქოხთან უცდის, ელოდება, უიმისოდ არ შედის შიგ. ***მერე გაჭირდები იქ და...*** ისევ, ხელმეორედ ცდილობს თავიდან: ***მერე იქ გაჭირდები და...*** მაგრამ, მეტს ვეღარ აგრძელებს. უკვე გზაზეც გამოსულა, ქალაქიდან შინისკენ მიმავალი ფორანი უახლოვდება. ასე, ექვსი საათია. მაინც არ იტეხს იხტიბარს. თავისას აგრძელებს. ***ეტყობა, აქ გავიჭედე. მაგრამ არა უშავს: კარს რომ გავალებ, შევალ და იქ გაჭირდები. მერე მე... მერე შევხედავ. შევხედავ. ჰო. შევხედავ*** ხმა ერთხელაც იმეორებს:

„... ორომტრიალი-მეთქი“.

„რაა?“ ფიქრიდან ერკვევა ბაირონიც. ფორანი გასწორებია და შეჩერებულა. მისი ჯორიც დამდგარა. მეფორნე ისევ უწყებს ლაპარაკს, მოღლილი, უკმაყოფილო ხმა აქვს:

„ჩემი ბედი რა ვთქვი! მაინცდამაინც ჩემი წამოსვლისას... არადა, ისედაც უკვე მაგვიანდებოდა“.

„ორომტრიალიო?“ ამბობს ბაირონი. „რა ორომტრიალი?“

მეფორნე ყურადღებით მისჩერებია. „კაცმა რომ შეგხედოთ, თქვენ თვითონაც კაი ომგადახდილსა ჰგავხართ“.

„წავიქეცი“, ამბობს ბაირონი. „რაო მაინც, რა მოხდა ქალაქში?“

„ვიფიქრე, იქნება არ გაუგია-მეთქი. აი, ამ ერთი საათის წინანდელი. ის ზანგი, ქრისთმასი. გაასაღეს“.

- XIX -

ორშაბათ საღამოს, ვახშმად დამსხდარ ჯეფერსონელებს იმდენად ის კი არ აოცებდათ, ქრისთმასმა გაქცევა რანაირად მოახერხაო, ცდილობდნენ და ვერაფრით აეხსნათ, უკვე გაქცეულსა და გ'თავისუფ-

ლებულს, რად აერჩია ასეთი უცნაური თავშესაფარი — თვითონაც ხომ მშვენივრად უნდა სცოდნოდა, აუცილებლად რომ მიაგნებდნენ, აუცილებლად იპოვნიდნენ იქ და მართლაც, როცა, ბოლოს და ბოლოს, ასედაც მოხდა, რატომ არც დანებებოდა და არც წინააღმდეგობა გაეწია მდევართათვის. რაც მეტს ფიქრობდნენ, მით უფრო უმტკიცდებოდათ რწმენა, ეტყობა, წინდაწინვე მოიფიქრა, წინდაწინვე აწონ-დაწონა, რანაირად მოეკვლევინებინა მდევრებისთვის თავიო.

ათასნაირად ასაბუთებდნენ, ათასნაირ კუდს აბამდნენ, რაღა მაინცდამაინც ჰაითაუერის სახლისკენ გაიქცა ბოლოსო. — ფერი ფერსაო, ამბობდნენ უფრო ქარაფშუტა, უფრო არხეინი ჯეფერსონელები და მღვდლადყოფილის შესახებ შეთხზულ ძველისძველ ზღაპრებსაც იხსენებდნენ. ზოგს, ყველაფერი წმინდა წყლის შემთხვევითობად მიაჩნდა; სხვები კი ამტკიცებდნენ, პირიქით, დიდი გამჭრიახობა გამოამჟღავნაო: ვიღაცას რომ არ მოეკრა თვალი, როგორ გადაირბინა უკანა ეზო და სამზარეულოში როგორ შევარდა, კაციშვილს არ მოუვიდოდა აზრად მღვდელთან იმისი ძებნაო.

აი, გევინ სტივენსს კი სრულიად განსხვავებული თეორია ჰქონდა. სტივენსი ოლქის პროკურორია, ჰარვარდის კურსდამთავრებული, „ფი ბეტა კაპას“ წევრი: მაღალ-მაღალი, მოღვენთილი კაცია, ერთთავად სიმინდისტარიან ჩიბუხს აბოლებს, ჭაღარა, აფოფრილი ქოჩორი აქვს და მუდამდღე ფართხუნა, გაუუთავებელი, მუქი რუხი ფერის ტანისამოსით დაიარება. იმათი გვარი ერთ-ერთი უძველესია ჯეფერსონში. სტივენსის წინაპრებს თავის დროზე მონებიც ჰყოლიათ, ბაბუამისი კი პირადად იცნობდა (და, სხვებისა არ იყოს, ჭირივითაც სძულდა, ის კი არა, საჯაროდაც მიულოცა პოლკოვნიკ სარტორისს იმათი დახოცვა) მის ბარდენის ბაბუასა და ძმას. სოფლელებთანაც, ამომრჩევლებთანაც და მსაჯულებთანაც იოლად პოულობს საერთო ენას; ხშირად, ზაფხულობით, მთელი საღამო ჩაცუცქული ზის ხოლმე გლეხებს შორის სოფლის დუქნის პარმაღზე და იმათსავე კილოზე, საათობით ესაუბრება აქეთურ-იქეთურზე.

ორშაბათ საღამოს, სამხრეთისკენ მიმავალ ცხრა საათიან მატარებელს მეზობელი შტატის უნივერსიტეტის პროფესორიც ჩამოჰყვა, სტივენსის ჰარვარდელი თანაკურსელი: უნდოდა შვებულების რამდენიმე დღე მეგობართან გაეტარებინა ჯეფერსონში. მატარებლიდან გადმოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა სტივენსი. თავიდან ეჭვი არ შეჰპარვია, ჩემს დასახვედრად გამოსულაო, თუმცა, მერე შეამჩნია, მისი მეგობარი ორ უცნაურ მოხუცს აცილებდა და სხვა, თითქოს აღარაფერი აღარც ახსოვდა. თვითონაც უფრო ყურადღებით დააკვირდა მოხუცებს, პატარა,

წვირიან, წვერცანცარა, რაღაცნაირად არაბუნებრივად გარინდულ ბერიკაცს და ჯმუხ, სახეჩაცომებულ ქალს, ეტყობა, ბერიკაცის ცოლს, რომელსაც ქუდზე გასვრილი ბუმბული უქანქარებდა და მოდიდან გასულ, მოფლაშულ, სამეფო მენამული ფერის გახუნებულ კაბაში გამოწყობილიყო. ცოტა ხანს შესცქეროდა და ხედავდა, რაღაცას რომ უხსნიდა, რაღაცას ჩასჩიჩინებდა სტივენსი ქალს, მერე კი, როგორც პატარა ბავშვს, ლამის ძალისძალათი ჩასჩარა ხელში მატარებლის ბილეთი. ბოლოს, შეუმჩნევლად თვითონაც მიუახლოვდა მეგობარს და როცა სადგურის მორიგეს მოხუცი ცოლ-ქმარი უკვე ტამბურში აჰყავდა, სტივენსის უკანასკნელ სიტყვებსაც მოჰკრა ყური: „დიახ, დიახ“, ამშვიდებდა თუ ანუგეშებდა ქალს; „ხვალ დილითვე მატარებელში იქნება. მე თვითონ მივხედავ ამ საქმეს. თქვენ მხოლოდ დაკრძალვის, სასაფლაოს ამბავი მოაგვარეთ. როგორც კი შინ დაბრუნდებით, ბაბუა დააწვინეთ. დანარჩენზე მე ვიზრუნებ, პირობას გაძლევთ, ბიჭი ხვალ დილით მატარებელში იქნება“.

მატარებელი დაიძრა, სტივენსიც შემოტრიალდა და პროფესორი დაინახა. ამბის მოყოლა მანქანაშივე დაიწყო და უკვე შინ, ვერანდაზეღა დაასრულა, საბოლოო დასკვნაც მაშინ გამოიტანა. „მე მგონი ვხვდები, რატომაც მოხდა ასე, რატომაც შეაფარა თავი ჰაითაუერთან. ეტყობა, ბებიის გამო. სანამ სასამართლოში ხელახლა წამოიყვანდნენ, სწორედ ბებია იყო, ვისაც უკანასკნელად ელაპარაკა საკანში; ბებიისა და ბაბუის გამო — იმ პატარა, შეშლილი ბერიკაციისა, ლინჩის წესით რომ უპირებდა გასამართლებას და მოთსთაუნიდანაც მხოლოდ ამ მიზნით ჩამოუსლიყო. არა მგონია, ქალს მართლა რამის იმედი ჰქონოდა. უბრალოდ, უნდოდა ქრისთმასი „წესიერად“ მომკვდარიყო, „წესიერადო“ — სწორედ ასე თქვა თვითონ. წესითა და რიგით ჩამოელრჩო ძალას, პრინციპს, ოღონდ კი ბრმა შემთხვევას არ დაეწვა, არ აეკუწა, მიწაზე არ ეთრია მკვდარი. ჩამოსვლით კი, ალბათ, ქმრის სათვალთვალოდ ჩამოვიდა, რათა სწორედ ის არ ქცეულიყო ხალხის მოთმინების ფიალის ამავსებელ ბოლო წვეთად, ამიტომაც არ იშორებდა გვერდიდან, ამიტომ არ ტოვებდა უმეთვალყუროდ. რა თქმა უნდა, წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, მართლა ბებია რომ იყო ქრისთმასისა. უბრალოდ, იმედი გადასწურვოდა. თან, ისიც არ იცოდა, რა გზით, რანაირად შეიძლებოდა ხელახლა გაღვიძებოდა იმედის უნარი. მართლაც, ოცდაათი წლის უმოქმედობის მერე, ეტყობა ოცდაოთხი საათი ვერ ეყოფოდა იმედის მანქანას თავიდან ასამოქმედებლად და ასამოძრავებლად.

ოღონდ, მას მერე, რაც ქმრის სიგიჟისა და რწმენის ტალღამ ისიც აიტაცა და ისიც დაძრა ადგილიდან, ვიდრე რამის გააზრებასა და

აწონ-დაწონას მოასწრებდა, თავისდა უნებურად თვითონაც საქმეში ჩათრეული აღმოჩნდა. ასე ამოყვეს თავი ჯეფერსონში. კვირას, უთენია ჩამოვიდნენ, დილის სამ საათზე. ქრისთმასის ნახვა თავიდან არც უცდია. ალბათ, ქმრის შიში ჰქონდა, გამუდმებით ქმარს უთვალთვალებდა. თუმცა, სხვასაც ვფიქრობ. მე მგონი, მაშინ ჯერ იმედს არ გაეღვიძა, არც გაუღვიძია მანამდე, ვიდრე დღეს დილით იმ ბავშვის დაბადება არ იხილა საკუთარი თვალით. თანაც ბიჭისა. ბავშვის დედას ადრე არ იცნობდა. მამის ვინაობა საერთოდ არც იცოდა, საკუთარი შვილიშვილიც სწორედ იმ ბავშვის ხელა ახსოვდა და, რაღა გასაკვირია, ჩვილის პირველი წამოტირებისთანავე განვლილი ოცდაათი წელიწადი ერთიანად თუ წაიშალა მისთვის, უკვალოდ, ვითომ არც არსებულიყოს.

ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. ძალიან ბევრი სინამდვილე დაატყდა უეცრად თავს, რისი უარყოფაც მის ხელებსა და თვალებს აღარ შეეძლოთ, ძალიან ბევრი რამ უნდა ერწმუნა უსაბუთოდ და დაუმტკიცებლად, ხელითა თუ თვალით შეუმოწმებლად; ბევრი რამ იყო გაუგებარი და აუხსნელი, რაც დაუყოვნებლივ, ბრმად და დაუფიქრებლად უნდა ეღიარებინათ ხელებსა და თვალებს. ოცდაათწლიანი სიმარტოვის შემდეგ, უცხო ხალხით გაჭედილ, აყაყანებულ ოთახში მოხვედრილს ჰგავდა და ამიტომაც, სასოწარკვეთილი დაეძებდა საღი აზრის შენარჩუნების თუნდაც რაიმე მცირე სახსარს, ნებისმიერ ლოგიკურ სამოქმედო გზას, რასაც მისი ძალღონე და უნარი გასწვდებოდა. ვიდრე ბავშვი დაიბადებოდა და, ცოტა ხნით, ასე ვთქვათ, ისევ მოახერხებდა საკუთარ თავთან განმარტოებას, მექანიკურ, მოსამართ თოჯინას ჰგავდა, ბაირონიც თითქოს ურიკით დაატარებდა კარდაკარ და ნიშანს რომ მისცემდა ხოლმე, ისიც მხოლოდ მაშინ იღებდა ხმას, როგორც, მაგალითად, წუხელ, ჰაითაუერთან სტუმრობისას.

ქალი კი ჯერაც ბნელში გზის გაგნებას ცდილობდა, გესმის, ალბათ, რისი თქმაც მინდა? ჯერაც რაღაც ისეთს დაეძებდა, რასაც ოცდაათწლიანი უმოქმედობით მოდუნებული გონება დაიჯერებდა, სინამდვილედ, ჭეშმარიტებად აღიარებდა. და, მე მგონი, ეს რაღაც სწორედ იქ იპოვა, ჰაითაუერთან: ისეთი კაცი აღმოაჩინა, ვისაც სათქმელსაც გულწრფელად გაანდობდა და ვინც მოუსმენდა კიდეც. ადვილი შესაძლებელია, გუშინდლამდე არც არასოდეს, არავისთვის მოუყოლია თავისი ამბავი. ის კი არა, შეიძლება თვითონაც მხოლოდ გუშინ გიაზრა ყველაფერი მთელი სიგრძე-სიგანით, გუშინ აღიქვა, ჰაითაუერთან ერთად. ამიტომ, მაინცდამაინც აღარ მიკვირს ცოტა ხნით მხოლოდ ბავშვები კი არა, მათი მშობლებიც თუ აერია ერთმანეთში, არ მიკვირს, რადგან იმ ქოხში განვლილი ოცდაათი წელიწადი უკვე აღარ არსებობდა —

ლინას ბავშვი, იმ ბავშვის მამა, ვისი ვინაობაც კი არ იცოდა, საკუთარი დაკარგული შვილიშვილი და სამარადისოდ უცნობად დარჩენილი მამამისიც, თითქოს ყველა გაერთიანდა. ჰოდა, როცა, ბოლოს და ბოლოს, იმედმაც გაიღვიძა და მკვდარი წერტილიდან დაიძრა, იმანაც, მისი ყაიდის ნებისმიერი ადამიანის დარად, ლოცვის ნებაყოფლობითი მონების, ლოცვის ნაფიცი ყმებისადმი ამაღლებული და უსაზღვრო რწმენით შეპყრობილმა — სწორედ მღვდელში, სწორედ ჰაითაუერში დაინახა მხსნელი და გადამრჩენელი.

ქრისთმასსაც ამას ეუბნებოდა, დილით, ციხეში, მას მერე, რაც ბერიკაცმა, როგორც იქნა, ხელსაყრელი დრო შეარჩია, გამოეპარა და თვითონაც მის კვალს გამოჰყვა. ბერიკაცს იოლად მიაგნო ქალაქში, შუა ქუჩაში იდგა ახლაც და ჭკუიდან გადასული, ხმაჩახლეჩილი, ლინჩის სასამართლოს მქადაგებელი, გაიძახოდა — ამდენხანს იმიტომ ვმწყემსე და იმიტომ ველოლიავე ეშმაკის ნაშიერს, დღევანდელ დღეს რომ მოვსწრებოდიო. თუმცა, არ ვიცი, შეიძლება ქმარი არც არაფერ შუაში იყო და ქოხიდანაც პირდაპირ ციხეს მიაშურა, პირდაპირ ქრისთმასის სანახავად წავიდა. ასეა თუ ისე, როცა დარწმუნდა, ბერიკაცის ნალაპარაკევი ხალხს უფრო ართობდა და არკი აქეზებდა, ქმარს თავი მიანება და მაშინვე შერიფს მიადგა. სადილის მერე შერიფი ახალი დაბრუნებული იყო შინიდან, ცოტა ხანს ვერც მიხვდა, რა უნდოდა, რას მოეყვანა ქალი. მთელი მისი ნაამბობი, ალბათ, შეშლილის ბოდვად მოეჩვენა და თვითონ ეს სასაცილო, უაზრო, დარბაისლურ საგარეო კაბაში გამოპრანჭული და ციხის შიგნიდან გატეხვის ჟინით შეპყრობილი დედაბერიც გიჟად ჩათვალა. მაგრამ, პატიმრის ნახვის ნება მაინც დართო, ოღონდ, თან თავისი თანაშემწეც გააყოლა. და აი, საკანში ქალმა ჰაითაუერი ახსენა, უთხრა, თუ გიშველის, მხოლოდ ის გიშველის, მით უმეტეს, თვითონაც აპირებს შენს გადარჩენასო.

მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვვარაუდობ. სინამდვილეში, კაციშვილი ველარ აღადგენს იქ მომხდარ ამბავს. ისიც არა მგონია, ვითომ თვითონვე სცოდნოდა, თვითონვე წინდაწინ მოეფიქრებინა, რას ეტყოდა პატიმარს, რადგან ყველაფერი მაშინ ითქვა და ჩაიწერა, როცა დედამისი გააჩინა, იმ უხსოვარ დროსვე დაილექა მახსოვრობაში სამუდამოდ და სამარადისოდ, თუმცა, მაშინდელი სიტყვები უკვე აღარც ახსოვდა. შეიძლება, პატიმარიც ამიტომ ენდო, ამიტომ დაუჯერა უყოყმანოდ: საჭირო სიტყვებს რომ არ დაეძებდა, თავს არ იწუხებდა, ირწმუნებდნენ მის ნათქვამს, ეჭვის თვალით შეხედავდნენ თუ საერთოდ არ მიაქცევდნენ ყურადღებას, სასაცილოდ არ ეყოფოდათ, მართლა

რომ არსებობდა სადღაც ვიღაც განდგომილი მღვდელი, ვინც საკუთარი სხეულით, საკუთარი არსებობითა თუ, რა ვიცი, კიდევ სხვა რა გზითა და რა საშუალებით, საიმედოდ დაიცავდა და დაიფარავდა არა მარტო პოლიციის ოფიცრებისაგან თუ ბრბოსგან, არამედ სამარადისოდ გამოუსწორებელი და უსაშველო წარსულისგანაც; ნებისმიერ დანაშაულთაგან, რომელთაც ჩამოეყალიბებინათ, გამოეწრთოთ და ბოლოს, გაჭირვებაში ჩავარდნილი, ჩარაზულ საკანში მიეტოვებინათ, იმ საკანში, რომლის ოთხივე კუთხიდანაც მოახლოვებული ჯალათის უტყვი ჩრდილი უთვალთვალებდა.

ჰოდა, იმანაც დაუჯერა, მიენდო. სწორედ ნდობამ შესძინა გამბედაობა კი არა, კიდევ ერთი, უკანასკნელი საშუალების ცდის, ატანის, გაძლების უდრტვინველად მოთმენის უნარი, მოედანზე შეგროვილი ხალხის ტალღა გაარღვევინა და გააქცია. მაგრამ, ამდენი სირბილით უკვე დაქანცული იყო, უთვალავი მდევარი ედგა კვალში. სხვები კი არა — საკუთარი ცხოვრების განვლილი წლები, საკუთარი, ჩადენილი თუ ჩაუდენელი დანაშაულებანი, — მოსდევდნენ, ფეხდაფეხ მოჰყვებოდნენ, იმის სუნთქვას, იმის გულის ძგერას აყოლებდნენ თავისას, გული კი — ერთი იყო მხოლოდ. ქალისთვის უცნობი ოცდაათი წელი კი არ გამოსდევნებოდა, არამედ ყველა იმ უწინდელ ოცდაათწლეულთა თანმიმდევრობაც, რამაც მის თეთრსა თუ შავ სისხლს, რომელიც გინდა იგულისხმე, საშვილიშვილო დამღა დაადო და, საბოლოოდ, შეინირა კიდეც. მაგრამ, როცა ადგილს მოსწყდა და გაიქცა, ცოტა ხანს მაინც ალბათ რწმენა მიარბენინებდა; ან, უფრო სწორად, იმედი. ოღონდ, სისხლი არა და არ წყნარდებოდა, არ სურდა გადარჩენა. არც ერთმა და არც მეორემ არ დართეს სხეულს გადარჩენის ნება. შავმა სისხლმა ჯერ ზანგურ ქოხთან მიიყვანა, თეთრმა კი საჩქაროდ გამოაგდო იქიდან; შავმა დამბაჩა შეამართინა, თეთრმა — გასროლა არ დააცალა. თეთრმა სისხლმავე უჩვენა მღვდლის სახლის გზაც, ბოლოჯერ, უკანასკნელად აჯანყებულმა ყველა საბუთისა და ნებისმიერი საღი აზრის წინააღმდეგ, ქიმერასთან, დაბეჭდილ წმინდა წერილში ამოკითხულ რაღაც ბრმა რწმენასთან შესაგებებლად გაიტყუა. მერე, ეჭვი არ მეპარება, ცოტა ხნით თეთრმა სისხლმაც უმტყუნა. შავ სისხლს აცალა საბოლოოდ, სულ ერთი წამით აღზევებულიყო და შავმა სისხლმაც სწორედ იმ კაცზე აღამართინა ხელი, ვინც იმედად და მშველელად ესახებოდა. სწორედ შავმა სისხლმა გაიტაცა ადამიანური სულგრძელობის, ადამიანური თანადგომის მიჯნის მიღმა და ისიც მიჰყვა, თავდავიწყებულსა და აღფრთოვანებულს, შავმა სისხლმა გამოაგნებინა გზა იმ ბნელი, შავი ჯუნგლიდან, სადაც სიცოცხლე გულის გაჩერებამდე წყდება და სადაც

სიკვდილი სურვილისა და ნატვრის აღსრულებას ნიშნავს. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ შავმა სისხლმაც კვლავ ულალატა, როგორც მუდამ, როგორც მთელი ცხოვრება ღალატობდა ხოლმე გარდატეხის ჟამს. მღვდელი არ მოუკლავს. გაუჩერებლივ, სირბილშივე ჩასცხო თავში დამბაჩის ტარი გამეტებით, სამზარეულოში შევარდა, მაგიდის უკან დაიმალა და ახლა უკვე ერთხელ და სამუდამოდ უარყო, ერთხელ და სამუდამოდ თქვა უარი შავ სისხლზე, რასაც მთელი ოცდაათი წლის მანძილზე უარყოფდა. გადაბრუნებული მაგიდის უკან მოიკუნტა და მორჩილად დააცხრილინა ტყვიებით თავი, არადა, ხელში გატენილი დამბაჩა ეჭირა".

იმხანად ჯეფერსონში ერთი ახალგაზრდა კაცი, პერსი გრიმიც ცხოვრობდა. ასე, ოცდახუთიოდე წლისა თუ იქნებოდა და უკვე შტატის ეროვნული გვარდიის კაპიტნობისათვის მიეღწია. ჯეფერსონში დაბადებულიყო და ზაფხულის შეკრებებს თუ არ ჩავთვლით, მთელი ცხოვრება ჯეფერსონშივე გაეტარებინა. ასაკის გამო ევროპულ ომში ვერ წასულიყო, თუმცა, მხოლოდ 1922 თუ 1923 წელსღა მიხვდა, ამ ამბავს ვერასოდეს რომ აპატიებდა მშობლებს. მამამისი კავეულით ვაჭრობდა ჯეფერსონში და შვილისა ვერაფერი გაეგო. უბრალოდ, ზარმაცად და უმაქნისად თვლიდა და არც იმედი ჰქონდა, ოდესმე კაცი თუ დადგებოდა მისგან, არადა, სინამდვილეში, ბიჭს საშინელი სატკივარი ულრღნიდა გულს — უსაშველოდ გვიან კი დავიბადე, მაგრამ რა იქნებოდა, ცოტაც დამეგვიანა და პირველი წყაროდან მაინც არ გამეგო მაშინდელი ამბები, როცა, წესით, სამართალი თუა სადმე, მეც კაცი უნდა ვყოფილიყავი და არა ბიჭიო. მერეც, როცა ისტერიამ თანდათანობით გადაიარა, როცა ამ ისტერიის ჟამს ყველაზე გულფიცხმა და ყველაზე ხმამაღლა მყვირალმა ხალხმაც და თვით მრავალტანჯვაგამოვლილმა და ვალმოხდილმა გმირებმაც კი, ცოტა არ იყოს, ალმაცერად, ეჭვის თვალით დაუწყეს ერთმანეთს ცქერა, ერთი კაცი არ გამოუჩნდა, ვისაც დარდს გაუზიარებდა, დაუფარავად გადაუშლიდა გულს. პირველი სერიოზული ჩხუბიც ყოფილ ჯარისკაცთან მოუხდა, რომელმაც საჯაროდ და გულწრფელად განაცხადა, ხელახლა რომ მომიწიოს იმავეს გაკეთება, უმალ გერმანელების მხარს დავიჭერ, უმალ ფრანგების წინააღმდეგ ვიბრძოლებო. გრიმი იმწამსვე პირში ეცა. — ამერიკის წინააღმდეგაცო? ჰკითხა.

— ამერიკისაც, თუკი მეტი ჭკუა არ ეყოფა და ისევ საფრანგეთს დაუწყებს მიხმარებასო, თქვა ჯარისკაცმაც. გრიმმა ულაპარაკოდ გაარტყა; ჯარისკაცზე ბევრად პატარა იყო, ჯერაც ლამის ბავშვი.

წინასწარვე ჩანდა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი; არც გრიმს შეჰპარვია ეჭვი. არადა, ჯარისკაცს მაინც მანამდე არ მოეშვა, ვიდრე იმან ირგვლივ მყოფთ ხვეწნა არ დაუწყო, თქვენი ჭირიმე, ეს ბიჭი როგორმე მომაშორეთო. ბრძოლის იარებსაც ისევე ამაყად დაატარებდა, როგორც მერე, მოგვიანებით, იმ სამხედრო ფორმას, რომლის ღირსებასაც ასეთი ბრმა გააფთრებით იცავდა.

ახალმა სამხედრო-სამოქალაქო კანონმა სწორედ სულზე მოუსწრო. მანამდე ბნელში, ჭაობში დიდხანს უგზო-უკვლოდ ნახეტიალებ კაცსა ჰგავდა. არამც თუ ვერსად ხედავდა გადამრჩენელ ბილიკს, თითქოს დარწმუნებულიც იყო ბილიკის არარსებობაში. და აი, უეცრად თვალწინ ნათელი და გარკვეული ცხოვრება გადაეშალა. ფუჭად დაკარგული წლები, როცა ვერც სკოლაში მოახერხა თავის გამოჩენა, როცა, მხოლოდ და მხოლოდ, ურჩი, უქნარა, ყველაფრისადმი გულგრილი კაცის სახელი დაიმსახურა, სამუდამოდ უკან დარჩა. უკვე შეეძლო თავიდან ბოლომდე გაედევნებინა თვალი საკუთარი, ცარიელი დერეფანივით პირდაპირი და მარტივი სიცოცხლისათვის, შეეძლო ერთხელ და სამუდამოდ, სამარადისოდ გათავისუფლებულიყო ფიქრისა და გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისაგან და ახალი ტვირთიც, მისივე თითბრის სამკერდე ნიშნებივით უწონო და მხედრული ბრწყინვალებით თვალისმომჭრელი, მსუბუქად, ამაყად ეტარებინა: ფიზიკური სიმამაცისა და ბრმა მორჩილების დიადი, იდუმლი რწმენა, რწმენა თეთრი რასის უპირატესობისა ყველა სხვა, დანარჩენ რასასთან შედარებით, თეთრ რასათა შორის ამერიკულის უზენაესობისა და ამერიკული სამხედრო ფორმის ბატონობისა მთელ კაცობრიობაზე — ამ რწმენის, ამ უპირატესობის საფასურად კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ შეეძლოთ მოეთხოვათ მისთვის — მისივე საკუთარი სიცოცხლე. ნებისმიერ ეროვნულ დღესასწაულზე, რომელსაც რაიმე მხედრული სურნელება დაჰკრავდა ხოლმე კაპიტნის მუნდირში გამოეწყობოდა და ქალაქში გამოდიოდა. მის შემხედვარეს, ყველას მაშინვე ის ძველი, პირველი ჩხუბი ახსენდებოდა ყოფილ ჯარისკაცთან, გრიმი კი, გაბრწყინებული, მოელვარე, სნაიპერის ნიშნითა (მსროლელი მართლაც უბადლო გახლდათ) და ზოლებიანი სამხრეებით დამშვენებული, სერიოზული, წელგამართული მიმოდიოდა სამოქალაქო პირთა შორის და სახეზეც სანახევროდ მხედრული და სანახევროდ ბავშვური სიამაყე დასთამაშებდა.

ამერიკული ლეგიონის წევრი არ ყოფილა, ოღონდ, ამაშიც მშობლებს უფრო მიუძღვოდათ ბრალი, ვიდრე თვითონ. თუმცა, იმ შაბათ საღამოს, როცა ქრისთმასი მოთსთაუნიდან ისევ უკან, ჯეფერსონში დააბრუნეს, მაინც დაუყოვნებლივ ადგილობრივი გარნიზონის მეთაურთან გამოცხადდა. მისი აზრი, მისი ნათქვამი, უაღრესად მარტივი და გასაგები გახლდათ. „ჩვენ ვალდებულნი ვართ წესრიგი დავიცვათ“, თქვა მან. „კანონს წინ ნუ აღვუდგებით. ნურც კანონს და ნურც ერს. არცერთ სამოქალაქო პირს არა აქვს უფლება ვინმეს სიკვდილი მიუსაჯოს. ჩვენ, ჯეფერსონელმა ჯარისკაცებმა უნდა მივხედოთ ყველაფერს“.

„განა ვინმე ფიქრობს სხვაგვარად?“ ჰკითხა ლეგიონის მეთაურმა. „რამე ლაპარაკს მოკარი ყური?“

„არ ვიცი. არავისთვის მომისმენია“. არც ტყუოდა. თითქოს იმდენად არ ადარდებდა, იმდენად არად მიაჩნდა, რას იტყოდნენ ან რას არ იტყოდნენ სამოქალაქო პირნი, ტყუილის თქმას ფიქრშიც ვერ გაივლებდა. „ეგ არცაა მთავარი. მთავარია ჩვენ, ჯარისკაცებმა, ვისაც სამხედრო ფორმა გვაცვია, თავიდანვე მტკიცედ განვაცხადოთ ჩვენი სათქმელი. მთავრობის აზრი გავაგებინოთ ხალხს. მაშინ სალაპარაკოც აღარაფერი ექნებათ“. მისი გეგმა უაღრესად მარტივი იყო. ის ლეგიონის გარნიზონიდან რაზმის ჩამოყალიბებას გულისხმობდა, რომელსაც, მისი წოდებიდან გამომდინარე, გრიმი უნდა ჩასდგომოდა სათავეში. „თუმცა, თუ ჩემი უფროსობა არ ისურვეს, მაგასაც არა უშავს. თუ უნდათ, მე უფროსის თანაშემწე ვიქნები, ან სერჟანტი, ან კაპრალი“. გულწრფელად ლაპარაკობდა; ამაო დიდება არ ამოძრავებდა. მეტისმეტად გულწრფელი გახლდათ, იმდენად გულწრფელი და საქმიანი, ლეგიონის მეთაურს პირზე შეაშრა კადნიერი უარი.

„მაინც არა მგონია, ამხელა ხმაურის ატეხვა ღირდეს. თანაც, გინდაც მართლა მოხდეს რამე, მაინც სამოქალაქო პირებივით მოგვიწევს ყველას მოქმედება. გარნიზონს საამისოდ ვერ გამოვიყენებ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ახლა ჯარისკაცებიც არა გვქვია. მოკლედ, უფლება რომ მქონდეს, მაინც ვერ დაგეთანხმებოდი“.

გრიმმა მშვიდად, უბოროტოდ შეავლო თვალი, მღილს რომ შეხედავენ, ისე, „არადა, ერთ დროს თქვენც სამხედრო ფორმა გეცვათ“, უთხრა გარნიზონის უფროსს, ცდილობდა მოთმინება არ დაეკარგა. „ალბათ, თქვენს ავტორიტეტს მაინც არ გამოიყენებთ ბოროტად და მათთან დალაპარაკებას არ დამიშლით, არა? როგორც კერძო პირებთან“.

„არა. მაგის დაშლის უფლება არცა მაქვს. ოღონდ, იცოდე, მხოლოდ როგორც კერძო პირებთან. ჩემი სახელიც არ უნდა ახსენო“.

მაშინ უკვე გრიმმაც ველარ შეიკავა თავი, — ეგ არც მიფიქრიაო, მიახალა, ზურგი შეაქცია და წამოვიდა. ეს შაბათს იყო, დაახლოებით ოთხ საათზე. მთელი დარჩენილი საღამო დუქნებსა და ოფისებში

სიარულს მოანდომა, სადაც ლეგიონის წევრები მუშაობდნენ, და შებინდებისას რიგიანი რაზმის შესადგენად საკმარისი ხალხიც მოაგროვა — თავისი ჭკუისა და თავის ტალღაზე მომართული. დაუცხრომლად, თავდაჭერილად, თუმცა კი, ჯიუტად მიიწევდა დასახული მიზნისაკენ; თითქოს წინასწარმეტყველის მიზიდულობის ძალა შეეძინა. ოღონდ ეგ იყო, ახალწვეულებიც, ყველანი, მეთაურის აზრს იზიარებდნენ: ლეგიონი ამ საქმეში ოფიციალურად არ უნდა გარეულიყო — ამიტომაც, რაიმე წინასწარი განზრახვის გარეშე, ჭეშმარიტ მიზანსაც თავისთავად მიაღწია: უკვე თავისუფლად შეეძლო მეთაურის მაგივრობა ეკისრა. რაზმს ზუსტად ვახშმობის წინ მოუყარა ერთად თავი, ჯგუფებად დაჰყო და ოფიცრები და შტაბიც დანიშნა; შედარებით ახალგაზრდები, ვისაც საფრანგეთში წასვლა ვერ მოესწროთ, ახლა იმუხტებოდნენ საბრძოლველად. რაზმს სიტყვით მიმართა, მოკლედ, ცივად: „... წესრიგი... სამართლიანობის ზეიმი... ხალხს დავუმტკიცოთ, შეერთებული შტატების სამხედრო ფორმა ტყუილად არა სცმიათო... და კიდევ ერთი“. ცოტა ხნით ფამილარობის უფლებაც მისცა თავს: პოლკის მეთაურმა, თითოეულ თავის ჯარისკაცს სახელით რომ იცნობს — „თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ბიჭებო. თქვენ როგორც იტყვით, ისე მოვიქცევი. ვიფიქრე, იქნებ ჯობდეს, ამ ამბის მოთავებამდე ფორმა მეცვას-მეთქი. ნახონ, ძია სემის მარტო სული რომ არ ტრიალებს აქ.“

„განა სული კი ტრიალებს?“ მაშინვე, დაუყოვნებლივ შეეხმიანა რომელიღაცა; ეტყობა, ისიც იმ თარგზე იყო გამოჭრილი, რაზეც ლეგიონის მეთაური, ვინც, სხვათა შორის, ამ თავყრილობას არ ესწრებოდა. „ეს საქმე ჯერ მთავრობის საწუხარად არ ქცეულა. ქენედიც არ მოგვიწონებს ალბათ. ჯეფერსონმა უნდა იტეხოს თავი და არა ვაშინგტონმა.“

„არ მოეწონება და უნდა მოვაწონოთ“, თქვა გრიმმა. „აბა, მაშ სხვა რა მიზანს ემსახურება თქვენი ლეგიონი, თუ არა ამერიკისა და ამერიკელების დაცვას?“

„არა“, ისევ შეეპასუხა რაზმელი. „მე მგონი, აჯობებს აღლუმს თუ არ გავმართავთ. უამისოდ გავაკეთოთ, რაც გვინდა. უკეთესად. სწორს არ ვამბობ, ბიჭებო?“

„კეთილი“, დაეთანხმა გრიმიც. „ისე ვიზამ, როგორც ამბობ. ოღონდ, დამბაჩები კი ყველას დაგვჭირდება. ერთ საათში ისევ აქ გამოცხადდით და იარაღის პატარა შემოწმება ჩავატაროთ“.

„მერედა ქენედი რას იტყვის დამბაჩებზე?“ იკითხა ვიღაცამ.

„ეგ საქმე მე მომანდეთ“, თქვა გრიმმა. „ოღონდ, თქვენ ზუსტად ერთ საათში გამოცხადდით შეიარაღებულები“. მერე რაზმი დაითხოვა.

ჩაწყნარებული მოედანი გადაიარა და შერიფის ოფისს მიაშურა. შერიფი შინაა — უთხრეს. „შინ?“ გაიმეორა გრიმმაც. „ახლა, ასეთ დროს? კი, მაგრამ შინ რა უნდა?“

„ჭამს ალბათ. ქენედისთანა ზორბა კაცს დღეში რამდენჯერმე სჭირდება ჭამა“.

„შინ“, ისევ გაიმეორა გრიმმა. სიბრაზე არ შესტყობია; ისეთივე ცივი და გულგრილი სახე ედო, რა სახითაც ცოტა ხნით ადრე ლეგიონის მეთაურს შესცქეროდა. „მაშ, ჭამს, ჰა?“ მერე ჩქარი ნაბიჯით გამობრუნდა ქუჩაში. ხელმეორედ გადაჭრა მშვიდი ქვეყნის მშვიდი ქალაქის დამშვიდებული, წყნარი, ვახშმად დამსხდარი ხალხისგან დაცლილი მოედანი და შერიფის სახლისკენ გაემართა. შერიფმა — არაო — თქვა მაშინვე.

„თხუთმეტმა თუ ოცმა შეიარაღებულმა კაცმა უნდა იბორიალოს მოედანზე? არა, გენაცვალე. ეგ არ გამოვა. მე მაგას ვერ დავუშვებ. არავითარ შემთხვევაში. მაცალეთ და თვითონ მოვუვლი ყველაფერს“.

გრიმი ცოტა ხანს კიდევ შესცქეროდა უხმოდ. მერე შეტრიალდა, ისევ ჩქარი ნაბიჯით გამობრუნდა. „კარგი, ბატონო“, თქვა სიარულში. „რაკი ეგრე გსურთ, არც მე ჩავერევი თქვენ საქმეში და ნურც თქვენ შემიშლით ხელს“. მისი ნათქვამი მუქარას არ ჰგავდა. უაღრესად უბოროტო იყო, უაღრესად გულწრფელი და თან გულგრილიც. სწრაფად აგრძელებდა გზას. შერიფი თვალს ადევნებდა; მერე დაუძახა. გრიმიც შეჩერდა, შემობრუნდა.

„შენი იარაღიც შინ დატოვე“, თქვა შერიფმა. „გესმის?“ გრიმს პასუხი არ გაუცია. ისევ გზა განაგრძო. ვიდრე არ გაუჩინარდა, შერიფიც მოღუშული აყოლებდა თვალს.

ვახშმის შემდეგ კი ისევ ქალაქში დაბრუნდა, არადა, რამე საგანგაშო, სახელდახელო, გადაუდებელი საქმე თუ არ მოითხოვდა, უკვე რამდენიმე წელი იყო საღამოობით შინიდან ფეხს არ დგამდა ხოლმე. გრიმს ხალხის ერთი პიკეტი ციხესთან დაუხვდა, მეორე — სასამართლოს შენობაში, მესამეს კი პატრულის მოვალეობა ეკისრა და მოედანსა და მოედნის მიმდებარე ქუჩებში მიდი-მოდიოდა. დანარჩენებს, როგორც შერიფს აუხსნეს — თადარიგში მყოფ რაზმელებს, — ბამბის კანტორაში მოეყარათ თავი, სადაც გრიმი მუშაობდა და სადაც ახლა შტაბი ჰქონდათ მოწყობილი. ბოლოს, ქუჩაში შემოვლაზე გამოსული გრიმიც დაინახა. — აქ მოდი, ბიჭოო, დაუძახა შორიდანვე. გრიმი შეჩერდა. ახლოს არ მისულა; ისევ თვითონ მიუახლოვდა და მსუქანი ხელი ბარძაყზე მოუთათუნა. „აკი გითხარი, შინ დატოვე-მეთქი“, უთხრა შერიფმა. გრიმს პასუხი

რაღაცას ხვდებოდა, რაღაცას გრძნობდა მეექვსე გრძნობით და მათთან მიახლოებული, ნაბიჯს ანელებდა, დაძაბული შესცქეროდა: განუწყვეტლივ ხალხით, გაოცებული სახეებით იყვნენ გარემოცულნი, ვიღაცეები მოდიოდნენ, ჩერდებოდნენ, მერე სხვებს უთმობდნენ ადგილს, ოღონდ, ყველა სახე ერთმანეთს ჰგავდა, ძროხებივით ყველას გაშტერებული, უაზრო, უძრავი სახე დასდებოდა. მოედანზე მთელი დღე გაუთავებელი გუგუნი იდგა, მთელი დღე ტალღა-ტალღა ენაცვლებოდა ერთმანეთს კითხვა-პასუხის უსასრულო რიგი: „აგე, მიდის. ხო, ეგ ბიჭია, ავტომატურპისტოლეტიანი. მაგათი კაპიტანი ყოფილა. გუბერნატორის გამოგზავნილი საგანგებო ოფიცერი. ეგაა ყველაფრის თავი და თავი. შერიფს დღეს არაფერი ეკითხება“.

მოგვიანებით, როცა ყველაფერი დასრულდა, გრიმმა შერიფს უსაყვედურა: „ნეტავი ჩემთვის დაგეჯერებინათ. ჩემი რჩევისთვის დაგეგდოთ ყური და გეცლიათ, ჩემი ბიჭების თანხლებით გამომეყვანა საკნიდან. თქვენ კი ადექით და იმოდენა ბრბოში ერთი თანაშემწის ანაბარა გამოუშვით, თანაც, ბორკილითაც არ გადაგიბიათ ერთმანეთისათვის; ქვეშაფსია ბოფორდი ხალხში სროლას რას გაბედავდა? იმისი შნოც არა აქვს, ორი ნაბიჯიდან საბძლის კარებს მოარტყას ტყვია.“

„აბა რას ვიფიქრებდი, გაქცევა თუ ედო გულში, თანაც იქ, მოედანზე ეცდებოდა გაქცევას“, თქვა შერიფმა. „აკი სტივენსმაც მითხრა, დანაშაულს აღიარებს და სამუდამო პატიმრობას მიუსჯიანო“.

მაგრამ, მაშინ უკვე აღარაფერს აღარ ჰქონდა აზრი. უკვე ყველაფერი მომთავრებულიყო. მოსახდენი შუა მოედანზე მოხდა, ტროტუარსა და სასამართლოს შენობას შორის, უკიდეგანო, თითქოს ბაზრობაზე თავშეყრილი ხალხის ზღვაში; გრიმმა ჯერ თანაშემწის დამბაჩის ორი გასროლა გაიგონა. ამ დროს თვითონ სასამართლოში იცდიდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რაც მომხდარიყო. წამიც არ დაუკარგავს, არ უყოყმანია. უკვე სროლის ხმაზე გარბოდა, თანაც იმ კაცს, ვინც აგერ უკვე ლამის ორმოცდარვა საათის განმავლობაში თანაშემწესავით თუ შიკრიკივით დასდევდა კვალდაკვალ — სახანძრო სირენა ჩართეთო — უყვიროდა.

„სახანძრო სირენა?“ ჰკითხა თანაშემწემ. „რა...“

„სახანძრო სირენა ჩართეთ-მეთქი“ უყვირა გრიმმა ხელმეორედ. „ხალხმა რაც უნდა იფიქროს, გაიგონ რომ...“ სიტყვა არ დაუმთავრებია; მაშინვე მიეფარა თვალს.

ყველა გარბოდა, გრიმი ვიღაცეებს ეწეოდა, უსწრებდა, უკან იტოვებდა, რადგან მას მიზანი ჰქონდა, სხვებს კი — არა; სხვები უბრალოდ გარბოდნენ, იმას კი შავი, ბლაგვი, ვეებერთელა ავტომატური პისტოლეტი გუთანივით უხსნიდა გზას. გაოგნებული, გაფითრებული, პირდაბჩენილი ხალხი თითქოს მხოლოდ გრიმის დაძაბულ, მკაცრ ახალგაზრდა სახეს მისჩერებოდა; — იქით... იქით გაიქცაო — ერთ, ჩუმ, გაბმულ ამოოხვრასავით მიადევნეს კვალად. მაგრამ უკვე თვითონაც დაენახა შერიფის თანაშემწე — დამბაჩა ჩაებღუჯა და ხელაწეული გარბოდა. გრიმმაც ერთი კი მიმოიხედა და ისევ წინ გაიჭრა; თანაშემწესა და პატიმარს ადევნებულ ბრბოში „უესტერნ იუნიონის“ სატელეგრაფო კომპანიის ფორმაში გამოწყობილი ერთი ძონძროხა ბიჭიც ერია, რომელსაც თავისი ველოსიპედისათვის სახელურებში ჩაევლო ხელი და მორჩილ ძროხასავით მოაჩოჩიალებდა. გრიმმა პისტოლეტი ისევ ბუდეში ჩაიჩარა, ბიჭი გვერდზე მიაგდო და ველოსიპედს მოახტა, ერთბაშად, ერთი მოძრაობით გააკეთა ყველაფერი, ისე, რომ წუთიც არ დაუკარგავს.

ველოსიპედს არც საყვირი ჰქონდა და არც ზარი. თუმცა, ხალხი როგორღაც ტანით გრძნობდა გრიმის მოახლოებას და გზას უტევდა; თითქოს ახლაც მტკიცე რწმენა ეხმარებოდა, საკუთარი სიმართლისა და შეუმცდარობის ბრმა და ურყევი რწმენა უკაფავდა გზას. გაქცეულ თანაშემწეს გაუსწორდა და ველოსიპედი ოდნავ შეანელა. თანაშემწემ მისკენ მოაბრუნა პირდაბჩენილი, ყვირილისა და სირბილისაგან გახვითქული სახე. „იმ შუკაში გადაუხვია“, უთხრა გრიმს.

„ვიცი“, მიუგო გრიმმა. „ბორკილი ეკეთა?“

„კი!“ თქვა თანაშემწემ. ველოსიპედი ბიძგით მოსწყდა ადგილს.

„მაშ ძალიან სწრაფად ვერ უნდა ირბინოს,“ გაიფიქრა გრიმმა. „მალე მოუწევს ბუნაგის ძებნა. დამალვას შეეცდება“. სწრაფად შეუხვია შუკაში. შუკა ორ სახლს შორის განოლილიყო, ცალ მხარეს ფიცრის მესერი ჩასდევდა. იმ წუთას სახანძრო სირენის ხმაც გაისმა პირველად, ნელ-ნელა, თანდათანობით იმატა, ერთ უწყვეტ კივილად იქცა, რომელიც ბოლოს გასცდა კიდეც ყურთასმენის ფარგლებს და ახლა მხოლოდ უხმო რხევადღა შეიგრძნობოდა. გრიმი პედლებს ატრიალებდა და გამალებით, საქმიანად, მძვინვარე და დაძაბული მხიარულებით ფიქრობდა, — უპირველეს ყოვლისა, დამალვას მოინდომებსო, თან გაცეცებული აქეთ-იქით იყურებოდა. შუკა ცალ მხარეს მოშიშვლებული იყო, მეორე მხარეს კი ექვსი ფუტის სიმაღლის მესერი გასდევდა. მესერი ჭიშკრით ბოლოვდებოდა, ჭიშკარს იქით საძოვარი და ღრმა ხევი — ქალაქის მიჯნა — იწყებოდა. ხევში მდგარ ხეებს აქედან მხოლოდ კენწეროები მოუჩანდათ; პოლკი ჩასაფრდებოდა იქ. — უუუხო, ხმამაღლა გამოსცრა კბილებში გრიმმა. არ შეჩერებულა, სიჩქარეც არ შეუნელებია, ისე შემოაბრუნა ველოსიპედი და ისევ

უკან დაუყვა შუკას იმ ქუჩისაკენ, რომლიდანაც ეს-ესაა გადმოეხვია. სირენის კივილი კლებულობდა, ისევ ყურთასმენას უბრუნდებოდა, და როცა ველოსიპედი ქუჩაში შეაგდო, წამით ჰკიდა თვალი გაქცეულ ხალხსა და მისკენ მომავალ მანქანას. მთელი მისი გაშმაგების მიუხედავად, მანქანა მაინც წამოეწია, გაუსწორდა; მანქანის მგზავრები მისკენ გადმოხრილიყვნენ, — ამოდი, აქ ამოდიო, — უყვიროდნენ, ის კი პასუხს არ სცემდა, სახეგაქვავებული წინ იყურებოდა. მანქანამ გადაუსწრო, სვლა შეანელა; ახლა უკვე თვითონ ჩაუქროლა, სწრაფად, უხმოდ, ჯიუტად; მაშინ მანქანამაც უმატა სიჩქარეს და უკან ჩამოიტოვა, ახლა იქიდან გადმოკიდებულ კაცებსაც წინ მიეპყროთ მზერა. გრიმი გაშმაგებული მიქროდა, მოჩვენების სისწრაფით, ჯაგერნაუტისა თუ ბედისწერის ულმობელი ქედუხრელობით. ზურგსუკან სახანძრო სირენამ ერთხელ კიდევ უმატა ხმას, როცა მანქანაში მსხდომებმა ისევ გამოხედეს, გრიმი აღარსად ჩანდა.

მთელი სისწრაფით ახლა სხვა შუკაში შეეხვია. სახე გასალკლდეებოდა, დამშვიდებოდა, ჯერაც უბრწყინავდა ოცნების აღსრულების პირქუში და განუსჯელი სიხარულისაგან. ეს შუკა წელანდელზე უფრო ოღროჩოღრო და უფრო გრძელიც აღმოჩნდა. ბოლომდე ჩაუყვა, მოტიტვლებულ გორაკს მიადგა და იქ გადმოხტა ველოსიპედიდან, დაფერდებულმა, გვერდზე გადაქანებულმა ველოსიპედმაც ცოტა ხანს კიდევ იგორა და მერე წაიქცა; გრიმს ახლა ხევი მთელი სიგრძე-სიგანით გადაეშალა თვალწინ, ორი-სამი, ზედ ხევის პირას მდგომი ზანგური ქოხის გარდა არაფერი უშლიდა ხელს თვალთვალში. უძრავად იდგა, გაქვავებული, ეული სასაზღვრო ბოძივით თვალში საცემი. სადღაც, ზურგსუკან დარჩენილ ქალაქში სირენის კივილმა ისევ მიჩუმება იწყო. მერე ქრისთმასი დაინახა. ხევგაღმა გამოჩნდა, ერთიბეწო, პაწაწინა, ხელებმიტყუპებული. დაინახა, როგორ გაიბრჭყვიალეს, ჰელიოგრაფივით როგორ აელვარდნენ ლტოლვილის ხელები, როცა ბორკილს მზის სხივი დაეცა, მოეჩვენა, თითქოს აქედანაც ესმოდა იმ კაცის ქოშინი და სასოწარკვეთილი სუნთქვა, ვინც ახლაც კი არ იყო თავისუფალი. მერე პაწაწინა ფიგურა ისევ გაიქცა და უახლოეს ზანგურ ქოხს უკან გაუჩინარდა.

გრიმიც ადგილს მოსწყდა. სწრაფად, უფაციფუცოდ, ძალდაუტანებლად გარბოდა. არც შურისმაძიებელს ჰგავდა და არც გამძვინვარებულსა თუ შეურაცხყოფილ კაცს. ამას ქრისთმასიც მიხვდა. საკუთარი თვალით დაინახა, რადგან წამით ლამის პირისპირ შეეჯახნენ ერთმანეთს. მაშინ, როცა გრიმმა სირბილით ჩაუქროლა ქოხის კუთხეს. ქრისთმასიც სწორედ იმ დროს გადმოხტა ქოხის უკანა ფანჯრიდან,

თითქოს ჯადოქრობის წყალობით აესვეტა წინ და მისმა დაბორკილმა, ზეაღმართულმა ხელებმაც ცეცხლმოკიდებულებივით გაიკაშკაშეს. წამით ერთიმეორეს მიაშტერდნენ, ერთი, გადმოხტომის შემდეგ ჯერაც ჩაკუზულიყო, ჯერაც არ გამართულიყო წელში, მეორე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ისეთი ქანი აეღო, შეჩერება ვერ მოეხერხებინა. გრიმი საცაა მეორე კუთხესაც ჩაუქროლებდა, ქრისთმასის ხელში მძიმე მონიკელებულ დამბაჩას რომ ჰკიდა თვალი. ადგილზევე დაბზრიალდა, შემობრუნდა, თან ბუდიდან თავის პისტოლეტს იღებდა.

სწრაფად, მშვიდად, მშვიდი სიხარულით ფიქრობდა: — ორი გზა აქვს. ან ხევში დაბრუნება უნდა სცადოს, ან არადა ქოხის ირგვლივ უნდა ირბინოს, ვიდრე ერთ-ერთი ჩვენგანი ტყვიის წერა არ გახდება. თან, ხევიც იმის მხარესაა. ბევრი არ უყოყმანია. ისევ უკან იბრუნა პირი, მთელი სისწრაფით შემოურბინა იმავე კუთხეს. თითქოს ჯადო ანდა განგება იცავდა, თითქოს დარწმუნებული იყო, ჩასაფრებული ქრისთმასი რომ არ ელოდა იქ. მერე მეორე კუთხესაც შეუჩერებლად ჩაუქროლა.

უკვე ხევის პირას იდგა. ახლაღა შედგა, შუა გზაზე გაუშეშდა ფეხი. ბლაგვი, ცივტუჩიანი პისტოლეტი მოემარჯვებინა და დაწყნარებულ სახეზე ეკლესიის ვიტრაჟებზე დახატული ანგელოსის არამიწიერი შუქი დაჰფენოდა. ბოლომდე არც გაჩერებულიყო და ისევ ადგილს მოსწყდა, უსიტყვოდ, ბრმად, უყოყმანოდ ემორჩილებოდა იმ უცნობ, უხილავ მოთამაშეს, ვინც ამოძრავებდა, ვინც განუწყვეტლივ უცვლიდა ადგილს დაფაზე. გრიმი ხევში დაეშვა, უკვე ციცაბო ფერდობს მოდებულ ჯაგებს ებღაუჭებოდა, როცა წამით უკან მიიხედა. მხოლოდ მაშინღა შეამჩნია, ქოხი ბიჯგებზე რომ იდგა და თითქმის ორი ფუტით ასცილებოდა მიწის ზედაპირს. ადრე, სიჩქარეში, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მიხვდა, რამდენი დრო დაეკარგა ფუჭად. უკვე იცოდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ქრისთმასი განუწყვეტლივ უთვალთვალებდა და ქოხს ქვემოდან მის ფეხებსაც მშვენივრად ხედავდა. — ვერაფერს იტყვი, ჭკუა უჭრის ბიჭსო, ჩაილაპარაკა.

ვიდრე გაჩერებას და უკან ამოფოფხებას მოახერხებდა, კარგა გვარიანად მოასწრო ქვევით ჩაგორება. მაგრამ, დაღლილობა არ შესტყობია, უხორცოს, უსისხლოს ჰგავდა, თითქოს მოთამაშე, ვინც პაიკივით ათამაშებდა აქეთ-იქით, თან ამოსუნთქვის საშუალებასაც აძლევდა ხოლმე. კვლავ შეუჩერებლად გარბოდა, ისევ იმ ზვირთს მოქცეოდა ზურგზე, რომელსაც ხევიდან ამოესროლა. ქოხს სწორედ იმ დროს შემოურბინა, როცა, ასიოდე ნაბიჯის მოშორებით, ქრისთმასი მესერს გადაევლო. არ უსვრია, რადგან ლტოლვილი ახლა უკვე

პატარა ბალში, პირდაპირ სახლისაკენ მირბოდა. დადევნებულმა დაინახა, როგორ აათავა უკანა კიბე და გაუჩინარდა. „ჰაჰ“, გამოსცრა კბილებში. „ეს ხომ ჩვენი ჰაითაუერის სახლია. მღვდლის სახლი“.

ნაბიჯის შეუნელებლად სახლი გვერდზე მოიტოვა და ქუჩაში გავარდა. მანქანა, რომელმაც წეღან გაუსწრო, რომელსაც წეღან თვალთაგან დაეკარგა, ახლა უკან დაბრუნებულიყო, იქ იყო, სადაც უნდა ყოფილიყო კიდეც, სადაც მოთამაშეს მიეჩინა მისთვის ადგილი. ისე გაჩერდა, გრიმს არაფერი უნიშნებია, სამნი გადმოხტნენ იქიდან. გრიმი უსიტყვოდ შეტრიალდა, ეზო გადაირბინა და იმ სახლს მიაშურა, სადაც მოხუცი, შერცხვენილი, ყველასგან მიტოვებული მღვდელი ცხოვრობდა მარტოდმარტო, სამი კაციც ფეხდაფეხ მიჰყვა, ლამის ერთდროულად შეცვივდნენ წინკარში, ამ მონასტრულ, ჩახუთულ ბინდბუნდში ზაფხულის სასტიკი მზის ბრწყინვალება შეიყოლეს და შედგნენ.

ოთხივეს გარს ეხვია ეს ბრწყინვალება, ოთხივე ამ ბრწყინვალებით გაჟღენთილიყო მისი ურცხვი სისასტიკით. მერე, ამ შუქით ანთებული, თითქოს ჰაერში უსხეულოდ გამოკიდული, შარავანდედით მოსილი სახეები დაიხარნენ და წამოდგომაში მიეხმარნენ დასისხლიანებულ ჰაითაუერს, რომელსაც წინკარში შემოვარდნილი ქრისტმასი — ზეაწეული, დაბორკილი მკლავები ელვის ისრებივით რომ უკაშკაშებდა — შურისმგებელი, განრისხებული და მაწყევარი ღმერთივით დასხმოდა თავს. მოხუცი ჯერაც ბარბაცებდა და ისინიც, არ წაიქცესო, ხელს აშველებდნენ.

„რომელ ოთახშია?“ ეკითხებოდა და თან ანჯღრევდა გრიმი. „რომელ ოთახშია-მეთქი, ბერიკაცო?“

„ბატონებო!“ თქვა ჰაითაუერმა. „ხალხო!“ ხალხო!“

„აღარ იტყვი, რომელ ოთახშია, ბებერო?“ უყვირა გრიმმა.

ჰაითაუერი ძლივს იდგა ფეხზე; მზის გულიდან შემოცვენილებს ამ ჩაჟამებულ წინკარში ჰაითაუერის მელოტი თავი და დიდი, გადაფითრებული, სისხლით ჩამოხაზული სახე საზარლად ეჩვენებოდათ. „ხალხო!“ იყვირა ჰაითაუერმაც, „მომისმინეთ. ეგ იმ ღამეს აქ იყო. მკვლელობის ღამეს. ღმერთსა ვფიცავ...“

„იესო ქრისტე!“ შესძახა გრიმმა, ახალგაზრდა მოძღვრის დაწმენდილი, რისხვით აღასავსე ხმით. „ნუთუ ყველა ჯეფერსონელმა ხუცესმა და შინაბერა ქალმა აუპლაკა ფეხები იმ დამპალ ნაბიჭვარს?“ ჰაითაუერი გვერდზე მიაგდო და ისევ გაიქცა.

თითქოს მხოლოდ იმასღა ელოდა, ხელახლა როდის აამოძრავებდა მოთამაშე, რადგან იმავე შეუმცდარი ალღოს კარნახით,

პირდაპირ სამზარეულოს მიაშურა და სროლაც მანამდე ატეხა, ვიდრე ოთახის კუთხეში გადაბრუნებულ მაგიდასა და მის კიდეზე ჩამოწყობილ, მაგიდის უკან დამალული ლტოლვილის კაშკაშა, მოელვარე ხელებს დაინახავდა. უკანასკნელ ტყვიამდე დააცალა მაგიდას თავისი ავტომატური პისტოლეტი; მოგვიანებით ვიღაცამ გაკეცილი ცხვირსახოცით დაფარა ხუთივე ნატყვიარი.

თუმცა, მოთამაშეს ჯერ არ მოემთავრებინა საქმე. როცა სამზარეულოში დანარჩენებიც შეცვივდნენ, გრიმს მაგიდა გვერდზე მიეგდო და ლტოლვილს დასდგომოდა თავზე. ახლოს რომ მივიდნენ, ქრისთმასს ჯერ ისევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი, ხოლო, როცა დაინახეს, რას აკეთებდა გრიმი, ერთ-ერთ მათგანს დაგუბებული ხმა აღმოხდა, უკან-უკან, ბორძიკ-ბორძიკით წავიდა კედლისაკენ და არწყია. მერე გრიმიც უკან გადმოხტა, გასისხლიანებული ყასბის დანა მოისროლა. „ახლა ჯოჯოხეთშიც არ გაეკარები სათოფეზე თეთრკანიან ქალებს“-ო, — თქვა. იატაკზე გართხმული კაცი კი არც შერხეულა. უძრავად იწვა, თვალგახელილი, ცნობიერების გარდა, ყველაფრისაგან დაცლილი, და მხოლოდ ბაგესთან დაჰფენოდა ერთადერთი ჩრდილი. დიდხანს ასცქეროდა ქვემოდან, მშვიდი, უძირო, გაუსაძლისი თვალებით. მერე, ერთბაშად, სახეც, სხეულიც, ყველაფერი ერთად მოერღვა, თითქოს შიგნით, საკუთარ არსებაშივე ჩაეშალა და უბეზე გამობრდღვნილი შარვლიდან შვების ოხვრასავით გამოსკდა მანამდე დამწყვდეული შავი სისხლი. ისე გამოიფრქვა ფერმიხდილი სხეულიდან, როგორც ნაპერწკლები ცაში აჭრილი რაკეტიდან; ამ შავმა ნიაღვარმა თითქოს თვითონ კაციც აიტაცა და სამუდამოდ, სამარადისოდ შეატოვა მათ ხსოვნას. მათ აღარაფერი დაავიწყდებათ, რა მშვიდ ყურესაც არ უნდა მიადგეს ცხოვრება, რა უზრუნველ ნაპირზედაც არ უნდა გარიყოს ისინი სიბერემ, რა გარდასული უბედობები თუ მომავალი იმედებიც არ უნდა ამოიკითხონ ნაშიერთა სარკესავით ყოვლისამრეკლავ სახეებზე. ის მაინც მარად იქ იქნება, ჩაფიქრებული, დამშვიდებული, უდრეკი, დროით გაუხუნარი, არც მაინცდამაინც შიშისმომგვრელი, ოღონდ მუდამ უდრტვინველი, მუდამ თავისთვის მოზეიმე. ქალაქის მხრიდან ერთხელ კიდევ მოისმა კედლების წყალობით ოდნავ დახშული სირენის კივილი, წარმოუდგენელ კრეშენდოს მიაღწია და ყურთასმენის ფარგლებს გასცდა.

- XX -

თანდათანობით საღამოს უკანასკნელი, სპილენძისფერი შუქიც ქრება; ჯუჯა ნეკერჩხლებსა და ხელისგულისოდენა აბრას იქით, კაბინეტის ფანჯრის ჩარჩოში სცენასავით მომწყვდეული ქუჩაც უკვე გამზადებულა, უკვე ერთიანად დაცარიელებულა.

ახსოვს ადრე, ახალგაზრდობისას, როცა სემინარიიდან ახალი ჩამოსული იყო ჯეფერსონში, რამდენჯერ მოსჩვენებია, თითქოს ყურთასმენასაც რომ უღიზიანებდა ეს სპილენძისფერი, გასაქრობად განწირული შუქი, რომელიც თითბრის ყვითელი საყვირების შესუსტებულ ხმასავით ნელ-ნელა კვდებოდა, ნელ-ნელა იკარგებოდა და იმ სიჩუმესა და მოლოდინს ერწყმოდა, საიდანაც მალე ისინი უნდა გამოჩენილიყვნენ. და, მართლაც, ძალადაკარგული საყვირები ბოლომდე მიჩუმებასაც ვერ ასწრებდნენ ხოლმე, როცა ჰაერში შორეული, ჯერჯერობით ჩურჩულივით, ჩქამივით სუსტი გრიალი გაისმებოდა.

ოღონდ, გამხელით არავისთვის არაფერი გაუმხელია. მისთვისაც კი, მაშინაც კი არ უთქვამს არაფერი, როცა ჯერ კიდევ ღამეული მიჯნურები ერქვათ, როცა ჯერ სირცხვილი და უთანხმოება არ დაწყებულიყო, როცა ჯერ იმანაც იცოდა, იმისთვისაც არ დაევიწყებინა უთანხმოებას, სინანულსა და, ბოლოს, სასოწარკვეთილებას, რად მიუჯდებოდა ხოლმე თავის ფანჯარას და რად ელოდა ასე მოუთმენლად ღამის დადგომას, სიბნელის დასადგურებას. მისთვისაც კი, ქალისთვისაც. ერთადერთისთვის. სწორედ ქალისთვის (და არა სემინარიისთვის, როგორც ერთ დროს სჯეროდა): ჩაგრული და უსახო არსებისთვის, ვინც ღმერთმა არა მარტო მისი სხეულის თესლის მიმღებად და შემნახველად შექმნა, არამედ მისი სულისაც — ესაა სწორედ ჭეშმარიტება, ყოველ შემთხვევაში, იმდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან, რამდენადაც თვითონ ბედავს მიახლოებას.

და-ძმა არა ჰყოლია. მისი დაბადებისას მამამისი უკვე ორმოცდაათი წლის კაცი იყო, დედა კი ღამის ოცი წელიწადია გამუდმებით ავადმყოფობდა. იზრდებოდა და თანდათანობით სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა რწმენა, დედის ავადმყოფობა იმ საკვების ბრალი რომ იყო, რითაც ქალს სამოქალაქო ომის ბოლო წლებში გაჰქონდა თავი. შეიძლება, არც ცდებოდა. მამამისს მონები არ ჰყავდა, თუმცა, იმ კაცის შვილი კი იყო, ვისაც თავის დროზე მონები არ მოჰკლებია. თვითონაც არაფერი უშლიდა ხელს, მამის კვალზე წასულიყო. მაგრამ, თუმცა იმ დროში და იმ მიწაზე დაბადებულიყო, გაზრდილიყო და დავაუკაცებულიყო, სადაც მონების ყოლა არყოლაზე გაცილებით იაფია,

მაინც ცოცხალი თავით არც ზანგი მონის მოწეულსა და მომზადებულს შეჭამდა და არც იმის დაგებულ ლოგინში ჩაწვებოდა. ამიტომაც, ვიდრე თვითონ ომობდა, ცოლი მარტოდმარტო ჯახირობდა ბოსტანში და მხოლოდ იშვიათად, ათასში ერთხელ თუ გაუმართავდა ხელს სამადლოდ ვინმე მეზობელი. არადა, ქმარს არც ეს დახმარება სიამოვნებდა, ამასაც უშლიდა, რადგან იმედი არა ჰქონდა, სიკეთის სიკეთით გადახდას მოვახერხებო. — ღმერთი მოგვცემსო, ეუბნებოდა ცოლს.

„რას მოგვცემს? ბაბუაწვერას და სარეველას?“

„სხვასაც. ან არადა, ბაბუაწვერას და სარეველას მოსანელებელ კუჭ-ნაწლავს მაინც“.

მამა მოძღვარი იყო. მთელი წლის განმავლობაში (მაშინ ჯერ ცოლი არა ჰყავდა) ყოველ კვირა დილით ალიონზე გადიოდა ხოლმე შინიდან, ვიდრე ეს ამბავი მამამისის ყურამდეც მიაღწევდა, ვისაც ეპისკოპალური ეკლესია თავისი მრევლის ერთ-ერთ საპატიო წევრად კი თვლიდა, თუმცა, რაც შვილს თავი ახსოვდა, ერთხელაც არ ენახა ამ ეკლესიაში შესული. მოკლედ, როცა მამამ გაიგო, მისი ოცდაერთი წლის ვაჟი ყოველ კვირას თექვსმეტი მილით სახლს მოშორებულ, პატარა, მთებში ჩაკარგულ სამლოცველოში რომ დადიოდა თურმე საქადაგოდ, თქმით არაფერი უთქვამს, ოღონდ გულიანად გაეცინა. შვილმა სიცილსაც ისე მოუსმინა, როგორც ყვირილსა და ჩხუბს მოუსმენდა: ცივი, თავაზიანი სიმშვიდით, სიტყვის უთქმელად. მომდევნო კვირას კი ისევ საკუთარ მრევლს მიაშურა.

ომში მოწინავეთა შორის არ წასულა. თუმცა, არც უკანასკნელ-თათვის დაუცდია. ოთხი წელი დარჩა ჯარში, მაგრამ მუშკეტი ერთხელაც არ გაუსვრია და მუნდირის მაგივრადაც ის თალხი სერთუკი ეცვა, საქორწინოდ რომ შეეძინა და მერე, ჩვეულებრივ, ქადაგების დროს იცვამდა ხოლმე. სამოცდახუთშიც, შინ დაბრუ-ნებულსაც ისევ ის სერთუკი ეცვა, თუმცა, მას მერე, რაც ფორანი კიბესთან გაჩერდა, ორმა კაცმა ფორნიდან გადმოიყვანა, შინ შეიყვანა და საწოლზე დააწვინა, შორიდანაც აღარ მოუკრავს მისთვის თვალი. სერთუკი ცოლმა გახადა და სხვენში, სამგზავრო სკივრში შეინახა. ოცდახუთი წელი იდო იქ, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, უკვე მისმა ვაჟიშვილმა არ გახსნა სკივრი, ამოიღო და ფრთხილად არ გაასწორა ის ნაკეცები, რომელთაც, თითქოს ჯერ კიდევ შერჩენოდათ კარგა ხნის მკვდარი ხელების სითბო და სურნელი.

ახლაც ის დღე ახსენდება, მდუმარე კაბინეტის ბნელ ფანჯარასთან მჯდომს, სიბნელის დადგომის, ღამის, ფლოქვების თქარათქურის მომლოდინეს. სპილენძისფერი შუქი უკვე მთლად გამქრალა; სამყარო

მწვანე მდუმარებაში გამოკიდულა და ფერად შუშაში გადატეხილი ბლანტი სინათლის ელფერი დაჰკრავს. მალე დადგება წამი, როცა იტყვის **უკვე მალე ცოტალა დარჩა** „რვა წლის ვიყავი მაშინ“, ფიქრობს. „წვიმდა“. ეჩვენება, ახლაც რომ გრძნობს იმ წვიმის, ოქტომბრის ნოტიო, ნაღვლიანი მიწის სურნელსა და პირდაღებული სკივრიდან ამოვარდნილი ობის სუნს. მერე კოხტად დაკეცილი სერთუკისას. თავიდან ვერც მიხვდა, რა ეპოვა, იმდენად წალეკა ნაკეცებს შერჩენილმა ხსოვნამ მკვდარი დედის ხელებისა. მერე სერთუკი ნელ-ნელა გაიშალა, ამოიზარდა. მას, ბავშვს, წარმოუდგენლად დიდი, ვეებერთელა, თითქოს გოლიათისთვის შეკერილი მოეჩვენა; რაკი ერთ-ერთ მათგანს ეცვა, თითქოს ნაჭერსაც შეეძინა იმ მოჩვენებათა ღირსება და დიდებულება, ვისი გმირული და უზარმაზარი ლანდებიც ბუნდოვნად იკვეთებოდნენ მეხთატეხის, კვამლის, დაფხრეწილი დროშების ფონზე, ყოველივე იმის ფონზე, რითაც ახლა სავსე იყო მისი ძილიცა და ღვიძილიც.

სერთუკს იმდენი ბებკი ედო, ლამის მთლად დაჰკარგვოდა პირვანდელი სახე. ზოგი ტყავისა იყო, მამაკაცის უხეში ხელით დაკერებული, ზოგი კონფედერატთა ნაცრისფერი, ახლა ხმელი ფოთლებივით გახუნებული მაუდისა, ერთი კი — ლურჯი, მუქი ლურჯი: შეერთებული შტატების მუნდირის ფერი. იმ ერთის ნახვამ გული გაუჩერა. ამ უტყვ, უსახელო ნაკუწს რომ დასცქეროდა, ბიჭი, დედამამის სიცოცხლის მიმწუხრზე გაჩენილი ბავშვი, ვისი ორგანიზმიც, შვეიცარიული საათივით, უკვე განუწყვეტელ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვდა, მოკრძალებულ, მოზეიმე შეძრწუნებას განიცდიდა ხოლმე, მერე კი — ავად ხდებოდა.

საღამოობით, ვახშმობისას, ლუკმა არ გადასდიოდა ყელში. მამამისი, უკვე სამოც წელს მიტანებული, თეფშიდან თავს რომ აიღებდა, ერთთავად შვილის მიშტერებულ თვალებს აწყდებოდა ხოლმე, ამ თვალებში კი შიშს, მოკრძალებასა და კიდევ რაღაც სხვას, გამოუცნობს დაესადგურა. — რაზე ფიქრობდიო? ეკითხებოდა, ბიჭი კი ვერაფერს პასუხობდა, კრინტი ვერ დაეძრა, ისეთი სახით მისჩერებოდა, თითქოს ჯოჯოხეთს ჩასცქერისო. ძილიც უკრთებოდა. გაშეშებული, გახევებული იწვა ხოლმე ბნელ ოთახში, თრთოლვითაც კი არ თრთოდა, როცა კაცს, მამას, მის ერთადერთ ცოცხალ თვისტომს, ვისგანაც დროს ათწლებულობით განუზომელი მანძილით დაეშორებინა, იმდენად დაეშორებინა, ფიზიკური მსგავსებაც მოესპო მათ შორის, კედლებისა და ოთახების იქით მშვიდად ეძინა. მეორე დღეს ისევ წამოუვლიდა ხოლმე თავისებური მუცლის ჭვალი. ოღონდ არავის არაფერს უმხელდა, მიზეზს არავის ეუბნებოდა, არც ზანგ დედაკაცს, რომელიც ახლა საოჯახო საქმეს უძღვებოდა,

დედობასაც უწევდა და გადიობასაც. მერე ძალღონე ნელ-ნელა ისევ უბრუნდებოდა. მაშინ ჩუმად ისევ სხვენში აიპარებოდა, სკივრს გახსნიდა, სერთუკს ამოიღებდა და შეძრწუნებული, გახარებული, სუსტი სიხარულით და ცნობისწადილით შეპყრობილი — მართლა მოეკლა თუ არა მამამისს ის კაცი, ვისი ლურჯი მუნდირიდანაც გამოეჭრა ეს ბებკი — უხმოდ უსვამდა ხოლმე ხელს, ყველაზე მეტად კი ის ფიქრი ზარავდა, ერთდროულად როგორი გაუნელებელი და ძლიერი სურვილი და შიში დაუფლებოდა ჭუშმარიტების შეცნობისა. მაგრამ, შიშის მიუხედავად, მეორე დღესვე, როცა ვინმე სოფლელი პაციენტის სანახავად წასულ მამას საღამომდე შინიდან გაიგულებდა, მაშინვე სამზარეულოს მიაშურებდა ხოლმე და ზანგ გადიას მოსვენებას არ აძლევდა: — კიდევ მიამბე ბაბუაზე. მითხარი, რამდენი იანკი მოკლა ომშიო? უკვე უშიშრად უსმენდა, უსიხარულოდაც: სიამაყით გულგაბერილი.

ეს ბაბუა იყო სწორედ, თვალში ეკალივით რომ ესობოდა საკუთარ ვაჟიშვილს. არადა, შვილი ამის თქმას კი არა, გაფიქრებასაც ვერ გაბედავდა, არც თვითონ და არც მამამისს აზრადაც არ მოუვიდოდათ სხვანაირი მამა ან სხვანაირი შვილი ენატრათ. საკმაოდ მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ, რაც შვილის მხრიდან ცივი, სერიოზული, გაუაზრებელი პატივისცემითა და თავდაჭერილობით გამოიხატებოდა, მამის მხრიდან კი — უხეში, პირდაპირი, შეუნიღბავი იუმორით, რომელსაც უფრო მარილი აკლდა, ვიდრე ჭკუა. კაცმა რომ თქვას, მეგობრულადაც ცხოვრობდნენ თავიანთ ორსართულიან, ქალაქურ სახლში, თუმცა, შვილს უკვე კარგა ხანია ეთქვა უარი — მშვიდად, ერთხელ და სამუდამოდ — მისი გამზრდელი მონა ქალის მომზადებული საჭმლის ჭამაზე. თავის ულუფას თვითონვე იმზადებდა სამზარეულოში, მიუხედავად შეურაცხყოფილი გადიის აღშფოთებისა, მაგიდასაც თვითონვე გაიწყობდა და მერეღა დაჯდებოდა ხოლმე სუფრასთან მამის გვერდით, რომელიც შვილის გამოჩენას ბურბონით სავსე ჭიქის მუდამ ერთნაირი, ხაზგასმულად ოფიციალური აწევით ეგებებოდა: შვილი არც ვისკის ეკარებოდა, იმის გემოც არასოდეს გაესინჯა.

შვილის ქორწინების დღეს მამა სხვაგან გადასახლდა. ნეფე-პატარძლის დაბრუნებას პარმაღზე ელოდებოდა, ხელში სახლის გასაღები ეჭირა. უკვე სამგზავროდ გამზადებულიყო, ქუდი დაეხურა და ლაბადაც ჩაეცვა. გვერდით ბარგი ეწყო, ზურგსუკან კი თავისი ორად ორი მონა ედგა: მზარეული ქალი და მისი ქმარი, ბაბუას პირადი ფარეში, მისი „ბიჭი“, როგორც თვითონ ეძახდა, არადა, „ბიჭი“, მგონი პატრონზედაც უფროსი იყო და თავზე ღერი თმაც არ შერჩენოდა. ბაბუა პლანტატორი არასოდეს ყოფილა; მთელი ცხოვრება ვექილობდა, თუმცა, სამართალი

იმასაც ისე ჰაიჰარად ჰქონდა შესწავლილი, როგორც მის ვაჟიშვილს მედიცინა, „ზოგან მუშტით, ზოგან კრივითო“, ასე ამბობდა. ორი მილის მოშორებით, სოფელში, უკვე ეყიდა პატარა სახლი, პარმაღთანაც უკვე უცდიდა მსუბუქი, ორცხენშებმული ეტლი, თვითონ კი ჯერ პარმაღზე იდგა, კეფაზე ქუდმოგდებული, ფეხებგაჩაჩხული — ახოვანი, დამცინავი, წითელცხვირა კაცი, ყაჩაღების მეთაურს რომ ჩამოჰგავდა ულვაშით — და ბილიკით სახლისკენ მომავალ ვაჟსა და მანამდე თვალით უნახავ რძალს უყურებდა. როცა დაიხარა და ქალი გადაკოცნა, რძალს ვისკისა და სიგარის სუნი ეცა. — მე მგონი, ივარგებო, უთხრა. ეშმაკური, თავხედი, ოღონდ კეთილი თვალებით უცქერდა. — თანაც, ჩვენს ფარისეველს ბევრი ხომ არც უნდა, ოღონდ კი ცოლმა კონტრალტოთი იმღეროს ის პრესვიტერიანული ჰიმნები, რასაც თვითონ მამა ღმერთიც ვერ შეურჩევს მუსიკასო.

მამა ფოჩებიანი ეტლით გაემგზავრა, ბარგიბარხანიანად, ტანსაცმლიანად, ვისკის ბოციანად და მონებიანად. მზარეული ქალი საქორწილო სადილის მოსამზადებლადაც არ დარჩენილა. მისთვის არც არაფერი უთხოვიათ, არც დაუთხოვიათ. მამა სიცოცხლეში ამ სახლში აღარასოდეს დაბრუნებულა. არადა, მისი სტუმრობა მართლა გაუხარდებოდათ. თვითონაც იცოდა ეს და ვაუმაც, თუმცა, ხმამაღლა არცერთს კრინტიც არ დაუძრავს ამ საკითხზე. რძალსაც — იმ მრავალშვილიანი ცოლ-ქმრის ნაშიერს, ვისაც ცხოვრებაში გზის გაკაფვა ვერანაირად მოეხერხებინა და, ეტყობა, ეკლესიაში ეცადა იმის ანაზღაურებას, რაც სუფრაზე მუდამდღე აკლდა — უყვარდა მამამთილი, უყვარდა კი არა, არ ამხელდა თორემ ფარულად აღტაცებულიც კი იყო: მისი ვაჟკაცობით, მარტივი კოდექსისადმი მისი ალალი, უეშმაკო ერთგულებით. იშვიათად ხედავდნენ, თუმცა მისი ამბავი კი ხშირად ესმოდათ: ერთხელ, მაგალითად, სოფლად გადასახლების წლისთავზე, მოულოდნელად იქვე, შორიახლო მდებარე წარაფში გამოჩენილა, სადაც, ღია ცის ქვეშ, უკვე საკმაოდ გაჭიანურებული ღვთისმსახურება მიმდინარეობდა და ერთკვირიანი, სამოყვარულო დოღისა და ჯირითის ასპარეზად უქცევია იქაურობა. სოფლის გამხდარ, ფანატიკურსახეებიან მოძღვრებასაც გვარიანად შეთხელებული მრევლის თანდასწრებით ანათემისთვის გადაუციათ და, გაგულისებულებს, დაუწყევლიათ ეს ღვთის პირიდან გადავარდნილი, ეშმაკის მოურჯულებელი მოციქული. არც ვაჟიშვილისა და რძლის ოჯახიდან ფეხის ამოკვეთის მიზეზს მალავდა, ერთი შეხედვით, გულწრფელადაც აღიარებდა: „თქვენ მე მომაბეზრებთ თავს და მე კიდევ თქვენ. თანაც, ვინ იცის? შეიძლება ბიჭმაც შემაცდინოს. ამ სიბერეში შეიძლება სამოთხე მომანატროს“-

ო. მაგრამ, მიზეზი სულ სხვა გახლდათ. შვილს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა: სხვისგან გაგონილ ნაცილს ალბათ პირველი აუმხედრდებოდა, არადა, სხვაზე უკეთ მოეხსენებოდა მოხუც კაცს არც გულისხმიერება რომ არ აკლდა და არც რიდი.

ვაჟი ლამის მანამდე იქცა აბოლიციონისტად, ვიდრე სიტყვად გარდაქმნილი ეს განწყობილება ჩრდილოეთიდან გამოეონავდა და სხვაგანაც გავრცელდებოდა. თუმცა, რესპუბლიკელების მოგონილი ტერმინი გაიგო თუ არა, საკუთარ მრწამსს მაშინვე სახელი გადაარქვა, ოღონდ, შეხედულებები და ჩვევები კი მაინც იოტისოდენადაც არ შეუცვლია. უკვე მაშინ, როცა ჯერ ოცდაათი წელიც არ შესრულებოდა, ახალგაზრდობის მიუხედავად უჩვეულო, სპარტანული ზომიერებით გამოირჩეოდა, როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე შემთხვევისა და ბოთლის არცთუ მაინცდამაინც მიზეზიანი მსახურების ნაშიერთ. ალბათ, ამიტომაც არ გააჩინეს შვილი, ვიდრე ომი არ დამთავრდა, საიდანაც შეცვლილი და, როგორც ცხონებული მამამისი იტყოდა, ცოტა არ იყოს, სიწმინდის „სურნელდაკარგული“ დაბრუნებულიყო. მართალია, ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გაესროლა თოფი, მაგრამ მისი მოვალეობა მხოლოდ კვირა დილით ჯარისკაცებისთვის ლოცვითა და ქადაგებით მაინც არ ამოიწურებოდა. შინ დაბრუნებულს ჭრილობა შეუხორცდა თუ არა, როგორც კი ცოტა გამოკეთდა და მომჯობინდა, მაშინვე ექიმობას მიჰყო ხელი, ქირურგობასა და ფარმაკოლოგობას, რაშიც ფრონტზე სამხედრო ექიმებს ეხმარებოდა, რის სწავლაშიც ერთნაირად, განურჩევლად შეეწყო ხელი დაჭრილ მტერ-მოყვარეს. მამასაც, უთუოდ, ყველაზე მეტად ეს მოუბრუნებდა შვილისკენ გულს: დამპყრობელთა და ამაოხრებელთა სხეულებზე რომ გაწაფულიყო თავის ხელობაში.

„ოღონდ, სიწმინდე მაინც არ არის ალბათ სწორი სიტყვა“, ფიქრობს თავის მხრივ ვაჟიშვილის შვილი, ჩაბნელებულ ფანჯარასთან ზის, გარეთ კი, ფანჯრის იქით, დადუმებული საყვირების მიღმა, სამყარო მწვანე რინდში განაბულა. „ბაბუაც დაუფიქრებლად პირში ეცემოდა ამ სიტყვის პირველივე მთქმელს“. ყოველივე ეს უფრო იმ მკაცრ, ჯერაც ფერგაუმკრთალ, არცთუ შორეულ დროში დაბრუნებას ჰგავდა, როცა ამ მიწაზე მცხოვრები კაცი თითქმის სრულებით არ ეკუთვნოდა საკუთარ თავს, წუთიც არ ჰქონდა ფუჭად დასაკარგი, და ის მცირედიც, რაც გააჩნდა, ერთნაირად უნდა დაეცვა და დაეფარა ბუნების ძალთაგანაც და ადამიანთაგანაც, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ნებისყოფას, საკუთარ გამძლეობას მინდობილს, რის საფასურადაც, ყოველ შემთხვევაში სააქაოში მაინც, არც შვების იმედი

შეიძლებოდა ჰქონოდა და არც მოსვენებისა. ეს იყო სწორედ მონობისა თუ მამის ჟინიანობისა და მკრეხელობის უარყოფის თავი და თავი. როცა პარტიზანულ ომში მონაწილეობდა, იმათ მხარდამხარ იბრძოდა, ვისი პრინციპებიც მის საკუთარ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა და თან ვერავითარ უცნაურობას ვერ გრძნობდა, არავითარი უცნაურობის შემჩნევა არ უნდოდა, უკვე მარტო ამით ადასტურებდა თვალნათლივ მის არსებაში ორი სხვადასხვა, ოღონდ მტკიცე ხასიათის ადამიანი რომ ჩაბუდებულიყო, რომელთაგანაც ერთ-ერთი იმ სამყაროში სახლობდა მარტივი კანონების კარნახით, სადაც სინამდვილისთვის ადგილი არ დარჩენილიყო.

მაგრამ მეორე, ნამდვილ გარემოში მოხვედრილი, სხვა დანარჩენებივით და ბევრზე უკეთესადაც ეგუებოდა ყველაფერს. არც მშვიდობიანობის დროს უღალატია თავისი პრინციპებისათვის და არც მერე, ომში წასულს შეუცვლია მრწამსი; როცა მშვიდობიან კვირა დილას, სადმე, მყუდრო წარაფში ქადაგება ჰქონდა ხოლმე წასაკითხი, მიდიოდა და კითხულობდა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნებისყოფით, საკუთარი რწმენითა და გზადაგზა შეძენილი ცოდნით აღჭურვილი; როცა ცეცხლის წვიმიდან დაჭრილების გამოყვანა, იმათი გადარჩენა და მკურნალობა უხდებოდა შიშველი ხელებით, ამ საქმესაც საკუთარი ძალღონის, საკუთარი სიმამაცისა და გზადაგზა, სახელდახელოდ შეძენილი ცოდნის წყალობით ართმევდა თავს. როცა ომი დამარცხებით დასრულდა, როცა შინ დაბრუნების შემდეგ სხვები ჯიუტად მისჩერებოდნენ, ჯიუტად არ აშორებდნენ თვალს იმას, რისი სიკვდილისა და დაღუპვის დაჯერებაც არამც და არამც არ სურდათ, ის, პირიქით, მუდამ წინ იცქირებოდა, ცდილობდა, დამარცხებიდანაც კი რამე სარგებლობა ენახა და რამენაირად ცხოვრებაშიც გამოეყენებინა ომში დაგროვილი გამოცდილება. ასე იქცა ექიმად. მისი ერთ-ერთი პირველი პაციენტთაგანი მისივე ცოლი გახდა. შეიძლება, მართლა გაუხანგრძლივა კიდეც სიცოცხლე. ყოველ შემთხვევაში, ახალი სიცოცხლისათვის მიაცემინა დასაბამი, თუმცა, ბავშვის დაბადებისას თვითონ ორმოცდაათისა შესრულდა, ცოლი კი ორმოცს იყო გადაცილებული. და აი, ეს ბავშვი ლანდების გარემოცვაში ცხოვრობდა და სულის გავლენით იზრდებოდა.

ლანდები მამა, დედა და ზანგი დედაბერი გახლდნენ. მამამ, უეკლესიო მღვდელმა და უმტერო ჯარისკაცმა, დამარცხების შემდეგ ორი ამ ცნების გაერთიანება მოახერხა და ექიმად, ქირურგად იქცა. თითქოს იმ ცივსა და ურყევ რწმენას, რომელიც, ასე ვთქვათ, წელგამართულს, ქედუხრელს ანარჩუნებინებდა წონასწორობას

პურიტანსა და მეომარს შორის, ეჭვი ან შიში კი არ შეეპარვოდა, პირიქით, მეტი სიბრძნეც შეეძინა დროთა განმავლობაში. თითქოს ზარბაზნების კვამლმა, როგორც ჩვენებამ თუ გამოცხადებამ, უეცრად თვალი აუხილა და დაარწმუნა, ხელდასხმა მხოლოდ პირდაპირად, მხოლოდ სიტყვასიტყვით უნდა გაიგოს კაცმაო. თითქოს მხოლოდ მაშინ ჩასწვდა ქრისტეს ნათქვამის ჭეშმარიტ არსს და დაიჯერა არავინ, არცერთი კაცი რომ არ ღირდა წამლობად და გადარჩენად, ვისიც მარტოოდენ სული საჭიროებდა წამლობას. აი, ასეთი გახლდათ ერთი ლანდი. მეორე ლანდი დედა იყო, დედის გახსენებისას მუდამ გალეული სახე, უშველებელი თვალები, ბალიშზე გადაფენილი შავი თმა და ცისფერი, უძრავი, გაძვალტყავებული ხელები უდგება ხოლმე თვალწინ, ბავშვობიდან დღემდე. დედის გარდაცვალების დღეს ვინმეს რომ ეთქვა, ოდესღაც ლოგინიდან წამომდგარიც გინახავსო, არასდიდებით არ დაუჯერებდა. არადა, მოგვიანებით მართლა ბევრი რამ გაახსენდა: თურმე ახსოვდა, როგორ დადიოდა, როგორ საქმიანობდა, როგორ უძღვებოდა საოჯახო საქმეს. ოღონდ, სანამ რვა, ცხრა, ათი წლისა იყო, დედა სულ უფეხებო, უტერფებო არსებად ჰყავდა წარმოდგენილი; გალეულ სახედ და ვეება თვალებად, რომელნიც თითქოს დღითიდღე სულ უფრო და უფრო დიდდებოდნენ, ალბათ ლამობდნენ, ყოველივე ხილული, ყოველივე ცოცხალი ერთ უკანასკნელ, საშინელ, იმედისგაცრუებით, ტანჯვით, ყველაფრის წინასწარ ცოდნით სავსე მზერაში მოემწყვდიათ და როცა მართლა ასე მოხდებოდა, ეგონა ხმასაც გაიგონებდა: ეს მზერა ყვირილივით შემზარავსა და ყურისწამლებ ხმას გამოსცემდა. დედის სიცოცხლეში ბევრჯერ კედლის იქიდანაც უგრძვნია მისი თვალების ძალა. თვალები სახლად ქცეულიყვნენ: ისიც ამ სახლში ცხოვრობდა, ჩასაქრობად განწირული სიცოცხლის ამ ბნელ, ყოვლისმომცველ, ყოვლისმომთმენ ანარეკლში, ისიც და დედამისიც, ორივე, ორი პატარა, უმწეო, ბუნაგსა თუ გამოქვაბულში განაბული მხეცი, რომლებსაც დროდადრო, მამაც მიაკითხავდა ხოლმე — ორივესათვის ერთანაირად უცხო, გარეშე, ლამის საშიში კაცი: ასე სწრაფად უცვლის სახეს, ასე სწრაფად ცვლის სულს სხეულის სიმრთელე და სიჯანსაღე, უცხოზე მეტიც: მტერი. მამას სუნიც სხვანაირი ჰქონდა, სხვანაირი ხმით ლაპარაკობდა, სხვა სიტყვებითაც, რადგან, ეტყობა, სხვა გარემოში, სხვა სამყაროში ბინადრობდა; დედის საწოლთან მობუზული ბიჭი გრძნობდა, როგორ ავსებდა ხოლმე ოთახს მამის, სინამდვილეში მათსავით უსუსური და სასოწარკვეთილი კაცის, უხეში ჯანმრთელობა და გაუცნობიერებელი, უსაგნო ზიზღი.

მესამე ლანდი ზანგი დედაბერი იყო, მონა ქალი, რომელიც ეტ-

ლით გაემგზავრა იმ დილას, როცა ვაჟიშვილი და რძალი ჯვარ-დაწერილები მობრუნდნენ შინ. მაშინაც მონა იყო და მერეც, როცა 66-ში უკან დაბრუნდა, ახლა უკვე ფეხით — ზონზროხა ქალი, სახეზე, ერთსა და იმავე დროს ფხუკიანობაც რომ ეწერა და სიმშვიდეც: ტრაგედიის შავი ნიღაბი წარმოდგენის ორ სურათს შორის. თავისი პატრონის სიკვდილის მერე, ვიდრე საბოლოოდ არ გადაეწურა იმედი, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, არ დარწმუნდა, ველარასოდეს ვნახავ ვერც იმას და ვერც ჩემ ქმარსო — „ბიჭს“, პატრონს რომ გაჰყოლოდა ომში და ისიც უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო — ცოცხალი თავით არ სურდა უფროსი ჰაითაუერის სოფლური სახლის მიტოვება, რომლის მოვლა-პატრონობაც, ომში წასვლის წინ, პატრონს მისთვის ჩაებარებინა. მამის სიკვდილის შემდეგ ვაჟმაც ჩააკითხა, სახლის დასაკეტად, მამისეული ნივთების წამოსაღებად, და შესთავაზა, რითიც გინდა უზრუნველგყოფ სიცოცხლის ბოლომდეო. ქალმა უარი უთხრა. არც შინ გამოჰყვა. თავისი ხელით მოიწყო პატარა ბოსტანი და იქ დარჩა, მარტოდმარტო; ქმრის დაბრუნებას ელოდებოდა, არაფრით იჯერებდა იმის დაღუპვის ამბავს. ჭორად გაეგო ეს ამბავი, ყურმოკვრით: როგორ დაღუპულა პატრონი ჯეფერსონში, გრანტის საწყობებზე ვან დორნის მხედრობის თავდასხმისას და როგორ დაუტოვებია ობლად თავისი უნუგეშო ზანგი. მერე, ერთ ღამესაც, თურმე ზანგი ბანაკიდან გამქრალა. ცოტა ხნის მერე კი ყველა ვიღაც შეშლილ ზანგზე ალაპარაკდა, რომელიც, თურმე მტრის ფრონტის ხაზთან კონფედერატთა ხან ერთ პიკეტს გადაეყრებოდა ხოლმე, ხან მეორეს და ჯიუტად ერთსა და იმავე აბდა-უბდას უამბობდა — დაკარგული პატრონის ამბავს, რომელიც იანკებს შეეპყროთ და ახლა დიდ გამოსასყიდს ელოდებოდნენ. ოდნავი ეჭვიც კი ვერ გაუღვივეს, ეგება მოკვდა შენი პატრონიო. — არა, სერო, გაიძახოდა. მარსა გეილი? აბა რას ამბობთ? ჰაითაუერის მოკვლას ვინ გაბედავდა. სადღაცა ჰყავთ დამწყვდეული, უნდათ გამოტეხონ და ათქმევინონ, სად დავმალეთ მე და იმან ქალბატონის ნაქონი ყავადანი და ოქროს ლანგარი. ეგ არის და ეგო. ყოველთვის ახერხებდა თავის დაძვრენას. მაგრამ, ერთ დღესაც ხმა გავარდა, მტრის პოზიციების შორიახლოს ნიჩბით შეიარაღებული ზანგი იანკების ოფიცერს დაესხა თავს და იმანაც ესროლა, რა ექნა, თავს ხომ ვერ მოაკვლევინებდაო.

ქალი კარგა ხანს არ იჯერებდა. — განა ჭკუა დაუშლიდაო, ამბობდა. — უბრალოდ, ტვინიც არ ეყოფოდა იანკი ეცნო და ნიჩაბი მოეღერებინა, გინდაც მართლა გადაყროდა სადმეო. წელიწადზე მეტხანს იმეორებდა ერთსა და იმავეს. მერე, ერთ დღეს ისევ გამოჩნდა პატრონისეულ ძველ კარმიდამოში, საიდანაც ათი წლის წინ ამოეკვეთა

ფეხი და საითაც მერე ერთხელაც აღარ გამოეხედა, მოდიოდა, თავისი ავლა-დიდება ხილაბანდში გამოკრული მოჰქონდა. შინ შევიდა და თქვა: — აი, მოვედი. დაჩეხილი გაქვთ შეშა, ვახშამი რომ მოგიმზადოთო?

„შენ ახლა თავისუფალი ხარ!“ უთხრა პატრონის ვაჟიშვილმა.

„თავისუფალი?“ გაიმეორა ქალმაც. მშვიდი, ფიქრიანი ზიზღით ლაპარაკობდა. „თავისუფალი? რა მომცა მაგ თქვენმა თავისუფლებამ იმის მეტი, მარსა გეილი რომ შეიწირა და პომპიც იმაზე მეტად გამოასულელა, ვიდრე მამა ღმერთსა ჰყავდა გაჩენილი? თავი-სუფალი...“ კრინტიც აღარ დაძრათ ჩემთან თავისუფლებაზე.

ეს იყო მესამე ლანდი. ამ ლანდთან ბიჭი („მაშინ თვითონაც ლანდი“, ფიქრობს ახლა ბნელ ფანჯარასთან მიმჯდარი იგივე ბიჭი) სულის შესახებ საუბრობდა. უსასრულოდ, გაუთავებლად ლაპარა-კობდნენ: ბიჭი აღტაცებული, თვალებგაბრწყინებული, ერთდროულად შეშინებულიცა და გახარებულიც, ბებერი ქალი კი ფიქრიანი, გააფთრებული სიანანულითა და სიამაყით შეპყრობილი. თუმცა, ეს შიშიც უფრო სიამოვნების ჟრუანტელს ჰგავდა. ოდნავადაც არ აძრწუნებდა იმის ცოდნა, ბაბუამისი, თურმე, „ასობით“ რომ ხოცავდა ხალხს — ასე ეუბნებოდნენ, ასე სჯეროდა, — სრულებით არ უკვირდა, სანამ თავის წილ ტყვიას მიიღებდა, მოხუც პომპსაც მოსაკლავად რომ გაეწია ვიღაცაზე. ზანგი ქალის ნაამბობი საშინელებად არასოდეს მოსჩვენებია, რადგან ბაბუაცა და პომპიც მისთვის უბრალოდ სულები იყვნენ, თვალით უხილავი, უხორცო, გმირული, მარტივი, მახლობელი სულები; აი, მამა კი, ასეთი ნაცნობი, ასეთი უცხო და ასეთი საშიში, ლანდი იყო და სიკვდილიც არ ეწერა. „რაღა გასაკვირია, მამა თუ არ მყოლია და მანამდე მოვკვდი, ერთ ბნელ ღამეს, ოცი წლით ადრე, სანამ სამზეოს მოვევლინებოდი. ამიტომაც, თუკი ხსნა და გადარჩენა მინდა, იქ უნდა დავბრუნდე, იქ უნდა მოვკვდე ხელახლა, სადაც ჩემი სიცოცხლე დაწყებამდე დასრულდა“.

პირველ ხანებში, როცა ჯერ ახალი დაწყებული ჰქონდა სემინარიაში სწავლა, ხშირად უფიქრია, როგორ გაუმხელდა თავის გულისნადებს ეკლესიის მამებს, დიდებულ და კურთხეულ ადამიანებს, ვისაც საკუთარი ნებასურვილით მინდობოდა. მივიდოდა და ეტყოდა, „მისმინეთ. უფალმა უთუოდ ჯეფერსონში უნდა მიხმოს, რადგან იქ, სწორედ ჯეფერსონის ერთ-ერთ ქუჩაზე შეწყდა ჩემი სიცოცხლე, ტყვიამ დაუსვა წერტილი გაჭენებული ცხენის უნაგირზე ერთ ღამეს, ოცი წლით ადრე, ვიდრე დაიწყებოდა“. თავიდან ფიქრობდა, მოვახერხებ ყოველივე ამის თქმასო. სჯეროდა — გამიგებენ კიდეცო. აკი, მოწოდებაც ამიტომ, ამ მიზნით აერჩია მხოლოდ. თუმცა,

ურწმუნოც არ ეთქმოდა. ეკლესიისა გულით სჯეროდა, სჯეროდა ყველაფრისა, რასაც ეკლესია ასხივებდა და აცოცხლებდა. მშვიდი სიხარულით გახარებულს მტკიცედ სწამდა, თუკი საერთოდ არსებობს კაცთათვის თავშესაფარი, ეს თავშესაფარი მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიაა; თუკი სადმე შეუძლია სიმართლეს დაუმორცხვებლად და უშიშრად შიშვლად სიარული, მხოლოდ და მხოლოდ სემინარიის კედლებში შეუძლიაო. და როცა არჩეული მოწოდების სისწორეში რწმუნდებოდა, თითქოს თვალნათლივაც ხედავდა ხოლმე მომავალს, მომავალ ცხოვრებას, მყარს, კლასიკური ლარნაკივით ყოველმხრივ სრულყოფილსა და გაუბზარავს. ამ ცხოვრებაში, ყოველდღიური ფუჭი და ამაო ქარიშხლებისგან დაცული სული ხელახლა დაიბადებოდა და ასევე მოკვდებოდა კიდეც — მშვიდად, შორეული, ამაოდ დამშვრალი ქარის ხმაურში, მხოლოდ და მხოლოდ ერთ პეშვ გახრწნილ მტვერს განშორებული. აი, რას ნიშნავდა მისთვის სიტყვა სემინარია: საიმედო და შეუვალ კედლებს, სადაც მშფოთვარე, სამოსით შებორკილი სული ხელახლა მიეჩვეოდა უდრტვინველობასა და საკუთარი სიშიშვლის თამამად, ძრწოლის გარეშე ცქერას.

„მაგრამ ბევრი რამ ხდება ზეცად და ქვეყნად, რაც სიმართლეს სიზმრად არც კი მოლანდებია“, ფიქრში ცვლის, ფიქრში ასხვაფერებს ნაცნობ სიტყვებს, მშვიდად, არც დამცინავად და არც მხიარულად; თუმცა, არც მთლად დაცინვისა და მხიარულების გარეშე. ისევ ფანჯარასთან ზის, მისი თეთრდოლბანდიანი თავი ჩამუქებულ ბინდბუნდში ილანდება და თითქოს უფრო გაზრდილა, უფრო მეტად დამსგავსებია მოჩვენებას, ვიდრე ოდესმე. „ნამდვილად ბევრი რამ ხდება“, იმეორებს, ფიქრობს — ეტყობა, გამომგონებლობის უნარი საიმისოდ მიეცა კაცს, რათა გარდატეხისა და ძნელბედობის ჟამს სიმართლისაგან თავდასაცავი სახეები და ხმები მოიშველიოსო. ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც არ დარჩენია სანანებლად: შეცდომა არ მოსვლია და საკუთარი გულისნადები სემინარიის მესვეურთათვის არ გაუმხელია. ჯერ სწავლის ერთ წელიწადსაც არ გაევლო, როცა მიხვდა, რა გამოუსწორებელი სისულელის ჩადენას აპირებდა თავიდან. თუმცა, უარესი სხვა იყო: მიხვედრამ არამცთუ არაფერი დააკარგვინა, პირიქით, რაღაცას გადაარჩინა და რაღაც შესძინა კიდეც. და სწორედ ამ შენაძენმა სულ სხვა ხასიათი და ელფერი მიანიჭა მის სიყვარულს.

მღვდლის, კოლეჯის ერთ-ერთი მასწავლებლის დედისერთა ქალიშვილი შეუყვარდა. ვიდრე ნახავდა, ვიდრე ჯერ მხოლოდ სხვათა ნაამბობით იცნობდა, უკვე მაშინ ირწმუნა უყოყმანოდ მისი სილამაზე, ხოლო როცა თვითონაც გაიცნო, როცა, ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ნახა, თვალწინ მაინც ისევ წარმოსახული, ოცნებით წინასწარ შექმნილი ხატება ედგა და არა სატრფოს ნამდვილი სახე. უბრალოდ, მისი ღრმა რწმენით, შეუძლებელი იყო ვინმეს მთელი ცხოვრება ამ კედლებში გაეტარებინა და მშვენიერი არ ყოფილიყო. სამი წელი იარა ასე დაბრმავებულმა. იმ დროისათვის უკვე ორი წელიწადია ხის ფულურიში ერთმანეთს ბარათებს უტოვებდნენ. არასოდეს დაფიქრებულა, თორემ უეჭველად იტყოდა, ორივეს ერთდროულად გაგვიჩნდა ამის მოთხოვნილებაო, ერთდროულად დაგვებადა მსგავსი აზრი და რა მნიშვნელობა აქვს, პირველმა ვინ თქვა ხმამაღლაო. არადა, სინამდვილეში, იდეა წიგნმა უკარნახა, წიგნმა ჩააგონა ერთსაც და მეორესაც. სახეს კი ჯერ ისევ ვერ ხედავდა. ვერ ხედავდა პატარა, ხელისგულისოდენა ოვალს, რომელიც უცებ, მკვეთრად ვიწროვდებოდა ნიკაპთან და ვერ იტყოდი, უფრო უკმაყოფილებას გამოხატავდა თუ ჟინიანობას (სატრფო მასზე ერთი, ორი ან, იქნებ, სამი წლითაც უფროსი იყო, თუმცა ეს ვერც თავის დროზე შეიტყო და უკვე ვერც ვეღარასოდეს შეიტყობდა). სამი წელი არ შეუმჩნევია, მოგების იმედგადაწურულ მოთამაშესავით როგორი დაძაბული მოლოდინით, ლამის სასოწარკვეთილი ანგარიშით შესცქეროდნენ მისი თვალები.

მერე, ერთ ღამესაც, თვალი აეხილა, ბოლოს და ბოლოს, პირველად დაინახა. ქალმა მოულოდნელად და დაურიდებლად ქორწინებაზე ჩამოუგდო სიტყვა. გაუფრთხილებლად, ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე. მანამდე ქორწინებაზე არასოდეს ულაპარაკიათ. თვითონ ფიქრითაც არ უფიქრია, ალბათ, სიტყვა „ქორწინებაც“ აღარ ახსოვდა. თუმცა, მისი წინააღმდეგიც არ ყოფილა, რადგან ხედავდა, პროფესორ-მასწავლებელთა უმრავლესობა ცოლ-შვილიანი ხალხი იყო. უბრალოდ, ცოლ-ქმრობა მისთვის მამაკაცისა და ქალის ღვთითკურთხეულ, ბუნებირივ ფიზიკურ სიახლოვეს კი არ ნიშნავდა, არამედ ცოცხალ არსებათათვის დაწესებულ, ჩვეულებად ქცეულ მკვდარ ურთიერთობას — ჯაჭვის ჩრდილით გადაჯაჭვულ ორ ჩრდილს. ამას მისჩვეოდა კიდეც; აკი ლანდებისა და სულების გარემოცვაში იზრდებოდა. და აი, ერთ საღამოსაც ქალმა მოულოდნელად, გაცხარებით დაიწყო ლაპარაკი. როცა, ბოლოს და ბოლოს, მის ნათქვამს ჩასწვდა, როცა მიხვდა, რას გულისხმობდა ამჟამინდელი ცხოვრებისაგან გათავისუფლებაში, არაფერი გაჰკვირვებია. მეტისმეტად მიამიტი იყო და იმიტომ. „გათავისუფლება?“ ჰკითხა ქალს; „რისგან გინდა გათავისუფლება?“

„ამისგან!“ უპასუხა ქალმა. მაშინ პირველად დაინახა ქალის სახე, ცოცხალ სახედაც პირველად აღიქვა, წადილისა და სიძულვილის წინ აფარებულ ნიღბად: დაძაბული, ბრმა, ჟინსაყოლილი. ოღონდ,

არა უაზრო: მხოლოდ ბრმა, განუსჯელი და სასოწარკვეთილი. „ყველაფრისგან! ყველაფრისგან! ყველაფრისგან!“

სრულებითაც არ გაჰკვირვებია. მაშინვე ირწმუნა მისი სისწორე, იმასაც მიხვდა, მე აქამდე არაფერი გამეგებოდაო. დაიჯერა, მთელი ამ ხნის მანძილზე სულ არასწორი წარმოდგენა მქონდა სემინარიაზეო. არასწორი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ყალბი, მცდარი მაინც. შეიძლება, თვითონ არც იცოდა და ამ დროისათვის უკვე საკუთარ თავშიც შეჰპარვოდა ეჭვი. შეიძლება, ამიტომაც არ გაამხილა, რად მიილტვოდა ასე ძლიერ ჯეფერსონისაკენ. ქალს კი უამბო, ერთი წლის წინ უთხრა, რატომ სურდა, რატომ იყო ვალდებული, მაინცდამაინც, ჯეფერსონში წასულიყო და არც ის დაუმალავს, როგორ აპირებდა სემინარიის მესვეურთათვისაც გაენდო წასვლის მიზეზი, ის კი ჯერაც მისთვის უჩინარი თვალებით მისჩერებოდა. „გგონია არ გამიშვებენ?“ ჰკითხა ბოლოს. „არ შემიწყობენ ხელს? უსაფუძვლოდ ჩათვლიან ჩემს მიზეზს?“

„რა თქმა უნდა“, უპასუხა ქალმა.

„კი მაგრამ, რატომ? ეს ხომ სიმართლეა. შეიძლება სულელური, მაგრამ სიმართლე. მაშ რიღასთვისაა ეკლესია, თუ არა სიმართლეს მოწყურებულ სულელთა დასახმარებლად? რატომ არ უნდა გამიშვან?“

„მე რომ ვიყო იმათ ადგილას და ჩემთვის რომ გეთქვა ეგ მიზეზი, არც მე გაგიშვებდი“.

„ჰოო“, თქვა მან. „გასაგებია“. მაგრამ, სინამდვილეში, ვერაფერსაც ვერ მიხვდა, უბრალოდ, ბრმად ირწმუნა მისი ნათქვამი, რადგან, ეტყობა, ბოლომდე არც საკუთარ სიმართლეში ყოფილა დარწმუნებული. ჰოდა, როცა ერთი წლის მერე ქალი მოულოდნელად ერთნაირი, ერთი და იმავე სიტყვებით ალაპარაკდა ქორწინებაზეც და გათავისუფლებაზეც, არც გაჰკვირვებია და არც სწყენია. მხოლოდ მშვიდად გაიფიქრა, — აი, თურმე რა ყოფილა სიყვარული. ახლა გასაგებია. ეტყობა, ესეც მეშლებოდაო, იმავეს ფიქრობდა, რაც ადრეც ეფიქრა, რასაც კვლავაც იფიქრებდა, რაც საერთოდ ყოველ მამაკაცს უფიქრია თავის დროზე: ცხოვრებასთან შედარებით, რაოდენ ყალბი, რაოდენ მცდარი აღმოჩნდება ხოლმე თუნდაც ყველაზე ბრძნული წიგნიო.

ერთბაშად, თავფეხიანად შეიცვალა. მერე ქორწილის გეგმებიც დააწყვეს. ახლა უკვე იცოდა, მთელი ამ ხნის მანძილზე ვხედავდი სასოწარკვეთილ ანგარიშს ქალის თვალებშიო. — შეიძლება, მართლებიც იყვნენ, როცა სიყვარულს წიგნებში მიუჩინეს ბინაო, ფიქრობდა მშვიდად. — შეიძლება, სხვაგან არც არსად შეუძლია სიყვარულს არსებობაო. სასოწარკვეთა და მოლოდინი ჯერ მთლად არ გამქრალიყო, მაგრამ

ახლა, როცა გარკვეული გეგმები დაისახა, როცა ქორწინების დღეც დაითქვა, ქალის თვალებმა მეტი სიმშვიდე შეიძინეს, უპირატესად მხოლოდ ანგარიშილა დარჩა მათში. უმთავრეს საზრუნავად მისი კურთხევა იქცა, რამენაირად სწორედ ჯეფერსონში მისი გამწესება. — ჯობია დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმესო, ამბობდა ქალი. — ოთხი წლისა რომ გავხდი, ამ საქმეს მაშინ შევუდექიო — უთხრა; შეიძლება ხუმრობდა ჰიდეც, თავს იწონებდა. მაგრამ ქალმა არ აცალა, პასუხიც არ აღირსა, მოუთმენლობით შეპყრობილმა, გაბრაზებულმა შეაწყვეტინა სიტყვა და, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, ისევ მოჰყვა, ვინ უნდა ენახათ პირველ რიგში, ვისი მოთაფლვა აჯობებდა, ვისი კი — დაშინება: დამცირებისა და შეთქმულების მთელი კამპანია დაუხატა თავიდან ბოლომდე. ისიც უსმენდა. სახეზე ულონო, ეშმაკური, დამცინავი ან, იქნებ, სასოწარკვეთილი ღიმილი შეჰყინვოდა. — ჰო. ჰო. გასაგებია. მესმისო — ჩაურთავდა ხოლმე დაბნეულად. თითქოს ამბობდა **ჰო. გასაგებია. ახლა მართლა გასაგებია. აი თურმე როგორ კეთდება საქმე. აი, თურმე როგორ აღწევენ საწადელს. ასეთი ყოფილა წესი. ახლა კი გასაგებია**

თავიდან, როცა დემაგოგიამ, დამცირებამ, პატარ-პატარა, წვრილმანმა ტყუილებმა საეკლესიო იერარქიტის მხრიდანაც პატარა ტყუილები, თხოვნისა თუ რჩევის ფორმით შენიღბული ამკარა მუქარა გამოიწვია, რაც, ბოლოს, მაინც მისი ჯეფერსონში გამწესებით დასრულდა, ერთი პირობა დაავიწყდა კიდეც, რა ფასად მიეღწია საწადელისათვის. არ გახსენებია, ვიდრე ჯეფერსონში არ ჩავიდა; ყოველ შემთხვევაში, მგზავრობის უკანასკნელ ეტაპზე ნამდვილად არ ახსოვდა, მაშინ, როცა მატარებელი ცხოვრების საბოლოო მიზნისკენ, ცხოვრების გვირგვინისაკენ მიაქანებდა, ბავშვობიდან ნაცნობ მიდამოში მიქროდა. ოღონდ, ეს მიდამო მაინც სხვაგვარად გამოიყურებოდა და ამ სხვაობის მიზეზი, როგორც თვითონ ფიქრობდა, გარეთ კი არა, ვაგონის ფანჯრის შიგნით იყო საძებარი, იმ ფანჯრისა, რომელზედაც ბავშვივით მიეჭყლიტა ცხვირი, გვერდით კი ცოლი ეჯდა და მოლოდინსა და სასოწარკვეთასთან ერთად, სახეზე ჯერაც უცნობი ხალისიც დასთამაშებდა. უკვე თითქმის ექვსი თვის ცოლ-ქმარი ერქვათ. სემინარია დაამთავრა თუ არა, მაშინვე იქორწინეს. იმ დღიდან მოყოლებული, ცოლის სახეზე ერთხელაც აღარ უნახავს აშკარა სასოწარკვეთა. აღარც სასოწარკვეთა და აღარც ჟინი, ორივე გამქრალიყო. და ისიც მშვიდად ფიქრობდა, არც გაოცებული და არც მაინცდამაინც ნაწყენი: **გასაგებია. ეტყობა, ასე ყოფილა საჭირო. ეტყობა, ესაა ქორწინება. ჰო. ახლა კი გასაგებია**

მატარებელი მიქროდა. ფანჯარას შეზრდილი, ფანჯრის იქით შურდულივით ჩაქროლილ სოფლურ პეიზაჟებს მიშტერებული, ბავშვივით აღტაცებული, ბავშვურად ბედნიერი ხმით ლაპარაკობდა: „ადრეც შემეძლო ჯეფერსონში ჩამოსვლა, ნებისმიერ დროს. მაგრამ არ ჩამოვსულვარ. როცა მოვისურვებდი, მაშინ წამოვიდოდი. იცი, დიდი განსხვავებაა მშვიდობიანობისა და ომიანობისდროინდელ შემთხვევითობებს შორის. თუმცა, განა ყველაფერი ომიანობის დროინდელი შემთხვევითობით აიხსნება? არა, მათი საქციელი განწირულთა ბოლო გაბრძოლებას უფრო ჰგავდა. ერთმა მუჭა ჯარისკაცებმა (ოფიცრობას ვერ მიაღწია: მე მგონი ერთადერთი, რაზეც მამა და მოხუცი სინტი არ კამათობდნენ ეს იყო: ბაბუას წელზე ხმალი არ ერტყაო, ყველაზე წინ კი დააგელვებდა ცხენს, ოღონდ ხმალს კი ნამდვილად არ იქნევდაო), მოწაფე ბიჭებივით, განუსჯელად, მოუფიქრებლად, ერთმანეთს აყოლილებმა, ისეთი გაბედული ოინი წამოიწყეს, ოთხი წელი მათთან მეომარი, ოთხი წლის განმავლობაში იმათგან ყველაფერს შეჩვეული მტერიც კი სახტად დატოვეს და გააკვირვეს. მართლაც, აბა წარმოიდგინე, ასი მილი იარო ჭენებ-ჭენებით იმ მხარეში, სადაც ყოველ სოფელში, ლამის ყოველი ხის უკან იანკების ბანაკია გაშლილი, მერე საგარნიზონო ქალაქშიც შეიჭრა და... სულ თვალწინ მიდგას ის ქუჩა, რომლითაც ქალაქში შეცვივდებოდნენ და ქალაქიდან გაცვივდებოდნენ. მართალია, არასოდეს მინახავს, მაგრამ ზუსტად ვიცი, როგორი იქნება. სახლიცა მაქვს წარმოდგენილი იმ ქუჩაზე, ჩვენი მომავალი სახლი. თავიდან, ცოტა ხანს, სამრეკლო სახლში მოგვიწევს დაბინავება, მაგრამ მალე, როგორც კი შესაძლებლობა მოგვეცემა, საკუთარ სახლს ვიყიდით, იქ გადავალთ, ფანჯარასთან დავსხდებით და მარტო ქუჩას კი არა, ქუჩაში ფლოქვების ანაბეჭდებს თუ ჰაერში იმათ ლანდებსაც დავინახავთ, ჰაერი ხომ ახლაც იგივე იქნება, გინდაც მაშინდელი მტვრისა და ტალახის ნასახიც აღარ იყოს დარჩენილი... მშვიერები, გაძვალტყავებულები, ყიჟინით უკიდებენ ცეცხლს გულდაგულ დაგეგმილი, ხანგრძლივი კამპანიისთვის მომარაგებული სურსათ-სანოვაგის საწყობებს და უკან მოქრიან. საწყობების გაძარცვა აზრადაც არ მოსდით: ფეხსაცმელი და თამბაქოც კი არ მოაქვთ თან. ადრეც მითქვამს შენთვის, ალაფსა თუ დიდებას არასოდეს ყოფილან-მეთქი დახარბებულნი. ბიჭები იყვნენ და სასოწარკვეთილი თავგანწირვის ვეება ტალღას მოქცეოდნენ ზურგზე. ბავშვები. ესაა მთავარი. ესაა სწორედ მშვენიერი. მისმინე. ეცადე გამიგო. მათი საქციელი იმ მარადიული სიჭაბუკისა და კეთილშობილ მისწრაფებათა ლამაზი გამოხატულებაა, რაც გმირებს ბადებს და აყალიბებს. რაც გმირების

ნამოქმედარს წარმოუდგენლის, დაუჯერებლის მიჯნას უახლოებს და ამიტომაც აღარავის უკვირს, როცა მათი ნამოქმედარი კვამლის ჯანღში თოფის გასროლასავით იელვებს ხოლმე ჟამიდან ჟამ, ამიტომაა მათი მიწიერი ყოფაც, ათასგვარი, ათასი სახის მითქმა-მოთქმის საბაბი რომ ხდება ვიდრე სულს განუტევებენ, ვიდრე უკანასკნელი სუნთქვა აღმოხდებათ — რათა პარადოქსულმა სიმართლემ თავი არ შეირცხვინოს. სწორედ ამას მიამბობდა სინტი. და მეც მჯერა. მე ვიცი. იმდენად მხიბლავს მისი ნაამბობი, შეუძლებელია რაიმე ეჭვი გამიჩნდეს. თან მეტისმეტად ლამაზიცაა, მეტისმეტად მარტივი თეთრკანიანის ფანტაზიისათვის. აუცილებლად ზანგს უნდა გამოეგონა ეს ყველაფერი. და თუკი სინტიმ მართლაც გამოიგონა, მე მაინც მჯერა. მჯერა, რადგან, ამ გამონაგონის გაქარწყლება ჭეშმარიტებასაც არ შეუძლია. არ ვიცი, ბაბუის ესკადრონს გზა დაებნა თუ არა. თუმცა, არა მგონია გზა დაბნეოდა. მე მგონი, შეგნებულად მოიქცნენ ასე, ონავარი ბიჭებივით ცეცხლს მისცეს მტრის ბელელი, ერთი ყავრისთვის, ერთი ლურსმნისთვისაც არ უხლიათ ხელი, ისე გამოცვივდნენ უკან და უკანა გზაზე მეზობლის, მოკეთის ბაღიდან უცებ ვაშლის მოპარვა მოეგუნებათ. არ დაგავიწყდეს, მშივრები იყვნენ. სამი წელი შიმშილობდნენ. ალბათ, მიეჩვივნენ კიდეც შიმშილს. ასეა თუ ისე, ტონობით სურსათ-სანოვაგეს, ტანსაცმელს, თამბაქოს და სასმელს ცეცხლი წაუკიდეს და ცარიელ-ტარიელნი გამობრუნდნენ უკან, თუმცა კანონით ძარცვა არავის აუკრძალავს მათთვის, გამობრუნდნენ და თავზარდამცემი, აბრიალებული ხანძარი დატოვეს უკან; თავად ცას უნდა წაჰკიდებოდა ცეცხლი. თითქოს გესმის და ხედავ — ყვირილს, სროლას, გამარჯვებისა და შიშის ყიჟინას, ფლოქვების თქარათქურს, წითლად მოკაშკაშე ცისკენ აზიდულ, თითქოს თავზარდაცემისგან გაშეშებულ ხეებს და სახლების წაწვეტებულ თავხეებს — აფეთქებული და განწირული მიწის დაკბილულ კბოდეს. ბოლოს მოფარებულ ადგილას იყრიან თავს: გრძნობ, გესმის სიბნელეში როგორ ძლივძლივობით აოკებენ ცხენებს; იარაღი ჟღარუნებს; ისმის ხმამაღალი ჩურჩული, მძიმე სუნთქვა, ჯერაც მოზეიმე, მხიარული ხმები; სადღაც, უკან, შეერთების მაუწყებელი საყვირებისკენ ჭენებ-ჭენებით ჩაიქროლებს ჯარი. ეს უნდა გაიგონო, უნდა იგრძნო: მერეღა დაინახავ. ვიდრე თოფი იგრიალებდეს, მანამდე დაინახავ წამიერ წითელ გაელვებას, რომელიც მოულოდნელად გაანათებს ცხენების დაფეთებულ თვალებს, დაბერილ ნესტოებს, ოფლით დაცვარულ, გადაგდებულ თავებს; ლითონის ათინათს, გაფითრებულ, ჩამომხმარ სახეებს ცოცხალი საფრთხობელებისა, ვისაც აღარც კი ახსოვთ,

უკანასკნელად როდის ჭამეს ძღომაზე; ზოგი შეიძლება უკვე ჩამოქ-
ვეითდა კიდეც, შეიძლება ვიღაც საქათმეშიც შევიდა — და ამას
ყველაფერს მანადე ხედავ, ვიდრე სანადირო თოფი იგრიალებდეს:
მერე ისევ წყვდიადი ისადგურებს ირგვლივ. ერთადერთხელ გავარდა
თოფი. „და, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც იმას უნდა შეეშვირა
ტყვიისთვის თავი“-ო, ამბობდა ხოლმე სინტი. „წიწილებს იპარავდა.
ასაკოვანი კაცი, ცოლიანი ვაჟიშვილის პატრონი, ომში იანკების საულეტად
წავიდა, არადა ვიღაცის საქათმეში მოკლეს, მელიასავით. წიწილებს
იპარავდა“. ბავშვივით ხმამაღლა ლაპარაკობდა, აღფრთოვანებას
ვერ მალავდა. ***ჩჩჩუუუ! ჩჩჩუუუ! ბალხი გიყურებს*** მკლავზე
ებღაუჭებოდა ცოლი, მაგრამ არაფერი ესმოდა, არაფერი ეყურებოდა.
მისი გამხდარი, ავადმყოფური სახე და მისი თვალები თითქოს
რაღაც მხურვალე შუქს ასხივებდნენ. „ჰო, ასე იყო. არავინ იცოდა,
ვინ ისროლა. ვერც გაიგეს, არც უცდიათ გარკვევა. შეიძლება ქალმაც
ესროლა, ალბათ ვინმე კონფედერატი ჯარისკაცის ცოლმა. მე მომწონს
ასე ფიქრი. ასე უფრო ლამაზია. ნებისმიერი ჯარისკაცი შეიძლება
მოკლას მტერმა გახურებულ ბრძოლაში, ომის კანონმდებლებისა და
მეუფეების მოწონებული იარაღით. ანდა ქალმა საძინებელ ოთახში.
ოღონდ, არა სანადირო თოფით, არა საფანტით, არა საქათმეში.
ჰოდა, მაშ განა გასაკვირია, ეს ქვეყანაც უმთავრესად მკვდრებით
თუა დასახლებული? რა თქმა უნდა, იმათი შთამომავლობის შემხედ-
ვარე, ღმერთსაც აღარ ეთაკილება ჩვენთან წილის გაყოფა“.

„გაჩუმდი! ჩჩჩუუუ! ყველა ჩვენ გვიყურებს!“

მატარებელი ნელ-ნელა შედიოდა ქალაქში; ფანჯარაში ჭუჭყიანი
გარეუბნები მისრიალებდნენ და უჩინარდებოდნენ. ის ისევ გარეთ
იყურებოდა — გამხდარი, ოდნავ დაუდევარი, ჯერაც საკუთარი
მოწოდებისა და დანიშნულების დაუბინდავი შუქით განათებული კაცი
— მოუთმენლობისგან საგულედან ამოსასტომად გამზადებული გულის
დამშვიდებას, ჩაბრუნებას, დაოკებას ცდილობდა და ფიქრობდა,
სამოთხესაც უეჭველად ნაბისმიერი იმ სოფლის, გორაკისა თუ ქოხმახის
ფერი და იერი ექნება, რაზეც მორწმუნე ამბობს — აი, ჩემი სახლი და
სამშობლოო. მატარებელი გაჩერდა. ფეხათრევით გაუყვა სკამებს შორის
ვიწრო გასასვლელს, კისერმოღრეცილი, მალიმალ ისევ უკან, ფანჯრისკენ
იცქირებოდა და როგორც იქნა, ბაქანზე ჩამოვიდა, სადაც ნაძალადევად,
ზრდილობის გამო მომღიმარი, მედიდური, დაძაბული სახეები
ელოდებოდნენ: ჩურჩული, დაუბოლოვებელი ფრაზები, ბოლომდე
გაუგებარი სიტყვები ეგებებოდნენ — თავაზიანი, მაგრამ ჯერ მაინც
არაფრისმთქმელი სიტყვები, ჯერ კიდევ არამეგობრული და (სიმართლეს

თვალს ვერ მოუხუჭავ) ეჭვიანი. „და მე დავთანხმდი ამას“, ფიქრობს
ის. „ნამდვილად დავთანხმდი. ოღონდ, ღმერთო შემინდე და, სხვა
ხომ არაფერი ჩამიდენია“. მინა ლამის აღარ ჩანს, მთლად გაუჩინარდა.
ღამემ საბოლოოდ მოიკრიბა ძალა. დოლბანდით დამახინჯებულ
მის თავს წონა და სიმკვრივე დაუკარგავს; უძრავად გამოკიდულა
ჰაერში ორი ტყუპი ლაქის — გამოღებული ფანჯრის რაფაზე
ჩამოწყობილი ხელების — ზემოთ. მერე თვითონაც ფანჯრიდან
გადაიხრება. გრძნობს, საცაა ერთმანეთს უნდა შეერწყას ორი წამი:
ერთი მისი ცხოვრების ჯამია, ხელახლა, ყოველდღიურად რომ
ანახლებს საკუთარ თავს ბინდბუნდისა და წყვდიადის მიჯნაზე,
მეორე კი, მარადუცვლელი, გაქვავებული — ***მალე უკვე მალე***
უკარნახებს ცოტახნის შემდეგ. როცა უფრო ახალგაზრდა იყო,
როცა მოთმინების ძაფი მოლოდინს ძნელად ეგუებოდა, ზოგჯერ
თავს იტყუებდა, თავს ჩააგონებდა, თითქოს დათქმული, დანიშნული
დროის მოახლოვებამდეც ესმოდა ხოლმე გნიასი და თქარათქური.

— შეიძლება, მთელი ცხოვრება სხვა არც არაფერი მიკეთებიაო,
ფიქრობს, მერე ფიქრში სახეებიც ამოტივტივდებიან: მისი ახალგაზრ-
დობისადმი ბუნებრივი ეჭვის თვალით მაცქერალი, ეკლესიის ბედიტ
შეშფოთებული მოხუცებისა, რომელნიც სწორედ ისე აბარებდნენ ამ
ეკლესიას, როგორც საპატარძლოს მამა აბარებს შვილს მომავალ
სიძეს: ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული იმედის გაცრუებითა და ეჭვით
დაღარულ სახეებს, რაც, ხშირად, ღრმა, ოღონდ ჯერაც ჭარმაგი
და ჯანმაგარი სიბერის პორტრეტის უკანა მხარესაც წარმოადგენს
ხოლმე, სხვათა შორის, იმ მხარეს, რომელსაც პორტრეტის მოდელი
და მფლობელიც ვერაფრით აარიდებს თვალს, უნდა თუ არა, მაინც
უნდა უცქიროს. „იმათ თავიანთი როლი პირნათლად შეასრულეს;
ყველა წესი დაიცვეს“, ფიქრობს ის. „მე შემეშალა, მე ავურ-დავურიე
ყველაფერი. და, ალბათ, ესაა ჩემი ყველაზე მძიმე ცოდვა საზოგადოების
წინაშე; ან იქნებ მარტო საზოგადოების კი არა, ზნეობის წინაშეც“.
ფიქრი ნელ-ნელა, წყნარად, დაუბრკოლებლად მიედინება, კვლავ
სახეებით ივსება და ამ მშვიდ სახეებს არც სიჯიუტე აწერია, არც
საყვედური და, კაცმა რომ თქვას, არც სინანული. ახლა საკუთარ
თავსაც ხედავს, აჩრდილებით გარემოცულ აჩრდილს, უცნაურს,
პარადოქსულს, ყალბ ოპტიმიზმსა თუ ეგოიზმს აყოლილს სჯერა,
ეკლესიის დაკანონებული გზიდან ყველაზე მეტად გადამცდარ, ოცნების
განმაახლებელ მდინარებაში, ბრმა ლტოლვასა და ადამიანთა ზეცისაკენ
აღმართულ ხელებსა და ზეცისაკენ აღვლენილ ხმებში რომ მიაგნებს
იმას, რისი პოვნაც ეკლესიის მკაცრ, მონასტრულ, მიწიერ აპოთეოზში

ვერ მოახერხა. ჰგონია, თითქოს ყოველთვის იცოდა: ეკლესიას არც შიგ მყოფნი, მაგრამ გარეთ ხელის ცეცებით რაღაცის მძებნელნი ანგრევენ და არც დაკარგულის ეკლესიის კედლებში პოვნის სურვილით შეპყრობილი გარეთ დარჩენილები, არამედ პროფესიონალები, ვისაც მისი ბედ-იღბალი აბარია, ვისაც ეკლესიათა სამრეკვლოებიდან ზარები ჩამოუხსნია. ამ სამრეკლოებსაც ხედავს, უსასრულოდ, უწესრიგოდ მიმობნეულ, სიმბოლურად ცარიელ, მოწყენილ სამრეკლოებს, ცისკენ მიმართულებს არა აღტაცებითა და აღფრთოვანებით, არამედ ვედრებით, მუქარითა და რისხვით. დედამიწის ყველა ეკლესიასაც ხედავს, ოღონდ, ეკლესიები თითქოს ციხის ბურჯებად გადაქცეულან, წვერწამახული სარებისგან შეკრულ შეუასაუკუნეებისდროინდელ ყრუ ბარიკადად, რომელიც სიმართლისა და იმ სიმშვიდის მოსაგერიებლადაა აგებული, რაც კაცის ცხოვრებას შეცოდებასა და ცოდვის მიტევებასთან აიგივებს.

„და მე ამასაც დავყაბულდი“, ფიქრობს ის. „უსიტყვოდ დავყაბულდი. დავყაბულდი კი არა, უარესი ჩავიდინე: ვმსახურებდი. ვმსახურებდი და ვიყენებდი კიდეც, რათა საკუთარი სურვილისათვის გამეკაფა როგორმე გზა. დაბნეული, შემკრთალი, მოწადინებული სახეები შემომცქეროდნენ, მე კი არაფერი დამინახავს; იმედითა და სასოებით ხელებაპყრობილთ სჯეროდათ, რაღაც რომ უნდა მიმეცა, რაღაც უნდა მომეტანა მათთვის, მე კი თვალებზე ლიბრი მქონდა გადაკრული. ჯეფერსონში ერთი, შეიძლება მამაკაცის უპირველესი, ვალდებულება ჩამომყვა თან, ღვთის წინაშე, საკუთარი ნებით არჩეული და ნაკისრი; მაგრამ მერე ერთხელაც აღარ გამხსენებია, იმდენად უმნიშვნელოდ მიმაჩნდა, ერთხელაც არ მიფიქრია, რას ნიშნავდა სინამდვილეში სხვაზე ზრუნვა. ჰოდა, თუკი მართლაც ასე მოვექეცი, რისი იმედი უნდა მქონოდა? რა მელოდა, გარდა შერცხვენისა და სასოწარკვეთისა, რად მიკვირდა, უფალმაც თუ სირცხვილით იბრუნა ჩემგან პირი? შეიძლება, სწორედ იმ წუთას, როცა არა მარტო გავუმეღავნე, რა ძლიერი წყურვილი მკლავდა, არამედ ისიც ვუთხარი, შენ ვერასდროს და ვერასდიდებით ამ წყურვილის მოკვლაში ვერ მომეხმარები-მეთქი, მის მაცდუნებლად და მკვლელადაც ვიქეცი, მისი შერცხვენისა და დაღუპვის მიზეზად და იარაღად. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა არსებობდეს რაღაც, რაშიც ადამიანები ღმერთს ვერ დავადანაშაულებთ, ღმერთს ვერ მოვთხოვთ პასუხს. ნამდვილად უნდა არსებობდეს“. ფიქრი თანდათან კარგავს სისწრაფეს, სილაში ჩაფლული ბორბალივით, როცა არც ბორბლის ღერძს, არც ეტლს და არც ეტლის მამოძრავებელ ძალას, წინააღმდეგობა ჯერ არ უგრძვნიათ.

უამრავ სახეთა შორის თითქოს საკუთარ თავსაც ხედავს, მუდამ

სახეებით გარშემორტყმულს, სახეებით შემოჯარულს, ხან ვითომ კათედრაზე დგას და ეკლესიაში, უკანა რიგში მჯდომი შესცქერის, ხან, ვითომ თევზია და აკვარიუმში ცურავს. უფრო მეტიც: სახეები თითქოს სარკეებია და ეს სარკეებიც მას ირეკლავენ. თან ყველა სახე ნაცნობია; მთელი მისი განვლილი ცხოვრება აწერიათ ზედ. სარკეებში ახლა ჯამბაზისა თუ მოხეტიალე ცირკის პატრონის ფიგურა მოჩანს, ცოტა არ იყოს შეშლილი, ჭკუიდან გადამცდარი თაღლითი, რომელიც ერესზე უარესს ქადაგებს, სხვის სცენაზე აჭრილა, სცენის კანონიერი პატრონები ფეხებზე დაუკიდია და სიბრალულისა და სიყვარულის ჯვარცმული განსახიერების ნაცვლად, იმ ხეპრე, გაუთლელი, თავზეხელაღებული ყაჩაღის ამბავს სთავაზობს ხალხს, თავის ყოველდღიურ, ჩვეულ საქმეს — მკვლელობას — მცირე ხნით მომწყდარი, ვიღაცის საქათმეში რომ დაუცხრილავთ საფანტით. ფიქრის ბორბალი ნელ-ნელა ჩერდება; ახლა ეს უკვე ღერძმაც იცის, მაგრამ ეტლს ჯერ კვლავ არაფერი გაეგება.

გარშემორტყმული სახეები ჯერ გაოცებას ირეკლავენ, მერე დაბნეულობას, ბოლოს — შეურაცხყოფასა და შიშს, თითქოს მისი თავაშვებული და უგვანო მასხრობისა და ჯამბაზობის მილმა რაღაც სხვაც დაუნახავთ, დაუნახავთ, როგორ დასცქერის ჯერ მისთვის უჩინარი, საბოლოო და უზენაესი სახე, ცივი, საზარელი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისმხილველი და მშვიდი ხატი. ისინი კიდევ უფრო მეტსაც ხედავენ და ეს თვითონაც იცის: ხედავენ, როგორ გადაქცევია სასჯელად მისი ძალღონისათვის შეუფერებელი, შეუსაბამო ვალდებულება; ეჩვენება, თითქოს იმ სახეს მიმართავს, იმ ხატს ელაპარაკება: „იქნებ, რაც შემეძლო, იმაზე მეტი ვიტვირთე? განა ეს დანაშაულია? განა ამისთვის დავისჯები? იმისთვისაც მომეკითხება პასუხი, რაც ჩემს შესაძლებლობას აღემატებოდა?“ სახე კი: — შენ რაც იტვირთე, მხოლოდ ანგარებით იტვირთეო. მხოლოდ იმიტომ, რათა როგორმე ჯეფერსონში ამოგეყო თავი; ჩემი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ შენივე საკუთარი მიზნების განსახორციელებლადო.

„ნუთუ მართალია?“ ფიქრობს ის. „ნუთუ მართლა ასე იყო ყველაფერი?“ ახლა საკუთარ თავსაც ხედავს, მაშინდელს, შერცხვენილს, გაბითურებულს. ჯერ ბოლომდე გაუაზრებელი, გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი განცდა აგონდება, განუწყვეტლივ რომ ახსენებდა თავს, თუმცა, ფიქრშიაც ვერ ბედავდა საკუთარი თავისთვის გაემხილა რას ელოდა, რისი მოლოდინი ჰქონდა სულ.

ხედავს, წყალობასავით როგორ გაიღებს მოთმინებას, სულგრძელობას, ღირსებას; თვალთმაქცობს, სხვების დასანახად ვითომ მარტვილივით ამბობს უარს თავის სასულიერო წოდებაზე, არადა,

სწორედ მაშინ, სწორედ იმ წუთას, ბედნიერებისგან ლამის საგულედან ამოუხტეს გული, სიხარულისგან მეცხრე ცაზეა, სიხარული სახეზეც ეწერება, ცდილობს არ შეიმჩნიოს, ჰგონია საგულდაგულოდ, საიმედოდაა დაცული და შენიღბული თვალწინ აფარებული ფსალმუნნით, მაგრამ, სადღაც გვერდით ვერაგულად ჩასაფრებული ფოტოგრაფიც, მაინცდამაინც, მაშინ აჭერს თითს აპარატის ღილაკს.

საკუთარ თავს უთვალთვალებს, ხედავს, ბანქოს მოთამაშესავით, როგორ ფრთხილად, წინდახედულად აკეთებს სწორ სვლებს, სხვების მოსატყუებლად ვითომ უდრტვინველად ემორჩილება ბედს, ეგუება იმას, რაზეც ჯერ კიდევ სემინარიაში შესვლამდე ოცნებობდა და სიმართლის ხმამაღლა აღიარებას ახლაც, ამდენი წლის მერეც მაინც ვერ ბედავს. ჯერაც ისე არიგებს წყალობას, თითქოს დამპალ ხილს უყრიდეს ცხვირწინ ღორების კოლტს: მამის დანატოვარი მცირე ქონებიდან მემფისის კოლონიას უყოფს წილს; ძაღლს და მამაძაღლს ნებას აძლევს შეურაცხყოფა მიაყენოს, დასცინოს, ღამე საწოლიდან წამოაგდოს, ტყეში წაათრიოს და ჯოხით სცემოს, ***როდემდის, ღმერთო, როდემდის*** აწერია სახეზე და მთელი ქალაქის დასანახად ნატანჯი, ნაწამები კაცის იერით დააბიჯებს, მხოლოდ იმიტომ, საკუთარ, მარტვილის ყოვლისმომთმენ და ავხორცულ ეგოს აამოს და ასიამოვნოს უკანასკნელად, მერე კი, სამშვიდობოს გასული, შინ დაბრუნებული, კარებს კეტავს და ავხორცული მხიარულებით შეპყრობილი მაშინღა იხსნის ნიღაბს: ***ესეც ასე. მორჩა. წარსულს ჩაბარდა ყველაფერი. უკვე ყველაფრის საზღაური გადახდილია***

„მაგრამ მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი“, ფიქრობს ის. „იმისი კეთება კი არ მიწევდა, რაც შემეძლო, არამედ იმისი — რაც ვიცოდი“. ფიქრი ტაატით მიიწევს წინ; ადრევე უნდა მიმხვდარიყო, ადრევე უნდა ეგრძნო ეს. ეტლმა ახლაც არ უწყის, რას უახლოვდება. „თანაც, საზღაურიც გადავიხადე. საკუთარი სიცოცხლის ფასად მოვიპოვე საკუთარი სული. არა მქონდა უფლება? ვის უნდა დაეშალა? ნებისმიერ ადამიანს შეუძლია საკუთარი თავის განადგურება, თუკი, რა თქმა უნდა, სხვას არ მოუტანს ვნებას, თუკი თავისთვის ცხოვრობს, თავის ანაბარა...“ უცებ ჩერდება. ერთბაშად ქვავდება, სუნთქვა ეკვრის, შიში ეუფლება, შიში კი არა თავზარდაცემა. უკვე სილასაც გრძნობს; და მაშინვე თითქოს ძალა უათკეცდება, ერთიანად იმუხტება რაღაც საშინელი, უკანასკნელი გაბრძოლებისათვის. წინსვლას ჯერაც წინსვლა ჰქვია, ოღონდ ახლა გასავლელი გზა აღარაფრით განსხვავდება ცოტა ხნის წინ გავლილისაგან, ბორბალზე აკრული სილა მშრალი სისინით იყრება ძირს, ამ ხმას აქამდეც უნდა გაეფრთხილებინა,

აქამდეც უნდა ენიშნებინა რაღაც „...ჩემი წყურვილი გავუმხილე ცოლს, ჩემი ეგო დავანახე... მისი სასოწარკვეთილებისა და შერცხვენის იარაღი...“ გაუაზრებლად, მისდაუნებურად წინადადება თითქოს მთელი სიგრძე-სიგანით გადაიჭიმება თავის ქალაზე, თვალების უკან: ***არ მინდა ამაზე ფიქრი. ამაზე არ უნდა ვიფიქრო. არ უნდა გავბედო*** ფანჯარასთან ზის, ოდნავ წინგადახრილი, რაფაზე უძრავად დაუკრეფია ხელები და ოფლად იღვრება, სისხლივით მოჩქეფს, სისხლივით მოედინება ოფლი. სილაში ჩაფლული ბორბალი ერთხელაც გადატრიალდება, შუასაუკუნეების დროინდელი საწამებელი იარაღივით ნელა, ჯიუტად, ულმობლად, და მისი სულის, მისი სიცოცხლის დაგლეჯილ, ნატანჯ ფესვებსაც აითრევს: „თუკი ასეა, თუკი მართლა მე ვარ მისი სასოწარკვეთისა და შერცხვენის იარაღი, მაშინ მეც, ჩემდა თავად ვიღაც სხვისი, გარეშეს იარაღი გამოვდივარ. მე ხომ ვიცი, ორმოცდაათი წელიწადია თიხაც კი არა ვყოფილვარ: მე ვიყავი წყვდიადის ერთადერთი წამი, როცა ცხენმა ჭენებით ჩაიქროლა და მერე თოფმა იჭექა. და თუ მე ვარ ბაბუაჩემი მისი სიკვდილის წამს, მაშინ ჩემი ცოლი, მისი შვილიშვილის ცოლი... ჰო, გამრყვნელი და მკვლელი ჩემი შვილიშვილის ცოლისა, რა თქმა უნდა, რაკი არ შემიძლია არც სიცოცხლე დავაცადო შვილიშვლს და არც სიკვდილი...“

თავდაღწეული ბორბალი გაბმულ, ოხვრისმაგვარ ხმას გამოსცემს. გაუნძრევლად ზის და ამ ხმის გამოძახილს უსმენს, ოფლად გაღვრილი, გაგრილებული. ბორბალი უკვე სწრაფად, დაუბრკოლებლად მიიწევს წინ, რადგან ტვირთისგან, ღერძისგან, ეტლისგან, საერთოდ ყველაფრისგან გათავისუფლებულა. აგვისტოს მოციმციმე მდუმარებაში, სადაც მალე ღამე ჩაიძირება, თითქოს შარავანდედივით ირტყამს გარს, შარავანდედივით ასხივებს სუსტ ნათელს. შარავანდედი სახეებითაა სავსე. ამ სახეებს ტანჯვა არ აწერია, საერთოდ არ აწერია არაფერი: არც შეძრწუნება, არც ტკივილი, არც საყვედური. არაფერი, სიმშვიდის გარდა. თითქოს აპოთეოზში უპოვიათ ხსნა; მისი სახეც აქაა. კაცმა რომ თქვას, ყველა სახე, ცოტა არ იყოს, ერთმანეთსა ჰგავს. ოდესმე ნანახი ყველა სახის ნაზავია. მაგრამ, ერთმანეთისაგან მაინც შეუძლია განასხვაოს: ცოლის სახე; ქალაქელებისა, იმ მრევლის წევრებისა, მოლოდინით შეპყრობილი ჯერ სადგურზე რომ შეეგება, მერე კი მოიკვეთა და განუდგა; ბაირონ ბანჩისა; ბავშვიანი ქალისა; და იმის, ქრისთმასად წოდებული კაცისა. მარტო ეს უკანასკნელი არ მოჩანს მკაფიოდ. ყველა დანარჩენზე ბუნდოვანია, თითქოს უკვე განელებული, უკვე დაძლეული ტანჯვა-წამებით ყველაზე ბოლოს, ყველაზე გაჭირვებით შეერთებია სხვებს. ცოტა ხნის მერეღა ხვდება, რომ ეს ორი სახეა,

ორივე ცდილობს (თუმცა, კი არ უნდათ, საკუთარი ნებით კი არ ცდილობენ, და ეს თვითონაც იცის, არამედ ბორბლის მოძრაობას, ბორბლის სურვილს არიან აყოლილნი) როგორმე თავი გაითავისუფლონ ერთმანეთისგან, გაქრნენ და მერე ისევ შეერთდნენ. მაგრამ, უკვე ის მეორე სახეც გაარჩია, ისიც იცნო. „კი, მაგრამ ეს ხომ...“ ფიქრობს ის. „ახლახანს ვნახე ეს სახე... სადღაც... ჰოოო, ის ბიჭია. შავპისტოლეტიანი, მგონი, ავტომატურს ეძახიან. ის ბიჭი, ვინც... სამზარეულოში... მოკლა... ესროლა...“ ამის გაფიქრებაა და, ეჩვენება, თითქოს რაღაც საბოლოო, ჯოჯოხეთურმა ნიაღვარმა ჯებირი გამოარღვია და მისი არსებიდან გადმოიფრქვა. თითქოს ხედავს კიდეც ამ ნიაღვარს, გრძნობს, როგორ წყდება მიწას, როგორ მსუბუქდება და მსუბუქდება თანდათანობით, ერთიანად ცარიელდება და სადღაც მიფარფატებს. „ვკვდები“, ფიქრობს ის. „უნდა ვილოცო. უნდა ვცადო და ვილოცო“. მაგრამ არ ლოცულობს. არც ცდილობს. „მთელი სამყარო, მთელი ზეცა სავსეა იმათი ამაო, შეუსმენელი მოთქმა-გოდებით, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია ამქვეყნად, ვინც ახლაც გულსაკლავად ქვითინებენ ცივსა და შიშისმომგვრელ ვარსკვლავთა შორის უმწეო ბავშვებივით გზადაბნეულნი... მე ისე ცოტა მინდოდა. ისე ცოტას ვითხოვდი. კაცი იფიქრებდა...“ ბორბალი ისევ ბრუნავს. ოღონდ წინ აღარ მიიწევს და ტრიალ-ტრიალით ქრება, თვალს ეფარება, თითქოს მისი არსებიდან გადმოხეთქილი უკანასკნელი ნიაღვრით ატაცებული, თივთონ კი, ერთიანად გამოცარიელებული, გამხმარ ფოთოლზე მსუბუქი, წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნამსხვრევზე უფრო უსარგებლო და უმნიშვნელო, მოღვენთილი, გაქვავებული, ღონემიხდილი ზის ფანჯარასთან და სიმკვრივედაკარგულ რაფასაც ვეღარ შეიგრძნობს წონადაკარგული ხელებით; მოკლედ, უკვე დროა — **დროა** — რომ თქვას.

ისინიც თითქოს მხოლოდ ამას ელოდებოდნენ: როდის მოახერხებდა სულის მოთქმას, სურვილისა და სიხარულის დასადასტურებლად, როდის მოიკრებდა ღირსების, სიამაყისა და სიცოცხლის უკანასკნელ მონარჩენებს. სადღაც, გულის კოვზთან გრძნობს, როგორ ძლიერდება მირიადი, მოგუგუნე ფლოქვის თქარათქური. ჯერ ხეებში გაბმული ქარის ზუზუნივით ესმის რაღაც, მერე კი უკვე ხედავს კიდეც — ხედავს, როგორ მოქცევიან ზურგზე არარსებული მტვრის ღრუბელს. უნაგირებზე წინგადახრილნი მოაგელვებენ ცხენებს, მუქარით ხელაპყრობილნი, შუბები ავისმომასწავებლად, შიშისმომგვრელად შეუმართავთ და შუბებზე პატარა-პატარა ალმები უფრიალებთ; მრისხანე, უხმო ყიჟინით მოქრიან, მოქცევის ტალღასავით გადაივლიან, რომლის ზურგიც, როგორც აფეთქებული სამყაროს კრატერი, გადარეული ცხენების

თავებითა და კაცების მუქარით ზეაწვდილი მკლავებითაა დაკბილული. ჩაიქროლეს, წავიდნენ; მტვერი ტრიალ-ტრიალით ადის ცისკენ, გამეფებულ ღამეში ითქვიფება. არადა, ფანჯრიდან წინგადმოხრილს, ფანჯრის რაფაზე ტყუპ ლაქასავით დაღვრილ ხელებზე თეთრდოლბანდიან, ვეება, ფორმადაკარგულ თავჩამოდებულს, ეჩვენება, თითქოს ჯერაც ესმის მათი ხმა: ბუკის ველური ყიჟინა, ხმლების ჩხარუნი და ფლოქვების მომაკვდავი თქარათქური.

- XXI -

შტატის აღმოსავლეთ მხარეში ერთი ავეჯით მოვაჭრე დურგალი ცხოვრობს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ტენესიში გაემგზავრა მიმოწერით შეძენილი ძველი ავეჯის ჩამოსატანად. თავისი საბარგო მანქანით გაუდგა გზას და რაკი მანქანა ჯერ მთლად ახალი იყო (ძარაგადახურული, უკანა კედელში კარებდატანებული ფურგონი), რაკი ჯერ ზოგავდა, საათში თხუთმეტ მილზე მეტის გავლას არ აპირებდა და თან მაინცდამაინც არც სასტუმროებში გაჩერება უნდოდა, ღია ცისქვეშ ღამის გასათევი მოწყობილობაც გააყოლა ხელს. შინ დაბრუნებულმა ცოლს მგზავრობისას თავს გადახდენილი ამბავი უამბო, ამ ამბავს თავის დროზე მეტად დაეინტერესებინა და დარწმუნებული იყო, ახლა ცოლსაც გავართობ და გავახალისებო. შეიძლება, ყველაფერი უფრო იმიტომაც მოეჩვენა თავისთვისაც და სხვისთვისაც საინტერესოდ და სახალისოდ, არც თვითონ და არც მის ცოლს ჯერ ხნიერები რომ არ ეთქმით და, თანაც, კვირაზე მეტი არ ენახა მეუღლე, კვირაზე მეტი არ ყოფილა შინ, რაკილა წინდაწინვე, ადრევე გადაწყვიტა ბრძნულად, აუჩქარებლად და დინჯად ევლო. თურმე, მისისიპის ერთ-ერთ ქალაქში, სწორედ ტენესის საზღვართან, ვიღაც ორნი, ქალი და კაცი დამგზავრებოდნენ:

„ბენზინის ჩასხმა გადავწყვიტე, გადავუხვიე კიდეც სადგურისკენ და უცებ კუთხეში ვიღაც ახალგაზრდა, სანდომიანი გოგო დავინახე, თითქოს იდგა და ელოდებოდა, აბა ვინმე თუ გამიჩერებს მანქანას და წაყვანას შემთავაზებსო. ხელში რაღაც ეჭირა, ოღონდ თავიდან ვერ გავარჩიე რა იყო და ვერც ბიჭი დავინახე, ვიდრე თვითონვე არ მომიახლოვდა და არ გამომელაპარაკა. ჯერ ვიფიქრე, მოშორებით იდგა და ალბათ იმიტომ ვერ მოვკარი-მეთქი თვალი, მერეღა მივხვდი,

იმ ყაიდის კაცი იყო, თავიდან, უცებ, დაცლილი აუზის ბეტონის ფსკერზე მარტოდმარტო მდგომსაც რომ ვერ შემჩნევ.

მოკლედ, მოვიდა და მეც პირდაპირ მივახალე: „მემფისისკენ თუ მიდიხართ, ჩემი მგზავრები არა ყოფილხართ, მე ჯექსონზე უნდა გავიარო, ტენესიში-მეთქი“.

„ძალიანაც კარგიო,“ მეუბნება. „ჩვენც ეგ გვინდა. ძალიან დაგვა-ვალებთო.“

„თქვენ თვითონ საით მიემგზავრებით-მეთქი, ვეკითხები. ერთი შემომხედა ტყუილს მიუჩვეველი კაცივით და მაშინვე შეეტყო, რა წვალების ფასად უჯდებოდა ცხელ-ცხელი ტყუილის გამოცხობა, თან, ყველა სიკეთესთან ერთად, დარწმუნებულიც იყო, მაინც არ დამიჯერებსო. „ალბათ, უბრალოდ თვალს გინდათ წყალი დაალე-ვინოთ-მეთქი“.

„ჰოო“, მაშინვე დამეთანხმა. „მართალი ბრძანდებით. უბრალოდ ვმოგზაურობთ. სადამდეც შეძლებთ, ჩვენც გაგვიყოლეთ და დიდი მადლობელი დაგირჩებითო“.

მოკლედ, დასხედით-მეთქი, ვუთხარი. „არა მგონია ჩემს გაძარცვას და მოკვლას აპირებდეთ-მეთქი“. წავიდა და მალევე დაბრუნდა იმ გოგოსთან ერთად. მერეღა დავინახე, თურმე ბავშვი ეჭირა ხელში, წლისაც არ იქნებოდა ჯერ. დააპირა გოგოს ძარაზე აძვრომაში მიშველებოდა და ვუთხარი, „არ გირჩევნიათ ერთ-ერთი წინ დაჯდეთ-მეთქი?“ ცოტა ხანს ერთმანეთში იჩურჩულეს, მერე გოგო მოვიდა და გვერდით დამიჯდა, ის კი სადგურში შებრუნდა, ხელოვნურ ტყავგადაკრული მუყაოს ჩემოდანი გამოიტანა, ძარაზე შეაგდო და თვითონაც შეხტა. ასე გავუდექით გზას, გოგო სკამზე გვერდით მეჯდა, ხელში ბავშვი ეჭირა და მალიმალ უკან-უკან იყურებოდა ხოლმე, ალბათ ეშინოდა, ხომ არ გადავარდაო.

თავიდან ცოლ-ქმარი მეგონა. სხვა ან რატომ უნდა მეფიქრა რამე, ერთი ეგ იყო, ცოტა გამიკვირდა ჯანმრთელი და სანდომიანი გოგო ამისთანა ჭიანს სად გადაეყარა-მეთქი. არა, ცუდი კი არაფერი ეტყობოდა. წესიერ ბიჭსა ჰგავდა, მუყაითს, გამრჯეს, სამუშაოს გულს რომ უდებს და არც ხელფასის მომატებას ითხოვს, ოღონდ კი საქმე მისცენ გასაკეთებელი. თავიდანვე შევატყვე. ისიც შევატყვე, სამუშაოს გარდა სხვაგან ყველგან ჩრდილში დგომას რომ ეცდებოდა, განზე დარჩენას. მე უბრალოდ ისეთი ქალი ვერ წარმომედგინა, ვინც იმასთან ღამეს გაატარებდა და დილას რამე ტკბილად მოაგონდებოდა, იმაზე ხომ საერთოდ აღარაფერს ვამბობ, ღამისთევის მერე საბუთიც თუ დარჩებოდა კიდევ ხელზე.

არა გრცხვენია? ეუბნება ცოლი. **განა მანდილოსანთან ასეთი ლაპარაკი შეიძლება?** სიბნელეში საუბრობენ.

რა ვიცი, სინითლეს კი ვერ გატყობ და... — პასუხობს ქმარი. მერე, ისევ თავის ამბავს აგრძელებს: „ჰოდა, იმას გეუბნებოდი, სანამ ღამის გასათევად არ გავჩერდით, იმათ ცოლ-ქმრობაზე საერთოდ არ მიფიქრია. გოგო წელგამართული იჯდა სკამზე, მეც ზრდილობისთვის ვებაასებოდი; ცოტა ხანში მითხრა, ალაბამადან მოვდივართო. მოვ-დივართ და მოვდივართო — გაიძახოდა ერთსა და იმავეს და მეც მეგონა ძარაზე მჯდომ ბიჭს გულისხმობს-მეთქი. მალე რვა კვირა შესრულდება, რაც გზაში ვართო. „მე თუ რამე მესმის, შენ ბავშვს რვა კვირამდე ჯერ ბევრი უკლია-მეთქი;“ ბავშვი სამი კვირის წინ, ჯეფერსონში დაიბადაო — მეუბნება. „აააა, სადაც ის ზანგი გაასამართლეს-მეთქი ლინჩის წესით, არა? მაშ იმ დროს თქვენც იქ უნდა ყოფილიყავით-მეთქი“, — ვუთხარი, იმან კიდევ მაშინვე პირში წყალი ჩაიგუბა. თითქოს იმ ბიჭს გაეფრთხილებინა, მაგ ამბავზე კრინტი არავისთან დაძრაო. მივხვდი, ასე იქნებოდა. მოკლედ, უკვე ჩუმად ვაგრძელებდით გზას და რომ მოსაღამოვდა, მაშინღა ვუთხარი, „საცაა ქალაქში შევალთ. მე ღამის გათევას ქალაქში არ ვაპირებ. მაგრამ თუ ხვალაც მე გინდათ გამომყვეთ, მაშინ ასე დილის ექვს საათზე სასტუმროში გამოგივლით-მეთქი“, გოგო გაქვავებულივით იჯდა, ეტყობა, ელოდებოდა, ჩემი თანამგზავრი რას იტყვის, რას გადაწყვეტსო და ცოტა ხანში იმანაც ამოიღო ხმა.

— ამ მანქანაზე ისეთი ოთახი მოგიწყვიათ, სასტუმრო ნამდვილად არა გჭირდებათო. მე არაფერი მიპასუხია, უკვე ქალაქში შევდიოდით; დიდი ქალაქიაო? მკითხა ბიჭმა.

„არ ვიცი-მეთქი“, ვუპასუხე, „ყოველ შემთხვევაში სასტუმრო თუ არა, პანსიონის მაგვარი მაინც ექნებათ-მეთქი რამე“.

ნეტა ტურისტული ბანაკი თუ აქვთო, ჩაილაპარაკა თავისთვის და მეც არაფერი მიპასუხია. „კარავს მაინც ვიქირავებდი. სასტუმროები ძალიან ძვირი ჯდება, მით უმეტეს, როცა დიდი გზა გიდევს წინ“. არადა, სად მიდიოდნენ, რა დიდი გზა ედოთ წინ, ერთხელაც არ უთქვამთ. მე მგონი, თვითონაც არ იცოდნენ, თითქოს ალალბედზე მგზავრობდნენ, აბა ერთი, სად ამოვყოფთ თავსო. მაგრამ, მე მაშინ რა ვიცოდი? ოღონდ, იმას კი ვგრძნობდი, რა პასუხსაც ელოდებოდა ჩემგან, ელოდებოდა, ოღონდ პირდაპირ თხოვნას კი ვერ ბედავდა. ეტყობა ჩაეთქვა, ღმერთს თუ უნდა, თვითონ მეტყვის სათქმელს, თუ არა და, ჯანდაბას, წავალ სასტუმროში და გინდაც სამი დოლარი მთხოვონ ოთახისთვის, რა ვქნა, გადავიხდიო. ბოლოს ვეუბნები:

„კაცმა რომ თქვას, თბილი ღამეა. თუკი კოღოების არ გეშინიათ და მანქანაში შიშველ ფიცრებზე დაძინებასაც მოახერხებთ...“

„კი, აბა რა“, არც მაცალა სიტყვის დამთავრება. „შესანიშნავი აზრია. თუკი ნებას დართავთ, თუკი მაგ სიკეთეს იზამთ“. ნებას დართავთო — ასე თქვა და ცოტა არ იყოს მეხამუშა. თან შევამჩნიე, რაღაცნაირად უცნაურად დაიძაბა, აფორიაქდა. ეტყობოდა, როგორ იგულიანებდა, როგორ იქეზებდა თავს, ბოლოს და ბოლოს, როგორმე რომ გადაედგა სასურველი, ოღონდ თან საშიში ნაბიჯი. ოღონდ იმისა კი არ ეშინოდა, ვაითუ რამე ცუდი მომივაო, უბრალოდ, უმალ მოკვდებოდა, სანამ თუნდაც ფიქრში გადადგამდა იმ ნაბიჯს, მანამდე გადადგამდა, ვიდრე ჯერ ყველა სხვა გზასა და საშუალებას არ სცდიდა, ვიდრე საბოლოოდ მიეცემოდა სასოწარკვეთას. მაგრამ, მე ჯერ არაფერი ვიცოდი. ვერაფერს მივმხვდარიყავი. და იმღამინდელი ამბები რომ არა, ალბათ ჯექსონშიც ისე დავშორდებოდი ორივეს, ვერც გავიგებდი ვერაფერს“.

მაინც რა უნდოდა, რას აპირებდა? — ეკითხება ცოლი.

ცოტა მაცალე და იქნება შენც გაჩვენო რას აპირებდა მერე ისევ აგრძელებს: „მალე დუქანს მივუახლოვდით. ჯერ მანქანა ბოლომდე არც გაჩერებულიყო უკვე ძირს რომ ჩახტა. თითქოს ეშინოდა, არ დამასწროსო, სახეც გაბადროდა, ბავშვივით გაცისკროვნებოდა — რაღაცას რომ დაპირდები და, არ გადაიფიქროსო, შენი გულის მოგებას ცდილობს. კისრისტეხით შევარდა დუქანში და იქედან ისეთი დატვირთული გამოვიდა, სახე აღარც უჩანდა, „ეეე, ვაუკაც, შენ მგონი შენი ოჯახიანად საშვილიშვილოდ აპირებ ჩემს მანქანაში დაბინავებას-მეთქი“, გავიფიქრე. მერე ისევ გზას გავუდექით და მალე ღამის გასათევად შესაფერ ადგილსაც მივადექით; მანქანა გზიდან გადავიყვანე, ხეების ჩრდილში, ისიც ისევ კისრისტეხით ჩამოხტა და ქალს გადმოსვლაში მიეხმარა, ისე ელოლიავებოდა, თითქოს ქალიც და ბავშვიც შუშისანი იყვნენ, ანდა, კვერცხებივით დაიმტვრეოდნენ. ისევ ძველებური სახე ედო, ღამის საბოლოოდ გადაეწყვიტა ყველაფერი — თუმცა რა გადაწყვეტილებამდე მიეყვანა სასოწარკვეთილებას, მაინც არ ვიცოდი — და აღარც დაიხევდა უკან, თუკი მე ან გოგო არ შევუშლიდით რამით ხელს, თუ მანამდე გოგოც არ შეატყობდა, სასოწარკვეთილებას ყველა გზა რომ მოეჭრა უკვე იმისთვის. ოღონდ, მე ჯერ მაინც არაფრის ბაიბურში არ ვიყავი.“

არ იტყვი ბოლოს და ბოლოს რაში იყო საქმე? ეკითხება ცოლი.

აკი ერთხელ უკვე გაჩვენე. მეორედაც გაჩვენებდი, მაგრამ ჯერ მზად არ იქნები

ვითომ რატომ? შენი არ ვიცი და მე ნამდვილად არ ვიტყოდი უარს. უცნაურს კი მართლა ვერაფერს ვხედავ. ამდენი წვალება და დავიდარაბა რაში სჭირდებოდა?

რაში სჭირდებოდა და ცოლ-ქმარი არ იყვნენ თურმე ამბობს ქმარი. ***არც ბავშვი იყო იმ ბიჭისა. მე რა ვიცოდი. მაშინლა გავიგე. როცა იმ ღამეს კოცონთან იმათ საუბარს მოვკარი ყური, ალბათ, დაძინებული ვეგონე. ეგ მანამდე იყო, ვიდრე საბოლოოდ წარეკვეთებოდა სასო. თუმცა, უკვე მაშინაც კი გვარიანად სასოწარკვეთილსა ჰგავდა. ეტყობა, უბრალოდ ერთხელაც ვცდი და ეგ იქნებაო — გადაწყვიტა*** მერე, ისევ თხრობას აგრძელებს: „მოკლედ, ერთ ამბავში იყო, ფაცა-ფუცობდა, ღამის გასათევს გვიმზადებდა ვითომ, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, მოთმინებიდან არ გამომიყვანა: ყველაფერს ეპოტინებოდა, არადა წარმოდგენა არა ჰქონდა რით დაეწყო, რა უნდა გაეკეთებინა. მეც ავდექი და ვუთხარი — წადი, კოცონის დასანთებად ცოტაოდენი ფიჩხი მოაგროვე-მეთქი — თან, ამასობაში მანქანაში ჩემი საბნები დავაფინე. უკვე ბრაზი მერეოდა, ჩემ თავზე ვბრაზობდი — ეს რა შარში გავეხვიე, მიდი ეხლა და შიშველ მიწაზე დაიძინე კოცონთან-მეთქი. მოკლედ, გულზე ვსკდებოდი, ადგილს ვერ ვპოულობდი, აქეთ-იქით ვაწყდებოდი და ვითომ თან რაღაცას ვსაქმიანობდი, გოგო კი იჯდა თავისთვის, ზურგით ხეს მიყუდებული, ბეჭებზე შალი მოესხა და ბავშვს აჭმევდა: როგორ შეგაწუხეთ და როგორ შეგაწუხეთო — გაიძახოდა წამდაუწუმ, — თქვენ დაწექით, მე ცეცხლთან ვიჯდები, მართლა არა ვარ დაღლილი, ან რა დამღლიდა, მთელი დღეა უსაქმოდა ვზივარ მანქნაშიო. მერე ბიჭიც დაბრუნდა, იმდენი შეშა მოიტანა, მთელი მოზვერი შეინწვებოდა, გოგომ ჩუმად რაღაც გადაულაპარაკა, ისიც მანქანასთან მივიდა, ჩემოდანი გადმოათრია, გახსნა და საბანი ამოიღო. აი, მაშინ დაიწყო რაც დაიწყო. კომიქსების გმირები გამახსენდა, ის ორი ფრანგი, ერთმანეთს რომ ეპატიჟებიან, არა თქვენ მიბრძანდით პირველი და არა თქვენო, თითქოს შინიდან ამ სიშორეზე მარტო იმიტომ წამოვსულიყავით ყველანი, როგორმე შიშველ მიწაზე რომ გაგვეთია ღამე. ვცდილობდით რაც შეიძლება სწრაფად და საფუძვლიანად მოვწყობილიყავით დასაძინებლად. ერთი პირობა დავაპირე მეთქვა, „კი, ბატონო. თუ ეგრე გულით გინდა მიწაზე წოლა, დაწექი და დაიძინე. ღმერთია მონმე, მე ეგ არ მინდოდეს-მეთქი“. მაგრამ, ბოლოს მაინც ჩემი გავიტანე. უფრო სწორად, ჩვენ გავიტანეთ ჩვენი, კაცებმა. იმიტომ, რომ როგორც იქნა, როგორც წინასწარვე ვიცოდით სამივემ, ბიჭმა იმათი საბანი დააგო მანქანაში, ჩემი კი მე და იმან დავიფინეთ კოცონთან. სამივემ თუ არა, ყოველ

შემთხვევაში იმ ბიჭმა კი ნამდვილად თავიდანვე იცოდა, რითაც დამ-
თავრდებოდა საქმე. თუკი მართლა სამხრეთ ალაბამადან მოდიოდნენ,
როგორც გოგო ამტკიცებდა. ალბათ, იმოდენა შეშაც ამიტომ მოათრია
ერთი ტოლჩა ყავის მოსადუღებლად და ორიოდე ყუთი კონსერვის
შესათბობად. მერე ვივახშმეთ და მეც ვახშმის მერელა გავიგე სიმართლე".

რა, რა გიაგე? რა უნდოდა მაინც?

***მაშინვე არ გამიგია. ეტყობა, იმ გოგოს შენზე ცოტა
უფრო მეტი მოთმინება ჰქონდა*** ისევ აგრძელებს თხრობას:
„მოკლედ, ვივახშმეთ და მეც საბანზე მივეგდე. გვარიანად დაღლილი
ვიყავი და გემოზე გავიშოტე. არც იმათთვის ყურის გდება მიფიქრია
და არც თავის მომძინარება. თვითონ მთხოვეს, წაგვიყვანეო; მე ხომ
არ დამიტანებია ძალა — გინდათ თუ არა, ჩემს მანქანაში ჩასხედით-
მეთქი. ჰოდა, თუ თვითონ არ ენაღვლებოდათ, ესმის ვინმეს ჩვენი
საუბარი თუ არაო, მე რაღაზე უნდა მეხეთქა გული. ასე გავიგე,
თურმე ვიღაცას რომ ედგნენ კვალში, მისდევდნენ, დაეძებდნენ. უფრო
სწორად, მარტო გოგო დაეძებდა. „აი თურმე რა ყოფილა-მეთქი",
ვეუბნები საკუთარ თავს, „კიდევ ერთ გოგოს გადაუწყვეტია შაბათ
ღამეს იმის სწავლა, რის გაგებასაც დედამისი კვირას აპირებდა
მღვდლისაგან-მეთქი". იმ ვიღაც კაცის სახელი ერთხელაც არ უხსენებიათ.
არც ის იცოდნენ, სად ეძებნათ. მივხვდი, თუკი მაინც გაიგებდნენ
გაქცეულის ასავალ-დასავალს, ეგ იმის ბრალი არამც და არამც არ
იქნებოდა. უცებ მივხვდი, მაშინვე. ბიჭი უმტკიცებდა, შეიძლება მთელი
ცხოვრება ასე ვიწანწალოთ შტატიდან შტატში, ერთი მანქანიდან
მეორეში გადავსხდეთ და იმის კვალს კი მაინც ვერ მივაგნოთო, გოგო
კი მორზე იჯდა, ხელში ბავშვი ეჭირა და მშვიდად, უხმოდ უსმენდა,
ქანდაკებასავით უდრტვინველი, თითქოს დასათანხმებლად, დასაყაბუ-
ლებლად გამზადებული. „ეეჰ, ჩემო ძმაო-მეთქი", გავიფიქრე, „თქვენ,
ეტყობა, კარგა ხანია წესადა გაქვთ, ეს წინ, სკამზე იჯდეს გამოჭიმული,
შენ კი უკან, ძარიდან ფეხებგადმოყრილმა იყურყუტო-მეთქი". ოღონდ,
რა თქმა უნდა, კრინტიც არ დამიძრავს. გასუსული ვიწექი, ისინი კი
ლაპარაკობდნენ, უფრო სწორად, მარტო ბიჭი ლაპარაკობდა, ჩუმად,
ხმადაბლა. ქორწინება ერთხელაც არ უხსენებია. არადა, ქორწინებას
კი გულისხმობდა, გოგოც მშვიდად, აუღელვებლად უსმენდა, ეტყობოდა,
ადრეც ბევრჯერ მოესმინა იგივე და დარწმუნებული იყო, არც ჰოს და
არც არას სათქმელად თავის შეწუხება არ დასჭირდებოდა. თან,
ოდნავ ეღიმებოდა. ოღონდ, ბიჭი იმის ღიმილს ვერა ხედავდა.

„მერე, თითქოს საბოლოოდ დაყარა ფარხმალი. წამოდგა და
წავიდა. მაგრამ, როცა ცეცხლისკენ შემობრუნდა, იმისი სახე დავინახე

და მივხვდი, ფარხმალის დაყრას ჯერ ბევრი უკლდა. უბრალოდ,
ერთი საშუალება კიდევ სცადა და უკვე იმდენად წარკვეთოდა სასო,
აღარაფერზე დაიხევდა უკან. მინდოდა დამეძახა, რის გაკეთებასაც
ახლა აპირებ, ეგ სულ თავიდან უნდა გექნა-მეთქი. მაგრამ, თავის
საქმისა თვითონ იცოდა. ასე თუ ისე, ბნელში გაუჩინარდა და გოგოც
მორზე ჩამომჯდარი დატოვა, ოდნავ თავჩაქინდრული, მომღიმარი.
არც გოგოს გაუყოლებია თვალი. შეიძლება, იცოდა კიდეც, მხოლოდ
ცოტა ხნით რომ გასცლოდა ბიჭი, საიმისო ძალის მოსაკრებად,
რისკენაც, ალბათ, თვითონვე უბიძგებდა სულ თავიდან, ოღონდ
უთქმელად, უსიტყვოდ, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მაინც ქალი იყო,
მანდილოსანი, რა ვუყოთ, თუკი ოჯახს შაბათ ღამეს მოჰკიდებოდა.
თუმცა, მე მგონი მთავარი მაინც სხვა იყო. შეიძლება, დრო და
ადგილი არ მოსდიოდა თვალში, მოწმეებზედაც რომ არაფერი ვთქვათ.
მალევე წამოდგა, ჩემსკენ გამოიხედა, მეც გავინაბე, თავი მოვიმძინარე,
მანქანაში აფორთხდა, ცოტა იქაც იფაჩუნა და გაინაბა — დასაძინებლად
მოეწყო ალბათ. მე კოცონთან ვიწექი — ძილი საბოლოოდ გამიკრთა
— კარგა ხანმა გაიარა ასე. მაგრამ ვგრძნობდი, ბიჭიც სადღაც
ახლომახლო დაბორიალობდა, ელოდებოდა ცეცხლი როდის ჩანავლდე-
ბოდა და მეც როდის ამოვუშვებდი ფშვინვას, მართლაც, კოცონი
ლამის მთლად რომ ჩაქრა, მოახლოებული ნაბიჯების ხმა გავიგონე,
კატასავით მოიპარებოდა, უჩუმრად მომიახლოვდა, თავზე დამადგა,
დამაცქერდა, მომაყურადა. ჩქამიც არ გამიღია; თუმცა, მგონი, ჩემდა
უნებურად, ხვრინვაც ამოვუშვი. ასე იყო თუ ისე, ცოტა ხანს მიყურა
და მერე მანქანისკენ დააღერა თავი, ისე მიდიოდა, თითქოს ფეხქვეშ
კვერცხები ეყარა, მეც თვალი გავაყოლე, თან ვფიქრობდი, „ეგ საქმე
რომ გუშინ გექნა, ძმაო, ახლა აქედან სამოცი მილით უფრო სამხრეთით
იქნებოდი-მეთქი, აი, ორი ღამის წინ რომ მოგეთავებინა მოსათავებელი,
მაშინ კი, თუკი რამე გამეგება, საერთოდ ვერცერთს ვერა განახავდით-
მეთქი ვერასოდეს" მერე, რაღაცნაირად ავფორიაქდი. ის არ მაშფოთებდა,
გოგოს ისეთს უზამს რამეს, რაც იმას არ ენდომება-მეთქი. ჩვენში
დარჩეს, მე ბიჭს ვქომაგონდი, იმისი მხარე მეჭირა. რა ვქნა, ცოდვა
გამხელილი ჯობია. უბრალოდ, ვერ გადამეწყვიტა, რა უნდა მექნა,
როცა გოგო აყვირდებოდა. ყვირილით, ვიცოდი, ნამდვილად აყვირდებოდა
და თუ მაშინვე წამოვხტებოდი და მანქანასთან მივირბენდი — ბიჭს
დავაფთხობდი, არადა, თუ არაფერში ჩავერეოდი, მაშინ ხომ სულ
მთლად გავუხეთქავდი გულს — მივახვედრებდი, ეღვიძა და მთელი ამ
ხნის განმავლობაში ყველაფერი ესმოდა და ყველაფერს ხედავდაო.
არადა, თურმე სულ ტყუილად ვიმტვრევდი თავს. პირველად ვნახე თუ

არა ერთიცა და მეორეც, მაშინვე უნდა მივმხდარიყავი ყველაფერს“.

მე მგონი, მაინცდამაინც არც იმტკვრევდი თავს, უკვე იცოდი რასაც იზამდა ის გოგო ეუბნება ცოლი.

ნამდვილად პასუხობს ქმარი. *არ მინდოდა შენით მიმხვდარიყავი. ეგრეა. ოლონდ, მეგონა შენ მაინც აგიბნიე გზა-კვალი*

ჰო, კარგი, გააგრძელე. მერე რა მოხდა?

შენ როგორ გგონია? რას იზამდა ზორბა, ჯანმრთელი გოგო როცა გაუფრთხილებლად ის ბიჭი წაადგებოდა თავზე, ის შერჩებოდა ხელში — გასაცოდავებული, პატარა ბავშვივით სატირლად გამზადებული? მერე ამბავს აგრძელებს: „არც ყვირილი ამტყდარა და არც არაფერი. დავინახე როგორ უცბად, უჩუმრად აძვრა ძარაზე და გაუჩინარდა, მერე, კაცი ასე, თხუთმეტამდე დაითვლიდა ნელ-ნელა, არაფერი მომხდარა და უცებ რაღაც გაოცებისმაგვარი შეძახილი გავიგონე — ეტყობა გოგომ გაიღვიძა, გაიღვიძა და გაუკ-ვირდა, მარტო გაუკვირდა, მეტი არაფერი, არც შეშინებია, არც გაბრაზებულა, უბრალოდ, ცოტათი უკმაყოფილოდ, საყვედურგარეული ხმით ჩუმად, ხმადაბლა ეუბნება: არა გრცხვენიათ, მისტერ ბანჩ. ეგრე ხომ ბავშვსაც გააღვიძებთო. მერე ბიჭი ისევ დავინახე, უკანა კარებიდან გადმოვიდა. არ გამორბოდა, თითქოს თავისი ფეხით არც მოდიოდა. კაცი არ ვიყო, თუ არ მეფიქროს თვითონ გოგომ აიტატა და ძირს გადმოსვა-მეთქი, თითქოს ისიც იმისი ბავშვი ყოფილიყოს, უფროსი ბიჭი, ასე, ექვსიოდე წლისა. — წადით ახლა, დაისვენეთ, ცოტა მაინც წაიძინეთ. ხვალაც კაი ხელა გზა გვაქვს გასავლელიო — ეუბნება.

„მოკლედ, სირცხვილით იმისკენ ვერ ვიყურებოდი, წარმოიდგინე, რა მოუვიდოდა რომ გაეგო თუნდაც ვინმემ, ერთმა სულიერმა მაინც დაინახა და მოისმინა, რაც მე ახლა ჭირი გამოვიარეო. კაცი არ ვიყო, თუ არ მენატროს, ნეტავი ამასთან ერთად სადმე სოროში შემაძვრინა-მეთქი. ლამის მართლა ჩავძვერი მიწაში. ის კი ისევ იქ იდგა, სადაც გოგომ დააყენა. კოცონი ჩანავლებულიყო და თითქმის ვერა ვხედავდი. მაგრამ, ხომ ვიცოდი იმის ადგილას რა ცეცხლიც იტრიალებდა ჩემს გულში. თავჩაქინდრული ვიდგებოდი ალბათ იმის მოლოდინში, როდის გამომიტანდა მოსამართლე განაჩენს და როდის იტყოდა, „აქედან მომაშორეთ და დროზე ჩამოკიდეთო“. ხმა არ გამიღია, ცოტა ხანში გავიგონე, როგორ გაეცალა იქაურობას. ბუჩქების ლაწალუწი მომესმა, თითქოს ბრმად, უგზოუკვლოდ დააღერა ტყეში თავი. მერე, როგორც იქნა, გათენდა კიდეც, მაგრამ მაშინაც არ გამოჩენილა.

„კეთილი და პატიოსანი, რა ჩემი საქმე იყო. ან მე რა უნდა მეთქვა. გულის სიღრმეში ჯერ მაინც მჯეროდა საცაა გამოგვეცხადება,

საცაა ბუჩქებიდან გამოაბიჯებს, სულერთია, აქვს გამოსაჩენი პირი თუ არა-მეთქი. მერე ცეცხლი დავანთე და საუზმის თადარიგი დავიჭირე. ამასობაში გოგოც გადმოძვრა მანქანიდან. იმისკენ არ გამიხედავს. მაგრამ ვგრძნობდი, როგორ იდგა, როგორ ათვალიერებდა იქაურობას და ცეცხლისა და ჩემი საბნის შემხედვარე ცდილობდა გამოეცნო, იქ იყო ბიჭი თუ წასულიყო. მე კრინტი არ დამიძრავს და არც იმას უკითხავს რამე. ერთი სული მქონდა, როდის ავიბარგებოდი და როდის გავუდგებოდი გზას. თან, ვერც გოგოს მარტო დატოვება გადამეწყვიტა. ისე, კი ვფიქრობდი, ერთი ჩემ ცოლს გააგებინა, როგორ ვმოგზაურობ ლამაზ, სოფლელ გოგოსთან და სამი კვირის ბავშვთან ერთად-მეთქი — მართალია, ის ვითომ თავის ქმარს დაეძებდა, მაგრამ მაინც. ქმარს თუ ქმრებს, ველარაფერს გაიგებდა კაცი. მოკლედ, ვისაუზმეთ და ვეუბნები, „დიდი გზა მიდევს წინ და ჯობია, დროზე დავიძრათ-მეთქი“. სიტყვაც არ უთქვამს. შევხედე და რასა ვხედავ? — დგას უწინდელივით მშვიდი, წყნარი, აუღელვებელი, — კაცი არ ვიყო, გაოცება ან საერთოდ რამე თუ შეტყობოდეს. გაშტერებული ვიდექი, არ ვიცოდი, რა წყლისთვის მიმეცა თავი, იმან კი თავის ხაბაკ-ხუბაკი მოაგროვა, გუმფისის ტოტით ძარაც გამოხვეტა, ჩემოდანიც დააბინავა და უკანა კედელთან დახვეული საბანიც გაიმზადა, ალბათ, ბალიშივით რომ ამოედო ბეჭებქვეშ; „კიდეც იმიტომ გაგაქვს-მეთქი თავი“, გავიფიქრე. „როცა გაგირბიან, შენ უბრალოდ მოაქუჩებ, რაც გაქცეულებს რჩებათ და მერე ისევ აგრძელებ-მეთქი გზას“.

აქ, უკან დავჯდებიო, — მეუბნება.

„ბავშვს არ გაუჭირდება-მეთქი?“

არა უშავს, ხელში დავიჭერო.

„შენი ნებაა-მეთქი“, ვუთხარი, მერე გზას გავუდექით, თან ლამისაა კაბინიდან გადმოვვარდე, სულ უკან-უკან ვიყურები, იმედი მაქვს, სანამ მოსახვევს გავცდებით, ბიჭიც გამოჩნდება. მაგრამ, არა და არ ჩანს, ერთი კაცის ამბავს ყვებიან, სადგურზე დაუჭერიათ სხვის ბავშვთან ერთად თურმე. მე კი ბავშვთან ერთად სხვისი ცოლიც მეჯდა მანქანაში და მეგონა, ყველა მანქანა, რომელიც გვეწეოდა და გვისწრებდა, სულ ქმრებითა და ცოლებით იყო სავსე, შერიფებზე უკვე აღარაფერს ვამბობ. ტენესის საზღვარს ვუახლოვდებოდით, გადაწყვეტილი მქონდა, ან ამ ახალ მანქანას ბოლს ავადენ, ან არადა ისეთ მოზრდილ ქალაქს მაინც ვიპოვი, სადაც ქალების საქველმოქმედო საზოგადოება ეყოლებათ და იმათ ჩავაბარებ დედა-შვილს-მეთქი. ხანდახან ისევ უკან-უკან ვიყურებოდი, იმედი მქონდა, ეგება ფეხით გამოგვედევნა-მეთქი, და სულ გოგოს სახე მხვდებოდა თვალში,

ეკლესიასავით მშვიდი სახე. ბავშვი ხელში ეჭირა, ოღრო-ჩოღრო გზამ არ დაანჯღრიოსო, და ძუძუს აჭმევდა. ვერა, მაგათ ვერ მოერევი". ცოლის გვერდით წევს, იცინის. „დიახ, ჩემო ბატონო. კაცი არ ვიყო, თუ მაგათი მორევა შეეძლოს ვინეს".

მერე? მერე რა მოხდა?

არც არაფერი. ივჯდა, მგზავრობდა, თითქოს პირველად ხედავდა ქვეყანას — გზას, ხეებს, მინდვრებს, ტელეფონის ანძებს. არც დაუნახავს ვიდრე ის უკანა კარებთან არ მივიდა. ან რად უნდოდა დანახვა. ერთადერთი მარტო ლოდინი სჭირდებოდა. ლოდინში კი ბადალი არა ჰყავდა.

არ დაუნახავს?

აბა. ის ბიჭი. გზის პირას იდგა როცა მოსახვევს გავცდით. იდგა და გველოდებოდა, სულერთია, ჰქონდა გამოსაჩენი პირი თუ არა, სირცხვილნაჭამი, შეუპოვარი და, თან უკვე დაწყნარებული, თითქოს უკანასკნელ მიჯნამდე მიეყვანა საკუთარი თავი, უკანასკნელი საშუალებაც ეცადა და იცოდა, აღარასოდეს აღარ დასჭირდებოდა ძალად თავის გაბრაზება და გაღიზიანება

ისევ აგრძელებს თხრობას:

„მე ზედაც არ შემომხედა. მანქანა გავაჩერე თუ არა, უკვე უკანა კარებისკენ მირბოდა, ძარას შემოურბინა და წინ აეტუზა, იმას კი, თითქოს არაფერი გაჰკვირვებია. უკვე ისე შორს შევტოპეო, ეუბნება გოგოს, ახლა ველარაფერი დამახევინებს უკანო. გოგო კი ისე უცქერის, თითქოს თავიდანვე იცოდა, რასაც იზამდა, რასაც მოიმოქმედებდა ბიჭი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თვითონ წარმოდგენაც არ ჰქონდა, და თანაც, ისიც მოეხსენებოდა, რაც უნდა ექნა და რაც უნდა მოემოქმედა, დიდი მნიშვნელობა მაინც არაფრისთვის არ უნდა მიენიჭებინა.

„არც არავის უთქვამს თქვენთვის უკან დაიხიეო", ეუბნება. წევს და იცინის, იცინის გულიანად, გაუჩერებლად, დიდხანს. „დიახ, ჩემო ბატონო. ქალს ვერ მოერევი. იცი რასა ვფიქრობ? მე მგონი, უბრალოდ მოგზაურობდა, სეირნობდა. არა მგონია, რამე იმედი ჰქონოდა იმ ვიღაც გაქცეულის პოვნისა. არც აპირებდა — თუმცა ბიჭს კი არაფერს უმხელდა. უბრალოდ, ალბათ პირველად წამოსულიყო შინიდან ასე შორს, ამდენი ხნით. მშვენივრად გრძნობდა თავს და არც ხალხი აკლებდა ზრუნვას და ყურადღებას. ჰოდა, მე მგონი, გადაწყვიტა, მოდი ცოტა უფრო შორსაც წავალ, ცოტა მეტს ვნახავო, რადგან იცოდა, როცა საბოლოოდ მოიკიდებდა სადმე ფეხს, საბოლოოდ დამკვიდრდებოდა და დაბინავდებოდა, მერე უკვე ველარასოდეს მოიცლიდა სასეირნოდ და სამოგზაუროდ. რა ვიცი, მე ეგრე მგონია.

ივჯდა უკან, მანქანის ძარაზე, თავისი ბიჭიც უკვე გვერდით ეჯდა, ხელში ბავშვი ეჭირა — ისევ ჭამდა, მთელი ათი მილი საუზმობდა, თითქოს მატარებლის ვაგონ-რესტორანში ბრძანდებოდა ვაუბატონი — და ისეთი ხალისით ადევნებდა თვალს გვერით ჩაქროლილ სატელეფონო ანძებსა თუ ღობეებს, თითქოს საცირკო პარადს მისჩერებიაო. „ცოტაც და სოლსბერიში ვიქნებით-მეთქი", ვუუბნები.

„რაო?" მეკითხება.

„სოლსბერიში შევდივართ, ტენესიში-მეთქი". მერე უკან მივიხედე და მისი სახე დავინახე. თითქოს ელოდა, თითქოს მზად იყო, როდის გადაურბენდა სახეზე გაოცება და ეჭვიც არ ეპარებოდა გაოცება სიამოვნების მეტს არც არაფერს რომ უქადდა. მართალიც იყო, არ ეშლებოდა, მოლოდინი გაუმართლდა და თან, ყველა სიკეთესთან ერთად, გაოცება მოუხდა კიდეც.

„ღმერთო, ღმერთო, არ ასვენებს კაცს გამჩენიო", თქვა ცოტა ხნის მერე. „ორი თვეც არ გასულა, რაც ალაბამადან წამოვედით და აჰა, უკვე ტენესიშიც მოვსულვართო".